1930

ჩენტრარქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარქივო საქმე

წიგნი, II-III

ტფილისი
1930

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცენტრარქივი

საარქივო საქმე

წიგნი II—III

ტფილისი
1930

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორი ი. იოსვიძე

სარედაქციო კოლეგია
შ. ჩხეტია
ი. გედევანიშვილი
პროფ. გ. ნათაძე
დ. სულიაშვილი
პროფ. მ. პოლიევქტოვი

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა

შეკვეთა № 946. მთავლ. 609. ტირაჟი 400.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი.

I. არქივები და არქივთმცოდნეობა.

	გვ.
ი. იოვიძე.—არქივების მნიშვნელობა და მათი მორიგი ამოცანები	5
ი. გედევანიშვილი.—საარქივო საქმე პროვინციებში	13
შ. ჩხეტია.—საისტორიო მასალების აღწერათა და აღწერილობათა სისტემები	17
პროფ. გ. ნათაძე.—საქართველოს ცენტრარქივის მე-18 ს. მასალების კვალსიფიკაციისათვის შინაარსის მიხედვით	118
მ. დიაკონენკო.—კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის საარქივო ფონდის მიმოხილვა	
გ. გოზალიშვილი—საარქივო მასალების გამოყენება საქართველოს ცენტრარქივში სამეცნიერო მიზნით	146
ი. იოვიძე—სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა მეორე ყრილობა	149
შ. ყარამანიძე.—არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსებისათვის საქართველოში	168
ყ. ქუთაისელი.—საარქივო მშენებლობა ქუთაისის ოლქში	188
მ. ივაშჩენკო.—საარქივო საქმე აფხაზეთში	203
დ. ს—შვილი.—მთავარი საბჭოთა არქივი	206
მ. კობიაშვილი.—იურიდიული არქივი	209
მ. თუმანიშვილი.—საქართველოს ცენტრარქივის ბიბლიოთეკა და მისი მუშაობა-მოქმედება	214
ქ. ტფილისის მომქმედ დაწესებულებათა არქივარიუსების 1-ლი კონფერენცია	223

II. საინფორმაციო განყოფილება.

საქართველოს ცენტრარქივის მუშაობა-მოქმედების ანგარიში 1929 წლის საპერსპექტივო გეგმის მიხედვით	235
საქართველოს ცენტრარქივის მუშაობა-მოქმედების 1930 წ. საპერსპექტივო გეგმა	246

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III. საარქივო ქრონიკა.

მარქსისტ-ისტორიკოსთა 1-ლი საკავშირო ყრილობის რეზოლიუცია საარქივო მასალების დაცვისათვის 254
არქივთმეცნიერების კაბინეტი 256
საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრარქივთა წარმომადგენლების თათბირი 256
მ. სტეფანოვი.—სამხედრო-საისტორიო არქივში ახლად აღმოჩენილი მასალები 257

IV. ნეკროლოგები.

ი. ც.—დავით კარიჭაშვილი 259
ი. ც.—სერგი გორგაძე 260
დ. ს.—სვიმონ ესაძე 261
მ. პ.—ა. პრესნიაკოვი 262

V. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

არქივისტი.—„Примірні описи“ 264
ბიბლიოგრაფი.—„Архивное Дело“, წიგ. 17, 18, 19. 274
შ. ყარამანიძე.—Н. Бельчиков. „Теория археографии“ . . 285

ი. ოლჯიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არქივების მნიშვნელობა და მათი მოსრიგი ამოცანები*).

ამხანაგებო, საქართველოში საარქივო აღმშენებლობის 8 წლის სიგრძეზე სამწუხაროდ ეს პირველი შეხვედრაა თქვენთან, ტფილისის მომქმედ დაწესებულებათა არქივარიუსებთან. ასეთი დაგვიანება აიხსნება იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ დრომდე „საარქივო საქმეს საქართველოში არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, ვისგანაც ეს საჭირო იყო, ე. ი. მთავრობის ორგანოების მხრივ“ (იხ. ფ. მახარაძე, არქივების მნიშველობის შესახებ, „საარქივო საქმე“, წიგ. 1-ლი). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ აქნობამდე არ გვქონია არქივებისა და საარქივო საქმის მნიშვნელობაზე სრული წარმოდგენა. დღესაც საბჭოთა საზოგადოების ერთ ნაწილს არ ესმის არქივების როლი ჩვენი აღმშენებლობის საქმეში, ყველა ამის გამო საარქივო აღმშენებლობა საქართველოში ჩამორჩა საერთო საბჭოთა აღმშენებლობას: არქივები, უნდა ითქვას გულახდილად, ვერ ასრულებენ სავსებით ყველა იმ ამოცანებს, რომელსაც ავალებს მათ ჩვენი გეგმიანი სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის გაძლიერებული ტემპი.

არქივები და საარქივო საქმე ჩვენში იმ თავითვე ჩაუვარდა ხელში ისეთ პირთ, როლებიც სრულიად არ იყვნენ დაინტერესებული მათი გამოყენებით პოლიტიკურ და პრაქტიკულ მიზნებისათვის. კიდევ უფრო მეტი, ეს პირები პოლიტიკური კეთილ-საიმედობის თვალსაზრისით არც შეიძლებოდა დაშვებული ყოფილიყვნენ საარქივო სამსახურში.

აი როგორ ახასიათებს თავის თავს ცენტრარქივის ერთი ყოფ. გამგეთაგანი ს. კაკაბაძე სამხედრო ცენზორად ყოფნის დროს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-საცენზურო განყოფილების უფროსისადმი წარდგენილ მოხსენებაში: ... „В грузинских же литературных кругах я—лицо очень хорошо известное имен-

* სიტყვა, წარმოთქმული ქ. ტფილისის მომქმედ დაწესებულებათა არქივარიუსების პირველ კონფერენციაზე (კონფერენციის ანგარიში იხ. ამავე ნომერში).

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

но по своим краине умеренным и консервативным убеждениям," (იხ. სამხედრო-საცენზურო კომიტეტის საქმე, № 1898). თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა პირი შეიძლებოდა ყოფილიყო სამხედრო ცენზორად: ის უეჭველად ტახტის ერთგული და ჭეშმარიტი მონარქისტი უნდა ყოფილიყო. და, მართლაც, ზემოდ ნოყვანილ საბუთის გარდა, ჩვენ გვაქვს სხვა საბუთებიც, საიდანაც მტკიცდება, რომ ს. კაკაბაძე ერთგული აგენტი იყო მონარქიულ ხელისუფლების და რომ ის „за отлично-ревностную службу и особые труды, вызванные обстоятельством воины „დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავის ორდენით (იქვე). ეს და სხვა მსგავსი საბუთები, რა თქმა უნდა, შემთხვევით გადაურჩენ ცენტრარქივის მაშინდელ გამგეებს მხოლოდ იმის წყალობით, რომ მათ დროს საარქივო მასალები აღწერილი არ იყო და ყველაფრის მოძებნა არ შეიძლებოდა. მაგრამ ჩვენ გვაქვს ცნობა, ცენტრარქივის ყოფ. თანამშრომლის, განსვენებულ ისტორიკოსი ს. ესაძის მოხსენება), საიდანაც მტკიცდება, როთ ამ პირების ცენტრარქივში ყოფნის დროს მოსპობილ იქნა მთელი რიგი მათ მამხილებელ საბუთებისა.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში საარქივო საქმე ვერ წარიმართებოდა ჩვენში სათანადო ხაზით. მხოლოდ 1927 წელს შესაძლებელი შეიქნა ცენრარქივის საფუძვლიანი გადახალისება და საარქივო საქმის სანდო პირთა ხელში მოქცევა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ გვქონია შესაფერი გამოცდილება და ცოდნა საარქივო აღმშენებლობაში. მაგრამ შეუძლებელი არაფერი არის, როდესაც სურვილი და ენერგია ადამიანს შესწევს და ჩვენც შევეცადეთ სათანადო პირობების შექმნით ისეთი მდგომარეობა შეგვექნა, რომ არქივებს შესძლებოდათ დაკისრებულ პოლიტიკურ, მეცნიერულ და პრაქტიკულ ამოცანების შესრულება.

ამხანაგებო, არქივები შეიცავენ წარსულის გამოცდილებას და, რასაკვირველია, მათ აქვთ უპირველესად ყოვლისა პოლიტიკური მნიშვნელობა. სოციალურად გაბატონებული კლასი ყოველთვის თავის კლასიურ მტრებთან ბრძოლაში იყენებდა არქივებს იარაღად. გაიხსენეთ ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა და დღესაც აწარმოებს პროლეტარიატი კაპიტალისმის წინააღმდეგ; მოიგონეთ მებრძოლ პროლეტარიატის და რევოლიუციონურ გლეხობის ბრძოლები რუსეთსა და კერძოთ საქართველოში. როგორი იყო ბრძოლის მეთოდები გაბატონებული კლასისა და ხელისუფლებისა მოწინააღმდეგის, ე. ი. მშრომელების მიმართ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა თუ არა ამ ბრძოლაში დოკუმენტებს მნიშვნელობა? რასაკვირველია, ჰქონდა: მეფის ჟანდარმები და მენშევიკურ ხელისუფლების „ოსობი-ოტრიადჩიკები“ ჩხრეკის დროს ‼განსაკუთრებულის ყურადღებით უპირველესად ყოვლისა ეძებდენ მამხილებელ საბუთებს (პროკლამაციებს, მოწოდებებს და სხვა), რომლებიც ნათელსყოფენ გაჩხრეკილის რევოლიუციონურ მოღვაწეობას. ამით, ე. ი. „გასამართლებელ საბუთის“ ხელში ჩაგდებით, მათ ეძლეოდათ საბაბი სასტიკად დაესაჯათ თავიანთი კლასიური მოწინააღმდეგე. ხშირი იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც თვითონ მჩხრეკავები განზრახ ჩაუდებდენ ხოლმე თავიანთ მსხვერპლს პროკლამაციებს, ან შეთხზავდნენ ყალბ დოკუმენტს, რომ საბაბი ჰქონოდათ მოწინააღმდეგის გასამტყუნებლად და დასასჯელად. განა დღესაც მსოფლიო ბურჟუაზია არ მიმართავს ბრძოლის ასეთ მეთოდებს, რომ გაამართლოს და გააძლიეროს თავისი შეტევა ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ? რისთვის დასჭირდა ინგლისის კონსერვატორებს ყალბი დოკუმენტის (ე. წ. „ზინოვიევის წერილის“) შეთხზვა? რა მიზნით დაეცენ და გაჩხრიკეს საბჭოთა სავაჭროები და წარმომადგენელობა ბურჟუაზიულმა ხელისუფლებამ ინგლისში, საფრანგეთში, ჩინეთში და სხვაგან? რასაკვირველია იმ მიზნით, რომ ჩაეგდოთ ხელში ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ამხელდა საბჭოთა წარმომადგენლობის ბოლშევიკურ პროპაგანდას მათ სახელმწიფოებში. ყველა ეს მაგალითები მოწმობენ იმას, რომ საარქივო დოკუმენტებს უპირველეს ყოვლისა უაღრესათ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და ჩვენც, რასაკვირველია, არ შეგვიძლია არ მიუდგეთ არქივებს პოლიტიკური თვალსაზრისით.

თქვენ კარგათ იცით, რომ ბოლშევიკური პაარტიის ისტორიაში და საერთოდ ჩვენი ქვეყნის კლასთა ბრძოლის ისტორიაში ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბოლშევიზმის გამარჯვება მენშევიზმზე ჩვენს ქვეყნებში ნიშნავს რევოლიუციის გამარჯვებას კონტრ-რევოლიუციაზე. დღეს ბოლშევიზმის გამარჯვებას მენშევიზმზე ასეთივე მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მასშტაბით ამიტომ ბრძოლის ის გამოცდილება, რომელიც ხელთ გვაქვს ახლა, არქივების სახით, უნდა გამოვიყენოთ სავსებით მენშევიზმთან ბრძოლაში, რომელმაც სართაშორისო ხასიათი მიიღო. ამ საქმეში დიდ სამსახურს გაგვიწევს ჩვენ საქართველოს ცენტრარქივის პოლიტიკური არქივები, რომლებიც მრავლად შეიცავენ ცნობებს ბოლშევიზმ-მენშევიზმს შორის ურთიერთ დამოკიდებულებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საერთოდ მენშევიკური საქმიანობის შესახებ. საილიუსტრაციოდ მე მოვიტან ერთ მაგალითს, რომელიც ნათელსყოფს არქივების დიდ მნიშვნელობას მენშევიზმ-ბოლშევიზმს შორი ბრძოლის საკითხში. თქვენ კარგათ იცით, რომ მენშევიკებს თავი მუშათა პარტიად, სოციალისტურ პარტიად მოჰქონდათ და მოაქვთ დღესაც. მაგრამ ისიც იცით ალბათ, რომ ეს ფაქტიურად სინამდვილეს არ შეეფერება. ამის დამტკიცებაში საარქივო საბუთი დაგვეხმარება. ხელთ გვაქვს მენშევიკების დროის საბუთი მიწათ-მოქმედების მინისტრის (მენშევიკის) მიერ დაწერილი. აი რას სწერს ის ამ საბუთში: „ყოვლად შეუწყნარებელია ის აზრი თითქო გლეხისათვის უსათუოდ უმჯობესი და სასარგებლო იყოს მიწების უფასოთ დარიგება“-ო... თურმე უფასოდ მიწების გადაცემა გლეხებისათვის საზარალო ყოფილა „სოციალისტ“ მინისტრის აზრით. „უფასოდ დარიგება, განაგრძობს მენშევიკ-მინისტრი, გარდა იმისა, რომ მიუღებელია, თან შეუძლებელიც არის. ისტორიამ ჯერ არ იცის მაგალითი მიწის უფასოთ გადაცემისა... მიწების უფასოთ შეიძლება წართმევა, დატაცება, მათი წესიერ განაწილება კი შეუძლებებლია... სულ სხვაა, როცა ჩამორთმეულ მიწებს სახელმწიფო უცქერის, როგორც თავის, ან საერთო სახალხო საკუთრებას და შემდეგ მას უნაწილებს კერძო მესაკუთრეებს განსაზღვრული საფასურის გაღებით... ხაზინის ინტერესისათვის, რასაკვირველია, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ეს მიწები საჯარო ვაჭრობით გაყიდულიყო. აქედან ჩვენ მივიღებდით მილიარდზე მეტ თანხას და ჩვენი ხაზინის მდგომარეობა ამ დროებით გაუმჯობესდებოდა“... (ნ. ხომერიკის განმარტებითი წერილი, კანონპროექტი სახელმწიფო).

საქართველოს რევოლიუციონურ გლეხობამ თვით შესძლო თავის ინტერესების დაცვა და, როგორც ვიცით, მიწებიც რევოლიუციონური გზით უკვე მიიღო. მაგრამ ამისდა მიუხედავად საჭიროა ნათელყოფა საბუთებით იმისა, თუ რა განსხვავებაა მენშევიკების სიტყვასა და საქმეს შორის, რომ „ურწმუნო თომასათვისაც“ სათუო არ იყოს მენშევიკების ღალატი მშრომელთა ინტერესების წინაშე. და აქ სწორეთ არქივები, როგორც ვნახეთ, საუკეთესო სამსახურს გაუწევენ პროლეტარიატს და პროლეტარიატის ხელისუფლებას.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლათ შეიძლებოდა. მაგალითების, რომლებიდანაც ნათელია ის, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს არქივებსა და საარქივო საქმეს. მაგრამ ასეთ მაგალითების მოყვანა ზედმეტად უნდა ჩაითვალოს. თავისთავადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადი უნდა იყოს, რომ არქივები ბასრი იარაღია გამარჯვებულ კლასის ხელში და რომ ამ კლასმა ეს იარაღი უნდა გამოიყენოს სავსებით თავის ინტერესების დასაცავად.

ახლა გადავიდეთ არქივების მეცნიერულ მნიშვნელობაზე. ძველი ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოებაც, რასაკვირველია, იყენებდა საარქივო მასალებს სამეცნიერო მიზნით. ამ საზოგადოებას ჰყავდა თავისი ისტორიკოსები, რომლებიც აშუქებდენ ისტორიას თავის კლასიურ ბუნების მიხედვით გარკვეული თვალსაზრისით. მაგრამ მათი მიდგომა საკითხისადმი არსებითად ზერელე იყო იმ მხრივ, რომ ისტორიული მოვლენების ნამდვილი მიზეზები და ამ მიზეზთა შორის კავშირი, მიუხედავათ წერაში ამ ისტორიკოსების დიდი დახელოვნებისა, მაინც გაურკვეველი რჩებოდა. მეორეს მხრივ ისტორიული ფაქტების გაშუქების დროს, რაკი ისინი ყოველთვის გაბატონებულ კლასის თვალსაზრისზე იდგნენ, ცალმხრივ აშუქებდენ მოვლენებს. ამავე დროს მათ მიერ შედგენილი ისტორია, სავსებით მისაღები უნდა ყოფილიყო გაბატონებულ კლასებისა და ექსპლოატატორულ საზოგადოებისათვის. ამისათვის ფეოდალურ-ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა ისტორია გადააქციეს მეფეებისა და მათი გენერლების ისტორიად. ამ ისტორიაში ხალხი, მასსა და მისი როლი სრულიად უგულებელ ყოფილი იყო.

თავისთავად ცხადია, რომ ისტორიული მსვლელობის ნამდვილი გაგებისათვის საჭირო იყო ერთის მხრივ ის, რომ თვით ამ ისტორიკოსებს უშუალო კავშირი ჰქონოდათ იმ მასებთან, რომელნიც ჩაბმული იყვნენ საწარმოო ურთიერთობაში და რომელნიც თანდათანობით გადადიოდენ საწარმოო ძალთა განვითარების ახალ საფეხურზე. ხოლო მეორეს მხრივ საჭირო იყო ამ ისტორიკოსების მიერ გაბატონებულ კლასის, ბურჟუაზიის ინტერესების თვალსაზრისის გარეშე დადგომა და მშრომელთა ფართე მასის, როგორც მამოძრავებელი ფაქტორის, როლის გათვალისწინება საწარმოო ძალთა განვითარებასთან დაკავშირებით. მაგრამ ასეთი გზა კვლევა-ძიებისა ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს მიიყვანდა იმ დასკვნამდე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა გაბატონებულ კლასის შეგნებასა და ინტერესებს. ამიტომ ისინი შეგნებულათ ცდილობდენ აღნიშნული მიმართულებით მუშაობისათვის გვერდი აეხვიათ და ფაქტების ზერელე თუ ცალმხრივი გაშუქებით ყალბი მსოფლმხედველობა და ისტორიის ფალსიფიკაცია დაემკვიდრებიათ. ამასთანავე საინტერესოა ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული ისტორიკოსები არამც თუ არ სცნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ ისტორიის დიალექტიურად გაგების სისწორეს, არამედ ებრძოლ-
დენ კიდეც ასეთ მიმართულებას: ისინი არ სცნობდენ მარქსის, ენ-
გელსის, ლენინის და სხვა დიალექტიურ მატერიალიზმის მიმდევარ
მეცნიერთა შრომებს, როგორც მეცნიერულს შრომებს.

მაგრამ, როგორც ამხ. ლენინი ამბობდა, ფაქტი ჯიუტი რამ
არის და ვფიქრობ, რომ ახლა, როდესაც დიალექტიური მატერია-
ლიზმი ცხოვრებამ გაამართლა, ცოტაა ისეთი მეცნიერები ბურჟუა-
ზიის ბანაკიდანაც, რომელთაც ძველი მეთოდისა და მსოფლმხედვე-
ლობის რევიზიის აუცილებლობა თავში არ უტრიალებდეს. ახლა
ბევრისათვის უკვე უდაოა, რომ მარქსისტული მეთოდი კვლევისა და
ფაქტების შესწავლისა ანგარიშ გასაწევია და რომ ამ მეთოდის გა-
რეშე სწორ დასკვნების მიღება შეუძლებელია.

მაგრამ ასეთი ნაწილობრივი გარდატეხა ისტორიულ მეცნი-
ერებაში, რომელიც მარქსიზმისა და ლენინიზმის გამარჯვებით არის
გამოწვეული, როდი ჩაითვლება საკმარისად. საჭიროა მთლიანად
აღმოიფხვრას ეს ძველი დახავსებული მსოფლმხედველობა და იდე-
ალისტური მეთოდი, საჭიროა მის ნაცვლად შემოღებულ იქნას
ახალი მეთოდი ისტორიის გაგებისა. ამისთვის კი უპირველესად
ყოვლისა საჭიროა დაიწყოს ისტორიის და ისტორიულ მოვლენების
ახალი მეთოდით შესწავლა. ძველი საისტორიო ნაშრომები ამ შემ-
თხვევაში ახალ მკვლევართათვის მასალად გამოდგებიან. მაგრამ
მთავარი წყარო მათთვის საარქივო მასალა უნდა გახდეს. საარქივო
მასალა, სადაც დაუნჯებულია უტყუარი ფაქტები ჩვენი წარსულისა,
უნდა შესწავლილ იქნეს მებრძოლ მარქსიზმის თვალსაზრისით.

აი რას სწერს ამხ. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე ამის შესახებ: „საარქივო
დოკუმენტების შესწავლა და დამუშავება პროლეტარიატის დიქტა-
ტურის ქვეყანაში აუცილებლად უნდა ხდებოდეს... მხოლოდ **მებრძო-
ლი მარქსიზმის თვალსაზრისით,** რომ საკითხის დამუშავების დროს
ჩვენი მეცნიერები და მკვლევარები უნდა იდგენ არა მარტო ისტო-
რიის მატერიალისტურად გაგების საფუძველზე, არამედ კლასთა შო-
რის ბრძოლის პრინციპზედაც, რაც უმთავრესია ამ შემთხვევაში“.
აქ გულახდილად შეიძლება ითქვას, რომ მუშათა კლასის ისტორი-
ისა და საერთოდ ისტორიის შედგენა ჩვენ მოგვიხდება თავიდან.
ძველი ბურჟუაზიული ისტორიკოსების გამოკვლევები, როგორც
ვთქვით, შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მასალად. თვით ის ისტო-
რიკოსები კი, რომელთაც ახალი მეთოდი შეთვისებული არ აქვთ
და არც უნდათ შეითვისონ, ჩვენთვის გამოუსადეგარნი არიან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მათ უნდა გავემიჯნოთ. ამას მოითხოვს პროლეტარიატის ინტერესი და ახალი ცხოვრების ლოგიკა.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა არქივების პრაქტიკულ მნიშვნელობის შესახებ. დღეს ამხანაგებო, ჩვენი პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა ეწევა გრანდიოზულ სოციალისტურ აღმშენებლობას; ამასთან დაეავშირებით იცვლება შინაარსი და ფორმა ჩვენი სახალხო მეურნეობისა და ჩვენს წინაშე სდგას მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანებისა: გზების გაყვანა, მადნების დამუშავება. საცხოვრებელი ბინების აშენება. ფაბრიკა-ქარხნების აგება და სხვა—აი ის ამოცანები, რომელთაც ისახავს ჩვენი ხელისუფლება ამ დარგში. ყველა ამ ამოცანების განხორციელება სწარმოებს წინასწარ შემუშავებულ გეგმისა და ვარაუდის მიხედვით. ამ ჟამად ჩვენ როგორც იცით, შემუშავებული გვაქვს ხუთ-წლიანი გეგმა, რომლის განხორციელებაც ჩვენი ხელისუფლების უახლოეს მიზანს შეადგენს. ამ ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში ჩაბმულია ყველა დარგის დაწესებულებები და ორგანიზაციები. იბადება კითხვა შეუძლია თუ არა არქივებსა და საარქივო ორგანოებს ჩაებან ამ საერთო შრომის ფერხულში და გაუწიონ ჩვენს სამეურნეო და საგეგმო ორგანოებს დახმარება ამ გეგმის შესრულებაში. რა თქმა უნდა, შეუძლიათ. ჩვენს არქივებში მრავლად არის დაცული გეგმები, ნახაზები, სტატისტიკური ცნობები, გამოკვლევების შედეგები და სხვა, რომლებიც შეიცავენ წარსულ გამოცდილებას და რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ მთავრობის ორგანოებს. არქივების მოვალეობაა ამგვარი მასალები მიაწოდონ დაინტერესებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

აქედან ცხადია რომ ჩვენი საარქივო აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმა სავსებით დაკავშირებული უნდა იყოს საერთო აღმშენებლობის ხუთწლიან გეგმასთან და არქივების პრაქტიკული მნიშვნელობა სწორეთ ამ გეგმის განხორციელებისათვის ხელის შეწყობაში უნდა გამოიხატოს.

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ მარტო აღნიშნული ხუთწლიანი გეგმით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა ყოველმა მომქმედ დაწესებულების არქივმა თავის დაწესებულების ყოველდღიურ მუშაობასთან დაკავშირებით მიიღოს პრაქტიკული დავალება, თუ როგორი საარქივო მასალაა საჭირო ამ დაწესებულების ოპერატიულ მუშაობისათვის. ცნობების გაცემა, ამონაწერების დამზადება, პირების მიწოდება და სხვა—აი ის ყოველდღიური პრაქტიკული სამუშაო. რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულება არქივების ჩვეულებრივ მოვალეობას შეადგენს. ამასთან დაკავშირებით მომქმედ დაწესებულებათა არქივებმა უნდა შეადგინონ თემატიური მაჩვენებლები ისეთ საარქივო მასალებზე, რომლებიც საჭირო იქნებიან სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობისათვის ერთის მხრივ და მეცნიერულ კვლევა-ძიებისათვის მეორე მხრივ საერთოდ კი თქვენი მოვალეობაა მოაწესრიგოთ მომქმედ დაწესებულებათა არქივები და გაანთავისუფლოთ ისინი ისეთ მასალებისაგან, რომელნიც არ წარმოადგენენ არავითარ პრაქტიკულ და მეცნიერულ ღირებულებას.

ამას გარდა საარქივო ორგანოების წინაშე სდგას მთელი რიგი სხვა საკითხებისა, როგორც, მაგალითად, მომქმედ დაწესებულებათა და ორგანაზაციათა არქივარიუსების მომზადებისა და გადამზადების საკითხი და სხვა. არქივარიუსების მომზადების საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამისათვის საჭირო იქნება მოკლე ვადიანი საარქივო კურსების გახსნა. კურსების შენახვის ხარჯები უნდა მიიღონ თავიანთ თავზე მომქმედ დაწესებულებებმა, ვინაიდან ცენტარქივს ამისათვის თავისუფალი თანხა არ მოეპოვება. ეს საკითხი უნდა გადასწყვიტოს თვით კონფერენციამ. ჩემის აზრით სასწავლო გეგმის შედგენისა და ორგანიზაციულად კურსების მოწყობის საქმე დაეკისრება ცენტრალურ საარქივო სამმართველოს, რომელსაც საკმაო ძალები მოეპოება ამისათვის. ხოლო ფინანსიური მხარის მოგვარებაში, როგორც ვსთქვით, დაწესებულებებმა უნდა მიიღონ უშუალო მონაწილეობა.

ყველა ზემოთ-დასახელებულ ამოცანებისა და მიზნების განხორციელების დროს არქივებმა და საარქივო ორგანოებმა, კერძოთ მომქმედ დაწესებულებათა არქივებმა, ფართედ უნდა გამოიყენონ სოციალისტურ აღმშენებლობის ის ფორმა და მეთოდი, რომელიც ამჟამად სტიქიურად მოედო თითქმის ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებს. მე ვგულისხმობ სოციალისტურ შეჯიბრებას. ჩვენ უკვე ჩაბმული ვართ ამ შეჯიბრებაში: საქართველოს ცენტრალურმა საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა უკვე დასდვეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება ადერბეიჯანთან. განზრახულია ასეთივე ხელშეკრულება დაიდვას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთანაც და სხვა. მაგრამ საჭიროა ამ შეჯიბრებაში ჩაებას ყველა საარქივო ორგანოები. მომქმედ დაწესებულებათა არქივებმაც ფართედ უნდა გამოიყენონ ეს მეთოდი. ამით საარქივო ორგანოები უფრო დაუახლოვდება მასას და გადაიქცევა ცოცხალ დაწესებულებად, რომელიც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და წინსვლის საქმეში. ამ ხაზზე წარმართული საარქივო საქმე შესძლებს იმ ამოცანების განხორციელებას, რომელსაც გვავალებს ფართედ გაშლილი სოციალისტური აღმშენებლობა.

ი. გედევანიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საარქივო საქმე პროვინციებში

„პირველად მისდგმა არქივების მნიშვნელობის შესახებ თრიოდე სიტყვის თქმა. თითქოს ეს მნიშვნელობა თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ყველას არ ესმის, ან თუ ესმის, აქედან არ გამოჰყავთ სათანადო დასკვნები.

საქმე იმაშია, რომ სულ უკანასკნელ დრომდე საარქივო საქმეს საქართველოში არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, ვისგანაც ეს საჭიროა იყო, ე. ი. მთავრობის ორგანოების მხრივ". (**ფ. მახარაძე**, არქივების მნიშვნელობის შესახებ"., საარქივო საქმე", წიგ. I, 1929 წ.).

დიახ, თითქოს თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს არქივების მნიშვნელობა, მაგრამ საუბედუროდ ეს ჯერ კიდევ ყველგან და ყველას მიერ შეგნებული არ არის. თუ მაგალითად ცენტრში, ტფილისში, საარქივო საქმე უკვე მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული და ამ დარგში თვალსაჩინო მიღწევები გვაქს, ესევე ვერ ითქმის ჩვენი პროვინციის შესახებ. პროვინციაში ბევრგან ჯერ კიდევ შეგნებული არა აქვთ საზოგადოდ არქივის მნიშვნელობა და კერძოდ კი ჩვენთვის, საბჭოთა ქვეყნისათვის. კარგად უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენთვის არქივს და საარქივო საქმეს არა მარტო წმინდა მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, არამედ აგრეთვე პოლიტიკური, პრაქტიკული და მასთან მეტად აქტუალური. დღეს როდესაც ჩვენში გაჩაღებულია მუშაობა მთელი ჩვენი მეურნეობის, მთელი ჩვენი ცხოვრების ძირითადი გარდაქმნისათვის, როდესაც ჩვენ ამ მუშაობაში ფართედ ვიყენებთ მეცნიერებას, როდესაც ჩვენი ერთ ერთი მთავარი ლოზუნგია წარსულის შეცდომების და უკულმართობის გამომჟღავნება დაძლევა, თავის თავად ცხადია თუ რა დიდი ღირებულება ეძლევა წარსულის დოკუმენტებს, მათ დაგროვებას, შენახვას და გამოყენებას. ჩვენი ტერიტორიის ახალი დარაიონება გულისხმობს არა მარტო მსხვილ ადმინისტრატიულ ერთეულების შექმნას, არამედ აგრეთვე ფართე, შედარებით დამოუკიდებელს და შემძლე ეკონომიური-სამეურნეო ერთეულებისა. რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები უკვე შეუდგნენ მხნედ სოციალისტურ აღმშენებლობას და ამ ამშენებლობისათვის საარქივო საქმის სათანადოდ მოწესრიგება და დაყენება როგორც მეტად მნიშნელოვან დამხმარე დარგისა უნდა იქნას დღის წესრიგში დასმული.

მიუხედავად საქ. ცენტრარქივის მრავალი ცდისა და თვით მთავრობის განკარგულებებისა უნდა ითქვას, რომ საარქივო საქმე ჩვენს პროვინციაში დღემდე არ არის წესიერად დაყენებული და სწორ კალაპოტში ჩამდგარი. აიხსნება ეს უმთავრესად იმით, რომ ადგილობრივ ხელისუფლების მუშაკებს საარქივო საქმე კვლავ „სასხვათაშორისო“ საქმედ მიაჩნიათ, ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ არქივის მნიშვნელობა და ამ საქმეს მეტი რომ არა ვსთქვათ მეტად გულგრილად ეკიდებიან. არამ თუ რაიონებში და მაზრებში თვით ავტონომიურ რესპუბლიკების მთავარი არქივები მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგალ. აჭარისტანის მთავარი არქივი ბათუმში. საქ. ცენტრარქივის ინსტრუქტორის გამოკვლევა ბათუმის არქივის მდგომარეობისა ასეთ სურათს გვაძლევს: არქივი მოთავსებულია სარდაფში, ბნელ ოთახებში, ელექტრონის ქსელი ვითომ გაყვანილია, მაგრამ იგი შეერთებული არ არის ელსადგურთან და ფაქტიურად არქივში განათება არ არის, ვენტილიაცია არ არსებობს და ისეთ, სინესტეა, რომ კედლები მუდამ სველია, წვიმა ჩამოდის და იატაკზე დაყრილი საარქივო მასალა სველდება და ფუჭდება, ქაღალდი ობით არის მოდებული. იმდენად დამძიმებული და მოშხამული ჰაერია, რომ მოკლე ხნითაც კი ყოფნა არქივის ბინაში შეუძლებელია, მუშაობა რომ ჯანმრთელობისათვის საშიშია. არქივში მომუშავე მხოლოდ ერთი თანამშრომელია, არქივს დამლაგებელიც კი არა ჰყავს. ასეთ მდგომარეობაშია ბათუმის არქივი და ეს მაშინ, როდესაც ამ არქივში ინახება მეტად ძვირფასი საარქივო მასალა, რომელიც შეიცავს ბათუმის ისტორიას, დაწყებული 1878 წლიდან ვიდრე ჩვენ დრომდე.

აფხაზეთის რესპუბლიკაში საარქივო სამართველო დაარსებულია მხოლოდ ამა წლის პირველ თებერვლიდან და მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში დაიწყო იქ საარქივო მასალის დაგროვება და კონცენტრაცია,—ეჭვს გარეშეა რომ ჩვენს პროვინციაში მრავალი საარქივო მასალა გაბნეულია სხვადასხვა დაწესებულებებში და კერძო პირთა შორის. ამ მასალას აღრიცხვა, დაგროვება და შესწავლა სჭირია. და ეს მოვალეობაა პროვინციაში საარქივო ბიუროებისა. რაც დრო გადის მოუვლელი და უპატრონოდ დარჩენილი საარქივო მასალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკარგება და იფლანგება და ამიტომ პირდაპირ დანაშაულებად უნდა ჩაითვალოს ამ საქმისადმი გულგრილობა და უყურადღებობა.

თუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ მეზობელ რესპუბლიკებში მაგ. რ. ს. ს. ფ. რ. და უ. ს. ს რ-ში პროვინციაში საარქივო საქმის წესიერად დაყენებას ჩვენ ვხედავთ იმ კანონმდებლობითი ზომებში, რომელსაც იქ ღებულობენ. მაგ. სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის ცირკულიარის თანახმად უნდა:

1. წინადადება მიეცეს ავტონომიურ რესპუბლიკების, საოლქო და საგუბერნიო აღმასკომებს, რომ არა უგვიანეს მომავალ საბიუჯეტო წლის დასაწყისიდანვე დაარსებულ იქნას საარქივო ბიუროები იმ რაიონებში და მაზრებში, სადაც ასეთები არ არის; დაუთმონ ყველა ადგილობრივ არქივებს, მშრალი და ცეცხლისაგან უზრუნველყოფილი ბინები სათანადო მოწყობილობით. შეიმუშაონ და არსებული წესით გაატარონ ადგილობრივ არქივების შტატები, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნას საკმაო რიცხვი მეცნიერ მუშაკებისა დაწყებული რაიონის საარქივო ბიუროდან. იგივე ცირკულიარი წინადადებას იძლევა რათა მიღებულ იქნას ზომები არქივში მომუშავეთა ხელფასის გადიდებისათვის.

საქართველოს ცენტრარქივმა ახალ დარაიონების გამოცხადების უმალ წამოაყენა საკითხი სარაიონო და სამაზრო საარქივო ბიუროების დაარსების შესახებ, შეიმუშავა შტატები და ხელფასის რაოდენობა ამ ბიუროებისათვის და მიმართა საქ. ფინსახკომს, რათა უკანასკნელს ადგილებისათვის მიეცა სათანადო დახმარება. მაგრამ ფინსახკომი იმ აზრისაა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტები იმდენად დატვირთულია, რომ მომავალ საბიუჯეტო წელიწადში საარქივო საქმის მდგომარეობა პროვინციაში ძველებური უნდა დარჩეს, როდესაც ფინსახკომი ასეთი აზრისა არის, გასაკვირველი აღარ იქნება ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის „რადიკალური“ ზომა. აი რას იწერება საქმის მწარმოებელი, იგივე, ადგილობრივ საარქივო ბიუროს გამგე: „...სამაზრო არქივის ბიურო გაუქმებულ იქნა 1 ოქტობრიდან. ბიუჯეტის დეფიციანობის გამო საამისო ხარჯები არ იქნა გათვალისწინებული მიუხედავად ჩემ მიერ მიღებული ღონის ძიებისა. ჩემი წინადადება იყო შეეტანათ ბიუჯეტში 50 მანეთი ერთი თანამშრომლის ასაყვანად, რომელიც გამუდმებით იმუშავებდა არქივის საქმეებზე, ვინაიდან გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ შეთაესებით ეს საქმე ვერ მოგვარდება როგორც საჭირო არის“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაზრის აღმასკომი კი როგორც ეტყობა „გამოცდილებამ“ უფრო „გადამჭრელ“ დასკვნამდე მიიყვანა. მან ერთის „დაკვრით“ სრულიად მოსპო მაზრის საარქივო ბიურო. აი როგორ უცქერიან პროვინციაში ზოგიერთი „მოღვაწენი“ საარქივო საქმეს. მათ ეს ზედმეტ ბარგად მიაჩნიათ. შეიძლება ზოგიერთი ასეთი მოღვაწის „საქმენი-საგმირონი“ მომავალი ისტორიკოსისათვის არც იმდენად იყოს საინტერესო და ამიტომ არც ცდილობენ ეს მოღვაწენი თავის მოღვაწეობის საბუთების დაგროვება შენახვას, მაგრამ ეს კიდევ მათ უფლებას არ აძლევს, რომ ფრიად მნიშვნელოვან კულტურულ საქმეს არავითარი ანგარიში არ გაუწიონ და ერთი კალმის მოსმით მოსპონ.

დროა ასეთ უკულმართ მდგომარეობას, ასეთ გულგრილობას და უყურადღებობას ბოლო მოეღოს. საჭიროა რადიკალური ღონისძიება ამ საქმეში, საჭიროა რომ ადგილობრივმა პასუხისმგებელ მუშაკებმა შეიგნოს, რომ საარქივო საქმე და მისთვის საჭიროა აპარატი უსათუოდ უნდა იქნას მიჩნეული როგორც აუცილებელი ნაწილი ადგილობრივ ხელისუფლების აპარატისა.

შ. ჩხეტია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საისტორიო მასალების აღწერათა და აღწერილობათა სისტემები.

აღწერათა და აღწერილობათა ერთიანი სისტემის შემოღებისათვის საქართველოში.

...„*Успехи истории в значительной степени зависят от усовершенствования общего инвентаря исторических документов*“.

1.

საკითხის დაყენებისათვის

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა შევხებოდით საკითხს საისტორიო მასალების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის შესახებ[1]. ამ საკითხთან უშუალოდ დაკავშირებულია საკითხი საისტორიო მასალების აღწერათა და აღწერილობათა შედგენის შესახებ, საკითხი, რომელიც არქივთმეცნიერებაში აგრეთვე ერთ-ერთ ძირითად საკითხთაგანად არის მიჩნეული.

ამ ორ საკითხს შორის კავშირი თეორიაში დამყარებულია, როგორც ეს ჩვეულებრივად არის ხოლმე, მათ შორის არსებულ პრაქტიკულ კავშირზე: არქივალიების კლასიფიკაციის პროცესი ჰგულისხმობს, როგორც ამ პროცესის ლოგიურ გაგრძელებასა და დამთავრებას, მათ აღწერასაც. წინაალმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ მოწესრიგებული და სისტემაში მოყვანილი არქივალიები აღწერილი არ იქნება, თვით ამ მოწესრიგებასა და სისტემაში მოყვანას მნიშვნელობა ეკარგება. კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის მთავარი დანიშნულება კი, როგორც ვიცით, იმაში მდგომარეობს, რომ არქივს გაუადვილდეს საარქივო მასალების პრაქტიკულ და მეცნიერულ მიზნით გამოყენება: ამ გზით არქივმა შესაძლებელი უნდა გახადოს საარქივო მასალების მი-

[1] იხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, არქივალიების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპები („სარქივო საქმე“, I, გვ. 37).

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედვით ცნობების მოძებნა და ამ მასალების მკვლევართათვის მიწოდება. ეს დანიშნულება გაუმართლებელი რჩება, თუ საარქივო მასალა არ იქნება აღწერილი, რადგან საარქივო მასალით სარგებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მასალა დიდ რაოდენობას წარმოადგენს, რაც უნდა მოწესრიგებული არ იყოს, თუ აღწერილი არ არის, შეუძლებელია. „მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, ამბობს უკრაინელი არქივთმეცნიერი პროფ. ვ. ვერეტენიკოვი, რომ ესა თუ ის არქივი მოწყობილია სამეცნიერო მუშაობისა და საარქივო მასალების პრაქტიკულად გამოყენებისათვის, როდესაც მას ექნება სათანადოდ შედგენილი აღწერა. საარქივო მასალა, თუ ის მოკლედ მაინც აღწერილი არ არის, წარმოადგენს მკვდარ სიმდიდრეს, რომელიც არავისთვის ხელმისაწვდომი არ არის. კარგად დაყენებული და მეცნიერულად მოწყობილი არქივი არ შეიძლება ნამდვილად იწოდოს არქივად, თუ ის ინტენსიურად არ აწარმოებს თავის მასალების აღწერას მეცნიერულ საფუძველზე“-ო[1]. და მართლაც, სრულიად შეუწყნარებლად და დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, როდესაც არქივს არ მოეპოება დაცულ საარქივო მასალების აღწერა, ვინაიდან ეს უდრის იმ მდგომარეობას, როდესაც შეუძლებელია ამავე არქივში დაცულ რომელიმე საბუთის არსებობის ცოდნა და, მაშასადამე, გამოყენებაც, თუ არა შემთხვევით.

მაგრამ საარქივო აღწერებს, გარდა აღნიშნულ პრაქტიკულ და მეცნიერულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, კიდევ სხვა დანიშნულებაც აქვთ. ეს დანიშნულება აღწერების უფრო პირდაპირი დანიშნულებაა და მდგომარეობს იმაში, რომ აღწერების საშუალებით შესაძლებელი ხდება საარქივო მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა არქივში. ეს გარემოება იმდენად ცხადი და უდავოა, რომ მას მტკიცება არ სჭირდება: თუ საარქივო მასალები აღრიცხული და აღწერილი არ არის, არქივს არ შეუძლია ამ მასალების დაკარგვის გამოაშკარავება და, მაშასადამე, დაცვის მხრივ მათი უზრუნველყოფაც. ხოლო არქივს, რომელსაც ამ მთავარი და პირდაპირი მოვალეობის შესრულება არ შეუძლია (სწორედ ასეთი მოვალეობაა საარქივო მასალების დაცვა-შენახვა), თავისდათავად ცხადია, არ შეუძლია სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც. ამ მხრივ, როგორც რუსი არქივთმეცნიერი პროფ. ნ. კალაჩოვიც აღნიშნავს, საარქივო აღწერების შედგენა არქივისა და არქივისტის პირველ და

[1] Примірні описи, 1928 წ. ხარკოვი. იხ. პროფ. ვ. ვერეტენიკოვის შესავალი წერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარ მოვალეობად უნდა ჩაითვალოს[1]. ამიტომ სრულიად მართალია უკრაინელი არქივთმეცნიერი პროფ. ვ. რომანოვსკი, რომელიც ამობს შემდეგს: „არქივი, რომელიც არ ადგენს შენახულ საარქივო მასალების აღწერას, არ ასრულებს თავის ძირითად ამოცანას—საარქივო მასალების დაცვას“-ო[2].

ნათქვამიდან კიდევ უფრო მეტად უნდა იყოს ცხადი ის გარემოება, თუ რატომ ითვლება საისტორიო მასალათა აღწერების შედგენის საკითხი, როგორც ვამბობდით, ერთ-ერთ აქტუალურ საკითხთაგანად არქივთმეცნიერებაში და რატომ იწვევს იგი განსაკუთრებულ ინტერესს საარქივო თეორიაში; სწორედ იმიტომ, რომ საარქივო აღწერების აქტუალობა ყოველდღიურ საარქივო პრაქტიკაში და ამასთან დაკავშირებით ბუნებრივი მისწრაფება აღწერების უფრო რაციონალურ და სრულქმნილ ფორმის დადგენისა, თავისდათავად ჰბადებს ინტერესს ამ საკითხისადმი საარქივო თეორიაშიც, რომელიც, როგორც ვიცით, მოწოდებულია ხელი შეუწყოს საარქივო ტეხნიკის პრობლემების სწორად დაყენებასა და გადაჭრას.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ საკითხის პრაქტიკულ თუ თეორიულ შესწავლას საკმაოდ მდიდარი წარსული და ხანგრძლივი ისტორია აქვს. შორეულ წარსულს (უძველეს ხანასა და საშუალო საუკუნეებს), რომლის გამოცდილება ამ ისტორიისათვის საკმაო მასალას შეგვძენდა, თავი რომ დავანებოთ და მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეების მიღწევები მივიღოთ მხედველობაში, შეიძლება დასახელებულ იქნეს მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვან და საყურადღებო შრომებისა, რომლებიც წარმოადგენენ ამ საკითხის თეორიულ ან პრაქტიკულ გადაჭრის სერიოზულ ცდას. მრავალი თაობა ცნობილ არქივთმეცნიერთა და არქივისტთა გასაოცარი თავგამოდებითა და ენერგით, ხან სისტემატიურად, ხან კიდევ სპორადიულად, ხელსაყრელ პირობებისდა მიხედვით, ჰმუშაობდა ამ საკითხზე: ზოგი მათგანი თეორიულად აყენებდა ამ საკითხს ⁄ ჰლამობდა აღწერების საუკეთესო სისტემის დადგენას, ზოგიც მის პრაქტიკულ განხორციელებას ცდილობდა შერჩეული ფორმითა და მეთოდით. ასეთ საარქივო მოღვაწეთა რიცხვი, ვიმეორებთ, მრავალია და თავისუფლად შეიძლებოდა მთელ რიგ უკანასკნელ დროის ფრანგ, გერმანელ, რუს და სხვა ქვეყნის ისეთ

[1] Н. Калачев, Архивы, их государстенное значение, состав и устройство („Сборник государст. знаний“, IV).

[2] В. Романовський, Нариси з архівознавства, 1927 წ., ხარკოვი, გვ. 141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივისტთა დასახელება, რომლებმაც ამ საკითხის შესწავლისა და მოგვარების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს და მდიდარი გამოცდილება დაგვიტოვეს.

მაგრამ, ასეთი ხანგრძლივი ისტორიისა და ფართე ინტერესისდა მიუხედავად, ეს საკითხი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სავსებით სწორად და რადიკალურად გადაჭრილად ვერ ჩაითვლება. არქივთმეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ისეთი სისტემა და მეთოდი საარქივო აღწერებისა, რომელიც მისაღები და სავალდებულო იყოს, ძირითად დებულებებში მაინც, ყველასათვის. კიდევ უფრო მეტი, საერთოდ არქივთმეცნიერების ის დარგი, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის, არ არის სათანადოდ დამუშავებული და შესწავლილი. „საკითხი საარქივო მასალების აღწერის საშუალებათა და მეთოდთა შესახებ, ამბობს სრულიად სამართლიანად პროფ. ვ. ვერეტენიკოვი, არქივთმეცნიერებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამუშავებულად. არავითარი მტკიცედ დადგენილი და საყოველთაოდ მიღებული დებულებები აქ არ არის; არავითარი საერთოდ მიღებული წესები აღწერისა, ან ნიმუშები და ფორმები ასეთი აღწერისა არ მოიპოვება სპეციალურ ლიტერატურაშიც“-ო[1]. მართლაც, იშვიათია ისეთი არქივი ან საარქივო დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს თქვას, რომ ეს საკითხი მას გადაჭრილი აქვს რაციონალურად; იშვიათია აგრეთვე ისეთი ქვეყანა, სადაც ამ საკითხის შესახები თეორია მტკიცედ იყოს შეფარდებული მის პრაქტიკულ განხორციელებასთან[2].

ასეთი ხარვეზი არქივთმეცნიერებასა და საარქივო პრაქტიკაში აიხსნება ერთის მხრივ იმ გარემოებით, რომ საისტორიო მასალების აღწერათა და აღწერილობათა შედგენა თავისდათავად საკმაოდ რთული და ძნელი ამოცანაა, რომლის შესრულება არქივისტისაგან მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს, მაგრამ მეორეს მხრივ იმითაც, რომ აღწერის ობიექტი—საარქივო მასალა—ყოველთვის და ყოველგან ერთნაირი არ არის და, მაშასადამე, ერთნაირ მიდგომას არ მოითხოვს. საარქივო აღწერების შედგენა „არც ისე ადვილი საქმეა, როგორც იგი შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს პირველი შეხედვით, ამბობს პროფ. ნ. კალაჩოვი, მხოლოდ სპეციალისტს, რომელიც

---

[1] **Примірні описи**, პროფ. ვ. ვერეტენიკოვის შესავალი წერილი.

[2] ამ საკითხის გადაუჭრელობას ჰმოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ საარქივო აღწერების სისტემაზე დღესაც გრძელდება ინტენსიური მუშაობა და დღესაც საარქივო ავტორიტეტები აშკარად აღიარებენ სპეციალურ საარქივო ლიტერატურაში არსებულ სისტემების ნაკლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძვლიანად იცნობს თავის საგანს, შეუძლია რამოდენიმე სიტყვაში ცხადად და ზუსტად გამოარკვიოს, როგორც სახელწოდება, ისე არსებითი შინაარსი ხელნაწერისა“-ო [1]. სხვა ავტორიტეტებიც არ უარყოფენ, ან უკეთ ვერ უარჰყოფენ აღწერების შესრულების სიძნელეს, რომელიც გამომდინარეობს საარქივო მასალების ხასიათის სხვადასხვაობისაგან. [2]

და მართლაც თავისდათავად ცხადია, რომ აღწერის ხასიათი და მეთოდი სავსებითი დამოკიდებული უნდა იყოს საარქივო მასალის ხასიათზე: ძველი საბუთი (სიგელ-გუჯარი) და ახალი საარქივო ერთეული („საქმე“), ან კიდევ მნიშვნელოვანი და ნაკლებ მნიშვნელოვანი საბუთი ერთნაირ მიდგომასა და ერთნაირ აღწერას არ მოითხოვს: ერთია ერთი კატეგორიის მასალების აღწერის ფორმა და სახე, ხოლო მეორეა მეორე კატეგორიის მასალების ფიქსაციის წესი და მეთოდი. საქმე იმაშია, რომ მდივან-მწიგნობრობა და კანცელარული საქმისწარმოება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვანაირი იყო; ამ მდივან-მწიგნობრობისა და საქმისწარმოების შედეგად წარმოშობილი წერილობითი საბუთებიც, ცხადია, სხვადასხვანაირია; და ყველა ასეთ შემთხვევაში რაიმე გარკვეული, ყველასათვის და ყოველ შემთხვევისათვის მისაღებ და სავალდებულო რეცეპტის შემუშავება, საარქივო აღწერების კონკრეტი ფორმისა და ნიმუშების სახით, შეუძლებლად და თან არა მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს: არქივთმეცნიერებას არ შეუძლია და არც არის საჭირო ყველა ქვეყნისა და ყველა დროის საარქივო მასალების აღწერების ფორმები და ნიმუშები მიაწოდოს არქივისტს მზამზარეულად. შეუძლებელია აღწერის ერთი ისეთი ფორმის დადგენა, რომელიც ერთნაირად გამოსადეგი იყოს ქართულ სიგელ-გუჯრებისა ან „საქმეებისა“, გერმანულ Urkunden-ისა ან Acten-ისა, ფრანგულ chartes-ისა ან dossiers-სა და მრავალ სხვა სახის საარქივო ერთეულების აღსაწერად. შეუძლებელია იმიტომ, რომ ეს დასახელებული ერთეულები, ვითარცა აღწერის ობიექტები, როგორც ვთქვით, არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, მაშასადამე, ფიქსაციის დროს სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვენ.

მეორეს მხრივ აღწერების ხასიათი და მეთოდი დამოკიდებული უნდა იყოს იმაზედაც, თუ რა მიზანი აქვს ამათუიმ აღწერას.

---

[1] Н. Калачев. Архивы...

[2] მაგალითად, პროფ. ვ. რომახოვს'კი (იხ. ზემოდ დასახელებული მისი შრომა), პროფ. ა. ვორონოვი (იხ. მისი “Архивоведение“, გვ. 29) პროფ. დ. სამოკვასოვი (იხ. მისი „Архивное дело в России“) და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო აღწერას შეიძლება ორი მთავარი მიზანი ჰქონდეს: ერთის მხრივ შეიძლება აღწერის მიზანს, როგორც ვთქვით, საბუთების აღრიცხვა და დაცვა შეადგენდეს, ხოლო მეორეს მხრივ შეიძლება მის დანიშნულებას მკვლევართათვის დახმარების აღმოჩენა შეადგენდეს. აღწერა, რომლის მიზანია მხოლოდ საბუთების აღრიცხვა და დაცვა, ცხადია, უნდა განსხვავდებოდეს იმ აღწერისაგან, რომლის დანიშნულებას მკვლევარის ხელში დამხმარე იარაღის როლის შესრულება შეადგენს. ეს უკანასკნელიც თავის მხრივ შეიძლება მრავალნაირი იყოს (მოკლე, ვრცელი და სხვა) იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მოკლედ და სხარტად, ან კიდევ ვრცლად და დეტალურად იქნება აღწერილი ესა თუ ის მომენტი აღსაწერი საბუთისა. ერთი სიტყვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ აღწერების მრავალი სახეები და ვარიანტები იმ მიზანთან დაკავშირებით, რომელსაც დაისახავს ესა თუ ის აღწერა. ასე რომ ამ მხრივაც აღწერების კონკრეტი ტიპებისა და ფორმების დადგენის საკითხში არქივთმეცნიერებისათვის ერთგვარი დაბრკოლება და სიძნელე არსებობს: ყოველი მიზნისა და დანიშნულებისათვის გარკვეული, კონკრეტი სახის აღწერის წინასწარ დადგენა, შეუძლებელი თუ არა, საკმაოდ ძნელი საქმეა.

მაგრამ საკითხი ასე არ დგას და არც შეიძლება ასე იდგეს. თუ ასე დაისმება საკითხი, შეიძლება წინდაწინ ითქვას, რომ იგი კვლავინდებურად გადაუჭრელი დარჩება, ვინაიდან აღწერის ისეთ ნიმუშების დადგენის მიზნად დასახვა, რომელიც გამოსადეგი იყოს ყველა ჩვენ მიერ ზემოდ დასახელებულ პირობებისა და შემთხვევებისათვის, როგორც ვთქვით, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს და მიუღწეველიც დარჩება. ამას გარდა ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ის, რომ აღწერის დანიშნულებისა და მასალების ძირითად კატეგორიებს შორის არსებულ განსხვავების გარეშეც, საარქივო საბუთის თვითეული კონკრეტი სახე, როგორც სამართლიანად ამბობს პროფ. ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი, მოითხოვს აღწერის განსაკუთრებულ მეთოდს და მისი ღირსება დამოკიდებულია აღმწერის ერუდიციასა და ტალანტზედაც [1]. ამიტომ ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ აღწერათა და აღწერილობათა ძირითად პრინციპების დადგენაზე, ან აღწერის ისეთი სისტემის შემუშავებაზე, რომელიც კონკრეტ სინამდვილესა და პირობებს, კონკრეტ ობიექტსაც ჰგულისხმობს.

მაშასადამე, აღწერის მიზანი და დანიშნულება ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ აღსაწერი საარქივო მასალის ხასიათი და თა-

[1] А. Воронов, Архивоведение, გვ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისებურება—აი ის ორი მთავარი გამოსავალი წერტილები, რომლებიც აუცილებელია აღწერათა და აღწერილობათა საკითხის მართებულად გადასაჭრელად.

სწორედ ასეთი თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ ჩვენც ამ საგანს, როდესაც ვსვამთ საკითხს საქართველოში არსებულ საისტორიო მასალების აღწერის შესახებ: ეს საკითხი შეიძლება შესწავლილი და გადაჭრილი იყოს მხოლოდ საქართველოში არსებულ პირობებსა და სინამდვილესთან დაკავშირებით, ხოლო ამ პირობებისა და სინამდვილის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ: ქართული[1] საისტორიო მასალების თავისებური ხასიათი, ამ მასალებზე არსებული პრაქტიკული და მეცნიერული მოთხოვნილება, საბუთების მდგომარეობა დამუშავების მხრივ და სხვა. ყველა ამ პირობებთან მჭიდროდ და უშუალოდ დაკავშირებულია აღწერის იმ სისტემის ცხოვრებაში გატარება, რომლის რაციონალობა აღიარებული იქნება თეორიულად. ამიტომ ბუნებრივია, ჩვენ მიერ ამორჩეული აღწერის სისტემაც სავსებით შეგუებული უნდა იყოს ამ პირობებთან.

ვცადოთ ამ პირობების გათვალისწინებით საარქივო აღწერათა ისეთი სისტემის წამოყენება, რომელიც საქართველოს სინამდვილეში ყველაზე უფრო მისაღები იქნება. მეორეს მხრივ ვცადოთ ისეთი ზოგადი დებულებებისა და წესების დადგენა, რომელნიც საერთოდ აღწერისა და აღწერილობათა შედგენის დროს სახელმძღვანელო პრინციპებად გამოდგებიან.

დასახულ ამ ორ მიზნისათვის აქ შეიძლებოდა წინასწარ დამუშავებული ერთი რომელიმე სისტემა და საერთო დებულებებიც წამოგვეყენებია, საჭირო კომენტარიებისა და ახსნა-განმარტებების დართვით, და მაშინ საკითხის მნიშვნელობა პრაქტიკული ინტერესით შემოიფარგლებოდა. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს საკითხის სათანადოდ შესწავლისათვის საკმარისი არ არის: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული აღწერათა სისტემა, თავის ძირითად თვისებებში, არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე სრულიად ახალს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს წარსულ პრაქტიკასა და არსებულ სისტემებთან, რის გამოც ჩვენი სისტემის ღირსებისა თუ ნაკლის გამოსარკვევად აუცილებელია ამ ძველი პრაქტიკისა და არსებული სისტემების გათვალისწინება; ხოლო მეორეს მხრივ იმიტომ, რომ აღწერათა სისტემის საკითხის ვიწროდ დაყენე-

[1] ვგულისხმობთ არა მარტო ქართულ ენაზე დაწერილ მასალებს, არამედ საერთოდ საქართველოს არქივთსაცავებში დაცულ ყველა კატეგორიის მასალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა და მის ისტორიულ მხარის უგულებელყოფა საკითხის ჯეროვანად შესწავლასა და მომავალშიც ამ დარგში მოსალოდნელ გაუმჯობესების შეტანას ხელს ვერ შეუწყობდა. ამის გამო ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია საკითხის განხილვა პრაქტიკულ წინადადების ვიწრო ფარგალს გავაცილოთ და ოდნავ ფართოდ განვიხილოთ. ამ საკითხის ასე ფართოდ შესწავლა განსაკუთრებით აუცილებელია საქართველოში, რადგან იგი, ქართულ არქივთმეცნიერებისა და ისტორიოგრაფიის ახალგაზრდობის გამო, ჩვენში ჯერ-ჯერობით განსაკუთრებული შესწავლის საგანი არც ყოფილა.

ნათქვამის გამო, ვიდრე დასმულ საკითხის შესახებ ჩვენს თვალსაზრისს გამოვსთქვამდეთ და ჩვენი სისტემის შესახებ ვილაპარაკებდეთ, იძულებული ვართ შევეხოთ საარქივო აღწერათა და აღწერილობათა დარგში სხვადასხვა ქვეყნებში—დასავლეთ ევროპასა და საბჭოთა ქვეყნებში—წლების სიგრძეზე მოპოებულ მიღწევებსა და პრაქტიკას. მაგრამ ჩვენ შევეხებით მხოლოდ უკანასკნელ დროის პრაქტიკას და ისიც მხოლოდ მთავარ ხაზებში, ვინაიდან ეს პრაქტიკა იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ მისი ცოტად თუ ბევრად ვრცლად გაშუქება აქ ძალიან შორს წაგვიყვანდა და ამ ჟამად ჩვენ მიერ დასახულ მიზნისათვისაც აუცილებელი არ არის[1].

დავიწყოთ ძველი რუსეთიდან, ხოლო შემდეგ გადავიდეთ საბჭოთა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე და ბოლოს შევეხოთ დასავლეთ ევროპის თანამედროვე პრაქტიკას.

---

[1] საარქივო აღწერათა პრაქტიკის დასაწყისი ჩვენ უნდა ვეძიოთ შორეულ წარსულში, როდესაც არქივები პირველად გაჩნდენ და მათი ფუნქციებიც ასე თუ ისე ჩამოყალიბდენ: როგორც ვიცით, ძველს აღმოსავლეთში უკვე იცოდნენ საარქივო ინვენტარების შედგენა, ძველ კლასიკურ ქვეყნებში, საბერძნეთსა და რომში, არქივების გამოცდილება ამ დარგში კიდევ უფრო წავიდა წინ; ხოლო საშუალო საუკუნეების ევროპამ ბუნებრივად გაუსწრო ძველ ქვეყნების საარქივო პრაქტიკას. ერთი სიტყვით, საუკუნეთა სიგრძეზე საარქივო აღწერათა სისტემა, ისევე როგორც თვით არქივი, თანდათანობით იცვლებოდა და ვითარდებოდა: საარქივო ტეხნიკა საერთოდ თანდათანობით წინ მიდიოდა და საარქივო აღწერების მეთოდიც ამასთან დაკავშირებით უმჯობესდებოდა. ყველა ამ ცვლილებების გათვალისწინება და საკითხის ევოლიუციის, თუნდაც მთავარ ხაზებში, შესწავლა მეტად სასარგებლო და საინტერესო იქნებოდა; მაგრამ ადგილის ეკონომიის მიზნით და აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს, როგორც ვთქვით, საკითხის გადასაჭრელად აუცილებელი არ არის, ჩვენ იძულებული ვართ ამ ჟამად ამას გვერდი აუხვიოთ და მხოლოდ უკანასკნელ დროის საქმის ვითარებას შევეხოთ. ამიტომ ბუნებრივია, ჩვენს მიმოხილვას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზია იმაზე, რომ იგი საკითხის ისტორიულ მხარეს ამოსწურავს ოდნავადაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

ალწერათა და ალწერილობათა სისტემები ძველს რუსეთში

ძველს რუსეთში საარქივო ალწერათა და ალწერილობათა შედგენის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ გასულ საუკუნის 70—80-იან წლებში, როდესაც დასავლეთ ევროპის საარქივო რეფორმების ზეგავლენით რუსეთის ცენტრალურ ადგილებში ანალოგიურ რეფორმებისათვის მზადება დაიწყო. ამ დროის ცნობილმა რუს არქეოლოგმა და არქივისტმა პროფ. ნ. კალაჩოვმა პირველად სცადა ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და საარქივო ალწერათა სისტემის შესახებ თავისი მოსაზრებების წამოყენება. „სახელმწიფო ცოდნათა კრებულში“ (Сборник государственных знаний), შემდეგ „არქეოლოგიურ ინსტიტუტის კრებულში“ (Сборник археологическаго института) და, ბოლოს, მის რედაქტორობით გამოსულ „იუსტიციის სამინისტროს მოსკოვის არქივის ალწერილობაში“ (Описание документов и бумаг, хранящихся в Московском архиве Министерства Юстиции) მან ვრცელი ტრაქტატები მიუძღვნა ამ საკითხს და მრავალი საყურადღებო მოსაზრებები გამოსთქვა იმის შესახებ, თუ როგორი მეთოდით უნდა ყოფილიყო ალწერილი რუსული საისტორიო მასალები საერთოდ და კერძოდ იუსტიციის სამინისტროს მოსკოვის არქივში დაცული საბუთები. თავის ტრაქტატებში ნ. კალაჩოვი სხვათაშორის ცდილობდა ერთგვარი კლასიფიკაცია მოეხდინა მის თანამედროვე არქივების პრაქტიკაში არსებულ საარქივო ალწერებისა და გარკვეულ პრინციპებზე დამყარებული ერთი რაციონალური სისტემა წამოეყენებია.

პროფ. ნ. კალაჩოვი არჩევდა სამი ტიპის სარქივო ალწერას: 1) საბუთების რეესტრს, რომელიც წარმოადგენდა საბუთების შინარსის მეტად შემოკლებულ ფიქსაციას[1], 2) ასეთივე რეესტრს ალსაწერი საბუთების უფრო მნიშვნელოვანი და უფრო საინტერესო მომენტების მეტის განვრცელებით[2] და 3) ისეთ ალწერას, რომელიც

---

[1] ასეთ ალწერად მიაჩნდა ნ. კალაჩოვს, მაგალითად, არქეოგრაფ სტროევის მიერ შედგენილი ალწერები გრაფ. ტოლსტოის ბიბილიოთეკის ხელნაწერებისათვის.

[2] ამ ტიპის ალწერად სთვლიდა ნ. კალაჩოვი, მაგალითად, რუმიანცევის მუზეუმის ხელნაწერთა ალწერილობას, რომელიც შესრულებული იყო ცნობილ ოსტროკოვის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენდა სერიებად დანაწილებულ მასალების დახასიათებას, ცალ-ცალკე სერიების მიხედვით[1].

ამ აღწერებიდან ყველაზე მეტ მნიშვნელობას ნ. კალაჩოვი პირველ ტიპის აღწერას აძლევდა. ამგვარი აღწერა, ვითარცა აუცილებელი ინვენტარი, მას საჭიროდ მიაჩნდა ყოველ არქივისათვის. მესამე ტიპის აღწერა, ვითარცა სამეცნიერო აღწერა, მისი აზრით, ფართე დახმარებას გაუწევდა მკვლევარს, მაგრამ იგი სამაგიეროდ არ იძლეოდა სრულს წარმოდგენას თვითეულ ხელნაწერის შესახებ ცალ-ცალკე. ხოლო მეორე ტიპის აღწერას ის იჭვის ქვეშ აყენებდა იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში „მნიშვნელოვან“ და „საინტერესო“ ადგილების ამორჩევის დროს საბუთის შინარსიდან შეიძლებოდა ბევრ „თვითნებობას“ ჰქონოდა ადგილი იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეხედავდა საბუთს არქივისტი.

ამ აღწერებიდან, ამბობს პროფ. ნ. კალაჩოვი, „პირველი, აშკარაა, უფრო აღწევს მიზანს: ის იძლევა მოკლე, მაგრამ ზუსტ წარმოდგენას თვითეულ საბუთის შესახებ. მაგრამ, რადგან თვითეულ საკავში ხელნაწერთა რიცხვი ჩვეულებრივად მეტად მრავალია, ამიტომ ასეთი აღწერა ცნობების მოძებნას ნაკლებად გაადვილებს, ვინაიდან იმისათვის, რომ მოიძებნოს საჭირო საბუთი, ზოგჯერ კიდევ მასში დაცული ცნობა, საჭირო იქნება არა მარტო ყველა აღწერების გადათვალიერება,... არამედ ხშირად თვით აქტების გადაკითხვაც კი, რათა უფრო გასაგები გახდეს მათი შინარსი“-ო[2].

მეორე აღწერა, განაგრძობს ის, რა თქმა უნდა, „უფრო დააკმაყოფილებს მკვლევარს; მაგრამ, რადგან აღნიშვნა იმისი, თუ რა არის საბუთში მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანი, სავსებით დამოკიდებულია აღწერის შემდგენელის შეხედულებაზე, ამიტომ ადვილად შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ მას მხედველობიდან გამორჩეს ის, რაც სხვა მიმართულებისა და შეხედულების მკვლევარისათვის არა ნაკლებ საყურადღებო და მნიშვნელოვანია“-ო[3].

მესამე აღწერა, განმარტავს ნ. კალაჩოვი უკანასკნელ ტიპის აღწერას, ცხადია, „მკვლევარისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია. აღსაწერ მასალების დანაწილება ჯგუფებად და თვითეულ ჯგუფის შინარსის საკმაო დაწვრილებითი მოყვანა იძლევა ზუსტ წარმოდგე-

---

[1] ასეთ აღწერის მაგალითად ნ. კალაჩოვი ასახელებდა პეტერბურგის არქეოგრაფიულ კომისიაში დაცულ კუნგურის აქტების აღწერას და სინოდის არქივის აღწერილობას (1768 წელს გამოცემულს).

[2] Описание документов и бумаг Московскаго архива М. Ю. I, 1869 წ. შესავალი წერილი, გვ. III—V.

[3] Ibid. გვ. IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას ამ მასალებში დაცულ კანონების შესახებ და მიუთითებს საჭირო ცნობის მძებნელს პირდაპირ იმ საბუთზე, რომელსაც უნდა მიმართოს მან. მაგრამ ეს აღწერა, პირიქით, არ ვარგა იმ მხრივ, რომ ის არ იძლევა სრულ ანგარიშს თვითეულ ხელნაწერის შესახებ ცალ-ცალკე"-ო[1].

ამიტომ, დაასკვნის ნ. კ ა ლ ა ჩ ო ვ ი, მხოლოდ შეერთება პირველ და მესამე სახის აღწერებისა იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგებს, როგორც პრაქტიკულ მიზნებისათვის, ისე აგრეთვე სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვისაც. პირველი აღწერა, ვითარცა ინვენტარი, უნდა ინახებოდეს არქივში საქმეებთან უშუალო ცნობების მოსაძიებლად, ხოლო მესამე აღწერა, ვითარცა სისტემატიური და სამეცნიერო აღწერა, უნდა გამოქვეყნდესო.

ნ. კ ა ლ ა ჩ ო ვ ს აუცილებლად მიაჩნდა თვითეულ სახის აღწერას დართული ჰქონოდა მაჩვენებლები: 1) საკუთარ სახელების, ე. ი. გვარების და სახელების, 2) გეოგრაფიულ სახელების და 3) საგნობრივი[2].

ნ. კ ა ლ ა ჩ ო ვ მ ა თავისი თეორია აღწერათა სისტემის შესახებ პრაქტიკულადაც გამოიყენა: იუსტიციის სამინისტროს არქივში, სადაც ის წლების განმავლობაში მმართველად იმყოფებოდა, საქმეების აღწერა სწორედ ამ სისტემით სწარმოებდა. კერძოდ ამ სისტემაზე აღწერილია მისი რედაქტორობით გამოსული ცნობილი „Описание документов и дел Московскаго архива М. Ю."-ის ოთხი (I—IV) ტომი. მის სიკვდილის შემდეგაც საარქივო აღწერების შედგენის დროს მრავალი საარქივო დაწესებულებები მიმართავდენ იმ მეთოდს, რომელსაც იცავდა განსვენებული ნ. კ ა ლ ა ჩ ო ვ ი და ფართოდ იყენებდენ მას პრაქტიკულად. მაგალითად, ნ. კ ა ლ ა ჩ ო ვ ი ს მესამე ტიპის აღწერამ მეტად ფართო გამოყენება ჰპოვა ე. წ. საარქივო „მიმოხილვებში" (Обозрения), რომლებიც შემდეგში შემოღებული იყო იუსტიციის სამინისტროს მოსკოვის არქივში[3], „სენატის არქივის აღწერა"-ში[4] და ნაწილობრივ სხვა გამოქვეყნებულ „აღწერებშიც".

ყველა ამ ტიპის აღწერები უაღრესად სამეცნიერო აღწერებს წარმოადგენენ და, ზოგიერთი ვარიანტებით, შემდეგ მთავარ ელემენტებს შეიცავენ: ჯერ მოცემულია მთლიანად საარქივო ფონდების

---

[1] Описание докум. и бум. Моск. А. М. Ю. 1, 1860, შესავალი წერილი, გვ. V.

[2] Ibid გვ. V.

[3] ასეთ „მიმოხილვას" წარმოადგნს, მაგალითად, არქივისტი ო გ ლ ო ბ ლ ი ნ ი ს მიერ შედგენილი ცნობილი „Обозрение книг и столбцов Сибирскаго приказа" და სხვა.

[4] Памятная книжка Сенатскаго архива, Петербург, 1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია, შემდეგ—ზოგიერთი ცნობები იმ დაწესებულებათა ისტორიის შესახებ, რომელთა ფონდებიც აღიწერება და ბოლოს თვით საარქივო მასალების აღწერილობა. საარქივო მასალების აღწერა შესრულებულია თვითეულ ცალკე ჯგუფის მიხედვით. ამრიგად აღწერის წესი ასეთია: უპირველესად ყოვლისა აღიწერება საარქივო ფონდებისა და ამ ფონდების შემქმნელ დაწესებულებათა ისტორია; შემდეგ, მთელი მასალა დანაწილდება ფონდებად, ხოლო თვითეული ფონდი მასალების რამოდენიმე ჯგუფებად; ბოლოს თვითეული ჯგუფი მასალებისა დახასიათდება მთავარი მომენტების ვრცლად წარმოდგენით[1].

ნ. კალაჩოვის შემდეგ პროფ. დ. სამოკვასოვმა სცადა ამ საკითხში მეტი გარკვეულობის შეტანა და პრაქტიკული თვალსაზრისით ნ. კალაჩოვის თვალსაზრისისაგან რამოდენიმედ განსხვავებულ პრინციპების წამოყენება.

დ. სამოკვასოვი ამ საკითხის დამუშავებას შეუდგა იმ დროს, როდესაც ნ. კალაჩოვის მიერ მოწონებული მესამე ტიპის აღწერა და ამ ტიპის აღწერის შემდეგდროინდელი ვარიანტები, ე. წ. „მიმოხილვა“ და სხვა მსგავსი აღწერილობები საარქივო პრაქტიკაში უკვე საკმაოდ მოშინაურებული იყვენ. ამ დროს ჩვენ მიერ ზემოდ დასახელებული „იუსტიციის სამინისტროს მოსკოვის არქივის აღწერილობისა“ და „მიმოხილვების“ რამოდენიმე ტომები უკვე გამოსული იყო და ამ ტიპის აღწერას მრავალი მომხრეებიცა ჰყავდა.

დ. სამოკვასოვი არ უარჰყოფდა ასეთი აღწერის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას და მის, ვითარცა მკვლევარის ხელში დამხმარე იარაღის, მაღალ ღირსებას. მაგრამ არსებულ პირობებში, როდესაც საარქივო მასალები უბრალოდ აღრიცხულ-აღწერილი არ იყვნენ და როდესაც არქივებს მაღალ კვალიფიკაციის თანამშრომლები სრულად ან ნაკლებად გააჩნდათ, მას არქივის პირველ მოვალეობად უბრალო და შედარებით მარტივ საინვენტარო აღწერის შედგენა მიაჩნდა, ისეთ საინვენტარო აღწერის, რომელიც უპირველესად ყოვლისა ცნობაში მოიყვანდა არსებულ საარქივო მასალებს და ამავე დროს ერთგვარ დახმარებას გაუწევდა მკვლევართაც. სამეცნიერო აღწერები კი, თუნდაც ნ. კალაჩოვის სამეცნიეროაღწერების მსგავსი, დ. სამოკვასოვს მხოლოდ მომავალ საქმედ მიაჩნდა.

„არქივს[2] სავსებით სასურველად მიაჩნია მომავალში სამეცნიერო აღწერების შედგენა, ამბობდა დ. სამოკვასოვი, როდესაც მან

[1] Примірні описи, პროფ. ვ. ვერეტენიკოვის შესავალი წერილი.

[2] იგულისხმება იუსტიციის სამინისტრო მოსკოვის არქივი (აწინდელი Древлехранилище), რომლის მართველად იყო ამ დროს პროფ. დ. სამოკვასოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზრახა „აღწერილობების“ ნაცვლად საინვენტარო აღწერებზე გადასვლა იუსტიციის სამინისტროს არქივში, მაგრამ არქივი იძულებულია აღიაროს, რომ ეს აღწერები მისთვის ამ ჟამად ფუფუნებაა, რომელიც ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება მისთვის მიუწვდომელი, ხოლო როდესაც დადგება ამის დრო, არსებულ ძალებისა და საშუალებების მიხედვით კვლავ ბევრი ხანი იქნება საჭირო, რომ მთელი არქივის აღწერილობები მოექცენ მკვლევართა განკარგულებაში“-ო [1], ამიტომ, ვიდრე ასეთი სამეცნიერო რთული აღწერა შედგებოდეს, უფრო მიზანშეწონილი იქნება მთელი ძალისა და საშუალების საინვენტარო აღწერის შედგენაზე გამოყენებაო.

ეს საინვენტარო აღწერა საკმაოდ მარტივი უნდა ყოფილიყო. მასში უნდა შესულიყო ხელნაწერის შესახებ მხოლოდ ძირითადი ცნობები, სახელდობრ: ა) საარქივო ფონდის სახელწოდება, ბ) ხელნაწერის სახელწოდება, გ) მოკლე შინაარსი, დ) თარიღი, ე) ფურცლების რაოდენობა, ვ) ხელნაწერის დეფექტები და ზ) ცნობები ხელნაწერის შენახვის ადგილის შესახებ. ინვენტარში თვითეული საარქივო ფონდი ცალ-ცალკე უნდა ყოფილიყო აღწერილი და ასეთ აღწერის წინ ყველა საბუთების შინაარსის საერთო დახასიათება უნდა ყოფილიყო მოთავსებული. თვითეულ შესანახ ერთეულს: საბუთს, დავთარს, ნაკრაულს და სხვას უნდა ჰქონოდა თავისი მოკლე სახელწოდება ძველი ტერმინოლოგიით, მაგალითად, „боярский список“, „писцовая книга“ და სხვა. ინვენტარი ჰგულისხმობდა, როგორც აუცილებელ დამატებას, მაჩვენებლების: საკუთარ სახელებისა, გეოგრაფიულისა და საგნობრივის შედგენას. ამას გარდა ს ა მ ო კ ვ ა ს ო ვ ს შესაძლებლად მიაჩნდა ინვენტარში სხვა დამატებითი ცნობების შეტანაც საბუთის შინაარსის მიხედვით [2].

პროფ. დ. ს ა მ ო კ ვ ა ს ო ვ ი ს აზრმა ვერ ჰპოვა მაინც და მაინც დიდი თანაგრძნობა მაშინდელ არქივისტებსა და ისტორიკოსებს შორის. პირიქით, მის აზრს საკმაოდ მრავალი მოწინააღმდეგეები და ოპოზიციონერები გაუჩნდენ. განსაკუთრებით აუმხედრდენ დ. ს ა მ ო კ ვ ა ს ო ვ ს „ციმბირის პრიკაზის წიგნებისა და სტოლბცების მიმოხილვის“ [3] ცნობილი ავტორი ნ. ო გ ლ ო ბ ლ ი ნ ი და კიეველი არქივისტი ი. კ ა მ ა ნ ი ნ ი, რომლებიც ფანატიკურად იცავდენ სამეცნიერო აღწერების უპირატესობას. მოწინააღმდეგეები საერთოდ უსაყვედურებდენ

---

[1] А. В о р о н о в, Архивоведение, გვ. 29.

[2] Проф. Д. С а м о к в а с о в, Архивное дело в России, I, გვ. 29.

[3] Обозрение книг и стобцов Сибирского приказа.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. სამოკვასოვს „პრიმიტიულ“, „საკანცელარიო“ აღწერის შემოღებას, მაგრამ მთავარი ნაკლი, რომელსაც ისინი ჰხედავდენ დ. სამოკვასოვის ინვენტარში, მდგომარეობდა იმაში, რომ იგი არ შეიცავდა მასალების სისტემატიურ აღწერას, „თემებისა“ და „საგნების“ მიხედვით.

ადვილი მისახვედრია, რომ დ. სამოკვასოვის ინვენტარის გარშემო აღმოცენებული ცხარე კამათის დროს ადგილი ჰქონდა აშკარა გაუგებრობას. საქმე იმაშია, რომ მოწინააღმდეგები სრულიად მართალი იყვნენ, როდესაც დ. სამოკვასოვის ინვენტარს „უსისტემობას“ უსაყვედურებდენ და თვით დ. სამოკვასოვიც არ უარჰოფდა (ან უკეთ, ვერ უარჰყოფდა) ამ ფაქტს, მაგრამ მათ ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ ინვენტარი არც შეიძლებოდა საისტორიო საბუთების სისტემატიური აღწერა ყოფილიყო. მეორეს მხრივ მათ ავიწყდებოდათ ისიც, რომ დ. სამოკვასოვი სამეცნიერო აღწერილობების პრინციპიული წინააღმდეგი კი არ იყო, არამედ მხოლოდ არსებულ არახელსაყრელ პირობების გამო, იგი მას მომავლის საქმედ მიაჩნდა [1]. ყოველ შემთხვევაში ასე იყო, თუ ისე, დ. სამოკვასოვის შეხედულება უფრო სწორი გამოდგა პრაქტიკულად: დ. სამოკვასოვის ინვენტარებმა საგრძლობლად დააჩქარეს და წინ წასწიეს იუსტიციის სამინისტროს მოსკოვის არქივის აღწერის საქმე, რომელიც სწორედ ამ ხაზით წარიმართა მას შემდეგ, რაც ამ არქივს სათავეში პროფ. დ. სამოკვასოვი ჩაუდგა. მეორეს მხრივ დ. სამოკვასოვის თეორია სასარგებლოდ მნიშვნელოვანი იყო საერთოდ საარქივო აღწერათა საკითხში გაუმჯობესების შეტანის თვალსაზრისითაც: საინვენტარო აღწერებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ჰნიშნავდა არსებითად საარქივო აღწერათა სისტემის სხვა საფუძველზე აგებას და ამ საფუძველის რეალ სინამდვილესთან შეფარდებას.

და მართლაც, დ. სამოკვასოვის ინვენტარების მიხედვით წარმოებულ აღწერების პრაქტიკული შედეგები და ამ ინვენტარების

---

[1] პროფ. დ. სამოკვასოვის ინვენტარის გარშემო აღმოცენებულ კამათის შესახებ იხ.: Жур. Мин. Нар. II. 1897 წ. აგვისტო (დ. სამოკვასოვის წერილი—Архивный инвентарь); Труды А. К. И. И. А. О., I; Описание документов и бумаг Моск. Архива Мин. Юст. IX (შესავალი წერილი); К. Ц. И. 1898 წ. (ი. კამანინის წერილი—Несколько слов по поводу архивного инвентаря проф. Самоквасова); В. Романовський, „Нариси з архівознавства, 1927 წ.; А. Воронов „Архивоведение“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოღების მთავარი აზრი იმდენად დამაჯერებელი გამოდგა, რომ თანდათანობით საინვენტარო აღწერებს დ. სამოკვასოვის შემდეგ სხვა მომხრეებიც გაუჩნდენ. მართალია, ყველა ამათგანი არ იყო ამ საინვენტარო აღწერის იმ სახით შემოღების მომხრე, როგორც ეს დ. სამოკვასოვს მიაჩნდა საჭიროდ, მაგრამ თითქმის ყველა არქივისტი გადაჭრით აღიარებდა არქივის პირველ და ძირითად მოვალეობად ისეთ აღწერების შედგენას, რომლის დანიშნულებას არქივალიების აღრიცხვა და დაცვა წარმოადგენდა, რაც სწორედ დ. სამოკვასოვის ინვენტარის შემოღების მთავარ აზრს შეადგენდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში ფაქტია ის გარემოება, რომ ამის შემდეგ საარქივო აღწერათა სისტემის პრაქტიკულ შესაძლებლობასთან შეფარდების ტენდენციამ სავსებით აშკარად იჩინა თავი.

ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ არის პეტერბურგის არქეოლოგიურ ინსტიტუტის პროფესორის ი. ანდრეევსკის შეხედულება საარქივო აღწერებსა და მაჩვენებლებზე [1]. ი. ანდრეევსკის აზრით, საქმეების აღწერა უნდა წარმოებულიყო ისე, რომ აღწერების შედგენასთან ერთად უნდა შემდგარიყო მაჩვენებლებიც საბარათო სისტემის მიხედვით. თვით თვითეულ აღწერილ საქმეს უნდა ჰქონოდა: 1) სათაური და 2) საკუთრივ აღწერილობა. სათაურში, რომელიც ყდაზე უნდა ყოფილიყო გაკეთებული, შევიდოდა: ა) საქმის მოკლე შინაარსი, ბ) საქმის დაწყებისა და დასრულების თარიღი და გ) ფურცლების რაოდენობა. სათაური შეიტანებოდა აღწერაში.

საკუთრივ აღწერილობა უნდა ყოფილიყო საქმის შინაარსის მოკლე, მაგრამ საფუძლიანი გადმოცემა. აღწერილობაში უნდა შესულიყო აგრეთვე საქმეში მოთავსებულ საბუთების ნუსხაც (რეესტრი). ამ აღწერილობიდან, რომელიც საგანგებო ფურცელზე კანის ქვეშ უნდა ყოფილიყო მოთავსებული, სდგებოდა ბარათები სამგვარი მაჩვენებლებისათვის: საკუთარ სახელებისა, გეოგრაფიულ სახელებისა და საგნობრივი. ეს ბარათები შემდეგში უნდა დაწყობილიყო ანბანის რიგზე და მოთავსებულიყო საგანგებო უჯრაში [2].

უკეთუ ამ სახით იქნებოდა აღწერილი საარქივო მასალები, ი. ანდრეევსკის აზრით, მიღწეული იქნებოდა მთავარი მიზანი, სახელდობრ: ა) ყოველგვარ ცნობის მოძებნა არქივში შესაძლებელი იქნებოდა და ბ) სამეცნიერო მუშაობაც საარქივო მასალებზე ერთობ

[1] И. Андреевский, Наука об архивах (ლიტოგ. გამოც.).

[2] ი. ანდრეევსკის აზრი მოგვყავს ა. ვორონოვის შრომის (Архивоведение) მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაადვილდებოდა [1]. ამასთანავე, რაკი ი. ანდრეევსკის აღწერის მეთოდი თვითეულ საარქივო ერთეულის აღრიცხვასაც ჰგულისხმობდა, ამიტომ ასეთი აღწერილობა არქივალიების დაცვის საქმესაც უზრუნველჰყოფდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ი. ანდრეევსკის აღწერა არსებითად იმავე დანიშნულებას ემსახურებოდა, რასაც დ. სამოკვასოვის ინვენტარი. მაგრამ მათ შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაც იყო, როგორც შესრულების მეთოდის მხრივ, ისე აგრეთვე შემადგენელ ელემენტების მხრივაც. ამასთანავე, რაც მთავარია, ი. ანდრეევსკის აღწერა გართულებული იყო ე. წ. „საკუთრივ აღწერილობით", რომელიც მეტად დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა აღმწერისაგან: თვითეულ საქმის არსებითი შინაარსისა და ამ საქმეში დაცულ ყველა საბუთების ნუსხის შედგენა იმდენად რთული საქმე იყო, რომ მას სამეცნიერო აღწერაზე ნაკლები დრო და ცოდნა არ სჭირდებოდა. ეს გარემოება აზრს უკარგავდა წმინდა სახის სამეცნიერო აღწერის წინააღმდეგ გალაშქრებას და ამავე დროს მიუღწევლად ხდიდა იმ მიზანს, რომელსაც ისახავდა მარტივი აღწერა.

ამიტომ სრულიად სამართლიანად პროფ. ა. ვორონოვმა, რომელიც ი. ანდრეევსკის შემდეგ ჰკითხულობდა არქივთმეცნიერების კურსს იმავე არქეოლოგიურ ინსტიტუტში, მიუღებლად დაინახა საარქივო აღწერათა ი. ანდრეევსკის სისტემა. ა. ვორონოვი არ უარყოფდა ამ სისტემის ზოგიერთ ღირსებასა და დადებითი მხარეებს, მაგრამ ამავე დროს მასში იგი მრავალ ნაკლსა და უარყოფით მხარეებსაც ჰხედავდა. მთავარი ნაკლი ამ სისტემისა, მისი აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ ამ სისტემის მიხედვით ხელნაწერების აღწერა მეტად დიდ დროს საჭიროებდა. „ასეთი სისტემის დიდი ღირსებისდა მიუხედავად, ამბობდა ა. ვორონოვი, ერთი მნიშვნელოვანი მისი ნაკლი, სახელდობრ, მუშაობის ნელი ტემპი, რადგან თვითეულ საქმეს ბევრი დრო სჭირდება, — შეუძლებლად ხდის მის განხორციელებას დიდ არქივებში", რომელნიც ძალაუნებურად იძულებული არიან იზრუნონ აღწერათა შესაძლებელ გამარტივებაზე-ო [2].

ამიტომ, მისი აზრით, საჭირო იყო პრაქტიკულ პირობებთან დაკავშირებით, ი. ანდრეევსკის აღწერის სისტემის გამარტივება, სახელდობრ, „საკუთრივ აღწერილობის" უარყოფა და გამო-

[1] А. Воронов, Архивоведение.

[2] Ibid. გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვება: ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ს საკმარისად მიაჩნდა აღწერისა და შაჩვენებლების შედგენა მხოლოდ სათაურების მიხედვით. ხოლო ამასთან დაკავშირებით მას ზედმეტად მიაჩნდა აღწერილობის ორ ნაწილად დაყოფა და „საკუთრივ აღწერილობის“ ცალკე შედგენა. „ნუ გავყოფთ აღწერას ორ ნაწილად, ამბობდა ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი, არამედ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ სათაურით, რომელიც მოკლედ, მაგრამ სავსებით გარკვევით და სიცხადით გადმოგვცემს საქმის შინაარსს, მასში დაცულ მნიშვნელოვან საბუთებისა და ქაღალდების აღნიშვნით“-ო. სათაურთან ერთად მას სასურველად მიაჩნდა აღნიშნული ყოფილიყო ხელნაწერის (აღსაწერი ერთეულის) გარეგნული მდგომარეობაც.

ასეთი სრული სათაური შეიტანებოდა აღწერაში და იქიდანვე შესდგებოდა ბარათები საკუთარ სახელებისა, გეოგრაფიულ სახელებისა და საგნობრივ საძიებლებისათვის[1].

როგორც ვხედავთ, ა ნ დ რ ე ე ვ ს კ ი ს საარქივო აღწერათა სისტემაში ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი ს მიერ შეტანილი კორექტივები მიმართული იყო აღწერის გამარტივებისა და გაადვილებისაკენ. ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი იმ აზრისა იყო, რომ საარქივო აღწერა უნდა შემდგარიყო, რაც შეიძლება, შემოკლებით იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ არსებული პრაქტიკული პირობები არ იძლეოდა საშუალებას ვრცელი აღწერების შედგენისას. „პრაქტიკული პირობები მოითხოვენ, ამბობდა ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი, რაც შეიძლება, მოკლე და მარტივ აღწერას“-ო.

მაგრამ ასეთი უბრალო და მარტივი აღწერის შედგენა ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ს საჭიროდ მიაჩნდა მხოლოდ საარქივო მიზნით, ე. ი. არქივალიების აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, თუმცა მისი აზრით, ასეთ მარტივ აღწერას შეეძლო დახმარება გაეწია მკვლევარისათვისაც, რაკი მას საძიებლები ექნებოდა დართული. სამეცნიერო მიზნით კი ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი საჭიროდ სცნობდა უფრო ვრცელ და საფუძვლიან აღწერილობების შედგენას, ისეთ აღწერილობების, რომელნიც შეიძლებოდა გამოქვეყნებულიყო კიდევაც. „რაც შეეხება საარქივო მასალების ისეთ გამოსაქვეყნებელ აღწერილობებს, რომელნიც სამეცნიერო საზოგადოებისთვის არიან განკუთვნილი, ამბობდა ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი, ასეთი აღწერილობები უნდა სდგებოდეს უფრო საფუძვლიანად, ვიდრე საარქივო მიზნით შედგენილი აღწერები და საერ-

---

[1] А. Воронов, Архивоведение, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდ ასეთი აღწერილობები უნდა უახლოვდებოდენ იმას, „ოსნაკ სამეცნიერო აღწერა ეწოდება“-ო[1].

სამწუხაროდ, ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი არ იძლევა დაწვრილებითი დახასიათებასა და ნიმუშს ასეთი სამეცნიერო აღწერისას, ის მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს, როგორც ვთქვით, მის შედგენის აუცილებლობასა და ძირითად დამახასიათებელ თვისებებს. ასეთი სამეცნიერო აღწერის ძირითადი თვისებები, მისი აზრით, იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ იქ მასალა ვრცლად აღიწერებოდა, არამედ იმაში, რომ იგი ზუსტად და გარკვევით, თანაც სისტემატიურად აღიწერებოდა. აქედან ცხადია, რომ ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი სამეცნიერო აღწერის ქვეშ სისტემატიურ აღწერას ჰგულისხმობდა. ასეთი სისტემატიური სამეცნიერო აღწერა, მისი აზრით, უნდა შემდგარიყო მხოლოდ ისეთ საარქივო მასალებზე, რომელთაც შეიძლებოდა ისტორიისათვის აქტუალური მნიშვნელობა ჰქონოდათ[2].

პროფ. ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი ს შემდეგ ამ საკითხის თეორიულ შესწავლის საქმეში ახალი რამ, არსებითად საყურადღებო და მნიშვნელოვანი, ძველს რუსეთში 1917 წლის რევოლიუციამდე არავის შეუტანია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ უმნიშვნელო და სხვათა შორის გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელნიც სპორადულად გაჩნდებოდა ხოლმე ამ პერიოდის ღარიბ საარქივო ლიტერატურასა და გამოცემებში. მაგრამ რევოლიუციის წინადროინდელ არქივებისა და საარქივო დაწესებულებათა წიაღში, პრაქტიკულ საარქივო მუშაობისა და საქმიანობის პროცესში, აღწერათა სისტემის რაციონალიზაციის საქმე ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი ს შემდეგაც ერთგვარ წინსვლასა და ევოლიუციას განიცდიდა: პრაქტიკოსი არქივისტები, ამა თუ იმ არქივის საარქივო მასალების აღწერის დროს, ძალაუნებურად აღწერის მეთოდის გაუმჯობესების აუცილებლობის წინაშე სდგებოდენ და ძალაუნებურად ამ გაუმჯობესების საქმეს ემსახურებოდენ. და რომ ეს მართლაც ასე იყო, ე. ი. რომ პრაქტიკულ მუშაობის პროცესში საარქივო აღწერის მეთოდი თანდათანობით ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა ამ პერიოდში, ამას ჰმოწმობს ის გარემოება, რომ ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი ს შემდეგ რუსეთში შესრულებულ და გამოცემულ იქნა მთელი რიგი საარქივო აღწერილობათა, როგორც, მაგალითად, განათლების სამინისტროს არქივის აღწერილობა[3] და სხვა,

---

[1] А. Воронов, Архивоведение, გვ. 23.

[2] Ibid.

[3] Описание Архива Миннистерства Народ. Просвещения, 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც ფრიად მნიშვნელოვან მიღწევებს წარმოადგენენ სამეცნიერო აღწერილობათა ფორმისა და მეთოდის რაციონალიზაციის თვალსაზრისით, და რომელნიც ამის გამო დღესაც მისაბაძ მაგალითად ითვლებიან[1] ზოგიერთ თანამედროვე არქივებისათვის. რა თქმა უნდა, ყველა იმ აღწერილობებში, რომელნიც ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი ს ა და მის წინამორბედ თეორეტიკოს არქივისტთა შემდეგ გამოიცენ რუსეთში, ფართედ გამოყენებული იყო არქივთმეცნიერთა თეორიული მითითებები, მაგრამ ისინი უმთავრესად წლების განმავლობაში საარქივო მასალების აღწერაზე სწორედ პრაქტიკული მუშაობის ნაყოფსა და შედეგს წარმოადგენდენ.

თავისდათავად ცხადია, რომ საარქივო აღწერათა საკითხის ასეთ პრაქტიკულ დამუშავებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარტო ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი ს შემდეგ კი არ ჰქონდა ადგილი. პირიქით, ამ საკითხის თეორიულ დამუშავებას, როგორც ეს ჩვეულებრივად არის ხოლმე, მისი პრაქტიკული შესწავლა და დამუშავება უსწრებდა წინ. და თუ შემდეგში პრაქტიკა, როგორც ვთქვით, თეორიული მითითებებითა და მიღწევებით სარგებლობდა აღწერების შედგენის დროს, პირველ ხანებში თეორია სწორედ პრაქტიკულ მუშაობის შედეგებზე ამყარებდა თავის მსჯელობას. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ამ საკითხის თეორიული შესწავლა და პრაქტიკული დამუშავება რუსეთში თანარსებობდენ ერთად და უკანასკნელი დროის რუსეთის საარქივო მიღწევები ამ დარგში, სწორედ ასეთი ორმაგი მიმართულებით წარმოებულ მუშაობის ნაყოფსა და შედეგს წარმოადგენს.

ძველი რუსეთი საკმაოდ მდიდარი იყო ნიჭიერი არქივისტებით, რომლებმაც თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობით ხელი შეუწყეს აღწერის მეთოდის გაუმჯობესებასა და ზედმიწევნით დამუშავებას. იმ მრავალ უჩინარ და უცნობ არქივის მუშაკებს თავი რომ დავანებოთ, რომლებიც სხვადასხვა არქივებში, სხვადასხვა დროს, მტვერსა და სინესტეში აღწერებზე ჰმუშაობდენ და მით ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ, არ შეიძლება არ დავასახელოთ ისეთი ნიჭიერი და გამოჩენილი არქივისტები, როგორიც იყვნენ ჩვენ მიერ ზემოდ მოხსენებული ო ბ ლ ო ბ ლ ი ნ ი და კ ა მ ა ნ ი ნ ი, ან კიდევ ს ტ რ ი ტ ე რ ი, მ ა ლ ი ნ ო ვ ს კ ი, ბ ა ნ ტ ი შ - კ ა მ ე ნ ს კ ი, ვ ო ს ტ ო კ ო ვ ი, კ ა ი დ ა ნ ო ვ ი, პ ტ ა შ ი ც კ ი და მრავალი სხვა,

[1] მაგალითად, უკრაინის ცენტრარქივს გან. სამინ. არქ. დასახელებული აღწერა საუკეთესო სახის აღწერად მიაჩნია (იხ. Примірні описи, 1928 წ. ხარკოვი, პროფ. ვ ე რ ე ტ ე ნ ი კ ო ვ ი ს წერილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებმაც სწორედ თავიანთი პრაქტიკული მუშაობით ხელი შეუწყეს ამ საკითხის დამუშავებას და ამავე დროს თავიანთი მშვენივრად შედგენილ საარქივო აღწერებითა და კატალოგებით რუსულ ისტორიოგრაფიის წინსვლასაც[1].

ამ ცალკე არქივისტების გარდა საარქივო აღწერების პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებდენ ან ამგვარ მუშაობას ხელმძღვანელობდენ აგრეთვე მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებათა ⁄ ორგანიზაციათა, რომელთაც რაიმე კავშირი და დამოკიდებულება ჰქონდათ ძველი რუსეთის პირობებში არქივებთან და საარქივო საქმესთან. ამ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ღვაწლიც ამ საქმეში ერთობ საგრძნობი და თვალსაჩინო იყო.

ყველა ზემოდ დასახელებულ თეორეტიკოს და პრაქტიკოს არქივისტთა და სამეცნიერო დაწესებულებათა თუ ორგანიზაციათა ხანგრძლივმა მუშაობამ ძველს რუსეთში წლების სიგრძეზე მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი პრაქტიკა შექმნა საარქივო აღწერათა და აღწერილობათა დარგში. ეს პრაქტიკა იმდენად მრავალგვარი და მრავალფეროვანი იყო, რომ ამ ჟამად თითქმის შეუძლებელი ხდება არამც თუ ამ პრაქტიკის სწორი კლასიფიკაციის მოხდენა, არამედ მაშინ არსებულ ყველა საარქივო აღწერათა სისტემების უბრალო დასახელებაც კი: ძველი რუსეთის პრაქტიკაში ჩვენ შევხვდებით რამოდენიმე სახის აღწერებს დაწყებული სრულიად მარტივი რეესტრებითა და ე. წ. „საკანცელარიო აღწერებით“ და გათავებული ვრცელი ინვენტარითა და ე. წ. „მიმოხილვებით“. [2]

ყველა ამ აღწერებს შორის ზოგჯერ ძირითადი და პრინციპიული, ზოგჯერ კიდევ არა არსებითი და უმნიშვნელო განსხვავება არსე-

[1] რევოლიუციამდე რუსეთში გამოცემულ აღწერებიდან შეიძლება დავასახელოთ რამოდენიმე: 1) Описание документов и дел, хранящихся в архиве св. Синода, 2) Описание дел Архива Морского М-стерства, 3) Каталог Военно-ученнаго Архива главнаго штаба, 4) Систематический каталог делам департамента внешней торговли, 5) Систематический каталог делам государственной коммерц-колегии, 6) Архив Минист. Госуд. имущ. Систематическая опись делам бывш. V отд. собст. е. и. в. канцелярии, 7) Архив Правительств. Сената. Опись высочайшим указам и повелениям, 8) Описание книг и актов Литовской метрики და სხვა.

[2] აღწერების ნიმუშები და საერთოდ ძველი რუსეთის პრაქტიკის შესახები მასალები მრავლად თავმოყრილია არქივთმეცნიერების კაბინეტში, რომელიც ახლახან დაარსდა რუსეთის ცენტრარქივთან მოსკოვში. ამ კაბინეტს და იქ მოთავსებულ მასალებს ჩვენ გავეცანით 1929 წელს, სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა მეორე ყრილობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა ერთის მხრივ იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისა იყო ძველ საწერი მასალა ⁄ რა მიზანი ჰქონდა ამა თუ იმ აღწერას, ხოლო მეორეს მხრივ იმისდა მიხედვით, თუ როგორი სამეცნიერო კვალიფიკაცია და მომზადება ჰქონდა აღწერის შემდგენელს. ამ უკანასკნელ გარემოებასთან დაკავშირებით თვითეულ სახის აღწერასაც მრავალი სხვა და სხვა სახე და ვარიანტები ჰქონდა შემადგენელ ელემენტებისა და შესრულების თვალსაზრისით. ერთი სიტყვით, ძველმა რუსეთმა წლების განმავლობაში, როგორც ვთქვით, მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი პრაქტიკა შექმნა საარქივო აღწერების დარგში, მაგრამ გამაერთიანებელი ცენტრის უქონლობის გამო მან ვერ შესძლო ამ აღწერების ერთ მთლიან სისტემაში ჩამოყალიბება და ამ სისტემაზე თავის არქივების ინვენტარიზაციის საქმის დაყენება.

როგორი მდგომარეობა იყო ამ დროს საქართველოში, ე. ი. როგორი პრაქტიკა არსებობდა საარქივო აღწერათა და აღწერილობათა დარგში რევოლიუციის წინადროინდელ საქართველოში, როდესაც ის ისტორიული უკულმართობის წყალობით, რუსეთის „განაპირა“ ქვეყანას წარმოადგენდა.

* * *

აღწერათა და აღწერილობათა სისტემები რევოლიუციის წინადროინდელ საქართველოში

უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რევოლიუციის წინადროინდელ საქართველოში „საისტორიო მასალების აღწერათა საკითხი თეორიულ შესწავლის ობიექტი სრულიად არ ჰყოფილა: არავის ეს საკითხი მთელ ამ ხანის განმავლობაში არ წამოუყენებია ⁄ არც, მაშასადამე, თეორიული მსჯელობის საგნად გაუხდია. ეს გასაგებიც არის, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მაშინ საქართველოში არ არსებობდენ მსხვილი არქივები ⁄ საარქივო დაწესებულებები, ხოლო ამასთან დაკავშირებით არ მოიძებნებოდენ არც არქივის სპეციალისტები ⁄ არც სპეციალური საარქივო ლიტერატურა. ჩვენში ამ პერიოდში არსებობდენ მხოლოდ წვრილი საუწყებო არქივები ცალკე დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან. ეს არქივები ჩვეულებრივად მოუწყობელი და მოუგვარებელი იყვნენ: ცუდი ბინა, დაბალ კვალიფიკაციის მოსამსახურეთა შტატი, უსახსრობა, უყურადღებობა, უუფლებობა და სხვა—აი რა პირობებში იმყოფებოდენ ეს არქივები და იქ მომუშავე არქივისტები[1].

[1] ამ მხრივ რუსეთის მდგომარეობა, რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესი იყო: რუსეთში ამ დროს არსებობდა მთელი რიგი კარგად მოწყობილ არქივებისა, საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციის არქივისტების შტატით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, რომ ასეთ პირობებში არქივებისა და იქ მომუშავე პერსონალის მოვალეობა ყოველდღიურ უბრალო საქმიანობასა და პრაქტიკულ ხასიათის ამოცანების შესრულებას ვერ გასცილდებოდა: მათ მოვალეობას უმთავრესად ცნობების მოძებნა და სხვა ანალოგიურ ხასიათის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეადგენდა. არქივებსა და საარქივო მასალასაც მხოლოდ პრაქტიკულ ინტერესისა და საჭიროების თვალსაზრისით უყურებდენ: უკეთუ არქივს პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა ან, თუ იგი ასეთ მნიშვნელობას შემდეგში დაჰკარგავდა, ის მოსასპობ მასალად იყო განკუთვნილი და ისპობოდა კიდეც. აღწერები, თუ ასეთები სდგებოდა საარქივო მასალებზე, იმდენად იყო მიჩნეული საჭიროდ, რამდენად ეს აღწერები რაიმე ცნობის მოძებნას ხელს შეუწყობდენ.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოში ე. წ. კავკასიის არქეოგრაფიული კომისია დაარსდა, არქივებსა და იქ დაცულ საარქივო მასალებს უფრო მეტი ყურადღება მიექცა: საარქივო მასალებს ამიერიდან არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობის, არამედ რამოდენიმედ ისტორიული ღირებულების თვალსაზრისითაც დაუწყეს ყურება. მაგრამ არქეოგრაფიული კომისია არ იყო წმინდა საარქივო დაწესებულება და მას არქივის მოწყობის საკითხი იმდენად არ აინტერესებდა, რამდენად საისტორიო საბუთების არქივებიდან ამოკრეფისა და მათი გამოქვეყნების საქმე. ყოველ შემთხვევაში კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიას საარქივო აღწერათა სისტემის დამუშავების საქმეში არაფერი საყურადღებო და მნიშვნელოვანი არ გაუკეთებია: არც ერთი არქივის აღწერა ამ კომისიის ხელმძღვანელობითა და თაოსნობით არ შემდგარა ჩვენში და არც, მაშასადამე, გამოქვეყნებულა[1].

საუწყებო არქივებში აღწერები სდგებოდა ისე, როგორც ეს თვითეულ მათგანს საჭიროდ და შესაძლებლად მიაჩნდა. მაგრამ განსაკუთრებით გავრცელებული იყო მაშინ ძველ რუსეთში კარგად ცნობილი, ე. წ. „საკანცელარიო აღწერა“, რომელიც შეიცავდა ოთხ ძირითად ელემენტს: ა) საარქივო ფონდის სახელწოდებას, ბ) აღსაწერ ერთეულის სახელწოდებას, გ) რიგის ნომერს და დ) თარიღს. უკეთეს შემთხვევაში ამ ცნობებს ემატებოდა ცნობა ფურცლების რაოდენობის შესახებ. ზოგიერთ არქივში კიდევ შემოღებული იყო, ე. წ.

[1] რა თქმა უნდა, კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიას არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის საარქივო რეფორმისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში (იხ. ამის შესახებ შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს „არქივთმეცნიერების შესავალი“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგან აღწერების შედგენა, რომელიც საქმეში მოთავსებულ საბუ-
თების უბრალო რეესტრს წამოადგენდა უფრო, ვიდრე აღწერილობას.
რა თქმა უნდა, ეს „საკანცელარიო აღწერაც“ სხვა და სხვა არქივში
სხვადასხვანაირად სდგებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი კვა-
ლიფიკაციის არქივარიუსი ადგენდა ამ აღწერას. ასე რომ სინამ-
დვილეში ამ აღწერის რამოდენიმე სახე და ვარიანტი იყო ხმარება-
ში. მაგრამ საქმე ამ საკანცელარიო აღწერასა და მის ვარიანტებს
მაინც არ სცილდებოდა: არავითარი სამეცნიერო აღწერა და მისი
მსგავსი რამ მაშინ არ სდგებოდა.

სამაგიეროდ საკმაოდ განსხვავებული მდგომარეობა იყო ჩვენ-
ში ძველ საბუთებისა და ხელნაწერების მიმართ. ქართულმა სიგელ-გუ-
ჯრებმა და ძველ ხელნაწერ წიგნებმა, როგორც ცნობილია, საკმაო
რაოდენობით მოაღწიეს მე-19 საუკუნემდე. მაგრამ მათი თავმოყრისა
და დაცვა-შენახვისათვის მზრუნველობის ინიციატივამ, სამწუხაროდ,
ძალიან გვიან, ნიშანდობლივ მე-19 ს. ნახევარში, იჩინა თავი. ამი-
ტომ დიდი ნაწილი ამ სიგელ-გუჯართა და ხელნაწერთა, უპატრო-
ნობისა და მოუვლელობის გამო, სამუდამოდ დაიკარგა ისტორიისა-
თვის ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის სიგრძეზე[1]. ხოლო, რაც დაღუ-
პვას გადაურჩა, გაფანტული იყო ეკლესია-მონასტრებსა, კერძო კო-
ლექციონერთა და კერძო ოჯახებს შორის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქართველოს წარსული-
სადმი ინტერესის გაცხოველებისა და საისტორიო მეცნიერების
აღორძინების განახლებასთან დაკავშირებით, ქართული მეცნიერული
წრეები და კერძო მკვლევარნი დაინტერესდენ ისტორიული ძეგლების
საერთოდ და კერძოდ ძველი სიგელ-გუჯრებისა და ხელნაწერების
ბედ-ილბალით. ამ ნიადაგზე წარმოიშვა და მომწიფდა აზრი ერთ ად-
გილას მათი თავმოყრისა და შესწავლის აუცილებლობის შესახებ. 1880
წელს დ. ყიფიანის, ი. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის
და სხვების თაოსნობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელე-
ბელ ხაზოგადოებასთან დაარსდა „სამკითხველო-მუზეუმი“, სადაც განზ-
რახული იყო სხვა ისტორიულ ძეგლებთან ერთად ქართულ სიგელ-გუ-

[1] როგორც ვიცით, ძველი ქართულ ხელნაწერთა ფონდს დიდი ზიანი მოუ-
ვიდა მე-19 საუკუნემდეც, მაგალითად, 1795 წელს, როდესაც აღა-მაჰმად-ხანმა
ტფილისის აღების დროს გაანადგურა სახელმწიფო დავთარხანა, და 1917 წლის
რევოლიუციის შემდეგაც 1919—1920 წლებში, როდესაც სამოქალაქო ომის დროს
ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახელმწიფო ქონებათა სამართველოს არ-
ქივებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში დაიღუპა დიდ ძალი ქართული სიგელ-
გუჯრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯრებისა და ხელნაწერ წიგნების თავმოყრაც[1]. ამავე ხანებში, ნიშანდობლივ 1888 წელს, არქეოლოგ დ. ბაქრაძის თაოსნობით დაარსდა ტფილისში საეკლესიო სიძველეთსაცავი[2], ხოლო ამაზე ცოტა გვიან, სახელდობრ 1910 წელს ე. თაყაიშვილისა და სხვების თაოსნობით—საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი,[3] რომლებმაც აგრეთვე ქართულ სიგელ-გუჯრებისა და ძველ ხელნაწერთა შეკრეფა დაისახეს ერთ-ერთ თავიანთ მიზნად. მთელ რიგ განათლებულ და ამ საქმისთვის გულშემატკივარ პირთა (პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, თ. ქორდანია, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ვ. კარბელაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და სხვები) თავგამოდებული მუშაობის წყალობით მართლაც შესაძლებელი შეიქნა დასახელებულ ორგანიზაციებში—ბიბილიოთეკა-მუზეუმებში—სიგელ-გუჯრებისა და სხვა ძველ ხელნაწერთა საკმაოდ მნიშვნელოვან კოლექციების დაგროვება. მალე დაიწყო მათი შესწავლისა და აღწერისათვის მუშაობაც.

უკვე 1887 წელს დაიბეჭდა ნიკ. მთვარელიშვილის მიერ შედგენილი ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბიბლიოთეკის კატალოგი[4]; 1898 წელს მ. ჯანაშვილმა დაბეჭდა საეკლესიო მუზეუმის სიგელ-გუჯრებისა და ხელნაწერთა კატალოგი, მუზეუმის ისტორიისა და წესდების დართვით[5]; 1902 წელს გამოცემულ იქნა თ. ქორდანიას მიერ შედგენილი ტფილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის პირველი წიგნი, ხოლო ერთი წლის შემდეგ—ამავე აღწერილობის მეორე წიგნი[6]; 1905 წელს გამოიცა დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნთსაცავის კატალოგი, სადაც დაბეჭდილ წიგნებთან ერთად ხელნაწერი წიგნებიცაა აღწერილი[7]. 1908 წელს კიდევ მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა თავის მიერ შედგენილი ტფილის საეკლესიო მუზეუმის

---

[1] თვით საზოგადოება დაარსდა 1879 წ. (იხ. ანგარიში ქ. შ. წ. კ. გ. ს. მოქმედებისა. 1914 წ. ტფილისი).

[2] მ. ჯანაშვილი, Церковное древлехранище, 1898 წ.

[3] თვით საზოგადოება დარსდა 1907 წ. (იხ. ძველი საქართველო, 1909 წ.)

[4] კატალოგი ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნთსაცავის, პირველი ნაწილი, ტფილისი 1887 წ.

[5] Тифлиское церковное древлехранилище, ტფილისი, 1898 წ.

[6] Описание рукописей Тиф. церковнаго музея, წიგ. I, 1903 წ. წიგ. II, 1902 წ. ტფილისი

[7] კატალოგი ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნთსაცავისა, ტფილისი, 1905 წ. ამ წიგნის დამატება იმავე ავტორის მიერ შედგენილი გამოიცა 1911 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა აღწერილობა[1]. დასასრულ, 1902—1908 წ.წ. სიგრძეზე ე. თაყაიშვილმა შეადგინა და გამოსცა კიდეც ქ. შ. წ. კ. გ. ს. ხელნაწერთა აღწერილობა ორ ტომად (8 წიგნად)[2].

ყველა დასახელებული აღწერები და აღწერილობები სხვადასხვა მეთოდითა და წესით არის შესრულებული. ყოველ შემთხვევაში თვითეული მათგანი, ერთმეორისაგან განსხვავებულ აღწერის ტიპს თუ არა, ვარიანტს მაინც წარმოადგენს.

ნ. მთვარელიშვილის აღწერა წარმოადგენს მოკლე კატალოგს, რომელიც შეიცავს როგორც დაბეჭდილ, ისე აგრეთვე ხელნაწერ წიგნების უბრალო სიას, დარგების მიხედვით. სულ წარმოდგენილია შვიდი დარგი და ამისდა მიხედვით კატალოგი შეიცავს შვიდ განყოფილებას. თვითეულ განყოფილებაში წიგნები აღწერილია ანბანურ რიგზე, ან ავტორის გვარის მიხედვით, როცა ავტორის გვარი ცნობილია, ან წიგნის სათაურის მიხედვით, როცა ავტორის გვარი ცნობილი არ არის. თვითეულ განყოფილებას თავისი ნუმერაცია აქვს. წიგნის სათაურის (სახელწოდების) შემდეგ აღნიშნულია თარიღი, ხოლო უკანასკნელის შემდეგ წიგნის ნომერი, რომლითაც ის ინვენტარიზირებულია წიგნთსაცავში, და შკაფის ნომერი—პირველი არაბული ციფრით, ხოლო მეორე—რომაულით. კატალოგში შეტანილია აგრეთვე ისეთი წიგნები, რომელნიც წ. კ. გ. საზოგადოების წიგნთსაცავში არ ყოფილა, მაგრამ საზოგადოებას განზრახვა ჰქონია „ყველაზედ წინ“ შეეძინა. გასარჩევად იმისა, ხელნაწერია წიგნი, თუ ნაბეჭდი, ან როგორი ასოებით, მხედრულით, თუ ხუცურით არის ნაწერი, მიღებულია სამი პირობითი ნიშანი: პირველი მხედრული ხელნაწერის აღსანიშნავად, მეორე ხუცური ხელნაწერის აღსანიშნავად და მესამე ხუცური ნაბეჭდი წიგნის აღსანიშნავად. მხედრულად დაბეჭდილ წიგნებს ნიშანი არა აქვთ. კატალოგს, წინასიტყვაობის სახით, წამძღვარებული აქვს მოკლე განმარტება მის შედგენის წესისათვის[3].

---

[1] Описание рукописей церковнаго музея, ტფილისი, 1908 წ. მ. ჯანაშვილსვე დამზადებული აქვს გამოსაცემად ამავე აღწერილობის მეორე ტომიც, რომლის ხელნაწერი ინახება ტფ. უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში.

[2] Описание рукописей Общ. распр. грам. среди грузинскаго населения, ტ. I წიგ. I, II, III, და IV, ტ. II, წიგ, V, VI, VII, VIII.

ძველი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობები ცალკე გამოცემათა გარდა იბეჭდებოდა აგრეთვე გაზ, „ივერია“-ში (იხ. 1890 წ. №№ 3, 4, 6, 7, 9, 11, 13, 14, 15, 20 და სხვა), „Сборник для описания местностей и племен Кавказа-ში (იხ. №№ 31, 32, 33, 34, და სხვა) და სხვაგან.

[3] კატალოგი ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნთსაცავის, 1837 წ. ტფილისი, ნ. მთვარელიშვილის მიერ შედგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსე ჯანაშვილის 1898 წელს გამოცემული აღწერა —„ტფილისის საეკლესიო სიძველეთსაცავი“—რამოდენიმედ განსხვავდება ნ. მთვარელიშვილის კატალოგისაგან. მ. ჯანაშვილის აღწერა შეიცავს საეკლესიო სიძველეთსაცავის: 1) წესდებას, 2) ისტორიას, 3) წიგნების კატალოგს, 4) სიგელ-გუჯრების რეესტრს და 5) სხვა ექსპონატების აღწერას. სიგელ-გუჯრების აღწერა შესრულებულია მარტივი მეთოდით და წარმოადგენს საბუთების უბრალო რეესტრს. აღწერა შეიცავს: ა) რიგის ნომერს[1], ბ) საბუთის მიმცემს, გ) საბუთის მიმღებს, დ) თარიღს და ზოგჯერ: ე) ბეჭდისა, ვ) ხელრთვისა და ზ) დამწერლობის, ხოლო იშვიათად კიდევ—თ) ძირითად საგნის შესახებ მოკლე ცნობებს. მაგრამ ეს ცნობებიც ყოველთვისა და ყოველ საბუთის შესახებ არაა მოცემული: ერთ შემთხვევაში მხოლოდ რიგის ნომერი და თარიღია აღნიშნული, ძირითად საგნის დასახელებით, მეორე შემთხვევაში რიგის ნომერთან მხოლოდ საბუთის მიმცემია მოხსენებული, მესამე შემთხვევაში მარტო რიგის ნომერი და მიმღების ვინაობაა მოცემული და სხვა; საერთოდ კი არავითარი პრინციპი, არც ქრონოლოგიური ან საგნობრივი, არც ალფაბეტური ან სხვა რომელიმე, დაცული არ არის: ზოგჯერ მე 16-ტე საუკუნის სიგელს მე XII-ტე საუკუნისა მისდევს, ხოლო ამ უკანასკნელს მე-17 საუკუნისა; ეკონომიური შინარსის საბუთის შემდეგ უფლებრივი ხასიათის საბუთია მოთავსებული, ხოლო ამ უკანასკნელის შემდეგ სარწმუნოებრივი ხასიათისა და სხვა[2].

წიგნების კატალოგი[3] ოდნავ უფრო ვრცლადაა შესრულებული, მაგრამ არც აქ არის სისტემა და პრინციპი დაცული. აღწერა მოცემულია შემდეგი მთავარი რუბრიკების მიხედვით: ა) რიგის ნომერი[4], ბ) ხელნაწერის სახელწოდება, გ) თარიღი, დ) ავტორის ან მთარგმნელის და გადამწერის ვინაობა, ე) ფურცლების რაოდენობა, ვ) დამწერლობა, ზ) ხელნაწერის გარეგნული მდგომარეობა (ყდა, დეფექტი და სხვა). ზოგიერთ ხელნაწერის შესახებ ცნობები მოცემულია ორი ან სამი დასახელებული რუბრიკების მიხედვით, ზოგიერთის შესახებ კი—უფრო ვრცლად. საერთოდ კი ყველა ერთეულები

---

[1] რთელს „რესტრს“ ერთი საერთო ნუმერაცია აქვს.

[2] Тифлисское церковное древлехранилище. გვ. 58—100.

[3] ხელნაწერ წიგნებთან ერთად დაბეჭდილი წიგნებიც არის აღწერილი.

[4] აქაც მთელ „კატალოგს“ ერთი საერთო ნუმერაცია აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერილია მეტად შემოკლებით და, როგორც ვთქვით, ყოველგვარ პრინციპის გარეშე.[1]

არც ნ. მთვარელიშილის აღწერას და არც მ. ჯანაშვილის აღწერას საძიებლები შედგენილი არა აქვთ.

როგორც ვხედავთ, მ. ჯანაშვილის აღწერის დიდ უპირატესობას ნ. მთვარელიშვილის აღწერასთან შედარებით შეადგენს ის გარემოება, რომ მას ხელნაწერების (წიგნებისა და სიგელ-გუჯრების) აღწერილობის წინ წამძღვარებული აქვს სიძველეთსაცავის წესდება და ისტორია, რაც როგორც ცნობილია, აღწერების ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს. მეორეს მხრივ მ. ჯანაშვილის აღწერა ხელნაწერის უფრო მეტ მხარეებისა და მომენტების ფიქსაციას წარმოადგენს. მაგრამ ნ. მთვარელიშვილის კატალოგს თავის მხრივ მ. ჯანაშვილის კატალოგთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ იგი შეიცავს აღწერას დარგების მიხედვით ალფაბეტურ რიგზე, რაც რამოდენიმედ მაინც, როგორც ვიცით, აადვილებს კატალოგით სარგებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღწერას მაჩვენებლები არა აქვს დართული. დანარჩენი მხრივ ორივე აღწერა ერთი და იგივე ტიპის აღწერას წარმოადგენს.[2]

ნ. მთვარელიშილისა და მ. ჯანაშვილის დასახელებულ აღწერებს უახლოვდება დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი „კატალოგი ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნთ-საცავისა“ დამატებითურთ. დ. კარიჭაშვილის კატალოგი შეიცავს შემდეგ ცნობებს ხელნაწერის შესახებ: ა) ხელნაწერის სახელწოდებას, ბ) ავტორისა, მთარგმნელისა და გადამწერის ვინაობას, გ) თარიღს, დ) მასალას, ე) დამწერლობას, ვ) ზომას, ზ) გარეგნულ მდგომარეობას, Ꝑ) ფურცლებისა და გვერდების რაოდენობას და თ) რიგის ნომერს. კატალოგი შესდგება 19 განყოფილებისაგან. თვითეული განყოფილება თავისმხრივ ორ ნაწილად იყოფა: 1) ხელნაწერთა და 2) დაბეჭდილ წიგნთა. როგორც ხელნაწერი, ისე აგრეთვე დაბეჭდილი წიგნები აღწერილია ანბანურ რიგზე ავტორების გვარების მიხედვით, ხოლო როდესაც ავტორი უცნობია—თხუზულების სახელწოდების მიხედვით.

---

[1] Тиф. цер. древлехранилище, გვ. 31—57, 1898 წ. ტფილისი.

[2] გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ყოველი აღწერა, რომელსაც ჩვენ ვეხებით და რომლის უარყოფითი ან დადებითი მხარეებს აღვნიშნავთ, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ, როგორც აღწერის განსაკუთრებული სახე, მის შედგენის მეთოდისა და პრინციპის მხრივ. ამდენადვე აღწერების დახასიათების დროს ჩვენ ანგარიშს არ უწევთ იმ გარემოებას, თუ რამდენად სწორად არის შესრულებული ესა თუ ის აღწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერ წიგნების დასახელების დროს აღნიშნულია, თუ როგორი დამწერლობით (ხუცურით თუ მხედრულით) არის შესრულებული ხელნაწერი. „რადგან ხელნაწერნი მხოლოდ ორნაირ მასალაზე არიან ნაწერნი—ეტრატზე (უფრო ნაკლებ), ან ქაღალდზე (მომეტებულად)“, —ამიტომ კატალოგის შემდგენელს ნიშანდობლივ მოხსენებული აქვს მხოლოდ ეტრატზე დაწერილი ხელნაწერები. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელნაწერი რამოდენიმე თხუზულებას შეიცავს და, მაშასადამე, კრებულს წარმოადგენს, თვითეული თხუზულება ცალკე ნომრით არის შეტანილი და აღწერილი. კატალოგს მაჩვენებელი, არც საკუთარ სახელებისა და არც საგნობრივი, შედგენილი არა აქვს. სამაგიეროდ მას წამძღვარებული აქვს, წინასიტყვაობის სახით, მოკლე ახსნა-განმარტება აღწერის შესრულების წესისათვის.[1]

სამივე ზემოდ დასახელებულ სახის აღწერებიდან არსებითად განსხვავდება თ. ჟორდანიას მეერ მედგენილი აღწერილობა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებისათვის—Описание рукописей Тифлисского церковного музея—რომლის, როგორც ვთქვით, ორი ტომი გამოვიდა. თ. ჟორდანიას მიერ შედგენილ აღწერილობა ორ ძირითად ელემენტს შეიცავს: 1) ხელნაწერის გარეგნულ აღწერილობასა და 2) ხელნაწერის შინაარსის აღწერილობას. გარეგნული აღწერილობა შეეხება: ა) მასალას, რომელზედაც დაწერილია ხელნაწერი, ბ) ზომას, გ) დამწერლობას, დ) შემკულობას, ე) ყდას, ვ) დეფექტებს და ზ) ფურცლების რაოდენობას. აქვე მოყვანილია ზოგჯერ ცნობები ხელნაწერის მიმცემისა და მიმღების ვინაობის შესახებ და აგრეთვე ავტორის, ან მთარგმნელის და გადამწერის ვინაობის შესახებაც. შინაარსის გადმოცემის დროს შემდგენელს ჩამოთვლილი აქვს ხელნაწერში შემავალ ყველა თხუზულებათა სათაურები, როდესაც ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს, მაგრამ თვითეულ თხუზულებათა შინაარსი, იშვიათ გამონაკლისის გარდა, მოყვანილი არა აქვს; იქვე ზოგჯერ ვრცლად, ზოგჯერ კიდევ მოკლედ მოყვანილია ციტატები და ამონაწერები ტექსტიდან, ან კიდევ მინაწერები და ჩანაწერები, ზოგიერთ შემთხვევაში სრულად და სიტყვა-სიტყვით. ზოგჯერ ავტორს ტექსტისა და ვარიანტის შესახებ გაკეთებული აქვს მოკლე კომენტარიები. ხელნაწერის სახელწოდებაც მოყვანილია ამ მეორე ნაწილში. ამრიგად აღწერის წესი ასეთია: ჯერ აღნიშნულია ხელნაწერის ნომერი, შემდეგ მოცემულია

[1] იხ. კატალოგი ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნთ-საცავისა, შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ, ტფილისი, 1905 წ. და ამ კატალოგის პირველი „დამატება“, შედგენილი მის მიერვე, ტფილისი, 1911 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი გარეგნული აღწერა და ბოლოს გადმოცემულია სახელწოდება და შინაარსი სათანადო კომენტარიებისა და მინაწერ-ჩანაწერების ტექსტის მოყვანით. ხელნაწერის ნომერი აღნიშნულია მსხვილი არაბული ციფრით შუაში, გარეგანი აღწერა პეტიტით, ხოლო დანარჩენი უფრო მსხვილი ასოებით. მთელს აღწერილობას ერთი ნუმერაცია აქვს. ხელნაწერების აღწერის დროს ქრონოლოგიური ან სხვა რომელიმე პრიციპი დაცული არ არის. აღწერილობას მაჩვენებლები დართული არა აქვს. მას არა აქვს აგრეთვე წამძღვარებული, არც შესრულების წესების შესახებ ახსნა-განმარტება და არც სიძველეთსაცავის (საეკლესიო მუზეუმის) ისტორია ან ამ სიძველეთსაცავის კოლექციის შექმნის მიმოხილვა.[1]

როგორც ვხედავთ, თ. ჟორდანიას აღწერილობის ძირითადი განსხვავება მთვარელიშვილ-ჯანაშვილ-კარიჭაშვილის აღწერებიდან იმაში მდგომარნობს, რომ იგი ხელნაწერის გარეგნულ მხარესთან ერთად მის შინაარსის ნწილობრივ ფიქსაციასაც შეიცავს. ამასთანავე თ. ჟორდანიას აღწერილობა შედარებით დასახელებულ აღწერებთან, ხელნაწერის გარეგნულ მხარეებს უფრო ვრცლად და დაწვრილებით აღნიშნავს და ამავე დროს ხელნაწერის შინაარსის ყველა მნიშვნელოვან მომენტებს, თუმცა მოკლედ, მაგრამ ზუსტად გადმოგვცემს. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება თ. ჟორდანიას აღწერილობას საგრძნობლად აშორებს დასახელებულ აღწერებიდან და ხდის აღწერის განსაკუთრებულ ტიპად.

აღწერილობის ამგვარივე ტიპს წარმოადგენს მ. ჯანაშვილის მიერ 1908 წელს გამოცემული აღწერილობა იმავე საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებისათვის—Описание рукописей церковного музея духовенства Грузинской епархии—რომელიც თ. ჟორდანიას დასახელებულ აღწერილობების ორი გამოცემული ტომის უშუალო გაგრძელებადაა სწორედ გამოცემული. მ. ჯანაშვილის აღწერილობას, შესავალის სახით, წამძღვარებული აქვს მოკლე მიმოხილვა იმ მკვლევართა მუშაობის შესახებ, რომელთაც ძველ ქართულ ხელნაწერთა აღწერაზე ან მათ შესწავლაზე ამაგი გაუწევიათ. აქვე მოყვანილია საეკლესიო მუზეუმში იმ ხანად დაცულ ხელნაწერთა (სიგელ-გუჯრების გარეშე) რაოდენობა და მათი ქრონოლოგიური კლასიფიფიკაცია. აღწერილობას ბოლოში დართული აქვს საეკლესიო მუზეუმის ყველა ძველ ხელნაწერთა და ძველად დაბეჭდილ წიგნთა სახელ-

[1] იხ. Описание рукописей Тифлисского церк. музея, составленное Ф. Жордания, წ. I და II, 1902—1903 წ.წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდებისა და საკუთარ სახელების ერთი მოკლე მაჩვენებელი. საკუთრივ აღწერილობაც ოდნავ განსხვავდება თ. ჟორდანიას აღწერილობისაგან გარეგნული ნიშნებით. ასე, მაგალითად, ხელნაწერის რიგის ნომერს უშუალოდ ხელნაწერის სახელწოდება მისდევს, სახელწოდებას კიდევ—გარეგნული აღწერილობა, ხოლო ამ უკანასკნელს—შინაარსისა. შინაარსის აღწერილობა იმავე მეთოდით არის შესრულებული, როგორც თ. ჟორდანიას აღწერილობა[1]. აღნიშნული თავისებურებანი (შესავალი, საძიებელი) მ. ჯანაშვილის აღწერილობას თ. ჟორდანიას აღწერილობასთან შედარებით საკმაო უპირატესობას აძლევენ, მაგრამ აწერილობის დანარჩენ მხარეების შესრულების მეთოდთა იგივეობა ორივე აღწერილობას ერთი და იგივე ტიპის აღწერას მიაკუთნებს: მათ შორის ძირითადი პრინციპიული განსხვავება არ არსებობს არც მეთოდისა და არც შემადგენელ ელემენტების მხრივ.

დასასრულ, 1902—1908 წლების სიგრძეზე ექ. თაყაიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული ქ. შ. წ. კ. გ. ს. ხელნაწერთა აღწერილობა[2] წარმოადგენს ვრცელ სამეცნიერო აღწერილობას, რომელიც ხელნაწერის, ვითარცა ისტორიული ძეგლის, ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან მომენტების სისრულით გამოაშკარავებას ისახავს თავის მიზნად. ე. თაყაიშვილის აღწერილობა, მსგავსად ჟორდანია-ჯანაშვილის აღწერილობებისა, ორ ძირითად ელემენტს შეიცავს: 1) ხელნაწერის გარეგნულ აღწერილობასა და 2) შინაარსის აღწერილობას. ორივე აღწერილობა (გარეგანი და შინაარსის) არსებითად იმავე მომენტების ფიქსაციას წარმოადგენს, რასაც ჟორდანია-ჯანაშვილის აღწერილობები. მაგრამ განსხვავება ე. თაყაიშვილის აღწერილობასა და ჟორდანია-ჯანაშვილის აღწერილობებს შორის უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ეს მომენტები თაყაიშვილის აღწერილობაში უფრო ვრცლად და დაწვრილებით არის გაშუქებული. განსაკუთრებით ვრცლად აქვს ე. თაყაიშვილს აღწერილი ხელნაწერის მეორე მხარე, ე. ი. შინაარსი. თუ ჟორდანია-ჯანაშვილის აღწერილობებში ხელნაწერის შინაარსი იშვიათად არის მოთხრობილი და უმთავრესად სათაურების ჩა-

---

[1] იხ. М. Джанашвили, Описание рукописей церковного музея духовенства Груз. епархии. Кн. III.

[2] Е. Такайшвили, Описание рукописей общ. распр. грам. среди груз. нас. ტომ. I, წიგ. I, II, III და IV; ტფილისი, 1902-1904 წ. ტომ. II, წიგ. V, VI, VII და VIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთვლით არის გადმოცემული, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობაში ხელნაწერის შინაარსი გადმოცემულია ვრცლად მოთხრობის სახით, ხშირად მაშინაც კი, როდესაც ხელნაწერი ცნობილ თხუზულებას წარმოადგენს; თუ ჟ ო რ დ ა ნ ი ა - ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს აწერილობებში ამონაწერები ხელნაწერის ტექსტიდან უმეტეს შემთხვევაში მოკლედ და ისიც იშვიათად არის მოყვანილი, ე. თ ა ყ ა ი შ ი ლ ი ს აღწერილობაში ასეთ ამონაწერებსა და ციტატებს ერთობ დიდი ადგილი აქვს დათმობილი[1]; თუ ჟ ო რ დ ა ნ ი ა - ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს აღწერილობებში ხელნაწერის ტექსტისა და ვარიანტების შესახებ ახსნა-გამარტებები და კომენტარიები სპორადიულად, გამონაკლისის სახით, არის გაკეთებული, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობა ხელნაწერის ტექსტისა, ვარიანტების სხვაობისა და მეცნიერულ მნიშვნელობის შესახებ თითქმის სავსებით ამომწურავ ცნობებს შეიცავს. დასასრულ, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ლ ი ს აღწერილობის თავისებურობას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ იგი თვითეულ ხელნაწერის შესახებ მთლიან და სრულ აღწერილობას იძლევა: ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობაში განკერძოებული და განცალკევებული არ არის ხელნაწერის გარეგნული აღწერილობა შინაარსის აღწერილობიდან, როგორც ეს ჟ ო რ დ ა ნ ი ა - ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს აღწერილობებშია ჩვეულებრივად.

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობის უმთავრესი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ წარმოადგენს სისტემატიურ აღწერილობას ან „თემებისა“ და „საგნების“ მიხედვით ან კიდევ სხვა რომელიმე (ქრონოლოგიური, ტოპოგრაფიული, ალფაბეტური და სხვა) ნიშნების მიხედვით[2], რაც სხვათაშორის ჟ ო რ დ ა ნ ი ა - ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს აღწრილობებსაც არ ახასიათებს. აღწერილობის მეცნიერულ ღირსებას თანამედროვე არქეოგრაფიის მოთხოვნების თვალსაზრისით, ამცირებს ის გარემოებაც, რომ მას არც საკუთარ სახელების, არც გეოგრაფიული და არც საგნობრივი საძიებელი შედგენილი და დართული არა აქვს[3]. ასეთივე არსებითი ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც,

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობაში სრულად მოყვანილია ხელნაწერის შესავალი ან წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, მინაწერი და შენიშვნა, რომელთაც კი რაიმე მნიშვნელობა აქვთ.

[2] თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ „აღწერილობაში“ ერთგვარი ძეგლები ერთად (თანმიდევნებით) არის აღწერილი.

[3] პირველი ტომის მეოთხე წიგნის ბოლოში მოთავსებულ შენიშვნის („Вместо предисловия“) თანახმად ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობის უკანასკნელ ტომს უნდა დართოდა ორი საძიებელი: საკუთარ სახელებისა და ხელნაწერთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობას არა აქვს წამძღვარებული სათანადო ცნობები და ახსნა-განმარტებები ხელნაწერის ფონდისა და სიძველეთსაცავის ისტორიის შესახებ.[1]

ამრიგად რევოლიუციის წინადროინდელ საქართველოს პრაქტიკამ სულ ოთხი ტიპის აღწერა და აღწერილობა შეიმუშავა: 1) ე. წ. „საკანცელარიო აღწერა", თავისი ვარიანტებით, 2) ჩვეულებრივი კატალოგი და რეესტრი, 3) სამეცნიერო აღწერა ქ ო რ დ ა ნ ი ა-ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს აღწერილობათა ტიპისა და 4) ვრცელი სამეცნიერო აღწერა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობის ტიპისა. პირველი მათგანი, ე. ი. „საკანცელარიო აღწერა" იხმარებოდა საუწყებო არქივებში ახალ დროის საარქივო მასალების აღსაწერად, ხოლო სამი დანარჩენი სიძველეთსაცავებსა და მუზეუმებში ძველ ხელნაწერთა აღსაწერად [2].

---

[1] თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩვენ მიერ ზემოდ აღნიშნულ დეფექტებს, რომელნიც დეფექტებს წარმოადგენენ არქივთმეცნიერების მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, და თუ თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობას, ხელნაწერთა შინაარსის გამოაშკარავებისა და მათი ისტორიული მნიშვნელობის გამორკვევის თვალსაზრისით შევხედავთ, უნდა ითქვას, რომ ეს აღწერილობა სამეცნიერო აღწერილობის საუკეთესო ტიპს წარმოადგენს. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობას აშკარად ეტყობა ძველ ქართულ ხელნაწერთა და საერთოდ საქართველოს წარსულ ცხოვრების დიდი მცოდნის ხელი. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობამ, ისევე, როგორც ქ ო რ დ ა ნ ი ა-ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს აღწერილობებამ, დიდი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც დღესაც დიდ სინაკლულეს განიცდის საარქივო მასალების სამეცნიერო აღწერილობების უქონლობით.

[2] აქვე საჭიროა მოვიხსენიოთ ერთი ტიპის აღწერა, რომელიც შემოღებული იყო ძველ ქართულ საბუთების აღსაწერად სინოდალურ ჯონტორასა და ზოგიერთ სხვა დაწესებულებაშიც. ეს აღწერა „რეესტრის" (აღწერებში ნახმარია ამ სიტყვისაგან გადმოკეთებული-დამახინჯებული „რეისტრი") სახელწოდებითაა ცნობილი, თუმცა იგი ჩვეულებრივი რეესტრისაგან, შემადგენელ ელემენტებითა და ფორმითაც საკმაოდ განსხვავდება. ამ აღწერასაც რამოდენიმე ვარიანტი აქვს. ყველაზე უფრო სრულივარიანტი შემდეგ ცნობებს შეიცავს: ა) საარქივო ფონდის სახელწოდებას, ბ) ხელნაწერის ნომერს, გ) თარიღს — ქართული ქრონიკონით და ჩვეულებრივი წელთაღრიცხვით, დ) მიმცემის ვინაობას, ე) მოკლე შინაარსს, ვ) შენიშვნას ხელნაწერის დაცულობის შესახებ. საყურადღებოა, რომ აღწერა შედგენილია „ფონდების" მიხედვით; ფონდებად მიჩნეულია ამა თუ იმ ეკლესია-მონასტერში დაცული კოლექცია და თვითეულ ასეთ კოლექციას თავისი „რეისტრი" აქვს შედგენილი. ჩვენამდე ასეთი „რეისტრების" მხოლოდ რამოდენიმე ეკზემპლიარმა მოაღწია, კერძოდ საქართველოს ცენტრარქივში ამ ტიპის აღწერათა ოციოდე ეკზემპლიარი ინახება (იხ. ძველ საბუთთა არქივის წინასწარი აღწერა). მოღწეულ ეკზემპლიარებში დაცულია ოთხი ვარიანტი. როგორც ცნობილია, ამ „რეისტრებით" ფართედ სარგებლობდა თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა თავის „ქრონიკები"-ს შედგენის დროს (იხ. თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა ს ქრონიკები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი იყო ზოგადად ძველი რუსეთისა და კერძოდ საქართველოს საარქივო პრაქტიკა და ამ პრაქტიკის ისტორიული მხარე საისტორიო მასალების აღწერილობის დარგში 1917 წლის რევოლიუციამდე. როგორ განვითარდა ეს საკითხი რევოლიუციის შემდეგ და როგორი მდგომარეობაა ამ ჟამად საბჭოთა ქვეყნებში?

3.

საკითხის დამუშავება რევოლიუციის შემდეგ

რევოლიუციის შემდეგ მუშაობის გაცხოველებას არქივთმეცნიერებისა და საარქივო საქმის დარგში საერთოდ, ბუნებრივად, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა საარქივო აღწერათა და აღწერილობათა საკითხზედაც. საარქივო საქმის რეფორმის შედეგად გამოწვეული ორგანიზაციულ ხასიათის ცვლილებები არქივების ცხოვრებაში თავისდათავად ჰგულისხმობდენ რადიკალურ ცვლილებებს საარქივო საქმის ტეხნიკაშიც ამ სიტყვის ფართე და მეცნიერული მნიშვნელობით. განახლებულ არქივების წიაღში ჯერ კიდევ წინად, ათეულ წლების განმავლობაში დაგროვილ, ხოლო უკანასკნელ დროს ერთბაშად კონცენტრირებულ ზღვა—საისტორიო მასალების დამუშავებისათვის საჭირო იყო საერთოდ განახლებული მეთოდი და სისტემა დამუშავებისა; კერძოდ საჭირო იყო განახლებული მეთოდი და სისტემა აღწერისა. საჭირო იყო მეტი გარკვეულობისა და სიზუსტის შეტანა აღწერათა არსებულ სისტემებში გარკვეულ მტკიცე პრინციპებზე დამყარებით; მაგრამ, რაც მთავარია, საჭირო იყო მრავალ სხვადასხვა სისტემების ნაცვლად, აღწერის მიზანსა და აღსაწერ მასალის ხასიათთან შეფარდებით, ერთი მ თ ლ ი ა ნ'ი სისტემის შემოღება და დაკანონება.

საბჭოთა რუსეთში ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო რ ს ფ ს რ ცენტრარქივის დაარსების თითქმის პირველ დღიდანვე, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საარქივო მასალების კონცენტრაციისათვის მუშაობამ პირველი ეტაპი განვლო და საარქივო პრაქტიკამ, ამასთან დაკავშირებით, აღწერათა საკითხი მწვავედ წამოაყენა. ამ მუშაობამ თავისი პირველი გამოხატულება ჰპოვა რუსეთის ცენტრარქივის მიერ 1922 წელს გამოცემულ „სახელმძღვანელოში“ საარქივო მასალების მიღებისა და აღწერისათვის [1]. ამ „სახელმძღვანელოს“ მიზანი იყო პრაქტიკული მითითებებით დახმარება გაეწია არქივისტისათვის

[1] Руководство по приему, размещению и составлению описей архивного материала, 1922 წ. მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიურ საარქივო მუშაობის დროს. სახელმძღვანელო ითვალისწინებდა არსებულ პირობებს და აღწერის მზა-მზარეული ფორმის წარმოდგენით ხელს უწყობდა საარქივო აღწერების ერთი სისტემის შემოღებას.

მაგრამ სახელმძღვანელოში გათვალისწინებული აღწერის მეთოდი, მანამდე არსებულ მეთოდებთან შედარებით, არსებითად ახალს არაფერს შეიცავდა, თანაც მრავალ შემთხვევისათვის ამომწურავ მითითებებს არ იძლეოდა. სახელმძღვანელო ჰგულისხმობდა უმთავრესად მარტივ აღწერას და ისიც მხოლოდ ჩვეულებრივი, ე. ი. ახალ დროის საარქივო მასალებისათვის. ამიტომ „სახელმძღვანელოში“ წარმოდგენილი აღწერის სისტემა ვერ გატარდა ცხოვრებაში, არამც თუ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, რაც ნაწილობრივ მოსალოდნელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ეს სისტემა რაციონალური გამოდგებოდა, არამედ თვით რუსეთშიც. „სახელმძღვანელო“-მ, თუმცა დიდი სარგებლობა მოუტანა არქივისტებს პრაქტიკულ მუშაობის დროს, მაგრამ სავსებით მაინც ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებიც მასზე იყო დამყარებული.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით, საკითხი აღწერათა და აღწერილობათა შესახებ რუსეთში, „სახელმძღვანელოს“ გამოცემის შემდეგაც, კვალად გადაუჭრელი რჩებოდა და რუსეთის ცენტრარქივს, ბუნებრივად, ისევ უნდა განერგძო თავისი აუშაობა ამ მიმართულებით, ვიდრე დამაკმაყოფილებელ შედეგებს არ მიიღებდა.

მეორეს მხრივ ასეთივე მუშაობა უნდა ეწარმოებიათ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებსაც, ვინაიდან ეს საკითხი იქაც ასევე მწვავედ იდგა: ამ დროისთვის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში საკონცენტრაციო მუშაობა უკვე ჩატარებული იყო თითქმის და სახელმწიფო არქივთსაცავებში უკვე დაგროვილი იყო დიდძალი საარქივო მასალა, რომელიც სასწრაფო აღრიცხვასა და აღწერას მოითხოვდა. თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკაში ამ საკითხის დამუშავება ცალკე, რუსეთისაგან დამოუკიდებლად, აუცილებელი იყო იმ გარემოებასთან დაკავშირებითაც, რომ თვითეულ ამ რესპუბლიკაში თავისებური პირობები არსებობდა.

საბჭოთა რესპუბლიკებიდან განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი ამ საკითხისადმი გამოიჩინა უკრაინამ, სადაც, უნდა ითქვას უკრაინელ არქივისტების სასახელოდ, საერთოდ მეტად ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის დარგში. ჯერ კიდევ 1926 წელს, სრულიად უკრაინის საარქივო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეთა 1-ლ ყრილობაზე, რომელიც მოწვეული იყო ხარკოვში, უკრაინის ცენტრალურმა საარქივო სამართველომ ეს საკითხი, როგორც ერთ-ერთი აკტუალური საკითხთაგანი, შეიტანა ყრილობის უწყებაში და მით ფართე მსჯელობის საგანი გახადა. ყრილობაზე ამ საკითხის შესახებ სპეციალური მოხსენება იყო გაკეთებული კიევის ძველ საბუთთა არქივის გამგის პროფ. ვ. რომანოვსკის მიერ, რომელმაც საკითხის თეორიული მხარის გაშუქებასთან ერთად, პრაქტიკული წინადადებების სახით, წამოაყენა აღწერათა გარკვეული სისტემა. მოვიყვანთ ვ. რომანოვსკის მოხსენების მთავარ თეზისებს [1].

1. საარქივო აღწერა სამ მიზანს ისახავს: ა) საარქივო მასალების დაცვას, ბ) ცნობების მოძებნის გაადვილებას და გ) საარქივო მასალების სამეცნიერო მიზნით გამოყენებას.

2. საარქივო აღწერა შეიძლება იყოს სამი სახის: ა) საინვენტარო, ბ) სამეცნიერო და გ) ე. წ. „მიმოხილვა".

3. საინვენტარო აღწერის მიზანია საარქივო მასალების დაცვა და ამიტომ იგი ძირითად აღწერად უნდა ჩაითვალოს. იგი შეიცავს: ა) ერთეულის სახელწოდებას, ბ) თარიღს, გ) საარქივო ნომერს, დ) ფურცლების რაოდენობას და ე) შენიშვნას მასალის მდგომარეობის შესახებ.

4. სამეცნიერო აღწერას ახასიათებს საარქივო მასალების ნიშნების სისტემატიზაცია და მათი სამეცნიერო ღირებულების გამოაშკარავება. იგი დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ამიტომ სამეცნიერო აღწერის შედგენას წინ უნდა უსწრებდეს აღწერის დაწვრილებითი გეგმის შედგენა.

5. სამეცნიერო აღწერა სდგება საარქივო ფოხდის ინდივიდუალურ თავისებურებასთან შეფარდებით. სამეცნიერო აღწერის დროს დასაშვებია კლასიფიკაციის სხვადასხვა მეთოდი, შინაარსისა და ქრონოლოგიურ ნიშნების მიხედვით, იგი შეიძლება ვრცელი და მოკლე იყოს დასახულ მიზანთან დაკავშირებით. სრული სამეცნიერო აღწერა შეიცავს ხელნაწერის ვრცელ შინაარსსა და მის გარეგნულ მხარეების ზუსტ აღწერილობას. სამეცნიერო აღწერა განკუთვნილია გან-

---

[1] ჩვენ ხელთ გვაქვს ყრილობაზე ჩვენ მიერ შედგენილი კონსპექტი ვ. რომანოვსკის მოხსხნებისა და აგრეთვე მისი მოხსენების თეზისები, რომელიც დამზადებული იყო ყრილობის დელეგატებისათვის. ეს თეზისები მოყვანილი გვაქვს ჩვენს ანგარიშშიც: საარქივო აღმშენებლობის ძირითადი პრინციპები უკრაინაში (იხ. „საქართველოს არქივი" წიგ. I).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებულ მნიშვნელობის ფონდებისა და ცალკე კოლექციებისათვის.

6. აღწერის შემდგენელი გაცნობილი უნდა იყოს იმ დაწესებულების ისტორიასა და კომპენტენციასთან, რომლის ფონდის აღწერასაც ადგენს. უმთავრესად აღწერის შემდგენელის მიერ შესწავლილი უნდა იყოს ფონდის გარეგნული ისტორია და ეს უკანასკნელი ამა თუ იმ სახით შეტანილი უნდა იყოს აღწერაში.

7. მეტად სასურველია სამეცნიერო აღწერას წამძღვარებული ჰქონდეს წინ საარქივო ფონდის საერთო დახასიათება, დაწესებულების სახელწოდებისა და კომპენტენციის აღნიშვნით. იქვე უნდა აღინიშნოს საარქივო ფონდის ქრონოლოგიური მიჯნები, კანონები და ინსტრუქციები, რომლის მიხედვით ჰმოქმედებდა დაწესებულება, და აგრეთვე წყაროები დაწესებულების და მის საარქივო ფონდის შესასწავლად.

8. აღწერას საფუძვლად უნდა დაედვას აღსაწერ ერთეულის (საქმის) სათაური, რომელიც გაკეთებულია კანცელარიაში. სათაურის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მაშინ: 1) როდესაც ეს სათაური სრულიად არ უდგება საქმის შინაარსს და 2) როდესაც სათაური ზედმეტად გავრცელებულია. სათაურს საჭირო შემთხვევებში დაერთვის მოკლე ახსნა-განმარტება საქმის არსებითი მხარის შესახებ.

9. „მიმოხილვა“ არის ცდა საარქივო მასალების შინაარსის დახასიათებისა ძირითად ჯგუფების მიხედვით. „მიმოხილვის“ უმთავრეს თავისებურებას წარმოადგენს სუბიექტივიზმი.

10. „მიმოხილვა“, სამეცნიერო აღწერის მსგავსად, შეიძლება იყოს მოკლე და ვრცელი. ორივე სახის აღწერა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როდესაც საინვენტარო აღწერა უკვე შედგენილია.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ პროფ. ვ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი ს მიერ წარმოდგენილ აღწერათა სისტემა არ წარმოადგენს სრულიად ახალ რამეს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ძველ, რევოლიუციის წინადროინდელ პრაქტიკასთან ამ დარგში. პირიქით, პროფ. ვ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი ს მიერ ფართედ გამოყენებულია ეს პრაქტიკა: სამივე სახის აღწერებს, როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვქონდა, ძველი პრაქტიკა კარგად იცნობდა. მაგრამ პროფ. ვ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი ს ღვაწლი ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ მან ძველ პრაქტიკაში ცნობილ სხვადასხვა ტიპის აღწერებიდან უფრო სრულქმნილი აღწერები ამოარჩია, მათში ზოგიერთი კორექტივები (შემადგენელ ელემენტების მხრივ) შეიტანა და მთლიან სისტემაში ჩამოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალიბა. ამ მხრივ პროფ. ვ. რომანოვსკის პროექტი, შედარებით რსფსრ ცენტრარქივის „სახელმძღვანელოში“ წარმოდგენილ აღწერის სისტემასთან, დიდი პროგრესი და წინსვლა იყო. რა თქმა უნდა, ვ. რომანოვსკის პროექტშიც ბევრი მომენტი უგულებელ ყოფილი იყო და მას ყველა შემთხვევები გათვალისწინებული არ ჰქონდა, მაგრამ იგი გარკვეულ თვალსაზრისს, გარკვეულ მეცნიერულ პრინციპზე დამყარებულს, შეიცავდა და, მაშასადამე, ამ საკითხის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან წინსვლას წარმოადგენდა.

პროფ. ვ. რომანოვსკი საარქივო აღწერათა და აღწერილობათა საკითხს შემდეგშიც შეეხო. 1926 წელს ხარკოვში გამოცემულ თავის შრომაში „Нариси з архівознавства“-ში მან კიდევ უფრო ვრცლად გააშუქა ეს საკითხი და თავის მიერ 1926 წელს საარქივო მოღვაწეთა ყრილობაზე გამოთქმულ აზრში თითქოს ოდნავი ცვლილებებიც შეიტანა [1]. აქ ვ. რომანოვსკი სამი ტიპის აღწერის (საინვენტარო, სამეცნიერო და მიმოხილვა) ნაცვლად, შესაძლებლად სთვლის გამოყენებულ იქნეს მასალის ხასიათისა და აღწერის დანიშნულების მიხედვით: ა) მარტივი (ჩვეულებრივი) ინვენტარი, ბ) ვრცელი აღწერა, გ) აღწერა საინტერესო ადგილების აღნიშვნით, დ) სისტემატიური მიმოხილვა და ე) საინვენტარო აღწერა. მაგრამ ამათ გარდა მას დასაშვებად მიაჩნია სხვა სახის აღწერებიც; აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რა მიზანი ექნება აღწერას და როგორი ხასიათის იქნება აღსაწერი საარქივო მასალა. „ამით არ ამოიწურება, ამბობს ვ. რომანოვსკი, აღწერების ყველა შესაძლებელი ფორმები—შეიძლება იყოს ვარიაციები, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანი აქვს აღწერას და რა ხასიათი აქვს აღსაწერ მასალას“-ო [2].

კერძოდ ლიტერატურულ ხასიათის კრებულებისა და ძველ ხელნაწერთა კოლექციებისათვის ვ. რომანოვსკის საჭიროდ მიაჩნდა რამოდენიმედ განსხვავებულ სახისა და ტიპის აღწერის, ხმარება. ასეთ აღწერაში უნდა შესულიყო: ა) საბუთის ან ძეგლის სახელწოდება (სათაური) და რაობა, ბ) თარიღი, გ) მასალის აღწერილობა, რომელზედაც დაწერილია ძეგლი, დ) ზომა ანუ ფორმატი, ე) დამწერლობა, ვ) ფურცლების რაოდენობა, ზ) ძეგლის წარმოშობა, ᲗᲘ) ჭვირნიშნები, თ) ორნამენტი, ი) მინიატიურები, ია) ხელრთვა, იბ) მელანი

[1] იხ. В. Романовський, Нариси з архівознавства, გვ. 141 და შემდეგი.

[2] Ibid. გვ. 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საღებავი, იგ) ლიტერატურული სტილი, იდ) არაპირდაპირი და არა უშუალო თარიღები, იე) შემდეგდროინდელი ჩანართები და მინაწერები, ივ) ყდა—ყდის მასალა, ლითონის სამკაულები, ყდაზე გაკეთებული ამონაბეჭდები, ფურცლების შეჭრილობა და სხვა[1].

აღწერათა სხვადასხვა ტიპების დასახელებასთან ერთად ვ. რომანოვსკი ამ თავის შრომაში ცდილობს საკითხის ისტორიული მხარეც შედარებით წინანდელთან უფრო ფართედ გააშუქოს, მას მოჰყავს მრავალი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ და რა ფორმით ხდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში საარქივო აღწერების შედგენა. კერძოდ მას დაწვრილებით გაშუქებული აქვს კიევის არქივში ძველ აქტების აღწერის პირობები და ისტორია. მაგრამ ვ. რომანოვსკის აქ თვით თავისი საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე არ აქვს გადმოცემული საჭირო სიცხადითა და რელიეფობით. აღწერათა და აღწერილობათა საკითხის ვრცელ მიმოხილვაში თითქოს არა სჩანს ვ. რომანოვსკის საკუთარი სისტემა აღწერებისა. მართალია, ვ. რომანოვსკი სხვადასხვა აღწერათა სისტემების დახასიათების დროს გზადაგზა იმასაც აღნიშნავს, თუ რომელ მათგანს რა აქვს დადებითი და, მაშასადამე, მისაღები, მაგრამ მას მოცემული არა აქვს აღწერათა მთლიანი სისტემა, როგორც ეს 1926 წ. საარქივო მოღვაწეთა ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში იყო წარმოდგენილი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ვ. რომანოვსკის 1927 წლის, ე. ი. Нариси з архівознавства"-ში გამოთქმულ შეხედულებას, მის პირვანდელ შეხედულებასთან[2] შედარებით, ახასიათებს ნაკლები გარკვეულობა და ნაკლები სიზუსტე.[3] მაგრამ მის მიერ საკითხის დაყენება არქივთმეცნიერების პრინციპების თვალსაზრისით და მეთოდოლოგიურადაც არსებითად მაინც სწორად უნდა ჩაითვალოს. ვ. რომანოვსკის შეხედულების ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საარქივო აღწერა სასტიკად შეფარდებული უნდა იყოს ერთის მხრივ საისტორიო მასალის ხასიათთან, ხოლო მეორეს მხრივ იმ მიზანთან, რომელსაც ისახავს ესა თუ ის აღწერა. ამავე დროს მას აუცილებლად მიაჩნია ყველა არქივისათვის ისეთი აღწერის შედგენა, რომლის და-

---

[1] Ibid. გვ. 145.

[2] ვგულისხმობთ 1926 წელს საარქივო მოღვაწეთა ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში გამოთქმულ აზრს (იხ. ზემოთ).

[3] 1926 წელს ყრილობაზე გამოთქმულ მოსაზრებასა და 1927 წელს გამოცემულ „Нариси з архівознавства"-ში გამოთქმულ აზრს შორის სხვა მხრივ არსებითი განსხვავება არც არსებობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნულებას არქივალიების აღრიცხვა და დაცვა შეადგენს. ასეთ აღწერად იგი საინვენტარო აღწერას სთვლის და ეს საინვენტარო აღწერა, მისი აზრით, ყველა დანარჩენ სახის აღწერებს საფუძვლად უნდა დაედვას. ყოველ შემთხვევაში უდავოა ის გარემოება, რომ ვ. რომანოვსკის მიერ აღწერათა საკითხის ასე ფართედ შესწავლამ ხელი შეუწყო ამ საკითხის უფრო სისრულით დამუშავებას.

პარალელურად ამ საკითხის დამუშავება უკრაინაში პრაქტიკულ ფარგლებში ამავე დროს სწარმოებდა თვით ცენტრარქივის წიაღშიც. ხანგრძლივი მუშაობისა და საკითხის პრაქტიკულად შესწავლის შემდეგ უკრაინის ცენტრარქივი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საარქივო მასალების დაწვრილებითი და ვრცელი აღწერა არსებულ პირობებში, როდესაც მრავალი მასალა უბრალოდ აღრიცხული და მოწესრიგებული არ არის, მცირე გამონაკლისის გარდა, შეუძლებელია. აღწერის ძირითადი მიზანია—საარქივო მასალების დაცვა და ამ მასალების მასაში სწრაფი ორიენტაციის პრაქტიკული მოთხოვნილება. ამიტომ უკრაინის ცენტრარქივის აზრით საჭირო იყო სხვადასხვა დანიშნვების სამი ძირითადი ტიპის აღწერის შემოღება[1].

პირველი ტიპის აღწერის დანიშნულება მასალების უბრალო აღრიცხვა და ორიენტიროვკის გაადვილება უნდა ყოფილიყო. ასეთ აღწერაში უნდა შესულიყო შემდეგი ძირითადი ცნობები აღსაწერ მასალის შესახებ: ა) საარქივო ფონდის სახელწოდება, ბ) ქვე-ფონდის სახელწოდება, გ) საქმის ნომერი (საკანცელარიო და რიგის), დ) ქრონოლოგიური მიჯნები, ე) ზომა ყდის მიხედვით, ვ) ფონდის დაცულობის საერთო დახასიათება.

მეორე ტიპის აღწერის მიზანი ფონდის შინაარსისა და თვითეულ საქმის სახელწოდების ფიქსაცია უნდა ყოფილიყო. ეს აღწერა ძირითად აღწერად იყო განკუთვნილი. იგი უნდა შემდგარიყო შემ-- დეგი პუნქტებისაგან: ა) საარქივო ფონდის სახელწოდება, ბ) ქვეფონდის სახელწოდება, გ) საქმის შინაარსი საკანცელარიო სათაურისა და საგნის აღნიშვნით, დ) თარიღები, ე) თვითეულ საქმის ფურცლების რაოდენობა, ვ) საქმის ნომერი (საკანცელარიო და რიგის), ზ) ანბანური მაჩვენებელი, თ) საქმის დაცულობა.

დასასრულ, მესამე ტიპის აღწერა წარმოადგენდა უფრო ვრცელ და სრულ აღწერას. უკრაინის ცენტრარქივის აზრით, თანამედროვე პირობებში ამ აღწერის გამოყენება არ შეიძლებოდა მცირე გამონაკლისის გარდა, რადგან იგი მაღალ კვალიფიკაციის აღმწერსა და

[1] В. Романовський, Нариси з архівознавста, зз. 154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრ დროს მოითხოვდა. ასეთი აღწერა ჰგულისხმობდა შემდეგ მომენტებს: ა) საარქივო ფონდის შემქმნელ დაწესებულების მოკლე ისტორიას, ბ) თვით საარქივო ფონდის ისტორიას, გ) თვითეულ საქმის დაწვრილებითი შინაარსს (თვითეულ საქმეზე გვერდნახევარის მანძილზე), დ) მთავარ საბუთების შინარსიდან ამონაწერებს, ზოგჯერ მათ ტექსტს მთლიანად, ე) თარიღს, ვ) საქმის ნუმერაციას (საკანცელარიო და რიგის ნომერი), ზ) თვითეულ საქმის ფურცლების რაოდენობას, ᲗᲘ) ანბანურ მაჩვენებელს[1].

ამ სამი სახის აღწერის გარდა უკრაინის ცენტრარქივი შესაძლებლად სცნობდა, როგორც აღწერის ერთ-ერთ სახეს, მეოთხე ტიპის აღწერასაც, რომელიც უახლოვდებოდა ჩვენ მიერ ზემოდ დახასიათებულ და რუსეთის პრაქტიკაში ცნობილ „მიმოხილვას". ეს აღწერა, თავისი ძირითადი თვისებების მიხედვით, წარმოადგენდა სუმარულ აღწერას. მასში უნდა შესულიყო: ა) არქივის ისტორია, ბ) ამ არქივში დაცულ სარქივო ფონდების ისტორია, გ) თვითეულ სარქივო ფონდის ისტორია ცალ-ცალკე, დ) თვითეულ ფონდის საქმეების შინაარსის საერთო მიმოხილვა ჯგუფების მიხედვით, ე) საარქივო ფონდების ქრონოლოგიური მიჯნები[2].

ამრიგად უკრაინის ცენტრარქივმა თითქოს ჯამი გაუკეთა უკანასკნელ წლების განმავლობაში წარმოებულ მუშაობას და ზემოდ დასახელებულ სისტემის სახით საკმაოდ ჩამოაყალიბა დასმული საკითხის პრაქტიკული მხარე.

მაგრამ უკრაინის ცენტრარქივი ამით არ დაკმაყოფილდა. მან ამის შემდეგაც განაგრძო თავისი მუშაობა ამ მიმართულებით და ამ სისტემის დამუშავებიდან ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1928 წელს, პროფ. ვ. ვერეტენიკოვის უშუალო მონაწილეობით, შეადგინა და გამოსცა კიდეც გარკვეულ სისტემაზე შედგენილი სანიმუშო აღწერები.[3] ეს აღწერები საკმაოდ განსხვავდებიან ზემოდ დახასიათებულ აღწერებიდან შემადგენელ ელემენტების მიხედვით; დამუშავების მხრივაც მეტის ზედმიწევნილობით და სიზუსტით ხასიათდებიან. მაგრამ არსებითად, ძირიდადი პრინციპების მიხედვით, ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე სისტემასთან გვაქვს საქმე.

1928 წელს გამოცემულ „სანიმუშო აღწერებში" მოცემულია სამი ტიპის აღწერა: აღწერა № 1, № 2 და № 3, როგორც უკრაი-

---

[1] Ibid. გვ. 154.
[2] Ibid. გვ. 154.
[3] Примірні описи, 1928 წ., ხარკოვი. თვით აღწერები შედგენილია სწავლულ არქივისტების ნ. გრიბინისა და ო. ნასონოვას მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის პირობებში ამჟამად შესაძლებელი ფორმის აღწერები, და მეოთხე ტიპის აღწერა, როგორც მომავალში შესაძლებელი ფორმის აღწერა. ოთხივე ტიპის აღწერა ერთ პრინციპზეა დამყარებული, ხოლო თვითეული მათგანი ერთ-მეორის განვითარებასა და გაღრმავებას წარმოადგენს. ასე, მეორე ფორმის აღწერა პირველის გაღრმავებას წარმოადგენს, ხოლო მესამე—მეორე აღწერის განვითარებას, მეოთხე აღწერა კიდევ საფუძვლად მესამე აღწერას ჰგლისხმობს. მაგრამ ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ თვითეული მასალა ჯერ ერთი ფორმით უნდა აღიწეროს, შემდეგ მეორეთი, მესამეთი და მეოთხეთი. პირიქით, დასახელებული სისტემა ჰგულისხმობს თვითეულ ფონდისათვის ერთ რომელიმე ამ ფორმათაგანის გამოყენებას. ფორმა № 1, უკრაინის ცენტრარქივის აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საბოლოო აღწერა, ფრიად უმნიშვნელო ფონდებისათვის; ფორმა № 2 —რევოლიუციის წინადროინდელ დაწესებულებათა ფონდებისათვის; და ფორმა № 3—ისეთი ფონდებისათვის, რომლებიც დაზიანებული არიან[1].

აღწერების ყველა ფორმები წარმოდგენილია დახაზულად რუბრიკების მიხედვით. პირველი ფორმის აღწერა შეიცავს სამ რუბრიკას: ა) შესანახ ერთეულის წელიწადს, ბ) შესანახ ერთეულის ძველ ნომრებს (ამავე გრაფაში უნდა იყოს დაწესებულების განყოფილებათა სახელწოდებაც) და გ) შენიშვნებს მასალების დაცულობისა, ან სხვათა შესახებ.

მეორე ფორმის აღწერა შეიცავს შემდეგ ცნობებს: ა) შესანახ ერთეულის ნომერს რიგზე, ბ) შესანახ ერთეულის ძველ ნომრებს, გ) შესანახ ერთეულის სათაურს (აქვე უნდა იყოს დაწესებულების განყოფილებათა სახელწოდება და შესანახ ერთეულის წელიწადი), დ) შესანახ ერთეულის შედგენის დაწყების დროს, ე) დამთავრების დროს, ვ) ფურცლების რაოდენობას და ზ) შენიშვნებს. მესამე ფორმის აღწერა შეიცავს ამავე რუბრიკებს იმ განსხვავებით, რომ „გ“ რუბრიკაში შესანახ ერთეულის სათაურის ნაცვლად, აქ უნდა იყოს შინაარსი.

მთავარი განსხვავება მეორე და მესამე „ფორმებს“ შორის იმაში მდგომარეობს, რომ მეორე ფორმაში არქივისტი შესანახ ერთეულის (საქმის) სათაურს სწერს უშუალოდ კანიდან ისე, როგორც შეუდგენიათ ეს სათაური თავის დროზე კანცელარიაში, ხოლო მესამე ფორმაში ასეთი ძველი სათაურები მოყვანილია ფრჩხილებში ახალ

[1] Примірні ошиси, პროფ. ვ ე რ ე ტ ე ნ ი კ ო ვ ი ს შესავალი წერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათაურის შემდეგ, რომელსაც ადგენს თვით არქივისტი საქმის შინაარსის გაცნობის შემდეგ. ახალ სათაურისათვის შემოღებულია მოთხრობითი ფორმა.

საქმეების ძველ ნუმრების შეტანის დროს პირველ ფორმაში შეიტანება ყველა ნომერი, რომელიც გაკეთებულია საქმის კანზე, ხოლო მეორე და მესამე ფორმების შევსების დროს უნდა არჩეულ იქნეს ის ნუმერაცია, რომელიც უფრო სრულად წარმოადგენს ფონდის შემადგენლობას. ჩაწერის დროს აშკარა შეცდომა და კანცელარიის ორთოგრაფია უნდა შესწორდეს, მაგრამ სტილის შესწორება და კომენტარიების გაკეთება დასაშვებია მხოლოდ არქივისტების მიერ შედგენილ სათაურებში. თუ საქმეს რამდენიმე თარიღი აქვს (ე. ი. თუ მისი წარმოება რამოდენიმე წელიწადს გრძელდებოდა), იგი ჩაიწერება პირველი წლის მიხედვით სათანადო გრაფაში, ხოლო შემდეგი წლების საქმეების ჩაწერის დროს აღინიშნება ამ საქმის ნომერი და ადგილი, სადაც ეს საქმე ჩაწერილია.

ყოველი საარქივო ფონდის აღწერის წინ, სამივე ფორმაში, უნდა აღინიშნოს საარქივო ფონდის სახელწოდება და შემდგენელის ახსნა-განმარტება აღწერის მეთოდის შესახებ. მეორე და მესამე ფორმაში კიდევ ამას გარდა მოყვანილი უნდა იყოს საარქივო ფონდის მოკლე ისტორია და ცნობები ფონდის შემქმნელ დაწესებულების სტრუქტურისა და ამ სტრუქტურაში წლების სიგრძეზე მომხდარ ცვლილებების შესახებ. მთავარი მოთხოვნილება სამივე ფორმის შედგენის დროს მდგომარეობს იმაში, რომ აღსაწერი მასალები ფონდის ფარგლებში დაყოფილი იყოს ქრონოლოგიურ პერიოდების (წლების) მიხედვით, ქრონოლოგიური პერიოდი — ქვე-ფონდების მიხედვით, ხოლო თვითეულ ქვე-ფონდის ფარგლებში ქრონოლოგიურ წესთან ერთად დაცული იყოს რიგი კარცელარიის ძველ ნუმერაციის მიხედვით.

მეოთხე ფორმის აღწერის ნიმუში „სანიმუშო აღწერებში" მოცემული არ არის, მაგრამ პროფ. ვ ე რ ე ტ ე ნ ი კ ო ვ ი თავის შესავალ წერილში საკმაოდ ვრცელ განმარტებას იძლევა ამ აღწერის შესახებ ამის მიხედვით ჩვენც შეგვიძლია ცხადი წარმოდგენა ვიქონიოთ მის შესახებ. ნიმუში მოყვანილი არ არის იმიტომ, რომ უკრაინის ცენტრარქივს ჯერჯერობით შეუძლებლად მიაჩნია ამ ფორმის აღწერის შემოღება თავის საარქივო დაწესებულებათა პრაქტიკაში. ეს აღწერა წარმოადგენს, როგორც ვამბობდით, მესამე ფორმის აღწერის განვითარებასა და გაღრმავებას. ძირითადი განსხვავება მათ შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმაში მდგობარეობს, რომ მეოთხე ფორმაში საქმის მოკლე შინაარსის ნაცვლად მოცემული უნდა იყოს საქმის ვრცელი შინაარსი, ციტატებისა და ამონაწერების მოყვანით და მას, როგორც აუცილებელი დამატება, დართული უნდა ჰქონდეს საგნობრივი და სახელობითი მაჩვენებლები. ასე რომ მეოთხე ფორმის აღწერა საბოლოოდ უნდა შესდგებოდეს შემდეგი ელემენტებისაგან: ა) საარქივო ფონდის შემქმნელ დაწესებულების ისტორია ძირითად ეტაპებში, ბ) საარქივო ფონდის ისტორია, გ) თვითეულ შესანახ ერთეულის შინაარსის ვრცელი მოთხრობა, დ) მნიშვნელოვანი საბუთებიდან ამონაწერები, ციტატები და სხვა, ე) თარიღები, ვ) შესანახ ერთეულების ნომრები, ზ) სახელობითი და საგნობრივი მაჩვენებლები [1].

როგორც ვხედავთ, დასახელებულ აღწერებიდან პირველი ფორმის აღწერა წამოადგენს ყველაზე უფრო მარტივსა და უბრალო აღწერას: იგი არსებითად შესანახ ერთეულების ნუმრული სიაა, უსათაუროდ. ამ სახის აღწერას რევოლიუციის წინადროინდელი პრაქტიკა, როგორც ვნახეთ, არ იცნობს და ამდენადვე ის აღწერის ახალ ტიპს წარმოადგენს. მეორე ფორმის აღწერა შედარებით პირველთან უფრო რთულია და თავის ძირითად თვისებებში მოგვაგონებს ძველ რუსეთისა და საქართველოს პრაქტიკაში ცნობილ ე. წ. „საკანცელარიო აღწერას". მესამე ფორმის აღწერა არსებითად სამეცნიერო აღწერაა: მის დანიშნულებას, უეჭველია, მკვლევარისათვის დახმარების აღმოჩენა შეადგენს. მაგრამ იგი ამ მხრივ სავსებით ამომწურავ ცნობებს არ შეიცავს საარქივო მასალის შესახებ და მხოლოდ მის ძირითად მომენტების ფიქსაციას წარმოადგენს. მესამე ფორმის აღწერა უახლოვდება ჩვენ მიერ ზემოდ მოხსენებულ ე. წ. „ვრცელ ინვენტარს". დასასრულ, მეოთხე ფორმის აღწერა, რომელიც თავის მიზნად საარქივო მასალების შინაარსისა და მათი ისტორიული ღირებულების გამოაშკარავებას ისახავს, ცხადია, უაღრესად სამეცნიერო აღწერას წარმოადგენს. თავის მთავარ თვისებებში ეს აღწერა უახლოვდება ცნობილ „სახალხო განათლების სამინისტროს არქივის აღწერილობას" [2].

უკრაინის არქივის მიერ შემუშავებულმა და უკვე პრაქტიკაშიც შემოღებულმა ზემოდ დახასიათებულმა სისტემამ მიუხედავად დიდი ღირსებისა, მაინც ვერ ჰპოვა სრული თანაგრძნობა და

---

[1] **Примірні описи**, პროფ. ვერეტენიკოვის შესავალი წერილი.

[2] **Описание Архива М. Н. П.**, პროფ. ს. პლატონოვისა და ნიკოლაევის რედაქციით, **1917** წ. პეტროგრადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწონება საბჭოთა ქვეყნების საარქივო მუშაკებში, კერძოდ რუს არქივისტებში. „სანიმუშო აღწერების“ გამოცემის იმავე წელს მოსკოველ არქივისტმა ი. გოლუბცოვმა რსფსრ ცენტრარქივის ორგანო „საარქივო საქმეში“ ვრცელი კრიტიკული წერილი მიუძღვნა ამ სისტემას და, დადებითი მხარეების აღნიშვნასთან ერთად, მრავალი მისი უარყოფითი მხარეებზედაც მიუთითა[1].

„აღწერების“ უმთავრეს ნაკლად არქივისტი ი. გოლუბცოვი სთვლის ზოგიერთი მომენტების უგულებელყოფას, თვითეულ სახის აღწერისათვის მოცემულ ფორმების შეუსაბამობას განკუთვნილ დანიშნულებასთან და აგრეთვე პრაქტიკულ დარიგებისა და ახსნა-განმარტებების სინაკლულეს. „აღწერები“ არ იძლევა პასუხს, ამბობს ი. გოლუბცოვი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს აღმწერი მაშინ, როდესაც მას ხელთ აქვს ძველი „ჩასაბარებელი სიები“ აღსაწერი ფონდისა, ან როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ფორმა კერძო ფონდის მასალების აღწერის დროს და სხვა. არ არის განმარტებული აღწერა № 3 უნდა იყოს გამოყენებული 1917—1921 წ. წ. ყველა მასალებისათვის, თუ არა“-ო. და განაგრძობს: „აღწერების ავტორებს ერთი სიტყვა არა აქვთ ნათქვამი საბარათო აღწერებზე: დასაშვებია თუ არა მათი ხმარება, მისაღებია, თუ არა საბარათო აღწერები, როდის და როგორ არის საჭირო ასეთი აღწერებით სარგებლობა“ [2] და სხვა.

შემდეგ, ი. გოლუბცოვი არა მიზანშეწონილად სთვლის აღწერა № 1-ის საბოლოო აღწერად მიჩნევას, თუნდაც ნაკლებ მნიშვნელოვან ფონდებისათვის. ყოველგვარი აღწერა ჰგულისხმობს ფონდის წინასწარ გარჩევას, ხოლო ფონდის გარჩევა ჰნიშნავს მის შინაარსის გაცნობას და ამიტომ „რაციონალური არ არის, ამბობს ის, უკვე მოპოებული ცნობები ამ ფონდის საქმეების შინაარსის შესახებ მეხსიერებიდან წარვხოცოთ“ და აღწერაში არ შევიტანოთო. მისი აზრით საჭირო იყო საქმეების ნუმრულ სიას, რომელსაც წარმოადგენს აღწერა № 1, დართოდა მასალების სუმარული დახასიათება ერთგვარ ჯგუფების მიხედვით და მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა აღწერა № 1 ჩათვლილიყო საბოლოო აღწერად ზოგიერთი ფონდებისათვის. [3]

---

[1] Архивное Дело, 17, 1928 წ. მოსკოვი.

[2] Ibid. გვ. 74.

[3] Ibid.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. გოლუბცოვს სრულიად დაუშვებლად მიაჩნია აღწერის შედგენა კანცელარიის სათაურების მიხედვით, ამ სათაურის შინაარსთან შეუჯერებლად, როგორც ეს გათვალისწინებულია უკრაინის ცენტრარქივის დასახელებულ გამოცემაში (მეორე ფორმა). „ეს —უბრალოდ საშუალებისა და დროის დაკარგვაა, ამბობს ის, და სწორედ არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ სააღწერო მუშაობა ამა თუ იმ ნაწილში გამეორებულ იქნეს, ვინაიდან მეორე ნომერ აღწერის დროს ნაგულისხმევია დაწესებულების სტრუქტურისა და ამ სტრუქტურის ცვლილებების შესახები ცნობების მოთავსება“-ო. საქმის შინაარსის გაცნობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას კანი არ ექნება, როგორც ეს „აღწერებშია“ ნაჩვენები, მისი აზრით, აღწერილობას აჭრელებულ ხასიათს მისცემს: აღწერის შინაარსის ნაწილი შეფერებული იქნება, ხოლო ნაწილი—არაო.[1]

არც ის გარემოება მიაჩნია ი. გოლუბცოვს მისაღებად, რომ მესამე სახის აღწერაში ჯერ საქმის შინაარსი უნდა იყოს მოყვანილი, ხოლო შემდეგ კანცელარიის სათაური. მისი აზრით გაცილებით უმჯობესი იქნება პირუკუ, ე. ი. თუ ჯერ ძველი სათაური იქნება მოყვანილი, ხოლო შემდეგ შინაარსი, ვინაიდან ეს გაადვილებს აღწერებით სარგებლობას ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ეს უფრო ლოგიკურიც იქნება აღწერის შინაარსის გაღრმავების თვალსაზრისითო.

დასასრულ, ი. გოლუბცოვი ვერ ჰხედავს არსებითი განსხვავებას მეორე და მესამე ფორმის აღწერებს შორის და ამიტომ მისი აზრით შეიძლებოდა და უფრო მიზანშეწონილიც იყო ორივე ამ აღწერების გაერთიანება.[2]

მეორეს მხრივ ი. გოლუბცოვი, როგორც ვამბობდით, აღნიშნავს უკრაინის ცენტრარქივის საარქივო აღწერების სისტემის დადებითი მხარეებსაც. ამ სისტემის მთავარ ღირსებად ი. გოლუბცოვს მიაჩნია ის გარემოება, რომ მას საფუძვლად ერთი გარკვეული და მყარი პრინციპი უდევს. ეს პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სისტემა ჰგულისხმობს აღწერების შედგენას საარქივო ფონდის მთლიანობისა და დაუშლელობის დაცვით. მთლიანად ეს სისტემა, ამბობს გოლუბცოვი, „გამოდის სწორ წინნამძღვარებიდან, იგი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ფონდის მთლიანობისა და დაწესებულების სტრუქტურის პატივისცემის იდეით... იძლევა

[1] Ibid. გვ. 35.

[2] Ibid. გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკულ მოქმედებისათვის გარკვევით დამუშავებულ ხაზს და, როგორც რთული საკითხის გარკვეული ფორმულიროვკა, უეჭველად დიდ სარგებლობას მოუტანს საარქივო საქმის იმ დარგს, რომელსაც იგი ემსახურებაო". [1]

ი. გ ო ლ უ ბ ც ე ვ ი ს დასახელებულ წერილში გამოთქმული საფუძვლიანი მოსაზრებები, საარქივო აღწერათა სისტემის საკითხს, რა თქმა უნდა, მაინც არ სწყვეტდენ, რადგან ეს მოსაზრებები უკრაინის საარქივო აღწერების სისტემის მხოლოდ კორექტივებსა და ნაწილობრივ უარჰყოფას წარმოადგენდენ, ხოლო მის სანაცვლოდ ი. გ ო ლ უ ბ ც ო ვ ს სხვა რომელიმე სისტემა არ წარმოუდგენია. მაგრამ ი. გოლუბცოვის შენიშვნები, ისევე როგორც თვით უკრაინის ცენტრარქივის „სანიმუშო აღწერები", ძვირფასი მასალა და მაგალითი იყო რუსეთის ცენტრარქივისათვის, რომელიც როგორც ვთქვით, „სახელმძღვანელოს" გამოცემის შემდეგაც განაგრძობდა ამ საკითხის შესწავლას და აღწერების უფრო სრულქმნილ სისტემის დამუშავებას.

მართლაც, როგორც ქვემოდ დავინახავთ, რუსეთის ცენტრარქივმა უკრაინის ცენტრარქივის მიღწევები ამ დარგში ფართედ გამოიყენა და 1929 წელს საარქივო მოღვაწეთა მეორე ყრილობაზე აღწერათა ისეთი სისტემა წამოაყენა, რომელიც ძირითად თვისებებში ძალიან უახლოვდება უკრაინაში შემუშავებულ სისტემას. ყრილობაზე რუს არქივისტ ა. რ ა ხ ლ ი ნ ა ს მიერ წარმოდგენილი იყო საგანგებო მოხსენება ამ საკითხის შესახებ შემდეგ თემაზე: „აღწერების ფორმები". თავის მოხსენებაში არქივისტი ა. რ ა ხ ლ ი ნ ა, ცდილობდა წამოეყენებია გარკვეული პრაქტიკული თვალსაზრისი. თუმცა რ ა ხ ლ ი ნ ა ს მიერ საკითხი ვიწრო ფარგლებში იყო ჩაყენებული და უკრაინის „სანიმუშო აღწერებთან" შედარებით არსებითად ახალს არაფერს შეიცავდა, მაგრამ იგი ამისდა მიუხედავად, ჩვენთვის ზოგიერთ ინტერესს მოკლებული არ არის და ამიტომ მოვიყვანთ ამ მოხსენების მთავარ თეზისებსაც:

1. საარქივო აღწერა სწარმოებს, როგორც საარქივო მასალების აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, ისე აგრეთვე თვითოეულ შესანახ ერთეულის შინაარსის საუკეთესოდ გამოაშკარავების მიზნითაც.

2. პრაქტიკა ამტკიცებს აღწერილობის ფორმათა და მეთოდთა არაჩვეულებრივ მრავალ სახეობას. ჰოლანდელი არქივისტები, საფრანგეთისა და ინგლისის არქივების პრაქტიკა იძლევა ამის საუკეთესო მაგალითს. მაგრამ ძველი რუსეთის საარქივო პრაქტიკაც ასე-

[1] Ibid. გვ. 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად მრავალფეროვნებითა და მრავალ სახეობით ხასიათდება. ეგი იცნობს სამი ტიპის აღწერას: ა) „საკანცელარიოსა", ბ) შემოკლებულ საინვენტაროსა და ვ) სამეცნიერო აღწერას.[1]

3. თანამედროვე პრაქტიკა სარგებლობს სამი ტიპის აღწერებით: ა) სუმარული აღწერებით, ბ) მოკლე საინვენტარო აღწერებით და გ) ვრცელი საინვენტარო აღწერებით.

4. სუმარული აღწერა წარმოადგენს წმინდა საალრიცხვო აღწერას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: ა) საარქივო მასალის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, ბ) შესანახ ერთეულების ჯგუფების დასახელებას (დაწესებულების განყოფილებათა და ქვე-განყოფილებათა მიხედვით, ან პირადი ფონდებისათვის სხვა ნიშნების მიხედვით), გ) შესანახ ერთეულების რაოდენობას, დ) შენიშვნას, სადაც აღინიშნება მასალის შენახვის ადგილი.

5. მოკლე საინვენტარო აღწერის მთავარ და აუცილებელ ელემენტებს უნდა შეადგენდეს: ა) საარქივო ნომერი, ბ) საქმისწარმოების ნომერი, გ) შესანახ ერთეულის სახელწოდება საკანცელარიო სათაურის მიხედვით, დ) შესანახ ერთეულის დასაწყისი და ბოლო თარიღები, ე) ფურცლების რაოდენობა.

6. ვრცელი საინვენტარო აღწერები, შესანახ ერთეულის სახელწოდების ნაცვლად, იძლევიან შინარსს და საკმაოდ ვრცელ არქეოგრაფიულ ცნობებს.

7. აღწერილ საქმეებით სარგებლობის გაადვილების მიზით, შეიძლება ვრცელი საინვენტარო აღწერის მიხედვით შედგენილ იქნეს ფონდის სისტემატიური აღწერილობა ისე, რომ ეს აღწერილობა დაკავშირებული იყოს ფონდის მიმოხილვისა და დახასიათების შედგენასთან.

---

[1] თუ რამდენად მრავალფეროვანი იყო ძველი რუსეთის საარქივო პრაქტიკა ამ დარგში და რამდენად ძნელია, ამასთან დაკავშირებით, სხვა და სხვა ტიპის აღწერათა სწორი კლასიფიკაცია, სჩანს იქიდანაც, რომ არქივისტი ა. რ ა ხ ლ ი ნ ა ამ პრაქტიკაში არჩევს ზემოდ დასახელებულ სამი ტიპის აღწერებს, მაშინ როდესაც არქივისტი ვ. ვ ე რ ე ტ ე ნ ი კ ო ვ ი ს აზრით რუსეთის პრაქტიკა იცნობდა ოთხი ტიპის აღწერას: 1) „Памятная книжка Моск. арх. м. ю.-"ს ტიპის აღწერას, 2) „საკანცელარიო აღწერას", 3) ვრცელი საკანცელარიო აღწერას და 4) დაწვრილებით აღწერას (იხ. Примірні описи, პროფ. ვ ე რ ე ტ ე ნ ი კ ო ვ ი ს შესავალი წერილი); არქივისტი ვ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი ამ რიცხვს უფრო ამრავლებს (იხ. მისი Нариси з архівознавства); ხოლო ი. გ ო ლ უ ბ ც ო ვ ი ს ა და სხვების აზრი ამის შესახებ კიდევ სხვანაირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. როგორც ვრცელ საინვენტარო აღწერასა, ისე სისტემატიურ აღწერილობას აუცილებელია დაერთოს მაჩვენებლები: ანბანური, გეოგრაფიული და საგნობრივი[1].

ა. რ ა ხ ლ ი ნ ა ს მიერ ყრილობაზე წარმოდგენილ „აღწერების ფორმებსა“ და უკრაინაში შემუშავებულ „სანიმუშო აღწერებს“ შორის, როგორც ვხედავთ, დიდი განსხვავება არ არის. პირიქით, მათ შორის ბევრი მგავსებაა: ა. რ ა ხ ლ ი ნ ა ს „სუმარული აღწერა“ წარმოადგენს უკრაინაში პირველ ნომერ ფორმად ცნობილ აღწერას იმ განსხვავებით, რომ ა. რ ა ხ ლ ი ნ ა ს აღწერაში შესანახ ერთეულების ყველა ძველი ნომრები ჩამოთვლილი არ არის, არამედ აღნიშნულია მხოლოდ საერთო რაოდენობა ამ ერთეულებისა, ხოლო შენიშვნის გრაფაშიც ნაგულისხმევია საარქივო მასალის შენახვის ადგილის დასახელება, ნაცვლად მასალის გარეგნულ მდგომარეობის აღნიშვნისა, როგორც ეს უკრაინის პირველ ნომერ აღწერაშია გათვალისწინებული; „მოკლე საივენტარო აღწერას“-ა და უკრაინის მეორე ნომერ აღწერას შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ არსებობს; ხოლო „ვრცელი საინვენტარო აღწერა“ უკრაინის მესამე ნომერ აღწერისაგან განსხვავდება უმთავრესად მით, რომ იგი საკმაოდ ვრცელ არქეოგრაფიულ ცნობებს შეიცავს, რაც მაინც და მაინც არ ახასიათებს უკრაინის მესამე ნომერ აღწერას.

ა. რ ა ხ ლ ი ნ ა ს მოხსენებამ მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც ვამბობდით, ვიწრო ფარგლებში იყო მოქცეული, საკმაო ინტერესი გამოიწვია ყრილობაზე. ყრილობაზე დამსწრე არქივისტებმა მრავალი საყურადღებო შესწორებები და შენიშვნები შეიტანეს რ ა ხ ლ ი ნ ა ს „აღწერების ფორმებში“, მაგრამ საარქივო აღწერების სისტემის საბოლოოდ დამუშავება, საკითხის წინასწარ არა სათანადოდ დამზადების გამო, ყრილობებზე მაინც მოუხერხებელი შეიქნა. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ რ.ს.ფ.ს.რ. ცენტრარქივს დავალებული აქვს ა. რ ა ხ ლ ი ნ ა ს მოხსენებაში წამოყენებული თეზისები ზედმიწევნით დაამუშაოს და საკითხი ფართედ გააშუქოს საარქივო ლიტერატურაში[2].

ამ ჟამად, რამდენადაც ვიცით, ყრილობის დადგენილების თანახმად, რუსეთის ცენტრარქივში საბოლოოდ ჰმუშავდება ეს საკითხი და მოკლე ხანში ამ მუშაობის შედეგებიც ალბად გამოირკვევა: მიმდინარე წელს გადაწყვეტილია გამოიცეს, 1922 წელს გამცემულ „სახელმ-

[1] Бюллетень Ц.А.У. РСФСР, 8, გვ. 10.

[2] Архивное Дело, 18, 1929 წ. გვ. 109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვანელოს“ ნაცვლად, ახალი სახელმძღვანელო საარქივო მუშაკებისათვის, სადაც საარქივო აღწერათა და აღწერილობათა საკითხიც, უნდა ვიფიქროთ ჰპოებს თავის საბოლოო გადაჭრას რუსეთის არქივებისათვის[1].

* * *

აღწერათა და აღწერილობათა საკითხი საბჭოთა საქართველოში

რუსეთისა და უკრაინის მსგავსად, რევოლიუციის შემდეგ საქართველოშიც ბუნებრივად უფრო მწვავედ უნდა დასმულიყო საკითხი საარქივო მასალებისთვის აღწერათა და აღწერილობათა შედგენის შესახებ. მაგრამ მთელ რიგ ობიექტურ პირობების გამო ჩვენში ამ საკითხის დაყენება და შესწავლაც ერთობ დაგვიანდა. 1925 წლამდე საქართველოს ცენტრალური საარქივო სამართველო გამაგრძელებელი შეიქნა იმ პრაქტიკისა, რომელიც 1917 წლის რევოლიუციამდე არსებობდა ჩვენში ამ დარგში:[2] აღნიშნულ დრომდე საქართველოს ცენტრარქივის ყველა არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში აღწერა სწარმოებდა ჩვენ მიერ ზემოდ დასახელებულ, ე. წ. საკანცელარიო აღწერის მიხედვით და ამ დრომდე ცენტრარქივში ამ საკითხისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია.

1926 წელს ცენტრარქივის საინსპექტორო-საინსტრუქტორო განყოფილებაში (აწ არქივთმცოდნეობის განყოფილებაში), საარქივო საქმისა და არქივთმოწყობის სხვა საკითხებთან ერთად, საარქივო აღწერების საკითხიც წამოიჭრა. ამ დროისთვის უკვე სავსებით ცხადი შეიქნა ის გარემოება, რომ პრაქტიკაში შემოღებული ე. წ. „საკანცელარიო აღწერა“ (ახალი საბუთებისათვის) და პრიმიტიული „რეესტრი“, რომელიც ძველ საბუთების აღსაწერად იხმარებოდა[3], არ შეეფერებოდა იმ დანიშნულებას, რომელიც საარქივო აღწერებს ჰქონდათ დაკისრებული, და რომ ამ გარემოებასთან დაკავშირებით საჭირო იყო უფრო რაციონალური ტიპის საარქივო აღწერის შემოღება ხმარებაში. მეორეს მხრივ ცხადი იყო ისიც, რომ ამ დროს, არსებულ პირობების გამო, როდესაც მრავალი საარქივო ფონდი

[1] ამის შესახებ ჩვენ ცნობა მიღებული გვაქვს მოსკოველ არქივისტი ვ. დ ო მ ბ რ ო ვ ს კ ი ს ა გ ა ნ.

[2] საქართველოს სხვა არქივთსაცავებშიც (მუზეუმების ხელნაწერთა განყოფილებებშიც) საისტორიო მასალების აღწერა, თუ ასეთი სწარმოებდა, სწარმოებდა იმავე მეთოდით, როგორც რევოლიუციამდე.

[3] ეს რეესტრი შემოღებული იყო ცენტრარქივში 1925 წელს ძველ საბუთთა ფონდის გაჩენის შემდეგ და შეიცავდა სამ ელემენტებს: ა) რიგის ნომერს, ბ) საბუთის მიმცემს და გ) თარიღს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ სრულიად აწეწილ-დაწეწილ და ქაოტიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რთულ სამეცნიერო აღწერის შემოღება არა მიზანშეწონილ და თანაც შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, მდგომარეობა იყო ისეთი, რომ ცენტრარქივს უნდა შეემუშავებია ისეთი ტიპის აღწერა, რომელიც ერთის მხრივ დიდ დროსა და განსაკუთრებულ კვალიფიკაციას არ მოითხოვდა, ხოლო მეორეს მხრივ, ხელნაწერის მთავარი მომენტების ზუსტად ფიქსაციით, პირველ ხანებში მაინც მეცნიერულ მოთხოვნილებისათვისაც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა.

საინსპექტორო-საინსტრუქტორო განყოფილებამაც გაითვალისწინა ეს გარემოება და საკითხის შესწავლისათვის წინასწარი მუშაობის ჩატარების შემდეგ, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იმ ჟამად ჩვენთვის საკმარისი იყო მხოლოდ საინვენტარო აღწერების შემოღება. ამ საინვენტარო აღწერებს უნდა შეეცვალათ „საკანცელარიო აღწერები“ ისტორიულ არქივებში და „რეესტრები“—ძველ საბუთთა არქივში. მაგრამ საინვენტარო აღწერა ახალი საბუთებისათვის[1] სხვანაირი უნდა ყოფილიყო, ხოლო საინვენტარო აღწერა ძველ საბუთებისათვის[2] კიდევ—სხვანაირი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ აღწერებს, საერთოდ, ვითარცა საინვენტარო აღწერებს, მთავარ მიზნად საარქივო მასალების აღრიცხვა და დაცვა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ამავე დროს ისინი „საკანცელარიო აღწერასა“ დ „რეესტრთან“ შედარებით უფრო სრული უნდა ყოფილიყვნენ და მათ, როგორც ვთქვით, სამეცნიერო მოთხოვნილების ნაწილობრივ დაკმაყოფილება მაინც უნდა შესძლებოდათ. განყოფილებამ შეიმუშავა კიდეც ასეთი საინვენტარო აღწერების ფორმები: ერთი—ახალ საბუთებისათვის (საქმებისათვის), ხოლო მეორე—ძველ საბუთებისათვის.

ახალ მასალებისათვის განკუთვნილი ინვენტარი შეიცავდა შემდეგ რუბრიკებს: ა) საარქივო და საქმისწარმოების ნომრებს, ბ) თარიღებს—დაწყებისა და დასასრულის, გ) შინაარსს საკანცელარიო სათაურის მიხედვით, დ) ფურცლების რაოდენობას და ე) შენიშვნებს, სადაც ჩაიწერებოდა ცნობები საქმის ადგილყოფისა და დაცულობის შესახებ. თვითეული ფონდი უნდა აღწერილიყო ცალკ-

---

[1] იგულისხმება საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგდროინდელი მასალები.

[2] ძველ ხელნაწერ წიგნების აღწერის საკითხი ამ დროს ჯერ კიდევ არ იდგა, რადგან ასეთ წიგნების ფონდი მეტად პატარა მოცულობისა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე ქრონოლოგიური რიგის დაცვით. აღწერის დროს ფონდის დანაწილება დაწესებულების სტრუქტურის მიხედვით ნაგულისხმევი არ იყო. აღწერას უნდა დართოდა საკუთარ სახელებისა და საგნობრივი მაჩვენებლები.

ძველ საბუთებისათვის შემუშავებული ინვეტარი შეიცავდა რვა ელემენტს: ა) საბუთის ნომერს რიგზე, ბ) საბუთის რაობას, გ) მიმცემის ვინაობას, დ) მიმღების ვინაობას, ე) თარიღს, ვ) დასახელებას მასალისას, რომელზედაც დაწერილია საბუთი, ზ) ცნობას იმის შესახებ, საბუთი დედანია თუ პირი და თ) შენიშვნას საბუთის გარეგნულ დეფექტების შესახებ. ეს აღწერაც ჰგულისხმობდა თვითეული ფონდის (კოლექციის) ცალ-ცალკე ფიქსაციას. თვითეულ ფონდის შიგნით ან ქრონოლოგიური ან კიდევ ტოპოგრაფიული პრინციპი უნდა ყოფილიყო დაცული, იმისდამიხედვით, თუ რომელი მათგანი უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ფონდის ინდივიდუალურ თავისებურებას და ხასიათთან დაკავშირებით.

ორივე სახის ინვეტარები, მოწონების შემდეგ, შემოღებულ იქნა პრაქტიკაში და ამ დროიდან საქართველოს ცენტრარქივის არქივთსაცავებში ამ ინვეტარების მიხედვით დაიწყო კიდეც აღწერების შედგენა. მაგრამ ამით ცენტრარქივს, რასაკვირველია, არ შეეძლო საკითხი მოგვარებულად და გადაჭრილად ჩაეთვალა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საინვეტარო აღწერები საერთოდ საარქივო მასალების დამუშავების უკანასკნელ სტადიად არ გამოდგებოდენ და, მაშასადამე, საჭირო იყო საინვენტარო აღწერის შემდეგ უფრო რთული აღწერის შედგენა; ხოლო მეორეს მხრივ იმიტომაც, რომ ახლად შემოღებული საინვეტარო აღწერები თავის დანიშნულებისთვისაც არა სავსებით შეფარდებულ და უნაკლო გამოდგენ: პრაქტიკამ ცხადჰყო თანდათანობით, რომ შემოღებულ ინვენტარებში ზოგიერთი კორექტივებისა და დამატებების შეტანა აუცილებელი იყო. ასე რომ ამ ჟამად უნდა დასმულიყო საკითხი არა მარტო ამა თუ იმ სახის აღწერის ცალკე დამუშავების შესახებ, არამედ საარქივო აღწერათა მთლიანი სისტემის დამუშავების შესახებ. ამ სისტემას უნდა გაეთვალისწინებია ყველა კატეგორიის მასალები და მათი აღწერის ყველა სტადიები.

ამიტომ 1927 წელს, ე. ი. ინვენტარების შემოღებიდან ერთი წლის შემდეგ, საინსპექტორო-საინსტრუქტორო განყოფილებამ კვლავ დასვა ეს საკითხი ცენტრარქივის სამეცნიერო საბჭოში. სამეცნიერო საბჭომ საკითხი დასამუშავებლად გადასცა მასთან არსებულ კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიებს: ძველ საბუთთა კომისიას[1] და არქივთმოწყობის კომისიას[2]. ძველ საბუთთა კომისიას უნდა შეემუშავებია ძველ საბუთთა აღწერის წესები, ხოლო არქივთმოწყობის კომისიას—ახალ მასალების აღწერის წესები. საინსპექტორო-საინსტრუქტორო განყოფილებას კიდევ ევალებოდა ამ კომისიების მუშაობის მიხედვით შემდეგში აღწერათა მთლიანი სისტემის პროექტის შედგენა და სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენა.

კომისიებმა კიდევაც დაიწყეს მუშაობა ამ მიმართულებით, მაგრამ ამ ხანებში შექმნილმა მდგომარეობამ შეუძლებელი გახადა ამ მუშაობის ბოლომდე მიყვანა: ამ მდგომარეობასთან დაკავშირებით აუცილებელი შეიქნა ცენტრარქივში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენა, ხოლო მომხდარმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა პირველ რიგში ორგანიზაციულ ხასიათის საკითხებისათვის ზრუნვა, საარქივო აღწერათა საკითხის კი მომავლისათვის გადადება.

მაგრამ ამ ცვლილებების მოხდენამდე ზოგიერთი წინასწარი მუშაობა მაინც ჩატარებულ იქნა: მასალები მოგროვდა, მეზობელ რესპუბლიკათა პრაქტიკის გაცნობა მოესწრო, ჩვენში არსებული პრაქტიკაც შესწავლილ იქნა და სხვ. კერძოდ ძველ საბუთთა კომისიამ მოასწრო ქართულ სიგელ-გუჯრების აღწერის წესების შემუშავება. წესების პროექტი სათანადო ახსნა-განმარტებებით შემუშავებული და წარდგენილი იყო პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ საგანგებო მოხსენებასთან ერთად. თავის მოხსენებაში პროფ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა ქართულ სიგელ-გუჯრების აღწერის აუცილებლობას და ასეთ აღწერისათვის პრაქტიკულ მითითებებსა და წესებს იძლეოდა.

„თავი და თავი სამუშაო, სწერდა ის, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს, საბუთების აღწერილობის შედგენაა. უნდა ტფილისში, ქუთაისში, მყოფი და წიგნთსაცავ-მუზეუმებში დაცული

---

[1] ძველ საბუთთა კომისია დაარსებულ იქნა სამეცნიერო საბჭოს მიერ 1927 წლის მარტის 7-ს. მას ევალებოდა ძველ საბუთების კონცენტრაციისა, დაცვისა და დამუშავების წესების შემუშავება. კომისიაში შედიოდენ: პროფ. ივ. ჯავახიშვილი, გრ. წერეთელი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, სვ. ჯანაშია და გ. ბოჭორიძე (იხ. ცენტრარქივის სამეცნიერო საბჭოს ოქმი № 1 და 2, 1927 წ. 7 მარტი).

[2] არქივთმოწყობის კომისიაც დაარსდა 1927 წ. მაისის 7-ს. მას ევილებოდა საარქივო საქმის ტეხნიკის საკითხების დამუშავება. კომისიაში შედიოდენ: შ. ჩხეტია, მ. პოლიევკტოვი, მ. დიაკონენკო, ვ. მანგოლდტი და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა საბუთები, როგორც დედნად შენახული, ისევე გარდანაწერის სახით, თვით მე-XIX ს. პირებიც კი, რომელნიც რუს. მთავრობისაგან დაწესებული ქართული საბუთების შემმოწმებელი კომისიის მიერ შედგენილ წიგნებშია შეტანილი, ან დეპუტატთა საკრებულოებისა და სინოდის კონტორის არქივებში მოიპოვება, სათითაოდ აიწეროს შემდეგი წესით: თვითეული საბუთის აღწერილობა ცალკე ფურცელზე იყოს მოთავსებული. საბუთის აღსაწერად განკუთვნილი ფურცლის ტექსტის კითხვები საქმის დასაჩქარებლად სასურველია ლითოგრაფიულად დაიბეჭდოს. თვითეული ფურცელი შემდეგ შესავსებ კითხვას უნდა შეიცავდეს: 1) საბუთის მიმცემი, 2) მიმღები, 3) რაობა (მაგ. წყალობის წიგნი და სხვ.), 4) თხრობა, 5) თარიღი, 6) დამწერი, 7) ხელრთვა, 8) ბეჭედი (შეკიდული, მურისა), 9) მასალა (ეტრატი, ქაღალდი და მათი დახასიათება), 10) დამწერლობა, 11) დედანია, თუ გარდანაწერი ძველი, თუ მე-XIX ს. 12) სად არის დაცული და №“.[1]

პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს საჭიროდ მიაჩნდა ამნაირადვე დაბეჭდილ (გამოცემულ) საბუთების აღწერაც, მხოლოდ ასეთ საბუთების აღწერის დროს, მისი აზრით, „თხრობის“ მოყვანა საჭირო არ იყო; სამაგიეროდ დაბეჭდილ საბუთების აღწერაში „გამოცემის სათაური, წიგნის რიგობითი რიცხვი და გვერდი“ უნდა ყოფილიყო აღნიშნული.

თვითეული ასეთი შევსებული ფურცელი უნდა ჩაჰბარებოდა ერთ პირს, რეგისტრატორს, რომელსაც შემოსული ფურცლები, საბუთების მიმცემისა და რაობის მიხედვით, ანბანის რიგზე და ქრონოლოგიურად ცალ-ცალკე ჯგუფებად უნდა დაეწყო, რათა „საჭიროებისამებრ ყოველი საბუთის შესახები ცნობის მოძებნა აღმწერელთათვის ადვილი“ ყოფილიყო. ამ მასალების მიხედვით შემდეგში მწიგნობართა და მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური საძიებელი უნდა შემდგარიყო, რათა „ამ საშუალებით უთარიღო საბუთების ზედმიწევნით დათარიღება“ შესაძლებელი ყოფილიყო. დასასრულ, პროფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით ამ აღწერებით „მოპოვებული უხვი და საყურადღებო მასალის დამუშავებისა და თვით საბუთების გამოქვეყნების ინსტრუქცია“ საგანგებოდ უნდა დაწერილიყო, ხოლო ამისთვის მას აუცილებელ პირობად მიაჩნდა ამ მუშაობის მონაწილეების მიერ ქართული დიპლომატიკისა და მისი ტერმინოლოგიის ზედმიწევნითი ცოდნა.

[1] იხ. ძველ საბუთთა არქივში პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მოხსენება 1927 წ. აპრილის 11-ს თარიღით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ივ. ჯავახიშვილის აღწერის მოყვანილი პროექტი განხილულ იქნა ძველ საბუთთა კომისიაში 1927 წლის ივნისის 11-ს. კომისიამ მოიწონა კიდეც ეს პროექტი და საჭიროდ სცნო მისი შემოღება ყველა სიძველეთსაცავებში, სადაც კი დაცული იქნებოდა ძველი საბუთები[1]. მაგრამ ზემოდ აღნიშნულ გარემოების გამო ამ პროექტს შემდეგი მსვლელობა ვერ მიეცა და, მაშასადამე, ცხოვრებაშიც ვერ გატარდა.

ძველ საბუთთა კომისიისა და არქივთმოწყობის კომისიის მუშაობა ცენტრარქივის მიერ ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობის უკანასკნელი ეტაპი იყო. ამის შემდეგ ამ საკითხზე მუშაობას მხოლოდ სპორადიული და შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა უმთავრესად იმის გამო, რომ ცენტრარქივის ყოველდღიური საქმიანობა შეუძლებელს ხდიდა ამ საკითხისთვის მეტი ყურადღების მიქცევას. მაგრამ ასეთი სპორადიული მუშაობის შედეგადაც საქართველოში, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ამ საკითხის დამუშავება მაინც წინ მიდიოდა და საბოლოო გადაჭრას უახლოვდებოდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საარქივო აღწერათა დარგში რევოლიუციის შემდეგ წარმოებული გაცხოველებული მუშაობა საბჭოთა კავშირში, ვითარდებოდა ამ საკითხში მეტი გარკვეულობისა და ერთსახეობის დამყარების ხაზით: ყველგან მუშაობა სწარმოებდა იმ მიმართულებით, რომ მრავალ სხვადასხვა სახისა და ტიპის აღწერათა ნაცვლად ერთი მთლიანი სისტემა შემოეღოთ და ამ სისტემით საარქივო მასალების აღწერის საქმე დაეყენებიათ. ამ მუშაობის შედეგად საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევები და თვალსაჩინო გაუმჯობესებანი გვაქვს საერთოდ, ხოლო განსაკუთრებით კი უკრაინაში, სადაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, მტკიცე პრინციპზე დამყარებული გარკვეული სისტემა აღწერებისა უკვე შემუშავებულია და ხმარებაშიც შემოღებული. კერძოდ საქართველოში ამ საკითხის დამუშავებამ რამდენიმე საფეხურები განვლო და ამჟამად, შეიძლება ითქვას, მის საბოლოდ გადასაჭრელად ნიადაგი სავსებით მომზადებულია.

გადავიდეთ ახლა დასავლეთ ევროპის თანამედროვე პრაქტიკაზე საარქივო აღწერათა დარგში და ვნახოთ, როგორია ეს პრაქტიკა იქ. დავიწყოთ ჰოლანდიიდან, სადაც ამ მხრივ შედარებით საყურადღებო მიღწევებია.

---

[1] იხ. ცენტრარქივში სამეცნიერო საბჭოსთან არსებულ ძველ საბუთთა კომისის 1927 წ. ივნისის 11-ს ოქმი № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

ალწერათა და ალწერილოგათა სისტემები დასავლეთ ევროპაში.

ჰოლანდიის პრაქტიკაში ცნობილია განსაკუთრებით ორი ძირითადი ტიპის აღწერები: 1) ინვენტარი და 2) ე. წ. „რეგესტების სია". ინვენტარი, ვითარცა განსაკუთრებული ტიპის აღწერა, ცნობილია ჩვენშიც და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. მაგრამ ჰოლანდური „ინვენტარი", როგორც ქვემოდ დავინახავთ, არსებითად განსხვავდება სხვა ქვეყნებში ცნობილ ინვენტარებისაგან. ხოლო „რეგესტების სიას", როგორც ვნახეთ, არც ძველი რუსეთისა და არც საბჭოთა ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკა არ იცნობს: ის წარმოშობილია ჰოლანდიის თავისებურ საარქივო პირობებთან დაკავშირებით და ამდენადვე ჰოლანდიის არქივების სპეციფიურ მიღწევას წარმოადგენს.

ორივე სახის აღწერათა დახასიათებასა და თვითეულ მათგანის შემადგენელ ელემენტების აღწერილობას ჩვენ ვპოულობთ ცნობილ ჰოლანდელ ავტორების პროფ. მ ჯ ულ ე რ ი ს ა, ფ ა ი ტ ი ს ა და ფ რ უ ი ნ ი ს, დასავლეთ ევროპაში მეტად პოპულიარულ შრომაში: „სახელმძღვანელო არქივების მოწესრიგებისა და აღწერისათვის"[1]. ამ „სახელმძღვანელოში" ინვენტარის დახასიათებისა და მის შედგენისათვის პრაქტიკულ მითითებებს დათმობილი აქვს ორი (მე-III და IV) თავი, ხოლო „რეგესტების სიის" დახასიათებას—ერთი (V) თავი. მაგრამ „სახელმძღვანელოს" სხვა თავებშიც, როგორც მაგალითად, მეორე ან კიდევ მეექვსე თავში, მოიპოვება საყურადღებო დარიგებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შესდგეს „ინვენტარი" ან „რეგესტების სია". საერთოდ კი ორივე აღწერა საკმაოდ ვრცლად და სისრულით არის სახელმძღვანელოში დახასიათებული და აღწერილი.

ამ დახასიათების მიხედვით ინვენტარი არის მხოლოდ გზის მაჩვენებელი (Wegweiser) არქივში: ის წარმოადგენს საარქივო ფონდის, და არა ცალკე ერთეულის, შინაარსის ზოგად მიმოხილვას. „ინვენტარის" შედგენის დროს, ამბობენ დასახელებულ შრომის ავტორები, უპირველესად ყოვლისა უნდა შევითვისოთ ის ჭეშმარიტება, რომ ინვენტარი უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ გზის მაჩვენე-

[1] პირველად ეს შრომა გამოიცა 1898 წელს ჰოლანდურ ენაზე, 1905 წელს ის გადათარგმნილ იქნა გერმანულ ენაზე, 1908 წელს—იტალიურზე, ხოლო 1910 წელს - ფრანგულზე. ჩვენ ვსარგებლობთ გერმანული თარგმნით (Anleitung zum Ordnen und Beschreiben von Archiven)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებელს. ის უნდა იძლეოდეს საარქივო ფონდის, და არა თვით ქაღალდების, შინაარსის მოკლე მიმოხილვას. ამიტომ ინვენტარის საქმე არ არის თვითეულ საბუთის შინაარსის გადმოცემა, ან კიდევ საარქივო ფონდში ამა თუ იმ პიროვნებისა ან საგნის შესახებ დაცულ ყველა ცნობების მოცემა; ამისთვის არსებობს სხვა საშუალებები: სათაურები (Indices), რეგესტების სიები (Regestenlisten), კატალოგები (Urkundenbücher) და სხვა, რომელნიც არასოდეს არ უნდა შევიდეს ინვენტარის შემადგენლობაში[1]. მაგრამ ინვენტარი უნდა შეიცავდეს მოკლე ცნობებს იმ დაწესებულებისა ან თანამდებობის პირის ფუნქციებისა და ისტორიის შესახებ, რომელმაც შექმნა ინვენტარში შეტანილი საარქივო ფონდი. ეს ცნობები . მოთავსებული უნდა იყოს ინვენტარის ყოველ ძირითად განაკვეთის (Hauptabteilung) თავში. მთავარი მიზანი ამ მოთხოვნილებისა მდგომარეობს იმაში, რომ ფონდის შემქმნელ დაწესებულების შესახებ წინასწარი ცნობების მოცემით გაუადვილდეს მკვლევარს ამა თუ იმ ფონდის საარქივო მასალებით სარგებლობა.[2]

ინვენტარის თვითეული მუხლი უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ცნობებს მასალის შესახებ: ა) ძველ (წინანდელ) სათაურს ან სახელწოდებას, თუ ასეთი მას აქვს; ბ) შინაარსის ზოგად აღწერილობას; გ) წელიწადს ან წლებს, რომლებსაც ქაღალდები ეკუთვნიან; დ) ცნობებს იმ წიგნებისა, ნაკრაულებისა, საბუთებისა ან სიგელ-გუჯრების რაოდენობის შესახებ, რომელთაგან შესდგება ინვენტარის ეს მუხლი; ე) ცნობებს იმ საბუთების შესახებ, რომელნიც ამავე მუხლში არიან შეტანილი, მაგრამ ამ მუხლის შინაარსთან კავშირი არა აქვთ და, ბოლოს, ვ) შენიშვნას მასალის შინაარსისა და ფორმის დანარჩენ მხარეების შესახებ.[3]

ინვენტარის თვითეულ მუხლს უნდა ჰქონდეს რიგის ნომერი, ხოლო იმ მიზნით, რომ ინვენტარის ძირითად ნუმერაციასა და ინვენტარის თვითეულ მუხლში სხვადასხვა საგნის დასახელებისათვის შეტანილ ნუმერაციას შორის განსხვავება უფრო თვალსაჩინო იყოს, უკანასკნელისათვის იხმარება ანბანური ნუმერაცია. ამას გარდა ინვენტარში შეტანილ თვითეულ შესანახ ერთეულსაც (Archivstück) უნდა ჰქონდეს თავის ნომერი — ჯერ დროებითი, ხოლო შემდეგ — მუდმივი. დროებითი ნომერი უნდა გაუკეთდეს ფანქრით, რათა მისი

[1] Müller, Feith und Fruin, Anleitung... გვ. 57.
[2] Ibid. გვ. 88.
[3] Ibid. გვ. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშორება საჭიროების განვლისას ადვილი იყოს. მუდმივი ნომერი კი უნდა გაუკეთდეს მელნით ისე, რომ მისი მოშორება შეუძლებელი იყოს.[1]

ინვენტარს დართული უნდა ჰქონდეს, სარგებლობის გაადვილების მიზნით, საძიებლები (Verzeichnis): ა) პირთა სახელებისა (Personennamen) და ბ) გეოგრაფიული სახელებისა (Ortsnamen). საგნობრივი საძიებლის (Sachverzeichnis) შედგენა სასურველი და სასარგებლოა, მაგრამ მაინც და მაინც აუცილებელი არ არის იმ მოსაზრებით, რომ თავიდან აცილებულ იქნეს სუბიექტური ელემენტი. ავტორების აზრით საგნობრივი მაჩვენებელის ობიექტურად შედგენა ძნელი საქმეა, რადგან ტიპიური სიტყვებისა და იმ საგნების ამორჩევა, რომელიც საგნობრივ საძიებელში უნდა იქნეს შეტანილი, დამოკიდებულია შემდეგენელის შეხედულებაზეო[2].

ჰოლანდელ ავტორებს თავიანთ სახელმძღვანელოში მოცემული აქვთ აგრეთვე ძირითადი პრინციპების დაწვრილებითი დახასიათება და პრაქტიკული მითითებები ინვენტარის შედგენისათვის: ინვენტარის შედგენის დროს დაცული უნდა იყოს ერთი მეთოდი თავიდან ბოლომდე; არქივისტი, ვიდრე ის წიგნებისა და რეესტრების აღწერას შეუდგებოდეს, ვალდებულია გაითვალისწინოს ის მთავარი იდეა, რომლითაც ხელმძღვანელობდენ თავის დროზე მათი შემდგენელნი; ინვენტარი შეფარდებული უნდა იყოს საარქივო ფონდის პირვანდელ ორგანიზაციასთან; ინვენტარის შედგენის დროს არქივისტს უნდა ახსოვდეს, რომ ძველ საბუთებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ახალს, და რომ ამის გამო ის ვალდებულია პირველ შეთხვევაში უფრო დაწვრილებით აღწეროს შესანახი ერთეული; ჯერ უნდა აღიწეროს სერიები და წიგნები, ხოლო შემდეგ—ცალკე საბუთები; თვითეული საარქივო ფონდი უნდა ცალკე აღიწეროს ინვენტარში; თვითეულ ერთეულის აღწერა უმჯობესია შესდგეს წინდაწინ ცალკე ფურცელზე; აღწერილ ერთეულს სასურველია გაუკეთდეს სათანადო წარწერა (სათაური) საინვენტარო აღწერის მიხედვით და სხვა.[3]

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდელ არქივისტებს ინვენტარი წარმოდგენილი აქვთ დაუხაზავად, უცხრილოთ. ინვენტარში, ამბობენ ისინი, უნდა ვეცადოთ არ ვიხმაროთ ცხრილი („Tabellen sind in einem Inventar zu vermeiden"), ვინაიდან შეუძლებელია ინვენტა-

[1] Ibid. გვ. 88—90.

[2] Ibid. გვ. 91—92.

[3] იხ. დასახელებული წიგნი, §§ 37—83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის შედგენა ცხრილის სახით. ინვენტარის მოქცევა ცხრილში ისევ ძნელია, როგორც მისთვის პოეტურ ფორმის მიცემაო („es ist ebensowenig möglich ein ganzes Inventar in das Schnürleib einer Tabelle zu zwingen als ihm die Form eines Gedichts zu geben"). ინვენტარის ერთი მუხლის აღწერა ხშირად სხვა ფორმისა და მოცულობის არის, ვიდრე მეორე მუხლის: ერთ მუხლში შეიძლება აღწერილ იქნეს მთელი სერია, ხოლო მეორეში—მხოლოდ ერთი ქაღალდი. და თუ ცხრილის სახით იქნება შედგენილი ინვენტარი, მაშინ ზოგიერთი ცნობები, რომლებიც ცხრილში ვერ ჩაეტევა, უნდა გამოშვებულ იქნას, რაც, რა თქმა უნდა, დაუშვებელიაო[1].

აღწერის მეორე ტიპად, როგორც ვამბობდით, ჰოლანდელ ავტორებს დასახელებული აქვთ ე. წ. „რეგესტების სია" (Regestenliste). „სახელმძღვანელოს" მე § 72 და შემდეგ პარაგრაფებში ავტორებს განმარტებული აქვთ, თუ რა არის „რეგესტების სია", როგორი დანიშნულება აქვს მას და რა განსხვავებაა ინვენტარებსა და რეგესტების სიებს შორის.

საშუალო საუკუნოებში, ამბობენ ისინი, „რეგესტებს" უწოდებდენ ამა თუ იმ ხელისუფლებისაგან გამომდინარე, ან კერძო პირთა მიერ განსაზღვრულ პერიოდის განმავლობაში შედგენილ ყველა აქტების ქრონოლოგიურ სიას; ასეთი სია შეიძლება შეიცავდეს განსაზღვრულ დროის სიგრძეზე გამოცვლილ მეფეებისა, პაპებისა და სხვა ხელისუფალთა სიგელებს; სრულიად მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად ინახება ეს საბუთები: მათი შინაარსი ქრონოლოგიურ სიის სახითაა წარმოდგენილი, აღნიშვნით თუ სად იმყოფება ესა თუ ის სიგელი და პირია, თუ დედანი იგი; მაგრამ რეგესტების ასეთი სია შეიძლება შემოიფარგლოს ერთი საარქივო ფონდის ფარგლებით; სწორედ ამ სახის რეგესტების სია აქვს მხედველობაში „სახელმძღვანელოს". [2]

ავტორები ხაზს უსვამენ „ინვენტარსა" და „რეგესტების სიას" შორის არსებულ განსხვავებას. „რეგესტების სია", ამბობენ ისინი, სრულიად სხვა არის, ვიდრე საარქივო ინვენტარი. შეიძლება რეგესტების შინაარსი შეტანილ იქნეს „ინვენტარში", მაგრამ მაშინ ინვენტარი დაჰკარგავს თავის ხასიათს, ე. ი. არქივიხ ყულაუზის ხასიათს, რომელიც მას მიცემული აქვს „სახელმძღვანელოში". ინვენტარის შემდგენელი სდგას იმ დაწესებულების თვალსაზრისზე, რომლის არქივსაც ის

[1] Ibid. გვ. 61.

[2] Архивное Дело, III—IV, გვ. 98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწესრიგებს, ხოლო „რეგესტების სიის“ შემდგენელი—მკვლევარის თვალსაზრისზე, რომელსაც აინტერესებს საბუთის ისტორიული შინაარსი; „რეგესტების სიაში“ აღნიშნულია ქაღალდების (საბუთების) შინაარსი, ხოლო ინვენტარში—კატეგორია. ინვენტარის ერთ მუხლში (ერთ ნომრის ქვეშ) შეიძლება გაერთიანდეს და აღიწეროს მრავალი საბუთები, ხოლო „რეგესტების სიის“ ერთ მუხლში—მხოლოდ ერთი სიგელი. ინვენტარი იძლევა საარქივო ფონდში დაცულ ყველა მასალების სიას, ხოლო „რეგესტების სია“ წარმოადგენს მხოლოდ მნიშვნელოვან საბუთების (სიგელების) სიას; ინვენტარი არის ქაღალდების სია, „რეგესტების სია“ კი—ფაქტების სია[1].

საარქივო ფონდის, ან მის ნაწილის „რეგესტების სია“ არის ამ ფონდში ან მის ნაწილში, დედნის თუ პირის სახით დაცულ და ქრონოლოგიურ რიგზე დაწყობილ ყველა სიგელების შინაარსის აღნიშვნა. საარქივო ფონდის „რეგესტების სიის“ შედგენის დროს უნდა აიწეროს: ა) ყველა ორიგინალური (დედნის სახით დაცული) სიგელები, ეტრატზე ან ქაღალდზე დაწერილი, ბ) ყველა საბუთები, კარტულარიებში ჩაწერილი, გ) განცალკევებული საბუთები, თუ მათი პირები კარტულარიებში იმყოფება და, თუ ისინი იმგვარივე არიან, როგორც კარტულარიებში შეტანილი სიგელები, ან კიდევ თუ ისინი ეტრატზე არიან დაწერილი, დ) საბუთები, რომელნიც რეესტრებში არიან მოთავსებული in extenso, საბუთები, რომელნიც სხვა საბუთებში არიან შეტანილი და, ბოლოს ის სიგელები, რომელნიც პირების სახით დაცული არიან საარქივო ფონდში[2].

„რეგესტების სია-“ში თვითეული მუხლი უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: ა) საბუთის თარიღს (უთარიღო საბუთებისათვის —დაახლოებით თარიღს, შეძლებისამებრ უფრო ზუსტსა და სწორს), ბ) საბუთის გაცემის ადგილის დასახელებას, გ) ბეჭდების ჩამოთვლას, დ) საბუთის ხასიათის აღნიშვნას (დედანია, თუ პირი, ეტრატია თუ ქაღალდი), ე) სიგელთან მიმაგრებულ ქაღალდების შესახებ შენიშვნას. „რეგესტების სიას“ დართული უნდა ჰქონდეს საძიებლები: ა) პირთა სახელებისა და ბ) გეოგრაფიულ სახელების; სასურველია აგრეთვე „რეგესტების სიას“ დაერთოს ბეჭდების საძიებელი[3].

„რეგესტების სია“ სდგება მხოლოდ ისეთ მასალებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მეცნიერებისათვის. ასეთ

---

[1] Ibid. გვ. 99—100.

[2] Müller, ... Anleitung... § 74, გვ. 102.

[3] Ibid. გვ. 109—110.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალებს წარმოადგენენ ძველი საბუთები. „რეგესტების სია“ წარმოადგენს ამ ძველ საბუთების ქრონოლოგიურ აღწერას. „რეგესტების სიაში“ საბუთი აღიწერება უფრო ვრცლად, ვიდრე ინვენტარში. „რეგესტების სია“ შეიძლება შესდგეს მას შემდეგ, რაც ინვენტარი შესდგება.

ზემოდ მოყვანილი სახეები საარქივო აღწერებისა[1] და წესები ამ აღწერების შედგენისათვის შედეგია იმ სპეციფიური მდგომარეობისა, რომელიც არსებობს ჰოლანდიაში საარქივო საქმის დარგში: აღწერის ფორმებისა და მათი შედგენის წესების თავისებურობა დაკავშირებულია ჰოლანდიაში არსებულ საარქივო პირობების თავისებურებასთან. ეს თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ჰოლანდიის არქივებში, როგორც წესი, ინახება უმთავრესად ძველი საბუთები: სახელმწიფო არქივებში—1813 წლამდე, კომუნალურ არქივებში კიდევ—1851 წლამდე. ხოლო დანარჩენი საარქივო მასალები, ე. ი. უფრო გვიანდელი დროისა ჩვეულებრივად ინახება დაწესებულებებში.[2] ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „სახელმძღვანელოს“ უმთავრესად ძველი საბუთები აქვს მხედველობაში და საარქივო აღწერის წესების დადგენის დროსაც სახელმძღვანელოს ავტორებს ამ ძველი საბუთების, როგორც განსაკუთრებულ ობიექტის, თავისებურება აქვთ გათვალისწინებული. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ეს „სახელმძღვანელო“, როგორც ვამბობდით, მეტად პოპულიარული და ცნობილია დასავლეთ ევროპაში, ის ფორმები და მეთოდი აღწერისა, რომელსაც ჰქადაგებს „სახელმძღვანელო“, უმთავრესად მხოლოდ ჰოლანდიის არქივებისათვის არის გამოსადეგი. და, თუმცა „სახელმძღვანელოს“ მრავალი დებულებები საარქივო აღწერის შედგენის შესახებ საყოველთაოდ გაზიარებული და მიღებულია, მაგრამ დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, საარქივო აღწერების დარგში, არსებითად განსხვავებული მდგომარეობა არსებობს, როგორც ჰოლანდიის პრაქტიკის მიმართ, ისევე აგრეთვე ერთიმეორის პრაქტიკის მიმართაც.

საფრანგეთის პრაქტიკაში, მაგალითად, ცნობილია ოთხი ტიპის აღწერა, ამათგან ორი ინვენტარის სახელწოდებითაა ცნობილი: ერთი წარმოადგენს მოკლე ინვენტარს (l'inventaire sommaire), ხო-

[1] ჰოლანდელ ავტორების დასახელებულ შრომაში მოხსენებულია, როგორც აღწერის ცალკე ტიპი „კატალოგიც“, მაგრამ სამწუხაროდ, იქ მოცემული არ არის ასეთი კატალოგის დახასიათება და ჩვენც ამიტომ მას გვერდს უვლით.

[2] Архивное Дело, III—IV, 1925 წ. გვ. 102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მეორე ვრცელ ინვენტარს. მოკლე ინვენტარი საფრანგეთში ყველაზე უფრო გავრცელებულია და წარმოადგენს საარქივო საბუთების ზოგად მიმოხილვას, განსაზღვრულ ქრონოლოგიურ პერიოდის ფარგლებში, ცალკე საქმეების შინაარსის სუმარული გადმოცემით.[1] იგი შეიცავს შემდეგ ელემენტებს: ა) საარქივო ფონდის სახელწოდებას, ბ) საქმის სათაურს, გ) თარიღს, დ) შესანახ ერთეულების რაოდენობას, ე) განსაკუურებით მნიშვნელოვან საქმეების შინაარსის ანალიზს.[2]

საფრანგეთის საარქივო სამმართველოს მიერ დამუშავებულია დაწვრილებითი წესები ასეთი ინვენტარის შედგენის შესახებ. ეს წესები გათვალისწინებულია, მაგალითად 1905 წელს პარიზში გამოცემულ ცირკულიარში. რომ უფრო ნათელი იყოს მოკლე ინვენტარის ძირითადი დამახასიათებელი მომენტები და მისი შედგენის წესები, მოვიყვანთ ამ ცირკულიარიდან ზოგიერთ მთავარ ადგილებს.

ყველა საბუთები, ნათქვამია ხსენებულ ცირკულიარში, რომელებიც შედიან ნაკრაულის შემადგენლობაში, უნდა აღითვალოს, დაინომროს და აღიწეროს; თვითეულ მათგანის შინაარსის ანალიზს თან უნდა დაერთოს საბუთის მორიგი ნომერი და თარიღი; იმ შემთხვევაში, როდესაც საბუთს თარიღი არა აქვს, ეს გარემოება ცალკე უნდა აღინიშნოს, ხოლო თუ არქივისტს შეუძლია თარიღის აღდგენა, მან ინვენტარში აღდგენილი თარიღი უნდა შეიტანოს. ერთ კატეგორიის საბუთებსა და რეესტრებს, ანალიზის შემდეგ, უნდა გაუკეთდეს საერთო სათაური, რომელიც არ მეორდება ყოველ პარაგრაფის შედგენის დროს. აღწერის თვითეულ პარაგრაფს უნდა დაესვას თავისი სერიის ასო და მორიგი ნომერი, იქვე უნდა აღინიშნოს აღსაწერ ერთეულის ხასიათი (რეესტრი, ნაკრაული), საბუთის რაოდენობა ნაკრაულში, გვერდისა ან ფურცლის რაოდენობა რეესტრში, აგრეთვე ეტრატისა, ქაღალდისა და ბეჭდის რაოდენობაც და სხვა.[3]

უნდა აღიწეროს ყველა საბუთი, მაგრამ მოკლეთ. აკრძალულია ტექსტის აღდგენა in extenso; ტექსტიდან ადგილების მოყვანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია, მაგალითად მაშინ, როდესაც ლაპარაკია ისეთ რამეზე, რაც თანამედრო-

---

[1] В. Романовський, Нариси з архівознавста, გვ. 156.

[2] Примірні описи, პროფ. ვ. ვერეტენიკოვის შესავალი წერილი, გვ. IV.

[3] Ch. Chmidt, Французские архивы и их техническая организаця, Архвное Дело, წიგ. XII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე საგნებსა და მოვლენებს არ მიემსგავსება, და სხვა. საბუთების დუბლიკატები, რომელთა ორიგინალები ინახება არქივში, ან დედანი-შავები, რომელთა თეთრები მოიპოება არქივში,—არ აღიწერებიან, არამედ მხოლოდ მორიგ ნომრის ქვეშ აღინიშნებიან.[1]

მოკლე ინვენტარი საფრანგეთში ჩვეულებრივად იბეჭდება ხოლმე და ასეთი ინვეტარის რამოდენიმე ასეული ტომი უკვე გამოცემულია[2].

„ვრცელი ინვეტარის“ სახელწოდებით ცნობილი აღწერა არსებითად იგივე ელემენტებს შეიცავს, რასაც ზემოდ დახასიათებული მოკლე ინვეტარი იმ განსხვავებით, რომ პირველი უფრო ვრცელ ცნობებსა და უფრო ღრმა ანალიზს იძლევა თვითეულ საბუთის შინაარსის შესახებ, ვიდრე მეორე. ამიტომ მის დახასიათებას ჩვენ აქ არ შეუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ „ვრცელი ინვენტარის“ დამახასიათებელ თვისებებს საბუთების შინაარსის მოკლე ექსცერპტისა, ზოგჯერ კიდევ—რეზიუმესა და ციტატების მოყვანა შეადგენს. ვრცელი ინვეტარის შედგენის მეთოდი და წესებიც, მოკლე ინვეტართან შედარებით, უფრო რთულია: იგი ჰგულისხმობს აღსაწერ ერთეულის შინაარსის ზედმიწევნით ცოდნასა და აღმწერის დიდ გამოცდილებას.

თავისთავად ცხადია, რომ მკვლევარისათვის ეს მეორე ტიპის ინვენტარი გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მოკლე ინვენტარი: ვრცელი ინვენტარი, რაკი ის მასალების შინაარსს უფრო ღრმა ანალიზს უკეთებს, შედარებით მეტ დახმარებას გაუწევს ისტორიკოსს მასალების გამოყენების დროს, ვიდრე მოკლე ინვენტარი. მაგრამ ეს უკანასკნელიც არსებითად იმავე დანიშნულებას ემსახურება: მოკლე ინვენტარი არ წარმოადგენს მასალების უბრალო აღრიცხვასა და მშრალ ფიქსაციას—იგიც, როგორც ვნახეთ, მასალების შინაარსის გამოაშკარავებას ჰგულისხმობს.[3] საერთოდ კი ორივე ტიპის ინვენტარები, თავისი არსებითი თვისებების მიხედვით სამეცნიერო ხასიათის აღწერებს წარმოადგენენ და ასეთი დანიშნულებაც აქვთ.

ამ ორ სახის აღწერებს გარდა, როგორც ვამბობდით, საფრანგეთის პრაქტიკაში ცნობილია კიდევ ორი სახის აღწერა: ერთი არის ე. წ. „ნუმრული კატალოგი“ („répertoire numérique), ხოლო მეო-

---

[1] Ibid. გვ. 105.

[2] В. Романовський, Нариси з архівознаства გვ., 106.

[3] მოკლე ინვენტარებმა, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს ფრანგულ საისტორიო მეცნიერების აღორძინების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე—ე. წ. „სუმარული აღწერა“ (l'etat sommaire). ნუმრული კატალოგი, შედარებით ზემოდ დასახელებულ ინვენტარებთან, წარმოადგენს უფრო მარტივი ტიპის აღწერას; იგი წარმოადგენს, როგორც ფრანგი არქივისტი Ch. Chmidt-ი ამბობს, უფრო ელასტიურ და ადვილ საშუალებას საარქივო მასალების აღწერისათვის[1]. ეს აღწერა საფრანგეთის საარქივო სამმართველოს მიერ შემოღებულია მასალების აღწერის დაჩქარებისა და მათი გამოყენების გაადვილების მიზნით.

„ნუმრული კატალოგი“ შესდგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან: ა) საარქივო ფონდის სახელწოდება, ბ) საქმის სათაური, გ) თარიღი და დ) შესანახ ერთეულების რაოდენობა[2]. ფრანგ არქივისტის Fournier-ს მიერ ერთი ფონდისთვის მოყვანილ მაგალითის მიხედვით „ნუმრულ კატალოგს“ შემდეგნაირი შინაარსი უნდა ჰქონდეს:

I. A. 1. პაპების მიერ ბოძებული პრივილეგიები	1146—1534 წ.წ.
I. A. 2—4. საფრანგეთის მეფეების მიერ ბოძებული პრივილეგიები	1437—1751 წ.წ.
I. A. 5. რესპუბლიკის კანონები	III-V წ.წ.
I. A. 6. სხვადასხვა უფლებები და უპირატესობანი	1432—1757 წ.წ.[3]

როგორც ვხედავთ, „ნუმრული კატალოგი“ მართლაც მეტად მარტივი აღწერაა და მისი შედგენაც ადვილი საქმეა. „ნუმრულ კატალოგის“ მთავარ დანიშნულებას არქივალიების აღრიცხვა და დაცვა შეადგენს. მაგრამ ასეთი კატალოგები ერთგვარ დახმარებას გაუწევენ მკვლევართაც საარქივო მასალების გამოყენების დროს, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც მათ ხელში სამეცნიერო აღწერა არა აქვთ.

დასასრულ, ე. წ. „სუმარული აღწერა“, იგივე Fournier-ს განმარტებით, არის საარქივო ფონდებისა და მის ნაწილების სია[4]. იგი

---

[1] Ch. Chmidt, Архивы... A. D. XII, გვ. 107.

[2] Примірні описи, პროფ. ვერგტენიკოვის შესავალი წერილი.

[3] Архивное Дело, 17, გვ. 30.

[4] რაკი ე. წ. „სუმარული აღწერა“ მხოლოდ ფონდებისა და მის ნაწილების სიას წარმოადგენს, შეიძლება ის, როგორც ჰფიქრობს რუსი არქივისტი ა. გოლუბცოვი, საარქივო აღწერად არც კი ჩაითვალოს (იხ. Архивное Дело, 17, გვ. 30).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიცავს: ა) საარქივო ფონდის სახელწოდებას, ბ) შესანახ ერთეულების რაოდენობას თვითეულ ფონდში და გ) თარიღს, რომელიც განსაზღვრავს ფონდის ქრონოლოგიურ მიჯნებს [1].

ამგვარად, „მოკლე ინვენტარი", „ვრცელი უნვენტარი," „ნუმრული კატალოგი" და „სუმარული აღწერა"—აი საარქივო აღწერების მთავარი სახეები, რომელთაც იცნობს თანამედროვე საფრანგეთის პრაქტიკა. ამათგან ორი პირველი სამეცნიერო ხასიათის აღწერებს წარმოადგენენ და სამეცნიერო მიზნისთვის არიან უფრო განკუთვნილი, ხოლო ორი უკანასკნელი—ელემენტარული ხასიათის აღწერებია და საარქივო მასალებისა და ფონდების აღრიცხვის მიზნისათვის არიან განკუთვნილი.

ინგლისში საქმის მდგომარეობას თუ შევეხებით, უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ იქ არქივთმეცნიერების საკითხები საერთოდ ნაკლებად არის დამუშავებულ-შესწავლილი და საარქივო პრაქტიკაც ერთობ ღარიბი და ერთფეროვანია. კერძოდ საარქივო აღწერების დარგში ინგლისის პრაქტიკა იმდენად უმნიშვნელოა, რომ მასში მისაბაძს მაინც და მაინც ვერაფერს ვიპოვით.

აღწერის ყველაზე გავრცელებულ და ცნობილ ფორმას ინგლისში წარმოადგენს ინვენტარი, რომელიც თავის ძირითად თვისებებში არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივ ინვენტარისაგან, რომლის შესახებ ზემოდ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ასევე გავრცელებულია აგრეთვე რეესტრები, მაგრამ უმთავრესად საშუალო საუკუნოების მასალების აღსაწერად (ინვენტარები იხმარება ახალ დროის საარქივო მასალების აღსაწერად) [2]. აღწერების დროს ხშირია საგნობრივი კლასიფიკაცია, მაგრამ ინდექსები (საბუთების სიები) ჩვეულებრივად ქრონოლოგიურ ან ანბანის რიგზეა ხოლმე შედგენილი. [3].

აღწერის განსაკუთრებულ ფორმას ინგლისის პრაქტიკაში წარმოადგენს ე. წ. Calendar-ი. Calendar-ის შედგენის ინიციატივა ეკუთვნის საარქივო კომისიას, რომელმაც სხვა პროექტებთან ერთად 1800 წელს ამ სახის აღწერების პროექტიც წამოაყენა. Calendar-ი წარმოადგენს ვრცელ კატალოგს, სადაც საბუთები აღწერილია სერიების მიხედვით. საბუთის შინაარსი შეიძლება გადმოცემული იყოს Calendar-ში მოკ-

---

[1] Арх. Дело, 17, გვ. 30.

[2] Примірні описи, პროფ. ვ. ვერეტენიკოვის შესავალი წერილი.

[3] Анна Любименко, Архивы Великобритании в их прошлом и настоящем (Ар. Кур. გვ. 273 და შემდეგ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლედ ან ვრცლად იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღსაწერი საბუთი. ზოგჯერ შინაარსი გადმოცემულია დაწვრილებით და ასეთ შემთხვევაში Calendar-ი შეიცავს საბუთის თითქმის სრულ ტექსტს. „Calendar“ ჩვეულებრივად იბეჭდება და ქვეყნდება, რათა ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს. ასეთი Calendar-ების მრავალი ასეული ტომები უკვე გამოქვეყნებულია და საქვეყნოდ ცნობილია.

ინგლისური Calendar-ების შედგენა დიდ დროსა და ცოდნას მოითხოვს, ხოლო მათი გამოქვეყნება—დიდი თანხებს. მაგრამ სამაგიეროთ მათ დიდი სარგებლობაც მოაქვთ: გამოქვეყნებულ Calendar-ების საშუალებით ინგლისის და სხვა ქვეყნის საზოგადოებას და მკვლევართა ვიწრო წრესაც, ადვილად შეუძლია გაეცნოს ინგლისის ისტორიულ დოკუმენტების შინაარსს. „პუბლიკაციის ასეთი ფორმა, ამბობს პროფ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი, რა თქმა უნდა, სასარგებლოა, როგორც ყოველივე ის, რაც რა სახითაც არ უნდა იყოს, ააშკარავებს საარქივო ფონდის შინაარს; მაგრამ ასეთი Calendars ჩვეულებრივად სუბიექტურია, ხოლო მეორეს მხრით მოითხოვს დიდ საშუალებებს გამოსაქვეყნებლად“-ო[1].

ინგლისში ცნობილ ყველა აღწერებიდან არსებითად სამეცნიერო აღწერას, სამეცნიერო დანიშნულებისათვის განკუთვნილს, წარმოადგენს Calendar, მაგრამ დანარჩენი სახის აღწერებითაც, როგორც მაგალითად, ინვენტარებით (კატალოგებით) ინგლისში ფართედ სარგებლობენ მკვლევარები.

ინგლისის პრაქტიკასთან შედარებით უფრო მდიდარია, ან უკეთ უფრო მრავალფეროვანია გერმანიის არქივების პრაქტიკა. საერთოდ გერმანიის ქვეყნებში, როგორც ვიცით, არქივები და საარქივო საქმე, ორგანიზაციის მხრივ, ერთიან სისტემას უკანასკნელ დრომდე ძალიან დაშორებული იყო, ხოლო ამ გარემოებასთან დაკავშირებით იქ საარქივო ტეხნიკის საკითხებშიც სხვადასხვა მეთოდი და პრინციპი იყო და არის გამეფებული. კერძოდ საარქივო აღწერების დარგში გერმანიის არქივების პრაქტიკაში საკმაო სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე.

მაგრამ ამ სხვადასხვა აღწერებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია სამი სახის აღწერა: 1) ე. წ. საკანცელარიო აღწერა, 2) რეესტრი და 3) ვრცელი აღწერა (Repertorium). საკანცელარიო აღწერას ჩვენ უკვე ვიცნობთ და ამიტომ მას აქ არ შევეხებით. რე-

[1] В. Романовський, Нариси з архівознавства, გვ. 153—154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესტრი ან, როგორც უწოდებენ სხვანაირად, მოკლე ინვენტარი, შეიცავს ოთხ ელემენტს: ა) საარქივო ფონდის სახელწოდებას, ბ) რეგისტრატურის ნომერს, გ) თარიღს და დ) ტოპოგრაფიულ შენიშვნას. ვრცელი აღწერა შეიცავს ყველა იმ ცნობებს, რომელიც აღსაწერ მასალის შინაარსის დასახასიათებლად არის საჭირო. ამათ გარდა გერმანიის არქივებში ძალიან მიღებულია ყოველგვარ მაჩვენებლებისა და საძიებლების (პირთა, გეოგრაფიული სახელების, საგნობრივის) შედგენა.

საერთოდ გერმანიის არქივებში აღწერის შედგენის მეთოდი სასტიკად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხასიათის მასალა არის აღსაწერი. ამ მხრივ იქ განასხვავებენ ერთმანეთისაგან: ა) საბუთებს, ბ) კოდექსებს, გ) საქმეებს, დ) გეგმებს, ე) რუკებს და სხვა [1]. თვითეულ ამ სახის მასალებისათვის განსხვავებული წესია აღწერისა.

საბუთების აღწერა სდგება ცალკე ფურცელზე, რომლის ზომა თაბახ ქაღალდის მეოთხედს უდრის; აღწერა სწარმოებს ფონდის ან ჯგუფის მიხედვით. თვითეულ ფონდისა ან ჯგუფის საბუთების აღწერის შემდეგ ეს ფურცლები გროვდება და ეწყობა ქრონოლოგიურ და ალფაბეტურ რიგზე.

ადმინისტრატიულ და სასამართლო დაწესებულებათა საქმეები ჩვეულებრივად გახვეული არიან ქაღალდის ფურცლებში, რომელთაც გაკეთებული აქვთ ჯარლუყები, სადაც აღნიშნულია საბუთის ნომერი, დაწესებულება, რომელსაც ეს საქმეები ეკუთვნოდენ, თარიღი და მოკლე შინაარსი. რეესტრები სდგება ცალკე ფურცლებზე. აღწერის დასრულების შემდეგ ეს ფურცლები წესრიგში მოიყვანება და გადაიწერება დავთარში.

კოდექსებისთვის სდგება ჯერ რეესტრი, ხოლო შემდეგ—ვრცელი აღწერა, რომელიც შეიცავს ყველა ცნობებს, მათი შინაარსის დასახასიათებლად აუცილებელს. დასასრულ, გეგმები, რუკები და სხვა მისთანანი გამოიყოფიან საქმეებიდან ცალკე და აღიწერებიან ტოპოგრაფიულ პრინციპის მიხედვით [2].

ამრიგად, დასავლეთ ევროპის საარქივო პრაქტიკის შესახებ სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, შეგვიძლია ნათქვამის მიხედვით აღწერების შემდეგი სხვადასხვა ფორმების არსებობა დავადასტუროთ: 1) ინვენტარი და 2) რეგესტების სია—ჰოლანდიაში; 3) მოკლე ინვენტარი, 4) ვრცელი ინვენტარი, 5) ნუმრული კატალოგი და 6)

---

[1] Проф. Д. Самоквасов, Архивное дело на Западе, გვ. 12 და შემდეგი.

[2] Ibid. გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმარული აღწერა—საფრანგეთში; 7) ინდექსი—რეესტრი, 8) ინვენტარი—კატალოგი და 9) „კელინდე"—ინგლისში; 10) საკანცელარიო აღწერა, 11) რეესტრი და 12) ვრცელი აღწერა—გერმანიაში.

აღწერების ყველა დასახელებული სახეები, ძირითადი თვისებების მიხედვით შეიძლება გაიყოს ორ კატეგორიად: ერთ კატეგორიას ეკუთვნიან ყველა ის აღწერები, რომელთა მიზანია არქივალიების აღრიცხვა და დაცვა. ასეთებია, მაგალითად, ინვენტარი, კატალოგი, რეესტრი და სხვა; ხოლო მეორე კატეგორიას—ის აღწერები, რომელთა დანიშნულებას უმთავრესად მკვლევართათვის დახმარების აღმოჩენა შეადგენს, მასალების შინაარსის უფრო ფართედ გამოაშკარავების თვალსაზრისით. ასეთებია, მაგალითად, ვრცელი ინვენტარი, ვრცელი აღწერა, Calendar და სხვა.

თავისდათავად ცხადია, რომ აქ დასახელებულ აღწერებს შორის, თუ კონკრეტ ნიმუშებს ავიღებთ, არა ყოველთვის შეიძლება შესრულების მხრივ ძირითად განსხვავების დადასტურება და, მაშასადამე, არა ყოველთვის შეიძლება მარტო სახელწოდების მიხედვით ამა თუ იმ აღწერის პირველ ან მეორე კატეგორიის აღწერისათვის მიკუთვნება. პირიქით, შეიძლება რომელიმე აღწერა სახელწოდებით ერთ კატეგორიას ეკუთვნოდეს, ხოლო არსებითად—მეორე კატეგორიას, ან კიდევ შეიძლება ზოგიერთ აღწერას წმინდა სარქივო აღწერასა და სამეცნიერო აღწერას შორის საშუალო ადგილი ეჭიროს. მეორეს მხრივ დასავლეთ ევროპის პრაქტიკაში, ისევე როგორც ძველ რუსეთის პრაქტიკაში, ცნობილია მრავალი ვარიანტები აქ დასახელებულ აღწერებისა, ვარიანტები, რომელნიც ან ერთ ფორმას უახლოვდებიან ან კიდევ მეორეს. ასე რომ სინამდვილეში სარქივო აღწერების სხვადასხვა ფორმები და სახეები დასავლეთ ევროპაში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე დასახელებული სახის აღწერები და ამ მხრივ, ე. ი. მრავალფეროვანობისა და მრავალსახეობის მხრივ, დასავლეთ ევროპის პრაქტიკა ამ დარგში, როგორც ვხედავთ, არ ჩამოუვარდება, თუ არ სჭარბობს კიდეც, ძველი რუსეთისა ან საბჭოთა ქვეყნების პრაქტიკას. მაგრამ მთავარი განსხვავება დასავლეთ ევროპასა და საბჭოთა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობებს შორის იმაშია, რომ დასავლეთ ევროპაში საარქივო აღწერების დარგში არსებულ მრავალსახეობის წინააღმდეგ მუშაობაც კი არ სწარმოებს, მაშინ როდესაც საბჭოთა ქვეყნებში, როგორც ვნახეთ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობა უკვე ჩატარებულია და ამ მუშაობის თვალსაჩინო შედეგებიც გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ ახლა ჩვენს საკითხს და გამოვარკვიოთ, როგორი ტიპის საარქივო აღწერებია უფრო რაციონალური და უფრო მისაღები ჩვენთვის. ხოლო ვიდრე ამას გამოვარკვევდეთ, გავითვალისწინოთ, თუ როგორი პირობებია ჩვენში საარქივო აღწერების დარგში, სახელდობრ: რა ხასიათის მასალები და როგორის რაოდენობით არის დაცული ჩვენს არქივთსაცავებში, როგორ მდგომარეობაშია ეს მასალები დამუშავების მხრივ, როგორი პრაქტიკული და მეცნიერული მოთხოვნილება არსებობს ამ მასალებზე და სხვა. ყველა ამ საკითხების გამორკვევა საჭიროა იმიტომ, რომ ამ საკითხებთან, როგორც თავში ვამბობდით, დაკავშირებულია ამა თუ იმ საარქივო აღწერათა სისტემის რაციონალობის აღიარება. დავიწყოთ საარქივო მასალების, როგორც აღწერის ობიექტების, დახასიათებიდან.

5.

მდგომარეობა საქართველოს არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში

დღემდე მოღწეულ და სახელმწიფო არქივთსაცავებში დაცულ საარქივო მასალათა საერთო რაოდენობა საქართველოში დახლოვებითი გამოანგარიშებით 700 სარქივო ფონდს, ან 6.000.000 შესანახ ერთეულს აღემატება. აქედან 500-ზე მეტი საარქივო ფონდი, ან 4.000.000-ზე მეტი შესანახი ერთეული ცენტრალურ, ე. ი. ტფილისის არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებშია თავმოყრილი, ხოლო დანარჩენი, ე. ი. 200-მდე საარქივო ფონდი, ანუ 2.000.000-დე შესანახი ერთეული ადგილობრივ საარქივო ორგანოთა განკარგულებაშია მოქცეული[1].

მთელი ეს მასალა თავისი ხასიათისა და ქრონოლოგიურ ნიშნების მიხედვით ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: ერთს შეადგენენ ის მასალები, რომლებიც შექმნილია საქართველოში უძველეს დროიდან რუსეთთან შეერთებამდე, ე. ი. მე-19 საუკუნემდე; ეს არის ძველი ხელნაწერი წიგნები და სიგელ-გუჯრები, დედნები ან მათი

[1] ეს ანგარიში შედგენილია ცენტრარქივის ერთიან სახელმწიფო სარქივო ფონდის დავთრის მიხედვით. სამწუხაროდ, საქართველოს ცენტრარქივის კარტოთეკა სრული არ არის და ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით ამ დავთარში დაცული ცნობები, უმთავრესათ ადგილობრივი სარქივო ორგანოების განკარგულებაში მყოფ მასალების შესახებ, შეგვევსო იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მოიპოვება ცენტრარქივის კანცელარიის სათანადო (სამაზრო ბიუროების) საქმეებში. ზოგიერთ შემთვევაში, როდესაც ცნობები რომელიმე მაზრის შესახებ სრულიად არ იყო დაცული, ჩვენ მასალების რაოდენობას ვარაუდით ვანგარიშობდით. რაოდენობის მაჩვენებელი რიცხვი ყველგან გამრგვალებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირები. ხოლო მეორე კატეგორიას ეკუთვნიან ის მასალები, რომლებიც გაჩნდენ ჩვენში რუსეთთან შეერთების შემდეგ, ვიდრე დღემდე. ეს არის ის აუარებელი მასალა, რომელიც შექმნილია თვითმპყრობელურ რუსეთის სახელმწიფო აპარატის (ბიუროკრატიულ დაწესებულებათა) მიერ 1917 წლამდე ერთის მხრივ და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ახალ (ჯერ—დემოკრატიულ ხელისუფლების, ხოლო შემდეგ—საბჭოთა ხელისუფლების) დაწესებულებათა მიერ მეორეს მხრივ[1].

პირველი კატეგორიის მასალათა საერთო რაოდენობა ვარაუდით 40.000 ერთეულს აღემატება. აქედან 30.000-დე ან ცოტათი მეტი მხოლოდ სიგელ-გუჯრებია, ან მათი ძველი თუ ახალი პირები, ხოლო დანარჩენი, ე. ი. 9.000-მდე ერთეული—სხვა ძველი ხელნაწერი, სასულიერო ან საერო შინაარსისა. მეორე კატეგორიის მასალათა რაოდენობა, მაშასადამე, უდრის იმ ნაშტს, რომელსაც მივიღებთ ჩვენ მიერ ზემოდ ნავარაუდევ საერთო ჯამიდან, თუ მას გამოვაკლებთ სიგელ-გუჯრებისა და ძველ ხელნაწერთა რაოდენობას. ამრიგად საქართველოს რესპუბლიკის ერთიან სახელმწიფო სარქივო ფონდის მასალათა ძირითად მასას რიცხვობრივად შეადგენს ახალი დროის, ე. ი. საქართველოში მეფობის მოსპობის შემდეგი ხანის საბუთები[2].

ამ ორ კატეგორიის მასალათა შორის განსხვავება, რა თქმა უნდა, მარტო ქრონოლოგიურ ნიშნებსა და რიცხვობრივ სხვაობაზე კი არ არის დამყარებული, არამედ სხვა თვისებაზედაც: თვითეული მათგანი, ვითარცა საარქივო მანიპულაციის ობიექტი, წარმოადგენს სრულიად განსხვავებულ მასალას თავისი გარეგნული ფორმისა და ისტორიული შინარსის მიხედვითაც. სხვა არის ძველი, ქართველი მეფების დროინდელი სარქივო მასალა—ძველი ხელნაწერი წიგნები და სიგელ-გუჯრები და სხვა არის ახალი, რუსეთთან შერთების შემდეგდროინდელი საარქივო მასალა—ჩვეულებრივი საკანცელარიო საქმეები და დავთრები. დავახასიათოთ თვითეული კატეგორია ცალ-ცალკე.

---

[1] თუ როგორ არის ეს მასალა სიძველეთსაცავებს შორის განაწილებული, იხ. ქვემოდ.

[2] ჩვენ, როდესაც საარქივო აღწერებზე ვილაპარაკებთ ქვემოდ, მხედველობაში გვექნება მხოლოდ 1917 წლის რევოლიუციის წინადროინდელი საარქივო მასალა, ვინაიდან რევოლუციის შემდეგდრინდელი მასალა, ვითარცა სარქივო აღწერის ობიექტი, განსხვავდება რევოლიუცის წინადროინდელ მასალისაგან, რომლის აღწერის საკითხიც სდგას ამჟამად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ხელნაწერი წიგნების აბსოლუტური უმეტესობა ქართულ ენაზეა დაწერილი, ხოლო მცირე ნაწილი უცხო (სპარსულ, თურქულ, არაბულ, სომხურ და ბერძნულ) ენებზე. საერთო რიცხვიდან, ერთი ნაწილი დედანია, მეორე კიდევ—გადანაწერი, ამათში ზოგი ორიგინალია, ზოგიც თარგმანი. უმეტესი ნაწილი ქაღალდზეა დაწერილი, ხოლო მცირე ნაწილი—ეტრატზე; არის აგრეთვე ოთხი წიგნი პაპირუსზე ნაწერი[1]. უძველესი ხელნაწერი—პროფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ აღმოჩენილი პალიმფსესტები—მე-6—7-დე საუკუნეს ეკუთვნის. წიგნები იმთავითვე ყდებში ყოფილა გაკეთებული, მაგრამ ზოგიერთს, დროთა ვითარებაში, ყდები გაჰფუჭებიათ და ამ ჟამად ყდა, ზოგჯერ კიდევ ფურცლების ნაწილიც, დაკარგული აქვთ. საერთოდ ხელნაწერ წიგნებს შორის მრავალი დეფექტიანია. პაგინაცია უმეტეს შემთხვევაში გაკეთებული არა აქვთ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ასეთები მოეპოებათ—ზოგჯერ რვეულების მიხედვით, ზოგჯერ კიდევ—ფურცლებისა და გვერდების მიხედვით. ხელნაწერი წიგნები ხშირად მხატვრობითა და მინიატიურებით არის შემკული. დამწერლობის მხრივ ხელნაწერები იყოფა სამ ნაწილად: ასომთავრული, ნუსხახუცური და მხედრული დამწერლობის წიგნები. ზოგიერთი ხელნაწერი წიგნები მთლიან თხუზულებას წარმოადგენს; ზოგიერთი კიდევ—რამდენსამე თხუზულებათა კრებულს. ხელნაწერ წიგნის სახელწოდება, ისევე როგორც დამწერის, ან გადამწერის ვინაობა და დაწერის ან გადაწერის თარიღი, ყოველთვის გამორკვეული არ არის, ან იმის გამო, რომ ასეთი იმთავითვე ხელნაწერში აღნიშნული არ ყოფილა, ან კიდევ იმიტომ, რომ შემდეგში ასეთი ცნობა ხელნაწერის დაზიანების გამო დაკარგულა. შინაარსის მხრივ ხელნაწერები იყოფა ორ მთავარ ნაწილად: ერთს შეადგენენ სასულიერო ხასიათის წიგნები—საეკლესიო წიგნები, წმიდანთა ცხოვრება და სხვა, ხოლო მეორეს—საერო ხასიათის წიგნები (მწერლობა, ისტორია, ფილოსოფია და სხვა).

იგივე ითქმის, სიგელ-გუჯრების შესახებაც ეხისა, საწერ მასალისა, დამწერლობისა და დაცულობის მხრივ: სიგელ-გუჯრების აბსოლუტური უმრავლესობაც ქართულ ენაზეა ნაწერი, ხოლო მცირე ნაწილი უცხო—სპარსულ, თურქულ, არაბულ, ბერძნულ და სომხურ ენებზე; აქაც ნაწილი (უმეტესი ნაწილი) ქაღალდზეა დაწერილი, ნაწილი კიდევ ეტრატზე, არის აგრეთვე რამდენიმე საბუთი ქვაზე

[1] საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კოლექციდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწერი[1]. ნაწილი (უმეტესი ნაწილი) დედანია, ნაწილი კიდევ—პირი. ზოგი სიგელ-გუჯარი დეფექტიანია, ზოგიც კარგად არის დაცული. არის თარიღიანი საბუთი, მაგრამ არის უთარიღოც და სხვა.

მაგრამ ამავე დროს სიგელ-გუჯრები, ვითარცა საარქივო აღწერის ობიექტები, არსებითად განსხვავდებიან ძველ ხელნაწერ წიგნებიდან მრავალი თავისებურებით. უპირველესად ყოვლისა სიგელ-გუჯრები განსხვავდებიან ხელნაწერ წიგნებიდან გარეგნული სახისა და ფორმის მიხედვით; შემდეგ, სიგელ-გუჯრების თვითეული კატეგორია გარკვეული წესის მიხედვით არის დაწერილი და გარკვეულ ნაწილებსაც (თავი, თხრობა, განგებულება, ბრძანებულება, ბრალთგადამხდელობა და კურთხევა, ხელრთულობა, სათვალავი, კრულობითი და მარტივი მოწმობანი) შეიცავს, მაშინ როდესაც ასეთი ხელნაწერ წიგნებს არ ახასიათებს. ამას გარდა სიგელ-გუჯრების ენა და სტილი სრულიად სხვანაირია, ვიდრე ხელნაწერ წიგნებისა და სხვ.

ყველა ეს და სხვა მრავალი განსხვავება და თავისებურობა, რომელიც ახასიათებს სიგელ-გუჯრებს ხელნაწერ წიგნებთან შედარებით, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ სიგელ-გუჯრები სრულიად სხვა კატეგორიის ძეგლებს წარმოადგენენ, ვიდრე სხვა ხელნაწერები: მაშინ, როდესაც სიგელ-გუჯრები ჩვენი ხალხის იურიდიულ-უფლებრივ ურთიერთობისა და დამოკიდებულების შედეგად არის შექმნილი, ხელნაწერი წიგნები მის კულტურულ და სამოქალაქო, თუ სასულიერო ცხოვრების ნაყოფს წარმოადგენს. სიგელ-გუჯრები ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ვითარებისა და წესწყობილების, უმთავრესად ოფიციალურ პირთა მიერ შესრულებულ, ოფიციალურ დოკუმენტებს წარმოადგენენ, ხოლო ხელნაწერი წიგნები კერძო პირთა გონებრივი შემოქმედების ძეგლებია; სიგელ-გუჯრები, ვითარცა ოფიციალური და იურიდიული დოკუმენტები, უმთავრესად შაბლონისა და ტრაფარეტების მიხედვით არიან შესრულებული, ხოლო ხელნაწერები ასეთ ტრაფარეტებს და შაბლონებს არ ემორჩილებიან და სხვა. ერთი სიტყვით, სიგელ-გუჯრები, როგორც ვთქვით, მრავალმხრივ განსხვავდებიან ხელნაწერ წიგნებისაგან და ეს გარემოება, აღწერის დროს აუცილებელს ხდის სიგელ-გუჯრების ცალკე კატეგორიად გამოყოფას.

კიდევ უფრო შორს დგას ამ ორივე ჯგუფის მასალებისაგან ახალი დროის ჩვეულებრივი საარქივო მასალა: საკანცელარიო საქმეები და წიგნები. „საკანცელარიო საქმე“, როგორც ვიცით, წარმოადგენს საარქივო საბუთების კრებულს, რომელსაც ან საგნობრივი, ან

[1] ორი, ე. წ. ფიქალწერილი ცენტრარქივის ძველ საბუთთა არქივშია დაცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ კორესპოდენტური პრინციპი უდევს ხოლმე საფუძველად[1]. ჩვენს არქივთსაცავებში დაცული საქმეებიც ზოგი საგნობრივი პრინციპის მიხედვითაა შედგენილი, ზოგიც—კორესპონდენტურ პრინციპის მიხედვით. ჩვეულებრივად თვითეული „საქმე“ აკინძულია და კანშია მოთავსებული; კანს კიდევ წარწერა აქვს გაკეთებული, შინაარსისა და დაწყება-დამთავრების შესახებ. მაგრამ საქმეს ზოგჯერ კანი დაზიანებული აქვს და, მაშასადამე, წარწერაც არ მოეპოება, ზოგჯერ კიდევ ეს წარწერა, განსაკუთრებით შინაარსის გამომხატველი, არ შეეფერება სიმართლეს, ე. ი. საქმის ნამდვილ შინაარსს. საქმეებს შორის არის ისეთებიც, რომელთაც ე. წ. შინაგანი აღწერა და პაგინაცია აქვთ. ასეთი საქმეებია უმთავრესად წინანდელი საქმეები, ხოლო უკანასკნელ დროის საქმეებს ჩვეულებრივად შინაგანი აღწერა და ზოგჯერ პაგინაციაც არა აქვთ. თვითეული საქმე ჩვეულებრივად რამოდენიმე ქაღალდს (საბუთს), ხშირად ათობითა და ასობით, შეიცავს; მაგრამ არის ისეთი „საქმეებიც“, რომლებიც საბუთების ერთობ განსაზღვრულ რაოდენობას შეიცავენ.

ძველ ხელნაწერ წიგნებისა და სიგელ-გუჯრების ფონდები განაწილებულია ოთხ საცავთა შორის შემდეგნაირად: 1) ცენტრალურ საარქივო სამმართველოს ძველ საბუთთა არქივში მოთავსებულია სულ 10.489 ერთეული; აქედან ხელნაწერი წიგნები—572 ერთეული, ხოლო სიგელ-გუჯრები და მათი პირები—9.917 ერთეული. 2) საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში—ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში—დაცულია სულ 20.000-დე ერთეული[2]; აქედან ხელნაწერი წიგნები—3.265 ერთეული, ხოლო სიგელ-გუჯრები—15.000-ზე მეტი. 3) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში მოთავსებულია სულ 8.255 ერთეული, აქედან ხელნაწერი წიგნები—4.488 ერთეული, ხოლო სიგელ-გუჯრები—3.767 ერთეული. და 4) ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში თავმოყრილია სულ 3.000-დე ერთეული; აქედან ხელნაწერი წიგნები—500 ერთეული, ხოლო სიგელ-გუჯრები—2.000-ზე მეტი.[3]

---

[1] ამ სიტყვის განმარტება იხ. ჩ ვ ე ნ ი „არქივთმეცნიერების შესავალში“ (თავი—საარქივო ტერმინოლოგიისათვის).

[2] დასახელებულ საცავში ხელნაწერების (სიგელ-გუჯრების) აღრიცხვა ჯერ დამთავრებული არ არის და ამიტომ სიგელ-გუჯრების რაოდენობა ვარაუდით არის ნაანგარიშევი.

[3] აქაც სიგელ-გუჯრების აღრიცხვა ჯერ დამთავრებული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ საბუთთა არქივში დაცული ხელნაწერი წიგნები აღრიცხულია სრულად (შედგენილია წინასწარი აღწერა—რეესტრი), მაგრამ არც ინვენტარი და არც მით უფრო სამეცნიერო აღწერა ნაწილობრივადაც შედგენილი არ არის. სიგელ-გუჯრები და მათი პირები კლასიფიცირებულია და ინვენტარში (ძველი ტიპის ინვენტარში) შეტანილია მთლიანად. ამ ჟამად დაწყებულია სისტემატიზაცია და სამეცნიერო აღწერის შედგენა ისტორიული პრინციპის მიხედვით. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში შემდეგი მდგომარეობაა: ხელნაწერი წიგნები აღრიცხული და კატალოგში შეტანილია სრულად; მაგრამ სისტემატიზაცია ჯერ მოხდენილი არ არის და არც სამეცნიერო აღწერის შედგენა არის დაწყებული. სიგელ-გუჯრებიდან აღრიცხული და ინვენტარში შეტანილია მხოლოდ 1.602 ერთეული; დანარჩენი კი არც კლასიფიცირებულია და არც სისტემატიზირებული. ამ ჟამად გრძელდება სიგელ-გუჯრების საინვენტარო აღწერის შედგენა. შედარებით უკეთესი მდგომარეობა არის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში: იქ ყველა ხელთნაწერები (წიგნებიცა და სიგელ-გუჯრებიც) მთლიანად აღრიცხულია და, გარდა სიგელ-გუჯრების მცირე ნაწილისა, ინვენტარში შეტანილია. საკმაოდ დიდ ნაწილს შედგენილი აქვს სამეცნიერო აღწერილობაც და ასეთი აღწერილობის რამოდენიმე ტომიც უკვე გამოქვეყნებულია[1]. ამ ჟამად გრძელდება სამეცნიერო აღწერების შედგენა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობის მაგვარად. დასასრულ, ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში აღწერილია მხოლოდ 80 ხელნაწერი წიგნი და 1.400 სიგელ-გუჯარი. დანარჩენის უბრალო აღწერა მიმდინარეობს.

პროცენტებზე რომ გამოვიანგარიშოთ აღწერილ და დამუშავებულ ერთეულების რაოდენობა, შემდეგ სურათს მივიღებთ:

1. ცენტრარქივში დაცულ:	a) ძვ. ხელნაწ. წიგნებ.	b) სიგელ-გუჯრ.
ა) კლასიფიცირებ. და აღწერილია	100%	100%
ბ) ინვენტარში შეტანილია	0%	100%
გ) სამეცნიერო აღწერა შედგენილია	0%	0%

[1] ყველა ის აღწერილობები, რომლებიც ჩვენ ზევით დავახასიათეთ: მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს და კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილი კატალოგები, ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს, ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს და თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილი აღწერილობები სწორედ ტფ. სახ. უნ. სიძველეთსაცავის მასალების აღწერილობებს წარმოადგენენ. ამ სიძველეთსაცავის ფონდი შესდგება ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა და ქარ. შორ. წ. კ. გ. ს. წიგნთსაცავ-მუზეუმის კოლექციებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართ. მუზეუმში დაცულ: a) ძვ. ხელნაწერ. b) სიგელ-გუჯრ.

ა) აღრიცხულია	100%	10%
ბ) კატალოგში შეტანილია	100%	0%
გ) სამეცნ. აღწერა შედგენილია	0%	0%

3. უნივერს. სიძველეთსაც. დაცულ: a) ძვ ხელნაწ. b) სიგელ-გუჯრ.

ა) აღრიცხულია	100%	100%
ბ) კატალოგში შეტანილია	100%	100%
გ) სამეცნ. აღწერა შედგენილია	35%	0%

4. ქუთ. საისტ.-საეთნ. მუზ. დაცულ: a) ძვ. ხელნაწ. b) სიგელ-გუჯრ.

ა) აღრიცხულია	16%	70%
ბ) კატალოგში შეტანილია	0%	0%
გ) სამეცნ. აღწერა შედგენილია	0%	0%

ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის დანარჩენი მასალა (ე. ი. საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგდროინდელი ფონდები) განაწილებულია ცენტრალურ და ადგილობრივ არქივთსაცავებს შორის შემდეგნაირად: 1) ტფილისის მთავარ საისტორიო არქივში თავმოყრილია 230 საარქივო ფონდი ან 2.000.000 შესანახი ერთეული; 2) ტფილისის სამხედრო-საისტორიო არქივში—130 საარქივო ფონდი ან 150.000 შესანახი ერთეული; 3) საისტორიო-სარევოლიუციო არქივში—15 საარქივო ფონდი ან 20.000 შესანახი ერთეული; 4) იურიდიულ არქივში—42 საარქივო ფონდი, ან 1.500.000 შესანახი ერთეული; 5) მუნიციპალურ არქივში—40 საარქივო ფონდი ან 500.000 შესანახი ერთეული; 6) მთავარ საბჭოთა არქივში—47 საარქივო ფონდი ან 100.000 შესანახი ერთეული და 7) ადგილობრივ არქივთსაცავში—200 საარქივო ფონდი ან 2.000.000 შესანახი ერთეული.[1]

მთავარ საისტორიო არქივში დაცულ მასალებიდან გარჩეულია 203 საარქივო ფონდი, საინვენტარო აღწერა შედგენილია 88 ფონდისათვის, ჩასაბარებელ სიების მიხედვით აღწერილია 22 ფონდი. სამხედრო-საისტორიო არქივში გარჩეულია 60 საარქივო ფონდი, საინვენტარო აღწერა შედგენილია 23 ფონდისათვის. საისტორიო-სარევოლიუციო არქივში გარჩეულია 15 საარქივო ფონდი, საინვენტარო აღწერა შედგენილია 5 ფონდისათვის. იურიდიულ არქივში გარჩეულია 31 ფონდი, საინვენტარო აღწერა შედგენილია 8 ფონდისათვის. მუნიციპალურ არქივში გარჩეულია 28 ფონდი, საინვენტარო

[1] ცნობები დაახლოებითი რაოდენობას უჩვენებენ, რადგან ფონდების გარჩევა და კლასიფიკაცია არც ერთ დასახელებულ არქივთსაცავში დამთავრებული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერის შედგენა ჯერ არ არის დაწყებული. მთავარ საბჭოთა არ-ქივში გარჩეულია 30 ფონდი, საინვენტარო აღწერა შედგენილია სამი ფონდისათვის, ხოლო ჩასაბარებელ სიის მიხედვით აღწერილია 25 ფონდი. ადგილობრივ არქივთსაცავებში (გარდა ქუთაისისა, ფოთისა, გორისა და ბათუმის) გარჩევა და აღწერა ჯერ დაწყებული არ არის.[1]

პროცენტებზე რომ ვიანგარიშოთ, ამ კატეგორიის მასალების საერთო ჯამის მიხედვით, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ა) გარჩეულია სულ—70%.

ბ) აღწერილია სულ—40%, აქედან საინვენტარო აღწერა შედგენლია 32%, ხოლო ჩასაბარებელი სიის მიხედვით—8%.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დიდი უმეტესობა საარქივო მასალებისა ჯერჯერობით არამც თუ სისტემატიზირებული და აღწერილი არ არის, არამედ უბრალოდ აღრიცხული და გარჩეულიც არ არის. სამეცნიერო აღწერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ აღწერილობებს, რომლებიც შეადგინეს თავის დროზე ჩვენმა პირველმა არქეოგრაფებმა თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა და სხვებმა. ამის გამო ზოგიერთ არქივებსა და სიძველეთსაცავებში შეუძლებელია დაახლოვებითაც კი იმის გამორკვევა, თუ რამდენი შესანახი ერთეული არის დაცული ამ არქივის ან სიძველეთსაცავის განკარგულებაში და რამდენი ამ ერთეულებიდან არის გარჩეული ან აღწერილი.

ამავე დროს ამ მასალებზე დიდი პრაქტიკული და მეცნიერული მოთხოვნილება არსებობს. მთელი რიგი დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ერთის მხრივ და კერძო პირთა მეორეს მხრივ მოითხოვენ საარქივო მასალებს სხვა და სხვა საჭიროებისათვის: სამეცნიერო დაწესებულებები და მკვლევარები—სამეცნიერო მიზნისათვის, ხოლო მთავრობის ორგანოები და კერძო პირები—პრაქტიკულ მიზნისათვის. ეს მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში თანდათანობით იზრდება ერთის მხრივ სამეცნიერო მუშაობა და მასთან საისტორიო საბუთებით სარგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ საარქივო მასალებში დაუნჯებულ ძველი გამოცდილების გამოყენება სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის დროს.

---

[1] ანგარიშში შეტანილი არ არის საქართველოს სარევოლიუციო მუზეუმის საარქივო განყოფილებაში დაცული მასალები, რადგან დასახელებულ მუზეუმიდან ცნობების მიღება, სამწუხაროდ, მოუხერხებელი შეიქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედმეტია იმის მტკიცება თუ რამდენად აფერხებს, როგორც სამეცნიერო მუშაობას საარქივო მასალებზე, ისე მათ გამოყენებას პრაქტიკულ აღმშენებლობისათვის, ის გარემოება, რომ ეს მასალები აღრიცხული და აღწერილი არ არის: მოუწესრიგებელი და აღუწერელი საარქივო მასალებით სარგებლობა, როგორც არა ერთხელ გვითქვამს და როგორც საერთოდ ცნობილია, სრულიად შეუძლებელია. და ჩვენს არქივთსაცავებში დაცული სიმდიდრე, საარქივო მასალების სახით, ნამდვილად წარმოადგენს ფიქტიურ სიმდიდრეს, ვიდრე ის წესრიგში მოყვანილი და აღწერილი არ იქნება. მაგრამ ამას გარდა თავი და თავი უბედურება, რომელიც ამ მდგომარეობიდან გამომდინარეობს, იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ პირობებში თვით ამ სიმდიდრეს—საარქივო მასალებს—უეჭველი საფრთხე მოელის. თუ ჩვენი არქივები და სიძველეთსაცავები აღრიცხული და აღწერილი არ იქნენ სასწრაფო წესით, მათი დაცვა დაკარგვისა და მოსპობისაგან შეუძლებელია. ჩვენს თვალწინ დღესაც, როდესაც თითქოს საგანგებო კანონმდებლობით და სპეციალური უმაღლესი საარქივო ორგანოს—ცენტრალურ საარქივო სამმართველოს—მეთვალყურეობით არქივების ინტერესი უზრუნველყოფილია, ადგილი აქვს ისეთ ბარბაროსულ და უკულტურო დამოკიდებულებას საარქივო მასალებისადმი, რომელიც სრულიად შეუწყნარებლად და დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. დღესაც ზოგიერთი დაწესებულებები ჩვენს თვალწინ სპობენ, ვითომც როგორც მაკულატურას, ისეთ საარქივო მასალებს, რომელთაც აქტუალური სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ,[1] ხოლო ზოგიერთი კერძო პირები ჰყიდიან ძველ ხელნაწერ წიგნებს და სიგელ-გუჯრებს ბაზარზე და უცხო საკონსულოებში, ან კიდევ აგირავებენ ლომბარდში[2] და სხვა.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთ უმსგავსოებას ადგილი არ ექნება ჩვენს სინამდვილეში, თუ საარქივო მასალები საყოველთაოდ ყველა საცავებში აღრიცხული და აღწერილი იქნება: მაშინ შეუძლებელი იქნება საარქივო მასალების მოსპობაცა და დაკარგვაც. ეს გარემოება მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს მკვლევართა წარმატებით მუშაობას და მუშაობის შედეგების ნაყოფიერებას.

---

[1] მაგ. 1926 წელს გაყიდულ იქნა, როგორც მაკულატურა, ალ. სარაჯიშვილის არქივი, 1929 წელს „ზაკგოსტორგის“ არქივი და სხვ.

[2] ასეთი მაგალითიც დადასტურებულია ცენტრარქივის საინსპექტორო აპარატის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

აღწერათა და აღწერილობათა სისტემის პროექტი

ნათქვამიდან აშკარაა, რომ ჩვენი არქივებისა და სიძველეთსაცავების პირველ და გადაუდებელ ამოცანას ამჟამად ისეთი აღწერების შედგენა წარმოადგენს, რომელთა მიზანს საარქივო მასალების აღრიცხვა და დაცვა შეადგენს. მაგრამ მეორეს მხრივ ჩვენთვის ამ ჟამადვე საჭიროა ისეთი აღწერების წარმოებაც, რომელთა დანიშნულებას მკვლევართათვის დახმარების აღმოჩენა შეადგენს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენშიაც, ისევე როგორც საერთოდ ყველგან, ორი დანიშნულების ან ორი სახის აღწერა უნდა სდგებოდეს: ერთი, რომელიც არსებულ საარქივო მასალებს აღრიცხავს და ცნობაში მოიყვანს, ხოლო მეორე, რომელიც ამ აღრიცხულ მასალების შინაარს გამოააშკარავებს და მკვლევართათვის ხელმისაწვდომს გახდის. პირველ სახის აღწერას საჭიროებს ყველა საარქივო მასალა უკლებლივ, რომელსაც კი ასეთი აღწერა ჯერ შედგენილი არა აქვს, ხოლო მეორე სახის აღწერას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისეთი მასალა, რომელსაც მეცნიერებისათვის უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა და ღირებულება აქვს. პირველი სახის აღწერის შედგენა გადაუდებელი საქმეა და იგი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ყველა არქივთსაცავებში, ხოლო მეორე სახის აღწერის შედგენა უნდა დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც პირველი სახის აღწერა დამთავრებული იქნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირობების მიხედვით შესაძლებელი და თანაც აუცილებელი იქნება პირველ სახის აღწერასთან ერთად პარალელურად მეორე სახის აღწერის წარმოებაც. უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო არ არის მთელს არქივთსაცავში პირველი სახის აღწერის უეჭველად დამთავრება იმისათვის, რომ დაიწყოს მეორე სახის აღწერის შედგენა, არამედ მას შემდეგ, რაც ამ არქივთსაცავის რომელიმე ფონდის აღწერა პირველი სახის აღწერის მიხედვით დასრულდება, შეიძლება შესდგეს ამ ფონდის მეორე სახის აღწერაც იმისდა მიუხედავად, დანარჩენ ფონდებისათვის პირველი სახის აღწერა შედგენილი იქნება თუ არა.

მაგრამ ორივე ტიპის აღწერა, თანამედროვე საარქივო პრაქტიკის მიხედვით და ძველი პრაქტიკის მიხედვითაც, როგორც ვიცით, მრავალი სახისა და ფორმისაა. ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, მაგალითად, რომ საბჭოთა რუსეთში, საღრიცხვო აღწერად მიჩნეულია ე. წ. „სუმარული აღწერა“ და „მოკლე ინვენტარი“, ხოლო სამეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერო აღწერად—„ვრცელი ინვენტარი“ და „სისტემატიური აღწერა“; უკრაინაში საალრიცხვო აღწერად აღიარებულია „ფორმა № 1“ და „ფორმა № 2“, ხოლო სამეცნიერო აღწერად—„ფორმა № 3“ და „ფორმა № 4“; დასავლეთ ევროპაში კიდევ საალრიცხვო აღწერებს წარმოადგენენ: „რეესტრი“, „კატალოგი“, „ნუმრული კატალოგი“, „ინვენტარი“ და სხვა, ხოლო სამეცნიერო აღწერას: „ვრცელი ინვენტარი“, „ვრცელი აღწერა“, „კელინდე“ და სხვა. რომელი ამ დასახელებულ აღწერათაგანი შეეფერება ჩვენს სინამდვილესა და პირობებს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთი მათგანი იმ სახით და შინაარსით, როგორც ის იხმარება ამა თუ იმ ქვეყნის არქივებში, არ ეგუება სავსებით ჩვენი საარქივო მასალების ხასიათსა და აღწერის პირობებს. მაგრამ თავისდათავადაც ასეთი სიმრავლე თვითეულ (საალრიცხვო ან სამეცნიერო) დანიშნულების აღწერის სახეებისა მაინც და მაინც მიზანშეწონილად და მისაღებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ამგვარი სიმრავლე ერთი და იგივე დანიშნულების აღწერის სახეებისა, ჰქმნის სწორედ იმ სხვადასხვაობასა და სიჭრელეს[1], რომელიც ახასიათებს ძველ პრაქტიკას საარქივო აღწერების დარგში და რომლის თავიდან აცილებასაც ჩვენ მიზნად ვისახავთ. ამიტომ, ჩვენის აზრით, სრულიად საკმარისია თვითეულ დანიშნულების აღწერისათვის ერთი გარკვეული სახის აღწერის შემოღება, ე. ი. საალრიცხვო აღწერისათვის—ერთი სახის და სამეცნიერო აღწერისათვისაც—ერთი სახის. ორივე აღწერა ერთი მეორისაგან არსებითად უნდა განსხვავდებოდეს თავისი შინაარსით იმ დანიშნულებასთან დაკავშირებით, რომელიც თვითეულ მათგანს აქვს დაკისრებული, მაგრამ ამავე დროს მათ შორის უნდა არსებობდეს შინაგანი ლოგიური კავშირი. მეორეს მხრივ თვითეული სახის აღწერა შეფარდებული უნდა იყოს საარქივო მასალების იმ ძირითად კატეგორიებთან (ძველი ხელნაწერი წიგნები, სიგელ-გუჯრები და ჩვეულებრივი საარქივო მასალა), რომლებიც ჩვენ ზევით დავახასიათეთ. ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, თვითეული კატეგორიის მასალა უნდა აღიწეროს ორნაირად: მარტივად, ელემენტარული ცნობების შეტანით (საალრიცხვო აღწერა) და ვრცლად, საბუთის შინაარსისათვის ღრმა ანალიზის გაკეთებით (სამეცნიერო აღწერა). ასე რომ გვექნება ორი ძირითადი სახის აღწერა, მაგრამ თვითეული მათგანი იქნება სამ-

[1] ეს გარემოება სხვათა შორის ჰქმნის დიდ დაბრკოლებას საარქივო აღწერით სარგებლობის დროსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარი: 1. ს ა ა ღ რ ი ც ხ ვ ო ა ღ წ ე რ ა—ა) ძველ ხელნაწერ წიგნებისათვის, ბ) სიგელ-გუჯრებისა და საერთოდ ძველ საბუთებისათვის და გ) ახალ საარქივო მასალებისათვის; და 2. ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ა ღ წ ე რ ა ც—ა) ძველ ხელნაწერ წიგნებისათვის, ბ) სიგელ-გუჯრებისა და საერთოდ ძველ საბუთებისათვის და გ) ახალი საარქივო მასალებისათვის.

საღრიცხვო აღწერის საუკეთესო ტიპად ს ა ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ო ა ღ წ ე რ ა უნდა ჩაითვალოს და ეს აღწერა ამ სახელწოდებით უნდა შემოღებულ იქნეს კიდეც ხმარებაში. ამ ტიპისა და ამ სახელწოდების საღრიცხვო აღწერის შემოღება უფრო მიზანშეწონილია ჯერ ერთი იმიტომ, რომ საინვენტარო აღწერებს საარქივო პრაქტიკაში საერთოდ და კერძოდ საქართველოშიც არქივალიების აღრიცხვისა და დაცვის დანიშნულება აქვთ და, მაშასადამე, ამ ტიპის აღწერის „დაკანონებით“, ჩვენ არსებულ გამოცდილების ფართედ გამოყენების შესაძლებლობას ვქმნით, რაც რასაკვირველია მეტად საჭიროა საღრიცხვო აღწერების უფრო წარმატებითი და სისწორით წარმოებისათვის; ხოლო მეორეს მხრივ იმიტომ, რომ თვით ტერმინიც „საინვენტარო აღწერა“ ან „ინვენტარი“ უფრო შეეფერება იმ დანიშნულებასა და მიზანს, რომელსაც საღრიცხვო აღწერა ემსახურება, და, მაშასადამე, ამ ტერმინის „დაკანონებით“ ჩვენ საარქივო ტერმინოლოგიაში მეტი გარკვეულობა და სიზუსტე შეგვაქვს, რაც აგრეთვე მეტად საჭიროა, როგორც ყოველდღიურ საარქივო საქმიანობისა, ისე არქივთმცოდნეობის ამა თუ იმ საკითხის თეორულ დამუშავების დროსაც[1].

მაგრამ რა სახისა და ფორმის ინვენტარია უფრო შესაფერი ჩვენთვის ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორი შინაარსისა და მაცულობის ინვენტარი უნდა იქნეს შემოღებული ჩვენს პრაქტიკაში? ხომ ინვენტარებიც მრავალნაირია?

რა თქმა უნდა, საინვენტარო აღწერა უნდა წარმოადგენდეს აღსაწერი ობიექტის—საარქივო მასალის—მხოლოდ არსებითი მხარის და მის ძირითადი მომენტების ფიქსაციას. ჩვენ უეჭველად უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ ინვენტარის მთავარი დანიშნულება საარქივო მასალების აღრიცხვა და დაცვა არის და რომ ამის გამო ის, რაც შეიძლება, მოკლე ცნობებს უნდა შეიცავდეს. ეს ცნობები ჰგულისხმობს უმთავრესად საარქივო მასალის გარეგნულ მხარეებს

[1] ყოველგვარი სხვა ტერმინი, როგორც ამ დანიშნულების აღწერის ცნების აღმნიშვნელი, საარქივო ტერმინოლოგიიდან უნდა სავსებით განიდევნოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ მხარეების დამახასიათებელ თვისებებს, ვინაიდან იმ მთავარი მიზნისათვის, რომელსაც ემსახურება საინვენტარო აღწერა, სწორედ მასალების გარეგნული მხარეების ფიქსაციაა საჭირო.

მაგრამ ამავე დროს ინვენტარი რამოდენიმედ მაინც გამოსადეგი უნდა იყოს მკვლევართათვისაც ისტორიული მასალების სამეცნიერო მიზნით გამოყენების დროს მათი შინაარსის გამოაშკარავების თვალსაზრისითაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, საინვენტარო აღწერამ უნდა მოგვცეს ზოგიერთი ელემენტარული ცნობები საარქივო მასალის შინაარსის შესახებაც. ეს უკანასკნელი მოთხოვნილება საინვენტარო აღწერას იმიტომ უნდა წარედგინოს, რომ საინვენტარო აღწერებმა ჩვენში, სამეცნიერო აღწერების უქონლობის გამო, ჯერ კიდევ დიდ ხანს უნდა გასწიონ შეძლებისდაგვარად მათი მაგიერობაც. ამიტომ საინვენტარო აღწერაში მეორეს მხრივ უნდა შევიდეს ისეთი ცნობებიც, რომლებიც საარქივო მასალის გარეგნულ მხარესთან ერთად (ნომერი, პაგინაცია, თარიღი, დაცულობა და სხვა) მის მოკლე შინაარსის გასაცნობადაც საჭირო არიან (სათაური, სახელწოდება, წარმოშობის შესახები ცნობები და სხვა).

ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით თუ მიუდგებით საკითხს, საინვენტარო აღწერა შემდეგ ელემენტებისგან უნდა შესდგებოდეს:

1. ახალი საარქივო მასალების საინვენტარო აღწერა უნდა შეიცავდეს: ა) საარქივო ფონდის სახელწოდებას, ბ) შესანახ ერთეულის შინაარსს, სათაურის მიხედვით, გ) საარქივო ნომერს, დ) ძველ საკანცელარიო ნომერს, ე) დაწყების თარიღს, ვ) დამთავრების თარიღს, ზ) ფურცლების რაოდენობას და ᲗᲘ) შენიშვნას დაცულობის შესახებ.

2. სიგელ-გუჯრების საინვენტარო აღწერა უნდა შეიცავდეს: ა) საარქივო ფონდის (სერიის ან კოლექციის) სახელწოდებასა და ნომერს, ბ) საბუთის საარქივო ნომერს, გ) რაობას, დ) მიმცემის ვინაობას, ე) ცნობებს შემკულობისა და დასურათების შესახებ, ვ) მიმღების ვინაობას, ზ) თარიღს—ქორონიკონით და ჩვეულებრივი წელთაღრიცხვით, ᲗᲘ) ცნობებს მასალის შესახებ, რომელზედაც საბუთი დაწერილია, თ) ცნობებს იმის შესახებ, საბუთი დედანია თუ პირი, ი) ცნობებს ბეჭდისა ან ბეჭდების შესახებ, ია) ცნობას დამწერლობის შესახებ, იბ) ცნობას, ხელრთვის შესახებ, იგ) ზომასა და კეფის რაოდენობის შესახებ იდ) ცნობას ჭვირნიშნის შესახებ, იე) დამწერის ვინაობას და ივ) შენიშვნას საბუთის დაცულობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) ძველი ხელნაწერ წიგნების საინვენტარო აღწერა უნდა შეიცავდეს: ა) საარქივო ფონდის (სერიის, კოლექციის) სახელწოდებასა და ნომერს, ბ) ხელნაწერ წიგნის საარქივო ნომერს, გ) სახელწოდებასა ან სათაურს, დ) ცნობას იმის შესახებ, ორიგინალია თუ თარგმანი ხელნაწერი, ე) დედანია, თუ გადანაწერი, ვ) ცნობას ავტორის ვინაობის შესახებ, ზ) მთარგმნელის ვინაობის შესახებ, Თ) გადამწერის ვინაობის შესახებ, ი) დამწერლობის შესახებ, ი) მასალის შესახებ, ია) შემკულობის შესახებ, იბ) ყდის შესახებ, იგ) ზომას, იდ) ფუცლების რაოდენობას, იე) თარიღს, იზ) ცნობას ჭვირნიშნის შესახებ და ივ) შენიშვნას ხელნაწერის დაცულობისა და სხვათა შესახებ.

აღნიშნულ ცნობების გარდა სამივე სახის საინვენტარო აღწერას, თვითეულ საარქივო ფონდისა, სერიისა ან კოლექციის აღწერის წინ, უნდა წარემძღვაროს მეტად მოკლე ისტორიული ცნობები (მიმოხილვის სახით) ამ ფონდისა, სერიისა ან კოლექციის წარმოშობის შესახებ იმ დაწესებულებებისა თუ ორგანიზაციის (ზოგჯერ პირის) ისტორიასთან დაკავშირებით, რომელმაც შექმნა ეს ფონდი. აქვე შეიტანება აგრეთვე მოკლე ცნობები ფონდის შემქმნელ დაწესებულების შესახებ, ფონდის დაცულობის შესახებ, მის დამუშავების პირობების შესახებ და სხვა. დასასრულ, თვითეულ საინვენტარო აღწერას უნდა წარემძღვაროს საჭირო კომენტარიები და ახსნა-განმარტება თვით აღწერის წესისა და მეთოდის შესახებ.

სამივე სახის საინვენტარო აღწერა ჰგულისხმობს საძიებლების შედგენას. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მხოლოდ ერთი საძიებელის, სახელდობრ პირთა სახელების საძიებელის შედგენა თვითეულ საინვენტარო აღწერისათვის. მაგრამ დასაშვები და სასურველია თვითეულ მათგანს კიდევ ორი საძიებელი—გეოგრაფიულ სახელებისა და საგნობრივი, ხოლო სიგელ-გუჯრების აღწერას ბეჭდების საძიებელიც დაერთოს. შესაძლებელია პირთა სახელებისა და გეოგრაფიულ სახელების საძიებელი გაერთიანდეს და ერთად შესდგეს საკუთარ სახელების საძიებლის სახით. ყოველ შემთხვევაში ერთი საძიებელის (პირთა სახელების ან საკუთარ სახელების) გარდა სხვა საძიებლების შედგენის აუცილებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქტუალურია ის ფონდი, რომელიც აღიწერება და რამდენად დიდი პრაქტიკული ან მეცნიერული მოთხოვნილება არსებობს ამ ფონდის მასალებზე.[1]

---

[1] საძიებლების შედგენის საკითხს ჩვენ ცალკე შევეხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამივე სახის საინვენტარო აღწერა შეიძლება შესდგეს დახაზულ დავთრის სახით. თვითეულ საარქივო ფონდისათვის, ან სერიისა და კოლექციისათვის უმჯობესია ცალკე დავთარი იყოს ნახმარი, რა თქმა უნდა, თუ ფონდი ან სერია, რომელიც აღიწერება, როგორც ერთი მთლიანი ერთეული, ძალიან პატარა მოცულობის არ არის. უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ერთ დავთარში რამოდენიმე ასეთი ერთეული (ფონდი, სერია, კოლექცია) აღიწეროს ერთად თვითეულისთვის ცალ-ცალკე განყოფილების მიჩენით და ცალკე ნუმერაციის წარმოებით [1]. საინვენტარო აღწერის დავთარი უნდა დაიხაზოს თვითეულ ზემოდ დასახელებულ კატეგორიის მასალებისათვის იმ კითხვების მიხედვით, რომლებიც ზემოდ იყო აღნიშნული. დახაზვას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მზამზარეული კითხვებისათვის პასუხის გაცემა შემდგენელს გაუადვილებს აღწერის უფრო სწრაფად და დაუბრკოლებლად შედგენას. მაგრამ დახაზული დავთრის ხმარება საინვენტარო აღწერისათვის მაინც და მაინც აუცილებელი არ არის, განსაკუთრებით მესამე კატეგორიის მასალებისათვის, ე. ი. ძველ ხელნაწერ წიგნებისთვის. არქივისტს შეუძლია დაუხაზავ დავთარშიც შეიტანოს ის ცნობები, რომლებიც საჭიროა საინვენტარო აღწერისათვის. ამით არსებითად საქმე არ დაზარალდება. შეიძლება საინვენტარო აღწერა შედგენილ იქნეს ცალკე ფურცლებზე (ბარათებზე), რომელზედაც შესავსები კითხვები წინასწარ ჩამოწერილი იქნება, და ამის შემდეგ აღწერილობა გადატანილ იქნეს დავთარში. მაგრამ ცალკე ბარათების მეოხებით საინვენტარო აღწერის შედგენა აუცილებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ფონდს წინასწარი აღწერა [2] არ მოეპოება და როდესაც ფონდის აღწერა (მისი ცუდი მდგომარეობისა და დიდი მოცულობის გამო) სიძნელეს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში საბარათო აღწერა შესაძლებელს ხდის იმ შეცდომების გამოსწორებას, რომლებიც აღწერის დროს ბუნებრივად მოსალოდნელია, რადგან ცალკე ბარათების (შეცდომებით შედგენილ ბარათების) გამოცვლა სრულიად ადვილი საქმეა.

ახალ საარქივო მასალების აღწერის დროს, როდესაც შესანახ ერთეულზე (საქმეზე) რამოდენიმე საკანცელარიო ნომერი მოიპოება, არჩეულ უნდა იქნეს ის ნუმერაცია, რომელიც ყველაზე უფრო სრუ-

---

[1] ერთი მთლიანი ნუმერაცია მთელი არქივის ყველა მასალებისათვის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არქივი მასალების მცირე რაოდენობას შეიცავს და როდესაც ამ მასალებს სხვა მასალები აღარ მიემატება.

[2] წინასწარი აღწერის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად და ზუსტად წარმოადგენს საარქივო ფონდის შემადგენლობას. ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც ერთეულს ძველი საკანცელარიო ნომერი შერჩენილი არა აქვს, იგი შეიტანება მხოლოდ საარქივო (ე. ი. რიგის) ნომრის ქვეშ. შესანახ ერთეულის შინაარსი აღწერაში შეიტანება მხოლოდ ძველი სათაურის მიხედვით, რომელიც წინასწარ შეჯერებული უნდა იყოს ერთეულის ნამდვილ შინაარსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც სათაური და შინაარსი ერთმანეთს არ შეეფერება, ან როდესაც პირველი აშკარა ორთოგრაფიულ შეცდომებს შეიცავს, არქივისტმა უნდა შეასწოროს ეს შეუსაბამობა: ერთეულს უნდა გაუკეთოს სრულიად ახალი ან შესწორებული სათაური, ძველის დატოვებით, ხოლო ინვენტარში შეიტანოს ორივე (ძველი და ახალი ან შესწორებული) სათაური. ასევე უნდა მოიქცეს არქივისტი მაშინ, როდესაც ერთეულს (საქმეს) კანი დაკარგული აქვს და, მაშასადამე, როდესაც მას სათაური სრულიად არ მოეპოება: მან უნდა შეადგინოს საქმის შინაარსის მიხედვით ახალი სათაური და ეს სათაური შეიტანოს აღწერაში. ყველა ასეთ შემთხვევაში არქივისტის მიერ შედგენილი ახალი ან შესწორებული სათაური აღწერაში შეტანის დროს უნდა მოთავსდეს სწორ (კუთხოვან) ფრჩხილებში, ხოლო ინვენტარის სათანადო (შენიშვნების) გრაფაში უნდა გაუკეთდეს ამის შესახებ საჭირო შენიშვნა. შინაარსის გრაფაში უნდა ჩაიწეროს, სათაურების სახით ფონდის დანაწილება, დაწესებულების სტრუქტურის მიხედვით, და ქრონოლოგიური რიგი.

ძველ საბუთთა—სიგელ-გუჯრების—აღწერის დროსაც საჭიროა თვითეული ფონდი (სერია ან კოლექცია) აღიწეროს ცალ-ცალკე, თავის ნუმერაციის დაცვით. საბუთების ფონდებად დანაწილებას უნდა დაედვას ერთ-ერთი ის პრინციპი, რომელიც მიღებულია საერთოდ არქივალიების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციისათვის [1]. საბუთის თარიღის შეტანის დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც მას თარიღი არ მოეპოება (დაკარგული აქვს ან იმ თავითვე არა ჰქონია), არქივისტმა უნდა აღადგინოს თარიღი და აღწერაში შეიტანოს ეს მის მიერ აღდგენილი თარიღი, ხოლო თუ თარიღის აღდგენა (ზედმიწევნით ან დაახლოებით) შეუძლებელია, საბუთი ინვენტარში შეიტანება უთარიღოდ. ორივე შემთხვევაში ეს გარემოება აღინიშნება ინვენტარის შენიშვნის გრაფაში. ბეჭდების შესახებ ცნობების შეტანის დროს აღინიშნება ვისი, რამდენი და როგორი (მურის, შეკიდული) ბეჭედი აქვს

[1] იხ. ამის შესახებ შ. ჩ ხ ე ტ ი ა, არქივალიების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპები („საარქივო საქმე", წიგნ. I).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთს; მაგრამ საჭირო არ არის ბეჭდების წარწერისა ან შინაარსის მოყვანა. თუ აღსაწერი ერთეული საბუთების პირების კრებულს წარმოადგენს და ეს კრებული დავთარშია მოქცეული, იგი შეიტანება ერთ ნომრის ქვეშ და არა თვითეული საბუთის პირი, დავთარში მოთავსებული, ცალ-ცალკე ნომრით; ხოლო იმ გრაფაში, სადაც საბუთის რაობა უნდა იყოს შეტანილი, ასეთ შემთხვევაში, რაობის ნაცვლად აღინიშნება აღსაწერი ერთეულის სათაური ან სახელწოდება (მაგ, საბუთების პირების კრებული); შემკულობისა და დასურათების შესახებ ცნობების შეტანის დროს უნდა აღინიშნოს მხოლოდ აქვს თუ არა შემკულობა და სურათი საბუთს და რამდენი.

დასასრულ, ძველ ხელნაწერ წიგნების საინვენტარო აღწერის შედგენის დროსაც მოსალოდნელია ზოგიერთი დაბრკოლება და სიძნელე ან იმის გამო, რომ ხელნაწერი დეფექტიანია და ზოგიერთი ცნობები დაკარგული აქვს, ან კიდევ იმის გამო, რომ ხელნაწერი საერთო მასისაგან განსხვავებულ ტიპს წარმოადგენს და საინვენტარო აღწერის გრაფებს არ უდგება. ასე, მაგალითად, შესაძლებელია ხელნაწერს სათაური და თარიღი დაკარგული ჰქონდეს ან იმ თავითვე არ ჰქონოდეს, შესაძლებელია აგრეთვე ხელნაწერს ავტორისა ან მთარგმნელის და გადამწერის ვინაობის შესახებ ცნობები შემონახული არ ჰქონდეს და სხვა. ყველა ასეთ შემთხვევაში არქივისტი უნდა მოიქცეს ისე, როგორც ახალ საარქივო მასალებისა ან სიგელ-გუჯრების აღწერის ანალოგიურ შემთხვევების დროს: რისი აღდგენა შეიძლება ხელნაწერის მიხედვით, უნდა აღადგინოს და აღდგენილი ცნობები შეიტანოს აღწერაში, ხოლო შენიშვნის გრაფაშიც ამის შესახებ სათანადო შენიშვნა უნდა გაუკეთოს. ხელნაწერის შემკულობის შესახები ცნობების შეტანის დროსაც სრულიად ლაკონიურად უნდა აღინიშნოს, აქვს თუ არა რაიმე შემკულობა და სურათი ხელნაწერს და რამდენი. ყოველგვარი ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ არქივისტის „გამოკვლევის“ შედეგს (ახალი, ან შეცვლილი სათაური, აღდგენილი თარიღი, ავტორის ან გადამწერის ვინაობა და სხვა) აღწერაში შეტანის ღროს აქაც მოთავსებულ უნდა იქნეს სწორ (კუთხოვან) ფრჩხილებში, ისევე როგორც ეს ხდება ახალ საარქივო მასალებისა და ძველ საბუთების აღწერის დროს. ხელნაწერის ჩამომავლობა და გაცემის ადგილი უნდა აღინიშნოს შესავალში. ეს ცნობები შეიტანება ძველ საბუთთა აღწერის დროსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთია საინვენტარო აღწერის შემადგენელი ძირითადი ელემენტები და მისი შედგენის ზოგადი წესები.[1] როგორი უნდა იყოს სამეცნიერო აღწერა?

სამეცნიერო აღწერა, როგორც ვთქვით, არსებითად უნდა განსხვავდებოდეს საინვენტარო აღწერისაგან თავისი შინაარსითა და მოცულობით. სამეცნიერო აღწერამ უნდა მოგვცეს აღსაწერი სარქივო მასალის შინაარსის უფრო ვრცელი წარმოდგენა და ამ შინაარსის ზოგიერთი მომენტების უფრო ფართე გაშუქება. მეორეს მხრივ სამეცნიერო აღწერაში უფრო ვრცელი დახასიათება უნდა ჰპოვონ იმ ელემენტებმაც, რომელნიც საარქივო მასალის გარეგნულ მხარეებს შეეხებიან. მაგრამ „ვრცელი წარმოდგენა“ ან „ვრცელი დახასიათება“ ხომ შედარებითი ცნობებია და მათი საზღვარიც ხომ შემდგენელის შეხედულებაზეა დამოკიდებული? ამ „საზღვართანაა“ უმთავრესად დაკავშირებული სამეცნიერო აღწერის სხვადასხვა ტიპისა თუ ვარიანტის სიმრავლე, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ასე კარგად იცნობს ძველი რუსეთისა და დასავლეთ ევროპის, ხოლო ნაწილობრივ საბჭოთა ქვეყნების საარქივო პრაქტიკაც. „ვრცელი ინვენტარი“, „ვრცელი აღწერა“, „ვრცელი კატალოგი“, „მიმოხილვა“ და მრავალი სხვა—აი ის ფორმები სამეცნიერო აღწერისა, რომელიც გვიანდერძა ძველმა პრაქტიკამ და რამოდენიმედ შეინარჩუნა თანამედროვე პრაქტიკამაც. და ჩვენს წინაშე სდგას საკითხი სამეცნიერო აღწერის ამ მრავალ სახეებიდან ისეთის ამორჩევისა, რომელიც უფრო რაციონალური და მისაღები იქნება ჩვენი საისტორიო მასალების აღსაწერად. საინვენტარო აღწერის მსგავსად, აქაც უნდა ავირჩიოთ ერთი უფრო სრულქმნილი ფორმა სამეცნიერო აღწერისა, ან სხვადასხვა სახის აღწერებიდან დადებითი მხარეების კომბინირებით დავადგინოთ ახალი ფორმა ასეთი აღწერისა და მას მეტი გარკვეულობისათვის თავისი სახელიც, ე. ი. შესაფერი ტერმინიც მოუძებნოთ.

საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ევროპაში ხმარებული ტერმინები სამეცნიერო აღწერის აღსახიშნავად, როგორც მაგალითად, „ვრცელი ინვენტარი“, „მიმოხილვა“, „ფორმა № 3“, „ფორმა № 4“ და სხვა, რომელთა შესახებ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, ჩვენ მაინც

---

[1] ჩვენ აქ ვიძლევით მხოლოდ დამახასიათებელ შეთთხვევების ახსნა-განმარტებასა და ზოგად მითითებებს. დაწვრილებითი ახსნა-განმარტება, როგორც საინვენტარო აღწერის, ისე აგრეთვე სამეცნიერო აღწერილობის შედგენისათვის უნდა დაიწეროს ცალკე ინსტრუქციის სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც მისაღებად არ მიგვაჩნია იმის გამო, რომ ეს ტერმინები, ჩვენის აზრით, არ გამოხატავენ იმ შინაარსს, რომელსაც ჩვენ ვსდებთ ამ სახის აღწერის ცნებაში. და მართლაც ტერმინი „ვრცელი ინვენტარი“, ან „ვრცელი აღწერა“, ისევე როგორც „მიმოხილვა“ ან „ფორმა № 3“, თუ № 4 და სხვა არაფერს ამბობს გარკვეულს იმისათვის, რომ ამ ტერმინების ქვეშ ვიგულისხმოთ უეჭველად სამეცნიერო აღწერა. მართალია, ყველა დასახელებული ტერმინები ერთი და იგივე ცნების აღსანიშნავად არც იხმარება და თვითეული მათგანი სამეცნიერო აღწერის სხვადასხვა სახის აღმნიშვნელი ტერმინია, მაგრამ რომელიმე მათგანის მიღება და დაკანონება სამეცნიერო აღწერის აღსანიშნავად პირობითაც კი, როგორც ვთქვით, მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება. ყოველ შემთხვევაში აღწერა, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ სამეცნიერო აღწერის ქვეშ, სრულიად არ არის „ვრცელი ინვენტარი“, ვინაიდან ინვენტარის შემადგენელი ელემენტები სხვა არის, ხოლო სამეცნიერო აღწერისა კიდევ—სხვა; იგი არ არის აგრეთვე არც „ვრცელი აღწერა“, რადგან სამეცნიერო აღწერის დამახასიათებელ თვისებას მაინცდამაინც მარტო ვ რ ც ლ ა დ აღწერა არ წარმოადგენს. მით უფრო შეუფერებელია ტერმინები: „მიმოხილვა“, ან „ფორმა № 3“ და სხვა, რომელნიც კიდევ უფრო ნაკლებ გამოხატავენ სამეცნიერო აღწერის თავისებურებასა და სპეციფიურობას, ხოლო დასავლეთ ევროპაში მიღებული ტერმინები სრულიად არ ეგუებიან ჩვენს სინამდვილეს.

ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია ამ სახის აღწერის აღსანიშნავად ვიხმაროთ ტერმინი „ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა“. ეს ტერმინი, ჩვენის აზრით, უფრო გარკვეული ცნებაა და იგი უფრო აშკარადაც გამოხატავს ამ ტიპის აღწერის განსხვავებას სააღრიცხვო აღწერისაგან, ე. ი. საინვენტარო აღწერისაგან. ამას გარდა ამ ტერმინის ხმარებას ერთგვარი ტრადიციაც აქვს საქართველოში: სამეცნიერო აღწერის აღსანიშნავად ჩვენში სხვა ტერმინი არ იხმარებოდა და არც ამჟამად იხმარება.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს, საქმე ტერმინსა და სახელწოდებაში არ არის; იმ გარემოებას, თუ რომელ ტერმინს ვიხმართ ჩვენ სამეცნიერო აღწერის აღსანიშნავად, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ყოველი ტერმინი პირობითი ცნებაა და ჩვენც შეგვიძლია პირობით ესა თუ ის ტერმინი ვიხმაროთ. მხოლოდ საჭირო და სასურველია, აღრევისა და გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, მრავალი სხვადასხვა ტერმინის ნაცვლად, ერთი რომელიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიღოთ და ის „დავაკანონოთ“. უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი ამ შემთხვევაში ის არის, თუ როგორ შინაარსს ჩავსდებთ ჩვენ ამ ტერმინში. და საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რას უნდა წარმოადგენდეს სამეცნიერო აღწერილობა სწორედ ამ შინაარსის მხრივ, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი ელემენტებისგან უნდა შესდგებოდეს სამეცნიერო აღწერილობა და როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მასსა და საინვენტარო აღწერას შორის.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საინვენტარო აღწერასა და სამეცნიერო აღწერილობას შორის, შემადგენელ ელემენტების მხრივ არსებითი განსხვავებასთან ერთად, შინაგანი ლოგიური კავშირი უნდა არსებობდეს. ამგვარი კავშირი მათ შორის საჭიროა იმისათვის, რომ ორივე სახის აღწერა ერთი და იგივე სისტემის (და არა სხვადასხვა სისტემის) ნაწილობი იყოს, რაც აუცილებელი პირობაა საარქივო მასალების ერთი მეთოდით მეცნიერულად დამუშავებისა და აღწერისათვის. ამ მხრივ სამეცნიერო აღწერილობა უნდა წარმოადგენდეს საინვენტარო აღწერის შემდეგ განვითარებასა და გაღრმავებას. მან საინვენტარო აღწერაში მოცემულ ზოგიერთ მხარეების გაშუქებასთან ერთად საარქივო მასალის სხვა, ახალი მხარეებიც უნდა გააშუქოს, ის მხარეები, რომლებიც მკვლევართა და ისტორიკოსთ ამა თუ იმ თვალსაზრისით დააინტერესებთ. უმთავრესად ეს მხარეები, გასაგებია, საბუთის შინაარსს უნდა შეეხებოდეს. ამასთანავე სამეცნიერო აღწერილობამ მკვლევარს უნდა მიაწოდოს ისეთი ცნობებიც, რომლებიც საჭიროა მისთვის ხელნაწერის გამოსაყენებლად, ე. ი. ცნობები მასალის ისტორიული და მეცნიერული ღირსების შესახებ, ხელნაწერის წარმოშობისა და მის გამოყენების (გამოქვეყნებისა და სხვათა) შესახებ და სხვა. ამიტომ, თავისდათავად ცხადია, სამეცნიერო აღწერილობა, საინვენტარო აღწერასთან შედარებით, როგორც ვამბობდით, უფრო ვრცელსა და დაწვრილებითი ცნობებს უნდა შეიცავდეს მასალის შესახებ.

მაგრამ მასალის გარეგნულ მხარეებისა და შინაარსის ვრცლად გადმოცემასაც ხომ საზღვარი უნდა ჰქონდეს. არ შეიძლება მასალის აღწერის დროს ყოველგვარი წვრილმანი, რომელსაც სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მისი, როგორც ისტორიული წყაროს, დასასახასიათებლად, შეტანილ იქნეს სამეცნიერო აღწერილობაში, ან კიდევ—ხელნაწერის ყოველი მომენტი უეჭველად ვრცლად იქნეს აღწერილი. მაშინ ხომ აღწერა იმდენად ვრცელი და დიდი იქნებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მის შედგენას ყველა სამეცნიერო მასალებისათვის საუკუნოები დასჭირდებოდა. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთ აღწერას ან აღწერილობას, რაც უნდა ვრცელი იყოს ის, არ შეუძლია გასწიოს ხელნაწერის ან მის ტექსტის მაგიერობა. სამეცნიერო აღწერილობა უნდა იძლეოდეს ისეთ ცნობათა კომპლექსს, რომელიც შეიცავს ხელნაწერის, ვითარცა ისტორიული ძეგლის, შესწავლისა და გამოყენებისათვის აუცილებელ ელემენტებს.

ნათქვამის მიხედვით სამეცნიერო აღწერილობა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

1. ახალი საარქივო მასალების სამეცნიერო აღწერილობა უნდა შეიცავდეს—ა) საარქივო ფონდის სახელწოდებას, ბ) შესანახ ერთეულის საარქივო ნომერს, გ) ძველ საკანცელარიო ნომერს, დ) ვრცელ შინაარსს, ე) მნიშვნელოვან საბუთებიდან ამონაწერსა და ციტატებს, ვ) დაწყების თარიღს, ზ) დამთავრების თარიღს, Თ) ფურცლების რაოდენობას, თ) ცნობებს ერთეულის დაცულობის შესახებ, ი) ცნობებს მასალის მეცნიერული ღირსების შესახებ და ია) საძიებლებს—პირთა სახელების, გეოგრაფიული სახელების და საგნობრივს.

2. ძველ საბუთთა სამეცნიერო აღწერილობა უნდა შეიცავდეს—ა) საარქივო ფონდის (სერიის, კოლექციის) სახელწოდებას და ნომერს, ბ) საბუთის საარქივო ნომერს, გ) რაობას, დ) თხრობას ე) განგებულებას, ვ) რეზოლიუციას (ოქმს), ზ) მიმცემის ვინაობას Ꭲ) თარიღს—ქორონიკონით და ჩვეულებრივი წელთაღრიცხვით, თ) მასალის აღწერილობას, ი) ცნობებს იმის შესახებ, დედანია თუ პირი საბუთი, ია) მინაწერის შესახებ, იბ) ბეჭდის ან ბეჭდების აღწერილობას, იგ) ცნობებს დამწერლობის შესახებ, იდ) ცნობას დამწერის ან გადამწერის შესახებ იე) ჭვირნიშნების შესახებ, ივ) განკვეთილობისა და სასვენი ნიშნების შესახებ, იᲗ) შემკულობის აღწერილობას, ით) საძიებლებს—პირთა სახელების, გეოგრაფიულ სახელების, საგნობრივსა და ბეჭდების, კ) ცნობებს საბუთის დაცულობის შესახებ, კა) ცნობებს საბუთების მეცნიერული მნიშვნელობისა და გამოყენების (გამოქვეყნებისა და სხვათა) შესახებ, კბ) ცნობებს საბუთში მოხსენებულ ისტორიულ პირების შესახებ, კერძოდ მოწმეების შესახებ, კგ) გეოგრაფიულ ადგილებისა და სახელების შესახებ, კდ) საფას-საზომთა შესახებ, კე) საწყაოს შესახებ.

3. ძველ ხელნაწერ წიგნების სამეცნიერო აღწერილობა—ა) საარქივო ფონდის (სერიის, კოლექციის) სახელწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებასა და ნომერს, ბ) ხელნაწერის საარქივო ნომერს, გ) ხელნაწერის სათაურს ან სახელწოდებას, დ) ვრცელ შინაარსს, ე) ციტატებსა და ამონაწერებს ტექსტიდან, ვ) ანდერძს, ზ) ცნობებს იმის შესახებ, დედანია თუ გადანაწერი, ᲗᲘ) ორიგინალია თუ თარგმანი, თ) ცნობებს ავტორის, მთარგმნელის ან გადამწერის შესახებ, ი) დამწერლობის შესახებ, ია) თარიღს—ქორონიკონით და ჩვეულებრივი წელთ-აღრიცხვით, იბ) მასალის აღწერილობას, იგ) ზომას, იდ) ფურცლების რაოდენობას და ცნობებს პაგინაციის შესახებ, იე) ყდის აღწერილობას, ივ) შემკულობის აღწერილობას, იზ) მინაწერს და ჩანართებს, იᲗᲘ) ცნობებს ხელნაწერის მეცნიერული ღირებულებისა და მის გამოყენების შესახებ, ით) შენიშვნას დაცულობის შესახებ, კ) ცნობებს ჭვირნიშნების შესახებ, კა) შემკვეთელის ვინაობას, კბ) საძიებლებს—პირთა სახელების, გეოგრაფიულ სახელების, საგნობრივს.

ამ ცნობებს გარდა, სამეცნიერო აღწერილობაში, ისევე როგორც საინვენტარო აღწერაში, უნდა შევიდეს: ისტორიული მიმოხილვა აღწერილ საარქივო ფონდისა და მისი შემქმნელ დაწესებულებისა, ცნობები დაწესებულების სტრუქტურისა და ფონდის დამუშავების პირობების შესახებ და სხვა; ყველა ეს ცნობები სამეცნიერო ადწერილობაში გაშუქებული იქნება უფრო ვრცლად და უფრო დაწვრილებით, ვიდრე საინვენტარო აღწერაში. ამ ცნობებთან ერთად სამეცნიერო აღწერილობას, თავისთავად იგულისხმება, უნდა წარემძღვაროს ახსნა-განმარტებები იმის შესახებ, თუ როგორი წესითა და მეთოდით არის შედგენილი თვითეული აღწერილობა.

სამივე სახის სამეცნიერო აღწერილობა უნდა შესდგეს ცალკე ფურცლებზე ბარათების სახით და შემდეგ ასეთი აღწერილობა, მიღებული სისტემის მიხედვით, შეიძლება შეტანილ იქნეს დავთარშიც. ბარათებზე შეიძლება საჭირო კითხვები (განსაკუთრებით მასალის გარეგნული მხარეების შესახები) წინასწარ იყოს ჩამოწერილი შედგენის გაადვილების მიზნით, მაგრამ ეს აუცილებელი არ არის. დავთარი კი, რომელშიც შემდეგში შეიტანება აღწერილობა, არ უნდა იყოს დაგრაფული (დახაზული). თვითეული ფონდი ან სერია და კოლექცია უნდა აღიწეროს ცალკე ნუმერაციის დაცვით. აღსაწერი ერთეულის შინაარსის გადმოცემის დროს უმჯობესია მოთხრობითი ფორმის გამოყენება. საერთოდ თვითეული ხელნაწერისა და საბუთის აღწერილობა უნდა წარმოადგენდეს მთლიან მიმოხილვას (მოთხრობას), სადაც ამ ხელნაწერისა და საბუთის ყველა მთავარი მომენტები საკმაო სისრულით და მეტისმეტი სიზუსტით იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება წარმოდგენილი. მთავარი, რაც არის სამეცნიერო აღწერილობის შედგენის დროს, ეს არის აღსაწერი მასალის იმ მხარეების აღნიშვნა, რაც რაიმე თვალსაზრისით საინტერესო იქნება მკვლევარისათვის; ამიტომ აღწერილობის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ ასეთ მხარეებს. საყოველთაოდ ცნობილი ტრაფარეტული და შაბლონური ადგილები ხელნაწერისა სავსებით მოკლედ უნდა იქნეს გაშუქებული აღწერილობაში.

ახალი საარქივო მასალების სამეცნიერო აღწერილობის შედგენის დროს, როდესაც შინაარსი უნდა იქნეს გადმოცემული, საჭიროა მთელი ერთეულის (საქმის) და არა ამ ერთეულში მოთავსებულ საბუთების (ქაღალდების) შინაარსის მოყვანა. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში მოთავსებული ცალკე საბუთები, მეცნიერულ ღირებულების თვალსაზრისით, დიდ ინტერესს წარმოადგენენ, შეიძლება მოყვანილ იქნეს ცალკე ქაღალდებიდან ამონაწერები და ციტატები, ზოგჯერ კიდევ მთელი ტექსტი ან კიდევ ფოტო-ლიტოგრაფიული სურათიც. შინაარსი გადმოცემული უნდა იყოს ვრცლად, მაგრამ ისე, რომ წვრილმანი და უმნიშვნელო ფაქტები არ იყოს გაშუქებული და საერთოდ ზედმეტ გავრცელებასა და მრავალ სიტყვაობას ადგილი არ ჰქონდეს. ისეთ ცნობის მოყვანის დროს, რომელიც საარქივო მასალის სამეცნიერო მიზნით გამოყენებას შეეხება, შეძლებისდაგვარად მოკლედ უნდა აღინიშნოს: იყო თუ არა ეს მასალა გამოქვეყნებული და სად, ან იყო თუ არა იგი გამოყენებული რომელიმე მკვლევარის მიერ, როდის და რომელ შრომაში.

სიგელ-გუჯრებისა და საერთოდ ძველ საბუთების სამეცნიერო აღწერილობაში, შინაარსის გადმოცემის დროს, განსაკუთრებით ვრცლად მოყვანილი უნდა იყოს საბუთის (სიგელის) მეორე და მესამე ნაწილის (თხრობისა და განგებულების) შინაარსი, რა თქმა უნდა საბუთის მთლიან შინაარსთან ერთად. საჭირო შემთხვევაში შეიძლება საბუთის ტექსტიდან მოყვანილ იქნეს ცალკე ამონაწერები და მნიშვნელოვანი ადგილები. შინაარსის მოთხრობის დროსვე თავთავის ადგილას მოხსენებული უნდა იქნენ ყველა ისტორიული პირები, რომელნიც საბუთში არიან დასახელებული. ბეჭდების აღწერილობის დროს საკმარისი არაა მარტო იმის აღნიშვნა, თუ რამდენი და როგორი ბეჭდები აქვს საბუთს, როგორც ეს საინვენტარო აღწერის დროს არის, არამედ საჭიროა მოყვანა ბეჭდის წარწერის შინაარსისა ან კიდევ მისი სრული ტექსტისა. ისეთ საბუთის აღწერილობის დროს, რომელსაც რეზოლიუცია (ოქმი) აქვს დართული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვანილ უნდა იქნეს ამ რეზოლიუციის შინაარსი, ხოლო საჭირო შემთხვევაში სრული მისი ტექსტი. ასევე უნდა იქნეს მოყვანილი შემდეგ დროინდელი მინაწერები და ჩანართები, თუ ასეთები საბუთს მოეპოება. ასეთ შემთხვევაში, თავისთავად ცხადია, უნდა აღინიშნოს ისიც, თუ ვისი და როდინდელი მინაწერია. დამწერლობის შესახებ ცნობების მოყვანის დროს, როდესაც პალეოგრაფიულად მნიშვნელოვან ძეგლთან გვაქვს საქმე, საჭიროა სანიმუშოდ მოყვანილ იქნეს სათანადო ადგილის ფოტოგრაფიული სურათიც. შემკულობის აღწერილობის დროს საკმარისი არ არის მარტო იმის აღნიშვნა, აქვს თუ არა საბუთს რაიმე შემკულობა, არამედ საჭიროა ამ შემკულობის ვრცლად დახასიათება, შემკობელის ვინაობის აღნიშვნით, თუ ამის შესახებ სათანადო ცნობები მოიპოვება საბუთში. დანარჩენ შემთხვევაში სიგელ-გუჯრების სამეცნიერო აღწერილობაში ცნობები შეიტანება იმავე მეთოდითა და წესით, როგორც სიგელ-გუჯრების საინვენტარო აღწერებში. აღწერილობაში შეიტანება აგრეთვე ცნობები საბუთის ნატყუარობის შესახებ, თუ სიგელი ყალბია.[1]

დასასრულ, ძველ ხელნაწერ წიგნების სამეცნიერო აღწერილობა, ვრცელ შინაარსისა და ციტატების მოყვანასთან ერთად ჰგულისხმობს ტექსტში აღმოჩენილ განსხვავების აღნიშვნასაც იმ შემთხვევაში, როდესაც აღსაწერი ერთეული (ხელნაწერი) წარმოადგენს ისეთ ძეგლს, რომლის რამოდენიმე ვარიანტია ცნობილი. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელნაწერი, თავისი შინაარსითა და ხასიათით, საერთოდ ცნობილ კატეგორიას ეკუთვნის (მაგალითად, სახარება, დავითნი და სხვა) შინაარსის მოყვანა საჭირო არ არის, არამედ საკმარისია აღინიშნოს მხოლოდ ის რედაქციული ან სხვაგვარი განსხვავებები, რომელსაც შეამჩნევს აღმწერი ხელნაწერის ტექსტში სხვა ვარიანტებთან შედარებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელნაწერს შემონახული აქვს გადამწერის ანდერძი, უნდა მოყვანილ იქნას ამ ანდერძის შინაარსიც. მაგრამ საჭირო შემთხვევებში, როდესაც ეს ანდერძი მნიშვნელოვან ცნობას წარმოადგენს, შეიძლება და საჭიროც არის, ანდერძი, ისევე როგორც ხელნაწერის სხვა მინაწერები და ჩანართები მოყვანილ იქნეს სრულად სიტყვასიტყვით. როდესაც აღსაწერი ერთეული (ხელნაწერი) რამოდენიმე თხუზულებათა კრებულს წარმოადგენს, შინაარსის გადმოცემის დროს, უნდა აღიწეროს ამ ერთეულში მოთავსებული ყველა თხუზუ-

[1] საბუთის სიყალბის გამორკვევის დროს საჭიროა იმ წესებით ხელმძღვანელობა, რომლებიც ამისთვის დადგენილია ქართულ დიპლომატიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებები ცალ-ცალკე, მაგრამ ერთ ნომრის ქვეშ. დანარჩენ შემთხვევაში ხელნაწერთა სამეცნიერო აღწერილობის შედგენის წესები ისეთივეა, როგორც სიგელ-გუჯრების აღწერილობის შედგენის წესები.

ასეთია ჩვენ მიერ წარმოდგენილ საარქივო აღწერათა და აღწერილობათა სისტემის ძირითად სახეების—საინვენტარო აღწერისა და სამეცნიერო აღწერილობის—მთავარი შემადგენელი ელემენტები და მათი შედგენის ზოგადი წესები.

როგორც ვიცით, ჩვენი სისტემის მიხედვით სამეცნიერო აღწერილობა საარქივო მასალის აღწერის უკანასკნელ ეტაპს წარმოადგენს და ერთობ რთული ხასიათის აღწერაა. მაგრამ საინვენტარო აღწერაც არ არის სავსებით უბრალო და მარტივი ხასიათის აღწერა: საინვენტარო აღწერის შედგენასაც აღსაწერი მასალის წინასწარი შესწავლა და ხანგრძლივი, საკმაოდ რთული დამუშავება სჭირდება. ამ გარემოებასთან დაკავშირებით საინვენტარო აღწერის შედგენასაც მარტო იმ მასალებისათვისაც კი, რომლებიც ამჟამად საქართველოს არქივთსაცავებშია დაცული და რომელთაც ასეთი აღწერა არ მოეპოებათ, უეჭველია ათეული წლები დასჭირდება. ასე ხანხრძლივად საარქივო მასალების აუწერლად დატოვება კი, როგორც ვიცით, მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება სწორედ იმ ძირითად და მთავარ დანიშნულების თვალსაზრისით, რომელიც საალრიცხვო აღწერას აქვს მიკუთვნილი.

ამიტომ, ვიდრე საარქივო მასალების საინვენტარო აღწერა შესდგებოდეს და ამ გზით ეს მასალები ზუსტი აღრიცხვასთან ერთად, მკვლევართათვის ოდნავ მაინც ხელმისაწვდომი გახდებოდენ, საჭიროდ მიგვაჩნია მოხდეს ამ მასალების წინასწარი აღრიცხვა და ფიქსაცია სრულიად უბრალო წესით. საარქივო მასალების ასეთ წინასწარ დამუშავებას უმთავრესად ორგვარი მნიშვნელობა ექნება: ერთის მხრივ ამ გზით შესაძლებელი იქნება სრულიად მოკლე ხნის განმავლობაში ყველა აღუწერელ საარქივო მასალების აღრიცხვა, რაც უზრუნველყოფს ამ მასალებს დაკარგვისაგან, ხოლო მეორეს მხრივ ეს გარემოება გაადვილებს საინვენტარო აღწერის დაუბრკოლებლად შედგენას შემდეგში: ეს იქნება დამხმარე საალრიცხვო აღწერა—საინვენტარო აღწერის შესადგენად.

ასეთ დამხმარე საალრიცხვო აღწერას ჩვენ ვუწოდებთ „წ ი ნ ა ს წ ა რ ა ღ წ ე რ ა ს“. ცხადია „წინასწარ აღწერაში“ უნდა შევიდეს ისეთი ცნობები საარქივო მასალის შესახებ, რომლებიც შემდგენელთაგან არავითარ კვლევა-ძიებას არ მოითხოვენ და, მაშასადამე, აღწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის დროს დაბრკოლებას არ შეჰქმნიან. რა თქმა უნდა, ეს „წინასწარი აღწერაც“ სხვადასხვანაირი იქნება იმისდა მიხედვით, თუ რომელ ჩვენ მიერ დასახელებულ კატეგორიის მასალისათვის იქნება შედგენილი.

ახალ საარქივო მასალების წინასწარ აღწერაში უნდა შევიდეს მხოლოდ ოთხი ელემენტი: ა) თარიღი, რომელიც განსაზღვრავს მასალების აღწერის ქრონოლოგიურ რიგს, ბ) ძველი საკანცელარიო ნომერი, აღმავალი რიგით, გ) ერთეულების რაოდენობა და დ) საარქივო ფონდის სახელწოდება.—სიგელ-გუჯრებისა და საერთოდ ძველ საბუთთა წინასწარ აღწერაშიც შევა ოთხი ელემენტი: ა) საარქივო ნომერი (რიგის ნომერი), რომელიც დროებითი ნომერი იქნება, ბ) საბუთის რაობა, გ) საბუთის მიმცემი და დ) თარიღი. ხოლო ძველ ხელნაწერ წიგნების აღწერილობაში შევა ხუთი ელემენტი: ა) საარქივო (რიგის) ნომერი, რომელიც დროებითი ნომერი იქნება, ბ) ხელნაწერის სახელწოდება ან სათაური, გ) ავტორი, მთარგმნელი ან გადამწერი, იმისდა მიხედვით ხელნაწერი ორიგინალია, თარგმანი, თუ გადანაწერი, დ) თარიღი და ე) ფურცლების რაოდენობა.

ამრიგად საბოლოოდ ჩვენ მივიღეთ აღწერათა და აღწერილობათა ისეთი სისტემა, რომელიც სამი სახის აღწერას ჰგულისხმობს: 1) წინასწარ აღწერას, 2) საინვენტარო აღწერას და 3) სამეცნიერო აღწერილობას. აქედან წინასწარი აღწერა პირველი სტადიაა საარქივო მასალების აღწერისა, ხოლო სამეცნიერო აწერილობა—მესამე და უკანასკნელი. მაგრამ ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ ყველა საარქივო მასალებმა უეჭველად სამივე სტადიის აღწერა უნდა გაიაროს, ე. ი. ჯერ წინასწარი აღწერა, შემდეგ—საინვენტარო აღწერა და ბოლოს სამეცნიერო აღწერილობა: სამეცნიერო აღწერილობა ვერ შესდგება ისეთ მასალებზე, რომელთაც საინვენტარო აღწერა არა აქვთ უკვე შემდგარი; ხოლო საინვენტარო აღწერის შემდეგ ყოველთვის აუცილებელი არ არის სამეცნიერო აღწერილობის შედგენა, ისევე როგორც არა ყოველთვის არის აუცილებელი, რომ საინვენტარო აღწერას წინასწარი აღწერა უეჭველად უსწრებდეს წინ.

სამეცნიერო აღწერილობა სდგება მხოლოდ ისეთ მასალებზე, რომელთაც მეცნიერებისათვის უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვთ, საინვენტარო აღწერა ყველა მასალებზე უკლებლივ, წინასწარი აღწერაა კიდევ—მხოლოდ მაშინ, როდესაც ობიექტურ პირობების გამო (მასალების სიმრავლე, მათი ქაოტიური მდგომარეობა, კვალიფიციური შტატის სიმცირე და სხვა) შეუძლებელია იმთავითვე საინვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარო აღწერის დაწყება. წინასწარი აღწერა შეიძლება იყოს და არის კიდეც აღწერის პირველი ეტაპი, მაგრამ იგი არ შეიძლება უკანასკნელი იყოს, ე. ი. არ შეიძლება საარქივო მასალა, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს ის, აღიწეროს მხოლოდ „წინასწარი აღწერის“ მიხედვით და ამით დასრულდეს მისი აღწერა.[1] საინვენტარო აღწერა შეიძლება აღწერის პირველი და საბოლოო ეტაპი იყოს, ე. ი. შეიძლება საარქივო მასალებზე შესდგეს საინვენტარო აღწერა, წინასწარ აღწერის შეუდგენლად და შემდეგ იგი არ აღიწეროს „სამეცნიერო აღწერილობის“ მიხედვით. დასასრულ, სამეცნიერო აღწერილობა შეიძლება იყოს და არის კიდეც აღწერის უკანასკნელი (საბოლოო) ეტაპი, მაგრამ იგი არ შეიძლება აღწერის პირველი ეტაპი იყოს, ე. ი. არ შეიძლება საარქივო მასალის აღწერა დაიწყოს პირდაპირ სამეცნიერო აღწერილობის შედგენით, თუ მას წინდაწინ საინვენტრო აღწერა არა აქვს შედგენილი, მაგრამ არ შეიძლება აგრეთვე სამეცნიერო აღწერილობის შედგენა დაიწყოს პირდაპირ წინასწარი აღწერის შემდეგ უშუალოდ. მაშასადამე, შეიძლება საარქივო მასალაზე შესდგეს სამივე სახის აღწერა (წინასწარი აღწერა, საინვენტარო აღწერა და სამეცნიერო აღწერილობა) თანდათანობით, შეიძლება აგრეთვე ორი სახის აღწერაც (წინასწარი და საინვენტარო, ან საინვენტარო და სამეცნიერო) და ბოლოს ერთი სახის აღწერაც (საინვენტარო აღწერა).

ძნელი არაა იმის დანახვა, რომ წარმოდგენილ სისტემას ბევრი რამ საერთო აქვს იმ სისტემებთან, რომელნიც ძველად იხმარებოდა ან ამ ჟამად იხმარება სხვადასხვა ქვეყნის საარქივო პრაქტიკაში. მაგრამ ადვილია იმის დანახვაც, რომ მას ბევრი რამ საკმაოდ აშორებს და განასხვავებს, როგორც ძველი რუსეთისა და საბჭოთა ქვეყნების, ისე აგრეთვე დასავლეთ ევროპის პრაქტიკაში მიღებულ სისტემებისაგან. ეს განსხვავება ბუნებრივად უფრო თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია ძველი რუსეთისა და დასავლეთი ევრობის პრაქტიკასთან შედარებით, ხოლო უფრო ნაკლები და უმნიშვნელოა საბჭოთა ქვეყნებში უკანასკნელ დროს შემუშავებულ და უკვე პრაქტიკაში შემოღებულ სისტემებთან შედარებით. მაგრამ საქმე მარტო განსხვავებაში არ არის. განსხვავებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც ეს განსხვავება სისტემის დადებით მხარეების მაჩვენებელია.

წარმოდგენილ სისტემის დადებითი მხარეებად ჩვენ მიგვაჩნია უპირველესად ყოვლისა ის გარემოება, რომ მას საარქივო აღწერათა

[1] აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ისეთი მასალები, რომლებიც როგორც ისტორიული მასალები, შესანახად არიან განკუთვნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა სახეებისა და ფორმების რაოდენობა მინიმუმამდე დაჰყავს: საბჭოთა რუსეთსა და უკრაინაში, ან კიდევ დასავლეთ ევროპაში მიღებულ მრავალ ფორმების ნაცვლად, აღწერების წარმოდგენილი სისტემა ჰგულისხმობს მხოლოდ ორ სახის ძირითად აღწერას: „საინვენტარო აღწერასა“ და „სამეცნიერო აღწერილობას“ პლიუს ერთი დამხმარე აღწერა, ე. წ. „წინასწარი აღწერა“. თვითეულ ამ სამივე სახის აღწერათაგანი არსებითად განსხვადება ერთი-მეორისაგან იმ დანიშნულების მიხედვით, რომელიც თვითეულ მათგანს აქვს დაკისრებული, მაგრამ ამავე დროს მათ შორის არსებობს უშუალო და მჭიდრო შინაგანი კავშირი, რომელიც მათი ლოგიური მონათესავეობაზეა დამყარებული. ამ სისტემის დადებით მხარეებად მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ თვითეული დანიშნულების აღწერა (საალრიხვო აღწერა და სამეცნიერო აღწერა) მტკიცედ შეფარდებულია ჩვენში არსებულ საარქივო მასალების იმ ძირითად კატეგორიებთან რომელნიც, როგორც საარქივო მონიპულიაციის ობიექტები, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და ამ ნიადაგზე თავისებურ მიდგომას მოითხოვენ აღწერის დროს: როგორც საალრიცხვო აღწერა ისე სამეცნიერო აღწერაც სამი სახისაა და თვითეული სახე თვითეულ კატეგორიის მასალების აღსაწერადაა განკუთვნილი. დასასრულ, წარმოდგენილი სისტემის დადებითი თვისებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ იგი ფონდის დაუშლელობისა და მთლიანობის პრინციპზეა დამყარებული და ამ პრინციპის უეჭველ დაცვას ჰგულისხმობს.

6

აღწერათა და აღწერილობათა ძირეთადი პრინციპები.

ნათქვამის შემდეგ ჩვენ გვრჩება ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ ზოგად წესების შესახებ, რომელნიც საერთოდ საარქივო აღწერათა და აღწერილობათა შედგენისათვის სახელმძღვანელო პრინციპებსა და დებულებებს წარმოადგენენ. ამ საერთო წესებიდან ზოგიერთის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ზემოდ აღწერათა სხვადასხვა სისტემების, კერძოდ ჩვენ მიერ წარმოდგენილ სისტემის დახასიათების დროს,[1] ხოლო ზოგიერთის შესახებაც— მაშინ, როდესაც ჩვენ არქივალიების კლასიფიკაციისა[2] და სიმტემა-

[1] იხ. ზემოდ.

[2] იხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, არქივალიების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპები („საარქივო საქმე“, წიგ. I.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიზაციის საკითხს ვეხებოდით. მაგრამ სისრულისათვის, საერთო წესების მოყვანის დროს, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ეს წესებიც. რა თქმა უნდა, ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ უმთავრესებს, რომელთაც აღწერის შემდგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

აღწერისა და აღწერილობათა საერთო წესების გამორკვევისა და დადგენის დიდი მნიშვნელობა თავისდათავად ცხადია, მაგრამ ამას უმთავრესად ის დანიშნულება აქვს, რომ ამ წესების მიხედვით ერთის მხრივ უფრო ადვილია აღწერის დროს ამა თუ იმ სისტემის გამოყენება და, მაშასადამე, ამ სისტემის მიხედვით საისტორიო მასალების უნაკლოდ აღწერა, ხოლო მეორეს მხრივ ის, რომ ამ გზით შესაძლებელია ამა თუ იმ სისტემის, რომელიც გარკვეულ ხასიათის საარქივო მასალებისთვისაა განკუთვნილი, სხვა გვარ საარქივო მასალებისთვისაც შეფარდება და, მაშასადამე, სხვა ხასიათის მასალებისთვისაც გამოყენება.[1]

ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ დასახელებული საერთო წესები ცალკე თეზისების სახით მოკლე ახსნა-განმარტებით. ეს წესები შემდეგია.

1. თვითეული საარქივო ფონდი უნდა აღიწეროს ცალკე. არ შეიძლება საარქივო მასალის აღწერის დროს სხვადასხვა ფონდის მასალები აირიოს ერთად და აღიწეროს, როგორც მთლიანი ერთეული. სხვადასხვა ფონდის მასალების აღრევა ერთმანეთში და ასე აღრეულად აღწერა ეწინააღმდეგება ფონდის მთლიანობისა და დაუუშლელობის პრინციპს.

2. თვითეულ საარქივო ფონდის აღწერას უნდა ჰქონდეს თავისი ცალკე ნუმერაცია. საერთო ნუმერაცია ყველა შესანახ ერთეულებისათვის დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ გვაქვს ისეთი არქივი, რომელსაც მომავალში არამც თუ არ მიემატება ახალი მასალა, არამედ ახლაც თავისი ფონდები მოწესრიგებული აქვს. ხოლო ისეთ არქივში, სადაც ფონდები რეგულიარულად ივსება, სრულიად შეუძლებელია საერთო ნუმერაციის შემოღება.

3. ვიდრე საარქივო აღწერა შესდგებოდეს, საჭიროა მოხდეს ალსაწერი საარქივო ფონდის მოწესრიგება. მოუწესრიგებელ ფონ-

[1] ამისდა მიხედვით ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ჩვენ მიერ წარმოდგენილი სისტემა გამოყენებულ იქნეს, არა მარტო საქართველოს არქივთსაცავებში შენახულ მასალებისათვის, არამედ სხვა ხასიათის არქივალიებისათვისაც, რა თქმა უნდა, იმ ძირითად პრინციპების დაცვით, რომელზედაც დამყარებულია წარმოდგენილი სისტემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის აღწერა სრულიად დაუშვებელი და შეუძლებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია აღწერის დროს რაიმე პრინციპის დაცვა და, მაშასადამე, აღწერის სისწორით შედგენა. ფონდის ასეთი მოწესრიგების დროს უნდა შესდგეს მისი წინასწარი აღწერა და ეს წინასწარი აღწერა შემდეგში უნდა გამოყენებულ იქნეს შემდეგ სტადიის აღწერისათვის.

4. საარქივო აღწერისა ან აღწერილობის შედგენას წინ უნდა უსწრებდეს აღსაწერი საარქივო ფონდის ზოგადი შინაარსისა და ისტორიის შესწავლა, იმ დაწესებულების თუ ორგანიზაციის ისტორიასთან დაკავშირებით, როშელმაც შექმნა ეს ფონდი. ამავე დროს გამოკვეული უნდა იქნეს ამ ფონდის შემქნელ დაწესებულების, თუ ორგანიზაციის სტრუქტურა, ფუნქცია და აგრეთვე მისი კომპეტენცია. ყველა ასეთი ცნობები გაადვილებს აღწერის სისწორით შედგენას და შეცდომების თავიდან აცილებას.

5. თუ აღსაწერია ისეთი საარქივო ფონდი, რომელსაც აღწერა და ნუმერაციაც უკვე აქვს, მაგრამ ეს აღწერა თანამედროვე არქივთმეცნიერების მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს, ახალ აწერარაში ახალ ნუმერაციასთან ერთად უნდა შევიდეს ეს ნუმერაციაც. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ძველი აღწერა კანცელარიაში შედგენილია და ნუმერაციაც საარქივო მასალებზე კანცელარიაში გაკეთებულ ნუმერაციას უდგება, ახალ აღწერის შედგენის დროს საჭიროა დაცული იქნეს ძველი ნუმერაციის რიგი. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ძველი აღწერა შემდეგშია შედგენილი და ნუმერაციაც საარქივო მასალაზე კანცელარიაში გაკეთებულ ნუმერაციას არ შეეფერება, ახალ აღწერის შედგენის დროს ძველი აღწერის ნუმერაციის რიგის დაცვა საჭირო არ არის.

6. საარქივო მასალების აღწერა უნდა დაიწყოს სააღწერო ბარათების შედგენით. აღწერის შედგენის წინ ბარათების შედგენა აუცილებელია მაშინ, როდესაც საარქივო ფონდს წინასწარი აღწერა არ მოეპოება და ამის გამო ძნელია პირდაპირ მაშინვე საფუძვლიანი აღწერების დაწყება, ან მაშინ, როდესაც ფონდს თუმცა წინასწარი აღწერა მოეპოება, მაგრამ საარქივო მასალის ხასიათის გამო ასეთი სააღწერო ბარათების წინასწარ შეუდგენლად შეუძლებელია შეცთომების თავიდან აცილება. ბარათებზე, აღწერის დაჩქარების მიზნით, სასურველია წინდაწინ ჩამოწერილი იყოს ყველა ის კითხვები, რომელთა შევსება საჭიროა მასალის აღსაწერად. მაგრამ ასეთი კითხვების წინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწინ აღნიშვნა ბარათებზე აუცილებელი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლაპარაკია სამეცნიერო აღწერილობის შესახებ.

7. ძველი ხელნაწერის პირები, რომელთა დედნები (ორიგინალები) კარგად არის დაცული, არ უნდა იქნეს შეტანილი აღწერაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირები ძველი დროის პირებია და რაიმე თვალსაზრისით (პალეოგრაფიისა, დიპლომატიკისა და სხ.) ღირებულებას წარმოადგენს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დედანი დაზიანებულია ან პირი რაიმე თვალსაზრისით თავისთავად საყურადღებოა, ასეთი პირები აღწერის დროს ცალკე უნდა აღიწეროს, აღნიშვნით, რომ მისი დედანიც დაცულია. ასევე ცალკე უნდა აღიწეროს ისეთი პირები, რომელთა დედნები შენახული არ არის და რომლებიც, მაშასადამე, ამის გამო დედნის მაგიერობას სწევენ.

8. ძველი ხელნაწერები უნდა აღიწეროს უფრო ვრცლად, ვიდრე ახალი დროის საარქივო მასალები. ეს წესი დამყარებულია იმ გარემოებაზე, რომ ადრინდელი საარქივო მასალები უფრო მეტ ღირებულებასა და მნიშვნელობას შეიცავენ, ვიდრე გვიანდელი საარქივო მასალები. ცნობილი ფატქია, რომ უძველესი დროიდან და საშუალო საუკუნოებიდანაც საარქივო მასალები ნაკლებად არის შენახული და ამიტომ ამ დარჩენილ მასალების შინაარსისა თუ გარეგნულ მხარის დამახასიათებელ ყოველგვარ წვრილმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მკვლევარისათვის. აღწერაში უნდა ადგილი დაეთმოს ამ წვრილმანებსაც: საალრიცხვო აღწერაში მოკლედ, ხოლო სამეცნიერო აღწერაში—ვრცლად.

9. როდესაც ახალი დროის საარქივო მასალებთან (საქმეებთან) ერთად გვხვდება ძველი საბუთები, დედნისა ან პირის სახით, ასეთი საბუთები ცალკე არ უნდა აღიწეროს, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ საქმის დამატებას წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია ძველი საბუთები ამოღებულ იქნეს საქმეებიდან და მათ მაგიერ იმავე ადგილას, სადაც ეს საბუთები იყო ჩაკერებული, ჩაეკეროს მათი პირები, ხოლო აღწერის დროს უნდა აღინიშნოს ეს გარემოება. ამოღებული საბუთები ცალკე (ძველ საბუთთა) ფონდს უნდა შეუერთდეს და იმ ფონდის აღწერაში უნდა იქნეს შეტანილი. თვით საქმე კი, რომელშიც ძველი საბუთებია ჩაკერებული, აღიწერება მთლიანად.

10. საარქივო ფონდის აღწერა შეფარდებული უნდა იყოს ამ ფონდის პირვანდელ ორგანიზაციასთან. რაკი მიღებულია, რომ საარქივო ფონდის კლასიფიკაცია და წესრიგი შეფარდებული უნდა იყოს ამ ფონდის პირვანდელ ორგანიზაციასთან, ცხადია საარქივო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერაც შეფარდებული უნდა იყოს ამ უკანასკნელთან. საარქივო აღწერა შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ შეიძლებოდეს აშკარად გამორკვევა საარქივო ფონდის წინანდელი ორგანიზაციის, რომელიც თავის მხრივ შეფარდებულია და გამოხატავს ამ ფონდის შემქნელ დაწესებულების ორგანიზაციასა და სტრუქტურას.

11. დამოუკიდებელ დაწესებულების საარქივო ფონდი უნდა აღიწეროს ცალკე იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ამ დაწესებულების უფლებები და ფუნქციები შემდეგში გადაეცა სხვა დაწესებულებას. მაგრამ, თუ დაწესებულებაში მოხდა მხოლოდ რეორგანიზაცია და ამ ნიადაგზე დაწესებულების მუშაობა სხვა გეგმით წარიმართა შემდეგში, შეიძლება ამ დაწესებულების საარქივო ფონდი (რეორგანიზაციამდე შემდგარი და რეორგანიზაციის შემდეგ შემდგარი) მთლიანად აღიწეროს ერთ აღწერაში. ასეთ შემთხვევაში ნუმერაციაც ერთი იქნება.

12. აღწერის შედგენის დროს საჭიროა დაცულ იქნეს ერთიდაიგივე წესი. აქ იგულისხმება ერთიდაიგივე ტიპისა და დანიშნულების აღწერები. მაგალითად, ერთი და იგივე კატეგორიის საინვენტარო აღწერა ან სამეცნიერო აღწერილობა უნდა შესდგეს ერთი და იმავე წესით. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ ყველა ერთი ტიპისა და დანიშნულების აღწერები სავსებით ერთნაირი იქნება. განსხვავება მათ შორის ყოველთვის მოსალოდნელია თუნდაც იმის გამო, რომ ერთი და იგივე კატეგორიის მასალებს შორისაც ხშირია სხვადასხვა ხასიათის მასალები, რომლებიც განსხვავებულ მიდგომას მოითხოვენ. მაგრამ არსებითად აღწერის ძირითადი წესები ყოველთვის ერთი და იგივე უნდა დარჩეს.

13. აღწერაში ერთი და იგივე საგნის აღსანიშნავად არქივისტი უნდა ეცადოს სხვადასხვა ტერმინი არ იხმაროს. სხვადასხვა ტერმინის ხმარება ხელს უწყობს ცნებების აღრევას და აღწერის შინაარსის უსწოროდ გაგებას. ზუსტი ტერმინების ხმარება საჭიროა როგორც აღწერების სახეებისა და ტიპების აღსასიშნავად, ისე აგრეთვე აღწერის ობიექტების (შესანახი ერთეულების) აღსანიშნავადაც. ეს გაადვილებს ერთის მხრივ აღწერების შედგენას, ხოლო მეორეს მხრივ — აღწერებით სარგებლობას.

14. აღწერის შედგენის დროს არქივისტი უნდა ცდილობდეს არ შეიტანოს სუბიექტური ელემენტი მასალის დახასიათებასა და დაფასებაში. არქივისტმა უნდა გაითვალისწინოს აღსაწერი ძეგლის ყველა ის მხარეები, რომელიც საინტერესოა სხვადასხვა თვალსაზრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სით და არა ის მხარე, რომელიც რომელიმე ერთი დარგის ვიწრო სპეციალისტისათვისაა მხოლოდ საყურადღებო. არქივისტს აღწერის დროს არ უნდა ჰქონდეს მხედველობაში მხოლოდ ერთი დარგის მკვლევარი და აღწერაც ერთნაირად გამოსადეგი უნდა იყოს ყველა დარგის მკვლევარისათვის.

15. აღწერაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ზედმეტ განვრცელებასა და მრავალსიტყვაობას. აღწერის შემდგენელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ აღწერის ღირსება ზედმეტ განვრცელებასა და მრავალსიტყვაობაში კი არ მდგომარეობს, არამედ სიზუსტესა და სისწორეში. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღწერაში აღსაწერი საარქივო მასალის რომელიმე მხარე, რომელიც აღწერის ტიპის მიხედვით შესატანია, უგულებულყოფილ უნდა იქნეს. პირიქით, აღწერის შემდგენელი უნდა ცდილობდეს არ გამორჩეს რომელიმე მხარე აღსაწერი მასალისა, მაგრამ ამ მხარეების აღნიშვნის დროს მან თავი უნდა შეიკავოს ენაწყლიანობისა და სრულიად უმნიშვნელო წვრილმანების დახასიათებისაგან.

16. ყოველგვარ აღწერას, გარდა დამხმარე (წინასწარი) აღწერისა, უნდა წარემძღვანოს ერთგვარი შესავალი. შესავალში შევა ერთის მხრივ აღსაწერ საარქივო ფონდის ისტორიის მიმოხილვა მის შემქნელ დაწესებულების ისტორიასთან დაკავშირებით, ხოლო მეორეს მხრივ თვით აღწერის შედგენის მეთოდის აღსნა-განმარტება. ეს შესავალი უფრო მოკლე იქნება საინვენტარო აღწერისათვის, ხოლო უფრო ვრცელი—სამეცნიერო აღწერილობისათვის. შესავლის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ამ გზით გაუადვილდეს მკვლევარს აღწერის გამოყენება და ამ აღწერაში შეტანილ საარქივო მასალებით სარგებლობა.

17. აღწერა შეფარდებული უნდა იყოს აღსაწერ მასალის თავისებურობასა და ინდივიდუალობასთან. თვითეულ საარქივო ფონდს მთლიანად და თვითეულ საარქივო ერთეულს ცალ-ცალკე აქვს თავისი ინდივიდუალური და განსაკუთრებული სახე, რომელიც მას განასხვავებს სხვა საარქივო ფონდისა და სხვა საარქივო ერთეულისაგან. ამიტომ არქივისტმა, ვიდრე ის აღწერას შეუდგებოდეს, უნდა შეისწავლოს საარქივო ფონდისა და მასალის ინდივიდუალობა, ხოლო აღწერის შედგენის დროსაც გაითვალისწინოს ამ ინდივიდუალობისაგან გამომდინარე თავისებურებებიც.

18. ყოველ საერქივო ერთეულს უნდა ჰქონდეს თავისი მუდმივი საარქივო ნომერი, რომელიც მიკუთვნილი აქვს მას საინვენტარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერის მიხედვით. საინვენტარო აღწერა განსაზღვრავს საარქივო ერთეულთა ნომერს და ეს ნომერი სამუდამოდ მიეკუთვნება ამ ერთეულს. რაკი საინვენტარო აღწერის ნომერი საარქივო ერთეულის აღწერის რიგის ნომერია და ამავე დროს იგი მუდმივი საარქივო ნომერია, ამიტომ ვიდრე ერთეული ინვენტარში შეიტანებოდეს და ვიდრე მას ნომერი გაუკეთდებოდეს, საჭიროა წინასწარ კარგად გამოირკვეს რიგი და ადგილი, რომელიც უნდა დაეთმოს ამა თუ იმ მასალას საინვენტარო აღწერის დროს. ხოლო ვიდრე ეს დანამდვილებით გამოირკვეოდეს, საარქივო ერთეულზე დროებითი ნომრები უნდა დაესვას და ეს ნომრები უნდა დაეწეროს ფანქრით და არა მელნით.

19. ჩვეულებრივი (ახალდროის) საარქივო მასალის თარიღის გამორკვევის დროს მნიშვნელობა აქვს ამ მასალის იმ არქივში შემოსვლის თარიღს, რომელსაც ეს მასალა ეკუთვნის და არა იმ თარიღს, როდესაც ეს მასალა (საბუთი) არის შემდგარი. მასალის შედგენის დროს მნიშვნელობა აქვს მის თარიღისათვის მაშინ, როდესაც ეს მასალა წარმოადგენს არა დაწესებულებაში შემოსულ ქაღალდს, არამედ გასულ ქაღალდის დედანს.[1]

---

[1] ნაწილი ზემოდ მოყვანილ წესებისა ჩვენ ნასესხები გვაქვს მ ი უ ლ ერ ი ს ა, ფ ა ი ტ ი ს ა და ფ რ უ ნ ი ს დასახელებულ წიგნიდან, ხოლო ნაწილი საკუთარი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგს წარმოადგენს.

პროფ. გ. ნათაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ცენტრარქივის მე-XVIII საუკუნის-მასალების კლასიფიკაციისათვის შინაარსის მიხედვით.

უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია მას აქეთ, რაც ისტორიული მეცნიერება თავის კვლევა-ძიებაში დაადგა უმთავრესად სოციალ-ეკონომიური მდგომარეობისა და განვითარების კვლევა-ძიების გზას და ამ ნიადაგზე გაშუქებას პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოვლენებისას. მეორე მხრივ თვით იდეოლოგიური სფეროს მკვლევარები დარწმუნდნენ, რომ თავის კვლევა-ძიებაში ისინი უძლურნი არიან, თუ შესატყვისი ეპოქის ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას არ გაუწიეს ანგარიში და თავისი მოსაზრებანი და მიღწევანი არ დააფუძნეს ამ მკვიდრ საფუძველზე. ამ ბოლო დროს ხომ თვით იდეალისტური მიმართულების ისტორიკოსებიც კი სცნობენ ამ მეთოდის აუცილებლობას როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. ისეთი სხვა და სხვა მიმართულების მეცნიერნი, როგორც არიან მაქს ვებერი, დოპშიბელოვი, ჰანრი სე, ლამპრეხტი ერთი მხრივ და კუნოვი, კაუცკი, მათიეზი მეორე მხრივ ერთნაირად გრძნობენ ამ მეთოდის აუცილებლობას კვლევა-ძიებაში. საბჭოთა კავშირის და ძველი რუსეთის მეცნიერებზე ხომ განმარტებაც არ არის საჭირო. ერთი მხრით ტარლე, პეტრუშევსკი, როსტოვცევი, გრევსი, განსვენებულნი ლუჩიცკი, ვინოგრადოვი, მეორე მხრივ პოკროვსკი, ლუკინი, ფრიდლანდი—ყველა ესენი გრძნობენ ამ მეთოდის აუცილებლობას, თუმცა საერთოდ რომ ვთქვათ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის და მსოფლმხედველობის მხრივ ესენი ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს მეთოდი დღეს უკვე ისტორიულ მეცნიერების უდავო და ურყევ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ყველაზე მეტად ვინდელბანდ-რიკერტის მიმდევარი მეცნიერება, რომელიც ზემოაღნიშნულ მეთოდს უარჰყოფს, გერმანიაში იყო გავრცელებული: იქ ყველაზედ მეტად ურევდნენ ერთმანეთში ისტორიას და მის დამხმარე დისციპლინებს და ყოველ არქეოლოგს, წარწერების წამკითხველს და სხვებს ისტორიკოსებად ასაღებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ უწევდნენ ანგარიშს იმას, რომ ისტორია, როგორც მეცნიერება, არის საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც მის არსებობა-განვითარების კანონების შემუშავებაში ასე თუ ისე მონაწილეობას ღებულობს, დამხმარე დისციპლინები კი მისთვის მხოლოდ მასალას ამზადებენ და თავის თავად ცალკე დამოუკიდებლად არ წარმოადგენენ საზოგადოებრივ მეცნიერებას, თუმცა ჰუმანიტარულ დარგებს კი ეკუთვნიან.

თავის თავად ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიკოსს არ სჭირდება დამხმარე დისციპლინებში მის სპეციალობის შესაფერად ისიც ასე თუ ისე დახელოვნებული იყოს. რამდენადაც მას სჭირდება ფაქტების ხელახალი ანალიზი შემდეგი სინტეთიური მუშაობისათვის, იმდენად მას ესაჭიროება ხელახლად გადასინჯოს ნაპოვნი მასალები, ან ზოგიერთ შემთხვევაში, თვითონაც აღმოაჩინოს ის, რაც აკლია მას სინთეტიური მუშაობისათვის, მაგრამ მისი, როგორც ისტორიკოსის, მთავარი ასპარეზი არის ამ ფაქტების დაჯგუფება-კლასიფიკაცია და განზოგადობითი მუშაობა.

ამ მოთხოვნილების მიხედვით თვით საარქივო მასალების დალაგება-დაწყობასაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა და ახალი მოთხოვნილება უჩნდება. როგორც ცენტრარქივის გამოცემებში (იხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს გამოკვლევები) არა ერთხელ იყო აღნიშნული, ფონდობრივი დალაგება მასალებისა მთავარი საფუძველია საარქივო მასალების დალაგებისა. ხოლო ამგვარი დალაგება თავის თავად ემთხვევა ქრონოლოგიურ დალაგებას და რამდენიმედ აკმაყოფილებს დამწერლობის და დიპლომატიკის პრინციპებით დალაგებასაც, ვინაიდგან ფონდები სდგება იმის მიხედვით, თუ როდის და სად დალეკილა ეს მასალები, მისი გამოქვეყნების და დამწერლობის წესები და ფორმები კი დროსა და ადგილთან არის დაკავშირებული. ამ გვარად დამხმარე დისციპლინების სპეციალისტი სრულ დაკმაყოფილებას ჰპოვებს მასალების ამგვარ დალაგებაში. დამწერლობისა და დიპლომატიკის თვალსაზრისით მასალების კლასიფიკაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიის უძველეს პერიოდისათვის როდესაც დოკუმენტების გამოქვეყნების წესები და ფორმები და აგრეთვე დამწერლობა ისეთი ხასიათისაა, რომ მას დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ეძლევა მეცნიერებაში და, გარდა ამისა, თუ ამ მხრივ არ გამოირკვა ამ საბუთის მნიშვნელობა, თუ ამ მხრივ არ იქნა იგი ზედმიწევნით შესწავლილი, ვერც სოციალ-ეკონომიური საკითხების გამოკვლევა მოხერხდება. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ ერების შესახებ, რომელთა დამწერლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაც საგრძნობლად იცვლებოდა ჯერ კიდევ მეთვრამეტე და ნაწილობრივ მეცხრამეტე საუკუნეშიაც.

ამ მხრივ რომ შევადაროთ, ერთმანეთს რუსული, ფრანგული და ქართული დამწერლობა თუნდაც, ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნისა, საგრძნობ განსხვავებას შევნიშნავთ. ფრანგული წყაროების ენა და დამწერლობა ამ დროიდან დღევანდლამდის იქამდის მცირედ არის შეცვლილი, რომ დღევანდელი ფრანგული ენის მცოდნე სრულიად ადვილად გაიგებს მეთვრამეტე საუკუნის ენას. ცოტა მეტი განსხვავებაა დამწერლობაში, მაგრამ იქამდის მცირეა ეს განსხვავება, რომ მისი შესწავლა ერთი-ორ ნიმუშის წაკითხვის შემდეგ სრულიად ადვილად ხერხდება. ეს აიხსნება იმითი, რომ საფრანგეთის მწერლობა მეთვვრამეტე საუკუნეში უკვე იქამდის იყო განვითარებული, რომ მისი სტილი ამ დროს უკვე საზოგადოდ ჩამოყალიბებულია, შემდეგი პერიოდი დღევანდელ დღემდის უნდება მხოლოდ ენის გამდიდრებას. აი, მაგალითად, ვკითხულობთ საჩივართა რვეულებს (cahiers de doléances) სხვა და სხვა წრეების მიერ შედგენილს. მათ შორის დიდი განსხვავება არ არის და არავითარი იდიოტიზმები იქ თითქმის არ ხვდება მკითხველს. რამოდენადმე თავისებური, მეტად ცოცხალი მარტივი და მიამიტი ენაა მუშების მიერ შედგენილ რვეულებში, მაგრამ ისიც ისევე ადვილი გასაგებია, როგორც გლეხებისა და ბურჟუაზიის მიერ შედგენილ რვეულებში დაცული ენა.

ეს არ ითქმის რუსული ენის და საბუთების შესახებ. პეტრე პირველის და თვით ეკატერინე მეორის დროის საბუთების ენა უფრო საგრძნობლად განირჩევა თანამედროვე რუსულ ენისაგან, ვიდრე ამას ვამჩნევთ ფრანგულ ენაში. საჭიროა კაცმა კარგად იცოდეს რუსული ენის ისტორია, რომ ამ საბუთების ენა ადვილად და უნაკლულოდ გაიგოს.

ჩემის დაკვირვებით კიდევ უფრო მეტი ცვალებადობა განუცდია მე-18-ე საუკუნიდან დღევანდლამდის ქართულ ენას. ასე რომ ცხადია, დამწერლობისა და დიპლომატიკის მიხედვით მასალების დალაგება და ამ თვალსაზრით მისი შესწავლა, ჩვენთვის განსაკუთრებით დიდ საჭიროებას წარმოადგენს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამგვარი დალაგება მასალებისა, დღევანდელი მკვლევარისათვის, თუ იგი ისტორიკოსიც არის და არა მარტო დამხმარე დისციპლინების სპეციალისტი, საკმაოდ საკმარისი არ არის. ევროპის არქივები. მაგალითად საფრანგეთის ნაციონალური არქივი, როგორც სჩანს, მის მასალაზე წარმოებული გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვლევებიდან (ტარლესი, ჰანრი სესი, მათიეზისა და სხვათა) გარდა ამისა დალაგებულია, ასე ვთქვათ, თემატიურადაც, იმ თემების მიხედვით, რომელიც საყოველთაოდ აინტერესებს დღევანდელ მეცნიერებას მისი დღევანდელი ამოცანების მიხედვით. მართალია, მასალის ფონდობრივი დაცვა მაინც ურყევი პრინციპია საარქივო საქმის მოწყობისა, და მკვლევარის ინტერესების მიხედვით, ამ პრინციპის დარღვევა არ იქნება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ, თუ ამგვარი დალაგება სავსებით აკმაყოფილებს დამხმარე დისციპლინების სპეციალისტს, ისტორიკოსს ვერ დააკმაყოფილებს. ჩვენ ვერ დავემყარებით იმას, რომ თვითეული ფონდი დალეკილა, ისეთი სპეციალური ორგანოს მუშაობაში, რომელიც გარკვეული ხასიათის საკითხს იხილავს, მაგალითად, ავიღოთ საგლეხო ნაწილი მეფისნაცვლის კანცელარიისა, ან სამოქალაქო გუბერნატორის ფონდი და სხვ. თვითეულ ამ ფონდთაგანში კვლევა-ძიების მეთოდის მხრივ ჩვეულებრივ სხვადასხვა ხასიათის საქმეები მოიპოვება. მაგალითად, საგლეხო ფონდში შეგვხვდება მიწათმფლობელობის საკითხიც, კოლონიზაციისაც, გლეხთა აჯანყებისაც, საიჯარო ფასებისაც და სხვადასხვა. ეს საკითხები კი მკვლევარ-ისტორიკოსისათვის სულ სხვადასხვა რუბრიკის საკითხებს წარმოადგენს მეთოდიურად, თუმცა ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. არქივს კი აქვს საშუალება მასალების ფონდობრივი დაცვის ხელშეუხებლად კარტოტეკის ან (შეიძლება ეს უკეთესიც იყოს) მასალების ცალკე საძიებელის საშუალებით მისი სისტემატიზაცია მოხდეს თემატიურად მკლევარ-ისტორიკოსის მეთოდოლოგიის მოთხოვნილების თანახმად. ამ მხრივ, როგორც საკუთარმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რუსეთის არქივები უფრო მეტის სიფაქიზით ეკიდება საქმეს და უფრო მეტის ზედმიწევნილებით ალაგებს მასალას სოციალ-ეკონომიური საკითხების კვლევის საჭიროებასთან შეფარდებით. იქ ჩვენ ვხედავთ ერთი მხრივ ასე ვთქვათ, ეპოქალურ დაყოფას, თუ ამა თუ იმ ეპოქას რაიმე განსაკუთრებულად მკაფიო მნიშვნელობა აქვს რუსეთის საზოგადოებრივ განვითარებაში, და მეორე მხრივ სოციალ-ეკონომიური საკითხების მიხედვით და არა მხოლოდ ქრონოლოგიურის ან დიპლომატიკის მიხედვით. ხშირად ზოგიერთი დოკუმენტი ამა თუ იმ პიროვნების გარშემოც არის დაგროვილი, თუ იმ პიროვნებას რაიმე თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონია ამა თუ იმ ეკონომიური სისტემის ან სოციალ-პოლიტიკური აღნაგობის განვითარების პროცესში. ასეთია, მაგალითად, სტენკა რაზინი, პუგაჩოვი და სხვ. მასალების ამნაირ დალაგებით არქივი ძლიერ გაუადვილებს მეცნიერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა საკითხებში მუშაობას და, რამდენადაც დღეს დღეობამდე ისტორიული მეცნიერების, როგორც საზოგადოებრივის, კვლევა-ძიება გართულებულია, იმდენადვე გართულებულია საარქივო საქმე და იმდენადვე მრავალმხრივი უნდა იყვეს მის მიერ საარქივო მასალის შეფასება და სისტემაციზაცია.

ამჟამად მე შემიძლიან მაგალითად მოვიყვანო საქართველოს ცენტრარქივში დაგროვილ მასალებიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის მასალები, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევრისა. საკითხი ეხება იმას, თუ რამდენად მდიდარი მასალა არის დაგროვილი ამ საუკუნის შესახებ შინაარსისა და არა გარეგანი ფორმის მიხედვით.

ერთი ჯგუფის მასალას, რომელიც შეიძლება ვთქვათ, ყველაზედ უფრო მრავალრიცხოვანი და ერთფერია, წარმოადგენს საბუთები ადგილმამულის მობილიზაციის შესახებ. ამათში არის ძველებური ფორმის მასალები — სიგელ-გუჯრები წმინდა ფეოდალური ხასიათისა, რომლითაც ან მეფე, ან დიდი ფეოდალი, ან ეკლესია უწყალობებს ვისმე ადგილ-მამულს; ამის ჯგუფს შეადგენს აგრეთვე თავისი ფეოდალური დროის ნიშანდობლივი თვისებებით საალაპო წიგნები. ყველა ეს, ჩემის აზრით, უნდა შეადგენდეს ერთ ქვე ჯგუფს მთავარი ჯგუფისა, რომელიც ეხება ადგილმამულის მობილიზაციას. მეორე ქვე ჯგუფად ამ ჯგუფისა იქნება უფრო ახალი დროის ფორმა მიწის მობილიზაციისა, რომელიც უფრო ხშირად წვრილ-წვრილი მამულის ყიდვა-გაყიდვაში მდგომარეობს. ამათში შედის უმთავრესად ნასყიდობის წიგნები, რომელნიც თავის მხრივ მათი საზოგადოებრივი მეცნიერული მნიშვნელობით ორ ნაწილად უნდა გაიყოს. ერთი ნაწილი წარმოადგენს ჩვეულებრივ ყიდვა-გაყიდვას და მეორე კი ისეთ ყიდვა-გაყიდვას, როდესაც ან მყიდველი იძენს მიწას თავის მამულის გვერდით, ან გამყიდველი იშორებს თავიდან მის მამულიდან სადმე შორს მარტოდ მიგდებულ მიწის ნაჭერს. ასეთი გაყოფა, თუ ტექნიკურად მეტის-მეტი ძნელი არ იქნება, საჭიროა ჩატარდეს, ვინაიდგან ამგვარი მოვლენა, როდესაც მიწის შესყიდვა ხდება მამულის მორგვალებისათვის, დიდათ განირჩევა უბრალო ყიდვა-გაყიდვისაგან მისი საზოგადოებრივი და ეკონომიური მნიშვნელობით და წონით. თუ ამგვარ მოვლენებს რომელიმე ეპოქაში სისტემატიური ხასიათი აქვს, ეს ამტკიცებს იმას, რომ იმ დროს გამტკიცებულა მიდრეკილება მიწის შედარებით უფრო ინტენსიური ექსპლოატაციისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც მამულების ძველებური გაფანტულობა მეტის-მეტად ხელი უშლის.

ამ ჯგუფს უნდა მიჰყვეს მეორე ჯგუფი, რომელიც ადგილ-მამულის მობილიზაციის საფუძველზე უფრო ადვილი გასაგები და შესასწავლია: ნიმუშები მამულების აღწერისა, მისი შემოსავალ-გასავალის ნუსხებისა და მამულების მოვლა-პატრონობის ანგარიშებისა; ამას უნდა დაუკავშირდეს ის საბუთები, რომელშიც მოიპოვება ცნობები, თუ ასეთი არსებობს, მამულების დამუშავების ტექნიკისა და წესგანრიგების შესახებ. ამ საბუთებში შევა, რასაკვირველია, ისეთი საბუთები, როგორიცაა ხოდაშნის მამულის გამგის არქიმანდრიტის ევთიმეს ანგარიში, ამილახვრების ყმისა და მამულის აღწერა მისი შემოსავლით და სხვა ამგვარი, აგრეთვე თუმანიანთ გაყრილობის წიგნი. მართალია, ეს უკანასკნელი მრავალმხრივ საინტერესოა და კარტოტეკის ან საძიებელის შედგენის დროს შეიძლება რამდენსამე ალაგას იყვეს მოხსენებული, მაგრამ მას უეჭველად აქაც აქვს ადგილი, როგორც ისეთს საბუთს, რომელშიც მამულებია აღწერილი და ირკვევა მისი გაფანტულობა, ერთმანეთში არევ-დარევა წვრილწვრილი მიწებისა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხისათვის.

ყველა ამ საბუთების აზრი და დანიშნულება ის არის, რომ მან საშუალება მისცეს მკვლევარს, გამოარკვიოს, თუ რა დონეზე იდგა მიწის მეურნეობა ორგანიზაციულად და ტექნიკურად და რამდენად ხელშემწყობი პირობები არსებობდა მიწათმფლობელობის ფორმების მხრივ მეურნეობის რაციონალიზაციისათვის. ამის შემდეგ ცხადი იქნება, თუ რამდენად მომზადებული იყო მაშინდელი სასოფლო მეურნეობა იმისათვის, რომ შინაურ და საგარეო ვაჭრობისათვის სამსახური გაეწია და სასოფლო სამეურნეო საქონელი დაემზადებინა მისთვის და გაეტანა. მაგრამ ამისათვის წინასწარ უკეთესი იქნება ვიცოდეთ საზოგადოთ რამდენად იყო შემოჭრილი ფულადი მეურნეობა აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომ ცალკე ჯგუფში უნდა იქნეს გამოყოფილი ის მრავალი საბუთები, რომელნიც ვალის წიგნებს წარმოადგენს და ახასიათებს იმას, თუ რამდენად ხშირი იყო ვალის აღება, როგორი იყო თანხის რაოდენობა, სარგებელი, იყო თუ არა ამასთან ერთად გირავნობა. მეთვრამეტე საუკუნის საბუთებში ვალის წიგნები იმდენად ბევრია, რომ, თუმცა თვითეული მათგანი ცალკე შეიძლება ბევრს არაფერს ახალს არ იძლეოდეს, მაგრამ ყველა ერთად თავისის მასიურობის გამო მეტად მკაფიოდ არკვევს მაშინდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ცხოვრების ავკარგს. აქ მკვლევარს ძლიერ გამოადგება დამუშავების დროს იმ საბუთების აღნუსხვა, აღწერა და მისი სტატისტიკური წესით დამუშავება, ვინაიდგან ეკონომიური ცხოვრების ფორმების დასახასიათებლად ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად მასიური ხასიათი ეძლევა ფულის ტრიალს, რამდენად განვითარებული და გავრცელებულია კრედიტი, უფრო კერძო კრედიტია განვითარებული თუ სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი, წვრილი კრედიტი სჭარბობს მსხვილს, თუ მსხვილი წვრილს და რა მიზნით ხდება კრედიტის აღება და გაცემა. ახალი წამოწყებების მოსაწყობად, სავაჭრო წამოწყება იქნება იგი თუ საწარმოო, თუ მხოლოდ შინაური გაჭირვების გამო შერეული ნივთიერი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ფულის სესხების მიზანს დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ, თუ ფული ნასესხებია ახალი წამოწყებისათვის, მაშინ იგულისხმება, რომ ნასესხებ ფულს წამოწყება აღადგენს, დააბრუნებს დიდი მოგებით, თუ არა და, მაშინ ეს ფული ინთქება უნაყოფოდ და ცხადია, ქვეყნისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

მეთვრამეტე საუკუნის შესახებ ამ საკითხების დაყენება სრულიად მართებულია, ვინაიდგან, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია მრავალი ამგვარი მასალა და, რაც ყველაზედ უფრო საგულისხმიეროა, რაც უფრო უახლოვდებით მე-19 საუკუნეს, მათი რიცხვი უფრო და უფრო მრავლდება. რიცხვი ამ საბუთებისა სხვა საბუთებთან შეფარდებით ჩემის ანგარიშით დაახლოვებით ასეთია: მეთვრამეტე საუკუნის საბუთებში ყოველ 11 საბუთზე ოთხი კომერციული ხასიათისაა, და მათ შორის უმთავრესად ვალის წიგნები, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კი 1820 წლამდის 182 საბუთში 107 კომერციული ხასიათისაა, ე. ი. პირველ შემთხვევაში $^1/_3$-ზე ცოტა მეტი, ხოლო მეორეში ნახევარზე მეტი. თამასუქები და პირობის წიგნი პირველ შემთხვევაში $^1/_5$-ია, ხოლო მეორეში $^1/_3$-მდის. თუ საბუთების ამ ერთ შეკვრას მივიღებთ დაახლოვებით ნორმად, მაშინ კრედიტის განვითარების ტენდენცია ჩვენთვის ცხადი იქნება.

ამის შემდეგ ბუნებრივია დაისვას საკითხი იმაზედ, თუ რამდენად განვითარებული იყო საქართველოში ვაჭრობა. ისე რომ შემდეგი ჯგუფი საბუთებისა იქნება საგარეო და შინაური ვაჭრობის შესახებ. ამ ჯგუფისათვის ძვირფასია ყოველი მცირეოდენი ცნობაც კი ამა თუ იმ საქონლის შემოტანისა და გატანის შესახებ, ან რაიმე ისეთი საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, რომელიც საქართველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში არ მზადდებოდა. ამგვარი ცნობები ბლომად არის დაცული როგორც კერძო მიწერ მოწერაში ისე ოფიციალურშიც, მაგალითად, ლევან ბატონიშვილის წერილებში მანუჩარ მდივანისადმი სხვადასხვა საქონლის გამოგზავნის შესახებ (ფართლეულისა და ტყავეულისა), კერძო წერილები სხვადასხვა პირებისა ყავის, ჩაისა და შაქრის გამოგზავნის შესახებ, მიხაკის, შავი მატერიის და სხვათა შესახებ. ამასთანავეა დაკავშირებული და ამ ჯგუფში უნდა მოთავსდეს მასალები შინაური საბაჟოების შესახებ. იმ წყაროებში, რომელსაც მე გავეცანი მოხსენებულია ანანურის საბაჟო, სამთავისისა და არბოსი, ხოლო საბაჟოს აღსანიშნავად იხმარება სიტყვა „სამღებრო“, რაც არქეოლოგიურ კომისიის აქტებში გადათარგმნილია „красильня“-დ. ასეთი თარგმანი რამდენსამე მეტად მნიშვნელოვან საბუთშია მოყვანილი. (Акты кавк. археогр. ком. т. I №№ 171, 179, 186). ეკონომისტ ისტორიკოსისათვის, როდესაც ის ამ საბუთს კითხულობს, თავიდანვე შეუსაბამობას წარმოადგენს ეს „красильня“, მაგრამ ამ შეცდომის მიზეზის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ აიხსნას, თუ იგი ძველ საბუთთა არქივის მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის მასალას გაეცნობა. ამ საბუთთა შორის ცალკე გამოსაყოფია და ყოველ შემთხვევაში დასახსომებელი საბუთი № 5315 რომელიც ამხანაგობის წიგნს წარმოადგენს და ეხება შემაქიაში სპილენძის გატანას იქ აბრეშუმზე გადასაცვლელად და ამ აბრეშუმის აშტრახანში ხმელეთით ან ზღვით გაზიდვას და გაყიდვას. არის აგრეთვე მასალები მე-18-ე საუკუნის პირველი ნახევარში ვაჭრობის შესახებ, რომელიც აგრეთვე ამ ჯგუფში უნდა მოთავსდეს, რათა მკვლევარს საშუალება ჰქონდეს ვაჭრობის განვითარების პროცესის გამორკვევისა, რაც მეტად თვალსაჩინო ხდება ამ ორი ეპოქის ვაჭრობის ფორმების, ობიექტის და ტერიტორიალური ფარგალის შედარების შემდგომ. ამ თვალსაზრისით მიდგომა გამოარკვევს, თუ რამდენად ფართოვდება მეთვრამეტე საუკუნეში საღებმიცემო წრე, საგარეო და შინაური ბაზარი რამდენად იზრდება და ორგანიულად უკავშირდება სასოფლო მეურნეობას და მრეწველობას, რამდენად უკარნახებს მას ამა თუ იმ საქონლის ჭარბად დამზადებას თავის საჭიროებისათვის. ამასთან დაკავშირებით თვით საქონელი, თვით ვაჭრობის ობიექტი რამდენად იცვლება ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით. რამდენადაც მე გავეცანი ამ მასალებს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს მასალები ისტორიკოს ეკონომისტს მისცემენ საშუალბას ამ საკითხების გამორკვევისას. აქ უმთავრესად სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებოა, სახელდობრ ის, თუ რამდენად ხდება ვაჭრობის ობიექტად საქართველოს ისეთი ადგილობრივი ნაწარმოები, რომელიც ყველაზედ მეტად არის გავრცელებული —პური, ღვინო, მატყლი, თევზი, ხილი და სხვ. და რამდენად გადადის სოფელი საქონლით მეურნეობაზე. მეორე მხრივ რამდენად ცდილობს მეურნე, რომ შემოიღოს ახალი საქონლის დამზადება, რომელიც წინედ ნაკლებად იყო გავრცელებული და ახლა კი, ბაზრის მოთხოვნილების გამო, თან და თან უფრო და უფრო ვრცელდება (ბამბა და აბრეშუმი). საკითხის ასე დასმა მიგვაყენებს წარმოების ფორმების საკითხზე. ამის შესახებ საგანგებოდ შედგენილი მასალები მე ჯერ ჯერჯერობით არ შემხვედრია, მაგრამ შიგა და შიგ სხვა და სხვა მასალებში დაცული ცნობები ბევრია. ამ ცნობების ცნობაში მოყვანა საჭიროა. ამას გარდა ბოლოს და ბოლოს ალბად საგანგებოდ ამ საკითხის შესახებ მასალებსაც ვიპოვნით და ყველა ეს უნდა იქნეს აღნიშნული კარტოტეკაში ან საძიებელში, ვინაიდგან მკვლევარისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ჯგუფის საბუთების დასამუშავებლად და სისტემაში მოსაყვანად არქივმა კიდევ ერთი შრომა უნდა გასწიოს. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საბუთებში მოიპოვება ისეთები, რომელთა ხასიათიც გამოურკვეველია, რადგანაც თავი და ბოლო მოხეულია, შინაარსი კი ისეთი ხასიათისაა, რომ შეიძლება იგი ეხებოდეს რომელიმე მსხვილ წარმოებაში შრომის ორგანიზაციას. რამდენადაც ვიცი, ამგვარი საბუთები არ მოიპოვება ჯერ ჯერობით და მნიშვნელობა კი ამ საკითხს უდიდესი აქვს. როგორი შრომის ორგანიზაცია იყო მსხვილ მრეწველობაში ბატონყმობის პირობებში? ამ საკითხის გამორკვევა ძლიერ ნაყოფიერი მუშაობაა, ვინაიდგან იგი მრავალ სხვა ბუნდოვან საკითხებსაც მოჰფენს შუქს. თუ ამგვარი საბუთების გამომჟღავნება შესაძლებელი შეიქნა, მკვლევარი გააშუქებს მეტის მეტად მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას იმის შესახებ, თუ რამდენად იჩენდა, ელასტივობას საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა ბატონყმური შრომის ორგანიზაციის პირობებში იმისათვის, რომ ახლად შემოჭრილ მოთხოვნილებას კაპიტალიზმის განვითარებისას შეჰგუებოდა და ძველი ფორმების ფარგალში ცხოვრების ახალი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა, რამდენად შესძლო თუ ვერ შესძლო მან არსებულ საერთაშორისო ურთიერთობაში ამის განხორციელება და თავის მცდელობის პროცესში, რათა მაშინდელ მსოფლიო ბაზარს დაახლოვებოდა, ნებით თუ უნებლიეთ რუსეთს მიეკედლა და მასთან ამა თუ იმ სახით შეერთების საკითხი მორიგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანად დასვა. ამგვარად თვით პრობლემა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა ამ პირობებში დიდ სოციოლოგიურ პრობლემად იქცევა. შეიძლება საბუთების ამ გეგმით დალაგებამ მკვლევარს მისცეს საშუალება, რათა მან საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი დასვას კლასობრივ ურთიერთობის ნიადაგზე ეკონომიური ინტერესების მიხედვით და არა როგორც მხოლოდ რუსეთის კაპიტალის ექსპანსიის ნიადაგზედ და ამით გამოაშკარავოს საქართველოს ცხოვრების სიღრმეში ჩამალული დიალექტიკა მისი განვითარებისა. ეს იქნება საქართველოს ისტორიის მამოძრავებელი ძალების გაგება, რაც ხელს შეუწყობს თვით საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის გეგმიან შესწავლასაც და გამოაჩენს იმ ძარღვს, რომელიც აერთიანებს თანამედროვე საქართველოს ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობის კავშირს მის შორეულ წარსულთან, ძარღვს, რომელიც დღემდის უჩინარი იყო, რადგანაც მეცხრამეტე საუკუნეში თვითმპყრობელ რუსეთის გავლენის გამო საქართველო მთლიან ორგანიზმს არ ჰგავდა და ისტორიული ძარღვი მისი განვითარებისა ბევრს გაწყვეტილად ეჩვენებოდა. მაშინ გამოირკვევა ისიც, რომ დღევანდელი საქართველოს საბჭოთა წესწყობილება, მუშურ-გლეხური მთავრობის არსებობა არ არის შედეგი თავზე მოხვეულ ახირებულ აზრებისა, არამედ ისიც საქართველოს ისტორიული ხაზის დიალექტური განვითარების შედეგია.

ამ მოსაზრებებს ჩვენ გადავყევართ ეკონომიურ სფეროდან სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროში. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საბუთებში, რომელიც დაცულია ძველი საბუთების არქივში, საკმაოდ ბევრი მოიპოვება ისეთი, რომელიც ახასიათებს გლეხკაცობის მდგომარეობას. თავისთავად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ამ მასალას აქვს მკვლევარისათვის. ამ საბუთების ერთ ნაწილი ახასიათებს გლეხობის ნივთიერ მდგომარეობას და არკვევს ერთი მხრივ მის მიწათმფლობელობას და მეორე მხრივ იმ გადასახადების სახეებს და რაოდენობას, რომელსაც ის იხდიდა ბატონების და სახელმწიფოს სასარგებლოდ. ხოლო მეორე ჯგუფი არკვევს მის უფლებრივ მდგომარეობას. მასალების სისტემაში მოყვანისათვის ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება და კარტოტეკის ან საძიებელის შედგენის დროს ამ ორივე ჯგუფის საბუთები ერთიმეორის მიყოლებით ერთ მთავარ რუბრიკის ქვეშ უნდა იქნეს მოთავსებული, რათა მკვლევარს გაუადვილდეს საძებარი საბუთების მიგნება. აქ ერთხელ კიდევ გამოირკვევა დიდი მნიშვნელობა ისეთი საბუთებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორიც არის თუმანიანთ გაყრილობის წიგნი, ვინაიდგან ამ საბუთის მეორე ნახევარში ჩამოთვლილია თუმანიანთ ყმების—არჯევანიძეების, აკოლაშვილების და აკოფაშვილების მამულები და ირკვევა არსებობა ისეთი ყმა-გლეხებისა, რომელთა მგდომარეობაც გლეხობის მასებთან შედარებით ბევრად უკეთესი იყო. ბევრი საბუთები მისცემს საშუალებას მკვლევარს, რათა გამოარკვიოს, არსებობდა თუ არა იმ დროს თვით გლეხობაში ფენებად დაყოფა და, თუ არსებობდა, რამდენად შორს იყო ეს პროცესი წასული. ამგვარივე მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ირაკლი II-ის მორიგი ჯარის დებულებას. ეს საბუთი უფრო მრავალმხრივია შინაარსის და მისი გამოყენების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ეს საბუთი აშუქებს იმ საკითხს, თუ რამდენად ჰქონდა გლეხობას კავშირი ცენტრალურ ხელისუფლებასთან გარეშე მათი ბატონობის უფლებისა და რამდენად მოეთხოვებოდა მას ერთგვარი ვალის მოხდა მთელი სამეფოს წინაშე, გარდა იმ ვალდებულებათა, რომელსაც მას აკისრებდნენ მათი ბატონები. ამ საბუთების ჯგუფს მოსდევს ის ჯგუფი, რომელშიც ხასიათდება გლეხობის და ბატონების ურთიერთობა: ბატონების ძალადობა და თვითნებობა გადასახადების აკრების დროს, გლეხობის პროტესტი და ამისი ფორმები დაწყებული ბატონისგან გაპარვით და გათავებული ამბოხებით, როგორც კერძო მამულებში, ისე სხვადასხვა რაიონებში. ეს უკანასკნელი უნდა განსაკუთრებით იქნეს გამოყოფილი და ცალკე აღნიშნული, ვინაიდან გლეხთა ამბოხებები ყველაზედ უფრო მკაფიო და მჭერმეტყველური მოვლენაა გლეხთა მდგომარეობის დახასიათებისათვის და იგი მისცემს მკვლევარს ხაზს, რომლითაც მან უნდა იაროს, ეკონომიური საკითხების, როგორც ამ ამბოხების საფუძვლის გამოსარკვევად. გლეხთა აჯანყება ისეთი მასიური ნებისყოფის აქტია, რომელშიც კვანძივით გადახლართულია სხვადასხვა ისტორიული პროცესები: ეკონომიური, სოციალური, იდეოლოგიური. ამიტომ ამ კვანძის გახსნა ცხოვრების ყოველ ავკარგს უფრო ადვილად მიგვაგნებინებს და თვალსაჩინოდ დაგვანახვებს, თუ ამგვარადვე ცალკე რუბრიკებში იქნება გამოყოფილი საბუთები ხელოსნობის ორგანიზაციებისა და სარეწავი დაწესებულების შესახებ, ამის შემდეგ საჭირო იქნება გამოყოფა იმ საბუთების ჯგუფისაც, რომელიც ახასიათებს იმ დროის პოლიტიკურ სტრუქტურას. გარდა ოფიციალური აქტებისა, ამ საკითხს საუკეთესოდ ახასიათებს აქტებში დაცული ცნობებისადმი დამატებების სახით კერძო და ოფიციალურ მიწერ-მოწერა, რომელიც ბლომად არის მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მასალებში. ამ მიწერ-მოწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდან შეიძლება გამოირკვეს, თუ რა ურთიერთობა მყარდება იმ დროის მართვა-გამგეობის პრაქტიკაში. აქ წამოიჭრება მთელი რიგი პირველხარისხოვან მნიშვნელობის საკითხებისა: 1. სრულსახოვანი ფეოდალიზმი არსებობდა მე-18 საუკუნეში, თუ ეს სისტემა მართვა-გამგეობისა კრიზისს განიცდიდა? 2. რა საშუალებით ცდილობდა ხელისუფლება, რათა შეემცირებინა მაინც ფეოდალიზმის უარყოფითი მხარეები? 3. რა გვარ დამოკიდებულებას იწვევდა მსხვილი ფეოდალების და მიწათმფლობელების მხრივ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები? 4. იყო თუ არა ოპოზიციური მოძრაობის რაიმე გამოხატულება და, თუ იყო, როგორი. ამ მთავარ საკითხებს დაერთვის ბევრი სხვა, უფრო მეორე ხარისხოვანი, რომელიც კვლევის პროცესში წამოიჭრება. ყოველმა ქართველმა მკითხველმა იცის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი საკითხებია ეს საკითხები საქართველოს ისტორიისათვის. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ინტელიგენცია ამ საკითხების გარშემო არკვევდა თავის ორიენტაციას. და დღესაც ამ საკითხებს არ დაუკარგავს არა თუ მეცნიერული, არამედ წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც, ვინაიდან ამ საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტით ირკვევა, თუ რა ესაჭიროებოდა რუსეთთან შეერთების მომენტში საქართველოს და როგორ გადასწყვიტა საქართველოს მიმართ ეროვნული საკითხი რუსეთის თვითმპყრობელობამ და როგორ არის დღეს დასმული ნაციონალური საკითხი საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციის ძალით, რამდენად არავითარ ანგარიშს არ უწევდა სადა ნაციონალურ მოთხოვნილებას ძველი რეჟიმი და რამდენად კანონიერად სცნობს და ანხორციელებს თანამედროვე ხელისუფლება ისეთ ნაციონალურ მოთხოვნილებებს, რომელიც ინტერნაციონალურ გაერთიანებას ხელს უწყობს ნაციონალურ თვითგამორკვევის საფუძველზედ, რამდენად ახშობდა ძველი რეჟიმი ნაციონალურ კულტურულ ძალებს და რამდენად ფართო გასაქანს აძლევს მათ დღევანდელი ხელისუფლება? ამ პარალელების გამორკვევა დაკავშირებულია და დღესაც კი ცოცხალი ძარღვებით შეერთებული იმ ამბებთან, რომელსაც ზემოდ დასახელებული მასალები გვიშუქებენ.

ამ მასალებს შორის უპირველეს ყოვლისა მნიშვნელობა ეძლევა ირაკლი მეორის მიერ გამოცემულ მორიგი ჯარის დებულებას. ამ საბუთში საოცარი გარკვეულობით არის დაყენებული საკითხი თავადიშვილების დამორჩილებისა ცენტრალურ ხელისუფლებისადმი. საქმე იქამდის მიდის, რომ ხელისუფლება ერევა ბატონის და ყმის ურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიერთობაში და მითვე ავალებს ბატონს თავისი მოვალეობა ყმის მიმართ პირნათლად და სინდისიერად შეასრულოს, როდესაც მოვალეობა ეხება სახელმწიფოს თავდაცვის ინტერესებს. ამ საბუთში ერთნაირად საინტერესოა, როგორც მისი თეორიული ნაწილი, ასე ვთქვათ, განმარტებითი ბარათი, ისე მისი პრაქტიკული ნაწილი, ე. ი. სია მორიგ ჯარში მონაწილეობის მიმღებთა. ამ საბუთშივე ირკვევა, თუ რა ქსელი იყო გაბმული მოხელეთა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, რომელნიც უშუალოდ მეფის ბრძანების აღმასრულებელნი იყვნენ. მეორე მხრივ მრავალი მიწერმოწერა არკვევს, თუ როგორ შეცვლილა მდგომარეობა ირაკლი მეორის მეფობის მეორე პერიოდში, როდესაც უფლისწულობა ჩამოყალიბდა. მე მგონია ამ მიწერ-მოწერის და სხვა საბუთების საშუალებით მკვლევარს შეუძლია გამოარკვიოს, თუ რა მიზეზმა აიძულა მეფე ირაკლი, რომ ეს ახალი წესი შემოეღო. ეს მიზეზი ირკვევა, როგორც მეფის საგადასახადო სისტემის შესწავლიდან, ისე ხელისუფალთა დაჯილდოვების წესებიდან. ამ მასალებში არის საბუთები, რომელშიც ირკვევა პირველიც და მეორეც. ამას გარდა შესაძლებელი ხდება აგრეთვე გამორკვევა იმისი, თუ მართვა-გამგეობის როგორ სისტემას ატარებდა ირაკლი პირველ პერიოდში, რაც ცხადი ხდება მოურავებისა, სარდლებისა, მდივნების და სხვათა ურთიერთ დამოკიდებულებიდან. ჰქონდა თუ არა თვითეულ მათგანს შემოფარგლული თავისი უფლება-მოვალეობანი? ჰქონდა თუ არა თვითეულ მათგანს შემოფარგლული მისი კომპეტენციის სფერო? რომელი მათგანი რომელს ემორჩილებოდა, ე. ი. იყო თუ არა მათ შორის იერარქია? დაბოლოს, საკითხი: რამდენად შესძლო ირაკლიმ თავისი სისტემის გატარება და თუ არ შესძლო, რამ შეუშალა ხელი და როგორ.

ცხადია, რომ ყველა ამ მნიშვნელოვან საკითხებისათვის ღირს მასალების გამოყოფა ცალკე ბარათებში. და რომ მკვლევარმა მის ძებნაში არ დაკარგოს ძვირფასი დრო, არქივმა უნდა მას დამზადებული მასალები დაახვედროს და ამნაირად დაეხმაროს მკვლევარს მის მუშაობაში.

როდესაც დაისმის საკითხი, თუ რამ შეუშალა ხელი ირაკლი მეორეს მისი სისტემის განხორციელებაში, ჩვენ შევეხებით ახლა ახალი ჯგუფის მასალებს: ჯერ ერთი ამ მასალების მიხედვით უნდა დახასიათდეს საუფლისწულოების ორგანიზაცია და ყოველდღიურ პოლიტიკური პრაქტიკა. კერძო და ოფიციალურ მიწერ-მოწერაში შესაძლებელია მკვლევარმა იპოვოს პასუხი ამ საკითხზე. ამ წერილებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს უფლისწულთა უფლების კომპეტენციის ფარგალი და ტერიტორიალურად განაწილება, შემდეგ მათი ნათესაური კავშირი ამა თუ იმ ფეოდალურ ოჯახებთან, მათი შემოსავალ-გასავალი, მათი საცხოვრებელი წყარო და სხვა. ამასთან დაკავშირებით გამორკვევა აგრეთვე თუ რომელ თავადიშვილის გვარს უფრო ჰქონდა კავშირი სასახლესთან და მაშასადამე შეეძლო სასახლეზედ გავლენა ჰქონოდა და ყოველ შემთხვევაში იქ თავისი მომხრეები, შეიძლება პარტიაც ჰყოლოდა. საბუთებში არის ამისი კვალი, ხოლო რამდენად დადასტურდება ეს, დამოკიდებულია იმაზედ, თუ მკვლევარი რამდენად ბევრს და მკაფიო მასალებს იპოვნის. ყოველ შემთხვევაში ხელისუფლების, თავადიშვილის გვარებთან დამოკიდებულების საკითხი მაინც გამოირკვევა, თუ პარტიების არსებობა სასახლეში არ დადასტურდა. ამას მოსდევს ოპოზიციის არსებობა სოფლად და ქალაქად. როგორც საბუთებიდან ჩანს, ოპოზიცია უნდა ორგვარი ყოფილიყო: ლიბერალური და რეაქციონული. ასეა თუ ისე, მკვლევარს მოუხდება, ფხიზლად გაადევნოს თვალი და ირაკლის წინააღმდეგი ოპოზიციის სხვადასხვა საფუძველი გამოარკვიოს. ყოველ შემთხვევაში სოფლის ოპოზიცია და ქალაქის ხომ ცხადია არსებობდა. არის ერთი საბუთი, რომელიც ეჭვს ჰბადებს, რომ შესაძლებელია ქალაქის აზნაურებიც ოპოზიციაში იყვნენ და ირაკლის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას ფიქრობდნენ. ყველა ეს მასალა ცალკე ჯგუფად უნდა იქნეს გამოყოფილი. ამისი შესწავლა გამოარკვევს საქართველოს სისუსტის მიზეზებს ირაკლი მეორის მეფობის ბოლოში და ახსნის აღამამადხანის მიერ მის დამარცხებას. რასაკვირველია, აღამამადხანის შემოსევის შესახებ საბუთები აგრეთვე ცალკე გამოიყოფა. რამდენად მრავალრიცხოვანია ამ უკანასკნელ საბუთთა რიცხვი, ვერ ვიტყვი, მხოლოდ ის კი უნდა ვთქვა, რომ მე შემხვდა ერთი ფრიად საინტერესო საბუთი აღამამადხანის შემოსევის შესახებ. ეს საბუთი წარმოადგენს ომში მონაწილე ჯარისკაცის ამბავს. მისი ამბავი მეტად უშუალო შთაბეჭდილების შედეგია და ბევრ ისეთ მომენტს გვისახავს, რომელიც, რამოდენადაც ვიცი, არსად არ მოიპოვება. მე ვფიქრობ, რომ ეს საბუთი მეტად ძვირფასი რამ არის. შესაძლებელია, ამის მაგვარი კიდევ სხვაც იყოს ძველ საბუთთა არქივში. მაშინ ყველა ეს ცალკე ჯგუფში უნდა იყვეს გამოყოფილი შესაფერისი სათაურით. ამ საბუთების გარშემო მოეყრება თავი და მის ჯგუფში შევა ის შინაური შლილობა და არეულობა, რომელიც უშუალოდ აღამამადხანის შემოსევამ გამოიწვია. ამის საბუთებიც ბლომად მოიპოვება კერძო მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერ-მოწერაში, სახელდობრ, ცარცვა შინაური მტრების მიერ გასახიზნად წასული ხალხისა, გახიზნულების ბარგის დატაცება და მისი ძებნა, თვით მეფის და მათი გახიზნული ოჯახის გაჭირვებული მდგომარეობა—ყველა ეს პოულობს მასალებში თავის გამოხატულებას და მეტისმეტად დამახასიათებელია იმ დროის მდგომარეობისათვის. ამგვარად დალაგებული მასალა მოგვცემს მთლიან სურათს აღმოსავლეთი საქართველოს მდგომარეობისას მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მკვლევარს მეტად გაუადვილებს არა თუ მასალების ძებნას, თვით სხვადასხვა საკითხებში გარკვევასაც.

ეს არის მხოლოდ საძნელო, რომ ამ საბუთებში შეიძლება არ მოიპოვებოდეს იმ დროის იდეოლოგიის დამახასიათებელი მასალები. ყოველ შემთხვევაში ამგვარი რამ მე ჯერ არ შემხვედრია. ხოლო თუ ამგვარი რამ მოიძებნება, ესეც საჭიროა გამოყოფილი იყვეს, როგორც ოპოზიციის იდეოლოგიის დამახასიათებელი. მაგალითად, საქართველოში ადგილი ჰქონია ვოლტერიანიზმს, რომელიც გარკვეული კლასის იდეოლოგიას უნდა წარმოადგენდეს და მეორე მხრივ იყვნენ მომხრენი ძველი ფეოდალური წესწყობილებისაც, რომელიც აგრეთვე გარკვეული კლასის ტენდენციის დამახასიათებელია. ეს მიმართულებები გავრცელებული იყო როგორც ფართო ფეოდალურ საზოგადოებაში, ისე სასახლის სფეროშიც და სოლომონ ლეონიძის მიმართულება ერთი მხრივ და მის მოწინააღმდეგეთა მეორე მხრივ არ იქნება არ იყვეს ასე თუ ისე დაკავშირებული იმ ეკონომიურ და სოციალურ ურთიერთობასთან, რომელიც გამოირკვევა ზემოდ აღნიშნულ მასალების ნიადაგზე.

ამგვარად საბოლოო ანგარიშში სქემა მე-18 საუკუნის მასალების განაწილებისა ასეთი იქნება.

A. ეკონომიური მდგომარეობა.

1. მიწის მობილიზაცია, 2. სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაცია, 3. ვალის წიგნები, 4. ყმა და მამულის აღწერა და გადასახადების ნუსხები, 5. ვაჭრობა-მრეწველობა და შრომის ფორმები.

B. სოციალური ურთიერთობა.

1. გლეხების ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა, 2. მემამულეების ძალმომრეობა და გლეხობის პროტესტი, 3. გლეხთა აჯანყებები, 4. მიწათმფლობელების დაყოფა ორ კლასად.

C. პოლიტიკური სტრუქტურა.

1. ბრძოლა ცენტრალიზაციისათვის და მოხელეობის ქსელი, 2. თანამდებობათა განაწილება და ფუნქციები, 3. გადასახადების აკრების წესები და ამ წესების განვითარების ტენდენცია. 4. მემამულეთა და ხელოსან-ვაჭართა ოპოზიცია.

D. რეაქციის და ოპოზიციის იდეოლოგია, ანუ პოლიტიკური იდეალები მე-18 საუკუნის საქართველოში.

მ. დიაკონოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის საარქივო ფონდის მიმოხილვა [1].

(1845—1858 წ.წ.)

მეფის ნაცვლის კანცელარიის საარქივო მასალები წინად მოთავსებული იყო მეფის ნაცვლის არქივში, რომელსაც შემდეგში ეწოდა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარგამგებლის არქივი. ხსენებული არქივი, იმპერიალისტურ ომის დროს 1914 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში გახიზნული, საქართველოს ცენტრალური არქივის შუამდგომლობით 1923 წელს რ ს ფ ს რ-ს ცენტრარქივის განკარგულებით დაბრუნებულ იქნა ტფილისში და ამ ჟამად ინახება მთავარ საისტორიო არქივში. ხსენებული ფონდი ევაკუაციის დროს საგრძნობლად დაზიანდა, მრავალი საბუთი დაიკარგა, ზოგიერთი დალპა, მაგრამ გადარჩენილი ნაწილი მაინც მრავალი საყურადღებო ცნობების შემცველია კავკასიის ისტორიის შესასწავლად.

ფონდი ინვენტარულად აღიწერა 1927 წელს. აღწერილია სულ 4720 საქმე; დაახლოვებით ამდენივე საქმეების რიცხვი, როგორც ნაკლები მნიშვნელობის მქონე, აღწერაში არ არის შეტანილი. 1925 წელს უკანასკნელი ხასიათის საქმეები გამრჩევ კომისიის მიერ გამოყოფილ იქნა, როგორც მოსასპობი მასალა. მაგრამ ისინი დღემდე

[1] ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის ერთი ჯგუფის (სახელდობრ, ცენტრალურ არქივთსაცავებში დაცულ) მასალების საერთო მიმოხილვის შემდეგ, როგორც აღნიშნული იყო (იხ. ჩემი წერილი—საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი, „საარქივო საქმე" წ. 1) განზრახვა მქონდა შემედგინა მეორე ჯგუფის, ე. ი. ადგილობრივ არქივთსაცავებში დაცულ მასალების ასეთივე მიმოხილვა. მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო ამ მეორე ჯგუფის მასალების მიმოხილვის შედგენა ჯერჯერობით მოუხერხებელი შეიქნა. ამიტომ ვიწყებ ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის ცალკე ნაწილების (ცალკე ფონდების) მიმოხილვას, რომელიც პირველი გეგმის მიხედვით საერთო მიმოხილვას უნდა მოჰყოლოდა. ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის მეორე ჯგუფის მასალების მიმოხილვა შედგენილი იქნება ცალკე და დაიბეჭდება „საარქივო საქმე"-ში ადგილობრივი საარქივო ფონდების კარტოთეკის შედგენის შემდეგ, რა მიმართულებითაც ცენტრარქივი უკვე აწარმოებს სათანადო მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცულია, რადგან კომისიას ჯერ არ შეუდგენია აქტი და არც აღწერა, რომ შემმოწმებელ კომისიას დასტური მიეცა მათ მოსასპობად. ერთი თვალის გადავლებით თითქოს მართლაც არავითარ ღირებულებას არ უნდა წარმოადგენდეს ეს მასალა (მაგ. საქმეები ჯილდოების შესახებ, პენსიების, დახმარების, სხვადასხვა პირთა დანიშვნის შესახებ და სხვა), მაგრამ რომ საბოლოოდ დამტკიცდეს მათი მოსპობის შესაძლებლობა, საჭიროა მათი ისევ არსებითად გადასინჯვა, რადგანაც ხშირად უმნიშვნელო სათაურის მქონე საქმეებში არქივისტები ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს პოულობენ.

მეფის ნაცვლის კანცელარიის საქმეების მიმოხილვისათვის უფრო მოხერხებული იქნება, თუ მთელ მასალას ორ ძირითად ჯგუფად დავყოფთ: მასალები ეკონომიური ხასიათისა და მასალები პოლიტიკურ-ადმინისტრატიული. დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია — ამ ორი მომენტის ერთმანეთისაგან გათიშვა შეუძლებელია. სიმოკლისათვის პირველი ჯგუფის მასალები მე მომყავს „ეკონომიკა“-ს სათაურის ქვეშ, მეორე ჯგუფის — „ადმინისტრატიული პოლიტიკის“ ქვეშ. სახალხო განათლება, სახალხო ჯანმრთელობა, კულტი და სხვა, წინამდებარე მიმოხილვაში უფრო მოხერხებულად ვსცანით ცალკე გამოგვეყო.

I. ეკონომიკა.

1) უპირველეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ ისეთ საბუთებზე, რომელიც ამ.-კავკასიის მხარის საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას გვისურათებს — მიმოხილვები, ანგარიშები და მოხსენებები. ასეთებია მეფის ნაცვლის „უქვეშევრდომილესი ანგარიშები“ მხარის მდგომარეობის შესახებ, გუბერნატორთა ანგარიშები გუბერნიების მდგომარეობის შესახებ, ანგარიშები და მოხსენებები სხვა, მეფის ნაცვლის ხელქვევით მყოფ, სამმართველოებისა. სამწუხაროდ, ყველა წლების ანგარიშები შენახული არ არის, მაგრამ ხარვეზი შეიძლება შევსებულ იქნას მთავარმართებლობის უფროსის და გუბერნატორების ფონდებით.

ამ.-კავკასია, რომელიც 1840 წელს „საქართველო-იმერეთის“ გუბერნიად და კასპიის ოლქად (უკანასკნელის შემადგენლობაში შედიოდა ბაქოს, შირვანის და ყუბის პროვინციები) დაიყო, ვორონცოვის დროს ჯერ ოთხად და შემდეგ ხუთ გუბერნიად დანაწილდა: ტფილისის, ქუთაისის, შემახის, დარუბანდის და ერევნის. კანცელარიის საქმეებში მოიპოვება ყველა ამ გუბერნიების მიმოხილვა და ამას გარდა ჩრდილოეთ კავკასიის გუბერნიების — კავკასიის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტვროპოლისაც. ანგარიშები შედგენილია ერთგვარი ფორმით; მოცემულია ცნობები კავკასიის მხარის გეოგრაფიულ მდებარეობის შესახებ, სივრცეზე, მიწისა და ტყეების რაოდენობაზე, ქალაქებსა და სოფლებზე, ადმინისტრატიულ დაყოფაზე, მცხოვრებთა რიცხვის შესახებ, წოდებებზე, ეროვნებებზე და სარწმუნოებაზე, მრეწველობის მდგომარეობაზე, შინაგან და საგარეო ვაჭრობის შესახებ, სასოფლო მეურნეობაზე, მიწათმფლობელობაზე, განათლების, სასამართლოს და ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ, მოსახლეობის ცალკე ჯგუფების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობისა და ბოროტმოქმედების შესახებ.

გუბერნატორების „უქვეშევრდომილესი ანგარიშები" შედგენილია ამავე ფორმით, მაგრამ გუბერნიის პოლიტიკური და ეკონომიური მიმოხილვა ჩვეულებრივ უფრო დაწვრილებითაა წარმოდგენილი. ყველა ანგარიშებს და მიმოხილვებს თანდართული აქვს სათანადო სტატისტიკური ცხრილები. ამ ხასიათის საქმეებიდან აღსანიშნავია საქმე „С материалами к отчету наместника за 1845 г. (საქ. 1154, 1856 წ.) და „По отношению ст. секретаря Позена об устройстве Закавказского края" (საქ. 54, 1843 წ.) უკანასკნელი არსებითად წარმოადგენს მხარის მდგომარეობის მიმოხილვას მთავარმართებლობის მუშაობის პროგრამითურთ. საქმეში „О состоянии Кутаисской губернии на 1 сентября 1848 г." (საქ. 2224, 1848 წ.), მოთავსებულია როგორც სამხედრო გუბერნატორის უქვეშევრდომილესი მოხსენება, ისე „განსაკუთრებული შენიშვნები ქუთაისის გუბერნიის მდგომარეობის შესახებ" სამხედრო გუბერნატორის ბელიაევისა, რომელშიაც სხვათაშორის აღნიშნულია სასულიერო წოდების აღვირახსნილობა და მათ მიერ გლეხების შევიწროება. კასპიის ოლქის უფროსის ანგარიშში 1845—6 წ. (ბაქოს გუბერნია და დარუბანდის მაზრა), ხაზგასმულია გლეხების სიღარიბე. ანგარიშთან თანდართული მოხსენება ყაჩაღობის შესახებ გვიჩვენებს უკანასკნელის წარმოშობის მიზეზებს—პოლიციის უღონობას, მოხელეთა თავგასულობას და სხვ.

საქმეში „О состоянии губернии в 1846—47 г.г." (საქ. 2459, 1848 წ.) მოთავსებულია „საქართველო-იმერეთის" გუბერნატორის ანგარიშები 1846 წ., ხოლო ქუთაისისა და ტფილისის —1847 წლის. ქუთაისის გუბერნატორის ანგარიში გვიჩვენებს მემამულეთა ყმების უმწეო მდგომარეობას და მოსახლეობის ზნეობრივ დონეს.—ცხენების და საერთოდ ოთხფეხ ცხოველების პარვა გავრცელებულია არა მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხებში, არამედ უმაღლეს წრეებშიაც და სხვ. მმართველობის ცალკე უწყებათა ანგარიშებიდან აღსანიშნავია „Обзор состояния путей сообщения в Закавказском крае“ (საქ. 202, 1845 წ.), რომელიც შეიცავს დაწვრილებით ცნობებს გზების სამუშაოების შესახებ: საქართველოს სამხედრო გზის, იმერეთის, ერევნის, სამეგრელოს და სხვ. ანგარიშს თან დართული აქვს მოხსენება ამ გზების ეკონომიურ მნიშვნელობის შესახებ. მასალები სახელმწიფო ქონების შესახებ მოთავსებულია სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციის ანგარიშებში. აქ წარმოდგენილია ცნობები სახაზინო მიწებზე მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, სახაზინო გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობაზე, დაბეგვრაზე, ცალკე მხარეები სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობაზე, კოლონიზაციაზე, ადგილობრივ მართვა-გამგებლობაზე, სასამართლოზე, პოლიციაზე, ბოროტმოქმედებაზე, სახალხო განათლებაზე და სხვ. ანგარიშებს თან დართული აქვს უწყებანი და ცხრილები.

სახელმწიფო ქონებათა „საქართველო-იმერეთის“ პალატის ანგარიშში (1841—45 წწ.) აღნიშნულია გურიის მაზრის სახალხო აჯანყება, რომელიც დაბეგვრამ გამოიწვია, ასევე ელისავეტპოლში (საქ. 200, 1846 წ.). სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციის ანგარიში (1850 წ.) მიგვითითებს გლეხების დავალიანებაზე (საქ. 3844, 1851). „ეკონომიკის“ საქმეთა ჯგუფს უნდა მივაკუთნოთ აგრეთვე ამ.-კავკასიის მხარის ხარჯთაღრიცხვები და შემოსავალ-გასავლის ნუსხები.

2) მეფის ნაცვლის კანცელარიის საქმეებში მოიპოება მრავალი საბუთები ბატონყმობის შესახებ, რომელმაც მთავარი როლი ითამაშა ამ.-კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში. საბუთები გვისურათებენ როგორც წოდებათა მიწათმფლობელობას, ისე კლასებს შორის წარმოშობილ ეკონომიურ და პირად ურთიერთობას. საიდუმლო საქმე „По отношению статс секретаря Позена о сообщении имения главноуправляющего Закавказским краем по записке Грузино-Имеретинского предводителя дворянства о нуждах и пользах дворянства и о прекращении усилившегося между помещичьими крестьянами стремления к отысканию вольности“ (საქ. 45, 1842—46 წ.) შეიცავს უამრავ მასალას ბატონყმობის შესახებ. საქმეში მოიპოვება „საქართველო-იმერეთის“ თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ორბელიანის მოხსენების პირი. იგი შედგენილია საქართველოს თავადაზნაურთა თათბირის მიხედვით, სადაც უკანასკნელნი მიუთითებენ შემდეგ გადაუდებელ ღონისძიებებზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიეცეს უფლება თავად-აზნაურობას ამოირჩიონ თავიანთ წრიდან სხვადასხვა თანამდებობის მოხელენი; ბ) დაცულ იქნეს მემამულეთა საკუთრების უფლება მიწებზე, რომელნიც მათ მფლობელობაშია, 1801 წლიდან; გ) მემამულეთა გლეხების განთავისუფლებისადმი გაძლიერებულ ლტოლვის ალაგმვა იმ მოტივით, რომ საქართველოში ბატონყმობა ძველითგანვე არსებობს. მოხსენებაში მოითხოვენ ბატონყმობის ხელუხლებლობას და უფლებას ურჩი ყმების ციმბირში გადასასახლებლად. მთავარმართებელი გოლოვინი თავის დასკვნაში პრინციპიალურად ეთანხმება მემამულეთა მოთხოვნილებებს და იწონებს თავადაზნაურთა მიერ წარმოდგენილ ლონისძიებებს თავისუფლების მაძიებელ გლეხების ასალაგმავათ. საქმეში მოიპოვება აგრეთვე ცალკე მოხსენებანი იმერეთის, გურიის და კახეთის თავად-აზნაურებისა, და კავკასიის კომიტეტის დადგენილება 15/IV—1846 წ. ამავე საქმეში მოთავსებულია მასალები გლეხებისა და მესაკუთრეთა ურთიერთობის პროექტის შესადგენად დროებით კომიტეტების დაწესების შესახებ, კომიტეტის ჟურნალები, მეფის ნაცვლის ვორონცოვის მოხსენება სამხედრო მინისტრისადმი, რომელშიაც გლეხებისათვის თავისუფლების მიცემის შესახებ შემდეგი მოსაზრებაა გამოთქმული: პროექტის დამუშავების დროს მხედველობაში დასავლეთი გუბერნიები არ უნდა ვიქონიოთ, როგორც კონსტიტუციონალურ სახელმწიფოების თანამომიჯნენი, რომ საქართველოს გლეხობას სრულიად არ უნდა მიეცეს თავისუფლება, უკიდურეს შემთხვევაში მიცემული თავისუფლება ძალიან განსაზღვრული უნდა იქნეს. საქმე ბოლოვდება მთავარმართებლობის საბჭოს მოსაზრებით, რომელიც გლეხობის მდგომარეობას უფრო აუარესებდა.

მეფის ნაცვლის კანცელარიის საქმეების საგრძნობი რიცხვი ასეთი სათაურის მატარებელია „Об отыскании свободы". ეს საქმეები შეეხება ისეთ გლეხებს, რომელთაც მართლაც ჰქონდათ მაშინდელ კანონების მიხედვით თავისუფლების ძიების უფლება. ძიება მაშინდელ სასამართლოს დაწესებულებებს უნდა განეხილა მაზრების სასამართლოებში და სამოქალაქო სასამართლოს პალატაში, მაგრამ ხშირად მეფის ნაცვლის კანცელარიაშიც ტარდებოდა ასეთი საქმეები.

გლეხების უმწეო მდგომარეობა და მათი ეკონომიურად შებოჭვა ასახულია საქმეებში „О побегах крестьян". კლასთა ურთიერთობის დასასურათებლად აღსანიშნავია საქმე „Об убийстве в Горийском уезде кн. Сумбатова, его жены и сыновей"; დაპატიმრებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლელის დაკითხვიდან ჩანს ყველა ის მიზეზები, რამაც გლეხს ხსენებული ბოროტმოქმედება ჩაადენინა: სასტიკი მოპყრობა, მძიმე სამუშაოების დაკისრება, ძალით ფულის, საქონლის და პურის წართმევა და სხვ. (საქ. 2065, 1847 წ.). ასევე საყურადღებოა საქმე „О мингрельских крестьянах, оказавших неповиновение помещичьей власти и об убийстве ими мдиванбека", ან და საქმე—„О назначении военной экзекуции для приведения к повиновению крестьян (Осетии), принадлежащих помещику Мачабели".

არქივში დაცულია აგრეთვე საქმე, რომელიც შეეხება ბეგების, აღალარებისა და მელიქების მიწათმფლობელობის უფლებებს, რომელთაც წართმეული მიწები 1841 წელს დაუბრუნდათ (საქ. № 614, 1845 წ.). ამ საქმის სხვა მრავალ საინტერესო საბუთებს შორის მოიპოვება ვორონცოვის „об'яснительная записка" 8/III-1846 წ., რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნულია მუსულმანურ უმაღლეს წოდების გავლენის გაძლიერების აუცილებლობა მასებში, წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვის მიზნით.

3) სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მდგომარეობის შესახებ საარქივო მასალები იყოფა სასოფლო მეურნეობის (მებაღეობა, მეღვინეობა და სხვ.), ვაჭრობა-მრეწველობის, გზების და ქალაქის კეთილმოწყობის დამახასიათებელ მასალებათ.

სასოფლო მეურნეობა. ა) მემინდვრეობის შესახებ მრავალი საინტერესო ცნობები მოიპოვება საქმეებში, რომელთაც თანდართული აქვთ სტატისტიკური ცნობები პურისა და ბალახის შესახებ, ახალზელანდიის სელის მოსაშენებლად წარმოებულ ცდების შესახებ, ტორფის ნიმუშების გამოცდის და სხვ. 1849 წლის საქმეს № 2988 თან დართული აქვს ცხრილი ტორფის ნიმუშების გამოცდის შესახებ, რომელიც აღმოჩენილ იქნა ოსეთში პროფ. აბიხის მიერ.

ბ) მებაღეობა, მევენახეობა და მეღვინეობა: კავკასიის მეღვინეობის სასწავლებლის საქმეებში დაცულია ცნობები ყურძნის კულტურის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში. საქმეში № 588, 1845 წლ. მოიპოვება მემამულე რებროვის მოხსენება ამიერ-კავკასიაში მეაბრეშუმეობისა და მეღვინეობის შესახებ; საქმები №№ 3878, 3546, 3547—1847-56 წწ. შეიცავს მიწერ-მოწერას ყირიმიდან 1850 წელს 272500 ვენახისა და 22200 ხეხილის ნერგების გამოწერის შესახებ. აღსანიშნავია აგრეთვე საქმე „О приглашении садовников для собирания семян растений в Имеретии, Мингрелии и Гурии", რომელშიაც დაცულია მიწერ-მოწერა ექსკურსიების მოწყობის თაობაზე სხვადასხვა მკენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეულობის აღმოსაჩენად, და აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა მხარეების მცენარეულობის სახელწოდებათა ნუსხა (საქ. 1752, 1847 წ.).

ასევე საყურადღებოა საქმეები სახაზინო ბაღების შემოსავალ-გასავლის შესახებ (მაგ. საქ. 310, 1845 წ.). ოზურგეთში ბაღის გაშენების შესახებ (საქ. № 2607, 1848 წ.), ადგილობრივ მცხოვრებთაგან ახალგაზრდობის რუსეთის სპეციალურ საბაღოსნო სასწავლებლებში მივლინების შესახებ (საქ. № 1340, 1846 წ.), და მარრის მოხსენება ოზურგეთში მიწათ-მოქმედების სასწავლებლის დაარსების შესახებ (საქ. № 1552, 1847 წ.) და სხვ.

გ) მეაბრეშუმეობა: ამ საკითხის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს საქმეები №№ 624, 1845 წ. და 123, 1845 წ. რომელშიაც მოსჩანს ა. კავკასიის მეაბრეშუმეთა საზოგადოების მოღვაწეობა. საქმეებში №№ 2099, 1847 წ. 3853, 1851 წ. წარმოდგენილია ცნობები აბრეშუმის და პარკის ქარხნებში გაგზავნის შესახებ და სხვ.

დ) მეთამბაქობა: თამბაქოს მრეწველობის შესახებ აღსანიშნავია საქმეები, რომლებიც შეეხებიან ამერიკულ ჯიშის თამბაქოს მოშენებას, ნათესების შედეგებს, ოზურგეთის მაზრაში ჰავანის ჯიშის თამბაქოსაგან სიგარების დამზადებას და სხვ. (საქმე № 312, 1845 წ.).

ე) მებამბეობის შესახებ საყურადღებოა საქმე „О выписке из Северной Америки, Мальты, и Восточной Индии семян", რომელსაც თანდართული აქვს სანიმუშო ნათესების და მოსავლიანობის ცხრილები (საქ. № 588, 1845 წ.).

ვ) ჩაის კულტურის შესახებ—საქმე „Об опытах произростания в Тифлисском ботаническом саду и Талышинском (Ленкорань) районе", მიმოწერით. 1845 წ. პეკინიდან ჩაის ნერგების გამოწერის და ხსენებულ ადგილებში მათი დანერგვის შესახებ (იხ. საქ. № 448, 1845 წ.).

ზ) სატყეო მეურნეობის შესახებ—საქმეები „О приведении в известность казенных лесов Закавказского края" (საქ. № 7 და 2812, 1840-47 წ.), აქ მოიპოება სატყეო სამმართველოს მოხსენებანი ტფილისის, ქუთაისის, ელისავეტპოლის და ერევნის გუბერნიების ტყეების შესახებ, აგრეთვე ტყის ექსპორტის შესახებ.

Თ) თევზის მრეწველობის შესახებ აღსანიშნავია საქმეები სახაზინო თევზის სამრეწველოების ანგარიშებით, სალიანისა, კიზილ აგაჩის და გოქჩის. საქმეში „О привозе рыбы в Закавказский край из Персии и Туркмении", მოიპოვება დადგენილება თურქმენისტანისა და სპარსეთის ნაპირებიდან თევზის შემოტანის აკრძალვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) მეჯოგეობა და ცხენის მოშენების შესახებ მასალები არ არის მრავალრიცხოვანი. ცნობები მოიპოვება არაბულ ჯიშის ცხენების მოშენების შესახებ, ასევე ვირების, ცხენთსაშენის მოწყობის შესახებ (მაგ. ილოვაისკის მოხსენება, საქ. 241, 1846 წ.). დაცულია აგრეთვე ცნობები ტფილისის ბოტანიკურ ბაღთან ჯიშიან ფარეხის მოწყობის შესახებ (ს.ს. 2811, 1847-48 წ. 3808, 1851-52 წ.).

ი) სარწყავების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული საქ. № 3587, 1850-68 წლ., რომელშიაც ტფილისის მიდამოების გეოგნოსტიური და ჰიდროგრაფიული გამოკვლევებია.

მრავალი მასალებია შენახული სასოფლო მეურნეობის მავნებლების და მასთან ბრძოლის შესახებ.

საქმე 2942, 1849 წ. „Об учреждении Кавказского общества сельского хозяйства" მრავალი საყურადღებო ცნობების შემცველია სასოფლო მეურნეობის დარგში კერძო ორგანიზაციათა მოღვაწეობის შესახებ, ასევე ამიერ კავკასიის სასოფლო-მეურნეობის საზოგადოებაზე და მანუფაქტურულ მრეწველობაზე, რომელიც 1849 წელს დაიხურა.

ვაჭრობა და მრეწველობა. საარქივო მასალები, რომელნიც ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ ცნობებს იძლევა, შემდეგი სახით წარმოგვიდგება: სავაჭრო ბრუნვა სპარსეთსა და ოსმალეთში, სატრანზიტო ვაჭრობა ა.-კავკასიის მხარით, ა.-კავკასიის ვაჭრობა შიგა რუსეთთან, საგარეო ვაჭრობა სპარსეთან, ოსმალეთთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან და ვენასთან, ვაჭრობა თვით ამ.-კავკასიაში და გაცვლა გამოცვლა. სატრანზიტო და საგარეო ვაჭრობის შესახებ დამახასიათებელია საქმეები: „Об изменении торговой системы в Закавказском крае" და „О торговых сношениях на восточном берегу Черного моря", (№ 520, 1845 წ., 1429, 1846 წ., 27, 1525, 1842-47 წ., 632, 1845 წ.). ამ საქმეებს თანდართული აქვთ ცხრილები სავაჭრო ბრუნვის შესახებ და ა.-კავკ. ნაწარმ. საქონლის სხვადასხვა მხარეებში გატანის შესახებ.

საქ. № 1429-ში მოიპოება ცნობები თავისუფალ ვაჭრობისა და სავალიუტო სისტემის შესახებ. ა.-კავკასიაში სავაჭრო კაპიტალის შემოჭრის დასახასიათებლად აღსანიშნავია საქმეები №№ 1055, 1846 წ., 1971, 1847 წ., რომლებშიაც აღნიშნულია ცნობები ტფილისში რუსული მანუფაქტურულ ნაწარმოებთა დეპოს დაარსების შესახებ (საქ. № 2327, 1848 წ.). საყურადღებო ცნობები მოიპოება აგრეთვე ა.-კავკასიის სავაჭრო დეპოს დაარსების შესახებ საქ. № 2327, 1848 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინა ბაზრის შესასწავლად ყურადღების ღირსია ცნობები იმ დროინდელ საქონლის ფასების შესახებ, რომელიც დაცულია საქმეებში „О справочных ценах по губерниям и по городу Тифлису.“

საქმეებში, რომელნიც ტფილისის, პეტერბურგის და ლონდონის გამოფენებს ეხებიან, თავმოყრილია მასალები ხსენებულ გამოფენებზე ა.-კავკასიის მონაწილეობის შესახებ, და აგრეთვე დაცულია სიები ა.-კავკასიაში ნაწარმოების ექსპონატებისა. მრეწველობის ცალკე დარგებისთვის დამახასიათებელია საქმეები: ა) საფაბრიკო-საქარხნო—აქ დაცულია ცნობები ტფილისსა და ყულფში გრანიტის ქარხნების მოწყობის შესახებ, ასევე რკინის გადასადნობი, მექანიკური და ტყავის ქარხნების ტფილისში მოწყობის შესახებ. დაცულია აგრეთვე სიები ქუთაისის, შემახის და დარუბანდის გუბერნიებში არსებულ ქარხნებისა, რომელსაც თანდართული აქვს ცნობები წარმოების ხასიათის და მუშების რაოდენობის შესახებ. ბ) ქვანახშირის შესახებ, ამ საქმეში წარმოდგენილია ცნობები ქვანახშირის მადნების ბუდობების შესახებ ახალციხის მაზრაში და ქსნის ხეობაში, მადნის დამუშავების შესახებ დარუბანდის გუბერნიაში და ალაზნის ველზე მადნის აღმოსაჩენად წარმოებულ ძიების თაობაზე. გ) ნავთისა და მარილის მრეწველობის შესახებ, ბაქოს გუბერნიაში, ყულფისა და ნახიჭევანის მარილის მრეწველობისა და ნავთის წყაროების შესახებ, ახალციხის მაზრაში ქვამარილის შესახებ. დ) ოქროს მრეწველობის შესახებ, ცნობები დაცულია საქმეებში მდ. რიონის ნაპირებზე მადნის აღმოსაჩენად წარმოებულ ძიების თაობაზე. ე) შავი ქვის მრეწველობის შესახებ საქმე № 2318, 1848 წ. ვ) ვერცხლისა და ტყვიის მრეწველობის და ალაგირის ქარხნის დაარსების შესახებ.

გზები. გზების შესახებ ცნობები მოიპოება საქმეებში „Об устройстве дороги и о работах по проведению Военно-Имеретинского шоссе“ (საქ. № 511, 1845 წ.). მრავალი ცნობებია აგრეთვე საქმეებში კასპიისა და შავი ზღვების ნავთსადგურების გახსნის თაობაზე. ყურადღების ღირსია საქმე: „О проведении дороги от Мцхета до Гори“ (საქ. 135, 1845-55 წწ.). შენახულია აგრეთვე ცნობები ა.-კავკასიის მხარის საფოსტო მიმოსვლის მდგომარეობის შესახებ.

ქალაქის კეთილმოწყობა, დაცულია ცნობები ქვაფენილების გაკეთების შესახებ, წყლის საწმენდ ქარხნის მოწყობის, ქუჩების განათების, ხიდების აგების, კოშკის საათების მოწყობის, დელიჟნების კონტორის დაარსების და სხვათა შესახებ. ხსენებული ცნობები შეეხებიან მხოლოდ ქ. ტფილისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ადმინისტრატიული პოლიტიკა.

ზემოდ აღნიშნული საქმის „По отношению статс-секретаря Позена об устройстве Закавказского Края“ გარდა არის საქმეების მთელი რიგი, რომელნიც შეიცავენ ცნობას ა-კავკასიის მხარის, უმაღლეს მართველობის და ადმინისტრატიულ დაყოფის ორგანიზაციის შესახებ. ასეთებია საქმეები: საინსპექტორო დეპარტამენტის დაარსების შესახებ, სასოფლო მეურნეობის ინსპექციის დაარსების შესახებ, კავკასიის მინერალურ წყლების სამმართველოს მოწყობის შესახებ, გურიისა, სვანეთის და სხვა სამთავროების მმართველობის მოწყობის შესახებ. ამათ შორის აღსანიშნავია საქმეები: „О желании Абхазского народа подчиниться России“ (საქ. 413, 1845 წ.), „О покорности свободных Сванов“ (საქ. 2139, 1848—56 წ.წ.), „О неповиновении жителей Вольной Сванетии“ (საქ. №2286, 1848 წ.), „Об отправлении в Сванетию протоиерея Кутателадзе“ (საქ. № 499, 18-45). № 413 საქმეში საყურადღებოა ჯარების სარდლის მიწერ-მოწერა, საიდანაც აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლების მეფის ნაცვალთან მისვლისა და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილი მოსჩანს. კავკასიის კორპუსის შტაბის არქივის საქმეებში № 2139, 1848—54 წ. და 2286, 1848 წ. დაცულია ცნობები თავისუფალ სვანეთის რუსეთთან შეერთების შესახებ, იქვე მოიპოება დაწვრილებითი ცნობები, თუ რა პირობებში ხდებოდა სვანეთის რუსეთთან შეერთება. № 161 საქმეში (1845—46 წლ.) მოიპოება საბუთები გურიის მმართველობის დაწესების შესახებ. აქვე აღნიშნულია გურიის მცხოვრებთა გადასახადებისაგან განთავისუფლება და ამის ნაცვლად 2000 მილიციელის გამოყვანა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სამხედრო სამმართველოს პროექტს. საყურადღებოა მეფის ნაცვლის ვორონცოვის პიტაკი მეფის სახელზე (2818, 1846 წ.), რომელშიაც მეფის ნაცვალი გურიაში სამხედრო მმართველობის შემოღებას და გურულებისაგან მილიციის შედგენას მიზანშეუწონლად სთვლის. 13 სექტემბერს 1846 წელს ვორონცოვს ატყობინებენ რომ მის პიტაკში გამოთქმულ მოსაზრებებს მეფე დაეთანხმა, გურიის მილიციის დაარსება უარჰყო და პიტაკს წააწერა „нечего делать, хотя весьма жаль“.

კავკასიის მმართველობის მუშაობა უმაღლეს წოდებათა მოწყობის სფეროში ასახულია საქმეებში: „Об учреждении комиссии для расмотрения прав на княжеское и дворянское сословие по Тиф. и Кут. губ.“ (საქ. № 2686—48 წ.), „Об утверждении кня-

ეროვნული ბიბლიოთეკა

жеских и дворянских родов Грузии, Имеретии и Гурии", ანუ დეპუტატთა საკრებულოს საქმეებში.

საიდუმლო ნაწილის პოლიტიკურ მმართველობის მასალები ძალიან ცოტაა შენახული. ევროპის პოლიტიკური მოძრაობანი და 1848 წლ. რევოლიუცია ნაწილობრივ ასახულია საქმეებში: „О мерах по случаю беспорядков на Кавказе" (2466, 1846 წ.), „О польских возмутительных воззваниях (2284, 1848 წ.). ევროპის პოლიტიკურ მოძრაობასთან დაკავშირებით, კავკასიაში გაძლიერებულ იქნა პოლიციის ზედამხედველობა პოლიტიკურად არა საიმედო პირებზე, მაგ., მოიპოება საქმე გრაფ ტიშკევიჩისა და პოდპორუჩიკ თურქესტანიშვილის გადასახლების შესახებ (№ 2504, 1848 წ.), საინტერესოა ამ მხრივ საქმე „О доставлении в III отд. корресподенции Кошкина и Европеуса", რომელსაც თანდართული აქვს პოლიტიკურ დამნაშავეთა სიები (საქ. № 3647, 1850 წ.); ასევე საყურადღებოა უწყებები ა.კავკასიის გუბერნიებში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებზე. სხვა საიდუმლო ხასიათის საქმეებიდან აღსანიშნავია: შამილის აჯანყება და საიდუმლო დავალება ჩეჩნეთში (საქ. № 274, 1845 წლ.), ყადის გადასახლება მოსახლეობის გადასახადების წინააღმდეგ აჯანყებისათვის (№ 3425, 1850 წლ.), ყუბის ამბოხების შესახებ (№ 9, 1840 წლ.), ნუხის მაზრის აჯანყების შესახებ (3289, 1849 წ.), ოსეთის აჯანყების შესახებ (4057 და 4137, 1851 წ.) საქმეთა ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ საქმე ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად გაქცეულ პირების სამშობლოში დაბრუნების შესახებ და ყოფილ მეფის საგვარეულოს წევრების საქართველოში დაბრუნების ნებართვის შესახებ.

კოლონიზაცია და ნაციონალური პოლიტიკა გამოხატულია ხელისუფლების მიერ მხარის მოსაწყობად მიღებულ ღონისძიებებში (მიმოხილვები, ანგარიშები და საქმეები გადასახლებულთა ყოფის მოწყობის და სხვათა შესახებ). კოლონიზაციურ პოლიტიკასთან დაკავშირებით წარმოიშვა საქმეები სახაზინო და მემამულეთა მიწების დამიჯვნისა და რუს მოსახლეობის მასზე დასახლების შესახებ, ამ საკითხზე მასალები საკმაოდ მრავალ რიცხოვანია, მაგ., საქმეები №№ 691, 1631 1846 წ. მართლმადიდებელ სახელმწიფო გლეხების სამეგრელოში გადასახლების შესახებ (საქ. № 3619, 1850 წ.), გადმოსახლებულ რუსების მოწყობა ტფილისში (საქ. № 2236, 1848 წ.), სოხუმში, ანაპასა და ნოვოროსისკში ბერძნების გადმოსახლების შესახებ. და ბოლოს რუს სექტანტებისა და სასამართლოს დადგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით სხვადასხვა დამნაშავეთა ა.-კავკასიის სახაზინო მიწებზე ცხოვრებლებისა და მოწყობის შესახებ.

III. სახალხო განათლება, ცენზურა, ბეჭდვის საქმე, სამეცნიერო საზოგადოებრივი, სახალხო ჯანმრთელობა, კულტი და ქველმოქმედება.

სახალხო განათლების შესახებ შემცველ ცნობებით, გარდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის საქმეებისა, საინტერესოა საქმეები, ტფილისში კერძო სასწავლებლებისა და პანსიონების გახსნის შესახებ, ასევე კავკასიის მკვიდრთაგან რუსეთის სატახტო ქალაქების სასწავლებლებში ახალგაზრდების გაგზავნის შესახებ, ტფილისში სამხატვრო სკოლის დაარსების შესახებ, მუსულმანურ სკოლებში რუსული ენის სწავლების და ბიბლიოთეკების მოწყობის შესახებ. ცენზურის საქმეებიდან მნიშვნელოვანია საქმე ნაბეჭდ ნაშრომთა მიმართულების ზედამხედველობის შესახებ; ტფილისში შილერის ცნობილ პიესის „ყაჩაღების“ დადგმის აკრძალვის შესახებ. საინტერესოა აგრეთვე საქმე გაზეთ „Кавказ“ და „Вестник“-ის გამოცემის ნებართვის და ქართულ სტამბების დაარსების შესახებ.

სამეცნიერო საზოგადოებებისა და დაწესებულებების შესახებ აღსანიშნავია საქმეები ტფილისში ობსერვატორიის მოწყობის შესახებ; პროფ. აბიხის სომხეთის მაღლობების გეოლოგიურ გამოკვლევებისათვის ა-კავკასიის მხარეში მივლინების შესახებ (საქ. 26, 1844), და საქმე ერევნის გუბერნიაში ისტორიულ და არქეოლოგიურ კვლევა-ძიების წარმოების თაობაზე (საქ. № 3613—1852—51 წ.).

იმ დროინდელ ფიზკულტურის დარგიდან აღსანიშნავია საქმე ტფილისის მცხოვრებთათვის ქალაქ-გარეთ კრივის გამართვის ნებართვის შესახებ (საქ. № 3996, 1851 წ.).

მასალებს სახალხო ჯანმრთელობის ისტორიისათვის შეიცავს სამკურნალო ნაწილის მმართველის მოხსენებები, აგრეთვე საქმეები მინერალურ წყლების მოწყობის თაობაზე და კავკასიისა და ა.-კავკასიის მინერალურ წყლების სამმართველოს ანგარიშები; აფთიაქების გახსნის შესახებ, ეპიდემიურ სნეულებათა შესახებ, ტფილისში აბანოების გახსნის შესახებ, ვენერიულ სნეულებით დაავადებულ ქალთა საავადმყოფოში მოთავსების შესახებ და სხვ. ეკლესიებისა და სასულიერო პირების შესახებ სტატისტიკური ცნობები მოიპოვება გუბერნატორის ანგარიშებში, სხვათა შორის საქმეში (№ 2223, 1848 წ.) შენახულია ქუთაისის გუბერნატორ ბელიაევის მოხსენება ადგილობრივ სამღვდელოების მიერ გლეხების შევიწროვების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონიზატორულ პოლიტიკასთან დაკავშირებით ყურადღებას არ არის მოკლებული საქმე აფხაზების გარუსების მიზნით აფხაზეთში სასულიერო მისიის დაარსების შესახებ (საქ. № 572, 1845 წ.).

საქველმოქმედო დაწესებულებათა შესახებ მდიდარი მასალები მოიპოვება საქმეებში: სულით დაავადებულთა მზრუნველობაზე, ჯარის კაცთა ოჯახის მზრუნველობაზე და ტფილისში ღარიბთათვის სასადილოს გახსნის შესახებ.

მეფის ნაცვლის კანცელარიის საარქივო მასალებში, გარდა ზემოაღნიშნულ ჯგუფებისა, მოიპოვება საგრძნობი რაოდენობა ისეთ საქმეებისა, რომელნიც შეეხებიან კერძო პირების სამსახურში დანიშვნას, სამსახურიდან დათხოვას, პენსიებს, ერთდროულ დახმარებას, დაჯილდოებას, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას, შენობების აგების ნებართვებს და სხვ. ამათგან მრავალს უკვე დაკარგული აქვს ყოველგვარი მნიშვნელობა, მაგრამ ზოგიერთები მაინც იწვევენ ერთგვარ ინტერესს ყოფა-ცხოვრებისა და პოლიტიკის ისტორიისათვის. ასეთებია მაგალითად საქმეები ორ ქრისტიან ბავშვის მოკვლის თაობაზე, რაშიაც ბრალი ედებოდა ებრაელებს (საქ. № 3796. 1851 წ., 4074—1851—54 წ.წ.), ან და საქმე „О назначении в Дербент палача“ (საქ. № 1776, 1847 წ.), რომელიც შეიცავს მიწერ-მოწერას დარუბანდის გუბერნატორის მიმართვის გამო დამნაშავეთა საწამებლად ჯალათის გადმოგზავნის შესახებ. აქედანვე ირკვევა სტავროპოლის სატუსაღოში მყოფ პატიმარ ტკაჩოვის ჯალათობაზე თანხმობის განცხადება. საქმეში დაცულია ტფილისის, ქუთაისის და დარუბანდის გუბერნატორების მოხსენებები, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათ გამგებლობაში მყოფ სატუსაღოებში არ აღმოჩნდა პატიმარი, რომელსაც ჯალათობაზე თანხმობა განეცხადებია.

პენსიების საქმეებიდან საინტერესოა საქმე გრიბოედოვის მეულლისათვის დამატებით პენსიის დანიშვნის შესახებ (საქ. 3089, 1849 წლ.).

სტატისტიკურ ცნობებიდან საყურადღებოა საქმე მე-9 სახალხო აღწერის თაობაზე (საქ. 3122, 1849-54 წ. წ.).

ვ. ბოჭალიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საარქივო მასალების გამოყენება საქართველოს ცენტრარქივში სამეცნიერო მიზნით.

ცენტრარქივის მუშაობის ძირითად ამოცანას შეადგენს საარქივო მასალების მიწოდება მკვლევართათვის მათი მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით გამოყენების მიზნით.

ჩვენი კულტურული ცხოვრების ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე მოთხოვნილება მისი განვითარების ისტორიულ-მეცნიერული თვალსაზრისით განხილვისა, რის საშუალებასაც საქართველოს ცენტრარქივში დაცული საარქივო მასალები იძლევა. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ტემპი ვითარდება თვით საარქივო მასალების იმ გვარ ტეხნიკურად დამუშავების ტემპით, რომ ეს მასალები მკვლევართათვის ხელმისაწვდომი შეიქნეს და შესაძლებელი გახდეს მათი მეცნიერულად გამოყენება. ამასთანავე, როგორც ვთქვით, მასალები გამოიყენება აგრეთვე პრაქტიკული თვალსაზრისითაც (საბუთთა ასლების, ამონაწერების, ცნობების გაცემა და სხვა). ცენტრარქივის მუშაობას ამ მხრივ, მაშასადამე, ორი მაჩვენებელი განსაზღვრავს: საარქივო მასალების 1) მეცნიერული და 2) პრაქტიკული გამოყენება.

ჩვენ შევეხებით მხოლოდ პირველს—მასალების მეცნიერულ გამოყენებას,—რასაც ცენტრარქივის სამეცადინო დარბაზი ემსახურება.

სამეცადინო დარბაზის დაარსებისა და მუშაობის მოკლე ანგარიში დაბეჭდილი იყო ჟურნ. „საქართველოს არქივი"-ს პირველ ნომერში. თუ რამდენად გაიზარდა მას შემდეგ და იზრდება უკანასკნელ წლებში სამეცადინო დარბაზის მუშაობა, რაც თავის თავად ცენტრარქივის მიერ საარქივო მასალების ტეხნიკურ წესრიგში მოყვანის ტემპზე მიუთითებს,—ამას შედარება დაგვანახვებს. თუ 1926 წ. ე. ი. დარბაზის გახსნის პირველ წელს დარბაზში დაიარებოდა თვეში საშუალოდ 8-9 კაცი და მუშაობას აწარმოებდა 30-40 საქმეზე.

უკვე 1927 წ.	დაიარება	„	40	„	„	400 საქ.
1928 წ.	„	„	56	„	„	1015 „
ხოლო 1929 წ.	„	„	90	„	„	2070 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც უკვე იყო ნათქვამი, დარბაზის მუშაობა ფართოვდება საარქივო მასალების ტეხნიკურად დამუშავების პროპორციულად.

საინტერესოა, თუ რა საკითხებზე სწარმოებდა მუშაობა დარბაზში.

მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველამდე დარბაზში დამუშავებულია წვრილმალი საკითხების გარდა 151 ვრცელი თემა, რომლებიც შინაარსის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევიან:

ისტორიული	24
ლატერატურ.	22
პოლიტიკური	20
სამხედრო ისტ.	10
სოციალ-ეკონომიური	11
სავაჭრო-სამრეწველო	8
სამართლის ისტ.	2
სამხარეთმცოდნეო	15
სტატისტიკური	6
ეკონომიური	9
მედიც. ისტ.	3
ბიბლიოგრ.	3
სამეურნეო	8

სამეცადინო დარბაზის მოთხოვნილების უმთავრეს ნაწილს, რასაკვირველია, მთავარი საისტორიო არქივი აკმაყოფილებს, რადგან მე-19-ე საუკუნის საქართველოს ისტორიის მასალები უმთავრესად ამ არქივის საცავებშია გაერთიანებული. მეორე ადგილი ძველ საბუთთა არქივს უჭირავს; მეცნიერულად გამოყენებული ქართული საბუთების რიცხვი პროგრესიულად იზრდება და განსაკუთრებით უკანასკნელ წელს თვალსაჩინო რაოდენობას მიაღწია. დანარჩენი არქივები თითქმის თანაბარ სამსახურს ეწევიან, გარდა ბეჭდვითი ნაწარმოებთა არქივისა (ბიბლიოთეკა), რომელიც კავკასიის-მეტყველების დარგში სამეცადინო დარბაზში წარმოებული აკადემიური მუშაობის მოთხოვნილებებს, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს.

თუ პროცენტულად გამოვხატავთ ზემოთქმულს, მივიღებთ, რომ აკადემიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგი რაოდენობა მოდის თვითეულ არქივზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი, საისტ. არქ. . .	45	პროცენტი
ძველ საბუთთა	20	„
სამხედრო	5	„
საისტ.-სარევ.	5	„
საბჭოთა	5	„
სასამართლო	5	„
ბეჭდვითი ნაწ. (ბიბლიოთეკა)	15	

ი. იოვიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა მეორე ყრილობა.

სახალხო მეურნეობის სოციალისტურ აღმშენებლობის გაფართოებულმა საქმიანობამ და ჩვენი მრეწველობის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ჩქარი ტემპით განვითარებამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა საბჭოთა საარქივო აღმშენებლობა, რომელიც საერთო აღმშენებლობის ნაწილს შეადგენს. არქივების მაქსიმალურად გამოყენება ამ დიადი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქტიულ ხანის პერიოდში ძირითად პრაქტიკულ ამოცანას შეადგენს საარქივო მუშაკებისათვის. სწორედ ამ მიზნით რაციონალურ საშუალებებისა და მეთოდების კოლექტიურად გამომუშავების აუცილებლობა ერთ-ერთი მთავარი მოტივი იყო სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა მე-2 ყრილობის მოწვევისა. მაგრამ ამავე ყრილობაზე ამას გარდა უნდა მომხდარიყო შემოწმება და შეჯამება ყველა მიღწევებისა საერთოდ საარქივო მშენებლობის დარგში.

ყრილობა გაიხსნა 1929 წლის მაისის 25-ს და გაგრძელდა 6 დღე.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო სრულიად რუსეთის საარქივო ორგანოების გარდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკების (ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს,[1] სომხეთის, თურქმენისტანის, უზბეკისტანის და უკრაინის) წარმომადგენლები.

გარდა აღნიშნულ საარქივო ორგანოების წარმომადგენლებისა ყრილობას დაესწრო სხვადასხვა საკავშირო სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, მაგ. ლენინის ინსტიტუტის, მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტის, კომუნისტურ აკადემიის, ს. ს. რ. კ. არმიის, ს. ს. რ. კ. სამეცნიერო აკადემიის, ი. კ. პ. რანიონის, საბჭოთა აღმშენებლობის ინსტიტუტის, საკავშირო პროფსაბჭოს პროფისის, მარქსისტ-ისტორიკოსების საზოგადოების, ს. ს. რ. კ. რევოლიუციის მუზეუმის, მხარეთმცოდნეობის ცენტრალური ბიუროსი და სხვ.

---

[1] საქართველოდან ყრილობას დაესწრენ ი. იოვიძე და შ. ჩხეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ყრილობას დაესწრო 237 დელეგატი. მათ შორის 156—გადამწყვეტი ხმით და 81—სათაობირო ხმით, ამათგან საკავ. კომპ. (ბ) წევრი იყო 145 დელეგატი, ლ. ა. კ. წევრი—1 და უპარტიო—90.[1]

ყრილობის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1) მ. ნ. პოკროვსკის—შესავალი სიტყვა.

2) რუს. სოც. საბ. ფედ. რესპ. ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მუშაობა-მოღვაწეობა (მომხსენებელი ვ. ვ. მაქსაკოვი).

3) საარქივო მშენებლობა ადგილებზე ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით (დ. გ. ისტნიუკი).

4) რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრარქივის არქივთმეცნიერების კაბინეტი (მ. ს. ვიშნევსკი).

5) სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნით გამოყენება ცენტრალურ საისტორიო არქივის ლენინგრადის განყოფილების საარქივო მასალებისა (ა. კ. დრეზენი).

6) საინფორმაციო მოხსენებები: მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური საარქივო სამმართველოებისა: აზერბაიჯანისა, სომხეთისა, ბილორუსიისა, საქართველოსი,[2] თურქმენისტანისა, უზბეკისტანისა და უკრაინის.

7) მოხსენებები: ლენინის ინსტიტუტის, მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტისა.

8) მოხსენებები: მარქსისტ - ისტორიკოსების საზოგადოებისა, საბჭოთა აღმშენებლობის ინსტიტუტისა, საკავშირო პროფსაბჭოს პროფისისა, ს. ს. რ. კ. რევოლიუციის მუზეუმისა, მხარეთმცოდნეობის ცენტრალური ბიუროსი.

9) რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრარქივის ცენტრალური შემმოწმებელ კომისიისა და ადგილობრივ გამრჩევ კომისიების მუშაობა (ვ. ვ. ადორაცკი).

10) რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრარქივის მუშაობის ხუთწლიანი გეგმის პროექტი (ვ. ვ. მაქსაკოვი).

11) საარქივო საქმე დასავლეთში უკანასკნელ წლებში (აკად. ე. ტარლე).

12) საისტორიო არქივები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში (ი. ნ. ჟდანოვიჩი).

13) საგარეო პოლიტიკის ისტორიის დოკუმენტების გამოქვეყნება (ნ. ა. რუბენშტეინი და ალ. პაპოვი).

14) არქივები, როგორც პროლეტარიატის ისტორიის შესასწავლი წყარო (ა. მ. პანკრატოვი).

15) დებულება შემმოწმებელ და გამრჩევ კომისიების შესახებ (ვ. ა. დომბროვსკი).

---

[1] ეს ცნობები ამოღებულია ყრილობის ბიულეტენიდან (№ 4). ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება ხელთ არა მაქვს.

[2] საქართველოში საარქივო მშენებლობის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. ი ო ვ ი ძ ე მ (იხ. რ.ს.ფ.ს.რ.-ეს ცენტრარქივის „ბიულეტენი“. № 8—9 და „Архивное дело“, წიგ. 20).

ეროვნული ბიბლიოთეკა

16) ტიპიური დებულების პროექტები (ანფილოვი).
17) საარქივო სწავლა-განათლება (დ. გ. ისტნიუკი).
18) ტიპიური შენობა არქივთსაცავებისა და მისი მოწყობილობა (გ. ვ. არტიშევსკი და ნ. ვ. პოპლაუხინი).
19) საარქივო მასალების აღწერის ფორმები (ა. მ. რახლინი).
20) საარქივო ფონდების ცენტრალური კარტოთეკა (მ. გ. კუბალოვი).
21) გზის მაჩვენებელი არქივებში (ა. მ. რახლინი).
22) საარქივო ბიბლიოთეკების ამოცანები (ა. ი. კუდრიავცევი).
23) საარქივო ქიმიურ-ტექნიკური ლაბორატორია (ი. ნ. ზავიალოვი).
24) საარქივო-საცნობო აპარატი (გ. კნიაზევი).

აღნიშნულ საკითხებიდან პირველი თოთხმეტი საკითხის შესახები მოხსენებები მოსმენილ იქნა ყრილობის პლენუმზე, შემდეგი სამი საკითხისა—საორგანიზაციო სექციაში, ხოლო დანარჩენის—საარქივო სატექნიკო სექციაში.

გავაშუქებ მოკლედ ზოგიერთ საკითხებს, წარმოდგენილ მოხსენებებისა და ამ მოხსენებების გამო გამოტანილ დადგენილებების მიხედვით.

ყრილობა გახსნა ამხ. მ. ნ. პოკროვსკიმ.

მან აღნიშნა თავის შესავალ სიტყვაში, რომ ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანა—მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნების დაწევა და გასწრება—სავსებით შესაძლებელია. თუ დანარჩენი ქვეყნები ჩვენ გვჯობნის საარქივო—ტექნიკის დარგში, არქივების ორგანიზაციის დარგში ჩვენ ისინი ძალიან შორს დავტოვეთ. ასეთი დასკვნა გამოაქვთ თითქმის ყველა უცხოელებს, რომლებიც გაცნობილი არიან საარქივო საქმეს ჩვენში.—საფრანგეთის ნაციონალური არქივის დირექტორმა პროფ. ლანგლუამ, რომელმაც ინახულა წარსული წლის ბოლოს სოციალისტური საბჭოთა კავშირი, პირდაპირ აღიარა, რომ საფრანგეთი საკმაოდ ჩამორჩენილი არის საარქივო საქმის დარგში ორგანიზაციის თვალსაზრისითო. როგორც ეტყობა, საფრანგეთიც ტექნიკის მხრივ ჩვენთან შედარებით ისე შორს არ წასულა. ამასვე მოწმობს ცენტრარქივის მიერ გაკეთებული ორივე მოხსენებები გასულ წელს საზღვარ-გარედ: „რუსულ ისტორიის კვირეულის“ დროს ბერლინში და მსოფლიო ისტორიულ კონგრესზე ოსლოში. მხოლოდ ჩვენმა მოხსენებამ ოსლოში დაიმსახურა კონგრესისგან სპეციალური რეზოლიუცია, მიღებული სწორედ იმ ტექსტით, რომელიც ჩვენ შევიტანეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, ამხ. პ ო კ რ ო ვ ს კ ი შეეხო საარქივო აღმშენებლობის განვითარების დახასიათებას. მან განმარტა არქივების სამსახური მოსახლეობისადმი მიმდინარე ათი წლის განმავლობაში და შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებიც საარქივო მშენებლობის წინაშე სდგას მიმდინარე სამეურნეო რეკონსტრუქტიულ პერიოდში. ამხ. პ ო კ რ ო ვ ს კ ი მ პრაქტიკულად დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ არქივები უნდა უფრო დაუკავშირდეს მასას, ვიდრე ეს აქამდის იყო. საარქივო საქმეში უნდა იქნეს ჩაბმული მასები, განსაკუთრებით დაზგის მუშები: პროლეტარიატი, რომელიც ეხლა უშუალოდ ღებულობს თავის ხელში უმაღლეს კულტურულ სიმაღლეებს, უნდა ეზიაროს იმ კოლოსალურ კულტურულ ძალის იარაღს, რომელსაც წარმოადგენენ არქივები. პ ო კ რ ო ვ ს კ ი მ არქივებს უსურვა „პროლეტარიზაცია“—არქივები უნდა გადაიქცენ ნამდვილ იარაღად მუშათა კლასის ხელშიო.

ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის მდგომარეობა.

ერთიან სახელმწიფო საარქიო ფონდის მდგომარეობას შეეხო ამხ. მ ა ქ ს ა კ ო ვ ი თავის ძირითად მოხსენებაში: „ცენტრარქივის მუშაობა - მოღვაწეობა“.

ამხ. მ ა ქ ს ა კ ო ვ ი ს მოხსენებას საერთოდ რ ს ფ ს რ ცენტრარქივის 10 წ. მუშაობის შეჯამების ხასიათი ჰქონდა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მეორე ყრილობა მოხდა ცენტრარქივის დაარსების 10 წლის თავზე. მან აღნიშნა საარქივო მშენებლობის ძირითადი პრინციპების სისწორე, რასაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ არქივები სისწორით და სავსებით ასრულებენ იმ ამოცანებს, რომელიც მათ დაკისრებული აქვთ: ე. ი. პოლიტიკურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ ამოცანებს. ამხ. მ ა ქ ს ა კ ო ვ ი ცალკე შეეხო ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის მდგომარეობას. ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი, მის მოხსენების თანახმად, იძლევა შემდეგ სურათს: სულ რუსეთის არქივთსაცავებში დაცულია—87.621 საარქივო ფონდი. ამათგან მოსკოვში—33.107 ფონდი, ლენინგრადში—3.152 ფონდი, პროვინციაში კი--51.362 ფონ. შესანახ ერთეულების მიხედვით მოსკოვში თავმოყრილი საარქივო მასალა შეადგენს 13.009.138 ერთეულს, ლენინგრადში დაცულია—13.236.000. „ლენინგრადის არქივთსაცავებში შესანახი ერთეულების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მოსკოვის, ხოლო ფონდების რაოდენობის მხრივ კი—პირიქით: ლენინგრადში გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე მოსკოვში. ეს იმით აიხსნება, რომ ლენინგრადის საარქივო ფონდები—ეს მეფის დროის ცენტრალური სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებების ფონდებია, რომლებიც თავისი მოცულობით გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სხვა დაწესებულებების ფონდები. ლენინგრადსა და მოსკოვში დაცულ რევოლიუციის წინადროინდელი ფონდების რაოდენობა უდრის 25.718, ხოლო რევოლიუციის შემდეგ-დროინდელისა—10.541; პროვინციის არქივებში დაცულ რევოლიუციის წინადროინდელი ფონდების რაოდენობა უდრის—20.036, რევოლიუციის შემდეგდროინდელისა კი—31.326-ს.

მოსკოვში რევოლიუციის წინადროინდელი საარქივო ფონდები შემდეგ არქივთსაცავებს შორისაა განაწილებული:

1) ცენტრალურ საისტორიო არქივის სიძველეთსაცავში მოთავსებულია: ყოფ. იუსტიციის სამინისტროს არქივი; საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი; სასახლის არქივი; სამეჯნაო არქივი და მე-19 საუკუნის ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებების ფონდები, გადატანილი მოსკოვში; პოლიციის დეპარტამენტისა და მე-3 განყოფილების არქივი. მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივის სიძველეთასაცავში მოთავსებულია აგრეთვე ეკლესია—მონასტრების არქივები. ასე რომ სიძველეთსაცავის მასალები შეიცავს მე-13 საუკუნის დასაწყისიდან ოქტომბრის რევოლიუციამდის წარმოშობილ საარქივო მასალებს.

2) სამხედრო-საისტორიო არქივში, ან ე. წ. ლეფორტოვის არქივში მოთავსებულია ყოფილი სამხედრო-სამეცნიერო და იმპერიალისტური ომის დროინდელი არქივების ფონდების ნაწილები, რომელნიც მიღებულია უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ნიჟნინოვგოროდიდან, ციმბირიდან და შორეულ აღმოსავლეთიდან.

3) სახალხო მეურნეობის არქივში ინახება უმთავრესად ისეთი მასალები, რომელიც წარმოიშვენ მე-19 საუკუნის 60 და 70 წლებიდან დაწყებული ოქტომბრის რევოლიუციამდე.

4) რევოლიუციის და საგარეო პოლიტიკის არქივში—ყოფილ საისტორიო-სარევოლიუციო არქივისა და სახელმწიფო არქივის საარქივო ფონდები.—ეს არქივი იყოფა ორ ნაწილად: 1) რევოლიუციის არქივი და 2) საგარეო საქმეთა არქივი.

ლენინგრადში ხუთი ძირითადი არქივთსაცავია. მათში თავმოყრილია საარქივო მასალები მე-19 და მე-20 საუკუნოებში არსებულ ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებების, გარდა შემდეგი დაწესებულებებისა: საგარეო საქმეთა სამინისტროსი, პოლიციის დეპარტამენტებისა და ზოგიერთ სამხედრო დაწესებულებათა, რომელთა ფონდებიც გადატანილი იქნენ მოსკოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარქივო მასალების ხასიათის მიხედვით ლენინგრადის ბრჭი-ვები იყოფა ორ ძირითად არქივად:

1) სახალხო მეურნეობისა, უფლებისა, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების არქივი და 2) არმიისა და ფლოტის არქივი.

პირველის საარქივო ფონდები განაწილებულია შემდეგ განყო-ფილებათა შორის:

1) პირველი ეკონომიური განყოფილება.
2) მეორე ეკონომიური განყოფილება.
3) მესამე ეკონომიური განყოფილება.
4) მეოთხე ეკონომიური განყოფილება.
5) მეხუთე ეკონომიური განყოფილება.
6) კულტურის ისტორიის პირველი განყოფილება.
7) კულტურის ისტორიის მეორე განყოფილება.
8) იურიდიული განყოფილება და სხვა.

ფ ლ ო ტ ი ს ა დ ა ა რ მ ი ი ს ა რ ქ ი ვ ებ ი ორ ნაწილად იყოფა: ა) საზღვაო და ბ) სამხედრო. ლენინგრადის განყოფილების ცენტრა-ლურ საისტორიო არქივთან არსებობს საღერბო მუზეუმი, წარმო-შობილი ყოფილ სენატის საღერბო განყოფილებებისაგან, და შესდ-გება კოლექციებისა და ბიბლიოთეკისაგან. ამავე არქივთან არსე-ბობს აგრეთვე დიდი წიგნთსაცავი, რომელიც შეიცავს ლენინგრადის ყველა საუწყებო გამოცემებს, საინტერესო საკანონმდებლო მასალებს, საისტორიო ლიტერატურას და სხვ.

ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ა რ-ქ ი ვ ი შეიცავს პირველი პროლეტარული რევოლიუციის დოკუ-მენტებს და განიყოფება 3 ნაწილად:

1) აქტთსაცავი, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო დაწესებუ-ლებათა, საზოგადოებათა, ორგანიზაციათა და აგრეთვე კერძო პირთა არქივები.

2) წიგნთსაცავი, რომელიც შეიცავს ამავე პერიოდის სხვადასხვა ბეჭდვითი ნაწარმოებებს და

3) ფოტო-კინო არქივი.

ოქტომბრის რევოლიუციის არქივის აქტთსაცავი თავის მხრივ სამი განყოფილებისაგან შესდგება:

ა) მსოფლიო ომთან დაკავშირებულ ოქტომბრის წინადროინ-დელი დაწესებულებების განყოფილება. აქ შედის დროებითი მთავ-რობის, სახელმწიფო სათათბირო კომიტეტის, ცენტრალური და მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების, „ზემგორის“, სავაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო და სამრეწველო წარმომადგენლების ყრილობის საბჭოს, ფაბრიკანტების და მექარხნეების საზოგადოების საარქივო ფონდები და სხვა.

b) საბჭოთა დაწესებულებების განყოფილება, რომელიც სამ ნაწილად განიყოფება.

ა) პოლიტიკური დაწესებულებები ბ) სახალხო მეურნეობა გ) კულტურა და ყოფა-ცხოვრება.

c) კონტრ-რევოლიუციონურ დაწესებულებების და ორგანიზაციების ფონდები.

აქტთსაცავის მე - 4 განყოფილებაში მოთავსებულია ოქტომბრის რევოლიუციის მოღვაწეთა ' ფონდები; ოქტომბრის რევოლიუციის არქივის წიგნთსაცავში მოთავსებულია წიგნები, ჟურნალები, ფურცლები, პლაკატები, რუკები და გეგმები. აქ არის აგრეთვე თეთრგვარდიელების გაზეთების კოლექციები, მოწოდებები, წიგნები და ჟურნალები.

ოქტომბრის რევოლიუციის არქივში--565.804 შესანახი ერთეულია. მათ შორის წიგნების რაოდენობა შეადგენს—125.082 ცალს; ჟურნალების 99.326; გაზეთის კომპლექტები—23.577, ფურცლები—167.474, პლაკატები და ლოზუნგები—21.089.

ფოტო-კინო არქივთსაცავი სპეციალურადაა აშენებული. აქ დაცულია—2.470 კინო-ფილმების კოლოფები,—8.000 ფოტონეგატივი და 10.000 ფოტოსურათი.

ოქტომბრის რევოლიუციის არქივში შედის წითელი არმიის არქივიც. აქ ირიცხება—7.315 ფონდი (1.300.000 შესანახი ერთეული).

ასეთია საერთოდ ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის შემადგენლობა.

სამხედრო არქივები.

მ ა ქ ს ა კ ო ვ ი ცალკე შეეხო აგრეთვე სამხედრო არქივებს. სამოქალაქო ომის ისტორიისა და წითელი არმიის მშენებლობის საარქივო მასალების კონცენტრაციისა და სისტემატიზაციის საქმეში, ამბობდა ის, დიდი მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ სამოქალაქო ომის დროის საარქივო მასალები ადგილებზე არ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში და არც შესაფერისად არის გარჩეული და სისტემატიზირებული. ეს, რასაკვირველია, დიდ დაბრკოლებებს ჰქმნის სამოქალაქო ომის ისტორიის შესწავლის საქმეში.რაც შეეხება იმპერიალისტური ომის დროინდელი საარქივო მასალების მდგომარეობას, ასეთები მოყვანილია წესრიგში დამაკმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილებლად. ყველა სამუშაო ჩატარებულია წითელი არმიის დანაყარებით. სამოქალაქო ომის დროის საარქივო მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს წითელი არმიის განათლება-აღზრდაში, სამხედრო სამეცნიერო აზროვნების განვითარებაში და მისი ძლევა-მოსილების განმტკიცებაში. საყურადღებოა ყრილობის მიერ გამოტანილი რეზოლიუცია სამხედრო არქივების შესახებ. ეს რეზოლიუცია შემდეგ მთავარ მუხლებს შეიცავს:

ა) საჭიროა მოხდეს მოკლე ხანში ლენინგრადისა და მოსკოვის არქივთსაცავებში სამოქალაქო ომის ისტორიისა, წითელი არმიისა და ფლოტის საარქივო მასალების კონცენტრაცია.

ბ) ადგილობრივ საარქივო ორგანოებს უნდა დაევალოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ განკარგულებაში მყოფ საარქივო მასალების წესრიგში მოყვანას, რათა შემდეგში ეს არქივები ლენინგრადისა და მოსკოვის არქივთსაცავებში იქნეს გადაცემული.

გ) მათვე ევალებათ საბჭოთა არქივების სხვადასხვა ფონდებიდან აღმოჩენა და აღრიცხვაზე აღება ისეთი საარქივო მასალებისა, რომლებიც ეხება სამოქალაქო ომის ისტორიასა და წითელი არმიის აღმშენებლობას.

დ) საჭიროა სამოქალაქო ომის ისტორიისა და წითელი არმიის აღმშენებლობის საარქივო ფონდების წესრიგში მოყვანა იმდენად, რომ მათზე შესაძლებელი იყოს კვლევა-ძიებითი მუშაობის წარმოება (გარჩევა, კლასიფიკაცია, აღწერა, კარტოთეკების შედგენა და სხვა).

რუსეთის ცენტრარქივთან ეწყობა, სამხედრო კომისარიატთან შეთანხმებით, სამეცნიერო კვლევა-ძიებითი მუშაობა სამოქალაქო ომის ისტორიისა და იმპერიალისტურ ომის საარქივო მასალების შესასწავლად. ამისათვის სწარმოებს მასალების სისტემატიზაცია, შესწავლა და გამოქვეყნება.

ამ სამუშაოს ნორმალურად წარმოებისათვის საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ სამხედრო-სარევოლიუციო საბჭომ და სამხედრო კომისარიატმა გასცენ ბრძანება სამხედრო არქივების წესრიგში მოყვანისა და ცენტრარქივისათვის მოწესრიგებულად გადაცემის შესახებ.

პროფკავშირთა არქივები.

პროფკავშირების არქივების საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია ყრილობაზე. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი რუსეთში დიდი ხანია მსჯელობის საგანს წარმოადგენს. ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა დავა რსფსრ ცენტრარქივსა და საკავშირო პროფსაბჭოს შორის. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს საკითხი თითქოს გადაჭრილად ითვლებოდა, მაგრამ შემდეგში ისევ დაისვა, რადგან პროფკავშირების უწყებრივი ტენდენციები ძლიერი აღმოჩნდა. ყრილობაზე ამ საკითხის შესახებ სპეციალური მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ ი ლ ო ნ ო ვ ი, პროფისის ხელმძღვანელი და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ის იცავდა იმ აზრს, რომ პროფკავშირების არქივები საკავშირო მასშტაბით უნდა მოეწყოს პროფსაბჭოს პროფისთან და არგუმენტათ მას მოჰყავდა შემდეგი მოსაზრებანი: 1) პროფისების უახლოეს ამოცანას წარმოადგენს პროფკავშირების მოძრაობის ისტორიის წყაროების თავმოყრა, სისტემატიზაცია, პროფკავშირების მეცნიერულ ისტორიაზე დამოუკიდებლად მუშაობა და სხვა, რისთვისაც ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:

ა) პროფკავშირები და პარტია, ბ) კავშირები და სახალხო მეურნეობა, გ) სტატისტიკა და დ) პროფმოძრაობისა და მუშათა კლასის მოძრაობის ქრონიკა.

ის აღნიშნავდა, რომ საკავშირო პროფსაბჭოს პროფისმა უკვე შეიმუშავა გეგმა თავისი მოქმედებისა და კიდევაც შეუდგა ამ გეგმის განხორციელებას.

2) უამრავი ფონდების აღმოჩენა და წყაროების შესწავლა გვაძლევს საშუალებას უკვე არ დავკმაყოფილდეთ მოვლენების განვითარების უბრალო აღწერით, როგორც ჯმრავლეს შემთხვევაში აქამდის იყო, არამედ პროფისმა ეხლა უნდა დაისახოს მიზნად მთელი მოძრაობისა და მისი ნაწილების განვითარების დიალექტიკურად შესწავლა-გაშუქება.

3) სამოქალაქო ომის ხანის შესწავლისა და გაშუქების აუცილებლობა, რომლის დროისათვის დამახასიათებელია პროფკავშირების მუშაობის დანაწილება სხვადასხვა დარგებად.

ყურადღების ცენტრად გადაიქცა, პროფკავშირების ჩამოყალიბებასთან ერთად, მის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა და კავშირების მოღვაწეობის განვითარების ცალკე დარგების შესწავლის ამოცანები. ეს მუშაობა უკვე დაწყებულია სათანადო ცალკე განყოფილებებთან ერთად.

4) პროფისები სამეცნიერო საკითხების გარდა აქცევენ ყურადღებას ისეთ პრობლემებს, რომლის შესწავლამ შეიძლება მოგვცეს პროფკავშირების ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობის დროს საინტერესო და სასარგებლო მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) ყველა ამათ არავითარ შემთხვევაში არ შეუჩერებია მასალების შეგროვება, რომლითაც ისარგებლებენ პროფკავშირებისა და მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიკოსები. მასალების შეგროვება გრძელდება და გაძლიერებულია მუშაობა მათ სისტემატიზაციასა და შესწავლაზე.

6) წინანდელთან შედარებით ეხლა გაფართოებულია შესასწავლი მოვლენების მოცულობა იმდენად, რამდენადაც ეხლა პროფკავშირები დაინტერესებული არიან შრომის საკითხებით.

პროფისი შეუდგა სოცდაზღვევის ისტორიისა, მუშათა ყოფაცხოვრებისა, მუშათა კოოპერაციისა, შრომის კანონმდებლობისა და სხვ. შესწავლას.

7) განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მასალების სისტემატიზაციისა და შესწავლის ხაზით მთელი რიგი დაწვრილებითი ბარათების შედგენას. პირველ რიგში დაწყებულია მუშაობა ქრონოლოგიურ ბარათებზე (მოვლენები და ფაქტები) სტატისტიკური (ისტორიული სტატისტიკა ან და უფრო სწორედ, მოძრაობის სტატისტიკის ისტორია) და ბიბლიოგრაფია.

ყველა აქ მოყვანილი თეზისები სრულებით არ არის დამამტკიცებელი იმისა, რომ პროფკავშირების არქივები გამოიყოს ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდიდან და დაარსდეს ცალკე პროფკავშირთა არქივი საუწყებო პრინციპის ნიადაგზე, მით უმეტეს იმ დროს, როდესაც პროფისს არა აქვს საარქივო ორგანოები და არქივთსაცავები, როგორც ცენტრში ისე ადგილებზე და აგრეთვე შესაფერისი მომზადებული საარქივო დარგის სპეციალისტები. ამისათვის ყრილობა, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითად შეხვდა საკავშირო პროფსაბჭოს პროფისის მიერ აღებულ ხაზს და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „გამოდის რა ოქტომბრის რევოლიუციის შესწავლის საერთო ამოცანებიდან და უწევს რა ანგარიშს საკავშირო პროლეტარიატის ისტორიის შესწავლის აუცილებლობას ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, იღებს რა მხედველობაში იმ დიად მნიშვნელობას, რომელიც ამ შემთხვევაში ენიჭება არქივებს,— ყრილობა მიზანშეწონილად სთვლის შექმნას ცენტრალურ საარქივო სამმართველოს საარქივო დაწესებულებების საერთო სისტემაში, შრომის ისტორიის მთლიანი არქივი, რის შესახებ საკითხი დაისვას საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წინაშე“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღევანდლამდის ეს საქმე მოუგვარებელია და მით ფერხდება ისეთი დიდი საქმე, როგორიცაა შრომის ისტორიის არქივის დაარსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივთმეცნიერების კაბინეტი. არქივთმეცნიერების კაბინეტი რუსეთში უკვე ორი წელიწადია, რაც არსებობს. არქივთმეცნიერების კაბინეტის მიზანია თავი მოუყაროს და შეისწავლოს საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის დარგში მოპოებული მიღწევები და ამ მიღწევების გამოყენებით ხელი შეუწყოს არქივთმეცნიერებისა და საარქივო საქმის დარგში ახალი ფორმებისა და მეთოდების დადგენას. რუსეთის არქივთმეცნიერების კაბინეტს უკვე აქვს ამ მიმართულებით საკმაო მიღწევები: მან ბევრი საყურადღებო საქმე გააკეთა, მაგრამ მისი ჩამოყალიბება ჯერჯერობით სავსებით დამთავრებული არ არის. ამ ჟამად არქივთმეცნიერების კაბინეტს 8 განყოფილება აქვს:

1) საარქივო საქმის ისტორიისა და თეორიის განყოფილებაში თავმოყრილია სხვადასხვა დაწესებულებების, საზოგადოებებისა და ორგანიზაციებების მასალები დედნისა ან პირების სახით არქივთმცოდნეობის დარგში კვლევა-ძიებითი მუშაობის საქმეში გამოსაყენებლად.

2) საარქივო მუზეუმი თავს ყურის დამწერლობისა და ბეჭდვის ისტორიისა, საქმისწარმოების ფორმების ისტორიისა, არქივისა და კანცელარიის მეთოდიკისა და ტეხნიკის, არქეოგრაფიისა და დამხმარე ისტორიული დისციპლინების შესახები მასალებს. საარქივო მუზეუმს ამჟამად დიდძალი ექსპონატები აქვს.

3) სამეცნიერო ბიბლიოთეკაში თავმოყრილია დიდძალი არქივთმცოდნეობის თეორიისა და პრაქტიკის შესახები შრომები, როგორც საკავშირო რესპუბლიკებისა, ისე საზღვარგარეთელი. აქ არის აგრეთვე ისეთი სამეცნიერო შრომები, რომელთაც აქვს ესა თუ ის დამოკიდებულება საარქივო სამეცნიერო დისციპლინასთან.

4) სასწავლო-საჩვენებელი არქივი ემსახურება ცენტრარქივის კურსების მსმენელთ და უნივერსიტეტის საარქივო ციკლის სტუდენტებს არქივთმოდნეობის პრაქტიკულად შესწავლის საქმეში.

5) საარქივო დოკუმენტებისა და მასალების გამოფენა ემსახურება არქივების პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურულ და ყოფა-ცხოვრების მნიშვნელობისა და აგრეთვე საარქივო ალმშენებლობის მიღწევების პოპულიარიზაციის საქმეს.

6) კონსულტაციის ნაწილის ამოცანებს შეადგენს დაეხმაროს მკვლევართ და ისტორიკოსებს საარქივო მასალების აღმოჩენასა და გამოყენებაში. ამ მიზნით კონსულტაციასთან ეწყობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალურ და ადგილობრივ არქივების საარქივო ფონდების ბიბლიოთეკა, დგება საარქივო ბიბლიოგრაფია, საარქივო მასალების თემატიური კატალოგები და სხვა.

7) ფოტოსტატისა და ფოტო-ლაბორატორიის დანიშნულებაა გადაიღოს ცენტრარქივის უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი დოკუმენტების ფოტო-პირები, დოკუმენტების დიპლომატიკური სისწორით გამოცემის მიზნით. ფოტოსტატით ცენტრარქივი უწევს დახმარებას დიდძალ დაწესებულებებს და ემსახურება აგრეთვე საბჭოთა და სხვა ქვეყნების ცალკე მეცნიერებსაც. ცენტრარქივი ამჟამად ფოტოსტატის საშუალებით ამზადებს საგარეო პოლიტიკის ისტორიის საბუთების სერიას გამოსაცემად.

8) საარქივო ქიმიურ-ტექნიკური ლაბორატორია აწარმოებს საარქივო პირობებში არსებულ უარყოფითი ფაქტორების ზეგავლენით არქივების გაფუჭებასთან დაკავშირებულ საკითხების დამუშავებას. მის ფუნქციას შეადგენს აგრეთვე განსაკუთრებულ მნიშვნელობის საბუთების შენახვის მეცნიერულ წესებისა და პირობების დადგენა. არქივთმეცნიერების კაბინეტს უშუალო კავშირი აქვს ყველა საარქივო დაწესებულებებთან, როგორც რუსეთისა და მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე აგრეთვე დასავლეთ ევროპაშიც.

საარქივო აპარატების ქსელის რეორგანიზაცია რუსეთის ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით.

საარქივო აპარატების ქსელის რეორგანიზაციის შესახებ მოხსენება, როგორც აღნიშნული იყო, გააკეთა არქივისტმა ისტნიუკმა. მისი მოხსენება შემდეგ დებულებებს შეიცავდა. საბჭოთა რესპუბლიკის ახალ დარაიონების მიხედვით, ეკონომიური ცენტრების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მძლავრ ეკონომიურ ერთეულების წარმოშობამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა საარქივო ორგანოები. საჭირო შეიქნა საარქივო აპარატების რეორგანიზაცია და მისი დაკავშირება სახელმწიფო-სამეურნეო აპარატებთან, იმ მიზნით, რომ ეს საარქივო აპარატი ყოფილიყო მოქნილი და ელასტიური მასზე დაკისრებულ მოთხოვნილებების მთლიანად შესასრულებლად, ე. ი. მას უნდა შესძლებოდა საარქივო მასალების აღრიცხვა და დამუშავება იმდენად, რომ სავსებით ადვილი ყოფილიყო ამ მასალების მეცნიერულ და პრაქტიკულ მიზნებისათვის გეგმის მიხედვით გამოყენება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საარქივო საქმე საერთოდ ადგილებზე მძიმე პირობებში მიმდინარეობს. ეს იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და მასთან ერთად საბჭოთა საზოგადოებრივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა შესაფერ ყურადღებას არ აქცევს ამ საქმეს. ამის გამო ბევრ ადგილას საარქივო მასალები პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობაშია. ადგილობრივი საარქივო ბიუროებს არა აქვს ფინანსიური სახსარი, საარქივო მუშაკთა ხელფასი ძლიერ დაქვეითებულია და სხვა.

რესპუბლიკის ახალმა დარაიონებამ გამოიწვია დაარსება საოლქო საარქივო ორგანოების, სადაც გროვდება მთელი ოლქის საარქივო მასალები ისტორიული მნიშვნელობისა.

ამას გარდა მიზანშეწონილადაა აღიარებული საგამომცემლო-სარედაქციო საქმიანობის გაძლიერება საოლქო საარქივო ბიუროებში. მათ დავალებული აქვთ: 1) არქივთსაცავებში გზის მაჩვენებლისა, 2) სისტემატიურად „ბიულეტენის"-ა და 3) მნიშვნელოვან ძვირფასი პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის დოკუმენტების გამოცემა.

ამასთანავე აუცილებელ საჭიროდ არის მიჩნეული საარქივო ორგანოებების გაძლიერება კვალიფიციური მუშაკებით, ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკებში საარქივო საქმის გაუმჯობესება ბიუჯეტის გაძლიერებით და სხვა.

საარქივო აპარატები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სავსებათ აკმაყოფილებდენ პოლიტიკურ მოთხოვნილებებს, რისთვისაც საჭიროა: ა) საფონდო კარტოთეკის წესრიგში მოყვანა და მისთვის მაჩვენებლის შედგენა, ბ) სამეცადინო დარბაზის დაარსება მკვლევართათვის სწორ და სრულ სამსახურის გაწევით, გ) მჭიდრო კავშირის განმტკიცება საგეგმო, სამეურნეო, მხარეთმცოდნეობის და საისტორიო საზოგადოებებთან და სხვა ორგანიზაციებთან, დ) საარქივო საქმის პოპულიარიზაცია ფართე მუშათა, მოსამსახურეთა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მოწაფეთა მასაში, საარქივო გამოფენების მოწყობით და პარტიის მიერ მოწყობილ პროპაგანდის ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებით და საარქივო მასალების გამოყენებით, ე) საოლქო საარქივო ბიუროები უნდა გადაიქცნენ ოლქის მასშტაბით საარქივო საქმის ნამდვილ ცენტრად, რომ თავის დარგში ნამდვილი ხელმძღვანელობითი როლი შეასრულონ.

საისტორიო არქივები ავტონომიურ რესპუბლიკებში.

საინტერესო მოხსენებას წარმოადგენდა ამხ. ედანოვიჩის მოხსენება საისტორიო არქივების შესახებ. მოვიყვან მის თეზისებს.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ეროვნულ ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ეროვნულ უმცირესობათ მიეცათ სრული თავისუფლება მოაწყონ თავიანთი ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება და შეუდგნენ თავის ეკონომიკისა და კულტურის სოციალისტურად განვითარებას. ამ საქმეში უეჭველია არქივებს დიდი როლის შესრულება შეუძლიანთ.

ამის გამო საჭიროა განადგურებისაგან გადარჩენა, თავმოყრა, დაცვა და დამუშავება ყველა იმ მასალებისა, რომელიც ეკუთვნის ეროვნულ უმცირესობათა წარსული ცხოვრების გამოცდილებას.

ეროვნულ უმცირესობათა საარქივო ფონდები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ხანაში და როგორ პირობებში წარმოიშვა ისინი. არა-რუს ეროვნებათა საარქივო ფონდები იყოფა ოთხ ნაწილად: ა) ფონდები, რომელნიც წარმოიშვა ამა თუ იმ ეროვნების რუსეთთან შეერთებამდის, ბ) ფონდები, რომელიმე ეროვნების რუსეთთან შეერთების დღიდან 1917 წ. რევოლიუციამდე, გ) სამინისტროს დაწესებულებების ეროვნულ უმცირესობათა ფონდები და ბოლოს დ) არა-რუს ეროვნებათა საგუბერნიო სამმართველოებების ფონდები.

მეფის მთავრობის ხანაში არა-რუს ეროვნებათა საარქივო მასალებს სისტემატიურად იტაცებდენ მთავრობის აგენტები და აბნევდენ შიდა რუსეთის სხვადასხვა დაწესებულებებში—მუზეუმებსა და სიძველთსაცავებში. ეხლა დადგა დრო ყველა ამ მასალების აღმოჩენისა და კუთვნილებისამებრ დაბრუნებისა, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება ეკონომიურ და კულტურულ-აღმშენებლობის საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებულია შემდეგი საკითხი, რა უნდა უყოთ ფონდებს, რომელნიც აღმოჩნდება ძველი რუსეთის დაწესებულებებში? რასაკვირველია, ასეთი საარქივო ფონდი უნდა გადაეცეს ნაციონალურ რესპუბლიკებს ან ოლქებს კუთვნილებისამებრ. მაგრამ, თუ რომელიმე არქივი ეკუთვნის რამოდენიმე ნაციონალურ რესპუბლიკას ან ოლქს, მაშინ ამ არქივის ფონდები უნდა განაწილდეს მათ შორის, საარქივო მასალების შინაარსის მიხედვით. შეიძლება საარქივო ფონდი იყოს ისეთი ხასიათის, რომლის გამოყენება ესაჭიროება საკავშირო რესპუბლიკას, რასაკვირველია, ასეთი ფონდის დაქუცმაცება-დანაწილება ეროვნულ უმცირესობათა შორის დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

ყველა აღნიშნული გარემოება მოითხოვს, რაც შეიძლება, დაჩქარებით იქნეს ჩატარებული საჭირო სამუშაო: თავის დროზე აღმოჩენილ იქნეს ნაციონალურ უმცირესობათა საარქივო ფონდები, აღრიცხულ იქნეს და თავი მოეყაროს წინდაწინვე გამომუშავებული გეგმის მიხედვით და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ჟ დ ა ნ ო ვ ი ჩ ი ს მოხსენების გამო ყრილობამ საგანგებო რეზოლიუცია გამოიტანა. ამ რეზოლიუციის თანახმად ცალკე განყოფილებები უნდა დაარსდეს ყველა ისტორიულ არქივებთან, სადაც იქნება აღრიცხული და აღწერილი ყველა არა-რუს ეროვნებათა საარქივო მასალები. ეს აღწერა უნდა გადაეცეს დაინტერესებულ რესპუბლიკას ან ოლქს იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს მიიღოს პირები ძვირფასი დოკუმენტებისა, რომელიც საჭიროა მის პრაქტიკულ და მეცნიერულ მუშაობისათვის.

ყრილობამ დაავალა არქივებს შეიმუშაონ სათანადო გეგმები და გაითვალისწინონ ბიუჯეტით ამ საქმისათვის საჭირო თანხები.

გამომცემლობა. გამომცემლობის დარგში რუსეთის ცენტრარქივი უპირველეს ყოვლისა ისახავს მიზნად პოლიტიკური თვალსაზრისით აქტუალური საარქივო მასალების მიწოდებას საბჭოთა ფართო საზოგადოებისათვის, მისი პოლიტიკურ-მეცნერულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით. მეორეს მხრივ ცენტრარქივის მიზანია შექმნას სპეციალური საარქივო ლიტერატურა საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის შესასწავლად. უნდა ითქვას, რომ რუსეთის ცენტრარქივმა აღნიშნულ მიმართულებით თავიდანვე დაიწყო მუშაობა და მას შემდეგ ხაზი არ გაუმრუდებია. ცენტრარქივს დიდი მიღწევებიც აქვს ამ დარგში. დღიდან თავის საგამომცემლო მოღვაწეობისა ცენტრარქივს გამოუცია „Красный архив"-ის 33 ტომი. „Архивное Дело"-ს 18 ტომი და საარქივო მასალების დიდძალი კრებულები. როგორც ცნობილია, რუსეთის ცენტრარქივის გამოცემანი (გამოცემა-დიპლომატიურ საბუთებისა, ინტერვენციის შესახები მასალებისა და სხვ.) დიდ სამსახურს უწევს პარტიას და პროლეტარიატს საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მართალია, ყრილობაზე წამოყენებული იყო გან. კომისარიატის წარმომადგენელის მიერ ისეთი აზრიც, რომელიც მოითხოვდა მასალების გამოქვეყნების საქმეში გამომცემლობის თემატიკისა და გამომცემლობის ტიპის საკითხების გადათვალიერებას, ქრესტომატიული ხასიათის გამოცემაზე ხელის აღებას და სხვა; მაგრამ ყრილობამ ასეთი რევიზიის საჭიროება გამომცემლობის დარგში სრულიად ზედმეტად ჩასთვალა. ა მ ხ. პ ო კ რ ო ვ ს კ ი მ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია ცენტრარქივმა გამოსცეს ძველი ისტორიის დოკუმენტები იმ მოსაზრებით, რომ ამისათვის არსებობენ სხვა გამომცემლებიც. მან განმარტა, რომ მთელი რიგი „ისტორიულ შემთხვევების" გამო ცენტრარქივი მთლიანად მოექცა უმაღლეს ხელმძღვანელობის მხრივ პარტიის ხელში უფრო ადრე, ვიდრე სამეცნიერო დაწესებულებანი, და რომ ამიტომ ცენტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივისათვის ასე მტკიცე „ვოტჩინად“ დარჩა მეფის დიპლომატიის ყველა საიდუმლოებათა და იმპერიალისტური ომის დოკუმენტების გამოცემა. არ უნდა დაგვავიწყდეს, ამბობდა ის, რომ ისტორიას აყალბებენ არა მარტო დოკუმენტების ლიტერატურული გამოქვეყნებით, არამედ მათი გამომცემლობითაც კი. მაგ. 1905 წ. გლეხთა მოძრაობა საფუძვლიანად გააყალბეს ესერებმა და მენშევიკებმა საბუთების ამგვარი გამოცემით. აი რატომ არის, რომ ისეთი დოკუმენტების გამოცემა, როგორიცაა, მეფისა და ბურჟუაზიის საიდუმლოების საბუთები, შეიძლება იყოს მარტო პარტიის ხელში, და რადგანაც მაგარი პარტიული სიმაღლე ცენტრარქივს სათანადოთ აქვს დაპყრობილი, ამიტომ ცენტრარქივის ხელში უნდა იყოს მათი გამოცემის საქმეც. რაც შეეხება ისეთ დოკუმენტებს, რომლის ფალსიფიკაცია არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს გამომცემლებისათვის, მათი გამოცემა შეუძლიათ სხვებსაც, თუნდაც ძველ პროფესორებსაც, მაგრამ აქაც ჩვენი ზედამხედველობაა საჭირო, რომ გამოიცეს მარტო აქტუალური ხასიათის მასალები, რომ „ნაგავი“ არ გამოიცეს, რომ გამოიცეს ის, რაც საჭიროა. რასაც ჩვენ ვსცემთ, არის „პირველი დაზვერვა“—და ამ „პირველ დაზვერვამ“ უნდა გაუწიოს სამსახური იმათ, ვინც ამ დარგში მუშაობს—კომუნისტურ უნივერსიტეტების მასწავლებლებს, საბჭოთა სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს და მე-2 საფეხურის სკოლებსაც-კი.

ყრილობამ მოიწონა ცენტრარქივის მიერ გამომცემლობის დარგში აღებული ხაზი და დაავალა მას:

ა) დოკუმენტების გამოქვეყნების ტემპის გაძლიერება, ბ) კერძოთ ოქტომბრის რევოლიუციის და პარტიის ისტორიის დოკუმენტების გამოქვეყნება, გ) დაუყოვნებლივ გატარება ცხოვრებაში დადგენილებისა იაფ-ფასიან ისტორიულ ბიბლიოთეკის გამოცემის შესახებ, დ) ცენტრარქივის ძირითადი გამოცემათა გაიაფება, პირველ რიგში ჟურნალ „Красный Архив“-ის. ე) საარქივო-სატეხნიკო ლიტერატურის გამოცემის გაძლიერება, ვ) დახმარების აღმოჩენა ადგილობრივ საარქივო ორგანოებისათვის სამეცნიერო-საგამომცემლო დარგში და სხვა.

საარქივო აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმა.

პარტია და ხელისუფლება საარქივო ორგანოებსაც უყენებს იმ ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციასთან. საარქივო მასალების ფართე გამოყენების საკითხი უნდა დაუკავშირდეს საერთო სახალხო მეურნეობას და კულტურულ აღმშენებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განვითარების ტემპს. იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი საარქივო აღმშენებლობის განვითარების ტემპი არ ჩამორჩენილიყო საერთო საბჭოთა აღმშენებლობის ტემპს, საჭირო შეიქმნა პრაქტიკულად საარქივო აღმშენებლობის დარგში ხუთწლიანი გეგმის შედგენა იმ ვარაუდით, რომ მას ექნებოდა ორგანიული კავშირი სახალხო მეურნეობისა და კულტურულ აღმშენებლობის 5 წლიან გეგმასთან.

საარქივო აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ, როგორც თავში იყო აღნიშნული, ყრილობაზე საგანგებო მოხსენება იყო გაკეთებული ამხ. მ ა ქ ს ა კ ო ვ ი ს მიერ. მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია ყრილობაზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობამ შეიმუშავა ძირითადი დებულებები ხუთ-წლიანი გეგმისათვის. მოვიყვან ზოგიერთ მათგანს:

ა) საარქივო აღმშენებლობის გეგმა უნდა იქნეს დაკავშირებული საერთოდ სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი სამეურნეო და კულტურულ-პოლიტიკური აღმშენებლობის ამოცანებთან.

ბ) წინადადება მიეცეს ყველა საარქივო ორგანოებს ხუთწლიანი საარქივო აღმშენებლობის გეგმის შედგენას საფუძვლად დაუდვან სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა.

გ) ზომები იქნას მიღებული, რომ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებმა შეიტანონ არქივები, როგორც სამეცნიერო-პოლიტიკური დაწესებულებანი, საერთო-სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა საფინანსო დახმარების გეგმაში.

ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

ა) საარქივო მასალების აღრიცხვა და მათი კონცენტრაცია, ბ) პირველ წელში მუშაობის დამთავრება მოსასპობ საარქივო მასალებზე, გ) ცენტრალურ არქივთსაცავების და ადგილობრივ საარქივო ორგანოების განკარგულებაში დაცულ მასალების და აგრეთვე ისეთ ფონდების ინვენტარიზაცია, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ სამეურნეო აღმშენებლობისათვის, დ) ცენტრალურ არქივთსაცავების აქტუალური საარქივო მასალების თემატიური აღწერა და ადგილობრივი არქივების ისეთ მასალების აღწერა, რომლებიც ესაჭიროებათ სახელმწიფო დაწესებულებებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებს თავის მუშაობისათვის, ე) სამეცნიერო მუშაობის გაძლიერება იმ ვარაუდით, რომ ხუთი წლის ბოლოს ასეთმა მუშაობამ დაიკავოს პირველი ადგილი.

საგამომცემლო-სარედაქციო მოღვაწეობის დარგში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საარქივო მასალების გამოქვეყნების დარგში მუშაობის გაძლიერება, ბ) მასიური მკითხველთათვის დოკუმენტების, ბროშიურების და სხვ. იაფფასიანი გამოცემების მიწოდება, გ) საარქივო-ტეხნიკური სახელმძღვანელოების გამოცემა, დ) ოლქებში ცენტრალურ არქივთსაცავებისა და ნაციონალურ განყოფილებების დაარსება.

შტატების მხრივ: ა) მომუშავეთა გადაჯგუფება იმ მიზნით, რომ სამეცნიერო შემადგენლობა გაძლიერდეს ტეხნიკური პერსონალის ხარჯზე, ბ) შერჩევა კვალიფიციური მუშაკთა და არსებული კადრის გადამზადება და სხვა.

ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ აღნიშნული დებულებები დიდ დახმარებას გაუწევენ საარქივო ორგანოებს 5 წლიანი გეგმის შედგენაში, მხოლოდ საჭიროა თავის დროზე მისი შედგენა. საარქივო აღმშენებლობის ტემპის გასაძლიერებლად და ხუთწლიანი გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად კი საჭიროა საარქივო მუშაკთა ძალების მობილიზაცია და მასის აქტუალური მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრში.

* * *

ყრილობაზე მიღებული დადგენილებები არსებითაც შეეხება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრარქივებს, რომლის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ყრილობის მუშაობაში. ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად საჭიროა საარქივო ორგანოების მიერ დიდი აქტივობის გამოჩენა და საბჭოთა საზოგადოებრივობის მომზადება. აღნიშნულ საკითხებიდან საარქივო ორგანოების წინაშე განსაკუთრებით აქტუალურ საკითხად სდგას, უპირველეს ყოვლისა, რევოლიუციის წინადროინდელი საარქივო მასალების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის საკითხი. დღევანდლამდე ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში კიდევ არის დარჩენილი მთელი რიგი სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა, რომელთაც არ გადაუციათ მათ განკარგულებაში არსებული საარქივო მასალები—ცენტრარქივებისათვის.

კერძოდ საქართველოში ამ დადგენილებასთან დაკავშირებით უნდა გაცხოველდეს საარქივო მუშაობა. უნდა მოეწყოს სავსებით დამაკმაყოფილებლად არქივთსაცავები. ცენტრარქივში უნდა მოეწყოს სრული აღრიცხვა ყველა იმ საარქივო მასალებისა, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა ეროვნულ უმცირესობათათვის. საჭიროა ჩვენი საარქივო ორგანოების რეორგანიზაციის ჩატარება ახალ დარაიონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიხედვით; ეს რეორგანიზაცია ამასთანავე უნდა მოხდეს ისე, რომ საარქივო აპარატი იყოს ელასტიური და მოქნილი დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არქივის მომუშავეთა კადრების შევსებას დაზგის მუშებისაგან: დღეს საკმარისად მოეპოება პარტიას და ხელისუფლებას დაწინაურებული საშუალო და ნაწილობრივად უმაღლეს ცოდნით აღჭურვილი მუშები. აი სწორედ ასეთები უნდა ჩაებან საარქივო საქმეში, რომ არქივები დაუახლოვოთ მასებს. ჩვენ უნდა მივიღოთ განსაკუთრებული ღონისძიებანი საარქივო მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათი მომზადებისა და გადამზადების საშუალებით.

საჭიროა გაძლიერდეს გამოქვეყნება ისეთი საარქივო მასალებისა, რომელთაც აქვს აქტუალური მნიშვნელობა ჩვენი მეურნეობისა და კულტურულ აღმშენებლობის დარგში. ხელი უნდა შეუწყოთ საარქივო-სატეხნიკო ლიტერატურის შექმნას, რომ მეტად შევაიარაღოთ არქივის მუშაკები ტეხნიკური და ორგანიზაციული ცოდნით.

ბოლოს, ჩვენი გეგმიანი არქივთმშენებლობა ორგანიულად უნდა დაუკავშიროთ სამეურნეო ორგანოების გეგმიან საქმიანობას იმ მიზნით, რომ თანდათანობით მივაწოდოთ მათ სამეურნეო ოპერატიულ მუშაობაში საჭირო საარქივო მასალები, რომ შეძლება მივცეთ წარსული გამოცდილების შესაფერისად გამოყენებისა და ხელი შეუწყოთ საწარმოო ძალების და ქონების მომჭირნეობას.

ყველა აღნიშნულ ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად და საარქივო აღმშენებლობის გასაძლიერებლად უნდა გამოვიყენოთ სოციალისტური შეჯიბრის ყველა ფორმები. ყრილობამ რუსეთის რესპუბლიკის ცენტრარქივს სპეციალურად დაავალა მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრარქივების სოციალისტურ შეჯიბრში გამოწვევა და ამისათვის შესაფერი ხელშეკრულების შემუშავება. ეს ღონისძიებანი საგრძნობლად გააძლიერებს არქივთმშენებლობის განვითარების ტემპს და ხელს შეუწყობს საარქივო აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესრულების ვადის შემცირებას.

შ. ჭარამანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსებისათვის საქართველოში.

საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამართველოს განზრახული აქვს ახლო მომავალში შეუდგეს არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსებას ტფილისში.[1] ამ განზრახვას საფუძვლად უდევს სურვილი ისეთი დამხმარე სამეცნიერო-საარქივო ინსტიტუტის შექმნისა, რომელიც წარმოადგენდეს იქნება საარქივო საქმის თეორიისა და ტეხნიკის მეცნიერულად შესწავლის ცენტრს.

ამ განზრახვასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ჩვენი ჟურნალის — „საარქივო საქმის" — ფურცლებზე ოდნავ დაწვრილებით შევეხოთ ერთის მხრივ არქივთმეცნიერების კაბინეტის სტრუქტურასა და ფუნქციას, ხოლო მეორეს მხრივ იმ მიზანსა და დანიშნულებას, რომელსაც ემსახურება ან უნდა ემსახურებოდეს ეს კაბინეტი. ასეთი წინასწარი შესწავლა და გათვალისწინება განზრახულ საარქივო-სამეცნიერო ინსტიტუტის ფუნქციისა და დანიშნულების, ჩვენის აზრით, ხელს შეუწყობს მის დასაარსებლად სათანადო პირობების შექმნას და მომავალშიც ამ მიმართულებით მუშაობის სწორ ხაზით წარმართვას. მეორეს მხრივ ეს გარემოება ცხად ჰყოფს იმ კითხვის პასუხსაც, თუ რამდენად აუცილებელია და შესაძლებელი საქართველოს სინამდვილეში ამგვარ ორგანოს დაარსება, კითხვის, რომელიც თავისდათავად აღეძვრება მკითხველს, როდესაც ის გაიგებს აღნიშნულ განზრახვის შესახებ.

უპირველესად ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არქივთმეცნიერების კაბინეტს, როგორც ასეთს, არ იცნობს არც ძველი რუსეთისა და არც დასავლეთ ევროპის საარქივო საქმის ისტორია: არც პარიზის Ecole National des Chartes, არც ვენის Institut für österreichische Geschichtsforschung, არც განსაკუთრებით პეტერბურგის Археологический институт [2] და სხვა მსგავსი სამეცნიერო-

---

[1] იხ. ცენტრარქივის საბჭოს ოქმი № 17, 1929 წლის დეკემბრის 27-ს თარიღით.

[2] ამ დაწესებულებების შესახებ იხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, არქივთმეცნიერების შესავალი („საქართველოს არქივი", წიგ. II).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარქივო დაწესებულებები, რომლებიც ძველად არსებობდენ რუსეთში, ან ამ ჟამად არსებობენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მიუხედავად ზოგიერთი მსგავსებისა, არ შეიძლება ჩაითვალონ ანალოგიურ ხასიათის დაწესებულებებად: არქივთმეცნიერების კაბინეტი, თავისი ორგანიზაციული სტრუქტურისა და ძირითადი ფუნქციების მიხედვით, სხვა არის, ხოლო დასახელებული დაწესებულებები კიდევ—სხვა.

არქივთმეცნიერების კაბინეტი არსებითად სრულიად ახალი ტიპის საარქივო-სამეცნიერო ინსტიტუტია და მისი დაარსების აუცილებლობა გამოწვეულია იმ გრანდიოზული ინტესიური მუშაობით, რომელიც რევოლუციის შემდეგ, რადიკალურ საარქივო რეფორმებთან დაკავშირებით, სწარმოებს საბჭოთა ქვეყნებში არქივებისა და საარქივო საქმის მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დასაყენებლად.

არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის რსფსრ ცენტრარქივსა და რუს არქივისტებს. ჯერ კიდევ სამი წლის წინად (1927 წლის დასაწყისში) რუსეთის ცენტრარქივის ორგანო „საარქივო საქმე“-ში (Архивное Дело) [1] დაიბეჭდა სპეციალური წერილი მოსკოველ არქივისტისა, თუ არ ვცდებით, არქივისტი ივ. გოლუბცოვისა, [2] რომელიც მიძღვნილი იყო არქივთმეცნიერების კაბინეტის სტრუქტურისა და მიზნის გარკვევისადმი, ხოლო ამ წერილის დაბეჭდვიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, სახელდობრ, 1928 წლის 17 მაისს, რსფსრ ცენტრარქივის კოლეგიამ განიხილა და დაამტკიცა კიდეც არქივთმეცნიერების კაბინეტის დებულება და შტატი. [3]

„საარქივო საქმე“-ში მოთავსებულ წერილის დასახელებული ავტორი, მიუთითებს რა საბჭოთა რუსეთში ფართედ გაშლილ საარქივო აღმშენებლობისა და ამ აღმშენებლობის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებისათვის დამხმარე სამეცნიერო-საარქივო ინსტიტუტის აუცილებლობაზე, ამბობს: „ცენტრარქივის სამართველო თავის განყოფილებათა შემადგენლობაში დიდი ხანია განიცდის საჭიროებას ისეთი ორგანოსი, რომელიც ერთის მხრივ თავლყურს ადევნებდეს იქნება არქივთმეცნიერებისა და მის მომიჯნავე სპეციალურ დისციპლინათა განვითარებას, როგორც კავშირში, ისე მის გარეთაც, თავს უყრიდეს იქნება საარქივო საქმის შესახები ლიტერატურას და არ-

---

[1] Архивное Дело, XIII, გვ. 55.

[2] წერილი ხელმოწერილია ინიციალებით „И. Г.“ (იხ. დასახელებულ ნომერში, წერილი—„Кабинет Архивоведения“).

[3] Архивное Дело, XV, გვ. 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვევდეს იქნება მეცნიერების ყველა პრაქტიკულად საჭარგებლო მიღწევებს საარქივო მშენებლობისათვის გამოსაყენებლად, ხოლო მეორეს მხრივ წარმოადგენდეს იქნება სასწავლო-დამხმარე დაწესებულებას საარქივო კურსებისა და საარქივო დისციპლინებში უნივერსიტეტების მომავალ პრაქტიკუმებისათვის და, ბოლოს, წარმოადგენდეს იქნება მოსახლეობის ფართე წრეებს შორის, პირველ რიგში საარქივო-საკანცელარიო მუშაკთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, საარქივო პროპაგანდისა და საარქივო ცოდნის პოპულიარიზაციის ცენტრს". [1]

მაშასადამე, ერთის მხრივ საარქივო მეცნიერებისა და მის მონათესავე სპეციალურ დისციპლინების მიღწევებისათვის თვალყურის დევნება და ამ მიღწევების პრაქტიკულ მიზნებისათვის გამოყენება, ხოლო მეორეს მხრივ უმაღლეს სასწავლებლების საარქივო დისციპლინათა კათედრებისა და საარქივო კურსებისათვის დახმარების გაწევა—აი ის ძირითადი მიზანი და დანიშნულება, რომელსაც ავტორის აზრით უნდა ემსახურებოდეს არქივთმეცნიერების კაბინეტი.

იმისათვის, რომ არქივთმეცნიერების კაბინეტმა შესძლოს ამ ამოცანების განხორციელება და თავის დანიშნულების გამართლება, წერილის ავტორის აზრით, კაბინეტი უნდა შესდგებოდეს ხუთი მთავარი ნაწილისაგან: 1) სამეცნიერო-საარქივო ბიბლიოთეკა, 2) სასწავლო-საჩვენებელი არქივი, 3) საარქივო მუზეუმი, 4) საარქივო ქიმიური ლაბორატორია და 5) სამეცნიერო-სასწავლო ნაწილი. ავტორი საკმაო ვრცლად და დაწვრილებით აღწერს თვითეულ ამ ნაწილთაგანის შემადგენლობას და ფუნქციას ცალ-ცალკე. [2]

სამეცნიერო-საარქივო ბიბლიოთეკა, მისი აზრით, უნდა შეიცავდეს საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში გამოსულ ყოველგვარ ლიტერატურას არქივთმეცნიერების შესახებ და აგრეთვე ლიტერატურას არქივთმეცნიერებასთან რაიმე მხრივ დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინების შესახებ (საერთო ისტორია, დაწესებულებათა ისტორია, საარქივო კანონმდებლობა, წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, სფრაგისტიკა, ჰერალდიკა, ქაღალდთმცოდნეობა, ბიბლიოთეკათმცოდნეობა, მუზეუმთმცოდნეობა და სხვა). ყველა ეს ლიტერატურა აქ თავმოყრილი უნდა იყოს ამომწურავი სისრულით, რათა ამ ლიტერატურის მიხედვით შეიძლებოდეს საარქივო საქმისა და არქივთმეცნიერების დარგში

[1] Архивное Дело, XIII, გვ. 55.

[2] Ibid.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მიღწევების ცოდნა და გათვალისწინება. აქვე უნდა მოეყაროს თავი დაბეჭდილ (გამოქვეყნებულ) საარქივო აღწერებს, მაჩვენებლებს, საარქივო ფონდების კარტოთეკას და სხვა საცნობო-საარქივო მასალას. სამეცნიერო-საარქივო ბიბლიოთეკაში უნდა დაგროვდეს აგრეთვე ხელნაწერი (ჯერ გამოუქვეყნებელი) საარქივო აღწერათა პირები და სხვა ანალოგიური ხასიათის საცნობო მასალა, რომლის გამოქვეყნება ჯერ ვერ მოხერხებულა უსახსრობის გამო. [1]

არქივთმეცნიერების კაბინეტის მეორე ნაწილი—სასწავლო-საჩვენებელი არქივი—ავტორის აზრით, უნდა შეიცავდეს ორს, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ნაწილს: ერთი ნაწილი უნდა ემსახურებოდეს სხვადასხვა სისტემაზე არქივების სანიმუშოდ მოწყობის დემონსტრაციის მიზნებს, სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა დროის მასალების გამოყენებით; ხოლო მეორე ნაწილი უნდა იძლეოდეს ნედლ მასალას მოსწავლეთა მიერ დასამუშავებლად. ამის გამო პირველ ნაწილში მოთავსებული მასალები (საარქივო ფონდები და კოლექციები) ყოველთვის უნდა იყოს ზედმიწევნით გარჩეული და მოწესრიგებული თანამედროვე საარქივო ტეხნიკის საუკეთესო სისტემის მიხედვით ამ მასალების ხასიათთან შეფარდებით. ეს ნაწილი უნდა წარმოადგენდეს ყველა საუკეთესო (ძველ და ახალ) სისტემების დემონსტრაციას, მაგრამ იგი არ უნდა გადაიქცეს გამოფენად. მეორე ნაწილში მოთავსებული და საცდელ-საჩვენებლად განკუთვნილი მასალები ყოველთვის გაურჩეველი და მოუწესრიგებელი უნდა იყოს იმ მიზნით, რომ შეიძლებოდეს მათი მიცემა პრაქტიკანტებისათვის მოსაწესრიგებლად და აღსაწერად. სასწავლო-საჩვენებელ არქივისათვის მასალად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი საარქივო ფონდი და კოლექცია, რომელიც უკვე სავსებით გამოყენებულია (აღწერილია, გამოქვეყნებულია და სხვა), ანდა ისეთი, რომელიც არავითარ ღირებულებასა და მნიშვნელობას მეცნიერებისათვის არ წარმოადგენს (სამაკულატურო ფონდი). მასალა უნდა იყოს, რაც-შეიძლება, სხვა დასხვა ნაირი და მრავალფეროვანი, რომ ამ მასალების მიხედვით შესაძლებელი იყოს ყველა სახის საარქივო მუშაობისა და მანიპულაციის ჩატარება პრაქტიკანტებთან. [2]

---

[1] ავტორს საჭიროდ მიაჩნია სამეცნიერო-საარქივო ბიბლიოთეკაშივე მოეყაროს თავი ცნობებს საარქივო მასალების სამეცნიერო მიზნით გამოყენების შესახებ. ეს, მისი აზრით, დიდად შეუწყობდა ხელს საარქივო მასალებზე სამეცნიერო გამოკვლევებში მეტი გეგმიანობის შეტანას და ბევრს ააცდენდა, როგორც ის ამბობს, „ამერიკის აღმოჩენას“ (ibid. გვ. 56).

[2] ავტორს საჭიროდ მიაჩნია სასწავლო-საჩვენებელ არქივში მოთავსებული მასალები იყოს სხვადასსვა ენაზე (კერძოდ ეროვნულ უმცირესობათა ენაზე), რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივთმეცნიერების მესამე ნაწილი—ს ა ა რ ქ ი ვ ო მ უ ზ ე უ მ ი—უნდა შეიცავდეს ისეთ კოლექციას, რომელიც წარმოადგენს საარქივო საქმისა და არქივთმეცნიერების პრობლემების ილიუსტრაციას. უპირველეს ყოვლისა მუზეუმი უნდა იძლეოდეს დამწერლობის განვითარებისა, საბუთების ფორმისა და „საქმისწარმოებითი ტრიალის“ ილიუსტრაციას. საარქივო მუზეუმი ოთხი განყოფილებისაგან შესდგება: ა) წ ე რ ი ლ თ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა (ან დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ა) და ბ ე ჭ ვ დ ი თ ი განყოფილება, სადაც თავს უნდა იყრიდეს: ყველა დროის საწერი მასალა, ყოველი სახისა და ნიმუშის ქაღალდი,[1] სხვა და სხვა ეროვნებათა (კერძოდ კავშირის ეროვნულ უმცირესობათა) დამწერლობის ნიმუშები, მათი განვითარების გენეზისის წარმოდგენით, ბეჭდვითი საქმის განვითარებისა და ტეხნიკის მაჩვენებელი ნიმუშები, ბეჭდვისა და წერის იარაღები და სხვა; ბ) ს ა ბ უ თ თ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა და ს ა ქ მ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს განყოფილება, სადაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ეპოქების მიხედვით, უკეთ შესწავლის მიზნით, რაციონალურ სისტემაზე დალაგებით და სათანადო ახსნა-განმარტების დართვით, ყველა ცნობილ სახის საბუთების ნიმუშები, კერძო ფონდებისა და კერძო უფლების საბუთების ნიმუშების ცალკე გამოყოფით.[2] ამავე განყოფილებაში ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს (ცალკე სექციის სახით) საქმისწარმოების სხვადასხვა სისტემებს, მათი ისტორიული ცვალებადობისა და თანდათანობითი რაციონალიზაციის წარმოდგენით; გ) ს ა რ ქ ი ვ ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა საარქივო მუზეუმის ყველაზე უმნიშვნელოვანესი განყოფილებაა, მის ამოცანას შეადგენს: საარქივო საქმის განვითარების ისტორიის ილიუსტრირება, მისი თანამედროვე მდგომარეობის სრული სურათის მოცემა და საარქივო აღმშენებლობის დარგში ახალი მიღწევების პოპულიარიზაცია. ამ განყოფილებაში მოთავსებული უნდა იყოს ყველაფერი ის, რაც შეიცავს ცნობებს საარქივო შენობისა და მისი მოწყობის შესახებ, საარქივო მასალების კლასიფიკაციისა და მათი შენახვის წესების შესახებ, არქივთსა-

---

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ პრაქტიკანტებს საშუალება ჰქონდეთ პრაქტიკული ვარჯიშობა და მუშაობა მასალებზე თავიანთ დედაენაზე აწარმოონ (ibid. 57).

[1] აქვე უნდა იყოს წარმოდგენილი ქაღალდების ჰვირნიშნების კოლექცია.

[2] ამავე განყოფილებაში ცალკე უნდა იყოს მოცემული დოკუმენტაციის სპეციალურ სახეების (ნახაზები, გეგმები, რუკები, სხვა და სხვა გვარ დაწესებულებათა ბუხჰალტერია და სხვა) ექსპოზიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცავის ორგანიზაციისა და მასალების გამოყენების წესების შესახებ და სხვა. ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს საარქივო განყოფილებაში საარქივო პრაქტიკაში სახმარებლად მიღებულ ყველა საარქივო-სატეხნიკო საშუალებებს—ქაღალდების აკინძვისა, დაწყობისა და შეკვრის ნიმუშებს, წებოსი, ნუმერატორების, კიბეების და იარლუყების ნიმუშებს და სხვა. აქვე უნდა იყოს წარმოდგენილი საბუთების კონსერვირებისა და რესტავრირების ნიმუშები და ნიმუშები საბუთების მექანიკური აღბეჭდვისა (ფოტოგრაფირება, ფოტასტატი და სხვა) და საარქივო ქიმიურ ლაბორატორიის ცდების შედეგებისა, დიაგრამები საერთოდ სახელმწიფო აპარატის და ცალკე დაწესებულებათა სტრუქტურისა, დიაგრამები და სქემები საარქივო აპარატის კონსტრუქციისა წანად და ახლა, სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების და დასავლეთ ევროპის საარქივო აპარატების კონსტრუქციების ერთმანეთთან შედარებით; დ) მ ე თ ო დ ი უ რ ი გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა შ ი უნდა დაგროვდეს ისეთი ექსპონატები, რომელნიც ნათელჰყოფენ ერთის მხრივ საარქივო მასალების ექსპოზიციისა და ამ ექსპოზიციისათვის მასალების მომზადების საშუალებათ, ხოლო მეორეს მხრივ გამოფენილ მასალების დაცვის (მნახველთაგან, გატაცებისაგან, გახუნებისაგან, მტვერისაგან, მწერებისაგან და სხვ.) სპეციალურ ღონისძიებათ. ამასთანავე მეთოდიურ განყოფილებაში დაგროვილი ექსპონატები საშუალებას უნდა იძლევოდენ იმ მასალების შინაარსის გამორკვევის, რომელნიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნენ მოკლე ვადიან საარქივო გამოფენებსა და მუდმივ საარქივო მუზეუმებში. ამიტომ აქ თავი უნდა მოეყაროს ილიუსტრირებულ პროსპექტებს, როგორც არქივთმეცნიერების კაბინეტისა საერთოდ და კერძოდ მისი ნაწილის—საარქივო მუზეუმისა, ისე აგრეთვე სხვა ანალოგიურ ცდებისა დასავლეთ ეპროპასა და საბჭოთა კავშირში. აქვე უნდა იქნეს წარმოდგენილი საარქივო მასალების მონაწილეობით, როგორც ძველს დროში, ისე აგრეთვე ჩვენს დროში მოწყობილ გამოფენების პროსპექტები (არქეოლოგიურ ყრილობების, საარქივო კომისიების, საგუბერნიო და სამაზრო ბიუროებისა და სხვა გამოფენები) [1].

---

[1] საარქივო მუზეუმში საერთო-საისტორიო განყოფილების მოწყობა ავტორს ზედმეტად მიაჩნია. სამაგიეროდ ის საჭიროდ სცნობს „წერილთწარმოების“ (დამწერლობის) განყოფილებაში მოეწყოს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა, მწერალთა და სხვათა ავტოგრაფების კოლექცია, ხოლო „საბუთთწარმოების“ განყოფილებაში - რუსეთის ისტორიისა და რევოლიუციონური მოძრაობის ქრონოლოგიურ და სინხრონისტულ ცხრილების კოლექცია; რუკების განყოფილებაში კიდევ—საუკეთესო სამეცნიერო რუკები ძველი რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიისა (ibid. გვ. 57—60).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივთმეცნიერების კაბინეტის მეოთხე ნაწილის—საარქივო ქიმიურ ლაბორატორიის—დანიშნულებას შეადგენს მთელ რიგ ცდების მოხდენა იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს გრაფიულ მასალების საუკეთესო ხარისხები, საარქივო მასალების შენახვის პირობები (სინესტისა, ტემპერატურისა და სხვა ფაქტორთა გავლენა საარქივო მასალების სხვადასხვა ელემენტებზე), საბუთების კონსერვაციისა და დეზინფექციის საშუალებები და სხვა საკითხები, რომელნიც დაკავშირებულია საარქივო მასალების ნივთიერ მხარისა და ამ მასალების დაღუპვისაგან გადარჩენის საშუალებათა შესწავლასთან. ლაბორატორიასთან უნდა არსებობდეს დეზინსექციური კამერა, რომლის დანიშნულებას საარქივო მავნებლებთან ბრძოლა წარმოადგენს [1].

ლაბორატორიის მაგვარ დამხმარე აპარატად არქივთმეცნიერების კაბინეტთან ავტორს მიაჩნია ფოტოგრაფიული და ფოტოსტატიური კაბინეტი საარქივო მასალების მექანიკური საშუალებით გადასაღებად.

საარქივო ქიმიურ ლაბორატორიასთან უნდა არსებობდენ აგრეთვე სხვადასხვა სახელოსნოები, როგორც მაგალითად, საკინძავი და საკაზმავი სახელოსნო, საჭრელი სახელოსნო და სხვა. ეს სახელოსნოები უნდა იყოს ერთის მხრივ ლაბორანტის მეთვალყურეობისა, ხოლო მეორეს მხრივ არქივთმეცნიერების კაბინეტის მეცნიერ თანამშრომლის ზედამხედვილებას ქვეშ. ლაბორანტის მოვალეობას შეადგენს თვალყურის დევნება იმისათვის, რომ გამოსაყენებელი მასალა (მუყაო, წებო და სხვა) კეთილხარისხოვანი იყოს, ხოლო მეცნიერ-თანამშრომლისა კი—ყურადღების მიქცევა იმისათვის, რომ სახმარი ნივთები (ბარათები, იარლუყები და სხვა) სისწორით კეთდებოდეს მიღებული ზომისა და ფორმის მიხედვით.

დასასრულ, არქივთმეცნიერების კაბინეტის მეხუთე ნაწილი —საამეცნიერო-სასწავლო ნაწილი—უნდა შეიცავდეს: ა) საჯარო სამკითხველო დარბაზს, რომელიც მოწყობილი იქნება საჯარო ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზების მაგვარად, ბ) აუდიტორიას, გ) მოსწავლეთათვის სამეცადინო ოთახს და დ) რამდენიმე (ერთი-ორი) ოთახს არქივთმეცნიერების კაბინეტის ადმინისტრაციისათვის. წერილის ავტორის აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამკითხველო დარბაზის მუშაობას: უნდა მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ აქ ჰმუშაობდენ არა მარტო ის მკვლევარები, რომელნიც დაინტერესებული არიან არქივთმეცნიერე-

[1] Ibid. გვ. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და სხვა დამხმარე საისტორიო დისციპლინების სპეციალური საკითხებით, არამედ საერთოდ ყველა მკვლევარები და ისტორიკოსები, რომელთაც სურვილი და მიზანი აქვთ იმუშაონ საარქივო მასალებზე. რაკი არქივთმეცნიერების კაბინეტში, როგორც აღნიშნული იყო, თავმოყრილი იქნება საარქივო მასალების აღწერები და საარქივო ფონდების კარტოთეკა, სათანადო მაჩვენებლებითა და საძიებლებით, ცხადია, მკვლევართა ამგვარი მუშაობა კაბინეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილში სავსებით მიზანშეწონილი და შესაძლებელიც იქნება [1].

ამ დასახელებულ ხუთ ძირითად ნაწილებს გარდა ავტორს სასურველად მიაჩნია არქივთმეცნიერების კაბინეტთან მოეწყოს სპეციალური სარედაქციო ან სარედაქციო-საგამომცემლო საარქივო კომისია. რომელმაც დასაბეჭდად უნდა დაამზადოს და შემდეგ გამოსცეს კიდეც არქივების აღწერები, საარქივო ფონდების სია და სხვა მსგავსი საცნობო მასალები, რომელთაც უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვთ მკვლევართათვის საარქივო მასალების გამოყენების დროს [2].

ასეთი უნდა ყოფილიყო არქივთმეცნიერების კაბინეტის საერთო კონსტრუქცია და თვითეული მისი შემადგენელი ნაწილის ძირითადი ფუნქციები „Архивное Дело"-ში ჯერ კიდევ 1927 წელს მოთავსებულ წერილის დასახელებულ ავტორის აზრით.

არქივთმეცნიერების კაბინეტის სტრუქტურა და აგრეთვე მისი ფუნქციაც უფრო გარკვევით და უფრო ზუსტად ჩამოყალიბებულია იმ დებულებაში [3], რომელიც, როგორც ზევით გვქონდა ლაპარაკი, რ ს ფ ს რ ცენტრარქივის კოლეგიის მიერ განხილულ და დამტკიცებულ იქნა ამ წერილის დაბეჭვდიდან ერთი წლის შემდეგ, ნიშანდობლივ, 1928 წლის 17 მაისს. ამ დებულების თანახმად არქივთმეცნიერების კაბინეტი წარმოადგენს ცენტრარქივის სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებას. იგი არსებობს ცენტრარქივის კოლეგიასთან. მის ამოცანას შეადგენს არქივთმეცნიერებისა და მასთან მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინათა მიღწევების შესახებ ისეთი მასალების თავმოყრა, რომელნიც საჭიროა არქივთმეცნიერების პრობლემების (არქივების ორგანიზაციისა, საარქივო მასალების დაც-

---

[1] Ibid. გვ. 61—62.

[2] Ibid.

[3] ეს დებულება ახლახან მიიღო საქართველოს ცენტრარქივმა (იხ. რუსეთის ცენტრარქივთან ურთიერთობის საქმე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის საშუალებათა რაციონალიზაციისა, საარქივო მასალების კლასიფიკაციის და გამოყენების საკითხების) დასამუშავებლად. არქივთმეცნიერების კაბინეტი შესდგება ექვსი განყოფილებისაგან: 1) საარქივო საქმის ისტორიისა და თეორიის განყოფილება, 2) სამეცნიერო-საცნობო ბიბლიოთეკა, 3) საარქივო მუზეუმი, 4) საარქივო მასალების მუდმივი გამოფენა, 5) სასწავლო-საჩვენებელი არქივი და 6) საარქივო-ქიმიური ლაბორატორია [1].

ამას გარდა, ამავე დებულების თანახმად, არქივთმეცნიერების კაბინეტთან უნდა მოწყობილიყო საკონსულტაციო ნაწილი და ფოტოსტატი. არქივთმეცნიერების კაბინეტსავე უნდა დავალებოდა ცენტრარქივის სარემონტო-სარესტავრაციო სახელოსნოებისა და სხვა დამხმარე საარქივო დაწესებულებათა ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა. [2]

სწორედ ამ დებულების მიხედვით გათვალისწინებული შემადგენლობით დაიწყო მუშაობა მოსკოვის არქივთმეცნიერების კაბინეტმა იმავე 1928 წელს. ამჟამად უკვე ორი წელიწადია, რაც ეს კაბინეტი არსებობს და, უნდა ითქვას, რომ მან სავსებით გაამართლა ის იმედები, რომლებიც მასზე იმთავითვე იყო დამყარებული იმათ მიერ, ვინც მის დაარსების აუცილებლობას დიდის ენტუზიაზმით ამტკიცებდენ და დაარსებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ. მიმდინარე 1929 წელს სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა მეორე ყრილობაზე არქივისტ მ. ვიშნევსკის მიერ გაკეთებულ მოხსენებიდან [3] სავსებით ცხადი და ნათელი იყო, რომ მოსკოვის არქივთმეცნიერების კაბინეტს თავის არსებობის ორი წლის განმავლობაში გაუშლია ფართე შემოქმედებითი მუშაობა და რომ მას ამჟამად მრავალი თვალსაჩინო მიღწევები აქვს.

ასეთია არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსების მოტივები და მის მუშაობის შედეგები რუსეთში. როგორც ვხედავთ, არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსებას მოსკოვში მკვიდრი ნიადაგი ჰქონდა და ცხოვრებამაც მისი არსებობა სავსებით გაამართლა. მოსკოვის არქივთმეცნიერების კაბინეტის ორი წლის არსებობამ და ამ ორი წლის განმავლობაში მისმა ნაყოფიერმა მუშაობამ სავსებით ნათელჰყო ის გარემოება, რომ რუსეთის ცენტრარქივის მუშაობისა

---

[1] Архивное Дело, XV, გვ. 65.

[2] Ibid.

[3] იხ. მ. ვიშნევსკის მოხსენების თეზისები რსფსრ ცენტრარქივის ბიულეტენში, № 8/95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ მუშაობის მეცნიერულ საფუძველზე დაყენებისათვის არქივთ-მეცნიერების კაბინეტის დახმარება ყოველ ეჭვს გარეშე აუცილებელია.

მაგრამ რუსეთის პირობები და რ ს ფ ს რ ცენტრალურ საარქივო სამართველოს შესაძლებლობა სხვა არის, ხოლო საქართველოს პირობები და საქართველოს ცენტრარქივის შესაძლებლობა კიდევ — სხვა: რაც რუსეთის სინამდვილეში საჭირო და აუცილებელი არის და რაც რუსეთის ცენტრარქივისთვის შესაძლებელი არის, საქართველოს სინამდვილეში შესაძლებელია არც საჭირო იყოს და არც შესაძლებელი. თავის და თავად ცხადია, რომ არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსების აუცილებლობა ჩვენში არ შეიძლება დასაბუთებულ იქნეს მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ასეთი კაბინეტი საბჭოთა რუსეთში, ან თუ გინდ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც, არსებობს. და არც, რასაკვირველია, უბრალო მიმბაძველობის სურვილი გახდის შესაძლებელს მის დაარსებას ჩვენში, თუ ამისთვის სათანადო ხელის შემწყობი პირობები და ნიადაგი არ არსებობს. კარგი მაგალითი და მიმბაძველობა ყოველ კეთილ საქმეში მისაღები და დასაშვებია, მაგრამ ამ კეთილ საქმის გადმონერგვისა და გადმოღებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ობიექტური პირობები, რომელნიც ერთის მხრივ აუცილებელს, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლებელს ხდის ამ ახალ საქმის დაწყებას ახალ პირობებში.

და სწორედ ბუნებრივად იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად აუცილებელია და რამდენად შესაძლებელია საქართველოში არქივთმცენიერების კაბინეტის დაარსება?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველი კითხვისათვის დადებითი პასუხის გაცემა მას შემდეგ, რაც ჩვენ არქივთმეცნიერების კაბინეტის ძირითად დანიშნულებას გავეცანით, არ მოითხოვს დიდ დასაბუთებას. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მესამე წელიწადია, რაც არქივთმეცნიერების კურსი იკითხება და ამდენივე ხანია, რაც საისტორიო დარგის სტუდენტები, რომელნიც ამ კურსს ისმენენ უნივერსიტეტში, პრაქტიკულ ვარჯიშობას საარქივო მასალებზე ცენტრარქივის აქტთსაცავებში აწარმოებენ. და, თუ, როგორც ვნახეთ, არქივთმეცნიერების კაბინეტის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას უნივერსიტეტის არქივთმეცნიერების კათედრისათვის დახმარების გაწევა შეადგენს, ცხადია, ასეთი კაბინეტი, ჩვენშიც რომ არსებობდეს, დიდ დახმარებას გაუწევდა უნივერსიტეტს სტუდენტთა პრაქტიკულ ვარჯიშობისათვის შესაფერ პირობების შექმნითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ საჭირო მასალების რეგულიარულად მიწოდებით: სპეციალური საარქივო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საცდელ-საჩვენებელი არქივი, საარქივო მუზეუმი და სხვა ნაწილები არქივთმეცნიერების კაბინეტისა, ადვილი გასაგებია, ხელს შეუწყებდენ არქივთმეციერების კურსის გაღრმავებასა და სტუდენტების მიერ თეორიულად მიღებულ ცოდნის თვალსაჩინო მაგალითებზე საფუძვლიანად შევსებას.

მეორეს მხრივ არქივთმეცნიერების კაბინეტს ასეთივე დიდი დახმარების გაწევა შეეძლო საარქივო წრეებისათვის, რომელნიც ამჟამად არსებობენ ცენტრარქივში და მომავალშიც, ჩვენი არქივისტების სურვილის თანახმად, ალბად „ჟამითი-ჟამად“, მაგრამ რეგულიარულად იარსებებენ ცენტრარქივთან. არქივთმეცნიერების კაბინეტის იმავე განყოფილებებში თავმოყრილი მასალები მეტის-მეტად გაადვილებდენ საარქივო წრეებში პრაქტიკულ ვარჯიშობის ობიექტების სათანადო სისრულით გამოყენებას და რეფერატებისათვის მოხდენილ თემების დაუბრკოლებლად გამონახვასა და დამუშავებას.

არა ნაკლებ იქნებოდა არქივთმეცნიერების კაბინეტის მნიშვნელობა საარქივო კურსებისათვის, რომელიც ცენტრარქივის გადაწყვეტილებით, განზრახულია მიმდინარე წელს უეჭველად მოეწყოს და მომავალშიც, თუ ყოველ წელს არა, ყოველ მეორე წელს მაინც გამეორდეს: იგივე მასალები, რაც უნივერსიტეტის სტუდენტებისა და საარქივო წრეების მონაწილეთა თეორიული განვითარებისა და პრაქტიკულ ვარჯიშობისათვის აუცილებელია, საჭირო იქნებოდა საარქივო კურსებისათვისაც.

ერთი სიტყვით, არქივთმეცნიერების კაბინეტს, სადაც დაგროვილი იქნებოდა საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის შესახები მასალები და სადაც ამ მასალების მეცნიერულ მეთოდით შესწავლის საშუალება იქნებოდა შექმნილი, შეეძლო ნორმალურ კალაპოტში ჩაეყენებია ჩვენში უმაღლესი საარქივო განათლების მიღებისა და არქივისტების მომზადების საქმე, რომელიც ამჟამად სწორედ არქივთმეცნიერების კაბინეტის უქონლობის გამო არა ნორმალურ პირობებშია ჩაყენებული.

მაგრამ თავი და თავი მნიშვნელობა არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსებისა ჩვენში იმაში იქნებოდა, რომ იგი ხელს შეუწყობდა ქართული საარქივო საქმის და არქივთმეცნიერების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას. ქართული არქივები და საარქივო საქმე, თავისი სპეციფიური ხასიათის გამო, სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. საქართველოს ცენტრარქივმა და ქართველმა არქივისტებმა თავიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი წვლილი უკვე შეიტანეს ამ დარგში და ამჟამადაც ინტენსტიური მუშაობა სწარმოებს ამ მიმართულებით. კერძოდ ამჟამად მასალები გროვდება და მუშაობა სწარმოებს ქართული არქივებისა და საარქივო საქმის ისტორიის შესასწავლად; ახლო მომავალში განზრახულია ქართული მდივან-მწიგნობრობისა, საბუთთაწარმოებისა, საკანცელარიო ტეხნიკისა და სხვა ანალოგიურ საკითხების შესწავლის დაწყება. ყველა ამ საკითხების შესწავლას უაღრესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო არქივთმეცნიერების თვალსაზრით, არამედ საერთოდ ჩვენი ქვეყნის წარსული კულტურის გამორკვევის თვალსაზრისათაც, ხოლო მათი შესწავლა უკეთ, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საარქივო საქმის თეორიისა და ტეხნიკის შესწავლის საქმე ერთ სპეციალურ ინსტიტუტში მოიყრის თავს და როდესაც ამ ინსტიტუტში დაგროვდება ყველა ამისთვის საჭირო მასალები.

განსაკუთრებით დიდ საჭიროებას განიცდის უკვე ამჟამად საქართველოს ცენტრარქივი საარქივო მასალების პირის მექანიკური საშუალებით გადაღების საქმეში. ძველი და აქტუალური საბუთების მეცნიერულად გამოცემისა და დაბეჭდის საქმე, რომელიც დღევანდელ დროის გადაუდებელ საკითხად და ცენტრარქივის მიმდინარე ფუნქციონალურ სამუშაოდ არის მიჩნეული, შეუძლებელია ამ მიზნით საყოველთაოდ ხმარებაში შემოღებულ მექანიკურ საშუალებების—ფოტოგრაფიისა და ფოტოსტატის—გარეშე. არც საბუთების პირის დიპლომატიკური სისწორით გადაღების საქმე და არც საბუთის ორიგინალობის ექსპერტიზის რთული შემთხვევების გადაჭრა არ შეიძლება სათანადოდ და დაუბრკოლებლად, თუ ამისთვის გამოყენებული არ იქნება დასახელებული მექანიკური საშუალებები. არქივთმეცნიერების კაბინეტს ფოტოგრაფიულ კაბინეტისა და ფოტოსტატის მოწყობით შეუძლია ეს საქმე მკვიდრ საფუძველზე დააყენოს და მის ფართედ გაშლას ხელი შეუწყოს. პრაქტიკის ამ დარგის (საბუთების პირების გადაღება, ტექსტის მომზადება და სხვა) მექანიზირებით საგრძნობლად გაადვილდება ცენტრარქივის ერთ-ერთ მთავარ ამოცანის—საარქივო მასალების სამეცნიერო ხმარებაში შეტანის საქმის—შესრულება.

ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად დიდ დახმარებას გაუწევდა არქივთმეცნიერების კაბინეტი საქართველოს ცენტრარქივს არქივებისა და საარქივო საქმის პოპულიარიზაციის საქმეში. არსად ისე არა პოპულიარული და თითქმის აბუჩად აგდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის არქივები და საარქივო საქმე, როგორც ჩვენში. ჩვენში, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მკაცრი კანონმდებლობისა, რომლითაც საარქივო საქმის ინტერესი სრულიად უზრუნველყოფილია, სამწუხაროდ, დასამალი არ არის, დღესაც ადგილი აქვს სრულიად უკულტურო და ზოგჯერ პირდაპირ ბარბაროსულ დამოკიდებულებას არქივებისადმი არა მარტო კერძო პირთა და ფართე საზოგადოების მხრივ, არამედ ხშირად ოფიციალურ წრეებისა და დაწესებულებათა მხრივაც. მრავალ დაწესებულებას და კერძო პირს დღესაც არა აქვს სავსებით შეგნებული და შეთვისებული ის დიდი პოლიტიკური, მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელიც აქვს არქივსა და საარქივო საქმეს. ყველა ასეთ არანორმალურ მოვლენების აღმოსაფხვრელად არქივთმეცნიერების კაბინეტს, საარქივო მუზეუმისა და მუდმივ საარქივო გამოფენების მოწყობით, შეეძლო, როგორც ვთქვით, დიდი სამსახური გაეწია არქივების პოპულიარიზაციის საქმისათვის ჩვენში:

არა ნაკლებ არის საჭირო სპეციალურ აპარატის დახმარება ცენტრარქივისთვის საარქივო ტეხნიკის დარგში. საწერ მასალის (ქაღალდის, მელნის, საღებავის და სხვ.) ხარისხის გამორკვევა, საარქივო მასალების გაფუჭების მიზეზებისა და ფაქტორების (სინათლე, სინესტე, ტემპერატურა, მტვერი და სხვა) შესწავლა, საარქივო მავნებლების (მწერები, თაგვები, ვირთაგვები და სხვ.) წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათა რაციონალიზაცია და სხვა აქტუალური საკითხები ჩვენში ჯერ შესწავლილი არ არის და უეჭველად შესწავლილი უნდა იყოს. მეორეს მხრივ შესწავლას მოითხოვს საკითხი საარქივო მასალების დაცვა-შენახვის ტეხნიკურ პირობების შესახებ: არქივთსაცავები და მათი მოწყობილობა (სტელაჟები, შკაფები, თაროები, ვენტილაცია და სხვა), საარქივო მასალების კონსერვირებისა და რესტავრირების საშუალებები და სხვა ანალოგიური საკითხები ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი საქართველოს კლიმატიური პირობებსა და საარქივო მასალების ნივთიერ თვისებებთან დაკავშირებით. ყველა ამ საკითხების შესწავლისა და გამორკვევის საქმეში არქივთმეცნიერების კაბინეტის ქიმიურ-ტეხნიკურ ლაბორატორიას შეეძლო საქართველოს ცენტრარქივისათვის სწორი დასკვნები და მდიდარი მასალა მიეწოდებია.

დასასრულ, არქივთმეცნიერების კაბინეტი საუკეთესოდ ხელს შეუწყობდა საარქივო მასალების ფართედ გამოყენებასა და ამ მასალებზე მკვლევართა მუშაობის რაციონალურად დაყენებას. ჩვენში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარქივო აღწერებისა და საარქივო ფონდების კარტოთეკის ცენტრალიზაციის საქმე ჯერ კიდევ არ არის სათანადო ნიადაგზე დაყენებული. საქართველოს ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალები, მიუხედავად ცენტრალიზაციის შესახები კანონისა[1], ჯერ კიდევ არ არის კონცენტრირებული ცენტრარქივის აქტთსაცავებში— ეს მასალები დღესაც სხვადასხვა დაწესებულებათა ხელშია. ამ მასალებს უმეტეს შემთხვევაში შედგენილი არა აქვს საარქივო აღწერა და კარტოთეკა, ხოლო თუ ასეთი შედგენილია,—შედგენილია სხვადასხვა სისტემაზე. ამის გამო, ე. ი. აღწერებისა და კარტოთეკის უქონლობის გამო, ამჟამად შეუძლებელია ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალების, არამც თუ ხასიათისა და შინაარსის ცოდნა, არამედ ამ მასალების უბრალო რაოდენობის გამორკვევაც. ეს გარემოება საგრძნობლად აფერხებს საარქივო მასალების გამოყენებას სამეცნიერო მიზნით და შეუძლებელს ხდის შეცდომების აცილებას. საქართველოს ცენტრარქივი კარგა ხანია შეუდგა ამ მიმართულებით მუშაობას: მუშაობა სწარმოებს ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის შემადგენლობის გამორკვევისა და ფონდების კარტოთეკის შედგენისათვის. პარალელურად ცენტრარქივი ცდილობს ყველა საარქივო მასალებისათვის აღწერის ერთიანი სისტემა შემოიღოს და ამ სისტემაზე მათი აღწერა (პირველი საფეხურის—საინვენტარო აღწერა) დაასრულოს. არქივთმეცნიერების კაბინეტს, სადაც ყველა ამ აღწერებმა და კარტოთეკამ, როგორც ნათქვამი იყო, უნდა მოიყაროს თავი, შეეძლო მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებია საარქივო მასალების გამოყენების საქმე მკვლევართათვის სრული ცნობების მიწოდებით იმის შესახებ, თუ რამდენი და რა ხასიათის მასალები ინახება ჩვენს არქივთსაცავებში და რომელი მასალა როდის და რა სახით არის გამოყენებული რომელიმე ისტორიკოსის ან მკვლევარის მიერ.

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, საქართველოში ფართედ გაშლილი საარქივო-საორგანიზაციო და საარქივო-სატეხნიკო მუშაობა და ამ მუშაობის მეცნიერულ საფუძველზე წარმართვის საჭიროება, საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს წინაშე მწვავედ აყენებს საკითხს, არქივთმეცნიერების კაბინეტის სახით, ისეთი სპეციალური აპარატის შექმნის აუცილებლობის შესახებ, რომელიც ამგვარი მუშაობის ცენტრი და რეგულიატორი იქნება. ამ აუცილებლობის არ დანახვა არ ეპატიება იმას, ვინც სა-

[1] დეკრეტი საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ 1921 წ. 1 ივლისის თარიღით („საქართველოს არქივი", წიგ. I).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივო აღმშენებლობაში ჩახედულია და ვისაც ესმის არქივების აქტუალური მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის კულტურულ და მეცნიერულ აღორძინების საქმეში. არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსება ჭეშმარიტად დასრულება და დაგვირგვინება იქნება იმ ღონისძიებათა, რომელთაც საქართველოს ცენტრარქივი ასე თუ ისე ატარებდა ცხოვრებაში ამ ათი წლის (განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლების) სიგრძეზე საარქივო საქმის მეცნიერულ ნიადაგზე მოსაწყობად.

მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი საკითხი ის მეორე საკითხია, რომელიც ჩვენ ზემოდ დავსით, სახელდობრ, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ჩვენში, საქართველოს პირობებში, ასეთ არქივთმეცნიერების კაბინეტის მოწყობა.

თავისდათავად ცხადია, რომ ჩვენ არქივთმეცნიერების კაბინეტს ჯერ-ჯერობით ვერ მოვაწყობთ ისე ფართედ, როგორც მოსკოვის არქივთმეცნიერების კაბინეტია მოწყობილი: ამისათვის ჩვენ არც ნივთიერი საშუალებები და არც მეცნიერული ძალები არ გვყოფნის. მაგრამ ჩვენის აზრით საძირკველის ჩაყრა მაინც შეიძლება, რადგან ამ საძირკველისათვის საჭირო აგურები უკვე ამ ჟამადაც მოგვეპოება.

დავიწყოთ არქივთმეცნიერების კაბინეტის ყველაზე უფრო ჩვეულებრივი ნაწილიდან—საარქივო-სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან. საარქივო-სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის ჩვენ უკვე გვაქვს საკმაოდ მდიდარი მასალა ქართულ, რუსულ, უკრაინულ და სხვა ენებზე: ცენტრარქივის აკადემიურ ბიბლიოთეკაში ინახება, როგორც არქივთმეცნიერებისა და მისი მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების შესახები შრომები, ისე აგრეთვე სხვა საარქივო გამოცემები: საარქივო მასალების დაბეჭდილი კრებულები, საარქივო აღწერები, მონოგრაფიული საარქივო შრომები, სახელმძღვანელოები, პერიოდული საარქივო ჟურნალები, შრომები პალეოგრაფიიდან, დიპლომატიკიდან, ბიბლიოთეკათმცოდნეობიდან და სხვა. აქვე ინახება საკმაოდ მდიდარი საისტორიო-სამეცნიერო ლიტერატურა, კერძოდ საისტორიო-სამეცნიერო ლიტერატურა საქართველოს ისტორიოგრაფიიდან, ზოგიერთი საზღვარგარეთელი საარქივო გამოცემები და სხვა. ყველა ეს მასალები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ არქივთმეცნიერების კაბინეტის სამეცნიერო-საარქივო ბიბლიოთეკას საძირკველი ჩაეყაროს, მაგრამ ამ მასალებს მომავალშიც თანდათანობით მიემატება სხვა ანალოგიური ხასიათის მასალები, საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკებიდან საარქივო ლიტერატურის რეგულიარულად მიღების საკითხის სავსებით მოგვარების გამო: საქართველოს ცენტრარქივი სისტემატიურად იღებს ამგვარ მასალებს მოკავშირე რესპუბლიკებიდან, ხოლო ახლო მომავალში ასეთივე ურთიერთობა შეძლებისდაგვარად დამყარებული იქნება დასავლეთ ევროპის საარქივო დაწესებულებებთანაც, რომელთაგან ლიტერატურის მიღებას ამჟამად მხოლოდ სპორადიული ხასიათი აქვს.

ასევე დაუბრკოლებლად შეიძლება არქივთმეცნიერების კაბინეტის მეორე ნაწილისთვის—საარქივო მუზეუმისთვის—საძირკველის ჩაყრა. ცენტრარქივის საარქივო მასალები, მოყოლებული მეათე საუკუნიდან ჩვენს დრომდე, საკმაო ექსპონატებს იძლევიან იმისათვის, რომ საარქივო მუზეუმის დამწერლობისა და საქმისწარმოების განყოფილებებში საჭირო სისრულით (პირველ ხანებში მაინც) წარმოდგენილი იყოს ქართული დამწერლობის ისტორიისა, საქმისწარმოების სისტემებისა, საკანცელარიო ტეხნიკისა და სხვა მსგავს საკითხთა შესასწავლი მასალების ერთი ნაწილი. ამ მასალების შევსებაც არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, ვინაიდან ჩვენი მუზეუმები და მოკავშირე რესპუბლიკების საარქივო დაწესებულებები, უპირველესად ყოვლისა მოსკოვის არქივთმეცნიერების კაბინეტი, ვფიქრობთ, მოგვაწოდებენ სათანადო მასალებს, თუ ჩვენ ასეთი შუამდგომლობით მივმართავთ მათ. იქიდანავე შეიძლება საარქივო მუზეუმის საარქივო განყოფილებისათვის საჭირო ექსპონატების შეძენა. ასეთ საშუალებას მიჰმართავდა რუსეთის ცენტრარქივი[1], როდესაც ის არქივთმეცნიერების კაბინეტს აწყობდა და ასეთ საშუალებას შეგვიძლია მივმართოთ ჩვენც.

თუ საარქივო მუზეუმისთვის, როგორც ვხედავთ, საძირკველის ჩაყრა შესაძლებელია, თავისდათავად ცხადია, სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს არქივთმეცნიერების კაბინეტთან მუდმივ საარქივო გამოფენის მოწყობაც. საქართველოს ცენტრარქივს სრული საშუალება აქვს (საჭირო ექსპონატების მხრივ) ამ გამოფენაზე წარმოადგინოს ისეთი საარქივო მასალები, რომელნიც ნათელს ჰყოფენ ერთის მხრივ არქივების პოლიტიკურ, მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, ხოლო მეორეს მხრივ საარქივო აღმშენებლობის მიღწევებსა და შედეგებს. რასაკვირველია, ეს მასალები ისევე როგორც არქივთმეცნიერების კაბინეტის სხვა განყოფილებების მასალებიც, სრული არ იქნება პირველ ხანებში, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება

[1] იხ. Архивное Дело, XVI, გვ. 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითქვას, რომ მომავალში ამგვარი მასალების შეძენისა და, მაშასადამე, მთელი განყოფილების სისრულით მოწყობის სრული შესაძლებლობა არის, თუ სათანადო უნარსა და ენტუზიაზმს გამოიჩენს საქართველოს ცენტრარქივი: იგივე საბჭოთა რესპუბლიკები, ხოლო პირველ რიგში კი მოსკოვის არქივთმეცნიერების კაბინეტი, ეჭვი არ არის, დაუბრკოლებლად მოგვაწვდიან ჩვენ ყოველგვარ მასალას, რომელიც მათ განკარგულებაშია.

არქივთმეცნიერების კაბინეტის საკონსულტაციო ნაწილისთვის საქართველოს ცენტრარქივს ამჟამად შეუძლია თავი მოუყაროს საარქივო მასალების ხასიათისა, შინაარსისა და მდგომარეობის შესახები ცნობებს საკმაო რაოდენობით. ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის დავთარი[1], საინვენტარო აღწერები, მაჩვენებლები, საარქივო ფონდების მიმოხილვები და სხვა—აი ის ცნობითი მასალა, რომელიც ახლავე შეიძლება გადაეცეს საკონსულტაციო ნაწილს მკვლევართათვის მისაწოდებლად. ასეთივე საცნობო-საორიენტაციო მასალა იქნება საკონსულტაციო ნაწილისათვის საარქივო საქმის შესახები წესები, ინსტრუქციები და ცირკულიარები, რომლებიც გამოცემულია საქართველოს ცენტრარქივისა და საკავშირო ცენტრარქივის მიერ გასულ წლების განმავლობაში, ან გამოცემული იქნება მომავალში. ეს მასალა საკონსულტაციო ნაწილს გამოადგება მომქედ დაწესებულებათა არქივებისა და ცენტრარქივის საარქივო დაწესებულებათათვის რჩევა-დარიგების მიწოდების დროს. რასაკვირველია, აქაც მასალები სრული არ იქნება, მაგრამ რაც არის, ისიც საკმარისია საძირკველის ჩასაყრელად და ამჟამად ჩვენთვისაც სწორედ ეს არის აუცილებელი; ხოლო მომავალში საკონსულტაციო ნაწილს თვით შეუძლია შეუდგეს საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის შესახები საკითხების ბიბლიოგრაფიისა, საარქივო მასალების საგნობრივი და თემატიური კატალოგებისა და სხვა მსგავს მასალების მოგროვებას.

ვფიქრობთ ძნელი არ იქნება არქივთმეცნიერების კაბინეტის სასწავლო-საჩვენებელ (საცდელ-საჩვენებელ) არქივის მოწყობა, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ (სახელდობრ, მეორე ნაწილის) მაინც. ცენტრარქივის გამრჩევ და საკონტროლო-შემმოწმებელ კომისიების განკარგულებაში მუდამ არის სამაკულატურო ფონდები, რომელნიც საუკე-

[1] დავთარში თითქმის სავსებით აღრიცხულია და აღწერილია ცენტრალურ არქივთსაცავების ყველა ფონდები. დაწყებულია აგრეთვე ადგილობრივი არქივთსაცავების ფონდების კარტოთეკის შედგენა და თავმოყრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესო ობიექტები იქნებიან, როგორც უნივერსიტეტის საისტორიო დარგის არქივთმეცნიერების კურსის მსმენელ-პრაქტიკანტებისა, ისე აგრეთვე საარქივო კურსების მსმენელთა პრაქტიკულ ვარჯიშობისათვისაც მეორეს მხრივ ცენტრარქივს შეუძლია გადასცეს არქივთმეცნიერების კაბინეტის ამ ნაწილს გარკვეულ სისტემაზე ყოველმხრივ დამუშავებული საარქივო ფონდიც, რომელიც საჩვენებელ ნიმუშად გამოდგება დაინტერესებულ მოსწავლეთათვის. ცენტრარქივს უკვე ამჟამად მოეპოება ისეთი ფონდი, რომელსაც დამუშავების სამი სტადია (გარჩევა, კლასიფიკაცია და ინვენტარიზაცია) უკვე გავლილი აქვს. სრულიად ადვილად შეიძლება ასეთ ფონდისთვის რიგს გარეშე შედგენილ იქნეს სამეცნიერო აღწერილობაც სათანადო საძიებლებისა და მაჩვენებლების შედგენით და მაშინ იგი (ფონდი) პირველ ხანებში სავსებით გამოდგება საჩვენებელ ნიმუშად არქივთმეცნიერების კაბინეტში [1].

სამწუხაროდ, ცენტრარქივს თითქმის არავითარი ელემენტები და მასალები არ მოეპოება საარქივო ქიმიურ-ტეხნიკურ ლაბორატორიის მოსაწყობად. არც საერთო-ქიმიური ნაწილის მოწყობილობა (ლაბორატორული მაგიდები, ანალიტიური და ტეხნიკური სასწორები, შესაწები ლამფა, გასაშრობი შკაფი, ქიმიური შუშის ჭურჭლები, ქიმიურ რეაქტივებისა და მასალების კოლექცია და სხვა), არც მექანიკური ცდების ნაწილის იარაღები (შოპერის ელექტრონის მანქანა ქაღალდის სიმაგრისა და სხვა თვისებათა გამოსარკვევად, ავტომატიური იარაღი ქაღალდის სისქისა და სითეთრის გასასინჯავად, ოსტვალდის ფოტომეტრი და სხვა) და არც ბიოლოგიურ ნაწილის საწყოები (ცეისის მიკროსკოპი, ლუპა, მიკროფოტოგრაფიული დგამი მიკროტომით, დეზინსექციური კამერა, და სხვა) საქართველოს ცენტრარქივს ამჟამად არ გააჩნია. მაგრამ ყველა ეს იარაღები და მანქანები, რომელნიც საჭიროა საარქივო ქიმიურ-ტეხნიკურ ლაბორატორიის მოსაწყობად, არ წარმოადგენენ რთულ კონსტრუქციისა და ძვირ ფასიან აპარატებს და მათი შეძენა რუსეთში, ნაწილობრივ კიდევ საზღვარგარეთ, შეიძლება შედარებით მცირე თანხით.

ასეთივე მდგომარეობა არის ფოტოსტატისა და ფოტოლაბორატორიის მოწყობის საქმეში. არც ფოტოსტატი და არც ფოტო-

[1] სხვადასხვა სისტემაზე არქივების სანიმუშოდ მოწყობისათვის, ისევე როგორც სხვა საკითხებისათვისაც, ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული მოსკოვის არქივთმეცნიერების კაბინეტის გამოცდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბორატორია ან რაიმე მათი მოსაწყობი ელემენტები ცენტრარ-ქივს ამჟამად არ გააჩნია. მაგრამ ცენტრარქივს მოეპოება საკმაოდ დიდი და კარგი ხარისხის ფოტოგრაფიული აპარატი თავისი მოწ-ყობილობით. ფოტოსტატის შეძენას ცენტრარქივი ახლო მომავალში, უნდა ვიფიქროთ, ალბად ვერ შესძლებს უსახსრობისა და ფოტო-სტატის სიძვირის გამო[1], და ამიტომ პირველ ხანებში შეიძლებოდა ამ ფოტოგრაფიული აპარატის გამოყენება და მხოლოდ ფოტოგრა-ფიული კაბინეტის მოწყობა. ეს საკმაო სარგებლობას მოუტანდა ერთის მხრივ ძველ და აქტუალურ საბუთების გამოცემისა, ხოლო მეორეს მხრივ მათი პალეოგრაფიულად შესწავლის საქმეს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საქართველოში არქივთმეცნიე-რების კაბინეტისათვის საძირკველის ჩასაყრელად საჭირო მასალე-ბიდან ზოგიერთი ელემენტები უკვე ამჟამადაც მოიპოვება, ხოლო მომავალი პერსპექტივა საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ამ ელე-მენტების გამრავლებისა და სისტემაში მოყვანის შესაძლებლობა ვივარაუდოთ. ამასთან ერთად ჩვენ, რუსეთის ცენტრარქივის მა-შინდელ მდგომარეობასთან შედარებით, როდესაც ის არქივთმეც-ნიერების კაბინეტის მოწყობას შეუდგა, უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით იმ მხრივ, რომ ასეთ კაბინეტის მოწყობის გამოცდი-ლება (ე. ი. რუსეთის ცენტრარქივის გამოცდილება) ხელთ გვაქვს. საქართველოს ცენტრარქივს, ვფიქრობთ, ამ საქმისათვის სამეც-ნიერო ძალების გამოყოფაც არ გაუძნელდება, თუნდაც შეთავ-სების ნიადაგზე პირველ ხანებში მაინც[2]. ერთად ერთი დაბრ-კოლება ამ საქმეში შესაძლებელია შექმნას ბინისა და სა-ორგანიზაციო საშუალებების საკითხმა. მაგრამ ბინის საკითხი ადვილად მოგვარდება, თუ ცეეტრარქივის სტუმართმოყვარეობით შემოხიზნულმა წიგნის პალატამ ეს სტუმართმოყვარეობა ბოროტ-ად არ გამოიყენა და ცენტრარქივის შენობაში დაკავებული ოთა-ხები დროზე გაანთავისუფლა. ხოლო რაც შეეხება მეორე საკითხს, ჩვენ ვფიქრობთ, პირველ ხანებში არქივთმეცნიერების კაბინეტის მო-საწყობად საჭირო თანხები ცენტრარქივს შეუძლია სპეციალურ საშუალებებიდან გაიღოს, შემდეგში კი კაბინეტის შესანახი (შედა-რებით მცირე) ხარჯები შეიძლება საერთო ხარჯ-აღრიცხვაში ცალკე იქნეს შეტანილი.

---

[1] თუ არ ვცდებით, მოსკოვის არქივთმეცნიერების კაბინეტის ფოტოსტატი, რომ ელიც ამერიკაშია შეძენილი, ღირს 5.000 მანეთამდე.

[2] პირველ ხანებში სრულიად საკმარისი იქნება სათანადო კვალიფიკაციის ერთი თანამშრომლის გამოყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათქვამიდან ცხადია, რომ სრულიად მიზანშეწონილი და დროული იქნება, თუ ჩვენ ახლავე შეუდგებით ამ მიმართულებით მუშაობას. პირველ რიგში უნდა დაიწყოს არქივთმეცნიერების კაბინეტის იმ ნაწილების მოწყობა, რომელთათვისაც საკმაო მასალა გვაქვს. ეს ნაწილებია, როგორც ვნახეთ, საარქივო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საცდელ-საჩვენებელი არქივი, საარქივო მუზეუმი და საკონსულტაციო ნაწილი. ამათ გარდა ახლო მომავალშივე შეიძლება დაიწყოს ფოტოგრაფიული კაბინეტისა და ფოტოლაბორატორიის მოწყობაც. მუდმივი გამოფენების მაგიერ შეიძლება მოკლევადიან ერთდროული საარქივო გამოფენების მოწყობა, თუნდაც ცენტრარქივის ათი წლის მოღვაწეობის დღესასწაულთან დაკავშირებით.

პარალელურად საჭირო იქნება არქივთმეცნიერების კაბინეტის სხვა ნაწილებისათვის საჭირო მასალების მოგროვებისა და შეძენისათვის ზრუნვა, კერძოდ ქიმიურ-ტეხნიკურ ლაბორატორიის იარაღებისა და მოწყობილობის შესაძენად უნდა გადაიდგას ნაბიჯები. ამ დროისთვის-კი ალბად ისეთი მდგომარეობა შეიქნება, რომ შესაძლებელი იქნება ფოტოსტატისა და სხვა საგნების შეძენაზედაც „ოცნებობა“.

ხშირად დიდი საქმე მცირე საშუალებებითა და პატარა მასშტაბით დაწყებულა, მაგრამ, თუ მისი გაკეთება სათანადო ენტუზიაზმითა და ხალისით წარმართულა, ყოველთვის კარგი ნაყოფი და შედეგი გამოულია. ჩვენც ვფიქრობთ, რომ უნიადაგო ოპტიმიზმად ვერ ჩაითვლება, თუ საქართველოში არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსებას ახლო მომავლის რეალურ საქმედ მივიჩნევთ და მას მუშაობისათვის დადებით პერსპექტივას უწინასწარმეტყველებთ.

ყ. ქუთაისელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარქივო მშენებლობა ქუთაისის ოლქში.

ქუთაისსა და ქუთაისის ოლქში საარქივო მშენებლობის „ისტორია“ პირობით შეიძლება სამ პერიოდად გაიყოს. პირველი პერიოდი იწყება 1921, ან უკეთ, 1922 წლიდან და გრძელდება 1925 წლამდე, მეორე პერიოდი—1925 წლიდან 1927 წლამდე, ხოლო უკანასკნელი პერიოდი—1927 წლიდან დღემდე.

პირველი პერიოდი შეიცავს იმ წლების მუშაობას, როდესაც საარქივო საქმის წარმართვა ქუთაისსა და ქუთაისის მაზრაში დაკისრებული ჰქონდა საქართველოს ცენტრარქივის რწმუნებულს,[1] რომელსაც არც ჯამაგირი ეძლეოდა ამ თანამდებობისათვის და არც სხვა თანხები საარქივო საქმის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო-სამეურნეო ხარჯებისათვის. ამ დროს ფაქტიურად ქუთაისში არავითარი საარქივო ორგანო არ არსებობდა (არ იყო არც არქივთსაცავი, არც საარქივო მუშაკთა კადრი და სხვა), რადგან ასეთ ორგანოს არსებობა არ იყო გათვალისწინებული არც კანონმდებლობითა და არც ბიუჯეტით. თავისდათავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ნაყოფიერი საარქივო მშენებლობა შეუძლებელი იყო და ასეთი მშენებლობა ფაქტიურად მართლაც არ სწარმოებდა. მთელი მუშაობა გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ რწმუნებული მეთვალყურეობას უწევდა, რათა არქივები არ დაღუპულიყო. მაგრამ, რადგან მუდმივი საარქივო აპარატი, როგორც ვთქვით, კანონმდებლობითი აქტითა და ბიუჯეტით უზრუნველყოფილი, არ არსებობდა, ამიტომ რწმუნებულის ამგვარი მეთვალყურეობაც უმეტეს შემთხვევაში არსებითად მიზანს კერ აღწევდა: არქივების მოსპობაც კი ამ პერიოდში ვერ იქნა სავსებით აღკვეთილი[2], ხოლო რაც შეეხება სხვა

---

[1] ამ ხანებში რწმუნებულები ჰმოქმედებდენ სხვა მაზრებშიც (იხ. შ. ყ ა რ ა ა მ ა ნ ი ძ ე, სამაზრო საარქივო აპარატების მოწყობისათვის, „საქართველოს არქივი“, წ. I).

[2] ამ პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა რამოდენიმე შემთხვევას, როდესაც დაწესებულების მიერ გაყიდულ ან მოსპობილ იქნა საარქივო მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახის საარქივო მუშაობას, როგორიცაა, მაგალითად, საარქივო ფონდების კონცენტრაცია, მოწესრიგება, აღწერა და სხვა,—ასეთ მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მეორე პერიოდი, როგორც ვთქვით, იწყება 1925 წლიდან, ან უკეთ 1925 წლის დასასრულიდან, როდესაც საქართველოს ცენტრარქივმა თვით იკისრა უშუალოდ ქუთაისსა და ქუთაისის მაზრაში საარქივო საქმის წარმართვა. 1925 წლის დეკემბერში ქუთაისს გახსნილ იქნა საქართველოს ცენტრარქივის განყოფილება, რომლის გამგედ დროებით დაინიშნა ცენტრარქივის მეცნიერი-თანამშრომელი ადგილობრივ მივლინებით[1]. ქუთაისის განყოფილების გამგე ჯამაგირს იღებდა ცენტრარქივიდან და ცენტრარქივიდანვე ეძლეოდა მას მცირე თანხები განყოფილების საორგანიზაციო-სამეურნეო ხარჯებისათვის. არსებითად საარქივო მშენებლობა ქუთაისში იწყება სწორედ ამ განყოფილების დაარსებიდან: განყოფილებისათვის ბინის მოპოება, არქივთსაცავის მოწყობა[2], რევოლიუციის წინადროინდ ზოგიერთ საარქივო ფონდების კონცენტრაცია, დაწესებულებათა ბიბლიოთეკებიდან დაძველებულ წიგნების მიღება[3] და სხვა—ყველაფერი ეს წარმოადგენს განყოფილების ენერგიული მუშაობის ნაყოფს ამ მეორე პერიოდის განმავლობაში. პარალელურად ამავე პერიოდის განმავლობაში გაძლიერებულ იქნა მეთვალყურეობა და კონტროლი მომქმედ დაწესებულებებზე იმ მიზნით, რომ საარქივო მასალების მოსპობა სავსებით აღკვეთილიყო. განყოფილებამ ზოგიერთი რამ სასარგებლო გააკეთა საარქივო საქმის პოპულიარიზაციის მიმართულებითაც: ძველი ტრადიციული დამოკიდებულება არქივებისადმი, რაც არქივებზე წარსულში განმტკიცებულ უარყოფითი შეხედულების შედეგი იყო, ოდნავ მაინც შერყეულ იქნა. მაგრამ განყოფილების შტატი (მთელი ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი თანამშრომელი—გამგე—იყო) და საორგანიზაციო-სამეურნეო თანხაც იმდენად მცირე იყო, რომ განყოფილების მუშაობა ფაქტიურად ქუთაისის ფარგლებს არ გასცილებია და ამ მცირე მასშტაბითაც, მიუხედავად გამგის ენერგიული მუშაობისა, დამაკმაყოფილებლად, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვ-

---

[1] იხ. ცენტრარქივის დირექტორის ბრძანება № 7, 1925 წლის დეკემბრის 5-ს თარიღით.

[2] განყოფილებას ბინა აღმოუჩინა ქუთაისის აღმასკომმა. ეს ბინა წარმოა, დგენს ქუთაისის საოლქო სასამართლოს შენობის ნაწილს (ქვედა სართულს) დროგორც ქვემოდ დავინახავთ, საკმაოდ დამაკმაყოფილებელია.

[3] ამ წიგნებიდან, შემდეგში ამავე გზით მიღებულ წიგნების მიმატებით, შესდგა ბეჭვდითი ნაწარმოებთა ფონდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება: ამ დროს საარქივო მშენებლობის დარგში უფრო მეტი იყო გასაკეთებელი, ვიდრე განყოფილება აკეთებდა; განყოფილებას კიდევ იმ პირობებში, რომელშიაც ის იმყოფებოდა, უეჭველია, არ შეეძლო მეტი შედეგების მოცემა. ერთი წლის შემდეგ მდგომარეობა ქუთაისში უფრო უარესი შეიქნა იმის გამო, რომ ცენტრარქივი უსახსრობის ნიადაგზე იძულებული შეიქნა ქუთაისის განყოფილების ხარჯები თავიდან აეცილებია: განყოფილების გამგე უკან იქნა გამოწვეული[1] და სამეურნეო ხარჯებისათვისაც თანხების გაცემა ცენტრარქივიდან შეწყვეტილ იქნა. საარქივო მუშაობა ქუთაისში ბუნებრივად შეჩერდა და განყოფილებაც ფაქტიურად გაუქმდა[2].

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა თითქმის ნახევარ წელიწადზე მეტი, ე. ი. 1927 წლის ნახევრამდე. ამ დროს ცენტრარქივი მუშაობას აწარმოებდა ადგილობრივი საარქივო ორგანოების (მაშინ ჯერ კიდევ რწმუნებულები ჰმოქმედებდენ მაზრებში) გადახალისებისათვის იმ დებულების მიხედვით, რომელიც გამოცემული იყო სრულიად საქართველოს ცაკის მიერ 1926 წლის სექტემბრის 1-ლს. მაზრებში არსდებოდა სამაზრო საარქივო ბიუროები და ამ ბიუროების შესანახი ხარჯები უნდა შესულიყო სათანადო სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტში. თავისდათავად ცხადია, ასეთივე ბიურო უნდა დაარსებულიყო ქუთაისში და უნდა დაარსებულიყო პირველ რიგში, რადგან ქუთაისი, ტფილისის შემდეგ, ყველაზე უფრო მსხვილ პუნქტს წარმოადგენდა საქართველოში. განყოფილება კი, რომელიც ფაქტიურად უკვე ნახევარ წელიწადზე მეტი აღარ ჰმუშაობდა, ფორმალურადაც უნდა გაუქმებულიყო.

მართლაც, იმავე 1927 წელს შესაძლებელი შეიქნა ქუთაისს დაარსებულიყო სამაზრო საარქივო ბიურო და ამ დროიდან იწყება კიდეც მესამე პერიოდი საარქივო მშენებლობისა აწინდელ ქუთაისის ოლქში. ეს პერიოდი ყველაზე უფრო ნაყოფიერია და უფრო მნიშვნელოვანიც თავის შედეგების მიხედვით: ამ პერიოდში შეიქნა შედარებით ნორმალური პირობები საარქივო მშენებლობისათვის. ფიქტიური საარქივო ინსტიტუტის—რწმუნებულის თანამდებობის—გაუქმება და მის ნაცვლად სამაზრო საარქივო ბიუროს (აწ საოლქო ბიუ-

[1] იხ. ცენტრარქივის დირექტორის ბრძანება № 35, 1926 წლის ნოემბრის 3-ს თარიღით.

[2] ამ დროს რწმუნებული ფორმალურად გაუქმებული არ იყო და იგულისხმებოდა, რომ განყოფილების დახურვის შემდეგ საარქივო საქმეს ის გაუძღვებოდა, მაგრამ რწმუნებული ფაქტიურად ისევე, როგორც პირველ პერიოდში, ამ ხანებშიც არაფერს აკეთებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს) ჩამოყალიბება, არქივთსაცავების გაფართოვება, რევოლიუციის წინადროინდელ საარქივო ფონდების დიდი ნაწილის კონცენტრაციის დამთავრება, საარქივო მასალების მოწესრიგება და წინასწარი აღწერების შედგენა—აი მთავარი მომენტები საარქივო მშენებლობისა ამ პერიოდში.

საარქივო საქმის უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაყენებასა და ბიუროს მუშაობის გაღრმავებას ამ პერიოდში ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ უკანასკნელ დროს (1929 წ.), საქართველოს ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით, ქუთაისის მაზრა გაფართოვდა და ოლქად იქნა გადაკეთებული. ამის გამო თვით ქუთაისის სამაზრო საარქივო ბიურო გადაკეთებულ იქნა საოლქო ბიუროდ. ამ გარემოებამ თავის მხრივ შტატისა და საერთოდ ბიუჯეტის გადიდება გამოიწვია. ბიუროს მოქმედების ასპარეზიც ბუნებრივად გაფართოვდა.

ამ ჟამად საარქივო საქმის დარგში ქუთაისსა და ქუთაისის ოლქში შემდეგი მდგომარეობა გვაქვს.

საარქივო საქმეს ოლქში განაგებს საოლქო საარქივო ბიურო [1]. ბიურო შეადგენს საოლქო აღმასკომის მთლიან აპარატის ნაწილს და იმყოფება მის ბიუჯეტზე [2]. როგორც საოლქო აღმასკომის ყოველი ნაწილი, საარქივო ბიუროც ემორჩილება უშუალოდ აღმასკომის პრეზიდიუმს, ხოლო საარქივო საქმის ხაზით ბიუროს მუშაობას წარმართავს ცენტრალური საარქივო სამართველო. საოლქო ბიუროს ასეთი მდგომარეობა ოლქის სხვა დაწესებულებათა შორის თავისთავად საკმაოდ უზრუნველჰყოფს მის უფლებრივ ავტორიტეტსა და წონას, მაგრამ ბიურო ფართედ სარგებლობს საოლქო აღმასკომისა და სხვა მთავრობის დაწესებულებათა ავტორიტეტითაც, რომელთანაც მას მჭიდრო კონტაქტი აქვს.

ბიურო მოთავსებულია საოლქო სასამართლოს შენობის ქვედა სართულში და უჭირავს ექვსი საკმაოდ მოზრდილი ოთახი. აქედან ერთი ოთახი დათმობილი აქვს კანცელარიასა და ბიუროს გამგეს, ერთი ოთახი განკუთვნილია სამუშაო (ფონდების გასარჩევ) ოთახად, ხოლო დანარჩენი ოთხი ოთახი—არქივთსაცავებადაა მოწყობილი:

---

[1] ქუთაისის სამაზრო საარქივო ბიურო საოლქო ბიუროდ გადაკეთდა 1929 წელს.

[2] ქუთაისის სამაზრო საარქივო ბიუროს დაარსების პირველ წლებში მისი შენახვის ხარჯების ნაწილს იღებდა საქართველოს ცენტრარქივი თავის სპეციალურ თანხებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი—გაურჩეველ და მოუწესრიგებელ საარქივო ფონდებისათვის და ორიც—აღწერილ მასალებისათვის. ახლო მომამავალში ბიუროს გადაეცემა კიდევ ორი დიდი ოთახი იმავე შენობაში: ფორმალურად ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია—ორდერი გაცემულია—და ბიურო უცდის ამ ოთახების განთავისუფლებას სასამართლოს მიერ.

ყველა ეს ოთახები (როგორც უკვე დაკავებული ბიუროს მიერ, ისე გადასაცემად განკუთვნილი) სავსებით დაცულია გარეშე საფრთხისა და სტიქიურ უბედურებისაგან (გატაცებისა, ცეცხლისა, ნიაღვარისა და სხვა შემთხვევებისაგან): კედლები ფუნდამენტალურია, კარები მაგრად იკეტება და ფანჯრებსაც რკინის მოაჯირები აქვთ. მაგრამ სამი ოთახი ამათაგან (ერთი სამუშაო დ ორიც არქივთსაცავად განკუთვნილი) ოდნავ ბნელი და ნესტიანია. სამუშაო ოთახი (ფონდების გასარჩევი) საკმაოდ მოწყობილია და, ოდნავი სინესტეს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სავსებით დამაკმაყოფილებელია: გძელი მაგიდები საქმეების დასაწყობად, პარკეტის იატაკი, დიდი სივრცე და სხვა—დღევანდელ საარქივო პირობების მიხედვით, უკმაყოფილებას ვერ გამოიწვევს. ასევე დამაკმაყოფილებელია გამგის სამუშაო და საკანცელარიო ოთახი: ეს ოთახი დიდ მოცულობასთან ერთად საკმაოდ მშრალი და სინათლიანია. სამაგიეროდ არქივთსაცავების მდგომარეობა და მოწყობილობა დამაკმყოფილებლად ვერ ჩაითვლება: ზოგიერთ ოთახს (სახელდობრ, ორ ოთახს) ცემენტის იატაკი აქვს და, როგორც ვთქვით, ოდნავ ბნელი და ნესტიანია; სტელაჟები უმეტეს შემთხვევაში უვარგისი და დაძველებულია, თაროების ზომა და სისტემა თანამედროვე საარქივო ტეხნიკასთან სრულიად შეფარდებული არ არის [1], მაგრამ, რაც მთავარია, სტელაჟები არ ჰყოფნის ყველა მასალების დასაწყობად და ამიტომ ბიურო იძულებულია საარქივო ფონდების ნაწილი იატაკზე დააწყოს.

რა თქმა უნდა, ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორება ბიუროს ფინანსიურ შესაძლებლობასთან არის დაკავშირებული. ბიურო, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დაწესებულებაა და ამ ცოტა ხანში, რასაკვირველია, უსახსრობის გამო ასეთი ნაკლის აცილებას ის ვერ შესძლებდა. მაგრამ მომავალში ეს დეფექტი უეჭველად უნდა გამოსწორდეს, მით უფრო, რომ საარქივო ფონდე-

[1] ამ მხრივ ქუთაისის საოლქო საარქივო ბიუროს არქივთსაცავები, სამწუხაროდ, საქართველოში გამონაკლისს არ წარმოადგენენ: არამც თუ პროვინციების, არამედ თვით ცენტრალური არქივთსაცავებიც ჩვენში მოწყობილობის მხრივ სრულიად ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე საარქივო ტეხნიკის მოთხოვნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის კონცენტრაციასთან დაკავშირებით ბიუროს ახლო მომავალში უნდა გადაეცეს დიდძალი საარქივო მასალა და, თუ სტელაჟები მოწყობილი არ იქნა, ყოვლად შეუძლებელი იქნება მათი სათანადოდ შენახვა და დაცვა.

ქუთაისის ბიუროს შტატი, მიმდინარე წლის ბიუჯეტის მიხედვით, შესდგება ოთხი კაცისაგან: ერთი გამგე, ორი არქივარიუსი და ერთიც რეგისტრატორი—დამლაგებელი. ამათ გარდა ბიუროში, თითქმის მუდმივად, ჰმუშაობს ერთი ან ორი დროებითი თანამშრომელი, რომელთაც ხელფასი ბიუროს სპეციალურ თანხებიდან ეძლევათ ხოლმე. ბიუროს შტატის თანამშრომლების მდგომარეობა ხელფასის მხრივ, შედარებით თუ ვიმსჯელებთ[1], მაინც და მაინც ცუდი არ არის. გამგეს თვიური ხელფასი უდრის 150 მან., არქივარიუსებისა—50 მანეთს და დამლაგებელისა—30 მანეთს. საყურადღებოა, რომ ქუთაისის ბიუროს თანამშრომელთა კვალიფიკაცია საკმაოდ დამაკმაყოფილებელია: მაგალითად, არქივარიუსებიდან ერთი მაღალი სწავლა-განათლებით არის, ხოლო მეორე—საშუალოთი; რაც შეეხება გამგეს, მას ნაბეჭდი შრომებიც აქვს და საკულტურო მუშაობაში საკმაო სტაჟი მოეპოება. მაგრამ არც ერთ მათგანს სპეციალური საარქივო სწავლა და მომზადება მიღებული არა აქვს. ამის გამო ბიურო, სრულიად სამართლიანად, საარქივო კურსების გახსნის მოლოდინშია და მას განზრახული აქვს ამ კურსებზე ერთი ან ორი თანამშრომელი გადასამზადებლად წარაგზავნოს. ამ საკითხის მოგვარებაში სიტყვა საქართველოს ცენტრარქივს ეკუთვნის: მან უნდა შესძლოს ასეთი კურსების გახსნა ახლო მომავალში და მით დახმარების გაწევა არა მარტო ქუთაისის ბიუროსათვის, არამედ სხვა ოლქებისა და მაზრების საარქივო ბიუროებისათვისაც, სადაც ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა შექმნილი[2].

მიმდინარე წლის ქუთაისის საოლქო აღმასკომის ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებულია აგრეთვე ბიუროს სამნეო-საკანცელარიო ხარჯებიც. ამ ხარჯებისათვის ნავარაუდევი თანხა წელიწადში

[1] საქართველოს სხვა პროვინციებში ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უარესია, მაგრამ არც თვით ცენტრარქივის თანამშრომლების მდგომარეობაა ამ მხრივ სახარბიელო: საშუალო ხელფასი ცენტრარქივის თანამშრომელთა 70 მან. არ აღემატება.

[2] რამდენადაც ვიცით, საქართველოს ცენტრარქივს კიდევაც აქვს განზრახული მიმდინარე წელს გახსნას მოკლე ვადიანი საარქივო კურსები არქივისტების მოსამზადებლად და გადასამზადებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კურსები მალე გაიხსნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდრის 500 მანეთს, რაც თვეში 42 მანეთამდე შეადგენს. ეს თანხა ერთობ მცირეა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ბიუროს სხვა ხარჯებისათვის, როგორიცაა მაგალითად, რაიონებში მივლინების ხარჯები, არქივთსაცავების მოწყობის ხარჯები და სხვა, ბიუჯეტით ცალკე გათვალისწინებული არ არის და რომ, მაშასადამე, ეს ხარჯებიც დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს იმავე თანხიდან. მაგრამ ბიუროს, ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხის გარდა, მოეპოება სპეციალური თანხებიც, რომელიც მაკულატურის რეალიზაციიდან სდგება. გასულ წლებში, როდესაც მაკულატურა კერძო ბაზარზე საჯარო ვაჭრობის წესით იყიდებოდა, ეს თანხა საკმაოდ დიდი იყო [1], მაგრამ მას შემდეგ, რაც კერძო ბაზარზე მაკულატურის გაყიდვა აკრძალულ იქნა და მაკულატურაზე სავაჭრო კომისარიატის მიერ დაწესებული მტკიცე ფასები იქნა შემოღებული, ბიუროს სპეციალური თანხებიც საგრძნობლად შემცირდა. ასე, მაგალითად, უკანასკნელ წელს ეს თანხა მხოლოდ 80 მანეთს უდრიდა. საჭიროა აღინიშნოს ის მზრუნველობითი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენს ბიუროსადმი ქუთაისის საოლქო აღმასკომი ნივთიერი დახმარების გაწევის მხრივ: ყოველ საჭირო და აუცილებელ შემთხვევაში აღმასკომი ცდილობს ერთდროული თანხის გაღებით დახმარება აღმოუჩინოს ბიუროს ბიუჯეტის გარეშეც.

ამისდა მიუხედავად ბიუროს მატერიალური და ფინანსიური მდგომარეობა ამ ჟამად, რა თქმა უნდა, სავსებით დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება: იმ სამუშაოს მიხედვით, რომელსაც ასრულებს და უნდა შეასრულოს ბიურომ მიმდინარე საერთო აღმშენებლობასთან დაკავშირებით, და აგრეთვე იმ ტერიტორიის მიხედვითაც (ოლქის ტერიტორია) [2], რომელზედაც მოქმედება უხდება ბიუროს ქუთაისის მაზრის გაფართოებისა და ოლქად გადაკეთების შემდეგ,— მას რასაკვირველია, გაცილებით მეტი შტატი და მეტი თანხებიც სჭირდება. მაგალითად, ბიუროს სრულიად მოწყობილი არა აქვს ამ ჟამად საინსპექტორო-საინსტრუქტორო აპარატი, არ ჰყავს მეცნიერი თანამშრომელი (არქივისტი) და სხვა, რაც უეჭველია არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

სწორედ ამით (ე. ი. უსახსრობითა და შტატის სიმცირით) აიხსნება ის გარემოება, რომ ბიუროს სასურველ დონეზე არ აქვს

[1] მაგალითად, 1927—1928 წლებში ეს თანხა წელიწადში საშუალოდ 500 მანეთამდე აღწევდა.

[2] აწინდელ ქუთაისის ოლქში შედიან: ყოფ. ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის მაზრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყენებული მუშაობა ადგილებზე: არც სარაიონო ბიუროები და არქივთსაცავები, ან რწმუნებულები, ყოფ. სამაზრო ცენტრებში მაინც, აღმასკომისა და ბიუროს ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის. ასევე მოისუსტებს მომქმედ დაწესებულებათა არქივების დათვალიერებისა და დაშოძღვრის საქმე სწორედ იმის გამო, რომ ბიუროს შტატში ინსტრუქტორის თანამდებობა გათვალისწინებული არ არის. მართალია, ბიუროს მიღებული აქვს ენერგიული ზომები, რათა არქივები არ ნადგურდებოდეს და მომქმედ დაწესებულებათა მიერაც არქივების მოწესრიგებას სათანადო ყურადღება ექცეოდეს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის: საჭიროა ქუთაისის ბიუროს არქივთსაცავში თავი მოეყაროს ყველა იმ საარქივო ფონდებს, რომელნიც ეკუთვნიან რევოლიუციის წინადროინდელ ხანას, ან ლიკვიდირებულ დაწესებულებებს; ბიუროს არქივთსაცავებსავე უნდა გადაეცეს ყველა რევოლიუციის შემდეგდროინდელი საარქივო ფონდები, რომელთაც კი დაწესებული ხანდაზმულობა გაუვიდათ; საჭიროა მომქმედ დაწესებულებათა არქივების დათვალიერება და დამოძღვრა რეგულიარულად ხდებოდეს; საჭიროა აგრეთვე რაიონებში სარაიონო არქივთსაცავების მოწყობა და სხვა. ამ მხრივ ბიუროს დიდი ორგანიზაციული მუშაობის ჩატარება დასჭირდება ახლო მომავალში და სწორედ ახლო მომავალში, ვინაიდან დაყოვნება უფრო ცუდ შედეგებს გამოიღებს და იმ საარქივო მასალების სათანადო მოვლა-პატრონობა, რომლებიც ამ ჟამად შენახულია ქუთაისის ოლქის სხვადასხვა პუნქტებში, მოუხერხებელი შეიქმნება.

ქუთაისი რევოლიუციამდე, როგორც ცნობილია, საკმაოდ ძლიერ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა საქართველოში: აქ იყრიდა თავს მრავალი საკულტურო-საგანმანათლებლო და ნაწილობრივ სამეცნიერო ხასიათის ფუნქციების მქონე დაწესებულებები და ორგანიზაციები. აქვე მოღვაწეობდენ მთელი რიგი ქართველ მოღვაწეებისა, რომელთაც წარსულში საკმაოდ მნიშვნელოვანი ამაგი გაუწიეს ქართულ მწერლობას, ისტორიას და მეცნიერებას. მეორეს მხრივ ქუთაისი იმავე ხანებში დიდი ადმინისტრატიული ერთეულის (გუბერნიის) ოფიციალური ცენტრიც იყო: აქ არსებობდენ ყველა ის დიდი დაწესებულებები, რომელნიც ძველი რუსეთის სახელმწიფო სისტემის მიხედვით საგუბერნიო ქალაქში უნდა ყოფილიყო.

ყველა ამ დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ქართველ ისტორიოგრაფიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი საარქივო მასალები შექმნეს თავიანთი მუშაობა-მოქმედების პროცესის შედეგად წლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში და ეს მასალები რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ ბუნებრივად უნდა გადასცემოდა ჩვენს დროს. მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისის ძველი არქივებიდან მრავალი სავსებით დაიღუპა, ნაწილი კიდევ დაზიანდა. ასე, მაგალითად, ქუთაისის არქივების ნაწილი დაიღუპა 1919—1920 წლებში, სამოქალაქო ომის დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ეს არქივები ტფილისის არქივებთან ერთად, ევაკუაციის წესით, გადატანილი იყო ოსმალეთის ჯარების შემოსევის მოლოდინში 1915 წელს [1]; ნაწილი ქუთაისის არქივებისა განადგურებულ იქნა თვით ქუთაისში 1917—1920 წლებში, როდესაც ფრიად მნიშვნელოვანი საარქივო მასალები სამარცხვინოდ ფუთობით იქნა გაყიდული, როგორც მაკულატურა, ადგილობრივი ხელისუფლების შეუგნებლობის წყალობით; დასასრულ, საბჭოთა ხელისუფლების დროსაც, უკვე 1926 წელს, გაყიდულ იქნა სასამართლოს არქივი, აგრეთვე როგორც მაკულატურა კერძო ვაჭრებზე.[2]

ამრიგად ის საარქივო ფონდები, რომელნიც განადგურებას გადაურჩენ და რომელნიც ამ ჟამად ქუთაისსა და ქუთაისის აწინდელ ოლქის სხვადასხვა პუნქტებში (უმთავრესად ყოველ სამაზრო ცენტრებში) არიან შემონახული, წარმოადგენს რევოლიუციის წინა ხანებში ქუთაისსა და ყოფ. ქუთაისის გუბერნიაში მთელ რიგ დაწესებულებების მიერ შექმნილ მდიდარ და ფრიად მნიშვნელოვან საარქივო ფონდების მხოლოდ მცირე ნაწილს. უმეტესი ნაწილი კი ამ ფონდებისა, როგორც ვთქვით, სამუდამოდ დაიღუპა და განადგურდა. მაგრამ ისიც, რაც დაღუპვას გადაურჩა, წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საარქივო მასალას, რომელსაც შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის მკვლევარს.

ამ მასალის უმეტესი ნაწილი უკვე კონცენტრირებულია და ამ ჟამად ინახება ქუთაისის საოლქო ბიუროს არქივთსაცავში. კონცენტრაციის გარეშე დარჩენილია უმთავრესად ის საარქივო ფონდები, რომელნიც ყოფ. სამაზრო ცენტრებშია შემონახული. ასეთი ფონდების რიცხვი ერთობ უმნიშვნელოა. თვით ქუთაისში კონცენტრაციის გარეშე დარჩენილია მხოლოდ ნაკლებ მნიშვნელობის ფონდები, როგორც, მაგალითად, სასწავლებლების ფონდები და სხვა. სულ ქუთაი-

---

[1] კერძოდ ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში დაიღუპა დიდძალი ძველი ქართული საბუთები, რომელნიც ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამართველოს საარქივო ფონდში იყო მოთავსებული.

[2] ჩრდილოეთ კავკასიიდან დაღუპვას გადარჩენილი არქივები დაბრუნებულ იქნა 1923 წელს და ამ ჟამად ეს არქივები ინახება ცენტრარქივში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის საარქივო ბიუროში ამჟამად თავმოყრილია 40-ზე მეტი საარქივო ფონდი. აქედან 35-დე საარქივო ფონდი მხოლოდ რევოლიუციის წინადროინდელი ფონდებია, დანარჩენი კი—საბჭოთა დროისა.

საარქივო ფონდების საერთო რიცხვიდან უკვე გარჩეულია და წინასწარი აღწერა შედგენილი აქვს 27 საარქივო ფონდს. დანარჩენი ფონდების მოწესრიგება მიმდინარეობს ამ ჟამად. ფონდების გასარჩევად და მოსაწესრიგებლად ბიუროს გამოყოფილი ჰყავს გამრჩევი კომისია, რომელიც გარჩევასთან ერთად პარალელურად აწარმოებს მაკულატურის გამოყოფასაც, თანახმად ცენტრარქივის ინსტრუქციისა[1].

მოვიყვანთ ქუთაისის ბიუროს არქივთსაცავში დაცულ ფონდების სიას, მათი მდგომარეობის მოკლე დახასიათებით.

1. იმერეთის დრებითი მართველობის საარქივო ფონდი[2] შეიცავს სულ 415 საქმეს. ფონდი სრული არ არის: ზოგიერთი საქმეები, ქრონოლოგიური რიგის მიხედვით, დაკარგულად სჩანს. ფონდში დაცულია უმთავრესად 1811—1840 წლების საქმეები, მაგრამ არის აგრეთვე უფრო ადრინდელი (1808 წლიდან) და უფრო გვიანდელი (1880 წლამდე) საქმეებიც. ფონდი გარჩეულია ქრონოლოგიურად და მას შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა. აღწერის დროს ფონდობრივი და ქრონოლოგიური პრინციპი დაცული არ არის. აღწერას საძიებლები არც საკუთარ სახელებისა და არც საგნობრივი შედგენილი არა აქვს. ამისდა მიუხედავად ფონდის მასალებით სარგებლობა შესაძლებელია, როგორც პრაქტიკულ, ისე აგრეთვე სამეცნიერო მიზნითაც.

2. სამეგრელოს დროებითი მართველობის საარქივო ფონდი[3] შედარებით უფრო სრულადაა დაცული. იგი შეიცავს სულ 679 საქმეს. ფონდში დაცულია უმთავრესად 1850—1870 წლების საქმეები, მაგრამ აქაც არის უფრო ადრინდელი (1823 წლიდან) და უფრო გვიანდელი (1888 წლამდე) საქმეები. ფონდი

---

[1] ქუთაისის საოლქო ბიუროს დასამოძღვრებლად ცენტრარქივის მიერ თითქმის რეგულიარულად იგზავნება ისტრუქტორი.

[2] „იმერეთის მართველობის“ შესახებ დებულება, როგორც ვიცით, გამოიცა სოლომონ II ოსმალეთში გაქცევის (1810 წელს) შემდეგ, 1811 წლის აპრილში (იხ. С. Эсадзе, Истор. зап. об. управ. Кавк. I).

[3] სამეგრელოში „მართველობა“ დაწესდა 1857 წელს სამეგრელოს მთავრის ნიკო დადიანის მცირეწლოვანობის გამო; „მართველობა“ გაუქმებულ იქნა 1867 წელს, როდესაც სამეგრელო შევიდა ქუთაისის გუბერნიაში (იხ. С. Эсадзе, Истор. зап. об упр. Кавк. I)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარჩეულია ქრონოლოგიურად და წინასწარი აღწერაც შედგენილი აქვს. აღწერა იმავე წესით არის შედგენილი, როგორც იმერეთის მართველობის ფონდის აღწერა. მასალებით სარგებლობა შეიძლება.

3. გურიის დროებითი მართველობის საარქივო ფონდი[1] დეფექტიანია: ამ ჟამად იგი შეიცავს მხოლოდ 27 საქმეს; დანარჩენი საქმეები დაკარგულია. ფონდის ქრონოლოგიური მიჯნები 1831—1858 წლებით განისაზღვრება. მას შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა უსაძიებლოდ იმავე წესით, როგორც ზემოდ დასახელებულ საარქივო ფონდებს. მასალებით სარგებლობა შესაძლებელია.

4. იმერეთის საეპარქიო კანცელარიის საარქივო ფონდი თითქმის სრულად და უნაკლოდ არის დაცული. იგი შეიცავს დაახლოებით 20.000 ერთეულს. ფონდი ქრონოლოგიურად გარჩეული არის, მაგრამ მას აღწერა ჯერ-ჯერობით შედგენილი არა აქვს. ამის გამო მასალებით სარგებლობაც დაუბრკოლებლად შეუძლებელია. მისი აღწერა ბიუროს შეტანილი აქვს გეგმაში და მომდინარე წელს უნდა დასრულდეს ვარაუდით.

5. საქართველო-იმერეთის სინოდის კონტორის საარქივო ფონდიც აღწერილი არ არის. ფონდი შედარებით კარგად არის დაცული, მაგრამ ერთი ნაწილი საქმეებისა დაკარგულად სჩანს. ამჟამად ფონდი შეიცავს დაახლოებით 400-მდე ერთეულს. მასალებით სარგებლობა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

6. ქუთაისის სასულიერო სემინარიის საარქივო ფონდი შეიცავს დაახლოებით 800-მდე საქმეს. ფონდი აღწერილი არ არის, მხოლოდ ქრონოლოგიურადაა გარჩეული. როგორც სჩანს, ფონდს ზოგიერთი საქმეები დაკარგული აქვს. ამ ჟამად მასალებით სარგებლობა შეუძლებელია.

7. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის მართველობის საარქივო ფონდი შეიცავს აგრეთვე სახელმწიფო ქონებათა საქართველო-იმერეთის პალატის ფონდის საქმეებსაც. სულ ამ ფონდში დაცულია 2364 საქმე. ფონდი გარჩეულია ქრონოლოგიურად და შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა უსაძიებლოდ. შეიცავს 1820—1916 წლების საქმეებს. საქმეებით სარგებლობა შეიძლება.

8. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მართველობის საარქივო ფონდი აღწერილი არ არის. ვარაუ-

[1] გურიაში „დროებითი მართველობა" შემოღებულ იქნა 1830 წელს და გაუქმებულ იქნა 1840 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით შეიცავს 1500-დე ერთეულს. ფონდი შედარებით კარგად არის დაცული. სარგებლობა ჯეჯ-ჯერობით შეუძლებელია.

9. ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის საარქივო ფონდი შეიცავს 1831—1917 წლების საქმეებს. ფონდი სრული არ არის. ამ ჟამად დაცულია სულ 1831 ერთეული. წინასწარი აღწერა შედგენილი აქვს. სარგებლობა შეიძლება.

10. ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს საარქივო ფონდი შეიცავს 1838 საქმეს, 1830-1917 წლებისას. ნაწილი საქმეებისა, ქრონოლოგიური რიგის მიხედვით, აკლია. ფონდს შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა უსაძიებლოდ. სარგებლობა შეიძლება.

11. ქუთაისის გუბერნიის გლეხთა საკრებულოს საარქივო ფონდი დეფექტიანია: შეიცავს მხოლოო 35 საქმეს, დანარჩენი დაკარგულია. ფონდის ქრონოლოგიური მიჯნები განისაზღვრება 1866—1906 წლებით, მაგრამ ამ წლებს შუა ზოგიერთი წლების საქმეები სრულად დაცული არ არის. ფონდი აღწერილია (შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა), სარგებლობა შეიძლება.

12. ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის საარქივო ფონდი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან საქმეებს, მაგრამ დეფექტიანია: დაცულია დაახლოებით 1500-მდე ერთეული. აქედან ამ ჟამად უკვე აღწერილია წინასწარი აღწერის მიხედვით 704 საქმე. დანარჩენის აღწერა მიმდინარეობს.

13. სამეგრელოს, სვანეთის და სამურზაყანოს უმაღლეს წოდების უფლებების გამომრკვევი კომისიის საარქივო ფონდი ერთობ დაზიანებულია: შეიცავს მხოლოდ 102 საქმეს. ფონდის ქრონოლოგიური მიჯნები განისაზღვრება 1825—1900 წლებით. ამათში ზოგიერთი წლების საქმეები სრულად არ არის. ფონდი აღწერილია და სარგებლობაც შეიძლება.

14. იმერეთისა და გურიის უმაღლეს წოდების უფლებათა გამრჩევ კომისიის საარქივო ფონდი კიდევ უფრო დაზიანებულია: დარჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი. ფონდი ჯერ აღწერილი არ არის. მაგრამ ქრონოლოგიურად გარჩეულია და სარგებლობა შეიძლება.

15. ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს საარქივო ფონდი შეიცავს სულ 416 საქმეს. დანარჩენი დაკარგულია. ფონდს შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძველესი საქმე 1803 წელს (?) ეკუთვნის, ხოლო უგვიანესი 1917 წელს. სარგებლობა შეიძლება.

16. ქუთაისის სამაზრო სამართველოს საარქივო ფონდი შეიცავს 1837—1916 წლების საქმეებს. სულ ფონდში დაცულია 1402 ერთეული. ნაწილი საქმეებისა დაკარგულად სჩანს. ფონდი აღწერილია წინასწარი აღწერის მიხედვით. სარგებლობა შეიძლება.

17. ქუთაისის საგუბენიო სასამართლოს საარქივო ფონდი შეიცავს მხოლოდ 346 საქმეს. დანარჩენი საქმეები დაკარგულია. ფონდი გარჩეულია ქრონოლოგიურად და შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა. სარგებლობა შეიძლება.

18. ქუთაისის გუბერნიის პროკურორის საარქივო ფონდი ერთობ დაზიანებულია: შეიცავს მხოლოდ 31 საქმეს. ყველაზე ადრინდელი საქმე ეკუთვნის 1837 წელს (?), ყველაზე გვიანდელი 1867 წელს. ფონდი აღწერილია. სარგებლობა შეიძლება.

19. ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის სამხედრო საკრებულოს საარქივო ფონდი, ან უკეთ მისი ნაშთი შეიცავს ოთხ საქმეს; დანარჩენი დაკარგულია. აღწერილი არ არის.

20. ქუთაისის სამაზრო სასამართლოს საარქივო ფონდი შეიცავს მხოლოდ 29 საქმეს, 1841—1848 წლებისას. უმეტესი და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულია. ფონდი აღწერილია. სარგებლობა შეიძლება.

21. ქუთაისის მაზრის პროკურორის საარქივო ფონდი შეიცავს მხოლოდ 15 საქმეს; დანარჩენი დაკარგულია. დაცულია 1834—1854 წლების საქმეები. ფონდი აღწერილია წინასწარი აღწერის მიხედვით. სარგებლობა შეიძლება.

22. ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსის საარქივო ფონდი შეიცავს მხოლოდ ორმოცამდე საქმეს. დანარჩენი დაკარგულია. აღწერა შედგენილი არა აქვს.

23. ქუთაისის სახაზინო პალატის საარქივო ფონდი დაცულია ნაწილობრივ: ამ ფონდის მეორე ნაწილი ინახება ცენტრარქივში. ფონდი ჯერ აღწერილი არ არის.

24. ქუთაისის ხაზინის საარქივო ფონდი დეფექტიანია: შეიცავს მხოლოდ 12 სიქმეს, 1890—1917 წლებისას. აღწერა შედგენილი აქვს.

25. რაჭის სამაზრო სამართველოს საარქივო ფონდი შეიცავს 121 საქმეს (1832—1880 წ.წ.), დანარჩენი დაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულია. ფონდს შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა. სარგებლობა შეიძლება.

26. ზუგდიდის სამაზრო სამართველოს საარქივო ფონდის ნაწილი შეიცავს სულ 19 საქმეს (1808—1870 წ.წ.), დანარჩენი დაკარგულია. ფონდს წინასწარი აღწერა შედგენილი აქვს.

27. ლეჩხუმის სამაზრო სამართველოს საარქივო ფონდის ნაშთი შეიცავს 2 საქმეს (1868—1869 წ.წ.). აღწერილია.

28. ოზურგეთის სამაზრო სამართველოს საარქივო ფონდის ნაშთი შეიცავს 2 საქმეს (1861—1872 წ.წ.). აღწერილია.

29. ქუთაისის კომენდანტის საარქივო ფონდის ნაშთი შეიცავს რამდენიმე საქმეს. ჯერ აღწერილი არ არის.

30. შავი ზღვის სანაპიროს სამართველოს საარქივო ფონდის ნაშთი შეიცავს რამდენიმე საქმეს. „ფონდი" აღწერილი არ არის.

31. ბაღდადის სამომრიგებლო უბნის საარქივო ფონდი შეიცავს 60-მდე საქმეს. დანარჩენი დაღუპულია. ჯერ აღწერილი არ არის.

32. კავკასიის საოლქო საინტენდანტო სამართველოს საარქივო ფონდის ნაშთი შეიცავს 10 საქმეს. აღწერილი არ არის.

33. უბნის უფროსებისა და ბოქაულების საარქივო ფონდი (?) შეიცავს სენაკის, ოზურგეთის, ტყვიბულის, სამტრედიისა და დიმის უბნის უფროსებისა და ბოქაულების საარქივო მასალებს. ფონდი დეფექტიანია. ჯერ აღწერილი არ არის.

34. ქუთაისის საოლქო სამართველოს და ოლქის უფროსის საარქივო ფონდის ნაშთი ჯერ აღწერილი არ არის.

35. ქუთაისის სამაზრო სასურსათო კომიტეტის საარქივო ფონდი შეიცავს 1921—1922 წლების საქმეებს, სულ 405 საქმეს.ფონდს შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა. მასალებით სარგებლობა შეიძლება.

36. ქუთაისის სამაზრო ერობის საარქივო ფონდი შეიცავს 1918—1921 წლების საქმეებს, სულ 868 საქმეს. ფონდი აღწერილია. მასალებით სარგებლობა შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ქუთაისის განყოფილების საარქივო ფონდი შეიცავს აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის საქმეებსაც 1917 წლიდან 1925 წლამდე. სულ დაცულია 1632 საქმე. აღწერა შედგენილი აქვს. სარგებლობა შეიძლება.

38. ქუთაისის ავტო-გარაჟის საარქივო ფონდი შეიცავს რამდენიმე საქმეს. ფონდი ჯერ აღწერილი არ არის.

39. ქუთაისის სამაზრო რევკომის საარქივო ფონდი შეიცავს 1921—1922 წლების საქმეებს, სულ 250 საქმეს. ფონდს შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა.

40. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის საარქივო ფონდი შეიცავს 1922—1925 წლების საქმეებს, სულ1.298 საქმეს. ფონდი გარჩეულია და შედგენილი აქვს წინასწარი აღწერა. სარგებლობა შეიძლება.

41. ძველ საბუთთა ფონდი შეიცავს ძველ ქართულ სიგელ-გუჯრებისა და მათი პირების მცირე კოლექციას, სულ 15 ერთეულის რაოდენობით. კოლექცია ჯერ აღწერილი არ არის.

42. ბეჭდითი მასალების საარქივო ფონდი შეიცავს დაახლოებით 1500 სხვადასხვა წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებს: „Русская старина“, „Русский архив“, “Русское богатство“, Кавказский календарь“, Северный вестник“, „Отечественные записки“ და სხვა. არც ერთი გამოცემის კომპლექტი სრული არ არის. ფონდს აღწერა ჯერ შედგენილი არა აქვს. განზრახულია ამ ფონდიდან შესდგეს საარქივო ბიბლიოთეკა.

მ. ივაშჩენკო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საარქივო საქმე აფხაზეთში

საარქივო საქმის ორგანიზაცია აფხაზეთში მხოლოდ 1929 წელს დაიწყო. დაწყების მთავარ მიზეზად მაკულატურის შეგროვების კამპანია შეიქნა, რამაც აუცილებელი გახადა ისეთ ორგანოს არსებობა, რომელიც ხსენებულ კამპანიას უხელმძღვანელებდა.

1929 წლის 15 მარტს აფხაზეთის ცაკ-ის დადგენილება გამოქვეყნდა, რესპუბლიკაში საარქივო საქმის ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ. ამ დღიდან უნდა ჩაითვალოს აფხაზეთის ცენტრარქივის იურიდიულად არსებობის დასაწყისი.

აფხაზეთის ცაკი-ს ზემოხსენებული დადგენილების მიხედვით, ცენტრარქივი განათ. კომისარიატის უწყებაში შედის, მაგრამ საერთო ზედამხედველობა ცაკს ეკუთვნის; ფაქტიურად ყველა განკარგულებანი, ცირკულიარები და სხვა საარქივო საქმის ორგანიზაციისათვის ცაკ-იდან გამომდინარეობს.

ამ ჟამად ცენტრარქივის დებულების შეცვლის შესახებ საკითხი უკვე აღძრულია და ცენტრარქივი აფხაზეთის ცაკ-ის უშუალო გამგებლობაში გადავა.

ცენტრარქივს დაარსების პირველ დღიდანვე დიდი დაბრკოლებები გადაეღობა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სათანადო ბინის უქონლობა და მისი გამონახვა, რომელიც არც ისე ადვილი საქმეა საერთო ბინის კრიზისის დროს. დიდი ძიების შემდეგ სოხუმის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ მას ორი ოთახი დაუთმო, საერთო სივრცით 70 კვ. მეტრი, სამ სართულიან შენობის ქვედა სართულში. ხსენებულ შენობაში მოთავსებულია სახელმწიფო თეატრი და სასტუმროც. ამ ჟამად არქივის ოთახებს გათბობა არა აქვს, მაგრამ მისი მოწესრიგების იმედი უნდა ვიქონიოთ.

შენობის გამონახვის შემდეგ, საკითხი აღიძრა მისი მოწყობის შესახებ. სახსრების უქონლობის გამო შევძელით მხოლოდ სამი დიდი სტელაჟის გაკეთება დაახლოვებით—140 მეტრი. 1929/30 წწ. ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებულია კიდევ 270 მეტრის გაკეთება. თაროები ნორმალური ზომისაა, ე. ი. 40 სანტ. განი და ამავე ზომით ერთმანეთისაგან დაშორებული. გასული წლის აგვისტოში დამთავრდა ბინის მოწყობა და დაიწყო საარქივო ფონდების თავის მოყრა. აქამდე ცენტრარქივის მუშაობა დაწესებულებათა არქივებიდან მაკულატურის გამოყოფაში და დაწესებულებების ამ მიმართულებით ინსტრუქტირებაში გამოიხატებოდა. ამ მხრივ საგრძნობ შედეგებს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაღწიეთ. დაწესებულებების უმრავლესობას ცოტათ თუ ბევრათ საარქივო საქმე მოწესრიგებული ჰქონდა: სათანადო ბინები, დაწყებული ჰქონდათ არქივების გარჩევა, აღწერების შედგენა და სხვა. ასეთი მუშაობა ფერხდებოდა, წინათ და ეხლაც სახსრების უქონლობის გამო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო თანამშრომლის დაქირავება და მუშაობის სისტემატიურათ გაგრძელება.

როგორც ვსთქვით, აგვისტოდან დავიწყეთ საარქივო ფონდების შეგროვება. ამათგან აღსანიშნავია სოხუმის ეპარქიის არქივი 1868 წლიდან ვიდრე 1920 წლამდე, იგი შეიცავს 7/8 ათას ერთეულს და მრავალ საინტერესო ისტორიულ ცნობების შემცველია. გადმოტანისას არქივი ქაოტიურ მდგომარეობაში იყო, ამ ჟამად ქრონოლოგიურათ გარჩეულია და ახლო მომავალში აღწერის შედგენა დაიწყება.

ამას გარდა აღსანიშნავია პატარა საარქივო ფონდები, სოხუმის საეკლესიო ძმობის და სომხეთის ნაციონალურ საბჭოსი (1918-1920 წწ.). ახლო მომავალში გადმოტანილი იქნება აგრეთვე სოხუმის ყოფილ ქალაქის თვითმართველობის, სოხუმის საბაჟოსი და ნავთსადგურის არქივები. სოხუმის ოლქის სხვა მნიშვნელოვანი არქივების დიდი უმრავლესობა საბოლოოდ დაიღუპა.

რაც შეეხება საბჭოთა ხანის საარქივო ფონდებს ჯერჯერობით ცენტრარქივს გადმოეცა შემდეგი დაწესებულებების და ორგანიზაციების არქივები:

1. აფ. საბჭოთა სოც. რესპუბლიკის ცაკის 1922-24 წწ., 113 ერთეული.

2. ა. ს. ს. რ. შინ. საქ. კომის. 1921-23 წწ. 205 ერთ.

3. ჯანმრთ. განყოფ. 1921-23 წწ. 40 ერთ.

4. შრომ. კომის. რწმუნებულის—1922—26 წწ. 149 ერთ.

5. სოხუმ. ფ. ტელ. კონტ. და მის ხელქვ. მყოფ დაწესებ. 1918-27 წწ. 171 ერთ.

6. მედსანშრომის—1922-26 წწ., 74 ერთ.

ამას გარდა გადმოცემულია გაუქმებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა არქივები:

1. „პოკოტრანს“ 1916-27 წწ., 109 ერთ.

2. სოხუმის ადგილობრივი ლაზარეთის 1921-22 წწ., 39 ერთ.

როგორც ვხედავთ, გადმოცემულ არქივთა რაოდენობა მცირეა. ეს გარემოება მუშაობისთვის არა ხელსაყრელ დროით უნდა აიხსნას: როგორც ვსთქვით, მუშაობა აგვისტოში დაიწყო, ხოლო აგვისტო და სექტემბერი თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნის თვეებია. შვებულების დასრულების შემდეგ რა თქმა უნდა მუშაობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო.

ცენტრარქივის 1930 წლის საპერსპექტივო გეგმაში შედის: საარქივო ფონდების შეგროვების გაგრძელება, მათი წესრიგში მოყვანა, ე. ი. ფონდებათ დაყოფა, ქრონოლოგიურ წესრიგში მოყვანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ აღწერების შედგენა, ან შედგენილის შესწორება. ამას გარდა განზრახულია საფუძველი ჩაეყაროს ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივს.

რაც შეეხება საარქივო საქმის დაყენებას აფხაზეთის რესპუბლიკის მაზრებში, აღსანიშნავია შემდეგი: აფხაზეთის ცაკ-ის განკარგულებით (ა/წ. 15 მარტი) მოწყობილია სამაზრო საარქივო ბიუროები, ცაკ-ის მიერ დამტკიცებულია ინსტრუქცია სამაზრო ბიუროთა შესახებ, რომლის თანახმად ბიუროთა ორგანიზაციის მოწყობა და კმაყოფა სამაზრო აღმასკომებს ევალება. თუ როგორ გატარდა ცაკ-ის ეს განკარგულება ადგილებზე, ამის შემოწმება ჯერჯერობით არ მოხერხდა, რადგანაც ცენტრარქივის ერთადერთ თანამშრომელს დღემდე საშუალება არ ჰქონდა მაზრებში ემოგზაურა.

დ. ს—შვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი საბჭოთა არქივი.

არქივალიების სისტემატიზაციისათვის, მსგავსად სხვა საბჭოთა ქვეყნებში არსებულ წესისა, საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მიერ ჩვენს არქივებში შემოღებულია შემდეგი წესი: ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი ქრონოლოგიური ნიშნების მიხედვით იყოფა ორ მთავარ ნაწილად:

ა) პირველ ნაწილს შეადგენს რევოლიუციის წინადროინდელი საარქივო ფონდები, ე. ი. ის სარქივო ფონდები, რომელიც დაგროვდა 1917 წლამდე, ბ) მეორე ნაწილს შეადგენს რევოლიუციის შემდეგ-დროინდელი საარქივო ფონდები, ე. ი. ის ფონდები, რომელიც დაგროვდა 1917 წლის შემდეგ.

მთელი ეს მასალა განაწილებულია ცენტრალურ და ადგილობრივ არქივთსაცავებს შორის. ცენტრალური არქივები იყოფა ორ მთავარ ნაწილად: ა) ერთ ნაწილს შეადგენს საისტორიო არქივები, ბ) ხოლო მეორეს—საბჭოთა არქივები.

ცენტრალური საბჭოთა არქივები იყოფა ორ განყოფილებად—ა) მთავარი საბჭოთა არქივი და ბ) წითელი არმიის არქივი.

საარქივო ფონდები, რომელიც დაგროვდა რევოლიუციის შემდეგდროინდელ ხანიდან, თავს იყრის საბჭოთა არქივებში: ა) მთავარ საბჭოთა არქივში—საბჭოთა ცენტრალურ დაწესებულებათა არქივები, ბ) წითელ არმიის არქივში—წითელ არმიისა და საერთოდ სამხედრო ორგანიზაციების არქივები.

თვითეულ არქივში საარქივო მასალა განაწილებულია ფონდის მიხედვით. ფონდი მთლიანად და დაუშლელად ინახება. ყოველი მიღებული ფონდი მოწესრიგებულია ქრონოლოგიურ პრინციპის მიხედვით. ამ პრინციპის მიხედვითვე სწარმოებს მასალების დალაგება არქივში [1].

საბჭოთა არქივში ამ ჟამად დაგროვილია შემდეგი მომქმედ დაწესებულებათა და ლიკვიდირებულ დაწესებულებათა არქივები: 1) სახალხო განათლების კომისარიატისა, 2) რკ.-გზ. სადგურების—ტფილისის და ნავთლუღის კომენდანტის სამმართველოსი, 3) ბაქოს ნავთსადგურის და სადგურის კომენდანტისა, 4) ლენინაკანის სადგურის კომენდანტისა, 5) ერევნის სადგურის კომენდანტისა, 6) ჩრდილ. კავკ. საავტო ვაჭრობის საზოგადოებისა, 7) ფინანხკომის კანცელარიისა.

---

[1] ამის შესახებ იხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, არქივალიების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპები („საარქივო საქმე", წ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) საგარეო ვაჭრობისა, 9) საპედაგოგიო ინსტიტუტისა, 10) ცეკავშირისა, 11) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, 12) შინაგან საქმეთა კომისარიატისა, 13) „ჩემო"-ს სააქციო საზოგადოებისა, 14) მიწათმოქმედების კომისარიატისა, 15) სააქციო საზოგადოება „სოიუზხლებ"-ისა. 16) მე-12 ტეხნიკუმის, 17) მე-9-ე და მე-14 ტეხნიკუმების, 18) თვალის სნეულებათა ინსტიტუტისა, 19) ა-კ. გზათა ტრანსპორტისა, 20) რუს-ოსმალთა საექსპორტო-საიმპორტო სააქციო საზოგადოება „რუსო—ტიურკი" 21) მალაკნების კოოპერატივის „პოტრებიტელ"-ს 22) საბჭოთა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის ბანკის სრულიად საქართველოს კანტორისა, 23) ა-კ. განყოფილების, „Известия ЦИК СССР и ВЦИК" საარქივო საქმეების ანაწერი, 24) საქ. სახალხო მამულების ტრესტის, 25) ქ. ტფილისის საბინაო სასამართლოსი, 26) ა-კ. მთავარ საბჭოს სამმართველოს განყოფილებისა, 27) შინამრეწველობის ხელოსანთა საზოგადოებისა, 28) სარევოლიუციო ტრიბუნალისა აღმოსავლეთ საქართველოში, 29) ა-კ. სატელეგრაფო სააგენტოსი („ზაგტაგი), 30) საქ. სახ. მეურ. უმაღლესი საბჭოსი, 31) აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოსი.

წითელ არმიის არქივში ინახება შემდეგი ფონდები: 1) სამხედრო სატრანსპორტო ცალკე საკადრო ეშელონისა, 2) სატრანსპორტო ჯარის ნაწილების სასურსათო პუნქტების სამხედრო მიმოსვლის სამმართველოს უფროსისა, 3) კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მე-2-ე ცალკე რადიო-ათასეულისა, 4) ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლისა, 5) წითელ არმიის შტაბის მე-3-ე განყოფილებისა, 6) ქართული დივიზის სამხ. ტრიბუნალის, 7) კავკასიის წითელი არმიის სამხედრო ტრიბუნალისა, 8) სახელგამის ა-კ. განყოფილებისა, 9) კავკასიის წიოელი არმიის აზერბაიჯანის მთა-მადნის მუშათა კავშირის სახელობის სამხედრო პოლიტიკური სკოლისა, 10) ტფილისის გარნიზონის საბეითლო საავადმყოფოსი, 11) კავკასიის წითელი არმიის სასწავლო სამჭედლოსი, 12) მე-14-ე ცალკე ადგილობრივი მსროლელი ათასეულისა შტაბისა, 13) წითელი არმიის სამხედრო მიმოსვლის სამმართველოსი, 14) ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლისა, 15) ა-კ. ქვეითი სკოლისა.

ფონდების საერთო რიცხვიდან დამუშავებულია და გარჩეულია 21 ფონდი (18.779 ერთეული), ინვენტარულად აწერილია—5 (7.737 ერთეული), ჩასაბარებელი სიით მიღებულია—19 ფონდი (11.142 ერთეული).

საინვენტარო აღწერებში საქმეები შეტანილია სათაურებით.

საარქივო მასალები მოთავსებულია ერთ ოთახში თაროებზე და ნაწილობრივ ადგილის უქონლობის გამო იატაკზე. ნაწილი ფონდებისა აგრეთვე თავისუფალ ადგილის უქონლობის გამო იმყოფება მთავარ-საისტორიო არქივის ოთახებში. იმ მასალის რიცხვის მიხედვითაც, რაც მთავარ საბჭოთა არქივში უკვე თავმოყრილია, ბინა რასაკვირველია, საკმარისი არ არის.

საბჭოთა არქივში დაგროვილი არქივალიები ჯერ-ჯერობით ზემოაღნიშნულ ფონდებს შეადგენს. სახელმწიფო დაწესებულებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსაცემი არქივების ხანდაზმულობა აქნობამდის ხუთი წლის ვადით განისაზღვრებოდა, ე. ი. სახელმწიფო დაწესებულებანი ვალდებული იყვნენ თავიანთი არქივები გადმოეცათ ცენტრარქივისთვის ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ და ამნაირად არქივალიების კონცენტრაცია საბჭოთა არქივში 1927-28 წლებში დაიწყო.

ხოლო ახლა ეს ხანდაზმულობა, ცენტრარქივის მიერ ახლად შემუშავებული პროექტის მიხედვით, ისე როგორც რუსეთში, ათი წლით განისაზღვრება. ამნაირად, თუ ახალი პროექტი შემოღებულ იქნა, საბჭოთა არქივში კვლავ დაიწყება კონცენტრაცია ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა არქივალიებისა 1931 წლიდან. მაგრამ თუ ძველი წესი იქნა დატოვებული, მაშინ მასალების კონცენტრაცია, რომელიც ახლაც სწარმოებს, განუწყვეტლივ გაგრძელდება; ასე რომ ორივე შემთხვევაში საბჭოთა არქივი უნდა გაიზარდოს საგრძნობლად.

ამ ჟამად საბჭოთა არქივი, როგორც სხვა არქივები, მოთავსებულია ერთს ძველ შენობაში და უკვე დიდი სივიწროვის გამო არ არის შესაძლებლობა არქივების სათანადოდ დალაგება—დაწყობისა. საბჭოთა არქივისათვის, რომელიც, როგორც ვნახეთ, უაღრესად მნიშვნელოვან ფონდებისთვისაა განკუთვნილი, აუცილებელია სავსებით განცალკევებული შენობა. ამას ეთანახმება თვით ცა კ-ი ს დადგენილებაც[1] ცენტრარქივის ახალ შენობის აგების შესახებ და ამიტომ უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენ მალე გვექნება ცალკე შენობა.

როგორც დავინახეთ, საბჭოთა არქივს ამ ჟამად ერთი განყოფილება აქვს—წითელ არმიის არქივი. ხოლო შემდეგში ასეთი განყოფილებები სხვაც იქნება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მომავალში საბჭოთა არქივში, როგორც ვთქვით, თავს მოიყრის მრავალი სხვა დაწესებულებათა არქივები. პირველ რიგში უნდა დაარსდეს შრომის არქივი, საბჭოთა იუსტიციის არქივი და სხვა. პარალელურად უნდა დაიწყოს ამ მასალების მიხედვით საბჭოთა აღმშენებლობის შესწავლა. ამისთვის კი წინასწარ საჭირო იქნება საბჭოთა არქივებისთვის აღწერათა და მაჩვენებელთა შედგენა, რაც ახლო მომავალში უნდა დაიწყოს.

---

[1] ცა კ-ის დადგენილება 1928 წლის 28 ნოემბრის თარიღით, ოქმი №-25 (ს აარქივო საქმე, I).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული არქივი.

(მოკლე მიმოხილვა)

ამიერ კავკასიაში 1868 წელს გახსნილ სასამართლოს დაწესებულებებს სპეციალური არქივები არ ჰქონიათ. დასრულებული საქმეები ამიტომ ამა თუ იმ დაწესებულების კანცელარიის შკაფებში ინახებოდა, მდივნის თანაშემწის ზედამხედველობის ქვეშ. პირველ ხანებში დასრულებულ საქმეთა შენახვის ასეთი წესი, საქმეების სიმცირის გამო არავითარ უხერხულობას არ იწვევდა, მაგრამ დროთა ვითარებაში საქმეთა რიცხვის ზრდა, სათანადოთ მოუწყობელ და პატარა სასამართლოს დაწესებულებათა შენობებში აუცილებლობას ჰქმნიდა, რათა სპეციალურ არქივთსაცავებზე და არქივების მოწყობაზე ეზრუნათ. საოლქო სასამართლოები შუამდგომლობით მიჰმართავდენ უმაღლეს ორგანოებს, მოეწყოთ არქივები, როგორც ადგილობრივ ისე მის ხელქვევით დაწესებულებებში, თანამშრომელთა სათანადო შტატით (მაგ. იხ. ტფილისის სასამართლო პალატის განმაწესრიგებელ მაგიდის საქმე № 20, 1872 წ., აგრეთვე იმავე ფონდიდან საქმე № 103, 1880 წ.).

სათანადო ინსტანციების განვლის შემდეგ შუამდგომლობანი შეწყნარებულ იქნა და ყველა სასამართლოს დაწესებულებებში საკუთარი არქივები დაარსდა. აღსანიშნავია ტფილისის საოლქო სასამართლოსა და ტფილისის სასამართლოს პალატისათვის ერთი საერთო არქივის დაარსება.

ამ რიგად 1868 წლიდან სასამართლოს დაწესებულებათა არქივებში დაგროვდა დასრულებულ საქმეთა უამრავი რაოდენობა, რომელიც ძვირფასი მასალაა მეცნიერულ და პოლიტიკურ თვალსაზრისით. რუსეთის თვითმპყრობელობის დროს ამ არქივების კარები მკვლევართათვის დახშული იყო, იგი მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ გაიხსნა და დაინტერესებულ პირთ საშუალება მიეცათ დაცულ მასალით ფართოდ ესარგებლათ.

საარქივო მშენებლობა და არქივების ცენტრალიზაცია საქართველოში 1920 წლიდან დაიწყო, როცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ ცენტრალურ სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ კანონი გამოსცა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არქივებს საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია.

საარქივო მასალათა ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის გატარების დროს საქართველოს ცენტრალურ არქივის გამგებლობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გადავიდა ტფილისის ყოფ. საოლქო სასამართლოს, სასამართლო პალატის მათთან არსებულ საპროკურორო ზედამხედველობების, და სასამართლოს სხვა დაწესებულებათა არქივები, რომელნიც საფუძვლად დაედვენ ცენტრალური არქივის იმ დიდ განყოფილებას, რომელსაც დღეს ი უ რ ი დ ი უ ლ ი ა რ ქ ი ვ ი ეწოდება.

საქ. ცენტრარქივმა იურიდიულ არქივს გადასცა კავკ. სამხ. საოლქო სასამართლოს არქივები მასთან არსებულ საპროკურორო ზედამხედველობითურთ, აგრეთვე სამხედრო სასამართლოთა, რომელნიც იმპერიალისტურ ომის დროს კავკასიის არმიასთან არსებობდენ. გარდა ამისა იუსტიციის სახ. კომისარიატის სასამართლო დაწესებულებებიდან იურიდიულ არქივს გადმოეცა საქართველოს გასაბჭოებამდე დაგროვილი საქმეები. მომავალში ცენტრარქივის მიერ დადგენილ წესების მიხედვით იურიდიულ არქივს გადაეცემა ყველა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგდროინდელი საქმეებიც.

ამ ჟამად **იურიდიული** არქივი შემდეგ ფონდებისაგან შედგება:

1. ტფილისის სასამართლო პალატის:
   ა) ტფილ. სასამ. პალატის უფროსი თავმჯდომარის კანცელარიის,
   ბ) 1 და მე-2 სისხლის სამართლის დეპარტამენტების,
   გ) 1, 2, 3 და 4 სამოქალაქო დეპარტამენტების,
   დ) ტფილისის სასამ. პალატის პროკურორის კანცელარიის,
2. ტფილისის საოლქო სასამართლოს:
   ა) ტფილ. საოლქო სასამარ. თავმჯდომარის კანცელარიის,
   ბ) 1 და 2 სისხლის სამართლის განყოფილებების,
   გ) 1 და 2 სამოქალაქო განყოფილებების,
   დ) ტფ. საოლქო სასამარ. პროკურორის კანცელარიის,
3. ქალ. ტფილისის 1, 2, 3 და 4 მომრიგებელი განყოფილებანი.
4. კავკ. სამხ. საოლქო სასამართლოს მასთან არსებულ საპროკურორო ზედამხედველობითურთ და იმპერიალისტურ ომის დროს კავ. არმიასთან დაარსებულ სამხედრო სასამართლოების:
   ა) კავკ. სამხ. საოლქო სასამართლოს,
   ბ) კავკ. სამხ. საოლ. სასამ. პროკურორის კანცელარიის,
   გ) კავკ. საარმ. კორპ. შტაბთან არსებული სამხედრო სასამართლ. ნაწ. გამგის,
   დ) კორპუსების სასამართლოების,
   ე) კავკ. საარმ. 1 კორპუსის,
   ვ) კავკ. საარმ. 1 და 6 კორპუსების,
   ზ) კავკ. საარმ. 2 კორპ. და თურქესტ. საარმიო 5 კორპუსის,
   თ) თურქესტ. საარმ. 2 კორპუსის,
   ი) მე-4 საარმიო კორპუსის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია) მიხეილის სახელობის სიმაგრის, ციხის სასამართლო,
იბ) ზურგის სასამართლოს,
იგ) ამ სასამართლოებთან არსებული საპროკურორო ზედამ-ხედველობის.

5. მენშევიკურ ხანის:
ა) იუსტიციის სამინისტროს,
ბ) ამ სამინისტროსთან არსებულ კანონების გადამსინჯავ კომისიის,
გ) საქართველოს სენატის,
დ) სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის,
ე) სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის,
ვ) საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულოსი,
ზ) დეპარტამენტის საერთო კრებისა,
თ) პირადი შემადგენლობის,
ი) საგანგებო სასამართლოს,
ია) მომრიგებელ მოსამართლეთა სამაზრო ყრილობის,
იბ) კავკ. წითელ დროშ. არმიის სამხედრო ტრიბუნალისა (1925/26 წლ.),
იგ) ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალისა (1924,—25—26 წლ.).

საარქივო მასალათა გარჩევას და წესრიგში მოყვანას თავიდან-ვე კომისია აწარმოებდა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა არქი-ვის გამგე, ერთი არქივისტთაგან, და იუსტიც. სახ. კომის. წარმომად-გენელი ტეხნიკურ თანამშრომელთა მცირე შტატით. მუშაობა სწარ-მოებდა იქვე, სადაც არქივები ეწყო იუსტ. სახ. კომისარიატის შე-ნობის სხვადასხვა ოთახებში. არქივების ადგილობრივ გარჩევა თა-ვიდან გვაცილებდა ზედმეტ ქაღალდის გადატანას, მეორე მხრით არ გვაწყვეტინებდა ცნობების გაცემას კერძო პირთა და თვით სახ. კომისარიატის უამრავ მოთხოვნილებით.

იმის გამო, რომ არქივის თანამშრომლებს მუშაობის დაწყების დროს უხდებოდათ სასწრაფო დავალებათა რიგს გარეშე შესრულე-ბა, სამუშაოებს არ ჰქონდა გეგმითი ხასიათი; მაგრამ 1926 წ. აპრი-ლიდან უკვე მუშაობა ნორმალურ მდგომარეობაში გადავიდა, სდგე-ბა საპერსპექტივო გეგმები, რაც უმეტეს შემთხვევაში სისრულეში მოგვყავს.

მალე უამრავ უვარგის ქაღალდების დაგროვებამ არქივებში მუშაობა შეუძლებელი გახადა, ამიტომ მთავარი ყურადღება მიქცეულ იქნა ამ მიმართულებით; გამოყოფილ იქნა მეცნიერებისა და პრაქ-ტიკულ საჭიროებისათვის გამოუყენებელი მასალები, და როგორც მაკულატურა იყიდებოდა საჯარო ვაჭრობაზე ცენტრარქივის ზედა-მხედველობით. საარქივო მასალების გარჩევა ცენტრალურ არქივის მიერ გამომუშავებულ ინსტრუქციის მიხედვით სწარმოებდა, რომლი-თაც პოლიტიკური, ისტორიული, საყოფაცხოვრებო და ვადაგაუს-ვლელი მასალები ხელშეუხებლად ითვლება. ამასთანავე აღსანიშნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია, რომ პოლიტიკური ხასიათის საქმეები, რომელნიც დიდ ინტერეს იწვევდა, როგორც პარტიულ და საზოგადო ორგანიზაციებში, ისე დაწესებულებებსა და კერძო პირთა შორის, გამოყოფილ იქნა სხვადასხვა ფონდებიდან და ქრონოლოგიურად და საარქივო წესრიგში მოყვანის შემდეგ სათანადო აღწერებით გადაეცა საქართველოს რევოლიუციის მუზეუმს, ასე მაგალითად ტფილ. სასამართლო პალატის სისხლის სამართლ. დეპარტამენტის პოლიტიკურ ხასიათის საქმეებიდან 875 საქმე, ტფილ. სასამართლ. პალატის პროკურორის საქმეებიდან 298 საქ., ტფილ. საოლქო სასამართლოს პროკურორის საქმეებიდან 226 ს., და კავკ. სამხ. საოლქო სასამართლოს საქ. 503 საქმე.

გარდა ზემოხსენებულისა რევოლიუციის მუზეუმს გადაეცა სხვადასხვა ფონდებიდან გამოკრებილი 159 პოლიტ. ხასიათის საქმეები.

სათანადო მოთხოვნილებით და განკარგულებით აზერბაიჯანის რესპუბლიკას გადაეცა ტფილ. სასამართლ. პალატის სამიჯნაო დეპარტამენტის საქმეებიდან 1201 საქმე. ამავე პალატის სისხლის სამართლ. დეპარტ. საქმეებიდან 300 საქმე, და პირველ სამოქალაქო დეპარტამენტის საქმეებიდან 700. საქმეები გადაეგზავნა აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკას, სამიჯნაო საქმეებიდან 242 საქ., სასამ. პალატ. 1 სისხლ. სამ. დეპარტამენტის საქმეებიდან 88 საქ., და ამავე პალატის 1 ინსტანციის საქმეებიდან 52 საქმე. გარდა ამისა სომხეთის რევ. მუზეუმს გადაეცა 30 პოლიტიკურ ხასიათის საქმე.

მუშაობის დაწყების დღიდან გარდა ზემოხსენებულ ფონდებისა სათანადო წესით დღემდე გარჩეულია შემდეგი ფონდები: ტფილისის სასამ. პალატის უფროსი თავმჯდომარის კანცელარიის, ამავე სასამ. პალატის პროკურორის, სასამ. პალატ. 1 და 2 სისხლ. სამართ. დეპარტამენტების, სამიჯნაო საქმეები ტფილისის სასამართლოს პალატის და საოლქო სასამართლოს 1 და მე-2 სისხლის სამართლ. განყოფილებების, ტფილისის საოლქო სასამართლ. პროკურორის კანცელარიის, კავკ. სამხ. საოლქო სასამართლოს და სამხედრო სასამართლოთა. ინვენტარულად აღწერილია საქმეები: ტფილ. სასამართ. პალატის უფროსი თავმჯდომარის კანცელარიისა, რიცხვით 2425 საქმე, ტფილ. საოლქო სასამართლ. კანცელარიის 2450 საქ., ტფილისის სასამართლო პალატის კანცელარიის 278 საქართველოს, ტფილ. საოლქ. სასამართლ. პროკურორის 442 საქ., ტფფილ. სას. პალ. 1 ინსტანციის 336 საქ., სამინჯო საქმ. ტფ. სას. პალ.—1539 საქ., ტფილ. საოლქ. სასამ. 259 საქ., და კავკ. სამხ. საოლ. სასამარ 3941 საქმე.

ამ ჟამად იურიდიულ არქივის თანამშრომელთა რიცხვი შესდგება გამგისაგან, იუსტიც. სახ. კომისარიატის წარმომადგენელის და ერთ ტეხნიკურ თანამშრომლისაგან. 1927 წ. დასაწყის და დასასრულს შრომის ბირჟის მიერ ცენტრარქივში მოწყობილ იქნა საზოგადო სამუშაოები, საიდანაც იურიდიულ არქივში გადმოგზავნილი რამდენიმე უმუშევარი, წმინდა ტეხნიკურ ხასიათის სამუშაოებს ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებდენ: საქმეების საარქივო წესრიგში მოყვანა, ე. ი. ფურცლების ჩაკერება, დაწებვა, და პაგინაცია, მხოლოდ სამ უმუშევარ-თაგანს მიენდო საინვენტარო აღწერის წარმოება. იურიდიულ არქივის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად არქივის მუშაკთა ზემოაღნიშნული რაოდენობა, რა თქმა უნდა საკმარისი არ არის.

იურიდიულ არქივის მომავალ მუშაობისათვის აუცილებელია: 1) ყოფილ სასამართლო დაწესებულებათა არქივების კონცენტრაცია, როგორც სასამართლოების რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგ დროინდელი, რომელნიც ამ ჟამად ცენტრარქივში ინახებიან, ე. ი. 1868 წ. ვიდრე 1921 წ., და აგრეთვე იუსტიც. სახ. კომისარიატის ხელქვევით მყოფ დაწესებულებათა საარქივო მასალა, მათ რიცხვში დამცველთა კოლეგიის არქივებიც (სამაზრო დაწესებულებათა არქივები თავს იყრის სამაზრო საარქივო ბიუროებში). მაშინ იურიდიულ არქივში წარმოდგენილ იქნება ჩვენი ქვეყნის უფლებრივი და ყოფაცხოვრების მთლიანი სურათი. 2) გარჩევა არსებითად ტფილ. სასამ. პალატის და ტფილ. საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეები, ასევე საქმეები მენშევიკურ ხანისა, მომზადდეს ხსენებული ფონდები საინვენტარო აღწერისათვის, და შემდეგ იუსტ. სახ. კომისარიატის ქვეუწყებათა საქმეების გარჩევა. 3) უფრო აქტუალურ ფონდების საინვენტარო აღწერის შედგენა, რომ არქივის მცირე რიცხოვან შტატს გაუადვილდეს ცნობების გაცემა, ხოლო 4) მუშაობის დასაჩქარებლად გადიდება არქივის შტატის, ერთი კვალიფიცირებულ და ორი ტეხნიკური თანამშრომლით მაინც, რომ უკანასკნელების საშუალებით შესაძლებლობა მოგვეცეს ხშირად ქაოტიურ მდგომარეობაში მყოფი საქმეები საარქივო წესრიგში მოვიყვანოთ.

მ. თუმანიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ცენტრარქივის ბიბლიოთეკა და მისი მუშაობა-მოქმედება.

ცენტრარქივის ბიბლიოთეკის აღმოცენების ისტორიას თუ შევეხებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდში—რევოლიუციის შემდეგ გაუქმებულ დაწესებულებათა საარქივო ფონდებთან ერთად გადადიოდა აგრეთვე ამ დაწესებულებათა ბეჭვდითი მასალაც და ამ მასალებისაგან შესდგა ეს ბიბლიოთეკაც. ასე მაგალითად, ჩვენ მივიღეთ საინტენდანტო ბიბლიოთეკის წიგნები, სამხედრო საისტორიო—ბიბლიოთეკის წიგნები: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის გამოცემები, მეფის მოადგილის კანცელარიის გამოცემები („კავკასიის კალენდრის"—კომპლექტები და სხვ.). გაუქმებულ სამხედრო ტაძრიდან და სინოდის კონტორიდან გადმოვიდა რელიგიურ შინაარსის წიგნები, რომელთა შორის მეტად ყურადსაღები ძველი სტამბის წიგნები იყო, განსვენებულ სამხედრო ისტორიკოსის ს. ს. ესაძის არქივთან ერთად გადმოვიდა ადგილობრივ გაზეთების კომპლექტები 1917—20 წ. ასევე გადმოვიდა ცენტრარქივში კათოლიკოს ლეონიდის ბიბლიოთეკის მეტად ძვირფასი წიგნები. შეძენილი იქნა იოანე ბატონიშვილის წიგნები, განსვენებულ მწერლის ვანო მაჩაბელის და ძმათა ვასილ და პოლიევქტ კარბელაშვილების წიგნების კოლექცია და სხვ. რუსეთში შეძენილი იქნა გარეშე საქმეთა, იუსტიციის სამინისტროებისა, სინოდისა და სხვა გაუქმებულ დაწესებულებების გამოცემები. ამას გარდა ცენტრარქივის ბიბლიოთეკას 1921 წლიდან ემატება სავალდებულო ეგზემპლიარი საქართველოს წიგნის პალატიდან, რაც კი საქართველოს ტერიტორიაზე გამოდის და აგრეთვე ის გამოცემები, რომელსაც ღებულობს ცენტრარქივის ბიბლიოთეკა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებიდან.

ცენტრარქივის ბიბლიოთეკის მუშაობა-მოქმედების ისტორია ორ პერიოდად იყოფა: პირველი—წიგნების თავმოყრისა და დაგროვების პერიოდი 1926 წლამდე. მეორე—დამუშავების პერიოდი. ამ ჟამად ცენტრარქივის ბიბლიოთეკაში (პერიოდიულ განყოფილების წიგნები სადუბლეტო ფონდთან ერთად) დაახლოვებით 70.000 წიგნია. 1926 წ. ივლისის თვიდან დაიწყო წიგნების დამუშავება ათწილად სისტემით. შესდგა ახალი საინვენტარო დავთრები ცალცალკე ქართულ და რუსულ წიგნებისათვის და მზადაა საგანგებო ბარათები საერთაშორისო მასშტაბის საანბანო კატალოგისათვის და 1929 წლის 1-ლ ოქტომბრამდე დამუშავდა 16.500 წიგნი. მათ შორის—6085 ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული და 10.415 რუსული. ამ წიგნებისათვის შედგენილია საანბანო და სისტემატიური კატალოგები.

უკვე დამუშავებულია პერიოდულ გამოცემათა განყოფილება, რომელიც არქივის ბიბლიოთეკის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს. შეტანილია საინვენტარო დავთავში—რუსული ჟურნალები: 480 სახელწოდების, 209 წლიური კომპლექტი—27.664 ცალი. ამჟამად სწარმოებს ქართულ პერიოდიკის ინვენტარიზაცია. შედგენილია ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე საანბანო კატალოგი. პერიოდიულ გამოცემათა ცალკე სადუბლეტო ეგზემპლიარებისათვის შედგენილია აგრეთვე საანბანო კატალოგი.

გარჩეულია ბიბლიოთეკის წიგნების საწყობი: გარჩეულ წიგნების ერთი ნაწილი უკვე დაერთო ბიბლიოთეკის წიგნების შემადგენლობას: მეორე ნაწილი გადაეცა სადუბლეტო გასაცვლელ ფონდს. სადუბლეტო ფონდის წიგნები შეტანილია საანბანო კატალოგის ბარათებში, რომლის საშუალებითაც გაადვილებულია ცნობის მიღება. წიგნების საწყობის მესამე ნაწილი შეადგენს გაუქმებულ დაწესებულებათა საუწყებო ლიტერატურას, რომელიც უკვე აღიცხულია 28.201 ცალის რაოდენობით.

გარდა მიმდინარე მუშაობისა ცენტრალურ არქივის ბილიოთეკაში სწარმოებს აგრეთვე წიგნების გაცემა წასაკითხავად. რადგან ცენტრალურ არქივის ბიბლიოთეკა დახურულ ბიბლიოთეკებს ეკუთვნის, ამიტომ წიგნები სახლში წასაღებად მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლებს ეძლევათ. ამისდა მიხედვით ბევრი თანამედროვე სახელმწიფო დაწესებულება და სხვა პირები მიმართავენ ხოლმე ბიბლიოთეკას მრავალნაირ შეკითხვებით, რომელზედაც ბიბლიოთეკა სათანადო ცნობებს აწვდის. იმ პირთათვის, რომელთაც ჰსურთ იმუშაონ და გამოიყენონ საარქივო მასალები ან ბიბლიოთეკის წიგნები, მოწყობილია სამეცადინო დარბაზი, რომელიც ღიაა 9 საათიდან $3^1/_2$ საათამდე. ამნაირად ცენტრარქივის ბიბლიოთეკა წარმოადგენს საარქივო-საცნობო აპარატს არა მარტო თვით ცენტრარქივისათვის, არამედ იმ პირთათვისაც, რომელნიც სამეცადინო დარბაზში სამეცნიერო კვლევითი მუშაობას ეწევიან. ბიბლიოთეკასთან არსებობს საბიბლიოთეკო კომისია. როგორც ეს რუსეთის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან არსებულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებშია). კომისიაში შედიან პასუხისმგებელი სამეცნიერო მუშაკები, განყოფილებათა გამგეები და ბიბლიოთეკის წარმომადგენლები. საბიბლიოთეკო კომისიის კომპეტენციას შეადგენს—ბიბლიოთეკის მუშაობაზე თვალყურის დაჭერა, რათა იგი შეეფერებოდეს თვით დაწესებულების სამეცნიერო მოთხოვნილებებს.

ვიდრე ბიბლიოთეკის შევსების გეგმა შემუშავდებოდა, საბიბლიოთეკო კომისიისათვის საჭირო შეიქმნა საბოლოოდ და გარკვევით გადაწყვეტილიყო, რომელი დარგის წიგნები უნდა შესულიყო ცენტრალურ არქივის ბიბლიოთეკაში და რომელი არა. ამ საკითხის გადაწყვეტა უფრო იმიტომ იყო საჭირო, რომ სამეცნიერო ბიბლიოთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კების სრულიად რუსეთის მე-2 კონფერენციის რეზოლიუციის თანახმად, უნდა მომხდარიყო სამეცნიერო ბიბლიოთეკების უკიდურესი სპეციალიზაცია, როგორც სრულიად ზედმეტ და მავნე პარალელიზმების თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე ბიბლიოთეკის სივრცის ყაირათიანად გამოყენების მიზნითაც. ამიტომ საინვენტარო დავთარში შეტანილი თვითეული წიგნი უეჭველად უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიოთეკის სპეციალურ დანიშნულებას.

საქართველოს ცენტრალურ არქივთან არსებული ბიბლიოთეკა წარმოადგენს, როგორც ვთქვით, სამეცნიერო-საცნობო ტიპის ბიბლიოთეკას. საარქივო ფონდების დაგროვება-შენახვასთან ერთად, ცენტრარქივში სწარმოებს აგრეთვე სამეცნიერო კვლევითი მუშაობა საქართველოს ისტორიის საარქივო მასალების გარშემო. ამიტომ თავის არსებობის გასამართლებლად ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს აღნიშნულ სამეცნიერო კვლევითი მუშაობისათვის გამოსადეგი ბეჭდითი მასალის შემადგენლობა. ყველა აღნიშნულ გარემოებათა გამო, ბიბლიოთეკამ დასამტკიცებლად წარუდგინა კომისიას პროექტი საარქივო საცნობო ბიბლიოთეკის წყობილების შესახებ; ამ პროექტს საფუძველად დაედო სანიმუშო წიგნების სია. რომელიც გამოქვეყნებული იყო რუსეთის ცენტრარქივის ბიულეტენებში: № 17/47—1926 წ. და № 2/57—1927 წ.

საბიბლიოთეკო კომისიამ დაამუშავა და დაამტკიცა წარდგენილი პროექტი, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ბიბლიოთეკა შემდეგ განყოფილებებად ნაწილდება:

1. სპეციალური საისტორიო განყოფილება.
2. ბეჭდვით ნაწარმოების არქივი.
3. პერიოდულ გამოცემათა განყოფილება.
4. ძველი ბეჭდვითი განყოფილება.
5. ბიბლიოთეკის სადუბლეტო ანუ გასაცვლელი ფონდი.

1. სპეციალური საისტორიო განყოფილება თავის მხრივ შემდეგ ქვეგანყოფილებებისაგან შესდგება:

1. არქივთმეცნიერება.
2. საქართველოსა და კავკასიის ისტორია.
3. მსოფლიო ისტორია, რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორია სხვადასხვა დარგთა ისტორიის ჩართვით.
4. ისტორიის დამხმარე მეცნიერებანი: პალეოგრაფია, დიპლომატიკა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, გიბლიოგრაფია და სხვ.

არქივთმეცნიერების ქვეგანყოფილებაში მოთავსებულია ისეთი გამოცემები, რომელნიც ეხებიან საარქივო საქმის მეცნიერულ და ტეხნიკურ ორგანიზაციას, საარქივო საქმის კანონმდებლობას, დადგენილება განკარგულებას და სხვა. აქვე იქნება საარქივო მოღვაწეთა ყრილობების ოქმები, რუსეთისა, უკრაინისა და სხვათა საბჭოთა რესპუბლიკების—ცენტრალურ არქივების გამოცემები და ბიულეტენები; რა თქმა უნდა აქვე იყრის თავს საქართველოს ცენტრარქივის გამოცემებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის „სპეციალ საისტორიო განყოფილებაში“ საქართველოს და კავკასიის ისტორიას და საერთოდ კავკასიისმცოდნეობას უმთავრესი ადგილი უჭირავს; იგი წარმოადგენს ისეთს მასალათა დაჯგუფებას, რომელიც ეხება საქართველოს, და მის მეზობელ ხალხთა ცხოვრების ყველა მხარეს (პოლიტიკურს, ეკონომიურს, და სხვ.). საქართველოსა და კავკასიის შესახებ ბიბლიოთეკაში მოიპოვება მეტად ყურადსაღები წიგნები ქართულ და უცხოეთის მწერლებისა, ბიბლიოთეკაში არის შრომები—ისტორიისა, არქეოლოგიისა, ეთნოგრაფიისა, გეოგრაფიისა. ფილოლოგიისა და ლიტერატურის შესახებ; არის აგრეთვე კავკასიის ეროვნებათა შესახებ ძვირფასი ლინგვისტური შრომები: ანაბანები, გრამატიკები, ლექსიკონები და სხვა. კავკასიისმცოდნეობის გარდა ბიბლიოთეკაში არის მასალა, რომელიც ეხება უძველეს და საერთო ისტორიას; ცენტრარქივის ბიბლიოთეკას აქვს ძვირფასი **ბიბლიოგრაფიული** მასალა ეროვნულ და მხარეთმცოდნეობის და სპეციალურ ბიბლიოგრაფიის შესახებ. არის აგრეთვე სხვადასხვა გაზეთების და ისტორიულ ჟურნალების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები; წიგნების გამომცემლობისა და წიგნების მაღაზიების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, სადაც მდიდარი მასალაა მოთავსებული მხარეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფიისათვის: კატალოგები ტფილისის და სხვ. გაუქმებულ ბიბლიოთეკებისა, მუზეუმებისა და დაწესებულებებისა.

2. ბეჭდვითი ნაწარმოებთა არქივი შეიცავს:

1. ამიერ-კავკასიის ფარგლებში გამოსულ გამოცემებს, მათი შინაარსისდა მიუხედავად,

2. ყველა ქართულ გამოცემებს, მათი გამოცემის ადგილისდა მიუხედავად,

3. სხვა ბიბლიოთეკებიდან გამორიცხული წიგნებს მათი გამოცემის ადგილისდა მიუხედავად.

ამნაირად, ბეჭდვითი ნაწარმოებთა არქივშიაც მოთავსებულია სხვადასხვანაირი შინაარსის წიგნები, რომელნიც გამორიცხულნი არიან სხვა ბიბლიოთეკებიდან თანამედროვე მნიშვნელობის დაკარგვის გამო, ან ბიბლიოთეკის სპეციალურ ხასიათთან შეუსაბამობის გამო, მაგრამ რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა არ დაუკარგავთ და ამიტომ მათი არქივში ჩაბარება და შენახვა მიზანშეწონილად არის ცნობილი.

ცენტრალური არქივის ბიბლიოთეკაში მოთავსებულია, როგორც ვთქვით, რევოლიუციამდე არსებულ დაწესებულებათა საუწყებო ლიტერატურაც: ბრძანებები სამხედრო უწყებისადმი, სამხედრო წესდებები—მე-17 საუკუნიდან; ოსმალეთისა, სპარსეთისა და სხვა ქვეყნების სამხედრო-სტატისტიკური ანგარიშები და მიმოხილვები, სამხედრო ისტორიის შესახები მასალა, როგორიც არის კავკასიის სამხედრო ნაწილებისა და სხვა სამხედრო თუ სამოქალაქო დაწესებულებათა ისტორია, მეფის დროის კანონები, იურიდიულ შინაარსის წიგნები და სხვა; გარეშე საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაქტატები, კონვენციები, საკონსულო მიმოხილვები და ანგარიშები; კავკასიის ადმინისტრატიულ მმართველობის შესახები მასალები: მეფის მოადგილის მოხსენებანი, გუბერნატორების ადმინისტრატიულ სტატისტიკური ანგარიშები და მიმოხილვები; კავკასიის კალენდრები, ტფილისის თვითმმართველობის ანგარიშები, დადგენილებები და სხვ. საფინანსო სამინისტროს საუწყებო გამოცემანი; ამიერ-კავკასიის ბანკების და საკრედიტო ამხანაგობების დაარსებისა და მათი ა/კ. ორგანიზაციის მასალები; მრეწველობის მასალები: „კავკასიის სამთამადნო სამმართველოს“ ანგარიშები, შავი ქვის მრეწველთა ყრილობების შრომები და სტატისტიკური ანგარიშები, ნავთის მრეწველობის ანგარიშები და მიმოხილვები და სხვ., კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან არსებულ საბჭოს სხდომების ჟურნალები, ამიერ-კავკასიის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებათა ანგარიშები [1] და სხვა.

1928 წლიდან ბეჭდვითი ნაწარმოებთა არქივში სწარმოებს სხვადასხვა ბიბლიოთეკებიდან და დაწესებულებიდან გამორიცხულ წიგნებისა და ცენტრარქივის განყოფილებიდან გამოყოფილ ბეჭდვითი მასალის—კონცენტრაცია. ასე, მაგალითად, მიღებულია იუსტიციის კომისარიატიდან, საპროფკავშირო და სასკოლო ბიბლიოთეკებიდან 14,244 წიგნი და 8,274 ცალი თანამედროვე გაზეთები; იურიდიულ ბიბლიოთეკიდან მიღებულია ზედმეტი ეგზემპლიარები ძველი კანონებისა და იურიდიულ შინაარსის წიგნებისა; ამხ. შაუმიანის სახელობის ბიბლიოთეკიდან მიღებულია ძველი სტამბის სომხური წიგნები და რუსული საისტორიო ჟურნალები; ცენტრალურ მუშათა კლუბიდან (ყოფილი ქართული სახალხო იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკა) — ძვირფასი ქართული წიგნები და პერიოდული გამოცემანი; შრომის სკოლის ბიბლიოთეკებიდან მიღებულია, გამორიცხული იდეოლოგიურათ დაძველებული საბავშო და სამოსწავლო ლიტერატურა და სხვა.

3. პერიოდული გამოცემათა განყოფილება შეიცავს:

1. ყველა პერიოდულ გამოცემებს ქართულ ენაზე.

2. ყველა ენაზე გამოსულ პერიოდულ გამოცემებს, რომელიც კი შეიცავს მასალებს ისტორიისათვის.

3. ა.-კ პერიოდულ გამოცემებს რუსულ ენაზე.

ცენტრარქივის ბიბლიოთეკაში არის ძვირფასი ქართული და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები:.

პერიოდული გამოცემათა კომპლექტები სრული არ არის. [2] რადგანაც პერიოდული ბეჭდვით გამოცემები და ჟურნალებში მო-

---

[1] საუწყებო ლიტერატურისათვის არსებობს სხვადასხვა მაჩვენებლები, მაგალითად: კანონთა კრებულის მაჩვენებელი, „სამხედრო უწყებისადმი“ ბრძანებების მაჩვენებელი და სხვ.

[2] ეს სამწუხარო მოვლენა ახასიათებს არა მარტო ტფილისის ბიბლიოთეკებს არამედ ლენინგრადის საჯარო და მოსკოვის საკავშირო ბიბლიოთეკებსაც, (იხილე ბ რ ა უ დ ის სიტყვა ბიბლიოგრაფთა ყრილობაზე, Труды 2-го Библиогр. съезда, 1924 г.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსებულია უძვირფასესი ფაქტიური მასალა ამა თუ იმ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ და სხვა მოვლენათა ისტორიისათვის, ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ადგილობრივ გამოცემათა კომპლექტების სისრულე და უკლებლობა. შედარებით სრულია პერიოდული გამოცემა, რომელიც მეიცავს მასალებს კავკასიისმცოდნეობისათვის. არის აგრეთვე ბევრი მეტად ყურადსაღები რუსული ისტორიული ჟურნალები.

4. ძველი ბეჭდვითი განყოფილება შეიცავს:

1. გამოცემებს ქართულ და კავკასიის სხვადასხვა ენებზე 1840 წლამდე, ამ წლის ჩართვით.

2. გამოცემებს რუსულ და ევროპიულ ენეზე 1800 წლამდე, ამ წლის ჩართვით. [1]

ბიბლიოთეკის ძველ ბეჭდვით განყოფილებაში მოიპოვება: საქართველოს, რუსეთის და საზღვარგარეთ გამოცემული 49—სახელწოდების ძველ სტამბის ქართული წიგნები, მაგალითად: „სახარება“—ვახტანგის სტამბა, ტფილისი—1709 წ. „კონდაკი“—ვახტანგის სტამბა ტ.—1720 წ. „დაბადება“, დაბეჭდილი მოსკოვს, მეფე ბაქარის მიერ 1743 წ. „საქრისტიანო მოძღურება“, დაბეჭდილი რომს 1741 წ. გაიოზის „გრამატიკა“, 1789 წ. და სხვ. საინტერესოა პერიოდული გამოცემები ქართულ და რუსულ ენაზე: „ტფილისის უწყებანი“ №№ 1—5, სოლომონ დოდაშვილის რედაქციით, ტფილისი 1832 წ. „Тифлисские Ведомости“, 1830 წ. „Закавказский Вестник“, 1839 წ. და სხვ.

5. ბიბლიოთეკის სადუბლეტო ფონდი.

ამ განყოფილებაში მოგროვილია ისეთი წიგნები, რომელთა რიცხვი ბიბლიოთეკის მოთხოვნილებას აღემატება (2—3 ცალზე მეტი): გაზეთების და ჟურნალების დუბლეტები, კავკასიის სამოსწავლო ოლქის დუბლეტური გამოცემანი, ასეთივე გამოცემები სამხედრო შტაბის და სხვა დაწესებულებათა, თუ ორგანიზაციათა. ამავე ფონდს შეადგენენ აგრეთვე ისეთი წიგნები, რომელნიც არ შეეფერებიან ბიბლიოთეკის ტიპს და რომელნიც ბიბლიოთეკაში შემთხვევით მოხვდნენ. სადუბლეტო განყოფილების მეშვეობით ბიბლიოთეკას კავშირი აქვს გაბმული საბჭოთა რესპუბლიკებისა და ზოგიერთ საზღვარგარეთელ დაწესებულებებთან. საქართველოს ცენტრარქივის ბიბლიოთეკა შეძლებისდა გვარად აწარმოებდა გაცვლას სხვადასხვა ბიბლიოთეკებთან. ასე, მაგალითად: ტფილისის პოლიტხნიკურ ინსტიტუტის ბიბლიოთეკასთან, სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკასთან და სხვა.

ვიდრე ცენტრარქივთან არსებულ ბიბლიოთეკის მუშაობის პერსპექტიულ გეგმაზე გადავიდოდე, მინდა ორი სიტყვით აღვნიშნო

---

[1] საბიბლიოთეკო კომისიის მიერ ძველ ნაბეჭდ წიგნების ქრონოლოგიურ გვიანდელ მიჯნად დადგენილია: რუსულ ენაზე ნაბეჭდ წიგნებისათვის 1800 წელი, ხოლო ქართულ და ა.-კ. სხვა ეროვნებათა ენებზე ნაბეჭდ წიგნებისათვის - 1840 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი უარყოფითი მხარეები, რომელიც ხელს უშლის დავალებათა სისტემატიურ შესრულებას ბიბლიოთეკის მიერ.

ბიბლიოთეკის უმთავრეს ნაკლად შენობის სივიწროვე უნდა ჩაითვალოს. ბილიოთეკის სამივე ოთახი უკვე სავსეა და მომავალში მისაღებ წიგნებისათვის თავისუფალი ადგილი უკვე სრულიად აღარ მოიპოვება. ამავე დროს მარტო საქართველოს წიგნის პალატიდან ყოველ-თვე ასი და უფრო მეტი წიგნი სავალდებულო ეკზემპლიარის სახით შემოდის, თუ ჟურნალ-გაზეთებზე არას ვიტყვით. მეორე არა ნაკლებ მნიშვნელობის დეფექტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ უსახსრობის გამო ცენტრარქივის ბიბლიოთეკაში წიგნები აუკინძავია. არქივის თანამშრომლებისათვის და სამეცადინო დარბაზში გაცემული წიგნები უყდობის მიზეზით იფურცლება და ფუჭდება. უპირველეს ყოვლისა საჭიროა აიკინძოს ყველაზე ძვირფასი წიგნები მაინც, რომლებიც სამუშაოდ უფრო ხშირად სჭირდებათ. საჭიროა აგრეთვე მუყაო პერიოდულ გამოცემების ყდაში ჩასაკერებლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში პერიოდულ გამოცემების დაცვა და შენახვა მეტად საეჭვო ხდება.

ბიბლიოთეკაში ნავარაუდევია შემდეგი მუშაობის ჩატარება ახლო მომავალში:

მიმდინარე ლიტერატურისა და პერიოდიკის დამუშავება, საუწყებო ლიტერატურის აღრიცხვა და დამუშავება, წიგნების და ცნობების გაცემა, ტფილისის ბიბლიოთეკებიდან გამორიცხულ წიგნების კონცენტრაცია, ბიბლიოთეკის შევსება საბიბლიოთეკო კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმასთან შეთანხმებით.

საპერესპექტივო გეგმის მიხედვით ცენტრარქივის ბიბლიოთეკას ტეხნიკურ და საორგანიზაციო მუშაობის გარდა დასჭირდება მო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებთ მხედველობაში უკანასკნელ დროში ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს.

სამეცნიერო ბიბლიოთეკების სრულიად რუსეთის მე-2 კონფერენციის რეზოლიუციით „სამეცნიერო ბიბლიოთეკების კოოპერატიული გაერთიანება ახლო მომავლის ამოცანას შეადგენს". საქართველოში ტფილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკების კოოპერატიული გაერთიანების საკითხი ოფიციალურად დასმული იყო პირველად 1927 წელში, ხოლო 1929 წ. 17 დეკემბერს საქართველოს მეცნიერების მუშაკთა სექციამ მოიწვია სამეცნიერო ბიბლიოთეკების საწარმოო თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: 1) სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკების ხუთწლიანი სამუშაო გეგმა და 2) ბიბლიოთეკების კოოპერაცია და მათი მუდმივი გაერთიანების დაარსება. თათბირზე არჩეულ საწარმოო კომისიას მიენდო ზემოაღნიშნულ საკითხების ირგვლივ გამოთქმულ და დადასტურებულ თეზისების ცხოვრებაში გატარება.

სამეცნიერო ბიბლიოთეკების გაერთიანებულ მუშაობაში ცალკე ბიბლიოთეკების მონაწილეობა შემდეგში უნდა გამოიხატოს:

1) ბიბლიოთეკებს შორის წიგნების გაცვლაში. ეხლა აღარ არის უნივერსალური ხასიათის ბიბლიოთეკები, რომელთაც მეცნიერების ყველა დარგის წიგნის შეძენა შეუძლიანთ. ბევრს ბიბლიოთეკას უსახსრობის გამო თავის სპეციალურ ხასიათის წიგნების შეძენაც კი არ შეუძლიან და რადგანაც მოთხოვნილება დიდია, ამიტომ მეტად ყურადსაღებ და მიზანშეწონილ საშუალებად უნდა ჩაითვალოს ბიბლიოთეკებს შორის წიგნების და დუბლეტურ ეგზემპლიარების გაცვლა და ბეჭდითი ნაწარმოების დროებითი სარგებლობა (ბიბლიოთეკათა შორის აბონემენტი) და სხვ.

2) ბიბლიოთეკებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთო ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში, როგორიც არის, მაგალითად, შეერთებული კატალოგების შედგენა და სხვა. [1] ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს.

პროფესორ გ. ნ. გ ე ხ ტ მ ა ნ მ ა 1928 წლის 16 მარტს ბიბლიოთეკის მუშაკთა ასოციაციაზე გაკეთებულ მოხსენებაში: „ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათა-მცოდნეობის ამოცანები ჩვენს ბიბლიოთეკებში"—დასვა საკითხი ეროვნულ მხარეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფიის შესახებ და საერთო ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში ქალ. ტფილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკების მიერ წინასწარ გათვალისწინებულ და გეგმიან მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს ცენტრარქივის ბიბლიოთეკამ მონაწილეობა უნდა მიიღოს აგრეთვე ქართულ ბეჭდვით საქმის 300 წლის თავის აღსანიშნავად საჭირო მასალების დაგროვებაში.

---

[1] ცენტრარქივის ბიბლიოთეკის მიერ შედგენილია 1845—1917 წწ. კავკასიაში გამოსულ პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული სია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები გარემოება: თუ ჩვენ გვინდა ცენტრარქივის ბიბლიოთეკა იმ სიმაღლეზე იდგეს, რომელიც მის დანიშნულებას შეეფერება, საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს არსებულ შტატის გადიდების საკითხს და საერთოდ ბიბლიოთეკის ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამით საშუალება მიეცემა მას თავი დააღწიოს უამრავ ტეხნიკურ მუშაობას და შესძლოს განახორციელოს ყველა ის ღრმა კულტურული მიზნები, რომელიც მას დასახული აქვს თავის მომავალ მოღვაწეობის გეგმაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. ტფილისის მოქმედ დაწესებულებათა არქივარიუსების 1-ლი კონფერენცია.

(შემოკლებული სტენოგრაფიული ანგარიში).

კონფერენციას დაესწრენ: ჯანმრთელობის კომისარიატიდან—ყარალაშვილი, ცეკავშირიდან—სინაურიძე და სტურუა, ამიერ-კავკასიის ფინსახკომიდან—ზაბლოცკი, შინაგან საქმეთა სახკომიდან—წერეთელი და ფსხილაძე, მუნიციპალურ მრქივიდან—ქავთარაძე და ქაჯაია, საქ. ფინსახკომიდან—გოგიტიძე, საქ. სტატ. სამართველოდან—კვინიტაძე, საქ. კომისართა საბჭოდან—კლდიაშვილი. მუშკოოპიდან—კაჟინსკი, ნოტარიალური არქივიდან—შახნოვიჩი, სამთო-განყოფილებიდან—ურქმაზაშვილი, საქ. ჩაიდან—ენუქიძე, ამიერ-კავკასიის ცაკ-იდან—შჩეტინინი, მიწათმოქმედების კომისარიატის განყოფილებიდან—შულცი, ზაკხლოპკომი—გრიგორიანი, ამიერ-კავკასიის კომისართა საბჭოდან - სემიონოვი, სოც. უზრ. განყოფილებიდან—ხაჩიძე, საქ. ცაკ-იდან—ქელბაქიანი, სატყეო ტრესტიდან - ბახუაშვილი, საქ. სახელმწიფო დამზღვევი სამმართველოდან—სახნელიძე, მიწათმოქმედების კომისარიატიდან—დარახველიძე, ტაბტრესტიდან—ტყეშელაშვილი, ლითონ-ტრესტის სამმართველოდან—კოჭლაძე, ზაკსელსოიუზიდან—გერასიმიანი, სახ. ბანკიდან—უსკოვი, სოც. უზრ.-ყოფის კომისარიატიდან—ბაქრაძე.აგრეთვე ცენტრარქივის არქივისტები და არქივარიუსები.

თათბირი გაიხსნა 1929 წლ. ნოემბრის 2-ს საღამოს $6^1/_2$ საათზე.

დღის წესრიგი:

1. ამხ. ი. იოვიძის შესავალი სიტყვა არქივების მნიშვნელობის შესახებ, 2. ცენტრარქივი და მომქმედ დაწესებულებათა არქივები (მომხსენებელი ამხ. ვედევანიშვილი და თანამომხსენებელი ამხ. კალანდაძე), 3. მოხსენებები ადგილებიდან) 4. საარქივო მასალების გარჩევის შესახებ (მომხ. პროფ. პოლიევქტოვი).

თათბირს ხსნის და თავმჯდომარეობს ამხ. ი. იოვიძე.

იოვიძის შესავალი სიტყვის შემდეგ[1] კონფერენცია ღებულობს რეგლამენტს, რომლის თანახმად კონფერენციის სხდომები იწარმოებს

---

[1] ამხ. ი. იოვიძის შესავალი სიტყვა: „არქივის მნიშვნელობის შესახებ“ იხ. ამავე ნომერში გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს 6—9 საათამდე. მომხსენებელს მიეცემა 30 წ., თანამომხსენებელს—20 წ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეძლევა ამხ. გედევანიშვილს მოხსენებისათვის: ცენტრარქივი და მომქმედ დაწესებულებათა არქივები.

ამხ. გედევანიშვილი მოკლედ შეეხო დაწესებულებათა არქივების მნიშვნელობას. აღნიშნა, რომ ამ არქივების მოქმედებისათვის არსებული „წესები“ ამჟამად შეცვლილია და დამუშავებულია ახალი „წესები“, რომელიც გადაეგზავნა მუშგლეხინს შესათანხმებლად და ალბად მოკლე ხანში შემოღებული იქნება ხმარებაში. აღნიშნა ძირითადი განსხვავება ძველთან შედარებით ახალი წესებისა, რომელთა მიხედვით ადგილობრივ არქივებს საარქივო მასალის გადარჩევაში მეტი უფლებები ენიჭება და მეტი პასუხისმგებლობაც ევალება. განმარტა, რომ ახალი წესით დაწესებულებების არქივებში საარქივო საქმეების შენახვის ვადა ნაცვლად ხუთი წლისა დაწესებულია ათი წელიწადი. აღნიშნა აგრეთვე ახალი ფორმის „ნუსხების“ შემოღება, რომლითაც ისაზღვრება სხვადასხვა სახის მასალების შენახვის ვადები. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ უნუგეშო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებიან ბევრ დაწესებულებათა არქივები ბინის მოწყობილობის და მოვლაპატრონობის მხრით, რაც უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელთ არა აქვთ სწორი წარმოდგენა არქივის მნიშვნელობაზე.

თანამომხსენებელმა ამხ. კალანდაძემ თათბირს მოახსენა მოკლე ანგარიში მომქმედ დაწესებულებათა არქივების დათვალიერება-გამოკვლევისა. აღნიშნა მრავალი საგრძნობი დეფექტები ამ საქმეში: უყურადღებობა, უვიცობა, წესების დარღვევა და სხვა. მხოლოდ სულ მცირე რიცხვი არქივებისა ცოტად თუ ბევრად ბინის, მოწყობილობისა და მუშაობის მხრით დამაკმაყოფილებელია, მეტი ნაწილი კი უნუგეშო მდგომარეობაშია. ბრალი ამაში უმთავრესად დაწესებულების ხელმძღვანელთ ედებათ. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც დანაშაული თვით არქივარიუსს მიუძღვის.

სხდომა გადაიდო მეორე დღის (3/11-ს) საღამოს ექვსი საათისათვის.

ნოემბრის 3-ს სხდომა. თავმჯდომარეობს შ. ჩხეტია.

ნოემბრის 2-ს გამართული მოხსენებების გამო შემოდის შეკითხვები:

ქავთარაძე. 1926 წელს გამოცხადებული იყო, რომ მაზრებში უნდა შექმნილიყო საარქივო ბიუროები, რომლებიც მოაგვარებდენ საარქივო საქმეს ადგილობრივ, ამხ. კალანდაძის მოხსენებიდან კი ირკვევა, რომ ბათუმში აღმოჩენილია არქივი, რომელიც უპატრონობისაგან იღუპება. როგორ არის საქმე?

თავმჯდომარე. დღევანდელი კრება ეხება მხოლოდ ტფილისში მომქმედ დაწესებულებებსა, წარმოებებსა და ორგანიზაციებს და არა მაზრებს; რაც შეეხება ამხ. კალანდაძის მიერ მოყვანილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობას აჭარისტანის არქივის შესახებ, ეს მხოლოდ საილუსტრაციოდ იყო დასახელებული.

შ ჩ ე ტ ი ნ ი ნ ი. აქვს თუ არა უფლება სახ. კომისარიატს თავისთან დაიტოვოს და ცენტრარქივს არ ჩააბაროს ლიკვიდირებული დაწესებულების არქივი, რომელიც საოპერაციო მუშაობისათვის უკვე საჭირო აღარ არის?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. რასაკვირველია, არა. სახ. კომისარიატი ვალდებულია ლიკვიდირებული დაწესებულების არქივი გადმოსცეს ცენტრარქივს, თუ ის დაწესებულების მიმდინარე მუშაობისათვის საჭიროებას არ წარმოადგენს.

ბ ა ხ უ ა შ ვ ი ლ ი. როგორ უნდა იმუშაოს თამამშრომელმა, როდესაც არქივი მოთავსებულია შუშაბანდში, სადაც სიცივეა და მუშაობა შეუძლებელია? რამდენჯერმე მივმართე ადმინისტრაციას და ის ყურადღებას არ მაქცევს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. დაუშვებელია არქივის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება; საქმე უნდა მოწესრიგდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საშუალებით.

დ ა რ ა ხ ვ ე ლ ი ძ ე. რამდენად მიზანშეწონილია საარქივო მასალის ხანდაზმულობის გადიდება 5 წლიდან 10 წლამდე?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ასეა რუსეთში, უკრაინაში და სხვ. ეს გამოწვეულია იმით, რომ 5 წელი საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ საარქივო მასალის საჭიროება დაწესებულების მიმდინარე მუშაობისათვის ამოწურულიყო. დაწესებულება ცენტრარქივს რომ გადასცემდა არქივს, ცენტრარქივს უხდებოდა ცნობების გაცემა და ამიტომ მიზანშეწონილად ცნობილ იქნა მასალის უფრო მეტი ხნით დატოვება დაწესებულებაში, რათა ამით თავიდან აგვეცილებინა ზედმეტი დატვირთვა, რომელიც უხდებოდა ცენტრარქივს. ცენტრარქივის დანიშნულება უმთავრესად მასალების მეცნიერულ გამოყენებაში მდგომარეობს და პრაქტიკულ მოთხოვნილებებს კი თვით დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს.

გ ო გ ი ტ ი ძ ე. როდესაც დაწესებულებას არქივისთვის შენობა არა აქვს, არ შეიძლება ცენტრარქივმა ძალა დაატანოს დაწესებულებას, რომ მან არქივს შენობა მისცეს?

გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. რასაკვირველია, ცენტრარქივს შეუძლიან აიძულოს დაწესებულება მოაწყოს არქივი, თუ არქივი უკანასკნელს წესიერად არა აქვს დაყენებული.

ამის შემდეგ კონფერენცია ისმენს მოხსენებებს ადგილებიდან.

კ ვ ი ნ ი ტ ა ძ ე. საქართველოს ცენტრალ. სტატისტ. სამმართველოს არქივისათვის აქვს პატარა შენობა. აქვს არქივი, რომლითაც თვით სამართველო სარგებლობს. სანამ არ გვიბრძანებენ, ამის გადმოცემა არ შეგვიძლია. არქივარიუსი არა გვყავს. მე არქივარიუსი არა ვარ და მარტო გამოგზავნილი ვარ ამ კონფერენციაზე. მაკულატურის გამოყოფის საქმეს ვაწარმოებთ ცენტრარქივთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა რ ა ხ ვ ე ლ ი ძ ე. საქართველოს მიწსახკომის არქივი, როდესაც მე დავიწყე მუშაობა, ძლიერ ცუდ პირობებში იყო; იგი კიბეების ქვეშ ეყარა სიბნელეში; საქმეები ზოგი დაბნეული იყო, ზოგი ტომრებში ეწყო. მუშაობა მეტად სამძიმო იყო, მაგრამ რა მექნა; ამ საქმეზე მე დამნიშნეს და იძულებული ვიყავი შევდგომოდი საქმეს. მთელი ეს არქივი მე თითონ ავზიდე ქვედა სართულიდან მე-2 სართულში, ერთ პატარა ოთახში; გავარჩიე, დავაწყე ქრონოლოგიურად, ჩავაკერე გაბნეული ქაღალდები და სხვა, და ასეთ სახით ჩავაბარე ცენტრარქივს; წელიწად ნახევარი მოუნდი ამ საქმეს. რაც შეეხება სამიჯნაო არქივს, ის მიწსახკომს სჭირდება თავის მუშაობისათვის და ამიტომ მას ვერ გადმოგცემთ. მაკულატურის საქმეც დაწყებულია და მოგვარებული; მე აღვწერე გამოყოფილი მასალა და სია ცენტრარქივს გადმოუგზავნე დასამტკიცებლად. დღეს მიწსახკომს არქივარიუსი არა ჰყავს და საჭიროა ამაზე ზრუნვა.

შ ჩ ე ტ ი ნ ი ნ ი. ამიერ-კავკ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს აქვს ერთი ბინა, სადაც თავს უყრით ყველა ვადა-გასულ ქაღალდებს. დაწესებულება არქივს ისე უყურებს, როგორც სასაფლაოს. მხოლოდ მაკულატურის კამპანიის შემდეგ მიაქციეს ოდნავი ყურადღება. არქივების მნიშვნელობა, რასაკვირველია, დიდია. ავიღოთ თუნდ ჩვენი დაწესებულების ისტორია. მე გავეცანი ჩვენს არქივს და დავრწმუნდი, რო 8 წელიწადში მრავალჯერ შეცვლილა ჩვენი დაწესებულების სტრუქტურა. ეხლა მიდის აპარატის წმენდა, ამისათვისაც არქივს დიდი მნიშვნელობა აქვს. ცენტრარქივთან ჯერ ჩვენ კავშირი არ გვქონდა; შემდეგ, მაკულატურის კამპანიის საქმემ შეგვაკავშირა მასთან და ამ კონფერენციის შემდეგ ჩვენი კავშირი უფრო განმტკიცდება. მაკულატურად ჩვენ გამოვყავით ჯერ-ჯერობით მარტო საგამომცემლო ნაწილის მასალა—კანონები. ნამდვილი არქივიდან კი მაკულატურა ჯერჯერობით არ გამოგვიყვია.

კ ო ჭ ლ ა ძ ე. ლითონ-ტრესტის დაწესებულება ძლიერ საინტერესო დაწესებულებაა. ის აერთიანებს რამდენიმე დაწესებულებას. მას უნდა ჰქონდეს საკმარისად დიდი არქივი. მაგრამ სამწუხაროდ ასე არ არის. არქივი თითქმის არ არსებობს. საქმეები არეულია ერთმანეთში; 5—6 წელიწადი არის საჭირო, რომ ის გაირჩეს და მოწესრიგდეს. მაკულატურის გამოყოფამ არქივის მდგომარეობა უფრო გააუარესა: იგი მე-3 სართულიდან ჩამოყარეს მე-2 სართულში და ისედაც დაზიანებული საქმეები უფრო დააზიანეს. არქივის ბინა 6—7 ჯერ შემიცვალეს: თვითეული ადგილიდან მეორეში მე ჩემი საკუთარი შრომით და ძალით მომიხდა მისი გადატანა; მეტად სამძიმო პირობები იყო; ჩვენ გვაქვს საბუხჰალტრო ნაწილის არქივი. სხვა არქივი არ არსებობს. ისეთ დაწესებულებას, როგორიც არის ლითონ-ტრესტი, უნდა ჰქონდეს შესანიშნავი არქივი, მაგრამ არა გვაქვს. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. ლითონ-ტრესტი აერთიანებს 5 დაწესებულება—წარმოებას და მას აუცილებლივ უნდა ჰყავდეს ერთი არქივარიუსი. არქივს დიდი მნიშვნელობა აქვს. ავიღოთ თუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც წმენდის საქმეში: თვითეული პირის ნამუშევარი და მისი ნაყოფიერება ადვილად გამოიცნობა; თვით დაწესებულებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება არქივს. ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია ხსნის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კურსებს. იქნებ მოხერხდეს, რომ დაწესებულებებმა თავისი თანამშრომელი გაჰგზავნოს ამ კურსებზე. ცოტაოდენ ცოდნას მაინც შეიძენენ იქ.

შემოდის წინადადება, ორატორებს დრო განესაზღვროს.

კონფერენცია ადგენს ორატორისათვის ლაპარაკის დრო განისაზღვროს 10 წამით.

კ ა ჟ ი ნ ს კ ი. მუშკოოპს ჰყავს არქივის გამგე; გვაქვს არქივი, მოწყობილი თაროებით; მაგრამ არქივის გარდა იქ სხვა ნივთებიც ეწყო წინად და $2^1/_2$ თვე მოვუნდით, რომ შენობა გაგვეწმინდა ზედმეტი ბარგისაგან. ეხლა არქივი კარგად არის მოწყობილი; ძნელი იყო არქივის შექმნა: საქმეები დაბნეული იყო, არც ნუმერაცია ჰქონდა მათ და არც აკინძული იყო; ჩვენ ავაწყეთ და ეხლა ყდაში ვაკეთებთ. ჩემის აზრით, ყველა სავაჭრო დაწესებულების ურთიერთ ხელშეკრულების, საქონლის მიღების, განაწილების, ფულის შემოსავლის და სხვა ქაღალდები უნომერაციოდ შეიძლება დარჩეს. მუშკოოპში დღეში გადის 2000 საბუთი, ე. ი. 4000 ფურცელი; თუ დავნომრავთ ამას, ცალკე მუშაობა მოუნდება; გარდა ამისა, შემოდის წმინდა ტრაფარეტული ხასიათის ქაღალდები, რომელნიც არ თხოულობენ დანომრვას. არქივში სულ მაქვს 4.200 №, თვითეულ №-ს აქვს აღწერა თაროს ჩვენებით. შედგენილია ცალკე საგნობითი მაჩვენებელი; თვითეული დარგი ცალკეა დაწყობილი, მაგ. საბუხჰალტრო ცალკეა, მაღაზიის საქმეები ცალკე და სხვა; საჭიროების დროს ცნობას ხელდახელ ვაძლევ. მაკულატურად მუშკოოპმა მოგვცა 800 ფუთი.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. აქ ბევრი ითქვა არქივების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. რა არის მიზეზი, რომ საბჭოთა დაწესებულებებს ასეთ ცუდ მდგომარეობაში აქვთ თავიანთი არქივები? ამას ბოლო უნდა მოეღოს. მე ვიცნობ ერთ პასუხისმგებელ თანამშრომელს, რომელიც ამბობს: ჯერ უნდა ვაგროვოთ არქივები, ერთი ოცი წელიწადი და მერმე უნდა დავწვათო, რა საჭიროაო. „ახალგაზრდა კომუნისტში“ იყო წერილი ჩემს შესახებ, რომელშიაც ავტორი ჩიოქს მცხებდა მე, ვითომ მე ყოფილი მღვდელი ვიყო და სხვ. ასეთივე შენიშვნა უფრო უწმაწური კილოთი გამოთქმული იყო აღმასკომის კედლის გაზეთში დამატებით, რომ ვითომც მუნიციპალური არქივი ქაოტიურ მდგომარეობაში მქონდეს და სხვა. ეს საშინელი ბრალდებაა; მე მღვდლად არას დროს არ ვყოფილვარ და არქივის საქმე როგორა მაქვს დაყენებული, ამას სარევიზიო კომისია უკეთ იტყვის, რომელიც ამ დღეებში იყო ჩემთან სარევიზიოდ; არა მგონია უკანასკნელს ცუდი შთაბეჭდილება გამოეტანოს ჩემი არქივის შესახებ. ჩემის აზრით კონფერენციამ უნდა დაჰგმოს წერილის ავტორის საქციელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ხ ნ ე ლ ი ძ ე. სოც. დაზღვევის სამმართველოს არქივი საარქივშია მოთავსებული. ადმინისტრაციას სრულებით არა აქვს შეგნებული არქივების მნიშვნელობა. მე არქივარიუსი არა ვარ, მე სამეურნეო ნაწილის გამგე ვარ; ადმინისტრაცია არ ფიქრობს არქივისათვის ცალკე თანამშრომელი იყოლიოს. არქივი უნდა წესრიგში იქნეს მოყვანილი. ამისათვის საჭიროა შეიქმნეს სამეული, რომელიც არქივის საქმეს მოაწესრიგებს; თვით ადმინისტრაციასაც უნდა მიეცეს წინადადება, რომ მიაქციოს ყურადღება არქივს და მოაწესრიგოს იგი.

ი ო ვ ი ძ ე. თუ შევადარებთ გუშინდელ და დღევანდელ დღეს, დავრწმუნდებით, რომ ბევრი საქმე გავაკეთეთ: ჩვენ გავიცანით ერთმანეთი, დავუახლოვდით ერთმანეთს. გამოირკვა, რომ ბევრი საქმე ყოფილა გასაკეთებელი. ჩვენ ცენტრარქივსაც აქვს დეფექტები; ჩვენ უნდა შევადგინოთ კომისია, რომელიც გამოიმუშავებს წესებს, როგორ უნდა ვიმუშაოთ მომქმედ დაწესებულებებში. არსებობს დეკრეტი საარქივო მასალების კონცენტრაციის შესახებ; ადგილებზე არის არქივები; როგორ უნდა მოხერხდეს, რომ ეს არქივები გადაეცეს ცენტრარქივს. თუ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოში არის 10 წლის საქმეები, ისინი ჩვენ უნდა გადმოგვეცეს; ჩვენ გვაინტერესებს მასალები მეცნიერული თვალსაზრისით. რაც შეეხება სამეჯნაო არქივს, ეს არქივი ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი. ამ არქივს ცენტრარქივი აღრიცხავს. ამხ. შ ჩ ე ტ ი ნ ი ნ ი შეეხო ამიერ-კავკ. დაწესებულებათა არქივების დაქვემდებარების საკითხს. რასაკვირველია, ყველა დაწესებულებანი, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობენ საქართველოს ცენტრარქივს უნდა ემორჩილებოდნენ. მანვე (შჩეტინინი) სთქვა, რომ ცენტრარქივი საკმარის ხელმძღვანელობას არ უწევდა დაწესებულებებსაო; მეც ვფიქრობ, რომ ხელმძღვანელობა უნდა გავაძლიეროთ. არქივებს, რასაკვირველია ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვთ; ავიღოთ თუნდაც აპარატის წმენდის საქმე. პარტიის წმენდის საქმეში არქივმა დიდი მონაწილეობა მიიღო, აპარატის წმენდაშიაც ასეთსავე მონაწილეობას მიიღებს; ამით ჩვენ უდიდეს სასაზოგადო საქმეს ვაკეთებთ. ეხლა უნდა ვუპასუხო ამხ. ქავთარაძეს. ის ჭექა-ქუხილით შეხვდა ამხ. კორესპონდენტს, რომელმაც მოათავსა წერილი მის შესახებ. ეს დასაგმობი არ არის; თუ ამხანაგები დეფექტებზე სწერენ, ჩვენ უნდა მივესალმოთ მათ და არა გავკიცხოთ. შემდეგ, ჩვენ ვაყენებთ სოც. შეჯიბრს. ხვალ უნდა კომისია შევადგინოთ, ხელშეკრულება დავდვათ დაწესებულებათა არქივებს შორის და ეს ნაყოფს გამოიღებს.

ზ ა ბ ლ ო ც კ ი. არქივებს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს: ქაღალდებს არ ნომრავენ, არ აკერებენ, იქმნება ცუდი მდგომარეობა; თუ ქაღალდი თავის დროზე არ ჩაჰკერდა, მერმე სამძიმო საქმედ ხდება. უნდა შეიქმნეს ისეთი საქმისწარმოება, რომ საქმეები წესრიგში იყოს; ახლად შესოლებული ჩასაკერებელი რაღაც უხერხულობას იწვევს, ქაღალდები უკუღმა ჰკერდება და ეს მისაღები არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. იოვიძემ სთქვა, კრიტიკა აჯანმრთელებსო; ეს მართალია, მაგრამ კალამი არავინ არ უნდა გამოიყენოს ბოროტად; ავტორის წერილში სინამდვილე 5% კი არა, 1%-იც არ არის, ამიტომ ამისთანა ავტორს უნდა შევუტიოთ. მას ქვენა განზრახვა ალაპარაკებს უფრო, ვიდრე სიმართლე.

შემოდის წინადადება, არჩეულ იქნეს კომისია რეზოლიუციის შესადგენად. კონფერენცია ირჩევს კოსისიაში: გედევანიშვილს, დარახველიძეს, შჩეტინინს, კოჭლაძეს, ცინცაძეს და კალანდაძეს.

ი ო ვ ი ძ ე ს შემოაქვს წინადადება არჩეულ იქნეს კომისია, რომელიც შეიმუშავებს სოც. შეჯიბრის ხელშეკრულების ფორმას.

ზ ა ბ ლ ო ც კ ი. ზოგ დაწესებულებაში არქივი არც კი არსებობს და შეჯიბრში როგორ უნდა გამოვიწვიოთ?

პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი. ჩემის აზრით კომისიამ უნდა შეადგინოს კონკრეტი ხელშეკრულება; რასაკვირველია, სადაც არიან არქივარიუსები და არქივები იმათთან შეიძლება შეჯიბრი, სადაც არ არის იქ არც იქნება. კომისია ხვალ უნდა იქნეს არჩეული, რადგანაც დღეს უკვე დაგვიანებულია.

სხდომა დაიხურა საღამოს 10 საათზე.

4/II მესამე სხდომა. თავმჯდომარეობს ამხ. ი. ი ო ვ ი ძ ე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. გადავიდეთ დაწესებულებათა არქივებს შორის სოციალისტური შეჯიბრის მოწყობის საკითხზე. გთხოვთ ამის შესახებ გამოსთქვათ თქვენი აზრი.

კ ო ჭ ლ ა ძ ე. არქივებს შორის შეჯიბრის გამართვა ძნელია საზოგადოდ. შეჯიბრი შეიძლება შემდეგ მომენტებს შეიცავდეს:

1. გამოცხადდეს საუკეთესო მაჩვენებლის შედგენა ცნობების გაცემის გასაადვილებლად. შემოწმების შემდეგ რომელი მათგანიც საუკეთესო აღმოჩნდება, შეიძლება შემოღებულ იქმნას ყველგან.

2. ვინც ადრე მოიყვანს თავის არქივს წესრიგში: კერძოდ ლითონ-ტრესტისათვის ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგ. ჩათახის ქარხნის საუკეთესო მასალების შემცველი არქივი მოუწესრიგებელია; მისი შეჯიბრის გზით მოწესრიგება სასურველი იქნებოდა ლითონის წარმოების თვალსაზრისით.

3. კლასიფიკატორის შედგენა: ეს იმდენად რთული საქმეა, რომ მისი შედგენა ისედაც დატვირთულ საარქივო მუშაკისათვის ძნელია. ამიტომ სასურველია ეს საქმე დაწესებულების პასუხისმგებელ პირებს მიენდოს. კლასიფიკატორის შედგენას დიდი მნიშვნელობა აქვს— კერძოდ ლითონ-ტრესტის არქივების ეპოქებად დანაწილება საინტერესო სურათს მოგვცემდა.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. შეჯიბრმა მხოლოდ ცნობების გაცემის მოწესრიგება არ უნდა დაისახოს მიზნად, არამედ მთელი არქივის სათანადო მოწესრიგება. არქივთა შორის შეჯიბრი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. არქივთა შორის შეჯიბრი სამი მთავარი მომენტით დახასიათდება, იგი სამუშაოს სამ მთავარ სახეს უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიცავდეს: 1) არქივისთვის სათანადო შენობის მიჩენა, 2) საარქივო მასალების კონცენტრაცია და 3) მათი დამუშავება.

შ. ჩ ხ ე ტ ი ა. თავმჯდომარემ უკვე დაასახელა შეჯიბრის მთავარი მომენტები. შეჯიბრი მიზნად უნდა ისახავდეს ამ სამუშაოთა ზედმიწევნით და საუკეთესოდ შესრულებას. მომქმედ დაწესებულებებში, ცხადია, ცნობათა გაცემა მთავარი მომენტია, მაგრამ ეს მხოლოდ პირებზე გაცემული ცნობებით არ უნდა ამოიწურებოდეს. საჭიროა ისეთი მასალების გამოჩენა, რომლებიც საწარმოო და სამეურნეო დაწესებულებებისათვის არის გამოსადეგი ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით.

შეჯიბრის საგნადვე უნდა გახდეს არქივების კეთილმოწყობა ამ დარგში ნორმალური მდგომარეობის შესაქმნელად. იგივე ითქმის არქივის მუშაკებისა და დაწესებულების ადმინისტრაციის ურთიერთობაზე. ამ ურთიერთობის მოგვარება თვით არქივის მუშაკის საქმეა, რომლის ხელთ არის: კედლის გაზეთი, საზოგადო კრებები და სხვა. ამ საკითხების ირგვლივ სხვა დაწესებულებების არქივის შეჯიბრში გამოწვევა საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესება-გამოსწორებას უნდა ისახავდეს მიზნად და არა უსათუოდ ერთი მეორის გასწრებას. შეიძლება ერთმა ერთი სახის მუშაობის შესრულება იდვას თავს, საკუთარი სუსტი მხარის გამოსწორების მიზნით, მეორემ კიდევ სხვა.

მე მოგახსენებთ აგრეთვე საარქივო კურსების აუცილებლობის შესახებ. კურსების მოწყობა ცენტრ. საარქივო სამართველოს საქმეა, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას, გამოსძებნის ლექტორებს და სხვა. მაგრამ კურსების მატერიალური მხარის გადაწყვეტა მხოლოდ სამმართველოს არ შეუძლიან თავს იდვას. ამაში უნდა ჩაბმულ იქნენ თვით დაწესებულებები, თუნდაც ერთდროული შეწირულების სახით მით უფრო, რომ კურსების მსმენელებად უმთავრესად დაწესებულებების არქივარიუსები იქნებიან.

გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. გამართულმა კამათმა კონფერენციის მოწვევა გაამართლა: იგი მართლაც დროული და აუცილებელი იყო. კონფერენციამ საქმიანი ნიშნის ქვეშ განვლო. ჩემს მოხსენებაში აღნიშნული ნაკლი—დაწესებულების მიერ არქივის მნიშვნელობის შეუგნებლობა—აქ გამოსულმა ორატორებმა დაადასტურეს თავიანთი არქივების სავალალო მდგომარეობაში ყოფნის გამოაშკარავებით. ამასთანავე ზოგ ადგილას არის არქივები და არ არის არქივარიუსი, ზოგან ისიც კი არ იციან—დაწესებულებების არქივი და მისი გამგე ექვემდებარებიან თუ არა რაიმე სახით ცენტრარქივს. უნდა განიმარტოს, რომ დამოკიდებულება არქივარიუსისა ორგვარია: დაწესებულების საქმეში—ის დაწესებულების ადმინისტრაციას ექვემდებარება, ხოლო არქივთმოწყობის საქმეში—ცენტრარქივს, რომელიც კონტროლის უფლებით სარგებლობს. საქართვ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა დაწესებულებათა არქივები ექვემდებარებიან ცენტრალურ საარქივო სამმართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯიბრის გამართვა დაწესებულებათა შორის არ არის სწორი. ასეთი შეჯიბრი მიზნათ ისახავს არქივის მუშაკის შრომის ნაყოფიერების აწევას. ჩვენ გვინდა თვით მუშაკებმა გამართონ ურთიერთ-შორის შეჯიბრი. ეს მიზნად უნდა ისახავდეს აგრეთვე არქივის მნიშვნელობის პოპულიარიზაციას დაწესებულებაში, რისთვისაც საწარმოო თათბირზე უნდა იქნენ გამოყენებული. უსათუოდ უნდა აღმოიფხვრას ანორმალური მოვლენები დაწესებულებების არქივებისა და მათი გამგეების მოღვაწეობაში.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მოსასმენი გვაქვს სამანდატო კომისიის მოხსენება.

გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. კონფერენციაზე წარმოდგენილია 30 ცენტრალური დაწესებულება 62 დელეგატით, დელეგატთა შორის 44 მამაკაცია და 18 ქალი. ეროვნების მხრივ: ქართველი—42, რუსი—12, სომეხი—5, უკრაინელი—1, ფრანგი—1. 2 დელეგატი უმაღლესი ცოდნით არის, 28—საშუალოთი და 3—დაბალით. პარტიულობის მხრივ: 9—პარტიულია, 3—კომკავშირელი და 50 უპარტიო. კრებებს მუდმივ ესწრებოდა დელეგატთა 90%.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მოსასმენი გვაქვს პროფ. პოლიევქტოვის მოხსენება საარქივო მასალების გარჩევის შესახებ.

პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი. საარქივო მასალების გარჩევის ტექნიკა რთულია. საარქივო მასალის თვისებაა მიიზიდოს მუშაკი, რომელიც მასზე მუშაობას აწარმოებს. ამ ნიადაგზე იბადება საჭიროება იმ საზღვრების დადგენისა, სადაც თავდება ამ მასალებით დაინტერესებული არქივარიუსის მუშაობა, რომლის იქით წასვლა მისთვის, როგორც დაწესებულების არქივის ხელმძღვანელისათვის, მოუხერხებელია, ე. ი. საჭიროა გამოირკვეს საარქივო მასალების დამუშავების რომელ სტადიაზე უნდა შეჩერდეს არქივარიუსი. აქ არქივის მდგომარეობა შეიძლება კეთილმოწყობილ წიგნთსაცავს შეედაროს: არქივარიუსის მოვალეობა შესრულებლია, თუ არქივიდან ყოველგვარი ცნობის დაუბრკოლებლად მიღება შესაძლებელია.

საარქივო მასალების გარჩევა ორ მომენტს შეიცავს: ფონდობრივი და ქრონოლოგიური გარჩევა: ფონდი ის საარქივო მასალა არის, რომელიც ჩამოყალიბებულია რომელიმე დაწესებულების ან მისი ნაწილის მოქმედების შედეგად. ფონდობრივმა გარჩევამ უნდა ცხადჰყოს დაწესებულების სტრუქტურა. ეს რთული საქმეა. ხშირად დაწესებულის ნაწილების დიფერენციაცია, საარქივო მასალების მიხედვით, ძნელია, რასაც არა იშვიათად ფონდების დარღვევა სდევს თან.

მასალების გარჩევის მეორე მომენტია, როგორც ვთქვით, ქრონოლოგიური გარჩევა. გარჩევის დროს ხშირად თავს იყრის შეუკრავი საქმიდან გამოვარდნილი ცალკე ფურცლები, რომლებიც ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი და გარჩევის დასრულების შემდეგ, შეძლებისდაგვარად, განაწილებული სათანადო საქმეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი მომენტი: მაკულატურის გამოყოფა, ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმეა. მასალის მაკლატურად ცნობა რთული მოვლენაა. ეს ითქმის განსაკუთრებით მეორე კატეგორიის მასალებზე. თუმცა არსებობს გადასარჩევი სიები, სადაც მოცემულია მაკულატურად მისაჩნევი მასალების კატეგორიები, მაგრამ არასოდეს ეს სიები არ შეიძლება ზედმიწევნით სწორი იყოს, ამა თუ იმ მასალის უშუალოდ გაცნობის გარეშე, რის გამოც საჭიროა ფონდის დიდი ყურადღებით გარჩევა. გადამრჩევი სიები მხოლოდ დამხმარე მასალა არის.

ფონდობრივ და ქრონოლოგიური გარჩევის დროს უნდა უკუგდებულ იქნას მაკულატურის გამოყოფის მიზნით საქმეების განხილვა.

მესამე სტადია აღწერების შედგენაა. აღწერების შედგენა მხოლოდ საქმეების სათაურების მიხედვით არ შეიძლება. ამისთვის საჭიროა თვით საქმის შინაარსის გამორკვევა და მისი სათანადო სათაურის შედგენით (თუნდაც ორივე—ძველი და ახალის შეტანით) აღწერებში მოთავსება. მეოთხე სტადიაა—საძიებლების შედგენა. მეხუთე სტადიაა საძიებლისვე შედგენა შინაარის მიხედვით.

ამ სამუშაოების გაკეთებით სრულდება არქივარიუსის, როგორც არქივის მუშაკის, მოვალეობა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მოსასმენი გვაქვს მოხსენებათა შესახებ რეზოლიუციები.

გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. რადგან სამივე მოხსენება ერთი საკითხის ირგვლივ იყო, ამიტომ კომისიამ გადასწვიტა ერთი რეზოლიუციის გამოტანა (ამხ. ცინცაძე კითხულობს რეზოლიუციას).

ქალ. ტფილისის მომქმედ დაწესებულებათა არქივარიუსების 1-ლ კონფერენციის რეზოლიუცია:

ქალაქ ტფილისში არსებულ მომქმედ დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა არქივების მუშაკთა პირველმა კონფერენციამ, მოისმინა რა საქ. ცენტრარქივის დირექტორის ამხ. ი ო ვ ი ძ ი ს, საქ. ცენტრარქივის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს და ამავე დაწესებულების ინსტრუქტორის ამხ. ვ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს მოხსენებები, აღნიშნავს:

1. არქივებისა და საარქივო საქმის ამოცანები ოქტომბრის რევოლიციის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, სრულიად განსხვავდებიან ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყოფილ და არსებულ ამოცანებისაგან.

2. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, და პარალელურად კულტურულ რევოლიუციასთან დაკავშირებით, საბჭოთა არქივების ამოცანები საგრძნობლად გაფართოვდენ, არქივების მნიშვნელობა გაიზარდა და არქივები ვალდებულია აქტიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობა მიიღონ სოც. აღმშენებლობაში, საარქივო მასალების გამოქვეყნების გზით, ისეთ მასალების, რომელნიც წარსულ ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მხარეებს გაგვიშუქებს.

3. მეორეს მხრით, არქივებსა და საარქივო საქმეზე, ძველი შეხედულებანი, რომელიც ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის არა მარტო მასებში, არამედ ზოგჯერ პასუხიმგებელ მუშაკთა შორისაც, როგორც ძველ შეხედულებათა ნაშთი, ძირიანად უნდა აღმოიფხვრას პროპაგანდისა და საარქივო საქმის პოპულიარიზაციის გზით.

4. კონფერენცია, აღნიშნავს რა საარქივო საქმის არა დამაკმაყოფილებლად დაყენებას მოქმედ დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა არქივებში, წინადადებას აძლევს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მათზე; ამავე დროს კონფერენცია ავალებს მას ზომები მიიღოს დაწესებულებათა ხელმძღვანელებზე გავლენის მოსახდენად, რათა გაუმჯობესებულ იქნეს საარქივო მუშაობისა და არქივის მუშაკთა პირობები,

5. ცნობილ იქნეს იმ დაწესებულების შტატში, რომელსაც თავისი არქივი აქვს, აუცილებლად არსებობდეს სპეციალური თანამშრომელი—არქივარიუსი, რომელიც უნდა მუშაობდეს სხვა თანამდებობის შეთავსების გარეშე.

6. გამლიერებულ იქნეს კავშირი ცენტრარქივისა და დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა არქივებს შორის.

7. დაევალოს დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა აპარატს არქივში საქმეების ჩაბარების დროს სასტიკად დაიცვან ყველა პუნქტები, რომელიც აღნიშნულია ცენტრარქივის მიერ სპეციალურად გამოშვებულ „წესებში“.

8. მიღებულ იქნას ზომები, რათა ჩაბმულ იქნეს ყველა საარქივო ორგანოები სოციალისტურ შეჯიბრებაში.

9. სასტიკი ზომებით აღკვეთილ იქნეს საარქივო მასალათა მოსპობა და გაყიდვა საქართველოს ცენტრარქივის ნებართვის გარეშე.

10. დაევალოს დაწესებულებებს, წარმოებებს და ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ ჩააბარონ საქ. ცენტრარქივის—საარქივო მასალები რევოლიუციის წინადროინდელ ხანისა და აგრეთვე ლიკვიდირებულ დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა არქივები საბჭოთა ხანისა.

11. საჭიროდ იქნეს ცნობილი, ახლო მომავალში მოეწყოს ცენტრარქივთან მოკლევადიანი საარქივო კურსები—მომქმედ დაწესებულებათა არქივარიუსების კვალიფიკაციის ასაწევად. დაისვას საკითხი ფინანსიური დახმარების გაღებით მომქმედ დაწესებულებებმა მონაწილეობა მიიღონ ამ კურსების მოწყობაში.

რეზოლიუციი ერთხმად იქნა მიღებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონფერენციას საბოლოო სიტყვით ხურავს ამხ. ი ო ვ ი ძ ე, რომელიც კვლავ მიუთითებს რა არქივების დიდ მნიშვნელობაზე სოციალისტურ აღმშენებლობაში და საარქივო ორგანოების ჩამორ-ჩენილობაზე,—მოუწოდებს არქივის მუშაკთ ენერგიის გაძლიერებით ამ ნაკლის შევსებისა და სხვა ორგანოებთან გათანასწორებისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საარქივო საქმე ს.ს.ს. რესპუბლიკაში.

(საინფორმაციო განყოფილება)

საქართველოს ცენტრარქივის მუშაობა-მოქმედების ანგარიში 1929 წლის საპერსპექტივო გეგმის მიხედვით.

უპირველეს ყოვლისა 1929 წლის საპერსპექტივო გეგმა ითვალისწინებდა მაკულატურის გამოყოფის კომპანიის სასწრაფოდ ჩატარებას, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წლის 28 ნოემბრის დადგენილების თანახმად, სახელმწიფო დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა არქივებიდან მაკულატურის გამოყოფასთან დაკავშირებით. ცენტრარქივი ფართო მასშტაბით აწარმოებდა უწყებათა არქივების რეგისტრაციას და გამოკვლევას, ცენტრარქივის მიერვე შემუშავებულ „წესების“ მიხედვით, რათა დაწესებულებას თავისი საქმის წარმოება შეეთანხმებინა ცენტრარქივის მუშაობასთან, და წესიერად ეწარმოებინა მაკულატურის გამოყოფის საქმე ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის შესავსებად.

ცენტრარქივის მუშაობა მიმდინარეობდა მაკულატურის კომპანიასთან დაკავშირებით: სწარმოებდა უმთავრესად ისეთ ფონდების საარქივო წესრიგში მოყვანა, რომელნიც გაურჩეველი იყო და ამავე დროს საკმაო რაოდენობის მაკულატურის გამოყოფის შესაძლებლობას იძლეოდა. ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის პროცესი საისტორიო არქივებისა და ლიკვიდირებულ საბჭოთა დაწესებულებების არქივების საკმაო რაოდენობას შეეხო, რის გამოც მინიმუმამდე შემცირებულ იქნა საარქივო მასალათა აღწერის სამუშაო.

იმ არქივებში, სადაც მაკულატურის გამოყოფვა არ სწარმოებდა, ასეთის უქონლობის გამო (მაგ. საისტორიო სარევოლიუციო არქივსა და ძველ საბუთთა არქივში), სწარმოებდა კლასიფიკაცია, საინვენტარო აღწერის, საძიებლების და შინაგან აღწერების შედგენა.

უწყებათა არქივებში წლის პირველ ნახევრის განმავლობაში დასრულდა პირველი რიგის მასალებიდან მაკულატურის გამოყოფა და დაიწყო უფრო რთული მუშაობა -- მეორე რიგის მასალებიდან მაკულატურის გამოყოფვა. სახელმწიფო დაწესებულებებში ჩატარებულ სამაკულატურო კომპანიას დიდი დაბრკოლებები გადაეღობა: 1) დაწესებულებები არ იყო მზად გადასარჩევ მუშაობის ჩასატარებლად, საარქივო მასალები აღრიცხული არ ჰქონდათ, საკანცელარიო აღწერები არ მოეპოვებოდათ და მაკულატურის გამოყოფა დაშლილ ფონდებიდან სწარმოებდა. ეს გარემოება კი აძნელებდა გადასარჩევ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალების სიების შედგენას. 2) საქმის წარმოებაში სწორად შედგენილი საქმეების ნომენკლატურის უქონლობა ხელს უწყობდა პირველ და მეორე რიგის მუშაობის ერთმანეთში არევას: მასალები, რომელნიც კომისიის მიერ გადასინჯული უნდა ყოფილიყო, ხვდებოდა წინისწარ უკვე მოსასპობად ცნობილ მასალის სიებში, და პირიქით, პირველ რიგში მოსასპობი მასალები, რომელსაც გადასინჯვა არ ესაჭიროებოდა, გამრჩევ კომისიას უნდა განეხილა. ხშირად ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი: დაწესებულებები ადგენდნენ მთელი მათი საარქივო მასალის სიებს და ისე უგზავნიდენ ცენტრარქივს, ბევრი კი სუმარულ აღწერების ნაცვლად ადგენდა დაწვრილებით აღწერას ყველა მოსასპობ მასალებისას. ყოველივე ეს ართულებდა ცენტრარქივის საკონტროლო შემმოწმებელ კომისიის მუშაობას, რომელიც იძულებული იყო ადგილობრივ დაეთვალიერებინა გამოყოფილი მასალა და ასე შეესწორებინა მოსასპობ მასალათა სიები და დაედასტურებინა მასალის უვარგისობა. 3) უწყებათა არქივების დათვალიერების დროს გამოირკვა მრავალი შემთხვევები სიის წინასწარ შედგენისა და ცენტრარქივის საკონტროლო-შემმოწმებელ კომისიის დასტურის გარეშე მაკულატურის ქარხნისთვის გადაცემისა. გარდა ამისა ზოგიერთი დაწესებულებები არ აცნობებდნენ ცენტრარქივს სათანადო ორგანოებისათვის მაკულატურის ჩაბარებას, რითაც ბრკოლდებოდა მიმდინარე კომპანიის მუშაობის აღრიცხვა. 4) სავაჭრო კომისარიატის მიერ მაკულატურაზე დაწესებული ფასები არ ანაზღაურებდა გაწეულ ხარჯებს. ამ მხრივ მძიმე პირობებში ჩავარდა ცენტრარქივის დაწესებულებები, სადაც დამუშავებულ იქნა ისეთი მასალები, რომელნიც დაწვრილებითი განხილვას მოითხოვდა. ტეხნიკური თანამშრომლების გამოყენება ისეთ სამუშაოზე, სადაც გამოსარკვევი იყო ამა თუ იმ მასალის მეცნიერული ღირებულება, შეუძლებელი იყო, ხოლო დამუშავების ნორმა დამოკიდებული იყო არა მარტო მომუშავის ინტენსიობაზე, არამედ გასარჩევ მასალის თვისებებზედაც. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ერთი მომუშავე ერთ დღეში მხოლოდ 25 კილოგრამ მაკულატურას გამოჰყოფს ისეთი ფონდიდან, სადაც მაკულატურა მნიშვნელოვანი რაოდენობითაა, ხოლო ვაჭრობის კომისარიატის მიერ დადგენილი ფასი არ იძლევა ტეხნიკურ თანამშრომლის ხელფასის გადახდის საშუალებასაც კი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებებსაც, რომ ტეხნიკურ თანამშრომლების გარდა გამრჩევ კომისიაში მეცნიერი თანამშრომლებიც მონაწილეობასაც იღებდენ, და დაწესებულებებში სამაკულატურო კომპანიამ უწყებათა არქივების ფართოდ გამოკვლევისა და დათვალიერების აუცილებლობა შექმნა, რაზედაც საინსტრუქტორო აპარატი მუშაობდა, ცხადი გახდება, რომ ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებული ფასები მეტის-მეტად მცირე იყო. 5) სამაკულატურო მუშაობის შეფერხების ერთ-ერთ მიზეზად ცენტრარქივში აღსანიშნავია თავისუფალ სივრცის (სამუშაო ოთახების) უქონლობა, როგორც მასალების შესანახად ისე მასალების გასარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად. ტეხნიკურ პირობების გამო გარჩევა სწარმოებდა იქვე, სადაც არქივები იყო მოთავსებული, რადგანაც საამისოდ ცალკე ოთახი არ მოიპოვებოდა. მაკულატურით მდიდარი ფონდები თავის დროზე მოთავსებულ იქნა განსაკუთრებულ ფლიგელში, სადაც შესვლა კერძო ბინებიდანაა მხოლოდ შესაძლებელი. ამ ბინებიდან კერძო მცხოვრებთა გამოსახლება დადგენილი იყო სათანადო ორგანოებში და აღმასრულებელი ფურცელიც მიღებული იყო, მაგრამ რესპუბლიკის პროკურორის განკარგულებით რატომღაც შეჩერებული იქნა. ასე რომ ფაქტიურად ხსენებულ არქივებში შესვლის საშუალება არ იყო. ეს გარემოება გეგმით გათვალისწინებულ ამოცანის შეუსრულებლობის მიზეზი შეიქნა: მაკულატურა გამოუყოფელი დარჩა საბაჟოსა და ბანკების არქივებიდან.

სამაკულატურო კომპანიის ჩასატარებელი მუშაობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1) ყველა სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ავტონომიურ რესპუბლიკათა მთავარ არქივებს და საარქივო ბიუროებს დაეგზავნა ინსტრუქცია მოსასპობ მასალების გამოსაყოფად და განსაკუთრებული წესები სამხედრო კომუნიზმის ხანის ფულისა და მატერიალურ ანგარიშების გასარჩევად; ინსტრუქციები დაეგზავნა გამრჩევ და შემმოწმებელ კომისიებსაც. 2) შედგენილ იქნა ინსტრუქცია საქმეებისა და საბუთების შენახვის ვადის მითითებით; ამასთან შეფარდებით შეცვლილ და გამარტივებულ იქნა „წესები“ სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებში საარქივო საქმის დაყენებისათვის. ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიებანი: ინსტრუქციები, „წესები“ და სხვა თავის დროზე ეცნობა შესეთანხმებლად მუშ. და გლეხ. ინსპექციას. 3) საინსტრუქტორო აპარატის მიერ დათვალიერებულ და აღრიცხულ იქნა მთავარი დაწესებულებათა არქივები, „წესები“-ს მე-75 § მიხედვით (მრავალი არქივები დათვალიერებული იქნა რამოდენიმეჯერ). 4) შემმოწმებელ კომისიის მიერ განხილულია გადარჩეულ მასალათა სიები, აქტები და საქმეები, საჭირო შემთხვევაში ადგილობრივად მასალის დათვალიერებით. 5) გამოიყო და ქაღალდის მრეწველობას გადაეცა ცენტრარქივის ცენტრალურ არქივთსაცავებიდან 41 ტონა და 321 კილოგრამი მაკულატურა. ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებების და ორგანიზაციების არქივებიდან ქაღალდის მრეწველობას გადაეცა 382 ტონა და 149 კილოგრამი, სულ 439 ტონა. მაკულატურის გამოსაყოფათ ცენტრარქივის დაწესებულებებში დაიხარჯა 1390 სამუშაო დღე. მუშაობის ნორმად საშუალოდ დღეში ერთ კაცზე მოდის 25 კილოგრამი. თუ საშუალო ხელფასად 2 მ. 50 კაპ. ვიანგარიშებთ დღეში, მაშინ ტონა ცენტრარქივს უჯდება 100 მანეთი. აქ არ შედის ინსტრუქტორის და შემმოწმებელ აპარატის შესანახად გაწეული ხარჯები. ვაჭრობის კომისარიატის მიერ დადგენილი ფასი კი მაკულატურის ხარისხის მიხედვით არ აღემატება 25 მან.-70 მანეთს (1 ტონა). 382 ტონა რომელიც ქაღალდის მრეწველობას გადაეცა ტფილისის დაწესებულებების არქივებიდან არ გამოხატავს სრულ რაოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობას ტფ. დაწესებ. არქივებიდან გადაცემულ მასალისას, რადგანაც ზოგიერთ დაწესებულებებს, როგორც აღნიშნული იყო, არ უცნობებია მათ მიერ გადაცემული მაკულატურის რაოდენობა.

ცენტრარქივის მიერ ჩაბარებულ მაკულატურის საერთო რაოდენობა თვეების მიხედვით ასე შეიძლება გამოიხატოს: თებერვალში გადაეცა 12608 კ. გრ., მარტში—8681, აპრილში—9065, მაისში—3778, ივნისში—3629, ივლისში—1000, სექტემბერში—510 და ნოემბერში—2050 კ. გრ.

საერთოდ გეგმით გათვალისწინებული სამუშაო ცენტრარქივის დაწესებულებების მიერ ცალ-ცალკე შესრულებულია შემდეგნაირად.

1. მთავარი საისტორიო არქივი.

საანგარიშო წელში გეგმის მიხედვით სწარმოებდა შემდეგი სამუშაო:

1) მაკულატურის გამოყოფა შემდეგ დაწესებულებათა საარქივო ფონდებიდან: ტრაპიზონის რკინის გზის სამმართველოს, სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის, კავკასიაში მართლმადიდებლობის გამავრცელებელ საზ—ბის, ზინგერის კომპანიის, ტფილისის სახაზინო პალატის და სალაროსი, გზათა ოლქის, კახეთის და მაკინის რკ. გზების, მე-2 ქალთა გიმნაზიის, ქუთაისის სათავად-აზნაურო სამამულო ბანკის, ტფილისის საკრედიტო საზოგადოების სათავად-აზნაურო ბანკის ა/კ. განყოფ., საგლეხო სამამულო ბანკის და მეფის ნაცვლის კანცელარიის; 2) პირველ პუნქტში ნაჩვენებ ფონდებისა და აგრეთვე საქართველო-იმერეთის სინოდალურ კონტორის ფონდის გარჩევა და სისტემატიზაცია, 3) ფონდების კარტოთეკების და რევოლიუციის წინადროინდელი ხანის კავკასიის დაწესებულებათა სქემების შედგენა; 4) რევოლიუციის წინადროინდელ ხანის ფონდების კონცენტრაცია; და 5) ცნობების გაცემა და სამაცადინო დარბაზის მოთხოვნით მასალების მკვლევართათვის მიწოდება.

მ უ შ ა ო ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი:

1) გარჩეულია, სისტემატიზირებულია ნაკრაულებად დამზადებულია, იარლუყებ გაკეთებულია და დალაგებულია 250675 შესანახი ერთეული—880 სამუშაო დღის განმავლობაში, მუშაობის ნორმა 1 კაცზე დღეში უდრის 250 შესანახ ერთეულს; 2) მაკულატურის გამოყოფა სწარმოებდა—530 სამუშაო დღის განმავლობაში; 3) საარქივო წესრიგში მოყვანილ იქნა (ჩაკერება, დაწებვა, პაგინაცია, შემოწმების ხელრთვა, ყდებისა და საბუთების განახლება) 117 შესანახი ერთეული, დანუმრულია 11027 ფურცელი,—15 სამუშაო დღის განმავლობაში, ნორმა 8 ერთ. (785 ფურც.); 4) ინვენტარში შეტანილია 60 შესანახი ერთეული ერთი დღის განმავლობაში. ნორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

60 ერთ.; 5) დალაგებულია 7500 შესანახი ერთ., 12 სამუშაო დღის განმავლობაში, ნორმა 625 ერთეული; 6) გაცემულია 463 ცნობა, 249 სამუშაო დღის განმავლობაში, ნორმა 1,8; 7) მიღებულია 100.000 შესანახ ერთეულამდე გაურჩეველი მასალა. სულ დახარჯულია 1687 სამუშაო დღე, რაც საშუალოდ დღეში შეადგენს 5,8 ერთ. სამუშაო ძალას. გაცდენილია ავადმყოფების ან სხვა საპატიო მიზეზის გამო 171 სამუშაო დღე (9%), დახარჯულ დღეების რიცხვიდან გარჩევას და სისტემატიზაციას მოანდომეს 52%, მაკულატურის გამოყოფას 32, ცნობის გაცემას 15 და დანარჩენ სამუშაოებს—1%. გეგმითი ამოცანები სავსებით შესრულებულია, გარდა კავკასიის დაწესებულებათა სქემის შედგენის სამუშაოსა, რომელიც ჯერ არ არის დამუშავებული. შავად შედგენილი კარტოთეკები ბარათების უქონლობის გამო ისევ ძველ მდგომარეობაში რჩება.

1930 წლის პირველ იანვრისთვის არქივში აღრიცხულია 227 საარქივო ფონდი, რომელთაგან 95% გარჩეულია, ხოლო აღწერილია 30%.

2. სამხედრო-საისტორიო არქივი.

წარმოებული იყო შემდეგი გეგმითი სამუშაო:

1) ძველ 18—19 საუკ. სამხედრო არქივების წინასწარი და შემდეგ სისტემატიური გარჩევა, ნაკრაულებათ დამზადება იარლუყების გაკეთებით და დალაგება; 2) იმპერიალისტური ომის მასალების საარქივო წესრიგში მოყვანა და წინანდელი მუშაობის დეფექტების გამოსწორება; 3) ბეჭდვითი მასალების გარჩევა; 4) წითელი არმიის მასალების აღწერათა მიხედვით შემოწმება; 5) საისტორიო და წითელ არმიის ფონდების სიების და კარტოთეკების შედგენა; 6) წითელი არმიის ფონდების კონცენტრაცია და 7) ცნობების და მასალების გაცემა სამაცადინო დარბაზის და სახელმწიფო დაწესებულებების მოთხოვნით.

მ უ შ ა ო ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი:

1) გარჩეულია სისტემატიზირებულია ნაკრულებათ დამზადებულია, იარლუყებ გაკეთებულია და დალაგებულია 51106 შესანახი ერთეული—595 სამუშაო დღის განმავლობაში, ნორმა 85; 2) მაკულატურის გამოსაყოფად გარჩეულია ბეჭდვითი მასალა 17735 შეს. ერთეული—148 სამუშ. დღის განმავლობაში, ნორმა 120 ერთ.; 3) საარქივო წესრიგში მოყვანილია (ჩაკერება, დაწებვა, პაგინაცია, სათაურების შესწორება და აღრიცხვა) 1154 შესანახი ერთ. დანუმრულია 300506 ფურც.—240 სამუშ. დღის განმავლობაში, ნორმა 5 შ. ერთ., 1300 ფურცლის დანუმვრით; 4) აღწერების მიხედვით შემოწმებულია 1511 შ. ერთ.,—4 სამუშ. დღის განმავლობაში ნორმა 378; 5) შედგენილია ფონდების სია და ოპერატიულ საქმეთა განსაკუთრებული სია 14 სამუშაო დღის განმავლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში; 6) მიღებულია 2018 შესანახი ერთ., ჩასაბარებელ აღწერების მიხედვით და 4863 კილოგრამი მე-11 არმიის მასალა; 7) გადაეცა სახ. დაწესებულებებს დროებით სარგებლობისათვის 155 შესანახი ერთ.; 8) გაცემულია 99 ცნობა—108 სამუშ, დღის განმავლობაში, ნორმა 1 ერთ.; 9) შავად შედგენილია ფონდების კარტოთეკა.

სულ დახარჯულია 1108 სამუშ. დღე, შემმოწმებელ კომისიის დავალებით ნამუშევარია 133 დღე—ჯამი 1246 სამ. დღე, რაც საშუალოდ შეადგენს 4,3 ერთ. სამუშაო ძალას. ავადმყოფობის გამო გაცდენილია 87 სამ. დღე (9%). ნამუშევარ დღეების რიცხვიდან გარჩევაზე და სისტემატიზაციაზე დახარჯულია 60%, საარქივო წესრიგში მოყვანაზე—20, ცნობების გაცემაზე 8, შემმოწმებელ კომისიის მუშაობაზე—11, დანარჩენ სამუშაოზე—1%. გეგმითი ამოცანები შესრულებულია 95%. გეგმის სავსებით არ შესრულება აიხსნება ძველი მასალის ქაოტიურ მდგომარეობით გამოწვეულ სიძნელით.

1930 წლის პირველ იანვრისთვის არქივში აღნუსხულია 130 ისტორიული და 15 წითელი არმიის ფონდები სულ 145, ამათგან გარჩეულია 95%, აღწერილია საისტორიო ფონდების 20%, წითელი არმიის ფონდები, ჩასაბარებელ აღწერების მიხედვით მიღებული, ინვენტარულად აღწერილი არ არის.

3. იურიდიული არქივი.

წარმოებული იყო შემდეგი გეგმითი სამუშაო:

1) ტფილისის საოლქო სასამართლოს პირველი სამოქალაქო განყოფილების მასალათა გარჩევა და სისტემატიზაცია; 2) გამოყოფილ იქნა მაკულატურა ობოლთა და ბინის სასამართლოების, სამხედრო დახმარების ნაწილის კანცელარიის გამგის, სამხედრო პროკურორების, ციხის და კორპუსების სასამართლოების, სასამართლოს პალატის სამეჯნო დეპარტამენტის, პირველი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოთა განყოფილებების, საპროკურორო ზედამხედველობის, ნოტარიუსების და სასამართლოს გამომძიებლების ფონდებიდან; 3) კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს და სხვა მასალების საარქივო წესრიგში მოყვანა; 4) კავკასიის სამხედრო სასამართლოს, პროკურორის კანცელარიის, საგანგებო სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სენატის (მენშევიკური ხანის) მასალების ინვენტარიზაცია და საკუთარ სახელთა საძიებლების შედგენა; 5) საარქივო ფონდების ინვენტარიზაცია და 6) ცნობების გაცემა.

მ უ შ ა ო ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი:

1) გარჩეული და სისტემატიზირებულია 3100 შესანახი ერთეული. ზემოაღნიშნულ ფონდებიდან მაკულატურის გამოყოფაზე და გარჩევაზე დახარჯულია 228 სამუშ. დღე; 2) საარქივო წესრიგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვანილია 13053 შესანახი ერთ., დანუმრულია 821140 ფურცელი, — 428 სამუშ. დღის განმავლობაში, დამუშავების ნორმა 30 შესანახი ერთეული 1900 ფურცლის დანომვრით; 3) ინვენტარულად აღწერილია 8267 შესანახი ერთ., მაჩვენებელი შედგენილი აქვს 3626 ერთ.,—152 სამუშ. დღ. განმავლობაში, დამუშავების ნორმა 56 ჩანაწერი საინვენტარო აღწერაში, 23 ერთეულის მაჩვენებელში შეტანა, სულ 79 ჩანაწერი; 4) მიღებულია 9568 შესანახი ერთეული; 5) გაცემულია 532 ცნობა,—21 სამუშ. დღის განმავლობაში (სამუშაო დღეების რაოდენობა ამ სახის სამუშაოს შესრულების დროს ყოველთვის არ იყო აღრიცხული). სულ ნამუშევარია 826 სამუშაო დღე, რაც საშუალოდ შეადგენს 3 სამუშაო ძალას. ავათმყოფობის გამო და სხვა საპატიო მიზეზით გაცდენილია 33 სამუშაო დღე (4%).

ნამუშევარ დღეების საერთო რიცხვიდან გარჩევაზე და მაკულატურის გამოყოფაზე დახარჯულია 28%, საარქივო წესრიგში მოყვანაზე 52%, ინვენტარიზაციასა და მაჩვენებლების შედგენაზე 10%, ცნობების გაცემაზე 5%, და დანარჩენ სამუშაოზე 5%. გეგმითი სამუშაო შესრულებულია 92%.

1930 წლის პირველ იანვრისთვის რეგისტრირებულია 50 საისტორიო ფონდი, 14 წითელი არმიის ფონდი (სამხედრო ტრიბუნალის) და საბჭოთა სასამართლოს დაწესებულებების 6, სულ 70. ამათგან გარჩეულია 83%, აღწერილია 20%.

4. საისტორიო-სარევოლიუციო არქივი.

წარმოებული იყო შემდეგი გეგმითი სამუშაო:

1) საარქივო წესრიგში მოყვანა და საინვენტარო აღწერების შედგენა შემდეგ მასალებისთვის: ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოს საიდუმლო მაგიდის, ტფ. ქალაქის მილიციის და მაძიებელ განყოფილების; შინაგანი აღწერის შედგენა: კავკასიაში მეფის ნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებულ განყოფილების მასალებისათვის და ბარათებით კატალოგის შედგენა: კავკ. რაიონ. „ოხრანკის“, მეფის ნაცვლის კანცელარიის განსაკუთრ. განყოფილების და ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს საარქივო მასალებისათვის; 2) ჟანდარმთა სამართველოს 1911/16 წ.წ. ბრძანებების და რაიონულ „ოხრანკის“ მასალების დამუშავება, 1927 წ. 25 თებერვლის თარიღით გადმოგზავნილ საიდუმლო ცირკულიარში ნაჩვენებ გეგმის მიხედვით; 3) ცნობების გაცემა პარტიულ ორგანიზაციების და დაწესებულებების საგანგებო დავალებით და კერძო პირთა თხოვნით.

მ უ შ ა ო ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი:

1) საარქივო წესრიგში მოყვანილ იქნა 3827 შესანახი ერთ., დანუმრულია 54852 ფურც., ნამუშევარია 425 დღე, დამუშავების ნორმა 9 შ. ერთ., 130 ფურცლის ნუმერაციით; 2) გარჩეული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემატიზირებულია 79612 ფურცელი; 3) გამოყოფილია 112 კ. გრ. მაკულატურა; 4) ინვენტარიზირებულია 1659 შ. ერთ. და შეტანილია დამატებითი შენიშვნები 528; 5) შინაგან აღწერაში შეტანილია 80.898 საბუთი; 6) მაჩვენებელში შეტანილია 11312 სიტყვა; 7) შედგენილია 1823 ბარათი და 1838 დამატებითი ჩანაწერი; 8) გაცემულია 668 ცნობა (გადასინჯულია 314702 ფურცელი).

2—8 პუნქტებში აღნიშნულ სამუშაოზე დახარჯულია 1744 სამუშაო დღე, ცალ-ცალკე სამუშაოზე დახარჯული დრო არ აღირიცხებოდა. საშუალოდ 1 მომუშავე 1 დღეში ამუშავებდა გარჩევის დროს 45 ფურცელს, ინვენტარიზაციის დროს 1 შესანახ. ერთეულს, შინაგან აღწერების დროს 46 საბუთს, მაჩვენებლის შედგენის დროს 6 სიტყვას, 2 ბარათს. სულ დახარჯულია 2169 სამუშაო დღე, რაც საშუალოდ 7,5 ერთ. სამუშაო ძალას შეადგენს. საპატიო მიზეზით გაცდენილია 178 დღე (7%).

გეგმითი ამოცანები შესრულებულია 83%, გეგმის სავსებით არშესრულება აიხსნება თანამშრომელთა რიცხვის სიმცირით, გეგმაში გათვალისწინებულ რაოდენობასთან შედარებით.

1930 წლის პირველ იანვრისთვის რეგისტრირებულია 60 ფონდი. ამათგან ყველა გარჩეულია, ხოლო აღწერილია 90 .

5. ძველ საბუთთა არქივი.

საანგარიშო წელს მუშაობა სწარმოებდა საბუთების შავად აღწერის შედგენაზე, 63 წიგნში დაცულ საბუთის პირების შინაგან აღწერაზე, კლასიფიკაციაზე, საარქივო საინვენტარო აღწერების შედგენაზე და ძველ საბუთთა დასაბეჭდათ დამზადებაზე (პირების გადმოღება, ტექსტის დადგენა, დათარიღება და სათაურების შედგენა).

მ უ შ ა ო ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი:

1) შავად შედგენილ აღწერაში შეტანილია 647 ერთ.; 2) შინაგან აღწერაში შეტანილია 1400 საბუთი; 3) კლასიფიცირებული და საინვენტარო აღწერაში შეტანილია 8200 ერთ.; 4) დასაბეჭდად დამზადებულია 160 ერთ.

სულ ნამუშევარია 306 დღე, რაც საშუალოდ შეადგენს ერთ სამუშაო ძალაზე ცოტა მეტს.

ცალ-ცალკე სამუშაოზე დახარჯული დღეები აღრიცხული არ არის. გეგმითი ამოცანები შესრულებულია სავსებით, გარდა სხვადასხვა მუზეუმებში დაცულ საბუთების ცენტრარქივში კონცენტრაციისა; უკანასკნელი საჭიროებს დაწესებულებების წინასწარ შეთანხმებას, რაც ჯერ-ჯერობით მიღწეული არ არის.

1930 წლის პირველი იანვრისთვის რეგისტრირებულია 14 ფონდი, ამათგან გარჩეულია 93%, ხოლო აღწერილია 36%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მთავარი საბჭოთა არქივი.

არქივში წარმოებული იყო შემდეგი გეგმითი სამუშაო:

1) მუშ. და გლეხ. ინსპექციის, „წერკუმსის და ა/კავკ. რკ. გზ. სამმართველოს შრომისა და ყოფის განყოფილების მასალების საარქივო წესრიგში მოყვანა და ინვენტარიზაცია; 2) ფონდების კონცენტრაცია; 3) ცნობების გაცემა.

მუშაობის შედეგები:

1) გარჩეულია 4000 შესანახი ერთ.,—20 სამუშ. დღის განმავლობაში, ნორმა 200 ერთეული; 2) 4655 შესანახი ერთეული საარქივო წესრიგში მოყვანილია, დანუმრულია 271.560 ფურც.,—468 სამუშ. დღ. განმავლობაში, ნორმა 10 შ. ერთეული—600 ფურცლის დანუმვრით და 67 დაშლილ ფურცლების გარჩევით; 3) ზემო აღნიშნულ ფონდებიდან გამოყოფილია მაკულატურა—128 სამუშ. დღის განმავლობაში; 4) დალაგებულია 5000 შესანახი ერთ.,—8 სამუშაო დღის განმავლობაში, ნორმა 625; 5) ინვენტარიზირებულია 3984 შესანახი ერთ.,—60 სამუშ. დღ. განმავლობაში, ნორმა 66 ერთ.; 6) მიღებულია 4000 შესანახ ერთეულამდე; 7) გაცემულია 109 ცნობა 111 სამუშ. დღ., ნორმა 1 შესანახი ერთეული; 8) გარჩეულია პირადი საბუთები ალფაბეტის მიხედვით 4700 შესან. ერთ.,—6 სამუშ. დღის განმავლობაში, ნორმა 783 ერთეული.

არქივების მიღებაზე, ანგარიშების შედგენაზე, გეგმებზე და განსაკუთრებულ დავალებებზე დახარჯულია 56 სამუშაო დღე. სულ ნამუშევარია 857 სამუშ. დღე, რაც საშუალოდ 3 ერთ. სამუშაო ძალას შეადგენს. საპატიო მიზეზით გაცდენილია 28 სამუშ. დღე (3%).

დახარჯულ დღეების საერთო რიცხვიდან, გარჩევას დასჭირდა 3%, მაკულატურის გამოყოფას 15%, საარქივო წესრიგში მოყვანას 55%, ინვენტარიზაციას 7%. გეგმითი ამოცანა შესრულებულია 88%.

1930 წლის პირველ იანვრისათვის რეგისტრირებულია 35 საარქივო ფონდი. ამათგან გარჩეულია 94%, ხოლო აღწერილია 17%.

7. ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივი (წიგნთსაცავი).

განყოფილებაში მუშაობა სწარმოებდა ნაბეჭდ მასალის კონცენტრაციაზე (ქ. ტფილისის ბიბლიოთეკებიდან გამორიცხული წიგნების), მაკულატურის გამოყოფაზე, მიმდინარე ლიტერატურის დამუშავებაზე, პერიოდიკაზე და გასაცვლელ ფონდის გარჩევაზე.

მუშაობის შედეგები:

1) კონცენტრაცია და გამოყოფა: ბიბლიოთეკებიდან მიღებულია 17518 წიგნი, 8277 გაზეთის ნუმრები, არქივებიდან 32787

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი, 218 ნაკრაული ნაბეჭდი საქმეების, 256 დაშლილი მასალის ნაკრაული, სულ 62000 შესანახი ერთეული. ამათგან გამოყოფილია როგორც მაკულატურა 21793 ერთ., წონით 3932 კ. გრამი; 2) წიგნებისა და მიმდინარე ლიტერატურის დამუშავება: ა) წიგნის პალატიდან მიღებული და რეგისტრირებულია 923 წიგნი, 1424 ნუმერი გაზეთი, 402 ნუმერი ჟურნალი, სამეცნიერო დაწესებულებებიდან და საზღვარგარეთიდან 47 წიგნი, 56 ნუმერი ჟურნალი და ბიულეტენი, შესყიდულია 27 წიგნი, 73 ნუმერი ჟურნალი. სულ მიღებულია 2452 შესანახი ერთეული, ბ) ინვენტარში შეტანილია: 1556 შესანახი ერთ., გ) შედგენილია ალფაბეტურ კატალოგის 2939 ბარათი, დ) შედგენილია სისტემატურ კატალოგის 7778 ბარათი, ე) დაბეჭდილია სისტემატურ კატალოგის 1615 ბარათი; 3) პერიოდიკის დამუშავება: ა) გარჩეულია 5384 გაზეთი 2599 ჟურნალი, ბ) ტეხნიკურათ დამუშავებულია 142 გაზეთის კომპლექტი, 4271 ჟურნალის გამოცემა, გ) ინვენტარიზირებულია 524 სახელწოდების ჟურნალები (2320 წლიურ კომპლექტი, 34106 ცალი), დ) კატალოგში შეტანილია 1921 გაზეთი და 977 ჟურნალი; 4) გასაცვლელ ფონდის გარჩევა: გარჩეულია 28000 შესანახი ერთეული, შესანახ და მოსასპობ მასალათათვის მაჩვენებლების შედგენით; 5) მასალებისა და ცნობების გაცემა: სამეცადინო დარბაზსა და ცენტრარქივის თანამშრომლებზე გაცემულია 2565 შესანახი ერთეული, გაცემულია 136 ბიბლიოგრაფიული და სხვა ცნობები. სულ ნამუშევარია 1137 სამუშ. დღე, რაც საშუალოდ შეადგენს დღეში 4 სამუშაო ძალას. სამუშაო დღეებიდან მაკულატურის გამოყოფაზე დახარჯულია 218 დღე (20%), კონცენტრაციაზე 10%, გასაცვლელ ფონდის გარჩევაზე 20, წიგნის დამუშავებაზე 20, პერიოდულ გამომცემლობაზე 30%.

8. სამეცადინო დარბაზი.

საანგარიშო წელში მუშაობდა 197 კაცი. სამუშაოდ მოვიდნენ 1091 ჯერ. გამოთხოვილი იყო 5996 შესანახი ერთეული.

9. საკონტროლო-შემმოწმებელი კომისია და საინსტრუქტორო ნაწილი.

შემმოწმებელ კომისიის მუშაობაში თანამშრომლები მონაწილეობას იღებდენ შეთავსებით. განხილულია 312 სია, აქტები და გამრჩევ კომისიის ოქმები, საჭირო შემთხვევაში მასალის ადგილობრივ დათვალიერებით. ნამუშევარია 138 დღე, რეგისტრირებული და აღრიცხულია 88 საუწყებო არქივები, დათვალიერებულია 98 არქივი მაკულატურის კომპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საგამომცემლო ნაწილი.

გეგმითი ამოცანები ჟურნალ „წითელი არქივის“ პირველი ტომისათვის საბუთების დამზადება (ძველი ქართული საბუთები და თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციების საბუთები) შესრულებულია. გამოცემა შეჩერებულია სტამბაში გამოწვეულ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო და 1930 წლის თებერვალში გამოვა 16 ფორმის მოცულობით. გამოცემულია ჟურნალი „საარქივო საქმის“ პირველი ტომი შემდეგი პროგრამით: ა) საარქივო საქმის თეორია და ტეხნიკა., ბ) საარქივო პრაქტიკა; გ) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, დ) ოფიციალური ნაწილი,—14 ფორმის მოცულობით. მეორე ტომის მასალების დამზადება ამავე პროგრამით დასრულებულია და გამოვა 1930 წლის თებერვალში.

საერთო შედეგები.

1. გარჩეულია, სისტემატიზირებულია, ნაკარაულებად დამზადებულია, იარლუყებ გაკეთებულია და დალაგებულია 335811 შესანახი ერთეული. 2. გარჩეულია დაშლილი მასალა 110860 ერთ. 3. გამოყოფილია მაკულატურა 41361 კილოგრამი (ამ რიცხვში შედის მუნიციპალურ არქივიდან გამოყოფილი 5960 კილოგრამი). 4. საარქივო წესრიგში მოყვანილია (ჩაკერება, დაწებვა, პაგინაცია, ყდებისა და საბუთების განახლება) 22.906 შ. ერთ., დანომრილია 1459085 ფურც. 5. ინვენტარიზირებულია 22150 შ. ერთ. 6. შინაგან აღწერაში შეტანილია 80898 საბუთი. 7. მაჩვენებელში შეტანილია 14,938 საბუთი. 8. კლასიფიცირებულია 8200 შ. ერთ. 9. საბუთებისათვის შედგენილია ბარათები 1832 ც. 10. სისტემატიზირებულია ალფაბეტის მიხედვით 4700 შ. ერთ. 11. აღწერების მიხედვით შემოწმებულია და დალაგებულია 14,011 შ. ერთ. 12. მიღებულია 125000 შ. ერთ. 13. დასაბეჭდად დამუშავებულია 160 შ. ერთ. 14. გაცემულია 1871 ცნობა. ზემოაღნიშნულ სამუშაოზე დახარჯულია 7091 სამუშაო დღე, რაც საშუალოდ შეადგენს 24,6 ერთ. სამუშაო ძალას. საპატიო მიზეზით გაცდენილია 497 სამუშაო დღე (6%). თვითეულ სახის სამუშაოზე ცალკე დახარჯულ დღეების და მუშაობის ნორმის გამოანგარიშების დროს ქვემოდ მხედველობაში მიღებული არ არის საისტორიო-სარევოლიუციო არქივი, სადაც ასეთი მომენტები აღნუსხული არ არის და ძველ საბუთთა არქივი მისი მუშაობის ხასიათის სპეციფიურობის გამო. დანარჩენ არქივებში ნამუშევარია 4834 სამუშაო დღე (16 ერთ. სამუშ. ძალა), ამათგან გარჩევაზე დაიხარჯა 1511 დღე (31%), მაკულატურის გამოყოფაზე—1390 დღ. (30%), საარქივო წესრიგში მოყვანაზე—1148 (23%), ინვენტარიზაციაზე—213 (4%), ცნობების გაცემაზე—488 (10%), დანარჩენ სამუშაოზე—94 (2%).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამუშავების საშუალო ნორმა 1 კაცზე დღეში:

1. გარჩევა და სისტემატიზაცია 225 შ. ერთ. 2. მაკულატურის გამოყოფა 25 კ. გრამი. 3. საარქივო წესრიგში მოყვანა 16 შ. ერთ. 1200 ფურცლის პაგინაციით. 4. ინვენტარიზაცია 60 შ. ერთ. 5) ცნობების გაცემა 2,5.

1930 წლის პირველ იანვრისთვის ცენტრარქივის ცენტრალურ არქივთსაცავებში (ამათ რიცხვშია მუნიციპალური არქივიც) რეგისტრირებულია 601 საარქივო ფონდი, ამათგან გარჩეულია 90%, აღწერილია 30%. სამუშაო გეგმა საერთოდ შესრულებულია 90%-ით.

საქართველოს ცენტრარქივის მუშაობა-მოქმედების 1930 წლის საპერსპექტივო გეგმა.

ძირითად გეგმითი დირექტივით დასახულია სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმის შესასრულებლად საჭირო საარქივო მასალების წესრიგში მოყვანა, ისე რომ მასალებით სარგებლობა გაადვილებულ იქნეს. მაგრამ ამ წლის გეგმაში ზემოხსენებულს გარდა გათვალისწინებულია მუშაობა საკავშირო მნიშვნელობის მქონე მასალებზედაც.

საერთო ამოცანები.

წითელი არმიის საარქივო მასალების (1921 წლამდე) მოსკოვში კონცენტრაციისათვის მომზადება; რევოლიუციის წინადროინდელ ხანის, რევოლიუციის შემდეგდროინდელი ხანის (1921 წლამდე) ლიკვიდირებულ საბჭოთა დაწესებულებათა საარქივო მასალების აღრიცხვა და კონცენტრაცია. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და წარმოებათა სიების შედგენა და მათი არქივების რეგისტრაცია. ზომების მიღება არქივების შესაქმნელად ისეთ დაწესებულებებში, სადაც ასეთი არ მოუწყვიათ; საარქივო საქმისთვის დადგენილ წესების ცხოვრებაში გატარება ს. ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამ სფეროში საქართველოს ცენტრარქივის კონსულტაცია და არქივების დათვალიერება „წესების“ ცხოვრებაში გატარების მიზნით; საარქივო ფონდების კარტოთეკების შედგენა, ხუთწლიან გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ მასალათა გამოაშკარავება და დამუშავება (კვლევა-ძიების შედეგები, ანგარიშები, ექსპედიციები და სხვა). გაურჩეველ მასალების გარჩევა და სისტემატიზაცია, შესანახ ერთეულების შემოწმება აღწერათა მიხედვით, ძველი დამუშავების დროს შექმნილ დეფექტების გამოსწორება, მაკულატურის გამოყოფა სუმარულ აღწერების შედგენით, საინვენტარო აღწერათა შედგენა ანბანურ მაჩვენებლების შედგენა, ნაკრაულებად შეკვრა სათანადო იარლუყების დართვით და მასალებისათვის შესანახი ადგილების მიჩნევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარქივო მასალების დასაბეჭდად დამზადება (პირების გადმოღება, ტექსტის დადგენა) ათი ფორმის რაოდენობით, გამომცემლობის გაგრძელება, რომელშიაც განხილული იქნება საარქივო საქმის თეორიული და პრაქტიკული საკითხები და გამოქვეყნდება; ძველი ქართული ისტორიული საბუთები, საბუთები საქართველოსა და რუსეთის შეერთების ხანის და 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობის 25 წლის თავის იუბილესთან დაკავშირებით.

მოკლე ვადიანი საარქივო კურსების მოწყობა; დაწესებულებათათვის ხელმძღვანელობის გაწევა მაკულატურის გამოყოფის საქმეში; მაზრების საარქივო ბიუროების რეორგანიზაცია ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით; ცნობების გაცემა, გეგმების და ინფორმაციულ ხასიათის ცნობების შედგენა მუშაობის შესახებ.

ცენტრალურ არქივის დაწესებულებებში კონკრეტად დადგენილია შემდეგი სამუშაოს შესრულება [1]:

1. მთავარი საისტორიო არქივი.

სამუშაო განზრახულია 742 სამუშაო დღის განმავლობაში სამი თანამშრომლით; არქივის გამგის მუშაობა ცალკეა გამოყოფილი.

1. განზრახულია გარჩევა და სისტემატიზაცია, მაკულატურის გამოყოფა სუმარულ აღწერების შედგენით, ნაკრაულებად დამზადება, იარლუყების გაკეთება და ადგილებზე დალაგება შემდეგი საარქივო ფონდების: წყალთა ტრანსპორტის სამმართველოს, გზათა ოლქის და ტფილისის საბაჟოსი. განზრახულია 24.000 შესანახი ერთეულის დამუშავება 80 სამუშაო დღის განმავლობაში.

ზემოხსენებულ სამუშაოს შესრულება ნავარაუდევია ერთი თანამშრომლის მიერ ერთ დღეში 300 შესანახ ერთეულის დამუშავების ანგარიშით.

2. საქართველოს უზენაეს მართველობასთან არსებულ სამთო ექსპედიციის და კავკასიაში სამთო ნაწილების სამმართველოს საარქივო მასალათა საინვენტარო აღწერების შედგენა. აღსაწერად ნავარაუდევია 17000 შესანახი ერთეული, 227 სამუშაო დღის განმავლობაში დამუშავების ნორმა 75 ერთეული.

3. სამეურნეო რეკონსტრუქციის ამოცანის შესასრულებლად აქტუალური მნიშვნელობის მასალებისათვის გამოკრებულ რეესტრის შედგენა ფონდებისათვის: კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო და მრეწველობის სამმართველოს და კავკასიაში მეფის მოადგილის კანცელარიის სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების. გათვალისწინებულია 903 შესანახ ერთეულის გადასინჯვა 10 სამუშაო დღის განმავლობაში. დამუშავების ნორმა—25.

---

[1] სამუშაო დღეების საერთო რაოდენობის ანგარიშის დროს გამორიცხულია დასასვენებელი დღები და შვებულებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. შავად შედგენილ ალფაბეტურ, სისტემატიურ, ტოპოგრაფიულ და ქრონოლოგიურ კარტოთეკების შევსება და საბოლოოდ ბარათებზე გადატანა. გათვალისწინებულია 227 ფონდისათვის ბარათების შედგენა 4 ეკზემპლიარად 35 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა—25 ბარათი.

5. დაშლილ ფონდების აღდგენა და დალაგება 30 სამუშაო დღის განმავლობაში

6. ცნობების გაცემა 360 სამუშ. დღის განმავლობაში.

7. აღრიცხვაზე აღებულ საარქივო ფონდების კონცენტრაცია მთავარ საისტ. არქივში და რევოლიუციის წინადროინდელი ხანის კავკასიის დაწესებულებათა სქემის შესადგენად წარმოებულ მუშაობის გაგრძელება.

აღნიშნული სამუშაოები წარმოებულ იქნება არქივის გამგის ხელმძღვანელობით, ხოლო მე-3 და 4 პუნქტებში ნაჩვენები სამუშაო არქივის გამგის უშუალო მონაწილეობით, რომელიც შეასრულებს აგრეთვე მე-7 პუნქტში ნაჩვენებ გეგმასაც.

საკავშირო მნიშვნელობის მქონე მასალებიდან, განზრახულია გარჩევა და სისტემატიზაცია შემდეგი საარქივო ფონდების: ტრაპიზონის რკ. გზის სამმართველოს.

ა/კ. კომისია ს.ს.ს.რ. სარჩელის გამო, რუსეთის ნაციონალური საბჭოსი, შვეიცარიის კონსულის კანცელარიის და ყოფილ ქუთაისის გუბერნატორის სტაროსელსკის პირადი არქივი. გათვალისწინებულია 80707 შესანახ ერთეულის დამუშავება, 29 სამუშ. დღის განმავლობაში დროებით მომუშავეთა შემწეობით; მუშაობის ნორმა 300 შესანახი ერთეული.

2. სამხედრო-საისტორიო არქივი.

სამუშაო გათვალისწინებულია 504 სამუშაო დღის განმავლობაში ორი თანამშრომლით. განზრახულია შემდეგი სამუშაოების შესრულება:

1. 1914-1917 წ. იმპერ. ომის სამხედრო მოქმედებათა საველე წიგნაკებისა და ჟურნალების გარჩევა და სისტემატიზაცია. განზრახულია 8000 შესანახ ერთეულ. დამუშავება 32 სამუშაო დღის განმავლობაში.

2. იმპერიალისტურ ომის ახლად გამოაშკარავებულ მასალების გარჩევა და სისტემატიზაცია 12600 შესანახი ერთეულის, ასევე ყოფ. კავკასიის სამხედრო ოლქის მასალების (1914 წლამდე) 8000 ერთ.; სულ 20.600 ერთეული მაკულატურის გამოყოფით 103 სამუშაო დღის განმავლობაში. მუშაობის ნორმა 200 ერთ.

3. მე-18 და მე-19 საუკუნის არქივების დარღვეულ ფონდების გაერთიანება, მაკულატურის გამოყოფა, საბოლოოდ ნაკრაულებად შეკვრა, იარლუყების დართვა და ადგილებზე დალაგება. სულ 25.000 ერთეული 71 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 350 ერთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ძველი დამუშავების დროს ჩადენილ შეცდომათა გამოსწორება (ჩაკერება, დაწებება, პაგინაცია, აღწერების შესწორება) იმპერიალისტურ ომის მასალებისა. განზრახულია 1490 შესანახ ერთეულის დამუშავება 266 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 5 ერთეული (თითო 1400 ფურცლიანი).

5. რევოლიუციის წინადროინდელი ხანის და წითელი არმიის ფონდებისათვის შავად შედგენილ კარტოთეკების შევსება და მათი საბოლოოდ ბარათებზე გადატანა. სულ—800 ბარათი (ორასამდე ფონდისათვის) 32 სამუშ. დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 25 ბარათი.

წითელი არმიის (საკავშირო მნიშვნელობის) მასალებზე მუშაობის გეგმა შესრულებულ უნდა იქნეს 697 დღის განმავლობაში დროებით მომუშავე თანამშრომელთა შემწეობით. ამასთანავე გათვალისწინებულია მასალების 1921 წლამდე მოსკოვში კონცენტრაციისათვის მოსამზადებლად შემდეგი სამუშაო: ა) ყოფ. მე-11 არმიის დაშლილ ზურგის ნაწილების არქივის გარჩევა, საქმეების ცალკე ფურცლებიდან გამოყოფა, სისტემატიზაცია, ფურცლების ჩაკერება, დაფლეთილ ფურცლების დაწებება და სუმარულ აღწერათა შედგენა; ბ) სატრანსპორტო ნაწილის და კავკ. წით. დროშ. არმიის სამხედრო გზათა უფროსის სასურსათო პუნქტების საარქივო მასალათათვის სუმარულ აღწერების შედგენა, კავკ. წით. დროშ. არმიის ცალკე ნაწილების არქივების შემოწმება ჩასაბარებელ აღწერათა მიხედვით.

გათვალისწინებულია საქმეების გამოყოფა ცალკე დაშლილ ფურცლებიდან 4863 კილოგრამიან ფონდიდან. მუშაობის ნორმა—81 კილოგრ., გარჩევა და სისტემატიზაცია 8000 შესანახ ერთ., ნორმა—50 ერთეული. ჩაკერება და დაწებება 8000 ერთეულის, ნორმა—30, სუმარულ აღწერათა შედგენა 10.000 ერთ., ნორმა—120 და შემოწმება 5885 ერთ., ნორმა—300 ერთ. „ა“ მუხლში აღნიშნულ მასალების საგრძნობლად დაზიანების გამო; მათ დასამუშავებლად ნავარაუდევ დღეების რიცხვი 20%-ით გადიდებულია.

3. საისტორიო-სარევოლიუციო არქივი.

სამი შტატის თანამშრომლით 744 სამუშ. დღის განმავლობაში განზრახულია შემდეგი სამუშაოს შესრულება:

1. საისტორიო-სარევოლიუციო მნიშვნელობის ფონდების დაფანტულ ნაწილთა გაერთიანება და კონცენტრაცია. ხსენებულ ფონდის ნაწილები ამ ჟამად ინახება საქართველოს რევოლიუციის მუზეუმში და სხვა ადგილებზე (12000 შესანახ ერთულამდე).

2. კონცენტრაციის შემდეგ შესანახ ერთეულების შემოწმება—20.500 ერთ.

3. ტფილისის პოლიცმეისტერის ფონდისათვის (საიდუმლო მაგიდა 1909-17 წ.წ.) ალფაბეტურ მაჩვენებლების შედგენის გაგრძელება; განზრახულია 20.160 ჩანაწერის დამუშავება 252 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 80 ერთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 1905 წლის რევოლიუციის იუბილეისათვის საარქივო მასალების მომზადება 24 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. პარტიულ ორგანიზაციათა, სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა მოთხოვნით ცნობების გაცემა, 400 ცნობა—200 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. აქტუალურ ფონდების: ჟანდარმთა საგუბ. სამმართველოს, კავკ. რაიონულ „ოხრანკის" განყოფილების და მეფის ხანის სხვა მაძიებელ ორგანოების მასალათა დამუშავება საიდუმლო ცირკულიარში (№ 91610) წარმოდგენილ გეგმის მიხედვით.

განზრახულია დამატებითი ჩაწერების წარმოება 268 სამუშაო დღის განმავლობაში, დღეში ერთი თანამშრომლით 120 ჩანაწერის, ან და 50 ბარათის შედგენა.

ა/კ. საგანგებო კომიტეტის ფონდში (საკავშირო მნიშვნელობის) განზრახულია დრ. მომუშავე თანამშრომელთა შემწეობით შემდეგი სამუშაოების ჩატარება: 1) აღწერების მიხედვით საქმეების შემოწმება, დეფექტების გამოსწორება (ჩაკერება, დაწებება, პაგინაცია), სულ 1157 შესანახ ერთეულის 38 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა—30 ერთეული. 2) შინაგან აღწერათა შედგენა 300 საქმისათვის, სულ 14.400 საბუთის ჩაწერა 300 სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობის ნორმა 48 საბუთი.

4. იურიდიული არქივი.

გეგმა შედგენილია ორი თანამშრომლის და 404 სამუშაო დღის ვარაუდით; განზრახულია შემდეგი სამუშაოს შესრულება:

1. გარჩევა და სისტემატიზაცია შემდეგ საარქივო ფონდების: საქართველოს დამოკრატიულ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კანონების გადამსინჯავ კომისიის, საქართველოს სენატის (დეპარტამენტები, შეერთებული და საერთო კრება), ტფილისის საოლქო სასამართლოს მე-2 სამოქალაქო განყოფილების, 1, 2, 3 და 4 სასამართლოს პალატ. სამოქ. დეპარტ., და ნაფიც ვექილთა საბჭოს კანცელარიის, სულ განზრახულია 30553 შესანახ ერთეულის დამუშავება 122 სამუშ. დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 250 შესანახი ერთეული.

2. საარქივო წესრიგში მოყვანა (ჩაკერება, დაწებება, პაგინაცია, ყდებისა და სათაურების განახლება), კანონების გადამსინჯავ კომისიის, საქართველოს სენატის, ნაფიც ვექილთა საბჭოს და სასართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტის საარქივო ფონდების, სულ 5553 შესანახ ერთეულის—185 სამუშ. დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 30 შესანახი ერთეული.

3. საინვენტარო აღწერათა და ანბანურ მაჩვენებლების შედგენა მე-2 მუხლში ნაჩვენებ მასალებისათვის; განზრახულია 5553 შ. ერთ. დამუშავება 92 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 60 შეს. ერთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ფონდების კარტოთეკის შედგენა—40 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მაკულატურის გამოყოფა სუმარულ აღწერათა შედგენით, მასალების გადაჯგუფება და დალაგება, კონცენტრაცია, ცნობების გაცემა, ანგარიშების, გეგმების და სხვ. შედგენა 55 სამუშ. დღის განმავლობაში.

5. ძველ საბუთთა არქივი.

ორი მეცნიერ თანამშრომლით 480 სამუშაო დღის განმავლობაში გათვალისწინებულია შემდეგ სამუშაოს შესრულება:

1. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში, უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში, ქუთაისის მუზეუმში და სხვაგან დაცულ სიგელ-გუჯრების და სხვა ისტორიულ საბუთთა ცენტრარქივში კონცენტრაცია.

2. საინვენტარო აღწერაში შეტანილ საბუთებისათვის (8000 საბ.) საკუთარ სახელთა საძიებლის შედგენა; ნავარაუდევია 30.000 სიტყვის ამოწერა 400 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 75 სიტყვა.

3. ხელნაწერ და ძველი სტამბის წიგნების, ქართველ ემიგრანტთა ფონდის და ეპისკ. კირიონის პირადი არქივის საინვენტარო აღწერების შედგენა; სულ 1119 შესანახ ერთეულის დამუშავება 15 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 75 შესანახი ერთ.

4. 100 საბუთის დასაბეჭდად დამზადება (პირის გადმოღება, ტექსტის დადგენა და დათარიღება) 65 სამუშაო დღის განმალობაში.

5. ძვ. საბუთთა არქივში დროებით დაცულ განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეების სათანადო ფონდებში განაწილება.

6. მთავარი საბჭოთა არქივი.

მუშაობა გათვალისწინებულია სამი თანამშრომლით 729 სამუშაო დღის განმავლობაში; გამგის სამუშაო გამოყოფილია ცალკე. განზრახულია შემდეგი სამუშაოს შესრულება:

1. 1929 წ. საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებული და დაწყებული სამუშაოს დასრულება, სახელდობრ მუშათა—და გლეხთა ინსპექციის ფონდის საარქივო წესრიგში მოყვანა და ინვენტარიზაცია 70 სამუშაო დღის განმავლობაში.

2. გარჩევა და სისტემატიზაცია შემდეგი ფონდების: „ჩემო"-ს, ა/კ. პროფ. საბჭოს და შინამრეწველთა და ხელოსანთა საზ-ბის. გათვალისწინებულია 7500 შესანახ ერთეულის დამუშავება 30 სამ. დღის განმავლობაში, მუშაობის ნორმა 250.

3. ფურცლებად დაშლილ საარქივო მასალის გარჩევა 2000 შესანახ ერთეულის 141 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 150.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მე-2 რიგის მაკულატურის გამოყოფა 6000 ერთეულიდან, 20 სამ. დღის განმავლობაში; ნორმა 300 ერთ.

5. საარქივო წესრიგში მოყვანა და წინანდელი მუშაობის დეფექტების გამოსწორება 6500 შეს. ერთ. 217 სამუშაო დღის განმავლობაში; ნორმა 30 ერთ.

6. საინვენტარო აღწერის შედგენა: „ჩემო"-ს, მიწსახკომის, შინაგან საქმეთა კომისარიატის ა/კ. პროფ. საბჭოს და შინამრეწველობის და ხელოსანთა საზოგადოების საარქივო ფონდების 10.726 შესანახ ერთ. 143 სამუშაო დღის განმავლობაში; ნორმა 75 ერთ.

7. დარღვეულ ფონდების გაერთიანება, ნაკრაულებათ დამზადება და დალაგება 36 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. საბჭოთა დაწესებულებების ფონდების კონცენტრაცია 60 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მომქმედ დაწესებულებათა სიებისა და სქემების შედგენა 40 სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ფონდების კარტოთეკების შედგენა 50 სამუშაო დღის განმავლობაში.

11. 200-მდე ცნობების გაცემა 100 სამუშაო დღის განმავლობაში.

12. გეგმების, ანგარიშების და სხვა საინფორმაციო ცნობების შედგენა 12 სამუშაო დღის განმავლობაში.

საკავშირო მნიშვნელობის მასალებიდან სააქციონერო საზოგადოების „რუსოტიურკის" და საბჭ. კავშირის სავაჭრ. სამრეწველო ბანკის სრულიად საქართველოს კონტორის ფონდების მასალების წინასწარ წესრიგში მოყვანით საინვენტარო აღწერის შედგენა; სულ 2995 შესანახ ერთეულის დამუშავება 50 სამუშაო დღის განმავლობაში; ნორმა 60 ერთეული. ამ სამუშაოების შესრულება გათვალისწინებულია არა შტატის თანამშრომლებით.

სამუშაოს აღნიშნული სახეები წარმოებულ უნდა იქნეს არქივის გამგის ხელმძღვანელობით, ხოლო მე-4, 8, 9, 10 და 12 მუხლებში აღნიშნული—გამგის უშუალო მონაწილეობით.

7. ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივი (წიგნთსაცავი).

განზრახულია ორი თანამშრომლით 480 სამუშაო დღის განმავლობაში შემდეგი სამუშაოს შესრულება:

1. ტფილისის ბიბლიოთეკებიდან გამოყოფილ ბეჭდვით ნაწარმოებთა კონცენტრაცია, 2000 ერთ., 48 სამუშაო დღის განმავლობაში, მუშაობის ნორმა 250 ერთ.

2. საქართველოს წიგნის პალატიდან, სამეცნიერო დაწესებულებებიდან და შესყიდვით შემოსულ წიგნების კლასიფიკაცია, ინვენტარიზაცია და კატალოგიზაცია, სულ 1224 წიგნი 68 სამუშაო დღის განმავლობაში; მუშაობის ნორმა 18 ერთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიმდინარე ლიტერატურის რეგისტრაცია და პერიოდულ გამოცემათა კატალოგიზაცია; სულ 1224 წიგნი, 2400 გაზეთი და 480 ჟურნალი 24 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. სისტემატიურ კატალოგის რედაქცირება და მისი დადგენა —2000 ფურც. 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. წიგნთსაცავიდან გამორიცხულ წიგნების გარჩევა და მათგან მაკულატურის გამოყოფა 12.000 ერთ. 48 სამუშაო დღის განმავლობაში,—ნორმა 250 ერთ.

6. ბეჭდურ საქმეთა ბარათების და გეგმების გარჩევა და სისტემატიზაცია 80 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. პერიოდულ გამოცემათა ინვენტარიზაცია 2200 წლიურ კომპლექტის 48 სამ. დღის განმავლობაში.

8. მასალების გაცემა სამეცადინო დარბაზისა და ცენტრარქივის თანამშრომლებისათვის, ყოველდღიურად ფორმულიარების მიხედვით მათი შემოწმება, მიღება და დალაგება 2458 ერთ. 72 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ბიბლიოგრაფიულ და სხვა ხასიათის ცნობების გაცემა 36 სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ცენტრარქივის გამოცემების ანგარიშწარმოება, გეგმითი ანგარიშების და სხვა ინფორმაციულ ხასიათის ცნობების შედგენა, 36 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. საგამომცემლო ნაწილი.

1. ჟურნალ „საარქივო საქმის“ მე-2 წიგნის გამოცემა, მასალების დამზადება და გამოცემა მე-3 წიგნისა 14 ფორმის მოცულობით, შემდეგი პროგრამით: ა) საარქივო საქმის თეორია და ტექნიკა, ბ) საარქივო პრაქტიკა, გ) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, დ) ოფიციალური ნაწილი.

2. ჟურნალ „წითელი არქივის“ I ტომის გამოცემა შემდეგი პროგრამით: ა) ძველი ქართული საბუთები, ბ) კავკასიაში თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციების შესახები საბუთები 16 ფორმის მოცულობით.

3. ჟურნალ „წითელი არქივის“ მე-II ტომისათვის მასალების დამზადება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საარქივო ქრონიკა.

მარქსისტ-ისტორიკოსთა 1-ლ საკავშირო ყრილობის რეზოლიუცია საარქივო მასალების დაცვისათვის.

მარქსისტ-ისტორიკოსთა 1-ლ საკავშირო ყრილობამ, რომელიც ჩატარდა მოსკოვში 1928 წლის 28 ნოემბერსა 1929 წლის 4 იანვარს შუა, მიმდინარე სამაკულატურო კომპანიასთან დაკავშირებით, გამოიტანა საგანგებო რეზოლიუცია—მოწოდება ყველა სახელმწიფო, საზოგადო, პროფესიულ და პარტიულ ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და წამოწყებების მიმართ, რათა ისინი განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით მოეპყრან მაკულატურის გამოყოფის საკითხს. მოგვყავს კონფერენციის რეზოლიუციის ტექსტი სრულად.

„21 დეკემბერს გამოქვეყნდა ს. ს. რ. კ. მუშ. გლეხ. ინსპ. სახალხო კომისარიატის დადგენილება—ქალალდის მრეწველობის საჭიროებისათვის დაწესებულებათა და წარმოებათა არქივებიდან მაკულატურის გამოყოფის წესების შესახებ.

დაწესებულებათა არქივებში მართლაც ინახება ისეთ მასალების საგრძნობი რაოდენობა, რომელთაც არავითარი სამეცნიერო-საისტორიო ღირებულება არა აქვთ და დაწესებულების მიმდინარე მუშაობისათვის საჭიროებას არ წარმოადგენენ. ასეთ მასალების გადაცემა ქალალდის ქარხნებში გადასამუშავებლად ქალალდის დასამზადებელ ნედლეულის დანაკლისს რამოდენიმედ შეავსებს.

ისტორიკოს-მარქსისტთა საკავშირო კონფერენცია, აღნიშნავს რა ამ გადაწყვეტილების დროულობას, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი ცხოვრებაში გატარება ისეთ პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული, რომელთაც მთლიანად უნდა უზრუნველჰყონ სამეცნიერო-საისტორიო ან ოპერატიული პრაქტიკულ ღირებულების მქონე მასალების დაცვა.

პირველი ცნობები მუშ. გლეხ. ინსპექციის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად დაწყებული მუშაობის შესახებ მიგვითითებს სერიოზულ საფრთხისაკენ, რომელიც ძვირფას ისტორიულ მნიშვნელობის მასალებს დაღუპვას უქადის. არის მთელი რიგი შემთხვევებისა,როდესაც დაწესებულებებში მუდმივ შესანახ მასალების გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა ენდობა ისეთ პირებს რომელთაც არა აქვთ ელემენტარული კვალიფიკაცია ამა თუ იმ საბუთის მეცნიერულ ღირებულების გამოსარკვევად. ეს პირნი ხშირად არც იცნობენ ამა-თუ-იმ დაწესებულების მუშაობის ხასიათს.

საარქივო ორგანოთა კონტროლი ამ მუშაობის ჩასატარებლად შტატების სიმცირის გამო მიზანს ვერ აღწევს საჭირო სისრულით განსაკუთრებით მაშინ, როცა აღნიშნულ მუშაობის ცხოვრებაში გატარება სასწრაფო წესით მიმდინარეობს. ზოგიერთ დაწესებულებებში „შაბათობისა“ და კომპანიების მოწყობაა განზრახული და ამ მუშაობაში ისეთ პირების (პიონერებისაც) ჩაბმა, რომელთაც არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ მასალების საისტორიო-სამეცნიერო ღირებულებაში გაერკვენ.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ დაწესებულებათა არქივებში ინახება პროლეტარულ რევოლიუციის და საბჭოთა აღმშენებლობის ისტორიისათვის უტყუარი მასალები, რომელთაც საკავშირო და მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ძვირფას საარქივო მასალათა მოსპობა გამოუსწორებელი შეცთომაა იმის გამო, რომ საბუთების დიდი უმრავლესობა უნიკუმების ხასიათს ატარებს.

არქივის მოსპობა ადვილია, აღდგენა კი—შეუძლებელი.

საბჭოთა საზოგადოებრივობას, პირველ რიგში—სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისტორიკოსებს, ეკონომისტებს, სტატისტიკოსებს, აგრონომებს, ინჟენერებს, მასწავლებლებს, ბიბლიოთეკის მუშაკთ და სხვებს არ შეუძლიათ გულგრილად შეხვდნენ საარქივო მასალათა დაცვა-შენახვის საკითხს, და არ მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა არქივებიდან სასწრაფოდ უვარგის მასალის გამოყოფა მოსასპობად გატარდეს ისე, რომ ეს არ შეეხოს სამეცნიერო-საისტორიო ღირებულების მქონე საბუთებს. ყოველ დაწესებულებაში, ფაბრიკასა და ქარხანაში, ქალაქსა და სოფელში სათანადო ორგანიზაციებმა და პირებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ გამრჩევ კომისიების მუშაობას, რომ უკანასკნელებმა ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მასალები მოსასპობად არ მიიჩნიონ. უნდა დავეხმაროთ საარქივო ორგანოებს, დაუყონებლივ ვაცნობოთ მათ ყოველგვარი არანორმალური მოვლენები, რომელნიც დაღუპვით ემუქრებიან საისტორიო მასალებს.

თანამედროვე პირობებში, საისტორიო მეცნიერების უაღრეს დემოკრატიზაციის დროს, ისტორია არ არის მარტო მცირე რჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულთა საქმე, იგი ფართო მასების კოლექტივების საქმეა. ისტორია აშუქებს წარსულს, გვშველის გავერკვეთ აწყმოში, გვიჩვენებს სწორ ტაქტიკას რევოლიუციონურ ბრძოლისათვის მომავალში. ისტორია წარმოადგენს მომქმედ იარაღს პროლეტარიატის ხელში.

ისტორიკოს-მარქსისტთა საკავშირო კონფერენცია მოწოდებით მიმართავს ყველა პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სახელმწიფო დაწესებულებებს და წამოწყებებს, რათა დიდი სიფრთხილით და ყურადღებით მოეპყრან მაკულატურის გამოყოფის საკითხს.

არქივები ისტორიის დოკუმენტალური ბაზაა, საკავშირო ხალხთა ისტორიის, მათი მეურნეობის, გლეხობის და მუშათა კლასის ისტორიის რევოლიუციონურ მოძრაობის და პროლეტარულ რევოლიუციის ისტორიის.

ჩვენ პროლეტარული რევოლიუციის მონაწილენი და თანამედროვენი ვალდებულნი ვართ შევინახოთ და დავიცვათ მისი არქივები".

არქივთმეცნიერების კაბინეტი.

1929 წლის დეკემბრის 27-ს ცენტრარქივის საბჭომ განიხილა საკითხი არქივთმეცნიერების კაბინეტის შესახებ და დაადგინა ახლო მომავალში შეუდგეს მის მოწყობას. არქივთმეცნიერების კაბინეტის დაარსებას საფუძველად უდევს სურვილი ისეთი დამხმარე საარქივო-სამეცნიერო ინსტიტუტის შექმნისა, რომელიც წარმოდგენდეს იქნება საარქივო საქმის თეორიისა და ტეხნიკის მეცნიერულად შესწავლის ცენტრს.

პროექტის დამუშავება დავალებული აქვს ამხ. შ. ჩხეტიას, რომელმაც ეს პროექტი უნდა წარუდგინოს ცენტრარქის საბჭოს.

საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრარქივების წარმომადგენელთა თათბირი.

მიმდინარე 1930 წელს განზრახულია მოსკოვს მოწვეული იქნეს საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრარქივების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი. თათბირზე დასმული იქნება შემდეგი საკითხები: 1) საკავშირო ცენტრარქივის ორგანიზაცია და მისი ამოცანები; 2) კავშირის საარქივო დაწესებულებათა მუშაობის ხუთ წლიანი გეგმა და საკავშირო ცენტრარქივის 1930 წლის გეგმა; 3) საინფორმაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენებები საარქივო საქმის მდგომარეობის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკებში; 4) ინსტრუქციის პროექტი საკავშირო ცენტრარქივის დებულების გატარებისათვის და ამ დებულების გამოცემასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების საარქივო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის საკითხი; 5) საკავშირო მნიშვნელობის მქონე მასალების აღრიცხვისა და განსაზღვრისათვის; 6) საკავშირო ცენტრარქივის კოლეგიის დადგენილება შესანახ და მოსასპობ საარქივო მასალების გამორიცხვის წესისათვის; 7) საკავშირო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა არქივების მოწყობის წესები; 8) საარქივო დაწესებულებათა ანგარიშების და გეგმის ფორმები; 9) სოციალისტურ აღმშენებლობისათვის საჭირო მასალების გამოჩენების მეთოდები.

თანახმად საკავშირო ცენტრარქივის კოლეგიის დადგენილებისა თათბირს უნდა დაესწროს თვითეულ ცენტრარქივიდან ორი წარმომადგენელი—გამგე და მეცნიერი თანამშრომელი გადამწყვეტი ხმით.

ხამხედრო-საისტორიო არქივში ახლად-აღმოჩენილი საარქივო მასალები.

საქართველოს ცენტრარქივის სამხედრო-საისტორიო არქივში 1929 წლამდე ინვენტარულად აწერილი იყო მხოლოდ წარსული იმპერიალისტური ომის საქმეები (1914—1917 წლ. წლ.), დანარჩენი ფონდები კი (მაგალითად: 1. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის არქივის ნაწილი, რომელიც შეიცავს მასალებს 1914 წლამდე, 2. ზოგიერთი საარქივო ფონდი კავკასიის წითელ-დროშოვან არმიისა 1919—1927 წლ. და 3. ჩრდილოეთ-კავკასიის ისტორიულ არქივის ნაწილი, რომელიც შეიცავს მასალებს 1924 წლიდან) ინვენტარულად ჯერ კიდევ არ იყო აღწერილი. 1929 წლის იანვრიდან დაიწყო გარჩევა ჩრდილოეთ-კავკასიის ისტორიულ არქივისა.

ამ ფონდების საქმეები ადგილის უქონლობის გამო ამ დრომდე უწესრიგოთ ეყარა იატაკზე. მასალა ფრიად ქაოტიურ მდგომარეობაში იყო: არეული იყო კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის საქმეები და იმპერიალისტურ ომის (1914—17 წლ.) საქმეები და ამავე დროს შიგვე მოიპოვებოდა სხვა და სხვა ბეჭდვითი მასალა. ამას გარდა საქმეები იყო მტვრიანი და უმრავლეს შემთხვევაში არ ჰქონდა სათაურები და არც თარიღი. ყველაფერი ეს აძნელებდა მის გარჩევას და მოითხოვდა მომუშავეების დიდ ენერგიის დახარჯვას. მიუხედავათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიძნელეებისა, მოკლე ხანში მოხერხდა ამ მასალების წინასწარი გარჩევა.

ამ გარჩევის დროს აღმოჩნდა შემდეგი ფონდები:

1) ცალკეულ ციხე-სიმაგრეების მასალები 1732—1856 წწ. (აზოვის, წმ. ანნასი, წმ. დიმიტრისა და სხვ.).

2) კავკასიის არმიის სხვადასხვა დივიზიების მასალები 1799—1907 წ.

3) ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა არქივების მასალები (სტავროპოლისა, მოზდოკისა, გიორგიევსკისა და სხ. 1770—1888 წლ.).

4) ცალკე კავკასიის კორპუსის შტაბისა და აგრეთვე კავ. ოსმალეთის საზღვარზე მოქმედ კორპუსისა 1788—1878 წწ.

5) კავკასიის ხაზისა (მარჯვენა, მარცხენა ფრთა და ცენტრი) და სხვ.

6) კერძო სამხედრო მოღვაწეების მასალები, კავკასიის დაპყრობის დროიდან (ლორის-მელიქოვისა, გუდოვიჩისა, პასკევიჩ-ერევანელისა, ერმოლოვისა და სხვ. 1792—1855 წწ.).

7) სხვადასხვა პოლკებისა (ტენტინისა, ყირიმისა, ნავაშენისა და სხვ.) 1807—78 წწ.

8) ყუბანის ოლქის მხედრობის შტაბის მასალები 1740—1809 წწ. და სხვა ფონდები—სულ 125.

უმრავლესობა ამ ჩამოთვლილ საარქივო ფონდებისა არ არის შენახული მთლიანად. უფრო მთლიანად დაცულია კავკასიის ხაზის შტაბისა და შავი ზღვის სანაპიროების მასალები, რომელიც იძლევა ფრიად დიდ მასალას რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შესახებ.

ეს მასალები საინტერესოა წმინდა სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით სამხედრო სპეციალისტებისათვის. აქედანვე შეიძლება ძალიან ბევრი ცნობების მიღება ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ისტორიისათვის (ყაბარდოელნი, ქისტები, დაღესტნელები და სხვა) მათი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად და სხვა.

აგრეთვე ბევრი მასალაა ყაზახების ისტორიისათვის და განსაკუთრებით კი კავკასიის ხაზის ყაზახების ისტორიისათვის და სხვ.

ბევრი რამ შეიძლება კაცმა იპოვოს რუსეთის საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ და აგრეთვე სპარსეთთან და ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ. საინტერესოა მასალა 1832 წ. აჯანყების შესახებაც.

მ. სტეფანოვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეკროლოგები.

დავით კარიჭაშვილი.

1927 წ. 26 ივლისს ტფილისში გარდაიცვალა დავით კარიჭაშვილი. იგი ერთი იმ თავდადებულ მუშაკთაგანი იყო, რომელთაც ნათელი მოჰფინეს საქართველოს ისტორიის მეცნიერებას. მისი ამ დარგში მოღვაწეობა ისეთ ხანას ეკუთვნის, როცა ქართულად წერა, და ისიც ისეთ საკითხებზე, როგორიც არის საქართველოს ისტორია, არც თუ მაინცადამაინც პატივსადები იყო მაშინდელი ხელისუფლების თვალსაზრისით. მიუხედავათ ამისა დ. კარიჭაშვილი იშვიათი სიდინჯით და სიყვარულით განაგრძობდა მუშაობას და სამშობლოს წარსულიდან მრავალი ბუნდოვანი საკითხი გაგვიშუქა. ორმოც წელზე მეტი იმუშავა ქართულ კულტურის სარბიელზე, მაგრამ მისი გარდაცვალება, ჯერ კიდევ ენერგიით სავსე ადამიანის, საგრძნობი დანაკლისია ღარიბ ქართულ ისტორიოგრაფიისათვის, მით უმეტეს. რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მისი მეცნიერული მუშაობა ფრიად ინტენსიური იყო.

დავით კარიჭაშვილი ახალგაზრდობიდანვე შეუდგა საზოგადო მოღვაწეობისათვის მზადებას და შესაფერისი განათლება მიიღო; იგი დაიბადა 1862 წელს გორის მაზრაში სოფ. ხიდისთავში. გორის სასულიერო სასწავლებლის გათავების შემდეგ დაასრულა ტფილისის სასულიერო სემინარია (1880 წ.). უმაღლეს განათლებას ჯერ პეტერბურგში იღებდა 1881 წ.—1883 წლებში, სადაც უმთავრესად ბუნებისმეტყველების, ისტორიის და ენათმეცნიერების ლექციებს ისმენდა. პეტერბურგიდან ჟენევაში გაემგზავრა და ერთი წლის შემდეგ პარიზში განაგრძო სწავლა, სადაც 1886 წლამდე დაჰყო. საფრანგეთში ყოფნის დროს დ. კარიჭაშვილი წერილებს ათავსებდა გაზ. „ივერია“-ში. უცხოეთიდან დაბრუნებისათანავე იგი ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაში მიიწვიეს ფრანგული ენის მასწავლებლად, სადაც შემდეგში ქართული ენის მასწავლებლობაც შესთავაზეს.

1888 წელს გამოვიდა დ. კარიჭაშვილის პირველი მოთხრობა „სამი მსხვერპლი“, მაგრამ შემდეგში მოთხრობების წერა არ გაუგრძელებია. ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო მისი მუშაობა საისტორიო დარგში. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაწერილი ჰქონდა მონოგრაფიული ხასიათის შრომა „საბერძნეთის აღორძინება“ (1883 წ.). უმთავრესი მისი შრომები 1890 წლის შემდეგ ხანას ეკუთვნიან: „როსტომ მეფე“, „სვიმონ მეფე“, „საქართველო მე-12 საუკუნეში“ და სხვა დაწერილია სწორედ 1890 წლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსვენებულის მიერ ორჯერ გამოცემული იყო „ვეფხის ტყაოსანი“ წინასიტყვაობით და ლექსიკონით. არა ნაკლებ ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში, სადაც 1891 წლიდან ვიდრე 1899 წლამდე მდივნობდა, ხოლო შემდეგ განაგებდა ამავე საზოგადოების სიძველეთსაცავს, რომელიც შემდეგში საქართველოს უნივერსიტეტს გადაეცა, ხოლო დ. კარიჭაშვილი 1926 წლიდან უნივერსიტეტის ასისტენტად ითვლებოდა. აღსანიშნავია განსვენებულის მიერ ხსენებულ სიძველეთსაცავის კატალოგის შედგენა (1905-1911 წწ.).

1927 წელს საქართველოს ცენტრარქივის ორგანოში „საქართველოს არქივში“ (წ. II) დაიბეჭდა მისი უკანასკნელი გამოკვლევა „ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარ-სწავლად წოდებულ ქართული ენციკლოპედიის ავტორი“. დაბეჭდილ შრომებს გარდა განსვენებულს დარჩა მრავალი მნიშვნელოვანი დაუბეჭდავი გამოკვლევები: „ქართული ენის გრამატიკა“, „ქართული წიგნების ბეჭდის ისტორია“, „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ და სხვა. ამათგან პირველი ორი უკვე სახელგამმა გამოსცა.

ი. ც.

სერგი გორგაძე.

1929 წლის 10 ივლისს გარდაიცვალა ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე სერგი გორგაძე. მისი, არც თუ ისე ხახგრძლივი, სიცოცხლე (1876-1929) მრავალმხრივ შინაარსიანი და ნაყოფიერი იყო. იგი საამისოდ ბუნებრივი ნიჭით და განათლებით საკმაოდ აღჭურვილი იყო.

1886 წელს 12 წლის სერგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შედის და 1890 წელს წარჩინებულათ ამთავრებს. ხოლო იმავე წელს ტფილისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას. აქ იგი არალეგალურ წრეებს დაუახლოვდა და მარქსის მოძღვრებას გაეცნო. 1893 წელს სემინარიების საერთო გაფიცვაში მონაწილეობაც მიიღო და სხვებთან ერთად ერთი წლის განმავლობაში სასწავლებლის გარეშე დარჩა. 1897 წელს სემინარია მაინც დაასრულა და ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა მსმენელად. რუსეთში ყოფნის დროს იგი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს საზოგადოებრივ ცხოვრებას საერთოდ და კერძოთ საქართველოსას. 1899 წელს მესამე დასელად აცხადებს თავს და დაურიდებლად თავს ესხმის „ივერიას“ ჯგუფს. იგი კრიტიკულად არის განწყობილი იმ სასწავლებლის მიმართაც, სადაც უმაღლეს განათლებას იღებდა; იქ გაბატონებული სქოლასტიკა, საღად მოაზროვნე სერგიში მხოლოდ სიძულვილს იწვევდა.

სასულიერო აკადემია სერგიმ 1901 წელს აამთავრად ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და სამშობლოში დაბრუნდა.

მისი პირველი ლიტერატურული ცდები უკვე სემინარიის პირველ პერიოდს ეკუთვნიან: მას მოწაფეობაში ლექსები უწერია, თუმცა მალე დასთხოვია. ნამდვილად სამწერლობო ასპარეზზე აკადემიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფნის დროს გამოდის მისი პირველი წერილი, რომელიც 1898 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში.

1901 წლიდან იწყება სერგი გორგაძის პედაგოგიური მოღვაწეობა სხვადასხვა სასწავლებლებში, სადაც უმთავრესად ქართულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას ასწავლიდა. უფრო მნიშვნელოვანია მისი სამეცნიერო ასპარეზზე მუშაობა; იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართულოლოგია; მისი შრომები ამ მხრივ სამ დარგს შეეხება: ისტორიას, ლიტერატურის ისტორიას და ენათმეცნიერებას. ამ გვარ შრომებს სერგიმ ხელი მიჰყო რუსეთიდან დაბრუნებისათანავე, ე. ი. 1901 წელს. აღნიშნულ წელს გამოქვეყნდა მისი პირველი სერიოზული ნარკვევი „ფილოსოფია და მისი პროგრესი“ (მოამბე). მან ხელი მიჰყო ქართულ საფილოსოფიო მწერლობის შესწავლას და სისტემატიური მუშაობის შემდეგ 1914 წელს გამოსცა იოანე პეტრიწის მიერ ბერძნულიდან გადმოღებული ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“-ს ტექსტი. ასევე მნიშვნელოვანი და დაუფასებელია განსვენებულის მიერ გამოცემული ქართული ძველი მხატვრული მწერლობის ძეგლები: „ბესიკი“ და „წამება წმინდისა შუშანიკისა“.

სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს ფართოდ აღინიშნოს სერგი გორგაძის მეცნიერული დამსახურებანი და იძულებული ვხდებით მრავალთაგან ზემოაღნიშნულ შრომებით დავკმაყოფილდეთ.

დასასრულ, სერგი გორგაძის სახელი განუყოელია საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებასთან და ხსენებულ საზოგადოების მოღვაწეობაში დიდი წილი მიუძღვის. ყველა მნიშვნელოვან ქართულ კულტურულ საქმიანობაში სერგი გორგაძე მოწინავე მუშაკი იყო და პირნათლად ასრულებდა ამ წმინდა საქმეს.

იშვიათია ისეთი სერიოზული ქათული ჟურნალი, სადაც სერგის თავისი ნაშრომი არ დაებეჭდოს და თავისი წვლილი არ შეეტანოს; განსვენებული საქართველოს ცენტრალურ არქივის ორგანოშიაც თანამშრომლობდა და 1927 წელს ქართულ-მეტყველებისათვის საინტერესო მასალები მოათავსა „საქართველოს არქივის-“ს მე III წიგნში შემდეგი სათაურით: „სვანეთის მრავალთავი“.

ი. ც.

სვიმონ ესაძე.

ორი წელიწადია, რაც სვიმონ ესაძე გარდაიცვალა. იგი იყო მოკრძალებული და ჩუმი მუშაკი. უკანასკნელი ხანა თავისი მოღვაწეობისა მან ცენტრარქივში განვლო. ჩვენ არ შეგვიძლია აღუნიშნავი დავტოვოთ პატიოსანი და სინდისიერი მუშაკის ცხოვრება და მუშაობა, რომლის შრომის მოყვარეობა და საქმისადმი სიყვარული უსაზღვრო იყო...

სვიმონ ესაძე დაიბადა 1868 წელს 4 თებერვალს. საშუალო განათლება მიიღო სიმბირსკის კადეტთა კორპუსში, რომელიც 1886

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს დაამთავრა, ხოლო უმაღლესი განათლება მან კონსტანტინოვსკის სასწავლებელში მიიღო 1888 წელს.

სამეცნიერო დარგში მოღვაწეობა ესაძემ დაიწყო 1898 წელს, როცა გამოუშვა წიგნი „Тверские драгуны на Кавказе" (ტვერის დრაგუნები კავკასიაში) და „Восточная война" (აღმოსავლეთის ომი).

1901 წ. ს. ესაძე დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არსებულ სამხედრო-საისტორიო განყოფილების რედაქტორის თანამდებობის აღმასრულებლად, ხოლო 1909 წელს დამტკიცებულ იქნა ამ თანამდებობაზე. 1912 წ. დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის საისტორიო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 1918 წელს საქართველოს მთავრობის ბრძანებით დაინიშნა ფრონტის სამხედრო-საისტორიო განყოფილების უფროსად. 1921 წლიდან იგი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო არქივში და 1923 წლიდან ასრულებდა სამხედრო-საისტორიო არქივის გამგის თანამდებობას.

ამ ხნიდან დაავადებამდე, რომელმაც შრომის უნარი დაუკარგა და მერე კი სავსებით საწოლს მიაკრა, ის მაინც მეცადინეობდა ამიერ-კავკასიის მცოდნეობის სფეროში.

მისი კაპიტალური ნაწარმოები „Историческая записка об управлении Кавказом" (ისტორიული წერილი კავკასიის მმართველობის შესახებ) გამოვიდა 1907 წელს ორ ტომ. შემდეგში გამოვიდა მრავალი მონოგრაფიები, რომლებიც შეეხებოდა კავკასიის სამხედრო შემთხვევებს და ეპიზოდებს, მაგ. „Штурм Гуниба и пленение Шамиля" (გუნიბის აღება და შამილის დატყვევება) 1907 წ. „Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны" (დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და კავკასიის ომის დამთავრება) და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ესაძე სინდისიერად მუშაობდა საქართველოს სოც. რესპუბლიკის ცენტრარქივში სამხედრო-საისტორიო არქივის გამგის თანამდებობაზე და თანამშრომლობდა ცენტრარქივის სამეცნიერო ჟურნალ „საქართველოს არქივ"-ში. თანამშრომლებში მას ჰქონდა დამსახურებული დიდი პატივსცემა და სიყვარული.

დ. ხ.

ა. ე. პრესნიაკოვი.

1929 წ. 2 ოქტომბერს ლენინგრადში გარდაიცვალა ლენინგრადის უნივერსიტეტის და მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტის პროფესორი, ისტორიკოსი და არქეოგრაფი ა. ე. პრესნიაკოვი. ტფილისის I გიმნაზიის დასრულების შემდეგ იგი შედის, აწ უკვე ლენინგრადის უნივერსიტეტში, ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1898 წელს უნივერსიტეტის დასრულებისათანავე რუსეთის ისტორიის კათედრასთან დატოვეს და მალე მისი ნიჭი და უნარი სამეცნიერო კვლევა-ძიების ასპარეზზე თვალსაჩინო შეიქნა. მისი „Княжее право в древней Руси" და „Образование великорусскаго

ეროვნული ბიბლიოთეკა

государства“ (1918) წარმოადგენენ უდიდეს მნიშვნელობის მქონე შრომებს რუსულ ისტორიოგრაფიაში. პრესნიაკოვს სტუდენტობიდანვე ეტყობოდა ისტორიულ წყაროთა ცოდნა, მისი სადიპლომო შრომა „Царственная книга, ее состав и происхождение“ რუსულ მატიანეთა შესწავლის საქმეში დიდ დამსახურებად იქნა ცნობილი. 1900 წლებიდან პრესნიაკოვი მონაწილეობას იღებდა არქეოგრაფიულ კომისიის (ამ ჟამად „მუდმივი ისტორიული კომისია მეცნიერებათა აკადემიასთან“) მუშაობაში, სადაც მისი რედაქციით „Полное собрание Руссих летописей“-ს ზოგიერთი ტომები გამოიცა. 1919 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ საარქივო საქმის რეფორმის შესახებ დაისვა კითხვა, პრესნიაკოვი გულწრფელად გამოეხმაურა ხელისუფლების მოწოდებას და, როგორც ძველმა მომუშავემ, აქტიური მონაწილეობა მიიღო საორგანიზაციო თათბირებზე, ხოლო რეფორმის გატარების შემდეგ მთავარი არქივის კოლეგიის შემადგენლობაში შედიოდა, დანიშნული იყო არქივების მთავარ ინსტრუქტორად და მუშაობდა „სამეცნიერო ცნობათა“ განყოფილებაში, რომელიც პირველ ხანებში საარქივო რეფორმის მთავარი ნერვი იყო. 1918/19 წწ. საარქივო კურსებზე პრესნიაკოვის მიერ წარმოთქმულ იქნა სიტყვა „Исторические источники и подлинные документы в научной работе“, სადაც ნათლად გააშუქა საარქივო ფონდების გამოქვეყნების საკითხი; დაახლოვებით ამ დროს იგი არჩეულ იქნა ლენინგრადის არქეოლოგიურ ინსტიტუტში არქივთმეცნიერების განყოფილების დეკანად. ბოლო ხანებში თავი დაანება ცენტრარქივში მუშაობას და მონაწილეობას იღებდა დეკაბრისტების აჯანყების მასალათა გამოცემაში. რუსეთის საისტორიო მეცნიერებისა და არქივისტიკისათვის პრესნიაკოვის დაკარგვა დიდი დანაკლისია.

ვ. ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

Примірні описи. Збірник з вступною статтею та за редакциэю проф. Веретеннікова В. І. Склали вчені архівісти Грибин М. Ф. і Насонова О. П.—Видання Центрального Архівного Управління УСРР. Харків 1928 р. XII+51 Ціна 1 крб. **სანიმუშო აღწერები.** კრებული პროფ. ვ. ი. ვერეტენიკოვის შესავალი წერილითა და რედაქციით. შეადგინეს სწავლულ არქივისტებმა მ. ფ. გრიბინმა და ო. პ. ნასონოვამ. უკრაინის ცენტრალურ საარქივო სამართველოს გამოცემა. ხარკოვი, 1928 წ გვ. XII+51. ფასი 1 მანეთი.

საარქივო საქმის საუწყებო სისტემის ნაცვლად სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის სისტემის დაკანონების შემდეგ საბჭოთა ქვეყნებში აუცილებელი შეიქნა არქივთმეცნიერების მთელ რიგ პრაქტიკულ და თეორიულ პრობლემების რადიკალურად წამოყენება და ახალი თვალსაზრისით გადაჭრა. საარქივო მასალების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, ამ მასალების აღრიცხვა და აღწერების შედგენა, საისტორიო საბუთების ტექსტის დამზადება და გამოქვეყნება, საარქივო-სატეხნიკო საკითხები და სხვა—აი ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც მათი უაღრესად აქტუალური მნიშვნელობის გამო შეიქნენ საარქივო დაწესებულებათა და ცალკე არქივისტთა განსჯისა და შესწავლის საგანი.

რა თქმა უნდა, ეს საკითხები ახალი საკითხები არ არის,—ამ საკითხებზე წინათაც ჰმუშაობდენ, მაგრამ საარქივო რეფორმების შემდეგ, როდესაც წინანდელი თვალსაზრისი არქივებსა და საარქივო საქმეზე ბუნებრივად შეიცვალა, საჭირო იყო ახალ პირობებთან დაკავშირებით დასახელებულ საკითხების კვლავ წამოყენება და ახალი მეთოდით შესწავლა, მით უფრო, რომ ზოგიერთი ამ საკითხთაგანი წინად ძველი პირობების მიხედვითაც კი არ იყო სავსებით შესწავლილი და გადაჭრილი. განსაკუთრებით საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა უკანასკნელ დროს საკითხი საარქივო აღწერათა და აღწერილობათა შედგენის შესახებ. ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ მის შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, გადაუჭრელი დარჩა უკანასკნელ დრომდე.

აღნიშნულ საარქივო რეფორმის შემდეგ ეს საკითხი ცხოვრებამ უფრო მწვავედ წამოაყენა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივების ახალ საფუძველზე მოწყობა ამ საკითხის გადაუჭრელად სრულიად შეუძლებელი იყო: კონცენტრაციის შედეგად სახელმწიფო არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში თავი მოიყარა აუარებელმა საარქივო მასალამ და საჭირო იყო ამ მასალის აღრიცხვისა და აღწერის საკითხის სასწრაფოდ მოგვარება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო არქივალიებით სარგებლობა პრაქტიკულ, მეცნიერულ და პოლიტიკურ მიზნებისათვის.

საარქივო აღწერის საკითხის შესწავლა 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ დაიწყო თითქმის ყველა საბჭოთა ქვეყნებში: რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ჩვენშიც—საქართველოში და სხვაგან. ყველგან ეს მუშაობა სწარმოებდა იმ მიმართულებით, რომ მრავალი სხვა და სხვა სახისა და ტიპის აღწერების ნაცვლად ერთი მთლიანი სისტემა შემოეღოთ და ამ სისტემაზე საარქივო მასალების აღწერის საქმე დაეყენებიათ. ამ მუშაობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, თვალსაჩინო შედეგი და საყურადღებო ნაყოფი გამოიღო: უკანასკნელ წლების განმავლობაში დამუშავებულ და წამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქვეყნებში მთელი რიგი პროექტებისა, რომელნიც ამ საკითხის პრაქტიკულ გადაჭრის სერიოზულ ცდებს წარმოადგენენ. კერძოდ უკრაინაში ამ საკითხმა რამოდენიმე საფეხური განვლო და ამ ჟამად, შეიძლება ითქვას, იგი თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც გადაჭრილია.

პირველი სერიოზული ცდა ამ საკითხის გადაჭრისა უკრაინაში მოგვცა კიეველ არქივისტმა პროფ. ვ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი მ, რომელმაც 1926 წელს სრულიად უკრაინის საარქივო მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე ხარკოვში გარკვეული სისტემის პროექტი წარმოადგინა (იხ. ამ შესახებ შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საარქივო აღმშენებლობის ძირითადი პრინციპები უკრაინაში). შემდეგ იმავე ვ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი მ ხელმეორედ დაამუშავა ეს საკითხი და თავისი მოსაზრებები გამოაქვეყნა თავის შრომაში „Нариси з архівознавства"-ში, რომელიც გამოიცა 1927 წელს. პარალელურად ამ საკითხს ამავე ხანებში ამუშავებდა თვით ცენტრალური საარქივო სამართველოც, რომელმაც ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ზემოდ დასახელებული „ს ა ნ ი მ უ შ ო ა ღ წ ე რ ე ბ ი ს" სახით საარქივო აღწერების გარკვეული სისტემა შეიმუშავა.

„სანიმუშო აღწერები" შედგენილია, როგორც თავშიც აღნიშნულია, სწავლულ არქივისტების გ რ ი ბ ი ნ ი ს ა და ნ ა ს ო ნ ო ვ ა ს მიერ, პროფ. ვ. ვ ე რ ე ტ ე ნ ი კ ო ვ ი ს უშუალო მონაწილეობით. „აღწერებში" მოცემულია სამ სახის აღწერა: ფორმა № 1, ფორმა № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფორმა № 3. სამივე სახის აღწერა მოცემულია ორგვარი საარქივო მასალასთან შეფარდებით: 1) რევოლიუციის წინადროინდელ და 2) შემდეგდროინდელ საარქივო ფონდებთან შეფარდებით. რევოლიუციის წინადროინდელ მასალად, აღწერის ობიექტის სახით, აღებულია „ხარკოვის გუბერნიის კუპიანსკის მაზრის მე-7 უბნის ერობის უფროსის“ („Земскаго начальника 7 участка Купянского уезда Харьковской губернии“) საარქივო ფონდი, ხოლო რევოლუციის შემდეგდროინდელ მასალად—„ზმიევის საადგილ-მამულო სამართველოს“ („Змиевского земелного управления“) ფონდი.

დასახელებული სამი სახის აღწერები (ფორმა 1, 2, 3) მოცემულია, როგორც უკრაინაში ამ ჟამად შესაძლებელი ფორმის აღწერები. უკრაინის ცენტრალურ საარქივო სამართველოს, არსებულ პირობების მიხედვით, ე. ი. იმ საშუალებებისა და მუშა ძალების მიხედვით, რომელიც მას გააჩნია, შესაძლებლად მიაჩნია მოახდინოს სახელმწიფო არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში თავმოყრილ საარქივო მასალების აღწერა ამ სამი სახის აღწერების თანახმად. უკრაინის ცენტრარქივი ჰფიქრობს, რომ ეს აღწერები, როგორც უბრალო და მარტივი სახის აღწერები, არ მოითხოვენ შედგენისათვის შედარებით დიდ დროსა და განსაკუთრებულ კვალიფიკაციის მუშაკებსაც, რაც საჭიროა უფრო ვრცელი სამეცნიერო აღწერის შედგენისათვის.

უკანასკნელ სახის აღწერისათვის „სანიმუშო აღწერებში“ გათვალისწინებულია ცალკე ფორმა, ფორმა № 4, მაგრამ მისი ნიმუში მოცემული არ არის იმისათვის, რომ რთული სამეცნიერო აღწერის შემოღება პრაქტიკაში ჯერჯერობით უკრაინის ცენტრარქივს ნაადრევად და შეუძლებლად მიაჩნია.—ეს მისი აზრით მხოლოდ მომავლის საქმეა. ასეთი სამეცნიერო აღწერა უკრაინის ცენტრარქივს წარმოდგენილი აქვს „სახალხო განათლების სამინისტროს არქივის აღწერილობის“ („Описание архива Министерства народного просвещения“) მაგგვარ აღწერად.

სამივე სახის მოცემული აღწერები წარმოდგენილია დახაზულად რუბრიკების მიხედვით. პირველი ფორმის აღწერა შეიცავს სამ რუბრიკას: ა) თარიღს ბ) შესანახ ერთეულის ძველ ნუმერაციას და გ) შენიშვნას, სადაც ჩაიწერება ცნობები ერთეულის დაცულობის შესახებ. მეორე (ბ) გრაფაში ჩაიწერება აგრეთვე ფონდის ნაწილები (ქვე-ფონდები) დაწესებულების განყოფილებათა მიხედვით.

მეორე ფორმის აღწერა შეიცავს შვიდ რუბრიკას: ა) საარქივო, ე. ი. რიგის ნომერს, ბ) ძველ საკანცელარიო ნომერს, გ) შესანახ ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეულის სახელწოდებას—სათაურს, დ) ერთეულის დაწყების თარიღს, ე) დამთავრების თარიღს, ვ) ფურცლების რაოდენობას და ზ) შენიშვნას. მესამე (გ) გრაფაში ჩაიწერება აგრეთვე წელიწადი, რომელსაც მასალები ეკუთვნის, და ფონდის ნაწილები დაწესებულების განყოფილებათა მიხედვით.

დასასრულ, მესამე ფორმის აღწერა შეიცავს აგრეთვე შვიდ იმავე შინაარსის რუბრიკას, მაგრამ მესამე (გ) გრაფაში შესანახ ერთეულის სათაურის ნაცვლად აქ მოცემულია ერთეულის შინაარსი, რომელიც შედგენილია არქივისტის მიერ საქმის მიხედვით. ერთეულის ძველი საკანცელარიო სათაური კი მოყვანილია ფრჩხილებში შინაარსის შემდეგ. განსხვავებასაც მეორე და მესამე ფორმებს შორის სწორედ მეორე გრაფაში საკანცელარიო სათაურის ნაცვლად შინაარსის მოცემა შეადგენს.

საქმეების ძველი ნუმერაციის შეტანის დროს პირველ ფორმაში (გრაფა „ბ") შეტანილია ყველა ნომერი, რომელიც გაკეთებულია თავის დროზე კანცელარიაში და რომელიც აღწერის დროს შენარჩუნებული აქვს ერთეულს კანზე. ხოლო მეორე და მესამე ფორმების შევსების დროს არჩეულია ის ნუმერაცია, რომელიც უფრო სრულად და უფრო ზუსტად წარმოადგენს საარქივო ფონდის შემადგენლობას.

„აღწერები" ჰგულისხმობენ საკანცელარიო სათაურის შეტანის დროს აშკარა შეცდომებისა და კანცელარიის ორთოგრაფიის შესწორებას, ხოლო თვით არქივისტის მიერ შედგენილ სათაურებში კი სტილის შესწორებასაც. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეს რამოდენიმე თარიღი აქვს (ე. ი. როდესაც მისი წარმოება რამოდენიმე წელიწადს გრძელდებოდა), იგი ჩაწერილია პირველი წლის მიხედვით, სათანადო გრაფაში, ხოლო შემდეგი წლების საქმეების ჩაწერის დროს, აღნიშნულია მხოლოდ ამ საქმის ნომერი და ადგილი, სადაც ეს საქმე ჩაწერილია. მეორე და მესამე ფორმებში ჩაწერილია აგრეთვე დაკარგულ საქმეების ნომრები, ძველი საკანცელარიო აღწერის მიხედვით და ცარიელი კანების ნომრებიც, შენიშვნის გრაფაში სათანადო განმარტების დართვით.

საკანცელარიო სათაურის შეტანის დროს (ფორმა № 2) „აღწერები" ჰგულისხმობენ ამ სათაურების შინაარსთან შეუჯერებლად შეტანას. შინაარსის გაცნობის აუცილებლობა ნაგულისხმევია მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმეს კანი და, მაშასადამე, სათაურიც დაკარგული აქვს და როდესაც არქივისტს თვით უხდება ახალი სათაურის შედგენა შინაარსის მიხედვით. მეორე ფორმის აღწერისათვის შინაარსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით არქივისტის მიერ შედგენილი ახალი სათაური იმავე წესზეა შედგენილი, რა წესზედაც ძველი საკანცელარიო სათაურებია საერთოდ შედგენილი, ხოლო მესამე ფორმის აღწერისათვის შედგენილი ახალი სათაურები შედგენილია მოთხრობითი ფორმით.

სამივე სახის აღწერაში, თვითეულ საარქივო ფონდის აღწერის წინ აღნიშნულია აღწერილ საარქივო ფონდის სახელწოდება და აღწერის შემდგენელის ახსნა-განმარტება შედგენის მეთოდისა და წესების შესახებ. მეორე და მესამე ფორმის აღწერაში კიდევ, ამას გარდა, მოყვანილია მოკლე ცნობები საარქივო ფონდისა და მის შემქნელ დაწესებულების სტრუქტურის შესახებ. საარქივო მასალა ფონდის ფარგლებში დაყოფილია ქრონოლოგიურ პერიოდების (წლების) მიხედვით, თვითეული ქრონოლოგიური პერიოდი—ქვე-ფონდების (დაწესებულების განყოფილებათა და ნაწილთა) მიხედვით, ხოლო თვითეულ ქვეფონდის ფარგლებში ქრონოლოგიურ წესთან ერთად დაცულია რიგი კანცელარიის ძველი ნუმერაციის მიხედვით.

მეოთხე სახის აღწერის ფორმა „სანიმუშო აღწერებში", როგორც ვამბობდით, მოცემული არ არის, მაგრამ პროფ. ვ. ვ ე რ ე ტ ე ნ ი კ ო ვ ი ს განმარტების თანახმად (იხ. მისი შესავალი წერილი) ეს აღწერა უნდა წარმოადგენდეს ვრცელ სამეცნიერო აღწერას. ძირითადი განსხვავება მესამე ფორმის აღწერასა და მეოთხე ფორფის აღწერებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მეოთხე ფორმის აღწერაში, საქმის მოკლე შინაარსის ნაცვლად, მოცემული უნდა იყოს საქმის ვრცელი შინაარსი, ციტატებისა და ამონაწერების მოყვანით საქმეში ჩართულ მნიშვნელოვან საბუთების ტექსტიდან, და მას, როგორც აუცილებელი დამატება, დართული უნდა ჰქონდეს საგნობრივი და სახელობითი მაჩვენებლები. ასე რომ მეოთხე ფორმის აღწერა, პროფ. ვ. ვ ე რ ე ტ ნ ი კ ო ვ ი ს განმარტებით, უნდა შესდგებოდეს შემდეგი მთავარი ელემენტებისაგან: ა) საარქინო ფონდის შემქნელ დაწესებულების ისტორია ძირითად ეტაპებში, ბ) საარქივო ფონდის ისტორია, გ) თვითეულ შესანახ ერთეულის შინაარსის ვრცელი მიმოხილვა, დ) მნიშვნელოვან საბუთებიდან ამონაწერები, ციტატები და სხვა, ე) თარიღები, ვ) შესანახ ერთეულის ნომრები და ზ) სახელობითი და საგნობრივი მაჩვენებლები (გვ. X).

აღსანიშნავია, რომ უკრაინის ცენტრარქივის მიერ დამუშავებული სისტემა, რომელიც საბოლოოდ ოთხ სახის აღწერას ჰგულისხმობს, დამყარებულია საარქივო ფონდის დაუშლელობისა და მთლიანობის პრინციპზე: ეს პრინციპი სავსებით დაცულია აღწერების წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგენილ ნიმუშებში—აღწერების პირველ, მეორე და მესამე ფორმებში, ხოლო მეოთხე ფორმაც ამ პრინციპის უეჭველ დაცვას ჰგულისხმობს. ეს გარემოება „სანიმუშო აღწერების“ საყურადღებო და მნიშვნელოვან დადებითი თვისებად უნდა ჩაითვალოს. მის ასეთივე დადებითი თვისებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ თვითეული სახის აღწერა მეორე სახის აღწერასთან, ხოლო ყველა სახის აღწერები ერთმეორესთან, იმყოფება მჭიდრო ლოგიურ კავშირში: თვითეული მიმდევნო სახის აღწერა წარმოადგენს წინამორბედ სახის აღწერის გაღრმავებასა და განვითარებას. ასე, მაგალითად, მეორე ფორმის აღწერა წარმოადგენს პირველ ფორმის აღწერის განვითარებას, მესამე ფორმის აღწერა მეორე ფორმის აღწერის განვითარებას და ასე მეოთხეც.

მაგრამ ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ თვითეული საარქივო ფონდი ამ სისტემის თანახმად უეჭველად უნდა აღიწეროს სამივე ან ოთხივე სახის აღწერის მიხედვით, ე. ი. ჯერ პირველი ფორმის აღწერის მიხედვით, შემდეგ—მეორე ფორმის აღწერის მიხედვით და ასე მესამე და მეოთხე აღწერების მიხედვითაც თანდათანობით. პირიქით, უკრაინის ცენტრარქივის აზრით, იმთავითვე არჩეულ უნდა იქნეს აღწერის ესა თუ ის სახე (წარმოდგენილ აღწერებიდან), რომელიც აღსაწერ საარქივო ფონდისათვის იქნება ერთადერთი და საბოლოო აღწერა. ასე რომ თვითეული საარქივო ფონდი, ამ სისტემის თანახმად, უნდა აღიწეროს მხოლოდ ერთი ტიპის აღწერის მიხედვით. მაგალითად, პირველი ფორმის აღწერა უკრცენტრარქივს სრულიად საკმარისხად მიაჩნია უმნიშვნელო ფონდების აღსაწერად, მეორე ფორმის აღწერა—რევოლუციის წინადროინდელ საარქივო ფონდების აღწერად და სხვა.

სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება უნდა ჩაითვალოს წარმოდგენილ სისტემის ერთ-ერთ უარყოფითი მხარედ. თვითეული საარქივო ფონდის მხოლოდ ერთი სახის აღწერის მიხედვით ფიქსირება ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, რამდენად უმნიშვნელო უნდა იყოს საარქივო ფონდი, რომ მისთვის საკმარისი გახდეს მხოლოდ პირველი ფორმის აღწერის შედგენა, რომელიც არსებითად შესანახ ერთეულების დანუმრული სიაა და მეტი არაფერი. ასეთი უმნიშვნელო ფონდი, როგორც სამაკულატურო ფონდი, სრულიად სხვა წესით უნდა აღიწეროს და მისი აღწერა საარქივო აღწერათა სისტემაში, რომელიც უეჭველად შესანახ მასალის აღწერებს ჰგულისხმობს, ვერ შევა. ან რამდენად მისაღებია, რომ საარქივო ფონდი, რომელიც წინასწარ მარტივი სახის აღწერის მიხედვით ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში მოყვანილი არ არის, აღიწეროს პირდაპირ სამეცნიერო აღწერის (მესამე და მეოთხე ფორმის) მიხედვით? რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელიც არის და დაუშვებელიც. თვით ის გარემოება, რომ უკრაინის ცენტრარქივის აზრით ამ ჟამად ხმარებაში მხოლოდ სამი ფორმის აღწერა უნდა იქნეს შემოღებული, ჰგულისხმობს, რომ ყოველი საარქივო ფონდი, ვიდრე ის მეოთხე სახის აღწერის მიხედვით აღიწერებოდეს, უნდა აღიწეროს რომელიმე ამ სამი ფორმის აღწერების მიხედვით და რადგან ამ აღწერილ ფონდებიდან ალბად რომელიმე მეოთხე ფორმის მიხედვითაც უნდა აღიწეროს, ძალა უნებურად გამოდის, რომ ეს ფონდები ორჯერ (ორი ფორმით) მაინც უნდა აღიწეროს. ასე რომ იმ მოსაზრების ცხოვრებაში გატარება, რომლითაც თვითეული საარქივო ფონდი ერთი სახის (წინასწარ ამორჩეულ ფორმის) აღწერის მიხედვით უნთა აღიწეროს, ძალაუნებურად დაბრკოლებებს ჰგულისხმობს და შეუძლებელია.

მაგრამ ამასაც თავი რომ დავანებოთ, თუ თვითეული საარქივო ფონდი მხოლოდ ერთი რომელიმე ტიპის აღწერის მიხედვით უნდა აღიწეროს, რაღა მნიშვნელობა აქვს მაინც და მაინც იმ შინაგან კავშირს, რომელიც ამ აღწერებს შორის არსებობს და რომელიც სხვა შემთხვევაში მართლაც სისტემის დადებითი მხარის მაჩვენებელია, როგორც ვთქვით. რა თქმა უნდა, არც ის იქნებოდა სწორი, რომ ყველა საარქივო ფონდი უეჭველად ოთხივე სახის აღწერების მიხედვით აღიწეროს თანდათანობით, ვინაიდან ეს შექმნიდა საალწერო მუშაობის გამეორების აუცილებლობას; მაგრამ საჭირო იყო სისტემის ავტორებს გაეთვალისწინებიათ ის გარემოება, რომ ზოგიერთი წარმოდგენილი ფორმა (ვგულისხმობთ პირველ ფორმას) ოდნავათაც საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ფონდი, ამის მიხედვით აღწერილი, საბოლოოდ აღწერილად ჩაითვალოს, რაც უნდა უმნიშვნელო არ იყოს ეს ფონდი; ხოლო მეორეს მხრივ ავტორებს უნდა გაეთვალისწინებიათ ისიც, რომ ზოგიერთი წარმოდგენილი ფორმის (ვგულისხმობთ მეოთხე ფორმას) მიხედვით შეუძლებელია საარქივო ფონდის აღწერა, თუ მას წინდაწინ სხვა უფრო მარტივი სახის აღწერა არ უსწრებს წინ.

თავისდათავათაც ოთხი სახის აღწერის შემცველი სისტემა, როგორც გარკვეულ პრინციპზე დამყარებული სტანდარტული სისტემა, მაინც და მაინც სასურველად არ უნდა ჩაითვალოს. ჩვენის აზრით უფრო რაციონალური იქნებოდა, რომ სისტემას სხვა და სხვა სახეებისა და ფორმების რაოდენობა მინიმუმამდე შეემცირებია. ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში სრულიად თამამად შეიძლებოდა მეორე და მესამე ფორმების გაერთიანება, თუ მეორე ფორმაში სათაურის გრაფა იგულისხმებდა საქმის შინაარსთან შეჯერებულ სათაურის მოყვანას, ვინაიდან სხვა მხრივ, როგორც ვნახეთ, მათ შორის განსხვავება არც არსებობს. მაშინ გვექნებოდა ისეთი სისტემა, რომელიც სამი სახის აღწერას იგულისხმებდა, თუ კი პირველ ფორმასაც ცალკე სახის აღწერად მივიჩნევდით, თუ არადა გვექნებოდა უფრო მარტივი სისტემა, რომელიც ორი ძირითად სახის აღწერის შემცველი იქნებოდა: ერთი—საინვენტარო აღწერის მაგვარი აღწერის, რომელშიც საქმის სათაური შინაარსთან შეჯერების შემდეგ შევიდოდა სხვა ცნობებთან ერთად, ხოლო მეორე—სამეცნიერო აღწერა, რომელიც უკრაინის მეოთხე ფორმის აღწერასთან ახლო იქნებოდა.

მეოთხე ფორმის აღწერა იმ სახით, როგორც ის ამ ჟამად წარმოდგენილი აქვთ ავტორებს, მიუღებელია სავსებით თუნდაც იმიტომ, რომ ის ჰგულისხმობს საარქივო ფონდის ისტორიასთან ერთად ამ ფონდის შემქნელ დაწესებულების ისტორიის გაშუქებასაც, რაც არქეოგრაფიის და კერძოდ აღწერების ამოცანას არ შეადგენს. დაწესებულების ისტორია უეჭველია აღწერების ფარგლებს სცილდება და სხვა დისცეპლენების მიზანს შეადგენს. შეიძლება საარქივო ფონდისა და თვით არქივის ისტორიასთან ერთად ზოგიერთი ცნობები იმ დაწესებულების ისტორიის შესახებაც იქნეს მოყვანილი, რომელმაც ეს ფონდი შექმნა. მაგრამ განსაკუთრებით დაწესებულების ისტორიის გაშუქება და აღწერაში შეტანა, ვიმეორებთ, სრულიად საჭირო არ არ არის.

მაგრამ თავი და თავი ნაკლი წარმოდგენილი სისტემისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი სრული არ არის: სისტემა ჰგულისხმობს აღწერის ობიექტად მხოლოდ მე-XVIII-საუკუნის დასასრულისა და მე-XX-საუკუნის დასაწყისის (ჩვენს დრომდე) საარქივო მასალებს, ხოლო ძველი საბუთები და ხელნაწერები იქ სრულიად უგულებელყოფილია. ამავე დროს, რამდენად ვიცით, ასეთი ძველი ხელნაწერები უკრაინის სახელმწიფო არქივთსაცავებში (მაგალითად, კიევის ძველ საბუთთა არქივში) საკმაო რაოდენობით არის დაცული. სისტემა სრული არ არის იმ მხრივაც, რომ იგი, გარდა მეოთხე ფორმის აღწერისა, სხვა აღწერებისათვის არ ჰგულისხმობს საძიებლების შედგენას. ჩვენის აზრით მეორე და მესამე ფორმების აღწერისათვის უეჭველი იყო პირთა სახელებისა და გეოგრაფულ სახელების საძიებლების შედგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც თავში აღნიშნულია, „სანიმუშო აღწერებს“ წამძღვარებული აქვს შესავალის სახით („Вступ“) პროფ. ვ. ვერეტენიკოვის მიმოხილვა(გვ. V—XII). ვ. ვერეტენიკოვის შესავალი წერილი შეიცავს სამ ნაწილს. პირველ ნაწილში ავტორი იძლევა დასავლეთ ევროპის პრაქტიკის მოკლე მიმოხილვას საარქივო აღწერათა დარგში, მეორე ნაწილი წარმოადგენს რევოლიუციის წინადროინდელ რუსეთის პრაქტიკის მიმოხილვას ამავე დარგში, ხოლო მესამე ნაწილში ავტორს ვრცლად განხილული აქვს წარმოდგენილი სისტემის ძირითადი მომენტები და ამ სისტემაზე აღწერების შედგენის წესები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ვ. ვერეტენიკოვის წერილი მეტად საინტერესო მასალებს შეიცავს საერთოდ საარქივო აღწერების შესახებ მსჯელობისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა წერილის უკანასკნელი ნაწილი, რომელიც, როგორც ვთქვით, შეიცავს ახსნა-განმარტებას წარმოდგენილ სისტემის ძირითად მომენტებისა და მის პრაქტიკულად გამოყენების შესახებ. სამწუხაროდ, ავტორს ვერ აუცდენია თავიდან ზოგიერთი შეუსაბამობა და ფაქტიური შეცდომები. ასე, მაგალითად, დასავლეთ ევროპის პრაქტიკის მიმოხილვის დროს პროფ. ვ. ვერეტენიკოვი ჰოლანდელ ავტორებს მიულერსა, ფაიტსა და ფრუინს მიაწერს, თითქოს მათ თავიანთ ცნობილ შრომაში („Anleitung zum Ordnen und Beschreiben von Archiven“) ერთ-ერთ სახის აღწერად წარმოდგენილი ჰქონდეთ „რეესტრი“, მაშინ როდესაც ასეთი ტიპის აღწერაზე ამ შრომაში ლაპარაკი სრულიადაც არ არის. შესაძლებელია პროფ. ვ. ვერეტენიკოვს მხედველობაში ჰქონდეს ე. წ. „რეგესტების სია“, (Begestenliste), რომელზედაც ლაპარაკობენ ჰოლანდელი ავტორები ამ წიგნში, მაგრამ „რეგესტების სია“, არც თავისი დანიშნულებისა და არც შემადგენელ ელემენტების მხრივ არ შეიძლება ჩვეულებრივი „რეესტრის“ იდენტურ სახის აღწერად იქნეს მიჩნეული.

ძველი რუსეთის საარქივო პრაქტიკის მიმოხილვის დროს პროფ. ვ. ვერეტენიკოვი არჩევს სულ ოთხი ტიპის აღწერებს: ა) Памятная Книжка Московского архива мин. юст.“-ის აღწერის ტიპს, ბ) „საკანცელარიო აღწერის“ ტიპს, გ) „ვრცელი საკანცელარიო აღწერის“ ტიპს და დ) „ვრცელ აღწერილობას“ „Описание дел архива мин. нар. прос.“-ას ტიპისას, რაც სიმართლეს სავსებით არ შეესაბამება: „Памятная Книжка Моск. арх. мин. юст“-ის აღწერის ცალკე ტიპად წარმოდგენა არ არის სწორი, ვინაიდან „Памятная Книжка “საერთოდ საარქივო აღწერად ვერ ჩაითვლება; არც ის არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორი, თითქოს „Памятная книжка“ პროფ. კ ა ლ ა ჩ ო ვ ი ს მიერ გა-თვალისწინებულ აღწერების ერთ-ერთი ტიპისა, სახელდობრ, მესამე ტიპის აღწერის განხორციელებას წარმოადგენდეს.—ცნობილია, რომ კ ა ლ ა ჩ ო ვ ი ს მესამე ტიპის აღწერას ყველაზე უფრო ე. წ. „მიმოხილ-ვები“ უახლოვდება; თვით აღწერათა დარგში ძველი რუსეთის საარ-ქივო პრაქტიკის ოთხ ტიპად შემოფარგვლა სიზუსტეს მოკლებულია, ვინაიდან აღწერათა და აღწერილობათა სხვადასხვა სახეებისა და ტი-პების რაოდენობა ძველს რუსეთის პრაქტიკაში გაცილებითი უფრო მეტი იყო.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პროფ. ვ ე რ ე ტ ე ნ ი კ ო ვ ი ს წე-რილის ეს ნაწილი, ისევე როგორც პირველი მისი ნაწილი, სადაც და-სავლეთ ევროპის პრაქტიკაზეა ლაპარაკი, სრული არ არის: მრავალი მომენტები წამოყენებულ საკითხის ისტორიული მხარისა მეტად მკრ-თალადაა გაშუქებული, მრავალი მომენტები კიდევ სრულიად უგუ-ლებელყოფილია. ასე, მაგალითად, დასავლეთ ევროპის პრაქტიკის დროს სრულიად მოხსენებული არ არის გერმანიის არქივების მრა-ვალფეროვანი პრაქტიკა, რუსეთის საარქივო პრაქტიკისა და საარ-ქივო აღწერების სისტემის დახასიათების დროს სრულიად გვერდი ავლილია ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა საარქივო აღწერათა სისტემებში რაციონალიზაციის შეტანის მიზნით (ს ა მ ო კ ვ ა ს ო ვ ი ს პროექტი საარქივო ინვეტარისა, კამათი ამ პროექტის შესახებ და სხვა) გამართულ პაექრობის დროს და სხვა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ერთი ტეხნიკურ ხასიათის ნაკლიც, რომელიც ახასიათებს „სანიმუშო აღწერებს“ გამოცემის მხრივ. ეს ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ფორმის აღწერები, რომლე-ბიც წარმოდგენილია აღწერებში, დაბეჭდილია ერთი მეორეს მიდევ-ნებით და არა ახალ გვერდებიდან. ამ გარემოებას ის უარყოფითი მნიშვნელობა აქვს, რომ მკითხველს უძნელებს ნათელი წარმოდგენის შექმნას თვითეულ ტიპის აღწერის შესახებ. ამ მხრივ, როგორც დე-ფექტი, აღსანიშნავია ისიც, რომ თვითეული სახის აღწერა შესაფე-რად დასათაურებული არ არის, რაც აგრეთვე იმავე მოსახრებით სასურველი იყო ავტორებს თავიდან აეცილებიათ.

ყველა აღნიშნულ დეფექტებისდა მიუხედავად „სანიმუშო აღწე-რების“ გამოცემა მეტად დადებით და სასარგებლო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. „სანიმუშო აღწერები“ წარმოადგენს საარქივო აღწე-რათა და აღწერილობათა სისტემის დამუშავების ერთობ სერიოზულ ცდას, რომელსაც შეუძლია საგრძნობი დახმარება გაუწიოს ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ, ვინც მოისურვებს ამ საკითხის შემდეგში შესწავლასა და დამუშავებას. ამ მხრივ უკრაინის ცენტრალურ საარქივო სამართველოს და უკრაინის არქივისტების ღვაწლი არქივთმეცნიერების წინაშე მეტად თვალსაჩინოა: „სანიმუშო აღწერები“ საყურადღებო წვლილია საარქივო აღწერათა საკითხის დამუშავების საქმეში.

არქივისტი.

Архивное Дело. Издание Центрального Архивного Управления РСФСР. Вып. 17, 1928 г. Вып. 18, 1929 г. Вып. 19, 1929 г. Москва. **საარქივო საქმე.** რუსეთის ცენტრალურ საარქივო სამმართველოს გამოცემა. წიგ. 17, 1928 წ. წიგ. 18, 1929 წ. წიგ. 19, 1929 წ. მოსკოვი.

დასახელებულ ჟურნალის საერთო დახასიათება უკვე მოცემულია საქართველოს ცენტრარქივის ორგანო „საარქივო საქმის“ პირველ წიგნში (იხ. გვ. 177). იქვე მოყვანილია აგრეთვე 1923-1928 წლებში გამოსულ წიგნების (წიგ. I-XVI) მოკლე სქემატიური შინაარსი. აქ ჩვენ შევეცდებით გავაცნოთ მკითხველი მას შემდეგ გამოსულ ნომრების შინაარსს.

1928 წლის დასასრულიდან დღემდე გამოვიდა „Архивное Дело“-ს სულ სამი ნომერი (წიგ. 17, 18 და 19). ყველა ეს ნომრები გამოცემულია იმავე პროგრამით და მიმართულებით, როგორც წინა წლების ნომრები. მოთავსებულ წერილების მნიშვნელობისა და ღირსების მხრივაც ჟურნალის კვალიფიკაცია იმავე სიმაღლეზე დარჩა, თუ არ ვიტყვით, რომ მას უფრო მეტი გაუმჯობესება და წინსვლა ეტყობა.

მე 17-ე წიგნი იწყება მოწინავე წერილით: „მორიგ თემებზე“ („На очередные темы“), რომელიც მიძღვნილია 1928 წლის 28 დეკემბერსა და 1929 წლის 4 იანვარს შუა მოსკოვში მოწვეულ მარქსისტ-ისტორიკოსთა პირველ კონფერენციაზე გამოტანილ დადგენილებათა გაუქმებისადმი საარქივო მშენებლობასთან დაკავშირებით. წერილში ხაზ-გასმულია ის დიდი პოლიტიკური და მეცნიერული მნიშვნელობა რომელიც ამ კონფერენციას ჰქონდა. „კონფერენციამ ჩამოაყალიბა, და გაამაგრა, ნათქვანია წერილში, საერთო იდეოლოგიურ ფრონტის „ისტორიულ“ ნაწილში ერთიანი მარქსისტული ფრონტი. მან ხაზი გაუსვა მარქსისტ-ისტორიკოსთა მუშაობის მებრძოლ პოლიტიკურ ხასიათს. კონფერენციამ გამოამჟღავნა მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი სერიოზულ სამეცნიერო შრომებისა, რომელთაც აწარმოებენ კავშირის მარქსისტ-ისტორიკოსები. კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა მარქსისტ-ისტორიკოსთა საკავშირო ორგანიზაციის შექმნას და დასახა გზები საზღვარგარეთელ მარქსისტ-ისტორიკოსებთან კავშირის გაბმის"-ო.

შემდეგ, წერილში აღნიშნულია კონფერენციის დადგენილება მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების საკავშირო ორგანიზაციად გადაქცევის აუცილებლობის შესახებ, ანტი-მარქსისტულ მიმდინარეობებთან ბრძოლის გაცხოველების აუცილებლობის შესახებ, „ნეიტრალურ" პოზიციების მიუღებლობის შესახებ და სხვა. „კონფერენციის ეს დადგენილებები, ნათქვამია წერილში, სავსებით ცხადად არკვევს კავშირის მარქსისტ-ისტორიკოსთა მუშაობის ძირითად მიმართულებას. ამ დადგენილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ იმ ისტორიკოს-მარქსისტებისათვის, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და მაღალ სასწავლებლებში. აქ განსაკუთრებით აუცილებელია ბრძოლის გამახვილება ჩვენს ახალგაზრდებზე ანტი-მარქსისტულ და ცრუმარქსისტულ გავლენების წინააღმდეგ. ამ გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუშვებელია რაიმე დათმობა, ნეიტრალიტეტი და ოპორტუნიზმი. აქ ყველაზე უფრო მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან, მარქსისტი-ისტორიკოსი უნდა იყო მ ებ რ ძ ო ლ ი მარქსისტი-ისტორიკოსი"-ო.

წერილში მოყვანილია მთავარი აზრი იმ მოხსენებებისა, რომელიც გაკეთებული იყო მარქსისტ-ისტორიკოსთა კონფერენციაზე რუსეთისა და უკრაინის ცენტრ-არქივების წარმომადგენლების მიერ. რუსეთის ცენტრარქივის მოხსენება წარმოადგენდა რუსეთში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საარქივო საქმის განვითარების მოკლე მიმოხილვას და მოსკოვისა და ლენინგრადის არქივების თანამედროვე მდგომარეობის დახასიათებას.

დასასრულ, წერილში ლაპარაკია იმ სპეციალურ დადგენილების შესახებ, რომელიც ცალკე რეზოლუციის სახით გამოიტანა კონფერენციამ არქივებიდან მაკულატურის გამოყოფის დროს განსაკუთრებულ სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობის შესახებ. „კავშირში საარქივო მშენებლობის შესახებ მოხსენების დაყენებამ და განსაკუთრებით კი მიმდინარე საარქივო პრაქტიკის მწვავე საკითხების (მაკულატურის გამოყოფის შესახები საკითხების) განხილვამ კონფერენციის მიერ, ნათქვამია წერილში, საბჭოთა არქივისტებს უჩვენა, რომ მათ მარქსისტ-ისტორიკოსების სახით ჰყავთ საბჭოთა მეცნიერებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საზოგადოებრივობის ისეთი წარმომადგენლები, რომელნიც უშუალოდ დაინტერესებული არიან კავშირში საარქივო საქმის განვითარებისა და ორგანიზაციისათვის ნორმალურ პირობების შექმნით“-ო.

ამ მოწინავე წერილის შემდეგ ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებულია ცნობილ გერმანელ არქივისტის პავლე ვენტცკეს (Paul Wentzke) ვრცელი წერილი: „საარქივო საქმე გერმანიაში“ (გვ. 10). გერმანიაში საარქივო საქმის განვითარების ისტორიის ზოგიერთ მთავარ ეტაპების მოკლედ გაშუქების შემდეგ წერილის ავტორი ეხება გერმანიის სახ. არქივის ორგანიზაციასა და შემადგენლობის დახასიათებას. ავტორი ცალ-ცალკე ასახელებს სახელმწიფო არქივის განყოფილებს (I. პოლიტიკური, II. სამხედრო, III. ეკონომიური და ტეხნიკური, IV. იუსტიციის, V. მთავრობის ორგანოების და ახალ გერმანიის სახელმწიფოს დაარსებამდე ხალხთა წარმომადგენლების, VI. სხვადასხვა გარეშე ფონდების, VII. აქტების შემოწმების, VIII. ორგანიზაციის განყოფილებები და XI. ბიბლიოთეკა, X. რუკები, XI. სურათები და ფილმები) და თვითეულ მათგანში შემავალ საარქივო ფონდებს და მასალებს. ავტორი ზოგიერთი ციფრების მოყვანით აღნიშნავს იმ დიდ მუშაობასაც, რომელიც სწარმოებს ამ არქივში ფონდების კონცენტრაციის, საარქივო საბუთების გამოყენებისა და ცნობების გაცების დარგში.

შემდეგ პ. ვენტცკე ახასიათებს საარქივო საქმის მდგომარეობას გერმანიის ქვეყნებში ცალცალკე, პარალელურად საკითხის ისტორიული მხარის გაშუქებით. საკმაო დაწვრილებით ეხება ის პრუსიის სახელმწიფო არქივების და კერძოდ ბერლინის საიდუმლო სახელმწიფო არქივის წარსულ ისტორიასა და მდგომარეობას; მოკლედ აშუქებს საქსონიის სახელმწიფო არქივების, კერძოდ დრეზდენის ცენტრალური არქივის მდგომარეობას; სამხრეთ-გერმანიისა და შუაგერმანიის ქვეყნების არქივების ისტორიასა და აწინდელ მდგომარეობას და სხვა.

ვენტცკეს წერილში ადგილი დათმობილი აქვს აგრეთვე გერმანიის არა-სახელმწიფო (საგვარეულო, საოჯახო და სხვა) არქივების მიმოხილვასაც. გზა-დაგზა ავტორს მოყვანილი აქვს საკმაო სისრულით ბიბლიოგრაფიული ცნობები გერმანიის არქივებისა და საარქივო ლიტერატურის შესახებ. დასასრულ, ავტორი მიუთითებს საარქივო კანონმდებლობის მოგვარების საუცილებლობაზე, როგორც მორიგ და გადაუდებელ ამოცანაზე. საარქივო კანონმდებლობა, მისი აზრით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შეეხოს კერძო არქივებსაც. უკანასკნელ საკითხში ის ემხრობა სხვა გერმანელ არქივისტების ერნსტ მიულერისა და ჰანს ტიმმეს აზრს, რომლებიც ამბობენ: „ყველა საარქივო ფონდები, რომლებიც კერძო პირთა მფლობელობაში იმყოფებიან, საზოგადოებრივი ინტერესების გულისათვის უნდა სარგებლობდენ სახელმწიფოს მფარველობით, რამდენად ეს მფარველობა ასე თუ ისე შეეთავსება კერძო საკუთრებას“-ო.

განსაკუთრებით საყურადღებო არის არქივისტ ი. გოლუბცოვის წერილი (გვ. 29): საარქივო აღწერათა ფორმებისა და ტიპებისათვის“ („О типах и формах архивных описей“), რომელიც წარმოადგენს უკრაინის ცენტრარქივის მიერ 1928 წელს გამოცემულ „სანიმუშო აღწერების“ („Примірні описи“) კრიტიკულ განხილვას. ი. გოლუბცოვი სწორად აღნიშნავს ზოგიერთ ნაკლს „სანიმუშო აღწერებისას“: მისი აზრით „სანიმუშო აღწერებში“ ზოგიერთი პრაქტიკული მომენტები უგულებელყოფილია, პირველ ნომერ ფორმის საბოლოო აღწერად მიჩნევა, თუნდაც უმნიშვნელო ფონდისათვის, არამიზანშეწონილია, მეორე ფორმის აღწერის შედგენა საქმეების სათაურების მიხედვით, შინაარსთან შეუჯერებლად, დაუშვებელია და სხვა.

პარალელურად ი. გოლუბცოვი აღნიშნავს ამ „სანიმუშო აღწერების“ დადებითი მხარეებსაც: „სანიმუშო აღწერებში“ წარმოდგენილ სისტემის ღირსებად მიაჩნია, მაგალითად, მას ის გარემოება, რომ ეს სისტემა ჰგულისხმობს ფონდის მთლიანობასა და დაუშვებლობას; ასეთივე ღირსებად მიაჩნია ი. გოლუბცოვს ის, რომ ამ სისტემაში წარმოდგენილ აღწერებს შორის მჭიდრო შინაგანი კავშირი არსებობს და სხვა.

გზადაგზა ი. გოლუბცოვს ფაქტიური შესწორებები შეაქვს „სანიმუშო აღწერებისათვის“ ნამძღვარებულ პროფ. ვ. ვერეტენიკოვის შესავალ წერილის იმ ნაწილში, რომელიც ძველი რუსეთისა და დასავლეთ ევროპის პრაქტიკას შეეხება. საერთოდ ი. გოლუბცოვის წერილში მრავალი საფუძვლიანი და სერიოზული მოსაზრებებია გამოთქმული საარქივო აღწერათა სისტემის შესახებ.

ი. გოლუბცოვის დასახელებულ წერილს მისდევს ლ. კოშუბსკის საკმაოდ ვრცელი წერილი (გვ. 37): „Учет и планирование приема архивных материалов действующих учреждений“. წერილი შეიცავს შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებულ ცალკე მომენტების გაშუქებას: 1) მომქმედ დაწესებულებათა არქივების რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისტრაცია, 2) საარქივო მასალების აღრიცხვა მომქმედ დაწესებულებათა საერთო არქივებში და 3) საარქივო მასალების მიღების მოწესრიგება.

ინტერესს მოკლებული არ არის არქივსტ ბ. ანფილოვის წერილი (გვ. 47) „საოლქო სასამართლოების ფონდების გარჩევის საკითხისათვის“ („К вопросу о разборке фондов окружных судов“), რომელიც ამავე საკითხისადმი მიძღვნილ „საარქივო საქმის“ მე-14-ტე წიგნში მოთავსებულ ს. ბოგოიავლენსკის წერილისაგან განსხვავებულ მეთოდოლოგიურ თვალსაზრისის ცდას წარმოადგენს.

საყურადღებო ცნობებს შეიცავს არქივთმეცნიერების კაბინეტის ქიმიურ-ტეხნიკურ ლაბორატორიის გამგის ი. ზავიალოვის წერილი (გვ. 50) „ქაღალდის გაყვითლება“, რომელიც წარმოადგენს დასახელებულ ლაბორატორიაში ქაღალდზე სხვადასხვა ფაქტების ზეგავლენით გამოწვეულ ცვლილებების გამორკვევის მიზნით წარმოებულ ცდებისა და მათი შედეგების აღნუსხვას.

ი. ანდრეევის მცირე შენიშვნის („საარქივო ბიუროებთან საცნობო განყოფილებების ორგანიზაცია“-ს) შემდეგ ჟურნალში მიდის ოფიციალური განყოფილება: „საარქივო საქმე ს. ს. რ. კავშირში“ (გვ. 57). ამ განყოფილებაში მოთავსებულია: 1) საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება 1928 წ. დეკემბრის 2 თარიღით დაწესებულებათა და წარმოებათა არქივებიდან მაკულატურის გამოყოფის წესების შესაგებ, 2) რუსეთის ცენტრარქივის ცირკულიარი 1928 წლის დეკემბრის 12-ს თარიღით ადგილობრივი საარქივო ორგანოების მიერ სამაკულატურო კომპანიის ჩატარების შესახებ და 3) რუსეთის ცენტრარქივის ცირკულიარი 1928 წლის დეკემბრის 11-ს თარიღით, დაწესებულებათა მიერ გადასარჩევ მასალების ნუსხის შედგენის შესახებ.

„საარქივო ცხოვრების ქრონიკაში“, რომელსაც ოფიციალურ განყოფილების შემდეგ ოცი გვერდი (67—87) უჭირავს, მოთავსებულია შემდეგი მასალები: 1) საკავშირო ცენტრალური საარქივო სამართველოს დებულების პროექტი, 2) მ. ნ. პოკროვსკის 60 წლის შესრულების გამო ცენტრარქივში გამართულ ზეიმის შესახებ მიმოხილვა, 3) რუსეთის ცენტრარქივის მიერ მოწყობილ გამოფენის ანგარიში, 4) არქივისტ-ისტორიკოსთა 1-ლი კონფერენციის რეზოლიუცია საარქივო მასალების დაცვის შესახებ, 5) პუშკინის ახალი ხელნაწერები და მასალები, 6) კინო-ფილმებისა და ფოტო-ნეგატივების არქივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებო მასალებს შეიცავს ა. კომაროვის მიმოხილვა „დარაიონებასთან დაკავშირებით საარქივო დაწესებულებათა ორგანიზაციის შესახებ“ და ი. ანდრეევის წერილი: „ტულსკის გუბერნიის 1-ლი საარქივო კონფერანცია“, რომლის შემდეგ ჟურნალში მოთავსებულია ა. იოდკოს მიმოხილვა: „არქივები ბელგიაში“. ა. იოდკოს მიმოხილვა წარმოადგენს ჟურნალ „Archeion“-ში (3) ალექსი ბახულსკის მიერ მოთავსებულ წერილის ვრცელ ექსცერპტს და შეიცავს ფრიად საინტერესო ცნობებს ბელგიის არქივების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

ჟურნალი თავდება სარეცენზიო განყოფილებით, სადაც მოთავსებულია შემდეგი რეცენზიები: 1) ვ. დომბროვსკისა—უკრაინის ცენტრარქივის ორგანო “Архівна Справа“-ს (7) შესახებ და 2) დ. ისტნიუკისა—ციმბირის საარქივო ბიუროს ბიულეტენის „Сибархив“-ის (№ 1—3), Бюллетень Средне-Волжкого Областного Архивного Бюро“-ს (№№ 2—3), „Бюллетень Владимирского Губернского Архивного Бюро“-ს (1/13) და „Бюллетень Центрально-Черноземного Областного Архивного Бюро“-ს (№ 2, 3, 4—5, 6) შესახებ.

მე 18-ე ნომერში პირველი ადგილი დათმობილი აქვს საკმაოდ ვრცელ და საფუძვლიან წერილს: „მეორე ყრილობის ამოცანები“. წერილს მხედველობაში აქვს 1929 წლის 25 მაისს მოსკოვში მოწვეული სრულიად რუსეთის არქივის მუშაკთა მეორე ყრილობა. წერილის ავტორი აშუქებს ყრილობის მოწვევის მიზნებს და ამბობს: „სახალხო მეურნეობა, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება სოციალისტურ ინდუსტრალიზაციის საფუძვლებზე, აძლიერებს არქივებისადმი მოთხოვნილებების ზრდას. ჩვენი არქივები უნდა იყოს მოწყობილი იმნაირად, რომ ისინი სავსებით აკმაყოფილებდენ სოციალისტურ აღმშენებლობის მოთხოვნილებებს. აი რატომ არის ამ მომენტში უფრო აუცილებელი, ვიდრე როდისმე, წარსული მუშაობისათვის ჯამის გაკეთება, საარქივო დაწესებულებათა საერთო მიმართულების შესახებ საკითხის დაყენება და ახლო მომავლის კონკრეტ ამოცანათა და ამ ამოცანათა განხორციელების გზის დასახვა“.

შემდეგ, წერილის ავტორს ცალ-ცალკე განხილული აქვს ყრილობაზე დასმული საკითხები. ამ საკითხებიდან ავტორის აზრით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საარქივო მშენებლობის ხუთწლიან გეგმის საკითხს, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის ხუთწლიან გეგმის საკითხთან, საკითხს საარქივო აპარატის რეორგანიზაციის შესახებ და სხვა.

ავტორის აზრით ყრილობას არ უნდა ჰქონდეს ვიწრო-საუწყებო ხასიათი. ის ამბობს: „ისე, როგორც არქივის მუშაკთა პირველი ყრილობა, მეორე ყრილობაც არამც და არამც არ უნდა იყოს ვიწრო საუწყებო ყრილობა. თვით ხასიათი საარქივო დაწესებულებათა იმნაირია, რომ მას არ შეუძლია შექმნას პირობები უწყებრივი კარჩაკეტილობისათვის. არქივები ცხოვრობენ სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ცხოვრებით. საარქივო ორგანოთა მუშაობა მჭიდროთ დაკავშირებულია სხვადასხვა მთავრობის დაწესებულებათა, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციათა და კერძო მკვლევარ-მეცნიერთა მრავალმხრივი მუშაობასთან“-ო.

ბ. ანფილოვის წერილი: „რუსეთის საარქივო კოდექსი“ (გვ. 10), რომელიც ამ მოწინავე წერილს მისდევს, წარმოადგენს რუსეთის ცენტრარქივის შესახები ახალი დებულების განხილვას იურიდიულ-უფლებრივი თვალსაზრისით. ავტორი სწორად აღნიშნავს იმ დიდ უფლებებს, რომელიც ახალი დებულების თანახმად მინიჭებული აქვს ცენტრარქივს. ამ დებულების თანახმად ცენტრარქივი წარმოადგენს, სწერს ის, ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოს, რომელიც განაგებს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დამოუკიდებელ დარგს და რომელსაც მინიჭებული აქვს ყველა ის უფლებები, რომელნიც კონსტიტუციითა და რუსეთის სახალხო კომისარიატების შესახები საერთო დებულებით, მინიჭებული აქვთ ამ კომისარიატებს“-ო.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი დებულება საკმაოდ სრულია, საარქივო მშენებლობის ყველა საკითხები, ბ. ანფილოვს მოწესრიგებულად და კანონმდებლობითი აქტით უზრუნველყოფილად მაინც არ მიაჩნია. მისი აზრით, მთელი რიგი საკითხებისა მოითხოვს დამატებითი კანონებისა და წესების გამოცემას. მეორეს მხრივ, მისი აზრით, ახალ დებულების გამოცემასთან დაკავშირებით, აუცილებელია ზოგიერთ უკვე მომქმედ საარქივო წესებისა და ინსტრუქციების გადასინჯვა და შეცვლა.

ბ. ანფილოვის წერილს ჟურნალში მისდევს ა. პოპოვის ვრცელი წერილი: „მსოფლიო ომის დიპლომატიურ საბუთების გამოცემის გეგმისა და მეთოდის შესახებ“ (გვ. 34). საკითხი, როგორც ცნობილია, მეტად თანამედროვე და აქტუალურია. საერთოდ საბუთების გამოცემის საკითხი მეტად რთული საკითხია იმ ძირითად პრინციპების დადგენის თვალსაზრისით, რომელსაც უნდა ექვემდება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდეს ყოველი აკადემიური და მეცნიერული გამოცემა. ამ საკითხის დამუშავებაში რუსეთის ცენტრარქივს და რუს არქივისტებს დიდი ამაგი მიუძღვით: საბჭოთა რუსეთის სპეციალურ საარქივო ლიტერატურაში რუს არქივისტების მიერ არა ერთხელ ყოფილა დასმული საკითხი საარქივო საბუთების გამოცემის მეთოდთა შესახებ. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1925 წელს არქივისტმა ს. ვ ა ლ კ მ ა „Архивное Дело"-ს მე-III-IV წიგნში სპეციალური წერილი მიუძღვნა საისტორიო-სარევოლიუციო საბუთების გამოცემის საკითხს; ერთი წლის შემდეგ ისტორიული ტექსტების გამოცემის საკითხს იმავე „Архивное Дело"-ს მე-7 წიგნში შეეხო არქივისტი ა. ა ნ დ რ ე ე ვ ი; კერძოდ დიპლომატიური საბუთების გამოცემის საკითხი გაშუქდა 1928 წელს „Архивное Дело"-ს მე-XV წიგნში და სხვა. მეორეს მხრივ ცენტრარქივის მრავალ გამოცემებში მნიშვნელოვანი ცდებია წამოყენებული ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრის მიზნით. რუსეთის ცენტრარქივის გამოცემები: „Красный Архив", „Царская Россия в мировой вайне" და სხვა, სადაც საარქივო მასალებია გამოქვეყნებული, წარმოადგენენ სწორედ ასეთი ცდის მაგალითებს.

ა. პ ო პ ო ვ ი ს ზემოდ დასახელებული წერილი ამ მხრივ წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს წამოყენებულ საკითხის დამუშავების საქმეში. მას მიზნად აქვს დასახული საარქივო მასალების ერთი კატეგორიის მასალების—მსოფლიო ომის დიპლომატიურ საბუთების—გამოცემის წესებისა და მეთოდის გამორკვევა. ამ მიზნით ავტორი წინასწარ იხილავს მთელ რიგ სხვადასხვა გამოცემებს, რომლებიც ასეთ საბუთების გამოქვეყნებას ისახავენ მიზნად, და კრიტიკულად არკვევს იმ პრინციპებს, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გამოცემებს. შემდეგ ავტორი ეხება ძირითად სისტემებს, რომლებიც გამოცემის არსებული პრაქტიკის მიხედვათ შეიძლება დადასტურებულ იქნეს. ასეთ სისტემებად მიაჩნია მას: 1) საბუთების პუბლიკაცია ჯგუფებად თემატიური კომპლექსების მიხედვით, 2) საბუთების პუბლიკაცია ჯგუფებად კორესპონდენტურ პრინციპის მიხედვით და 3) საბუთების პუბლიკაცია ჯგუფებად დღიური კოლექციების მიხედვით. ავტორის აზრით, უკანასკნელ სისტემას უფრო მეტი დადებითი მხარეები აქვს და ამიტომ უფრო მისაღებიც არის.

შემდეგ, პ ო პ ო ვ ი არკვევს იმ მთავარ მოთხოვნილებებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს დიპლომატიური საბუთების საბჭოთა სამეცნიერო გამოცემა. მისი აზრით, ასეთ გამოცემას მოეთხოვება: 1) რათა ის იყოს შეძლებისდაგვარად სრული, 2) გამოცემის გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეულ ნაწილებში საბუთების ლოკალიზაცია იყოს სწორი და კანონშეზომილი, 3) პუბლიკაციის სხვადასხვა ნაწილში ადგილი არ ჰქონდეს ერთდაიგივე საბუთების გამეორებას, 4) თვითეული საბუთი ქვეყნდებოდეს სრულად და არა დაქუცმაცებულად, 5) თვითეულ საბუთების ტექსტის აღდგენა იყოს კრიტიკული და მას თან სდევდეს დიპლომატიკური აღწერილობა.

ავტორი ასე ათავებს თავის წერილს: „...Чуждая всякой апологетики, заметания следов и тенденциозности, стремящаяся, не утаивая ничего, вскрыть все сокровеннейшие тайники, все закоулки и изгибы политики царской дипломатии, советская публикация должна явиться первою в ряду тех революционных публикаций, каторым предстоит появиться и на Западе и которые, вместе взятые, дадут полную и исчерпивающую картину раввития и гибели мирового империализма".

მეტად საყურადღებოა ნ. კ ა ზ ა ნ ც ე ვ ი ს წერილი: „სასტელაჟო დგამებისათვის არქივთსაცავებში" (გვ. 49). არქივთსაცავის მოწყობისა და კერძოდ სტელაჟების საკითხს თავის დროზე შეეხენ სხვა საბჭოთა არქივისტებიც. ასე, მაგალითად, არქივისტი ა. ბ ო ლ ა ნ ჩ უ კ ი თავის წერილში: „არქივთსაცავისათვის შენობის არჩევა" („Архивное Дело", წიგ. V-VI) სხვათა შორის შეეხო სტელაჟების საკითხსაც მოსკოვის არქივთსაცავებში, ინჟენერმა ი. მ ა ლ ი შ ე ვ ს კ ი მ თავის წერილში: „поясювальна записка до проэктів нормальних стеллажів („Архівна Справа", წიგ. 7) აღწერა უკრაინაში ხმარებულ სტელაჟების ტიპები, ხოლო პროფ. ვ. ვ ე რ ე ტ ე ნ ი კ ო ვ მ ა იმავე „Архівна Справа"-ს მე-7 ნომერში სპეციალური წერილი მიუძღვნა ამ საკითხს და სხვა. მაგრამ ეს საკითხი სავსებით დღესაც ამოწურული და გადაჭრილი არ არის. ამის გამო ნ. კ ა ზ ა ნ ც ე ვ ი ს დასახელებულ წერილს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ავტორი არჩევს უმთავრესად ხის სტელაჟების ტიპებსა და მათ კონსტრუქციას: 1) ორმხრივი ერთსართულიანი (ერთიარუსიანი) ხის სტელაჟი საარქივო მასალებისათვის, 2) ასეთივე სტელაჟი საგაზეთო მასალებისათვის და 3) დახურული ხის სტელაჟი ბარათებისა და კარტოთეკისათვის—აი სტელაჟების სახეები, რომელთაც აღწერს ნ. კ ა ზ ა ნ ც ე ვ ი თავის წერილში.

წერილის ბოლოში ავტორი არჩევს „Архівна Справа"-ს მე-7 წიგნში უკრაინელ არქივისტების მიერ განხილულ სტელაჟების ტიპს და აღნიშნავს ამ ტიპის სტელაჟების დადებითი მხარეებს. ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი გვპირდება, რომ ის კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხს „Архивное Дело“-ს უახლოეს ნომერში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის შეასრულებს თავის დაპირებას.

ოფიციალურ განყოფილებაში—„საარქივო საქმე ს. ს. რ. კ.-ში“—მოთავსებულია რუსეთის ცენტრარქივის შესახები ახალი დებულება, რომლის განხილვისადმი მიძღვნილი იყო ზემოდ დასახელებული ბ. ანფილოვის წერილი, და რამდენიმე დადგენილებები, ცირკულიარები და ინსტრუქციები, გამოცემული რუსეთის ცენტრარქივისა და სხვა ორგანოების მიერ. „საარქივო ცხოვრების ქრონიკაში“ (გვ. 93) მოთავსებულია შემდეგი შენიშვნები და მასალები: 1) მეორე საარქივო ყრილობის პროგრამა, 2) მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოებაში რუსეთის ცენტრარქივის მიერ წაკითხულ მოხსენების მთავარი მომენტები, 3) პარტიის რწმუნებულთა მოსკოვის თათბირი არქივების დაცვის შესახებ, 4) ცენტრარქივის მონაწილეობა მ/გ. ინსპექციასთან არსებულ მმართველობის ტეხნიკის სახელმწიფო ინსტიტუტის კომისიაში ქაღალდის ბარისხის სტანდარტიზაციის საკითხის გამო, 5) რადიო და საარქივო საქმის პოპულიარიზაცია, 6) საარქივო საისტორიო წრე ცენტრარქივთან, 7) ცენტრარქივის მუშაკები მოსკოვის 1-ლ სახელმწიფო უნივერსიტეტის საისტორიო-საეთნოლოგიო განყოფილებაზე და სხვა.

„საარქივო ცხოვრების ქრონიკას“ ჟურნალში მისდევს ა. ოდკოს მოკლე მიმოხილვა ბელორუსიაში საარქივო საქმის მდგომარეობის შესახებ (გვ. 107), ხოლო ამ უკანასკნელს—ი. ჟ.-ს ვრცელი წერილი: „ურალის საისტორიო არქივები“ (გვ. 114) და ა. მიხაილოვის წერილი: „Архивное дело в Средне-Волжской Области“.

უკანასკნელ განყოფილებაში მოთავსებულია მეტად საინტერესო წერილი ს. ვალკისა: „Обзор документалных публикаций“ (გვ. 121), რომელიც წარმოადგენს საფუძვლიან მიმოხილვას 1927 წლის ოქტომბრიდან 1928 წლის ივნისამდე გამოსულ საბუთების გამოცემებისას. წიგნი თავდება სარეცენზიო წერილებით. მოთავსებულია ვ. დომბროვსკის სარეცენზიო წერილი „Архівна Справа“-ს (წიგ. 8) შესახებ და დ. ისტნიუკის წერილები: „Бюллетень Централного Архива Казакской АССР“ (№ 1,2), „Бюллетень Центрального Архивного Управления Киргизской АССР“ (№ 2), და „Бюллетень Владимирского Губернского АрхивногоБюро“ (№ 5-17) ს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, **მესამე წიგნი** (№ 19) შეიცავს შემდეგ წერილებს. წიგნის თავში მოთავსებულია ვ. მაქსაკოვის ვრცელი წერილი „საარქივო მშენებლობის 10 წელი", რომელიც წარმოადგენს მის მიერ არქივის მუშაკთა მეორე ყრილობაზე წაკითხულ მოხსენების გადამუშავებულ პირველ ნაწილს. ვ. მაქსაკოვის წერილში ვრცლად და საფუძვლიანად გაშუქებულია ყველა მნიშვნელოვანი მომენტები საარქივო მშენებლობისა რუსეთში ათი წლის სიგრძეზე. ვ. მაქსაკოვის წერილს მისდევს სრულიად რუსეთის არქივის მუშაკთა მეორე ყრილობის ანგარიში (გვ. 49). ანგარიში შეიცავს ყრილობის მხოლოდ სამი დღის (მაისის 25-ს, 26-ს და 27-ს) მუშაობას, დანარჩენ დღეების მუშაობის ანგარიში, როგორც სჩანს, მოთავსებული იქნება ჟურნალის მომდევნო (20) ნომერში. ყრილობის ანგარიშს დართული აქვს რეზოლიუციებიც.

ოფიციალურ განყოფილებაში—„საარქივო საქმე ს. ს. რ. კ.-ში" მოთავსებულია შემდეგი დადგენილებები და ცირკულიარები: 1) საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება საკავშირო ცენტრარქივის დაარსების შესახებ, 2) საკავშირო ცაკის დადგენილება რუსეთის საგარეო პოლიტიკის 1904—1917 წ. წ. ისტორიის მასალების გამოსაცემად ხელმძღვანელ კომისიის დაარსების შესახებ, 3) რუსეთის ცაკის დადგენილება სამოქალაქო კოდექსის შევსების შესახებ, 4) რუსეთის ცენტრარქივის ცირკულიარი „რუსეთის ცენტრარქივის დებულების" ცხოვრებაში გატარების შესახებ და 5) რუსეთის ცენტრარქივის ცირკულიარი სამაკულატურო კომპანიის დროს მნიშვნელოვან საბუთების მოსპობის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესახებ.

ოფიციალურ განყოფილების შემდეგ მოთავსებულია ი. ტრეტიაკოვის წერილი: „არქივის მუშაკთა 1-ლი საწარმოო კონფერენცია 1929 წლის 15-17 ივნისს ლენინგრადში" და ამ კონფერენციის რეზოლიუცია.

ჟურნალის უკანასკნელ (კრიტიკა-ბიბლიოგრაფიის) განყოფილებაში ადგილი დათმობილი აქვს შემდეგ გამოცემათა სარეცენზიო წერილებს: 1) На боевом посту марксизма", მ. ნ. პოკროვსკის დაბადებიდან 60 წლის შესრულების აღსანიშნავად მოწყობილ საზეიმო სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში (გამოცემა კომაკადემიის, 1929 წ.), 2) „Центральний Архів Стародавніх Актів у Київі", უკრაინის ცენტრარქივის მიერ გამოცემული კრებული (1929 წ. კიევი), 3) „Minerva—Zeitschrift"—პერიოდული გამოცემა (1928 წ.), 4) „Arkivstudier i Bussland, Mai-Iuni"—საარქივო გამოკვლევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში (1928 წ. მაის-ივნისი). პირველ ორ გამოცემის რეცენზია ეკუთვნის არქივისტ ი. გ ო ლ უ ბ ც ო ვ ს, შემდეგი გამოცემისა—ს. ვ ა ლ კ ს, ხოლო უკანასკნელისა ვ. დ.—ს.

ბიბლიოგრაფი.

Н. Бельчиков. **Теория археографии**. Издание „Academia". 1929 г. стр. 73. Москва—Ленинград. Цена 85 к. ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი. **არქეოფრაფიის თეორია.** „Academia"-ს გამოცემა. 1929 წ. მოსკოვი—ლენინგრადი. გვ. 73. ფასი 85 კ.

რუსულ არქეოგრაფიას, თუ ვიგულისხმებთ მის პრაქტიკულ მხარეს, მეტად მდიდარი წარსული აქვს: ძველი რუსეთის პრაქტიკა იცნობს უამრავ შრომებს, რომელნიც არქეოგრაფიის მნიშვნელოვან პრობლემების პრაქტიკულად გადაჭრის ცდებს წარმოადგენენ. მაგრამ რუსულ არქეოგრაფიას, თუ ვიგულისხმებთ მის თეორიულ მხარეს, ერთობ ღარიბი წარსული აქვს: ძველს რუსეთში არქეოგრაფიულ პრობლემების თეორიულ შესწავლასა და დამუშავებას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. არქეოგრაფიის თეორიის მთლიან სისტემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: ასეთი რამ ძველს რუსეთში არავის უცდია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ შრომებს, რომელთაც მიზნად არქივთმეცნიერებისა და არქივთმცოდნეობის ზოგადი პრობლემების დამუშავება ჰქონდათ.

1918 წლიდან, როდესაც საარქივო აღმშენებლობის დარგში მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა და საარქივო საქმეს საფუძვლად ახალი პრინციპი დაედვა, აუცილებელი შეიქნა არქივთმეცნიერების და კერძოდ არქეოგრაფიის დარგშიც მუშაობის გაცხოველება. საბჭოთა რუსეთში, ხოლო პარალელურად სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც ამიერიდან დაიწყო ინტენსიური ტემპით ყველა იმ საკითხების დამუშავება, რომელნიც არქეოგრაფიის საგანს შეადგენენ. მაგრამ, რაც მთავარია, საარქივო რეფორმის შემდეგ ამ საკითხების შესწავლა დაიწყო სრულიად ახალი მეთოდითა და თვალსაზრისით იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ახალმა მდგომარეობამ და პირობებმა ნათელი გახადა ძველი თვალსაზრისის უვარგისობა. ახალი თვალსაზრისი უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ საარქივო საქმის პრაქტიკა და თეორია ამიერიდან ერთი მეორეს მჭიდროდ დაუკავშირდა და, როგორც ერთი საგნის ორი მხარე, შესწავლის მთლიან ობიექტად გადაიქცა. თვით ეს შესწავლაც ისეთი გეზით წარიმართა, რომელიც საერთოდ მეცნიერებაში მიღებულ ახალ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა და საკითხის არსებით გაცნობას ჰგულისხმობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეს მხრივ საარქივო რეფორმის შემდეგ შეიცვალა თვით ცნება „საარქივო საქმე“, რომელიც წინად არქივების საუწყებო სისტემას ჰგულისხმობდა. ახალმა საარქივო კანონმდებლობამ ამ უკანასკნელის ნაცვლად არქივების სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის სისტემა წამოაყენა. ამ გარემოებამ „საარქივო საქმის“ პრობლემათა წრეში შემავალ დარგებს თავისი ადგილი შეუცვალა, ხოლო ამასთან დაკავშირებით ამ დარგების აღმნიშვნელი ცნებებიც ძალაუნებურად სხვა შინაარსითა და სხვა სახით მოგვევლინა. ყველაფერმა ამან კი თავის მხრივ იმ დისციპლინებსაც შეუცვალა შინაარსი, რომელიც ამ საარქივო საქმის სხვადასხვა დარგების თეორიასა თუ პრაქტიკას შეისწავლიდა: არქივთმეცნიერება თანამედროვე გაგებით სრულებით არ არის ის, რაც იყო არქივთმეცნიერება რევოლიუციამდე, არა მარტო ჩამოყალიბებისა და სისრულის მხრივ, არამედ თავისი ძირითადი საფუძვლებისა და ობიექტისადმი მიდგომის მხრივაც. კერძოდ, არც რევოლიუციის წინადროინდელ არქეოგრაფიასა და რევოლიუციის შემდეგდროინდელ არქეოგრაფიას შორის შეიძლება, რა თქმა უნდა, თანასწორობის ხაზის გასმა ამ თვალსაზრისით.

მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არა ჰნიშნავს, რომ თანამედროვე არქეოგრაფია ან საერთოდ არქივთმეცნიერება წარმოადგენს თითქოს ისეთ რამეს, რასაც არქივთმეცნიერებისა და არქეოგრაფიის წარსულ გამოცდილებასთან არაფერი აქვს საერთო. პირიქით, საარქივო დისციპლინების პრობლემების ახალი დამუშავება, როგორც ეს საერთოდ ყოველ დარგში ხდება ხოლმე, უეჭველად ჰგულისხმობს წარსული მიღწევების გამოყენებას და ამ მიღწევებთან უშუალო კავშირს. ეს თავისდათავად იგულისხმება, ვინაიდან სხვაფრივ, ე. ი. წარსულის გამოცდილებისა და მიღწევების გარეშე, წინსვლაც შეუძლებელი იქნებოდა.

თანამედროვე არქივთმეცნიერებასაც, რა თქმა უნდა, შეძლებისა დაგვარად ფართედ უნდა ვამოეყენებია წარსული გამოცდილება. მას ძველი გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე საარქივო საქმის ახალი სისტემა უნდა შეექმნა. და მართლაც სპეციალურ საარქივო შრომებსა და ლიტერატურაში, სადაც არქივთმეცნიერების პრობლემებია გაშუქებული, ჩვენ ვხედავთ ამ ძველი გამოცდილების ფართედ გამოყენებას. მაგრამ წარსული გამოცდილების გამოყენება უმთავრესად მაშინ იყო შესაძლებელი, როდესაც საქმე შეეხებოდა დასმულ პრობლემის პრაქტიკულ მხარეს, ვინაიდან არქივთმეცნიერების პრაქტიკული საკითხები, როგორც აღნიშნული გვქონდა, წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულში საკმაოდ დამუშავებული იყო, ხოლო რაც შეეხება ამ პრობლემების თეორიულ შესწავლას, ამ მხრივ თანამედროვე არქივთმეცნიერებას წარსულისაგან სასესხი მაინც და მაინც დიდი არაფერი ჰქონდა: როგორც ზევით აღვნიშნავდით, საარქივო საქმის პრობლემები რევოლიუციის წინა ხანებში თეორეტიულად შესწავლილი და და ჩამოყალიბებული არ ყოფილა. ამ გარემოებამ თანამედროვე პირობებში აუცილებელი გახადა არქივთმეცნიერების საკითხების წინასწარ ცალ-ცალკე შესწავლა და დამუშავება, ვიდრე შესაძლებელი იქნებოდა ახალი თვალსაზრისით და მიდგომით მისი მთლიან სისტემად ჩამოყალიბება.

საბჭოთა კავშირში და კერძოდ რუსეთში არქივთმეცნიერების პრობლემების მონოგრაფიული შესწავლა და დამუშავება ახალი მეთოდით დაიწყო თითქმის საარქივო რეფორმის პირველ დღიდანვე და ეს მუშაობა დღესაც გრძელდება. ნაწილი ძირითად საკითხებისა უკვე ზედმიწევნით დამუშავებულად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო ნაწილის გადასაჭრელად მასალა თავმოყრილია. ასე რომ ამ ჟამად თითქოს ნიადაგი სავსებით მომზადებულია იმისათვის, რომ არქივთმეცნიერების თეორიისა, ან ყოველ შემთხვევაში მისი საფუძვლების,სავსებით ჩამოყალიბება თანამედროვე თვალსაზრისით შესაძლებელი იყოს.

ამგვარ შესაძლებლობას ჰმოწმობს სხვათაშორის რუს არქივისტის ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი ს ზემოდ დასახელებული შრომა, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე თვალსაზრისით განხილულ არქეოგრაფიის თეორიის, ან უკეთ, მის შესავლის ცდას. თუმცა ეს შრომა, როგორც სათაურიდანაც სჩანს, ავტორის მიერ არქეოგრაფიის თეორიის შესავლად არ არის განკუთვნილი, მაგრამ მის შესავალად მიჩნევა უფრო მართებული იქნებოდა იმიტომ, რომ იგი არსებითად არქეოგრაფიის თეორიის მხოლოდ ზოგად კონტურების გაშუქებას წარმოადგენს. ამას თვით ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი ც ვერ უარყოფს, როდესაც ის თავის წიგნის უკანასკნელ გვერდზე ამბობს: „ეს მოკლე მიმოხილვა... არის ცდა იმის ჩვენებისა, თუ როგორ შეიძლება საარქივო სინამდვილის გასაგებად ისტორიული მატერიალიზმის მეთოდის გამოყენებით არქეოგრაფიის თეორიის აშენება“-ო. თვით ძირითადი საკითხები არქეოგრაფიის თეორიისა ამ შრომაში ავტორს მხოლოდ დასმული აქვს. მათი განხილვა, მისივე განცხადების თანახმად, ბელჩიკოვს განზრახული აქვს „საარქივო თეორიის შესახები მეორე დიდ შრომაში“. ეს „მეორე შრომა“, ცხადია, უფრო მეტ შესაძლებლობას მოგვცემდა სათანადო სისრულით და სიზუსტით გამოგვერკვია ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორის თვალსაზრისი, მაგრამ ეს შრომა ჯერ გამოსული არ არის და ამიტომ ძალაუნებურად მხოლოდ წარმოდგენილი შრომის მიხედვით მოგვიხდება მსჯელობა.

შევეცდებით მოკლედ გავაცნოთ მკითხველი ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი ს დასახელებულ წიგნის შინაარსს, გზადაგზა ჩვენის აზრით, საჭირო კორეკტივების შეტანით.

წარმოდგენილი შრომა იყოფა სამ ნაწილად (თავად). პირველი ნაწილი შეიცავს შემდეგ საკითხების მიმოხილვას: 1) არქეოგრაფიის თანამედროვე მდგომარეობა, 2) ტრადიციული შეხედულება არქეოგრაფიაზე, 3) ცნება „თანამედროვე არქეოგრაფია"-ს განმარტება, 4) დ. ი. სამოკვასოვის შეხედულების კრიტიკა და 5) თანამედროვე არქეოგრაფიის თეორია და პრაქტიკა.

ავტორის აზრით არქეოგრაფია სავსებით ჩამოყალიბდა, როგორც კულტურული მუშაობის დამოუკიდებელი დარგი და სამეცნიერო-გამოყენებითი ხასიათის მქონე დისციპლინა, მაგრამ მეცნიერთა ერთი ნაწილი არ მიაკუთვნებს არქეოგრაფიას დამოუკიდებელ არსებობის უფლებას და სთვლის მას ბიბლიოგრაფიის ან კიდევ არქეოლოგიის დამხმარე დისციპლინად (გვ. 5—6). ავტორი არ იზიარებს იმათ აზრს, ვისაც არქეოგრაფია ბიბლიოგრაფიისა ან კიდევ არქეოლოგიის დამხმარე დისციპლინად მიაჩნია: მისი აზრით ასეთი შეხედულება არქეოგრაფიაზე ძველი ტრადიციული შეხედულებაა, რომელიც სავსებით უარყოფილ უნდა იქნას, როგორც ყალბი შეხედულება (გვ. 8—9).

რომ უფრო ნათელი გახადოს ამ ძველი შეხედულების სიყალბე, ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება, ზუსტად განმარტოს არქეოგრაფიის ცნება თანამედროვე გაგებით. პირველად ავტორი იძლევა „საარქივო საქმის" ცნების განმარტებას, როგორც ისეთი ცნების, რომელიც არქეოგრაფიის ცნებასაც შეიცავს. „საარქივო საქმის" ცნებაში, მისი აზრით, შედის: საარქივო პოლიტიკა, საარქივო კანონმდებლობა, საარქივო გამოფენებისა და საარქივო მუზეუმების მოწყობის საკითხი, საარქივო კურსების საკითხი, პირად შემადგენლობის საკითხი და საარქივო ფონდებზე მიმდინარე მუშაობის საკითხი. საბოლოოდ „საარქივო საქმის" ცნება ავტორს განმარტებული აქვს შემდეგ ნაირად: „Под архивным делом современная действительность дает право разуметь всю сложную область организационно-правовых отношений архивного строительства в данный исторический момент, характеризующийся централизацией архивного

ეროვნული ბიბლიოთეკა

строительства и единством научно-археографической программы“. ამ საერთო ცნებაში, როგორც ნაწილი, მისი აზრით, შედის არქეოგრაფიაც, რომელიც ჰგულისხმობს „საარქივო-საწარმოო მუშაობას“, საბუთსა და მის დამუშავებასთან დაკავშირებულს არქივთსაცავის ფარგლებში. ამ ცნებას ის ასე განმარტავს: „археография является научно организованной деятельностью по разборке, систематизации и описанию (всякого рода) архивных материалов“ (გვ. 11).

შემდეგ ავტორს მოჰყავს პროფ. დ. სამოკვასოვის განმარტებები საარქივო ცნებებისა (არქივთმეცნიერება, არქივთმცოდნეობა და სხვა) და აღნიშნავს ამ განმარტებების შეუსაბამობას თანამედროვე გაგებასთან. დ. სამოკვასოვის მიერ განმარტებულ საარქივო ტერმინებიდან ნ. ბელჩიკოვის აზრით არქეოგრაფიის ცნებას უფრო უახლოვდება ტერმინი „არქივთმცოდნეობა“, მაგრამ ამ ტერმინის შინაარსშიც შეტანილ უნდა იქნეს მნიშვნელოვანი კორექტივები, რომ იგი თანამედროვე არქეოგრაფიის ცნების იდენტურ ცნებად გადაიქცეს. ნ. ბელჩიკოვი არ იზიარებს დ. სამოკვასოვის თვალსაზრისს იმის შესახებ, თითქოს არქივთმეცნიერების მოვალეობას შეადგენდეს საარქივო ფონდის შემქნელ დაწესებულების ისტორიისა და მოღვაწეობის შესწავლა. მისი აზრით ეს შეადგენს ისტორიის ამოცანას, ხოლო თანამედროვე არქივთმეცნიერებას შეიძლება აინტერესებდეს მხოლოდ საარქივო ფონდის ისტორია (გგ. 13—14).

არ ეთანხმება ნ. ბელჩიკოვი დ. სამოკვასოვს იმაშიც, თითქოს „საარქივო სინამდვილის“ ყველა დარგს უნდა მიეკუთვნოს „მეცნიერების“ სახელწოდება. ის ამბობს: „საარქივო სინამდვილეში, მართალია, არის სავსებით მეცნიერული დარგები მუშაობისა, მაგრამ მაში არის აგრეთვე მხოლოდ და მხოლოდ აქტუალური, ორგანიზაციული ხასიათის მხარეებიც, რომელნიც „მეცნიერებად“ გადაქცევისაგან არაფერს მოიგებენ, არამედ თავის მნიშვნელობას დაჰკარგავენ კიდეც“-ო (გვ. 16).

დასასრულ, ნ. ბელშიკოვი განსაზღვრავს არქეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელ დისციპლინის, პრაქტიკულ და თეორიულ ამოცანებს. არქეოგრაფიას, როგორც ყოველ დისციპლინას, ამბობს ნ. ბელჩიკოვი, აქვს ორი მხარე: პრაქტიკა და თეორია. პრაქტიკული მხარე არქეოგრაფიისა ჰგულისხმობს საარქივო მასალების გარჩევას, სისტემატიზაციას და აღწერას, ხოლო არქეოგრაფიის თეორიის მოვალეობაა სახელმძღვანელო ნორმების დადგენა საარქივო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალებზე სხვადასხვა გვარ მუშაობისათვისო. არქეოგრაფიის თეორია და პრაქტიკა მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და პირველის წარმოდგენა პრაქტიკის გარეშე შეუძლებელია. არქეოგრაფი, მისი აზრით, იმავე დროს ისტორიკოსია. არქეოგრაფმა უნდა იცოდეს მეცნიერების თანამედროვე ამოცანები და ამ მეცნიერების ინტერესი ამა თუ იმ საარქივო მასალებსადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება (გვ. 18—20).

ასე მსჯელობს არქივისტი ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი თავისი წიგნის პირველ ნაწილში.

როგორც ვხედავთ, ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი მრავალ შემთხვევაში გამოსთქვამს არსებითად განსხვავებულ თვალსაზრისს არა მარტო ძველ თვალსაზრისთან შედარებით, არამედ ზოგჯერ არქეოგრაფიაზე და არქივთმეცნიერებაზე ჩვენს დროში არსებულ თვალსაზრისთან შედარებითაც.

მართალია, ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი, როდესაც ის ამტკიცებს, რომ არქეოგრაფია არქეოლოგიისა ან კიდევ ბიბლიოგრაფიისაგან გამიჯნული დისციპლინა არისო, მაგრამ ძნელია იმის მტკიცება, თითქოს არქეოგრაფია ს ა ვ ს ებ ი თ ჩამოყალიბებული და დამოუკიდებელი დისციპლინა იყოს. თვით ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი, ვერ უარჰყოფს იმას, რომ არქეოგრაფიის თეორიის საფუძვლები ჯერ სავსებით დადგენილი არ არის. ასე, მაგ. თავის წიგნის 6 გვერდზე ის ამბობს: „ძირითადი დებულებები (არქეოგრაფიისა) ჯერ ჩამოყალიბებული არ არის“-ო. რაც შეეხება არქეოგრაფიის პრაქტიკულ ამოცანებს: საარქივო მასალების აღწერისა, სისტემატიზაციისა და გარჩევის საკითხებს, ეს საკითხებიც ჯერჯერობით სისწორით გადაჭრილი არ არის: როგორც ვიცით, დღესაც არქივისტებს შორის დიდი კამათია ამ საკითხების შესახებ და ჯერ კიდევ დადგენილი არ არის რაციონალური სისტემები და წესები საარქივო მასალების გარჩევისა და აღწერისათვის. ხოლო არქეოგრაფიის ჩამოყალიბება იმ მხრივ თუ ესმის ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ს, რომ არქეოგრაფიის საგანი (ობიექტი) თითქოს გამორკვეული იყოს, უნდა ითქვას, რომ არც ამ მხრივ არის მაინც და მაინც მთლად სანუგეშო მდგომარეობა: ზოგიერთს არქეოგრაფიის ამოცანად მიაჩნია, მაგალითად, საბუთების გამოცემის საქმე, ზოგიერთს კიდევ ჰგონია, რომ არქეოგრაფიულ მუშაობაში საარქივო ფონდის შემქნელ დაწესებულების ისტორიის შესწავლაც უნდა შედიოდეს და სხვა. ერთი სიტყვით, ჩვენის აზრით არქეოგრაფიის არც თეორია და არც პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის იმდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყარ საფუძველზე დამყარებული, რომ შესაძლებელი იყოს ნ. ბ ე ლ-ჩ ი კ ო ვ ი ს მიერ გამოთქმულ მოსაზრების მტკიცება, ე. ი. მტკიცება იმისა, რომ არქეოგრაფია ს ა ვ ს ე ბ ი თ ჩამოყალიბებული დისციპ-ლინა არის.

რასაკვირველია, ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ არ-ქეოგრაფიის, როგორც დისციპლინის, ჩამოყალიბებულად მიჩნევისა-თვის თითქოს აუცილებელი იყოს უეჭველად ყველაფრის საბოლოოდ გამორკვევა, ე. ი. არქეოგრაფიის თეორიის ყველა პრინციპების საბო-ლოოდ დადგენა, პრაქტიკულ ამოცანების ზედმიწევნით განსაზღვრა, აბიექტის გამორკვევა და სხვა.—ეს იქნებოდა საგნის განხილვა სტა-ტიკაში. მაგრამ ძირითადი სეფუძვლები მაინც სავსებით გამორკვეუ-ლი უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს არქეოგრაფიის სავსებით ჩამო-ყალიბებულად მიჩნევა, ხოლო ეს ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ასე არ არის.

მეორეს მხრივ იმავე მოსაზრებებით ძნელია იმის თქმაც, რომ არქეოგრაფია არის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი დისციპლინა. თვით ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი ს განმარტებითაც არქეოგრაფია შეისწავლის ერთი მთლიანი და რთული საქმის—„საარქივო საქმის“—ერთ-ერთ დარგს. თუ რომელი დისციპლინა შეისწავლის დანარჩენ დარგებს ამ „საარ-ქივო საქმისას“, ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ს განმარტებული არა აქვს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს შეადგენს არქივთმეცნიერების საგანს. და მაშინ გამოდის, რომ არქეოგრაფიული ამოცანები შედის საარქივო საქმის საერთო ამოცანათა წრეში, რომელსაც შეისწავლის არქივთ-მეცნიერება.

ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ს სრულიად არა აქვს რატომღაც განმარტე-ბული „არქივთმეცნიერების“ ცნება, თუმცა დ. ს ა მ ო კ ვ ა ს ო ვ ი ს თვალსაზრისის განხილვისა და „არქეოგრაფიის“ ცნების ახალი გაგებით განმარტების დროს მოსალოდნელი იყო მას ეს ცნებაც განემარტა ახალ თვალსაზრისით, ე. ი. თანამედროვე გაგებით. რო-გორც ზევითაც აღნიშნული იყო, ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი „არქეოგრა-ფიის“ ცნებას ზოგიერთი კორექტივებით უახლოვებს „არქივთმცოდნე-ობის“ (архивоведение) ცნებას იმ გაგებით, როგორც ეს დ. ს ა მ ო-კ ვ ა ს ო ვ ს აქვს თავის შრომაში (Архивное дело в России, I) განმარტებული. ხოლო ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი ს მიერ განმარტებული „არქეოგრაფიის“ ცნება არსებითად უდგება „არქივთმცოდნეობის“ ცნებას თანამედროვე გაგებით. მსჯელობის დროსაც თავის წიგნის სხვადასხვა ადგილას ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი ამ ტერმინს („არქეოგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფია"-ს) ყველგან ხმარობს „არქივთმცოდნეობის" მნიშვნელობით. ასევე თანასწორი მნიშვნელობით აქვს მას ნახმარი ტერმინი „არქივისტი" და „არქეოგრაფი", რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის: „არქივისტის" ცნება უფრო ზოგადი ცნებაა, ვიდრე ცნება „არქეოგრაფი" და ეს უკანასკნელი შედის პირველში, როგორც შემავალი ელემენტი. ასევე ცნება „არქივთმეცნიერება" ჰგულისხმობს „არქეოგრაფიასაც", რომელიც მის ერთ-ერთ დარგად უნდა იქნეს მიჩნეული, და არა დამოუკიდებელ დისციპლინად, როგორც ეს ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ს მიაჩნია.

თავის წიგნის მეორე თავში ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი იხილავს შემდეგ საკითხებს: 1) თანამედროვე არქეოგრაფიის დამახასიათებელი თვისებები, 2) თანამედროვე არქეოგრაფიის ობიექტი, 3) ფონდების კონცეტრაცია, ერთიანი კარტოთეკა, ფონდების აღრიცხვის პრინციპები და ტერმინოლოგიის ერთიანობა და 4) აღწერითი სამუშაოს სახეები.

პირველ საკითხთან დაკავშირებით ნ. ბელჩიკოვი ცდილობს ზოგად ხაზებში დაასურათოს საარქივო საქმის მდგომარეობა რევოლიუციის წინადროინდელ ხანაში. ორგანიზაციისა და მართველობის ერთიანი სისტემის უქონლობა, უარყოფითი და უკულტურო დამოკიდებულება არქივებისადმი, არქივების დანაწილება სხვადასხვა დაწესებულებათა და უწყებათა შორის და სხვა—აი რა ახასიათებდა საარქივო საქმის მდგომარეობას ამ ხანაში. ეს გარემოება თავის მხრივ გავლენას ახდენდა არქეოგრაფიის თეორიაზედაც, რომელსაც სწორედ საარქივო საქმის პრაქტიკის ერთ სისტემაზე ჩამოუყალიბებლობის გამო, არ შეეძლო დაედგინა ძირითადი ნორმები საარქივო საქმის სხვადასხვა დარგებისთვის (გვ. 20—23).

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გატარდა საარქივო რეფორმა, რომლის თანახმად საუწყებო სისტემის ნაცვლად დაკანონდა სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის სისტემა. ახალმა პრინციპმა შესაძლებელი გახადა საარქიო საქმის პრაქტიკის ერთიან სისტემაზე მოწყობა და სარქივო-სატეხნიკო მუშაობის ერთგვარ ნორმებისთვის დამორჩილება. თავის მხრივ პრაქტიკის ჩამოყალიბებამ გავლენა იქონია არქეოგრაფიაზე და შესაძლებელი გახადა მისი ჩამოყალიბებაც. ცენტრალიზაციის პრინციპი ორგანიზაციულ ხასიათის პრინციპიდან გადაიქცა მეცნიერულ ხასიათის პრინციპად და არქეოგრაფიის დარგში მან მოიპოვა თეორიული პრინციპის მნიშვნელობა (გვ. 24 – 26).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეოგრაფის ჩამოყალიბება, რომელიც საარქივო საქმის ცენტრალიზაციის შედეგი იყო, ჰგულისხმობდა არქეოგრაფიის ობიექტის ზედმიწევნით განსაზღვრასაც. არქეოგრაფიის ობიექტად გადაიქცენ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და წარმოებათა არქივები ერთის მხრივ, და კერძო არქივები მეორეს მხრივ. კერძო არქივებში შევიდა სხვათაშორის საისტორიო-სალიტერატურო ხასიათის საარქივო მასალებიც, რომლებიც წინად სამუზეუმო ექსპონატად იყო მიჩნეული. არქეოგრაფიულ მოვლენათა შემადგენლობაში საისტორიო-სალიტერატურო ხასიათის მასალების შეტანამ გააფართოვა და შეავსო არქეოგრაფიის ობიექტის ცნება (გვ. 27—29).

საარქივო საქმის ცენტრალიზაცია ჰგულისხმობს საარქივო მასალების კონცენტრაციასაც. მაგრამ ყველა მასალების კონცენტრაცია სახელმწიფო არქივთსაცავებში პრაქტიკულად სიძნელეს წარმოადგენს და ამიტომ კონცენტრაცია უნდა განხორციელდეს ამ მასალების აღრიცხვის საშუალებით. ერთიანი კარტოთეკა — აი ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია ყველა საარქივო მასალის აღრიცხვა და ცნობაში მოყვანა. მაგრამ სადაო საკითხს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ რა პრინციპი უნდა დაედვას საფუძვლად ფონდების აღრიცხვას კართოტეკის საშუალებით. ამისათვის ორი მთავარი პრინციპი შეიძლება მიღებულ იქნეს: ან კარტოთეკაში მოცემული უნდა იყოს ფონდების უბრალო სტატისტიკა, ან კიდევ ამ ფორმალურ სტატისტიკასთან ერთად — ფონდის შემადგენლობის შესახები ცნობებიც. რასაკვირველია, უპირატესობა მეორე პრინციპს უნდა მიეცეს (გვ. 30—34).

მაგრამ არქეოგრაფიული თეორია უშუალოდ დაკავშირებულია საარქივო საქმის თანამედროვე ორგანიზაციასთან და ამიტომ ცვლილებები საარქივო სინამდვილეში უმალ გავლენას ახდენს არქეოგრაფიის სისტემაზედაც. არქეოგრაფიის თეორიის ერთიანი სისტემა ჰგულისხმობს საარქივო ცნებების ერთნაირ გაგებას, ერთნაირ საარქივო ტერმინოლოგიის შექმნას. პრაქტიკამ, ცოცხალმა მუშაობამ აიძულა არქეოგრაფიული აზროვნება მიექცია სერიოზული ყურადღება ერთიან საარქივო ენისა და ტერმინოლოგიის შექმნისათვის (გვ. 35—36).

თანამედროვე არქეოგრაფიას უნდა შეეფარდებია თავისი პრაქტიკა ახალ ტიპის არქივთსაცავების მუშაობასთან. მას უნდა შეემუშავებია ახალი წესები და მეთოდი საარქივო ფონდების დასამუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებლად. კერძოდ არქეოგრაფიას უნდა შეემუშავებია საარქივო მასალების აღწერათა სახეები. წინანდელ პრაქტიკაში განსაკუთრებით გავრცელებული იყო ორი სახის აღწერა: საინვენტარო აღწერა და სამეცნიერო აღწერილობა. თანამედროვე არქეოგრაფიამ წამოაყენა: საარქივო მიმოხილვა და დახასიათება. წინად ამ სახის აღწერები ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული, მაგრამ ახალ პირობებში ამ აღწერებზე დადებითი შეხედულება დანმტკიცდა იმის გამო, რომ ისინი უფრო შეეფერებიან თანამედროვე საარქივო სინამდვილეს (გვ. 37—40).

ამით ათავებს ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი თავის წიგნის მეორე თავს.

არსებითად ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი, როგორც ვხედავთ, ამ თავშიც მისდევს და ატარებს იმავე თვალსაზრისს, რომელიც მას გამოთქმული აქვს თავის წიგნის პირველ თავში. ჩვენის აზრით, ავტორს უკანასკნელი საკითხი, ე. ი. საარქივო აღწერათა საკითხი, არა აქვს გაშუქებული სავსებით სისწორით, ან უკეთ, სისრულით. არ არის, მაგალითად, სწორი იმის მტკიცება, რომ ძველს საარქივო პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებული სახის აღწერები „საინვენტარო აღწერა“ და „სამეცნიერო აღწერილობა“ იყო. მართალია, „საინვენტარო აღწერა“ წინად საკმაოდ გავრცელებული და ცნობილი აღწერა იყო, მაგრამ „საინვენტარო აღწერაზე“ არა ნაკლებ გავრცელებული იყო ძველს რუსეთში ე. წ. „საკანცელარიო აღწერა“ და „ვრცელი საკანცელარიო აღწერა“, ან კიდევ „სისტემატიური მიმოხილვა“ და სხვა. ამიტომ ძველი პრაქტიკის დახასიათების დროს ამ აღწერების აქ არ მოხსენება და მხოლოდ ორი სახის აღწერით შემოფარგვლა წარსულ საარქივო პრაქტიკაში ცნობილ აღწერათა მრავალფეროვნობის მართებულად ვერ ჩაითვლება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველს პრაქტიკაში „სამეცნიერო აღწერილობის“ სახელით არ ჰყოფილა ცნობილი აღწერის რომელიმე ცალკე სახე. „სამეცნიერო აღწერილობა“ ძველს პრაქტიკაში იხმარებოდა, როგორც ზოგადი ცნება, რომელიც ჰგულისხმობდა რამოდენიმე სახის სხვადასხვა აღწერებს. მაგალითად, სამეცნიერო აღწერილობად ითვლებოდა ე. წ. „მიმოხილვა“, ცნობილი „განათლების სამინისტროს არქივის აღწერილობა“ და სხვა.

არც ის არის სავსებით სწორი, თითქოს თანამედროვე არქეოგრაფიას წამოეყენებიოს „საარქივო მიმოხილვა“ და „დახასიათება“, როგორც განსაკუთრებული ტიპის აღწერები და რომ თითქოს მხოლოდ ეს შეადგენდეს არქეოგრაფიის მიხწევას ამ დარგში. ჯერ ერთი, საჭიროა აღინიშნოს, რომ „მიმოხილვას“, როგორც აღწერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსაკუთრებულ ტიპს, ძველი პრაქტიკაც იცნობდა, ხოლო მეორე, რაც აგრეთვე უნდა აღინიშნოს, თვით ტერმინი „საარქივო მიმოხილვა“ არ იხმარება და არც გამოხატავს იმ ტიპის აღწერას, რომელსაც ჰგულისხმობს ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი. ახალმა „საარქივო სინამდვილემ „წამოაყენა, როგორც განსაკუთრებული სახის აღწერა, ე. წ. „ფონდების მიმოხილვა“ (обзор фондов) და ამგვარ „მიმოხილვაზე“ აქვს სწორედ ლაპარაკი ვ. მ ა ქ ს ა კ ო ვ ს ა ც ა და ს. ვ ა ლ კ ს ა ც, რომელთა სიტყვები მოჰყავს ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ს ნათქვამის დასამტკიცებლად.

მაგრამ ეს „ფონდის მიმოხილვაც“ არც ისე უდავოდ მიღებულ სახის აღწერაა, რომ შეიძლებოდეს მის არქეოგრაფიის უკვე მიხწევად მიჩნევა, მით უფრო, რომ თანამედროვე არქეოგრაფიას ამ დარგში სხვა უფრო ნაკლებ სადაო მიხწევები აქვს. ყოველ შემთხვევაში ფაქტია ის გარემოება, რომ უკანასკნელ დროს უფრო სხვა ტიპის აღწერებზეა ლაპარაკი, როგორც სასურველ და რაციონალურ ფორმის აღწერებზე, ვიდრე „მიმოხილვაზე“. მაგალითად, თვით რუსეთში რამოდენიმე თვის წინად წამოყენებული იყო ისეთი სისტემა საარქივო აღწერებისა, რომელიც სრულიად არ ჰგულისხმობს „მიმოხილვას“. არქივის მუშაკთა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე, რომელიც მოწვეული იყო მოსკოვში 1929 წ. მაისში, არქივისტმა ა. რ ო ხ ლ ი ნ ა მ წარმოადგინა პროექტი, სადაც ნაგულისხმევია: ა) სუმარული აღწერა, ბ) მოკლე საინვენტარიო აღწერა, გ) ვრცელი საინვენტარო აღწერა და დ) სისტემატიური აღწერა. უკრაინის ცენტრარქივის მიერ 1928 წელს გამოცემულ „სანიმუშო აღწერებშიც“ არ არის ნაგულისხმევი „მიმოხილვა“, როგორც ცალკე ტიპის აღწერა.

ამასთანავე მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ის გარემოებაც, ხომ „ფონდების მიმოხილვის“ ავტორები და მომხრეები ჰგულისხმობენ ამ სახის აღწერას, როგორც დამატებითი და დამხმარე აღწერას. „საინვენტარო აღწერის“ ან მის საბადლო აღწერის, როგორც ძირითადი აღწერის, წინააღმდეგ ჯერ არავის აზრი არ გამოუთქვამს. პირიქით, საინვენტრო აღწერას (რა თქმა ძველისაგან განსხვავებული შინაარსით) დღესაც ბევრი მომხრეები ჰყავს არქივისტებს შორის და ცხოვრების მიერაც ის შეგუებული და გამართლებულია.

დასასრულ, უკანასკნელი (მესამე) თავი ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი ს წიგნისა მიძღვნილია შემდეგი საკითხებისადმი: 1) არქეოგრაფია და საისტორიო მეცნიერება, 2) არქეოგრაფია და საისტორიო მეთოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) სამეცნიერო მეთოდის გამოყენება არქეოგრაფიაში, 4) თანამედროვე არქეოგრაფიის პრობლემები, 5) არქეოგრაფიის მნიშვნელობა, როგორც დამხმარე დისციპლინისა და 6) არქეოგრაფია და წყაროთმცოდნეობა.

თანამედროვე არქეოგრაფია, სწერს ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი, როგორც დამხმარე დისციპლინა, თვალყურს უნდა ადევნებდეს იმ საკითხებსა და პრობლემებს, რომელთაც სვამს მეცნიერება გადაჭრის მიზნით. არქეოგრაფიის მოვალეობაა დაეხმაროს მეცნიერებას გაამუქოს ეს საკითხები და პრობლემები. არქეოგრაფია ასეც იქცევა: არც ერთი ისტორიული იუბილე არქეოგრაფიას არ გამორჩენია თავის წვლილის შეუტანლად. ასევე უშუალო მონაწილეობას იღებს თანამედროვე არქეოგრაფია ყველა იმ საკითხების დამუშავებაში, რომელთაც აყენებს თანამედროვე მეცნიერება და ცხოვრება (გვ. 43—44).

არქეოგრაფი უნდა იყოს თანამედროვე მეცნიერების სიმაღლეზე და მას უნდა შეეძლოს თანამედროვე მეცნიერულ მეთოდის გამოყენება. მაგრამ მის მოვალეობას არ შეადგენს ისტორიულ პროცესების განსაკუთრებულ თეორიის შექმნა: ეს ისტორიკოსის მოვალეობაა. არქეოგრაფის ამოცანა უფრო მარტივია: მან უნდა ისარგებლოს მეცნიერების მიერ შემუშავებულ თეორიით მზამზარეულად და შესასწავლი ისტორიული მოვლენები ახსნას ამ თეორიის მიხედვით. თანამედროვე არქეოგრაფს საისტორიო მასალების გასაგებადაც არ სჭირდება განსაკუთრებული მეთოდის შექმნა: მან მხოლოდ უნდა შეითვისოს თანამედროვე მეცნიერულ მსოფლმხედველობის მეთოდი და მტკიცედ დაეუფლოს ამ მეთოდს (გვ. 45—49).

ბუნებრივად იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ სად უნდა გამოიყენოს არქეოგრაფმა თავის პრაქტიკულ მუშაობის დროს ეს სამეცნიერო მეთოდი. ეს მეთოდი უნდა გამოიყენოს მან უმთავრესად საარქივო მასალების აღწერის დროს, ვინაიდან საბუთის შინაარსის გამორკვევა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული მიდგომით. მაგრამ ეს მეთოდი მისთვის აუცილებელია სხვა არქეოგრაფიულ სამუშაოს შესრულების დროსაც: საარქივო ფონდების გარჩევა და აღდგენა, არქივალიების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია—ყველაფერი ეს მაშინ შეიძლება სათანადოდ შესრულდეს, როდესაც გამოყენებული იქნება სამეცნიერო მეთოდი. ასეთივე აუცილებელია ამ მეთოდის გამოყენება, როდესაც არქეოგრაფის წინაშე სდგას საკითხი კერძო არქივების ტიპების გამორკვევის შესახებ. მეცნიერულ მეთოდის შეთავსება არქეოგრაფის პრაქტიკულ საქმიანობასთან ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყრელი და სასარგებლოა როგორც არქეოგრაფიისათვის, ისე აგრეთვე მეცნიერებისათვისაც: მეცნიერება არქეოგრაფიის ასეთ მუშაობის შედეგად ღებულობს იმას, რაც ყველაზე უფრო საჭიროა მის მორიგი ამოცანების განსახორციელებლად, ხოლო არქეოგრაფიაც ამით მართებულ ურთიერთობაში ექცევა მეცნიერებასთან (გვ. 50—57).

მაგრამ არქეოგრაფიას აქვს თავისი საკუთარი ამოცანები. ეს ამოცანები მოკლედ შემდეგ საკითხებს შეიცავს: საარქივო მასალების მიღება, გარჩევა, სისტემატიზაცია და აღწერა. არქეოგრაფიის პრაქტიკული ამოცანების შესრულება წარიმართება განსაზღვრული პრინციპებით და თეორეტიული ნორმებით. ამ ნორმებს ადგენს არქეოგრაფიის თეორია. არქეოგრაფია არა მარტო თვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ იქმნება პრაქტიკაში ესა თუ ის მეთოდი მუშაობისა, არამედ თავს უყრის ამ მეთოდოლოგურ მიღწევებს, სისტემაში მოჰყავს ისინი და, რაც მთავარია, რეალურ დაკვირვების საფუძველზე თვით ადგენს პრაქტიკულ მუშაობის წესებს და ნორმებს. არქეოგრაფია შეისწავლის საბუთს, როგორც ასეთს, და არა როგორც ისტორიულ მოვლენათა წყაროს. მაგრამ ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ არქეოგრაფს შეუძლია გვერდი აუაროს საბუთის შინაარს: პირიქით, მისი მოვალეობაა საბუთის შინაარსის მეცნიერული ანოტირება. თანამედროვე არქეოგრაფია სასტიკად განსაზღვრავს და განაცალკავებს თავის ამოცანებს მომიჯნავე დისციპლინების (ბიბლიოგრაფია, მუზეუმთმცოდნეობა და სხვა) ამოცანებისაგან. არქეოგრაფია განსაკუთრებით ახლოს დგას პალეოგრაფიასთან, მაგრამ პალეოგრაფიის დარგი გაცილებით უფრო ვიწრო და სპეციფიურია, ვიდრე არქეოგრაფიისა. ამის გამო პალეოგრაფიას არ შეუძლია და არც უნდა იკისროს არქეოგრაფიის ფუნქციების შესრულება. არქეოგრაფმა უნდა იცოდეს ის სოციალური პირობები, რომლებშიც ჰმუშაობდა საარქივო ფონდის შემქმნელი დაწესებულება. მან უნდა გაითვალისწინოს და ახსნას ისტორიული კანონშეზომილება საარქივო ფონდის ცხოვრებაში. საარქივო ფონდის ისტორია შესწავლილი უნდა იყოს სოციოლოგიური თვალსაზრისით და ეს არქეოგრაფიის მოვალეობას შეადგენს (გვ. 58—67).

საისტორიო გამოკვლევის მიზანია საბუთებში დაუნჯებულ ფაქტების სინამდვილის დადგენა. მაგრამ ამ ფაქტების სინამდვილის დადგენამდე, ან ყოველშემთხვევაში მასთან ერთად, საჭიროა თვით საბუთის სინამდვილის დადგენა. და, რაკი არქივისტი მეცნიერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ადრე ხვდება საბუთს, ამ სინამდვილის დადგენაც სწორედ მის მოვალეობას შეადგენს. არქეოგრაფიამ უნდა გამოარკვიოს საბუთის სინამდვილე, ხოლო მეცნიერებამ—ამ საბუთში დაცულ ფაქტისა და ჩვენების ისტორიული სინამდვილე. ფონდების გენეზისის საკითხი, ფონდებში შემავალ საბუთების თავისებურობა, ფონდების რეკონსტრუქცია, საბუთების შინაარსის დახასიათება აღწერის დროს, საბუთების სოციალურ დიფერენციაციის დაცვით—აი ძირითადი წრე არქეოგრაფიის თეორიის პრობლემებისა. თანამედროვე არქეოგრაფია ააზრიანებს თავის გამოცდილებას თეორეტიულად, არკვევს მეთოდოლოგიურ გზებს პრობლემების გადასაჭრელად და სხვა. ერთი სიტყვით, არქეოგრაფიის თეორია ჩვენ უადა გვესმოდეს, როგორც საარქივო საქმის პრაქტიკის თეორია, რომელიც დაკავშირებულია ერთის მსრივ საარქივო საქმის ორგანიზაციის ფორმასთან, ხოლო მეორეს მხრივ—საისტორიო მეცეიერების განვითარებასთან (გვ. 68—70).

არქეოგრაფია ამზადებს მასალას მეცნიერებისათვის, ხოლო მეცნიერება ანალიზს უკეთებს ამ მასალას. პირველის მიზანია საარქივო მასალა შეიტანოს სამეცნიერო ხმარებაში, ხოლო მეორეს მიზანს შეადგენს საბუთებზე დამყარებით საზოგადოებრივი მოვლენათა კანონების შესწავლა. ამ ორ დარგს შორის გადასასვლელ საფეხურს წარმოადგენს ცალკე დისციპლინა, რომელსაც წყაროთმცოდნეობა ეწოდება. წყაროთმცოდნეობის ამოცანაში შედის საარქივო საბუთების წყაროდ გადაქცევა ისტორიისათვის. არქეოგრაფია შეისწავლის საბუთს, როგორც ასეთს, წყაროთმცოდნეობას აჰყავს საბუთი წყაროს სიმაღლეზე სამეცნიერო მიზნებისათვის. მეცნიერება არქეოგრაფიის მიერ მიწოდებულ და წყაროთმცოდნეობის მიერ შეჯერებულ მასალისაგან ადგენს ისტორიას, არკვევს ისტორიულ მოვლენათა კანონშეზომილებას. არქეოგრაფია და წყაროთმცოდნეობა მხოლოდ ამზადებენ მასალას მეცნიერებისათვის, რომელიც ამ მასალებიდან მიღებულ ფაქტების მიხედვით საერთო სინტეზის გზით შეისწავლის ისტორიულ პროცესებს. საარქივო საბუთების ტექსტის კრიტიკა, წყაროების მეცნიერული ექსპერტიზა, საბუთების გამოცემა—აი მთავარი ამოცანები წყაროთმცოდნეობისა (გვ. 71—73).

როგორც ვხედავთ, ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი კიდევ უფრო მკაფიოთ გამოსთქვამს თავის თვალსაზრისს ამ უკანასკნელ თივში. ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი ს მსჯელობიდან აქ ყურადღებას იქცევს მისი განცხადება იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, რომ მას არქეოგრაფიის თეორია ესმის, როგორც საარქივო საქმის პრაქტიკის თეორია. საარქივო საქმის პრაქტიკა, როგორც ვიცით, არ ამოიწურება იმ საკითხებით (საარქივო ფონდის მოწესრიგება, სისტემატიზაცია და აღწერა), რომლებიც ნ. ბელჩუკოვმა ზევით არქეოგრაფიის ამოცანად დასახა და ამიტომ გამოდის, რომ არქეოგრაფიის ცნების ფარგლები უფრო ფართოვდება იმასთან შედარებით, როგორც ის პირველად განმარტა ნ. ბელჩიკოვმა.

მეორეს მხრივ ნ. ბელჩიკოვი თავის მსჯელობის იმ ნაწილში, სადაც მას ლაპარაკი აქვს წყაროთმცოდნეობაზე, არქეოგრაფიის ცნებას ვიწროდ განსაზღვრავს მით, რომ საარქივო საბუთის ტექსტის დამზადებისა და გამოცემის საქმეს არქეოგრაფის ამოცანათა წრის გარეშე ჰგულისხმობს, რაც ჩვენის აზრით სავსებით სწორედ არ უნდა ჩაითვალოს. პრაქტიკაში, როგორც ვიცით, საარქივო საბუთების ტექსტის დამზადება და გამოცემა ყოველთვის საარქივო ორგანოთა მოვალეობას შეადგენდა: წინად ამ საქმეს უმთავრესად არქეოგრაფიული კომისიები აკეთებდენ, ხოლო ჩვენს დროში ამას საარქივო დაწესებულებები აკეთებენ. წყაროთმცოდნეობის ამოცანას, ჩვენის აზრით, უფრო გამოცემული საბუთების ტექსტების კრიტიკულად შესწავლა და მასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციების შესრულება უნდა შეადგენდეს.

დასასრულ. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ნ. ბელჩიკოვის ზემოდ განხილული შრომა, აღნიშნულ დეფექტებისდა მიუხედავად, როგორც საარქივო საქმის ერთი დარგის ისტორიული მატერიალიზმის თვალის აზრისით განხილვის ახალი ცდა, უეჭველად უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ საუკეთესო მიხწევად საარქივო საქმის თეორიის დარგში. ამნაირი მიხწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ხელსაყრელ პირობებში, რომელიც 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ შექმნილია საბჭოთა ქვეყნებში საარქივო მშენებლობისათვის. რაკი ეს პირობები თანდათანობით უმჯობესდება, ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში არქივთმეცნიერების სხვა დარგების დამუშავებაც გახდება შესაძლები ახალი მეთოდით და საარქივო საქმეც, რომელიც პრაქტიკულად უკვე მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული, ერთიან სისტემაში ჩამოყალიბდება თეორეტიულად და ამ გვარად ჰპოვებს სრულს გააზრიანებას.

შ. ყარამანიძე.